780
1991

ISSN 0134-9845

# საუნჯე

1991/1

იანვარი-თებერვალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№298
(1)





**მარკ შაგალი.** განთიადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუნჯე

1991/7
იანვარი
თებერვალი
(100)

## შინაარსი

### პროზა და პოეზია

ფრანსუაზ საგანი, უცნაური ღიმი. ფრანგულიდან თარგმნა ლალი ივანიცკაიამ 3

ვასილ შუკშინი, მოთხრობები. თარგმნა ანზორ აბჟანდაძემ 57

პ. კლოდელი, საგალობელი. ფრანგულიდან თარგმნა ელდარ ჭიჭინაშვილმა 90

თომას მანი. რია-რია და ნაადრევი წუხილი. გერმანულიდან თარგმნა
დათო წერედიანმა 98

სტანკა პენჩევა. ლექსები. თარგმნა მედეა კახიძემ 124

შამაი გოლანი, დაბრუნება. თარგმნა თენგიზ ჩალაურმა 132

მაჰარიში ნიკოლოზ რერიხი. წიგნიდან „მორიას ყვავილები“.
თარგმნა ტარიელ ხიხილურმა 147

იოზეფ ტომანი, მიროსლავა ტომანოვა. სოკრატე. ისტორიულ-ბიოგრაფიული
რომანი. თარგმნა გურამ გოგიაშვილმა 151

### წერილები

იან პარანდოვსკი. სიტყვის ალქიმია. გერმანულიდან თარგმნა ანდუყაფარ ჭეიშვილმა 261

გასტონ ბაშლარი. წამიერება პოეტური და წამიერება მეტაფიზიკური.
თარგმნა დათო ბარბაქაძემ 295

ნიკოლაი ბერდიაევი. ქრისტიანობა და ანტისემიტიზმი. თარგმნა ზეინაბ სარაძემ 308

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# «САУНДЖЕ»
## ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1991 № 1

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ

მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე

გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

ნანა დარჩია (პ/მ. მდივანი)

სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
ზურაბ გორგიაშვილი
ნოდარ ზურეშიძე
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რენე კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დალი ფანჯიკიძე
ნიკო ქიასაშვილი
დავით წერედიანი

გარეკანზე: მარკ შაგალი. გაზეთების გამყიდველი

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი ნანა ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, კარლ მარქსის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31, პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22, განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 5.01.91 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 13.05.91 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16
სააღრ. თ. 25,51. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7. ტირ. 10 000, შეკვ. № 20.

ფასი 1 მან. 80 კაპ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა,
380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

# ფრანსუაზ საგანი

# უცნაური ღიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან

თარგმნა ლალი ივანიცკაიამ

19.847

„სიყვარულია ის, რაც ხდება ორ ადამიანს შორის, ერთმანეთი რომ უყვარო".

როჟე ვაიანი

## პირველი ნაწილი

### თავი 1

კაფეში ვისხედით, სენტ-ჟაკის ქუჩაზე. გაზაფხულის შუადღე იყო, ჩვეულებრივი გაზაფხულისა. როგორც ყოველთვის, ახლაც ცოტა მოწყენილი ვიყავი. სანამ ბერტრანი სპირის ლექციის თაობაზე კამათობდა, ფანჯრიდან დისკოთეკამდე დავდიოდი, წინ და უკან. მერე დავეყრდენი და ვუყურებდი, ნელ-ნელა როგორ ამოდიოდა ზემოთ ფირფიტა, რათა ზუსტად დისკოთეკის მაუდზე მოთავსებულიყო — ისე ნაზად, როგორც საკოცნელად მომზადებული ლოყა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ უცბად ბედნიერების შეგრძნება დამეუფლა, ფიზიკური შეგრძნება, რომ ერთ დღეს მოვკვდებოდი, რომ აღარ იქნებოდა ჩემი ხელი ამ ქრომირებულ საყრდენზე და არც მზე ჩემს თვალებში.

ბერტრანისკენ მოვბრუნდი. ის მიყურებდა და, როცა გავუღიმე, ადგა. ბერტრანს ხომ ვერც წარმოედგინა უიმისოდ ჩემი ბედნიერება. ჩემთვის მხოლოდ მასთან გატარებულ წუთებს უნდა მოენიჭებინა სიხარული. მე ეს შესანიშნავად მესმოდა, მაგრამ იმ დღეს რატომღაც გავღიზიანდი და ზურგი შევაქციე. როიალზე Lone and suveet[1]-ს უკრავდნენ. მერე როიალს კლარნეტი ენაცვლებოდა. ამ ფირფიტაზე თითქმის ყველა ბგერა ზეპირად ვიცოდი.

ბერტრანს გასულ წელს, გამოცდების დროს შევხვდი. ვიდრე ზაფხულის არდადეგებზე მშობლებთან წავიდოდი, საკმაოდ უფერული კვირა გავატარეთ ერთად. ბოლო საღამოს მაკოცა. მალე ჯერ ისე, სხვათა შორის, მომწერა, შემდეგ კი მისი წერილების კილო შეიცვალა. აღელვებით ვაკვირდებოდი ამ ცვლილებას, და, როდესაც მომწერა, „შეიძლება ამის თქმა სასაცილოა, მაგრამ, მგონი, მიყვარხარ", მეც ასევე, ყოველგვარი თავის მოკატუნების გარეშე შევძე-

1. „საყვარელი და მიტოვებული" (ინგლ.).



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მიმეწერა: „ამის თქმა მართლაც სასაცილოა, მაგრამ მეც მიყვარხარ“, ასეთი პასუხი თავისთავად გამომივიდა. უფრო სწორად, ფონეტიკურად შეეწყო მის ნათქვამს.

ჩემი მშობლების სახლში, იონის პირას გასართობი ცოტა იყო. თავშესაქცევად მდინარის ნაპირთან მივდიოდი ხოლმე. ვუყურებდი [illegible] როგორ ირხეოდნენ მზეზე ყვითლად მოლაპლაპე წყალმცენარეები და წყალში ვისროდი პატარა, შავ, გლუვ კენჭებს, ჰაერში მერცხლებივით რომ მიფრინავდნენ. მთელი ზაფხული ბერტრანის სახელს ვიმეორებდი და მომავალზე ვფიქრობდი. ურთიერთგატაცებაში წერილით შეთანხმება სამომავლოდ საკმარის გარანტიად მიმაჩნდა.

და აი, ახლა ბერტრანი ჩემ უკან იდგა და ჭიქას მაწვდიდა. მე მისკენ მივბრუნდი და გამოწვდილი ჭიქა ჩამოვართვი. ბერტრანს სწყინდა, მასთან ერთად დისკუსიებში რომ არ ვმონაწილეობდი. კითხვა მეც მიყვარდა, მაგრამ ლიტერატურაზე ლაპარაკი თავს მაბეზრებდა. ის კი ვერაფრით ვერ ეგუებოდა ამას.

„ყოველთვის ერთსა და იმავე ფირფიტას უკრავ, — მითხრა მან, — იცი, ეს ფირფიტა მეც ძალიან მიყვარს“.

უკანასკნელი წინადადება როგორღაც გულგრილად წარმოთქვა. გამახსენდა, რომ ეს ფირფიტა პირველად ერთად მოვისმინეთ. ხშირად ვამჩნევდი, რომ მას სენტიმენტალურად განაწყობდა ერთად გატარებული იმ წუთების გახსენება, რომელიც მე აღარ მახსოვდა. უცბად გავიფიქრე: „ის არაფერს არ ნიშნავს ჩემთვის, უკვე თავსაც მაბეზრებს. ყველაფრის მიმართ გულგრილი გავხდი, ვერაფერს ვერ ვგრძნობ, სრულიად ვერაფერს“. და სინამდვილის უაზრობის განცდა დამეუფლა.

„ჩემი მოგზაური ბიძის სანახავად მივდივარ, — მითხრა ბერტრანმა, — შენ რას იზამ, წამოხვალ?“

დაწინაურებულ ბერტრანს გავყევი. მის ბიძას არ ვიცნობდი, არც არავითარი სურვილი არ მქონდა მისი გაცნობისა, მაგრამ რაღაც მაიძულებდა წინააღმდეგობის გაუწევლად გავდევნებოდი მის კეფას, ახალგაზრდა კაცის კარგად გაპარსულ კეფას. ჩემს თავში კი იბადებოდნენ და ქრებოდნენ უმნიშვნელო ფიქრები, ცივი და პრიალა, როგორც პატარა თევზები. თუმცა მის მიმართ თბილი გრძნობები გამაჩნდა. ბერტრანთან ერთად გავიარე ბულვარი. ჩვენი სიარული ისევე იყო შეთანხმებული, როგორც ჩვენი სხეულები ღამით. მას ჩემი ხელი ეჭირა და ალბათ სასიამოვნო შესახედავები ვიყავით.

მთელი ის დრო, ვიდრე ბულვარს გადავკვეთავდით და მერე, ავტობუსის ბაქანზე რომ ვიდექით, რომლითაც მოგზაური ბიძის შესახვედრად მივემგზავრებოდით, ბერტრანი ძალიან მიყვარდა. ავტობუსის ბიძგები მასთან მაახლოვებდა, ის იცინოდა და მზრუნველად მხვევდა მკლავებს. ბოლოს შევრჩი მიყრდნობილი მის მხარს, ახალგაზრდა კაცის მხარს, რომელიც ასე მყუდრო დასაყრდენი გამხდარიყო ჩემთვის. ვისუნთქავდი ჩემთვის ასე კარგად ნაცნობ მის სურნელებას და ვგრძნობდი, რომ მაღელვებდა. ბერტრანი ჩემი პირველი საყვარელი იყო, მან პირველმა მაგრძნობინა საკუთარი სხეულის სურნელი. ეს ყოველთვის ასეა: სხვისი სხეულით საკუთარსა გრძნობ, საკუთარ უსასრულობას, საკუთარ სურნელებას; ის, რაც უცნობი იყო შენთვის, თანდათან ნაცნობი ხდება.

ბერტრანი მოგზაური ბიძის შესახებ მელაპარაკებოდა, რომელიც, ჩემი აზრით, დიდად არ უყვარდა. იგი მიყვებოდა ბიძამისის მოგზაურობაზე, რომელიც

კომედიად მიაჩნდა. სხვების ცხოვრებაში ბერტრანი ყოველთვის ეძებდა კომიკურს, თან სულ იმის შიშში იყო, რომ უნებლიეთ თვითონვე არ გამხდარიყო კომედიის გმირი. მე ეს სასაცილოდ მეჩვენებოდა, მას კი აღიზიანებდა.

ბერტრანის ბიძა კაფეში, ტერასაზე გველოდა. როგორც კი დავინახე, ვუთხარი ბერტრანს, რომ სრულიადაც არ გამოიყურებოდა ცუდად. როცა შევუახლოვდით, ის ადგა.

„ლუკ, დომინიკი ჩემი მეგობარია, ეს კი ჩემი ბიძაა, ლუკი, მოგზაურია". თქვა ბერტრანმა.

მე საკმაოდ გაკვირვებული ვიყავი. ჩემს თავს ვეუბნებოდი: „რა არ ხდება ამქვეყნად. ესეც ბერტრანის მოგზაური ბიძა". ნაცრისფერი თვალები და დაღლილი, თითქმის მოწყენილი გამომეტყველება ჰქონდა. იგი თავისებურად ლამაზიც იყო.

„როგორ ჩაიარა უკანასკნელმა მოგზაურობამ?" — ჰკითხა ბერტრანმა.

„ძალიან ცუდად. მემკვიდრეობის მოსაბეზრებელი საქმეები მოვაგვარე ბოსტონში. ყველა წვრილმანი საკითხის გადაწყვეტაში ვექილები იღებდნენ მონაწილეობას. თავი მომაბეზრეს. შენ რას შვრები?"

„ჩვენი გამოცდები ორ თვეში იქნება". — თქვა ბერტრანმა. მან ხაზი გაუსვა სიტყვა „ჩვენს". სორბონის საერთო თვისება იყო: გამოცდებზე, როგორც ჩვილ ბავშვზე, ისე ლაპარაკობდნენ.

ბიძამისი ჩემკენ მობრუნდა.

„თქვენც აბარებთ გამოცდებს?"

„დიახ", — ვუპასუხე გაურკვევლად (ჩემი მცირე მიღწევებისა სწავლაში ყოველთვის მრცხვენოდა).

„სიგარეტი გამითავდა". — თქვა ბერტრანმა და წამოდგა. მე მზერა გავაყოლე. იგი სწრაფად, მოქნილად მიაბიჯებდა. როდესაც ვფიქრობდი, რომ ამ კუნთების ერთიანობა, მათი რეფლექსი, ეს კანი მე მეკუთვნოდა, ეს საოცარ საჩუქრად მეჩვენებოდა.

„გამოცდების გარდა რას აკეთებთ?" — შემეკითხა ბერტრანის ბიძა.

„არაფერს, — ვუპასუხე. — არაფერს მნიშვნელოვანს".

ხელი მოწყენილად ჩავიქნიე. მან ჰაერშივე დაიჭირა ჩემი ხელი. დაბნეულად შევხედე. წამიერად გავიფიქრე: „მე ის მომწონს. ცოტა ხანში შესულია და მე ის მომწონს". მან ღიმილით დამადებინა ხელი მაგიდაზე.

„თითები მელნით გაქვთ დასვრილი. ეს კარგი ნიშანია. გამოცდებს წარმატებით ჩააბარებთ და ბრწყინვალე ვექილი იქნებით, მიუხედავად იმისა, რომ მაინცდამაინც მჭევრმეტყველი არა ჩანხართ."

ორივეს გაგვეცინა. სურვილი გამიჩნდა, რომ ეს კაცი ჩემი მეგობარი გამხდარიყო.

ბერტრანი უკვე გვიახლოვდებოდა. მერე ლუკი მას ელაპარაკებოდა. მე ყურს არ ვუგდებდი. ლუკს მშვიდი ხმა და დიდი ხელები ჰქონდა, იგი ნელა ლაპარაკობდა. „ეს ის ტიპია, ასე მაცდუნებელი რომაა ჩემისთანა გოგოებისთვის", — გავიფიქრე და სიფრთხილეს მოვუხმე, მაგრამ, ეტყობა, არც ისე მტკიცედ, რადგანაც არ მესიამოვნა, როცა მან სადილად ცოლთან ერთად დაგვპატიჟა.

## თავი 2

ლუკთან შეხვედრამდე ორი უხალისო დღე გავიდა. რა საქმე მქონდა ბოლოს და ბოლოს? მზადება გამოცდებისათვის, რომელიც არაფერს მაძლევდა, მზეზე სიარული და ბერტრანის სიყვარული, რომლის საჭიროების გრძნობა არ გამაჩნდა და ამავე დროს მაინც მიყვარდა. არ შემეძლო გულგრილი დავრჩენილიყავი იმ პატივისცემის, ნდობის და სითბოსადმი, რომელსაც ის იჩენდა, მაგრამ ვნებით გათანგული არასოდეს ვყოფილვარ. ნორმალურად მიმაჩნდა, რომ ძლიერი ემოციები არ მქონდა, რომ საკმარისია ცხოვრებაში კმაყოფილებას მიაღწიო. ესეც არ გახლავთ დიდად იოლი.

ვცხოვრობდი სტუდენტთა კერძო პანსიონში; ჩვენი დირექცია კარგად ეწყობოდა თანამედროვეობას და ამიტომ თავისუფლად შემეძლო სახლში მისვლა ღამის პირველ ან ორ საათზე. ჩემი ოთახი დიდი და დაბალჭერიანი იყო, თითქმის ცარიელი. ოთახის მოწყობის გეგმები თავიდანვე ჩამეშალა, თანაც მის მორთულობას არაფრად ვაგდებდი, რადგან ისედაც კარგად ვგრძნობდი თავს.

სახლს პროვინციული სული დაჰკრავდა, რაც ძალიან მომწონდა. ჩემი ფანჯარა დაბალი კედლით შემოღობილ პატარა ეზოში გადიოდა, საიდანაც ოდნავ მოჩანდა პარიზის საამური და ამაღელვებელი ცის პატარა ნაჭერი, რომელიც დროდადრო რომელიმე ქუჩის და აივნის ზემოდან ახერხებდა თავის დაღწევას და შორს მომავალ სივრცეს უერთდებოდა.

ვდგებოდი დილით, მივდიოდი ლექციებზე, ბერტრანს ვხვდებოდი, ვსაუზმობდით, სამუშაოდ მივაშურებდით სორბონის ბიბლიოთეკას, მერე კინოში ან კაფეში — ტერასაზე ვისხედით, მეგობრებთან, საღამოს საცეკვაოდ ანდა ბერტრანთან მივდიოდით, მის საწოლზე ვწვებოდით, გვიყვარდა ერთმანეთი, დიდხანს სიბნელეში ვლაპარაკობდით. თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ ჩემში ყოველთვის იყო, როგორც თბილი და ცოცხალი არსება, სიმარტოვის, მოწყენილობის შეგრძნება. მხოლოდ ხანდახან, იშვიათად ვგრძნობდი აღფრთოვანებას. ვფიქრობდი, რომ ალბათ არც ისეთი გრძნობიერი ვიყავი.

ამ პარასკევს, სანამ ლუკთან სასაუზმოდ წავიდოდი, კატერინასთან შევიარე და ნახევარი საათი დავრჩი. ეს ცოცხალი, ენერგიული გოგონა მუდამ შეყვარებული იყო. მის მეგობრულ განწყობილებას ვეგუებოდი, თუმცა თავს მის მეგობრად არ ვთვლიდი. კატერინას აზრით, ძალიან ნაზი და სათნო პიროვნება ვიყავი. მე ის მომწონდა. ჩემი გულგრილობა ყველაფრისადმი მას პოეტურადაც ეჩვენებოდა, როგორც ადრე ბერტრანს, ვიდრე უეცარმა და დაუფლების მომთხოვნელმა გრძნობამ არ შეიპყრო.

იმ დღეს კატერინას ერთ-ერთი თავისი ბიძაშვილი უყვარდა. დიდხანს მიყვებოდა ამ სიყვარულზე. მე ვუთხარი, რომ ბერტრანის ნათესავებთან საუზმეზე მივდიოდი. უცბად, იმ წუთში, აღმოვაჩინე, რომ ლუკი ცოტათი გადამავიწყდა. გული დამწყდა, ისიც მწყინდა, რომ მეც არ მქონდა მოსაყოლი მსგავსი გაუთავებელი მარტივი სასიყვარულო ამბავი. მას ეს არც კი უკვირდა, ისე ვიყავით შეჩვეული ჩვენს როლებს: ის სულ ლაპარაკობდა, მე ყურს ვუგდებდი. ის რჩევა-დარიგებას მაძლევდა, მე არ ვუჯერებდი.

კატერინასთან ვიზიტმა გუნება გამიფუჭა და ახლა ლუკთან ყოველგვარი ხალისის გარეშე მივდიოდი, ცოტათი შეშფოთებულიც კი: საჭირო იყო მელაპარაკა, ზრდილობიანი ვყოფილიყავი, კარგად მომეჩვენებინა თავი. მე კი ერთი სურვილი მქონდა: დავრჩენილიყავი მარტო, მარტოს მესადილა, მდოგვის

ქილით ხელში ვყოფილიყავი გაურკვეველ მდგომარეობაში, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე.

როცა ლუკთან მივედი, ბერტრანი უკვე იქ იყო. მან ლუკის მეუღლე გამაცნო. მის სახეს რაღაც დამათრობელი ახლდა, ძალიან კარგი და მშვენიერი. ეს იყო დიდი, ცოტა მძიმე, ქერა, მშვენიერი და აგრესიულობას მოკლებული ქალი, ქალი, რომლის ცოლობას ბევრი კაცი მოინდომებდა, ქმარიც რომელიც ყველას გააბედნიერებდა — ალერსიანი, თბილი ქალი. ვარ თუ არა მე თბილი და ალერსიანი? უნდა ბერტრანს ვკითხო. რასაკვირველია, მე მეჭირა ხოლმე მისი ხელი, არ ვუყვიროდი, მის თმას ვეალერსებოდი. საერთოდ, ყვირილს ვერ ვიტანდი, მიყვარდა მისი თმა, თბილი და ხშირი, როგორიც ცხოველებს აქვთ.

ფრანსუაზი ძალიან თავაზიანი იყო. მან დამათვალიერებინა თავისი შესანიშნავი სახლი, შემდეგ ვისკი დამისხა, სავარძელი შემომთავაზა. ის უხერხულობა, რომელიც პირველად ჩემი ქვედა კაბის და ნახმარი, უფორმო სვიტრის გამო ვიგრძენი, თანდათან გაქრა. ლუკს ვუცდიდით, ის სამუშაოზე იყო. მე გავიფიქრე, რომ ალბათ ლუკის პროფესიით უნდა დავინტერესებულიყავი, თუმცა წინასწარ ვიცოდი, რომ ამას არ ვიკითხავდი. მე მინდოდა მეკითხა ადამიანებისთვის: „ხართ თუ არა შეყვარებული?“ ან „რას კითხულობთ?“ თუმცა მესმოდა, რომ მათთვის ალბათ პროფესია იყო მთავარი.

„თქვენ როგორღაც მოიწყინეთ, — მითხრა ფრანსუაზმა ღიმილით. — კიდევ ხომ არ დაგისხათ ვისკი?“

„სიამოვნებით“.

„დომინიკს უკვე ლოთის სახელი აქვს, — თქვა ბერტრანმა. — და იცით რატომ? — ის წამოხტა და ჩემთან სერიოზული სახით მოვიდა, — ზედა ტუჩი ცოტათი მოკლე აქვს და, როცა თვალდახუჭული სვამს, გამომეტყველება შთაგონებული უხდება, თუმცა ეს ვისკის სულაც არ უნდა დააბრალოთ“. მან ზედა ტუჩზე ორი თითი მომკიდა და ფრანსუაზს აჩვენა, თითქოს მონადირე ძაღლი ვიყავი. მე გამეცინა და ბერტრანმაც ხელი გამიშვა. ლუკი შემოდიოდა.

როდესაც შევხედე, კიდევ ერთხელ, და ახლა უკვე ტკივილით, გავიფიქრე, რომ ძალიან ლამაზი იყო. როგორც ყოველთვის, როდესაც რაიმე მიუწვდომელი იყო ჩემთვის, ტკივილს ვგრძნობდი. ძალზე იშვიათად მებადებოდა რაიმე სურვილი, მაგრამ ახლა სწრაფად გავიფიქრე, რომ მინდოდა ლუკის სახეს შევხებოდი, მაგრად მომეჭირა ხელები, მისი სავსე და ცოტა დიდი პირი მომეახლოვებინა და დავკონებოდი. თუმცა არა, ლუკი ლამაზი არ იყო. ეს უნდა ხშირად, განუწყვეტლივ ემეორებინათ ჩემთვის, მაგრამ მის ნაკვთებში იყო რაღაც ისეთი, რომ ორჯერ ნახვის შემდეგ მისი სახე გაცილებით ნაკლებად უცხო მეჩვენებოდა, გაცილებით უფრო სასურველი, ვიდრე ბერტრანისა, რომელიც, ამავე დროს, მომწონდა.

ლუკი შემოვიდა, მოგვესალმა და დაჯდა. საოცრად გაუნძრევლად იცოდა ხოლმე ჯდომა: რაღაც დაძაბულობა, თავშეკავება იგრძნობოდა მის ნელ მოძრაობებში, თითქოს ივიწყებდა თავის სხეულს და ეს გაფორიაქებდა. მისი ყოველი გამოხედვა ფრანსუაზის მიმართ დიდ სითბოს ამჟღავნებდა. აღარ მახსოვს, რაზე ვლაპარაკობდით. ბერტრანი და ფრანსუაზი საუბრობდნენ. ახლა შიშით ვიხსენებ იმ პირველ წუთებს. მაშინ საკმარისი იყო მცირედი გონიერება, სულ ცოტა დრო, რომ ამ შეგრძნებისაგან თავი დამეღწია. მე კი პირიქით, მოუთმენლად ვცდილობ გავიხსენო ის წუთები, როცა ბედნიერი ვიყავი მას-

თან. ფიქრი იმაზე, რომ აღვწერ იმ პირველ წუთებს, სიტყვებში სიცოცხლეს შევიტან, მოუთმენელი და მწარე სიხარულით მავსებს.

ჩვენ ვისაუზმეთ ლუკთან და ფრანსუაზთან. შემდეგ ქუჩაში ლუკის სწრაფ ნაბიჯებს ავყევი. როგორ დადიოდა ბერტრანი, დამავიწყდა. ლუკმა მკლავში ხელი მომკიდა, რომ ქუჩაზე გადავეყვანე. მახსენდება, როგორ შემრცხვა. არ ვიცოდი, რა მექნა ჩემი მკლავისთვის, სად წამეღო ხელი, რომელიც უსიცოცხლოდ ჩამომეკიდა. იქ, სადაც ლუკის ხელი არ მეხებოდა, მკლავი თითქოს გაქავდა. როგორ ვიქცეოდი ამ დროს ბერტრანთან, ვერ ვიხსენებ. უფრო გვიან ფრანსუაზმა და ლუკმა მკერავთან წამიყვანეს და წითელი დრაფის პალტო მიყიდეს, გაოცებისაგან არც კი ვიცოდი, უარი მეთქვა თუ მადლობა. ლუკი იქ იყო და ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდებოდა. მერე, როგორც უეცარი დარტყმა, გაჩნდა ისევ დრო, წუთები, საათები, სიგარეტები.

ბერტრანი ძალიან გაბრაზდა, რომ საჩუქარი მივიღე, და როდესაც მათ დავცილდით, წამეჩხუბა. უსაზღვროდ აღშფოთებული იყო.

„არა, პირდაპირ დაუჯერებელია. შენთვის სულერთია, ვინ რას შემოგთავაზებს, არც კი გიკვირს ეს“.

„კი მაგრამ, უცხონი ხომ არ არიან. ეს ხომ შენი ბიძაა, — ვპასუხობდი გულუბრყვილოდ, — და ბოლოს, მე ვერასოდეს შევძლებდი ამ პალტოს ყიდვას. ის ძალიან ძვირია“.

„შენ შეგეძლო გეარსება მაგ პალტოს გარეშე“.

ორ საათში ახალ პალტოს ძალიან შევეჩვიე. ძალიან მიხდებოდა — და ამ უკანასკნელმა მსჯელობამ გამაკვირვა. ჩემს მსჯელობაში იყო რაღაც ლოგიკა, ბერტრანმა კი ის დაკარგა. მე ეს ვუთხარი. კამათი იმით გათავდა, რომ მან თავისთან წამიყვანა და უსადილოდ დამტოვა. მისთვის ეს სასჯელი იყო, რადგანაც სადილისთვის განკუთვნილ დროს ის ყველაზე მნიშვნელოვან დროდ თვლიდა. იგი ჩემ გვერდით იწვა და ისეთი მოკრძალებით, ისეთი თრთოლვით მკოცნიდა, რომ ეს მაღელვებდა და, ამავე დროს, მაშინებდა. მერჩივნა პირველი დღეების მხიარული, მოურიდებელი სიყვარული, ახალგაზრდული, თითქმის ცხოველური სითამამეც კი ხვევნისას. მაგრამ როდესაც ის დამემხო და მოუთმენლად ეძებდა ჩემს სხეულს, ყველაფერი დამავიწყდა. ეს ისევ ბერტრანი იყო და — ისევ ის განცდები, ის სიამოვნება მისგან.

დღეს მაშინდელი სიამოვნება, სხეულის დავიწყება დაუჯერებელ საჩუქრად მიმაჩნია, და ამიტომაც სასაცილო ჩანს იმის აღიარება, რომ ეს იყო მთავარი, ჩემი შეგრძნებების და დასკვნების მიუხედავად.

## თავი 3

კიდევ რამდენჯერმე ვიყავით სადილად ლუკთან და მის ამხანაგებთან. შემდეგ ფრანსუაზი ათი დღით თავის მეგობრებთან გაემგზავრა. ფრანსუაზი უკვე მიყვარდა. იგი ძალიან ყურადღებიანი და გულკეთილი იყო და ამ გულკეთილობაში იგრძნობოდა სიმტკიცე, სიფრთხილე, ვაითუ რამე ვერ გაეგო ადამიანისთვის, რაც მე ყველაზე მეტად მომწონდა მისი. ის, როგორც დედამიწა, მშვიდი იყო, ზოგჯერ ბავშვურიც. ლუკი და ის ბევრს იცინოდნენ ერთად.

ჩვენ იგი ლიონის სადგურიდან გავაცილეთ. მე უკვე ნაკლებ უხერხულობას ვგრძნობდი, უფრო თავისუფლად ვიყავი, ვიდრე ნაცნობობის პირველ ხანებში. მხიარული გავხდი, განვთავისუფლდი ჩემი მუდმივი მოწყენილობისა-

გან, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ ვბედავ საკუთარი სახელით ვუწოდო. შევიცვალე — გამოვცოცხლდი და სასაცილოც გახდა. მეჩვენებოდა, რომ ჩემი ასეთი ყოფა მუდმივად გაგრძელდებოდა. ძალიან შევეჩვიე ლუკის სახეს. ვფიქრობდი, რომ ის უეცარი ღელვა დ გრძნობები, მასთან შეხვედრები რომ მგვრიდა, აიხსნებოდა მხოლოდ ესთეტიკური მიზეზით ანდა შეჩვევით, როცა კარებში ფრანსუაზმა გაგვიღიმა.

„თქვენ გიტოვებთ მას", — თქვა მან.

მატარებელი წავიდა. დაბრუნებისას ბერტრანი შეჩერდა რომელიღაც პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთის საყიდლად, რომელიც მისი მსჯელობის და აღშფოთების საგანი ხდებოდა. უცბად ლუკი ჩემკენ მოტრიალდა და ძალიან სწრაფად მითხრა:

„ხვალ ერთად ვისადილოთ".

„კეთილი, ბერტრანს შევეკითხები, — დავიწყე, მაგრამ უმალ მომიჭრა: — მე თქვენ დაგირეკავთ, — და მოახლოვებული ბერტრანისკენ მიტრიალდა. — რა ჟურნალი იყიდე?"

„რაც მინდოდა, არ იყო, — თქვა ბერტრანმა, — დომინიკ, ლექცია გვაქვს უნდა ვიჩქაროთ".

მან მკლავში ხელი მომკიდა და ასე ვეჭირე. ლუკი და ბერტრანი უნდობლად უყურებდნენ ერთმანეთს. ფრანსუაზი წავიდა და ყველაფერი გაურკვეველი და უსიამოვნო გახდა. არ მსიამოვნებს ლუკის ჩემდამი ყურადღების გამომჟღავნების ამ პირველი წუთების გახსენება. გონებაშეზღუდულობა გამოვიჩინე, ფრანსუაზის ნახვის სურვილი დამებადა. ის იქნებოდა ჩემი მფარველი. კვარტეტი, რომელიც ჩვენ შევქმენით, დამყარებული იყო ტყუილზე. ამან შემაძრწუნა. როგორც ყველა, ვინც ადვილად ტყუის შექმნილ სიტუაციაში, ძალიან მგრძნობიარე გავხდი და გულწრფელად ვასრულებდი ჩემს როლს.

„მე წაგიყვანთ". — თქვა ლუკმა გულგრილად. მას ღია მანქანა ჰქონდა, რომელსაც სწრაფად და კარგად მართავდა. გზაში არაფერი გვითქვამს, გარდა იმისა, რომ დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

„ბოლოს და ბოლოს ეს დამშვიდობება დროულია, — თქვა ბერტრანმა. — შეუძლებელია ყოველთვის ერთსა და იმავე პირებთან შეხვედრა." ამ წინადადებით ის ლუკს ჩვენი მომავალი გეგმებიდან დევნიდა. მე არაფერი მითქვამს. თანდათან ფრთხილი ვხდებოდი.

„ისინი ჩვენთვის ცოტათი მოხუცები არიან, არა?"

არ ვუპასუხე. ჩვენ წავედით ბრემის ლექციაზე, რომელიც ეპიკურეს მორალს შეეხებოდა. რამდენიმე წუთს გაუნძრევლად ვუსმენდი. შემდეგ გავიფიქრე: „ლუკს ჩემთან მარტო ყოფნა უნდა. ეს ალბათ ბედნიერებაა". გაშლილი თითები მერხზე დავაწყვე. ვიგრძენი, რომ ჩემდა უნებურად ვიღიმებოდი. თავი მივაბრუნე, რომ ბერტრანს არ დავენახე. ეს ერთ წუთს გაგრძელდა. „შენი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია, — ვუთხარი თავს, — ეს ნორმალურია". შემდეგ ჩემში აღიძრა ახალგაზრდული რეფლექსი: უნდა ვეცადო, რომ გრძნობამ არ შემიპყროს, ყოველგვარი კავშირი უნდა დაიმსხვრას.

მეორე დღეს უკვე ვფიქრობდი, რომ ლუკთან ერთად სადილობა სასაცილო და უშედეგო გამოდგებოდა. ერთი წუთით წარმოვიდგინე, როგორ გამოჩნდებოდა უეცრად სახეალეწილი, როგორ გამომიცხადებდა სიყვარულს. ის ცოტათი მოგვიანებით მოვიდა, ოდნავ უგულისყურო ჩანდა, მე კი მინდოდა, რომ შეხვედრისას აღელვება გამოემჟღავნებინა. მაგრამ აღელვება არ გამოუ-

ჩენია, ისე თავისუფლად, წყნარად ლაპარაკობდა სხვადასხვა საკითხზე, რომ ბოლოს მეც იმავე კილოთი ავყევი. ალბათ ის იყო ერთადერთი პიროვნება, რომელთანაც თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, ყოველგვარი მოწყენილობისაგან ვთავისუფლდებოდი. მან სასადილოდ sonny-ში შემომთავაზა წასვლა, სადაც შეიძლებოდა გვეცეკვა. იქ მისი მეგობრები შემოგვიერთდნენ. გავიფიქრე რა პატარა სულელი, პატივმოყვარე არსება ვარ, რატომ მეგონა, ლუკს ჩემთან მარტო დარჩენა უნდოდა.

როდესაც იმ ქალებს ვუყურებდი, რომლებიც ჩვენს მაგიდასთან იხდნენ, აღმოვაჩინე, რომ ბრწყინვალება და ელეგანტურობა მაკლდა. შუაღამისთვის საკუთარ თავზე სრულიად შემეცვალა წარმოდგენა: ფატალური პიროვნების ნაცვლად დარჩა საწყალი არსება, თავის კაბას რომ მალავდა და მთელი არსებით უხმობდა ბერტრანს, ვისთვისაც ის ყოველთვის მშვენიერი იყო.

ლუკის მეგობრები სელტერის წყალზე ლაპარაკობდნენ, მის უებარ თვისებებზე და იმაზე, რომ ქეიფებისა და ღრეობების მეორე დღეს აუცილებლად სვამდნენ სელტერის წყალს, დილაობით ისინი თავის მოვლით იყვნენ დაკავებული, თითქოს საკუთარი სხეული — ეს საოცრად გასართობი, სიამოვნების და ზრუნვის საგანი იყო. გავიფიქრე, რომ ალბათ უნდა შემეწყვიტა წიგნების კითხვა, ფიქრი, ლაპარაკი, მოძრაობა და შემეგრძნო ფულითა და ბევრი სხვა უაზრო გასართობით მოგვრილი სიამოვნება. საჭიროა გაგაჩნდეს ფული, — ეს არის ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ მშვენიერ საგნად იქცე. ნეტავი ლუკს თუ მოსწონს ეს ხალხი?

იგი ღიმილით მოტრიალდა ჩემკენ და საცეკვაოდ გამიწვია. ძალიან ნაზად მომხვია მკლავები და თავისკენ მიმიზიდა. ნიკაპამდე ვწვდებოდი. ჩვენ ვცეკვავდით, ვგრძნობდი მის სხეულს.

„ალბათ მოგწყინდათ ამათთან, არა? — მითხრა მან, — ამ ქალებს მაინც რა ყიჟინ-ხივილი გაუდით".

„კარგ ღამის კლუბში არასოდეს ვყოფილვარ და ახლა ძალზე ვღელავ". მან გაიცინა.

„რა სასაცილო ხართ, დომინიკ. მე თქვენ ძალიან მომწონხართ. სხვაგან წავიდეთ, ვილაპარაკოთ".

ჩვენ დავტოვეთ „sonny". ლუკმა ბარში ჩამიყვანა, მარბეფის ქუჩაზე, ნელ-ნელა ვსვამდით. მე მომწონდა ვისკი და, ამავე დროს, ვიცოდი, რომ ეს იყო ერთადერთი საშუალება, რათა ავლაპარაკებულიყავი. მალე ლუკი ძალიან სასიამოვნო, მომხიბვლელ პიროვნებად წარმომიდგა, რომელიც სრულიად არ იყო საშიში. მის მიმართ უდიდეს სითბოს ვგრძნობდი.

ბუნებრივია, სიყვარულზე დავიწყეთ ლაპარაკი. ლუკი ამბობდა, რომ სიყვარული მშვენიერი გრძნობაა, არცთუ ისე აუცილებელია, როგორც ამას ამტკიცებენ, მაგრამ სრული ბედნიერებისათვის საჭიროა გიყვარდეს და შენც უყვარდე ვინმეს. მე თავის ქნევით ვეთანხმებოდი. მან თქვა, რომ ძალიან ბედნიერია ფრანსუაზი რომ უყვარს და ისიც მის სიყვარულს ასევე სიყვარულით პასუხობს. მე დავეთანხმე, ვუთხარი, რომ ეს საკვირველი სულაც არ არის, თქვენ და ფრანსუაზი შესანიშნავი წყვილი ხართ-მეთქი, გრძნობები მერეოდა.

„და ამის მიუხედავად, უფრო ბედნიერად ვიგრძნობდი თავს, თუკი თქვენთან პატარა თავგადასავალი მექნებოდა", — თქვა ლუკმა.

სულელივით დავიწყე სიცილი. ვიგრძენი, რომ სინამდვილის აღქმის უნარი დავკარგე.

„მერე ფრანსუაზი?“ — ვთქვი მე.

„ფრანსუაზს ალბათ მერე ვეტყვი. მას მოსწონხართ, თქვენ ხომ იცით“.

„მართალია, — ვთქვი ბოლოს, — თანაც არ ვიცი, ალბათ ეჭვზე არ ლაპარაკობენ“.

მე ვღელავდი — ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა ყოველთვის მღლიდა ხოლმე.ახლაც ძალზე ბუნებრივად და თან მეტისმეტად უადგილოდაც მეჩვენებოდა, რომ ლუკი თავის საწოლს მთავაზობდა.

„რაღაც არსებობს, — თქვა ლუკმა სერიოზულად, — მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ შორის არის რაღაც საერთო. იცის ღმერთმა, არ მიყვარს პატარა გოგონები, მაგრამ ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს. მე ვფიქრობ, ჩვენი ერთად ყოფნა არ იქნება არც სულელური და არც ბანალური. ეს იშვიათად ხდება ასე, თქვენ იფიქრეთ“.

„კარგით, მე ვიფიქრებ“, — ვუთხარი.

ალბათ საცოდავი შესახედავი ვიყავი, რადგან ლუკი დაიხარა და ლოყაზე მაკოცა.

„ჩემო საბრალო გოგონი, — მიფხრა მან. — როგორ არ შემეცოდებით, სულ ცოტა მორალი მაინც რომ გაგაჩნდეთ, მაგრამ ის თქვენ იმდენივე გაქვთ, რამდენიც მე. თქვენ ძალიან მომხიბვლელი ხართ და ძალიან გიყვართ ფრანსუაზი, ამავე დროს, ჩემთან ნაკლებად მოწყენილი ხართ, ვიდრე ბერტრანთან, არა? ხომ ასეა?“

მას გაეცინა. მე გულნატკენი ვიყავი. ყოველთვის გული მტკიოდა, როცა ლუკი მდგომარეობის გარჩევას იწყებდა. მან ეს შეამჩნია.

„არაფერია, — თქვა მან. — ასეთ საკითხში ნამდვილად მნიშვნელოვანი არაფერი არ არის. მე თქვენ მომწონხართ. ძალიან მომწონხართ. ჩვენ ძალზე მხიარულად ვიქნებით ერთად. მხოლოდ მხიარულად“.

„მე თქვენ მეზიზღებით“, — ვთქვი არაამქვეყნიური ხმით და ორივემ სიცილი დავიწყეთ. სამ წუთში ასეთი შეთანხმება საეჭვოდ მეჩვენა.

„ახლა სახლში წაგიყვან, — თქვა მან. — ძალიან გვიან არის. ან, თუ გინდა, ბერსის სანაპიროზე წავიდეთ და ვნახოთ მზის ამოსვლა“.

ჩვენ სანაპიროზე წავედით. ლუკმა მანქანა გააჩერა. სენაზე ცა თეთრად მოჩანდა. იგი ისე იყო მომწყვდეული რკინის ამწეებს შორის, როგორც მოწყენილი ბავშვი თავის სათამაშოებში. ცა თეთრი იყო და თან ნაცრისფერი. ის თანდათან ნათდებოდა, როგორც ყოველდღე, ნელა, მკვდარი სახლების თავზე, ხიდების და რკინის გროვებს ზემოთ. უკვე დღე იყო. ჩემ გვერდით ლუკი სიგარეტს ეწეოდა უხმოდ. მის უძრავ პროფილს ვხედავდი. ხელი გავიწოდე მისკენ, მან მომკიდა ხელი და ჩვენ აუჩქარებლად დავბრუნდით პანსიონში, კართან ხელი გამიშვა. მანქანიდან ჩამოვედი და გავუცინეთ ერთმანეთს. ლოგინზე დავეემხე. გავიფიქრე, რომ ტანთ გავიხადო, წინდები გავრეცხო, კაბა ჩამოვკიდო-მეთქი, მაგრამ უკვე მეძინა.

## თავი 4

დილით იმ ადამიანის მძიმე შეგრძნებით გამეღვიძა, ვისაც სასწრაფოდ გადასაწყვეტი პრობლემები აქვს. ის, რასაც მთავაზობდა ლუკი, თამაში იყო.

მომაჯადოებელი თამაში, მაგრამ დროებითი, რომელსაც შეეძლო დაენგრია ჩემი გრძნობა ბერტრანისადმი, ამასთან იგი ჩემში იწვევდა რაღაც გაურკვეველ შეგრძნებას, წუთიერების საკმაოდ მწვავე და საწინააღმდეგო შეგრძნებას, იმ ძალდაუტანებელი წუთიერებისას, რომელსაც მთავაზობდა ლუკა. დაბოლოს, თუკი ყოველი ვნება ანდა სიახლოვე გარდამავლად მეჩვენებოდა, მაგრამ არ შემეძლო ეს წინასწარვე აუცილებლობად ჩამეთვალა. ყველა იმ ადამიანის მსგავსად, რომლებიც ცხოვრობენ რაღაც ნახევარკომედიებში, ჩემთვის მისაღები იყო მხოლოდ ისეთი, რომელსაც მე თვითონ ვქმნიდი და ვთამაშობდი.

გარდა ამისა, კარგად მესმოდა, რომ ასეთი თამაში საშიშია, თუკი ეს იყო საერთოდ თამაში, თუკი შეიძლებოდა თამაში ორ ადამიანს შორის, რომლებსაც მოსწონთ ერთმანეთი და უნდათ ერთმანეთით შეავსონ მარტოობა თუნდაც დროებით. სულაც არ იყო საჭირო, უფრო ძლიერად მომეჩვენებინა თავი, ვიდრე სინამდვილეში ვიყავი. იმ დღიდან, როდესაც ფრანსუაზის თქმით, „მოთვინიერებული" ვიქნებოდი ლუკის ყურადღებით, განცდის გარეშე მის დატოვებას ველარ შევძლებდი. ბერტრანს, გარდა სიყვარულისა, სხვა არაფერი შეეძლო. ბერტრანის მიმართ კეთილი განწყობა მქონდა, მაგრამ, ამავე დროს, განუწყვეტლივ ლუკზე ვფიქრობდი. ბოლოს და ბოლოს, როცა ახალგაზრდა ხარ, ამ ხანგრძლივი ტყუილით სავსე საწუთროში, რომელსაც ცხოვრება ეწოდება, არაფერი არ არის უფრო სასურველი, ვიდრე გაუფრთხილებელი ნაბიჯის გადადგმა. მე არასოდეს არაფერს ვწყვეტდი, ყოველთვის სხვები მირჩევდნენ, რატომ არ უნდა მივცე ჩემს თავს, თუნდაც ერთხელ, არჩევანის უფლება? ჩემს საკუთრებად იქცეოდა ლუკის მომხიბვლელობა, ყოველდღიური მოწყენილობა და საღამოები. ყველაფერი თავისთავად მოხდებოდა. უაზრობა იყო გამოსავლის ძებნა და რაიმეს გაგება.

ბედისადმი ასეთი სულელური და მორჩილი ფიქრებით შეიარაღებული წავედი ლექციებზე. შევხვდი ბერტრანს, ამხანაგებს, სასაუზმოდაც ერთად წავედით კუჟას ქუჩაზე. ყველაფერი, ასეთი ყოველდღიური, არაბუნებრივად მომეჩვენა. ჩემი ნამდვილი ადგილი ლუკის გვერდით იყო, გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი. ბერტრანის მეგობარმა ჟან-ჟაკმა ჩემი მეოცნებე გამომეტყველების გამო სიცილი დაიწყო.

„დომინიკ, ეს შეუძლებელია. შენ შეყვარებული ხარ. ბერტრან, რა უყავი ამ პატარა, უგულისყურო გოგოს? ნამდვილი კლევის პრინცესაა".

„მე აქ არაფერ შუაში ვარ", — თქვა ბერტრანმა.

შევხედე. იგი გაწითლდა და მზერა ამარიდა. ეს დაუჯერებელი იყო. ჩემი თანამოაზრე, ჩემი მეგობარი ერთი წლის განმავლობაში, უცბად ჩემი მოწინააღმდეგე გახდა. მისკენ გავიწიე. მინდოდა მეთქვა: „ბერტრან, გთხოვ, ნუ განიცდი, ეს ძალიან საწყენია. არ მიყვარს, როცა წუხხარ". ბოლოს სულელურად ისეც მინდოდა მეთქვა: „გაიხსენე ჩვენი ზაფხულის დღეები, ზამთარი, შენი ოთახი. არ შეიძლება ყველაფერი სამ კვირაში მოისპოს, ეს უაზრობაა". მინდოდა დაუფიქრებლად დამთანხმდებოდა, დავერწმუნებინე, ხელში ავეყვანე იმის ნიშნად, რომ ვუყვარდი. მაგრამ ის მამაკაცი არ იყო. ზოგიერთ მამაკაცში, ლუკშიც, ძალა იგრძნობოდა, რომელიც არც ბერტრანს და არც მის ძალიან ახალგაზრდა მეგობრებს არ გააჩნდათ. ეს არ იყო მხოლოდ გამოუცდელობით გამოწვეული...

„დომინიკს თავი დაანებეთ, — თქვა კატერინამ მისი ჩვეული, ავტორიტე-

ტული კილოთი, — წამოდი, დომინიკ, კაცები უხეშები არიან. წამოდი, ყავა დავლიოთ“.

გარეთ იგი მიმტკიცებდა, რომ ბერტრანს ძალიან ვუყვარდი და მის წუთიერ უგუნურებას არ უნდა შევეწუხებინე. კატერინას არც შევეწინააღმდეგებივარ. უკეთესი იქნებოდა, თუ ბერტრანი არ დამცირდებოდა ჩვენი მეგობრების თვალში. მათი ლაპარაკი, მათი ბავშვური სასიყვარულო ამბები, მათი დრამები ჩემს ზიზღს იწვევდა. მაგრამ ბერტრანი იქ იყო, თავისი განცდებით, და სხვას არაფერს არ ჰქონდა მნიშვნელობა. ყველაფერი გასაოცრად სწრაფად ხდებოდა. ვერ მოვასწარი ბერტრანის მიტოვება, რომ ეს ამბავი უკვე საერთო მსჯელობის საგნად იქცა. ეძებდნენ ახსნას, და აი, მეც, გაღიზიანებული, მზადა ვარ გავართულო და გავამწვავო ის, რაც შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ დროებითი დაბნეულობა.

„შენ არ გესმის, — ვუთხარი კატერინას. — ეს ბერტრანს არ ეხება“.

„რა?“ — წამოიძახა მან.

კატერინას შევხედე; მის სახეზე ისეთი ცნობისმოყვარეობა ამოვიკითხე, ისეთი ვამპირული გამომეტყველება, რომ სიცილი ამიტყდა.

„მე მონასტერში შესვლაზე ვფიქრობდი“, — ვუთხარი სერიოზულად.

ამ განცხადებამ კატერინა ცხოვრების მშვენიერებაზე საკამათოდ განაწყო. ის ჩიტებზე, მზეზე, ბუნებაზე ლაპარაკობდა. „ყველაფერ ამას შენ სტოვებ რაღაც სისულელეების გულისთვის“. იგი ხმადაბლა მელაპარაკებოდა ხორციელ სიამოვნებაზე. „უნდა ითქვას... ამასაც აქვს მნიშვნელობა“. ერთი სიტყვით, ცხოვრების სიამოვნების ასეთი აღწერის შემდეგ მას შეეძლო კიდევ უფრო გაეძლიერებია ჩემი რელიგიით გატაცება, თუკი მე მართლა ის მსურდა. „განა შეიძლება იქაური ცხოვრება ცხოვრებად ჩაითვალოს? თუკი ახლა მოწყენილი ხარ, შემდეგ უფრო მეტად მოიწყენ“. ბოლოს მან ისეთი განსწავლულობა და სწრაფვა გამოამჟღავნა გულწრფელი, ქალური ლაპარაკისას, რომ წამსვე ქუჩაში მივატოვე.

„კატერინაც გამოვრიცხოთ, — გავიფიქრე მხიარულად, — კატერინა და მისი ერთგულებაც“, — და გააფთრებისაგან ავღიღინდი კიდეც.

მთელი საათი დავეხეტებოდი ქუჩებში, შევედი ექვს მაღაზიაში, ყველას ველაპარაკებოდი, სრულიად თავისუფალი და მხიარული გავხდი. პარიზი მე მეკუთვნოდა. პარიზი თავისუფალ, დამოუკიდებელ ადამიანებს ეკუთვნის. ამას ყოველთვის ქვეშეცნეული ტკივილით ვგრძნობდი, რადგან აქამდე თავისუფლება არ მქონია. ახლა ეს ჩემი ქალაქი იყო, ჩემი ლამაზი ქალაქი, ოქროსფრად გაბრწყინებული და თვალისმომჭრელი, ისეთი, რომლის გამოგონებაც კი ძნელია. სიხარულით სავსე ვიყავი. ჩქარა დავდიოდი. მოუთმენელი გავხდი, სისხლი მიჩქეფდა. ვგრძნობდი, რომ ახალგაზრდა ვიყავი, სასაცილოდ ახალგაზრდა. ამ გიჟური ბედნიერების წუთებში ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ჩავწვდი ჭეშმარიტებას. ნამდვილ ჭეშმარიტებას იმასთან შედარებით, მოწყენილობისას გაუთავებლივ ფიქრში რომ ვატრიალებდი.

ელისეის ბულვარზე კინოში შევედი, სადაც ძველ სურათებს აჩვენებდნენ. ჩემ გვერდით ახალგაზრდა კაცი იჯდა. ერთი შეხედვით დავადგინე, რომ სასიამოვნო გარეგნობის იყო, შეიძლება ქერა. მალე მან ჩემკენ იდაყვი მოსწია და ხელით ფრთხილად შემეხო მუხლზე. მისი ხელი ჰაერში დავიჭირე და აღარ გავუშვი. სიცილის სურვილმა ამიტანა, ბავშვური სიცილის. ჩაბნელებული დარბაზის საშინელი სივიწროვე, ფარული ხვევნა, სირცხვილი — განა ნიშნავდა

რამეს? ახალგაზრდა უცნობი კაცის თბილი ხელი შეჭირა, თუმცა არაფერი საქმე არ მქონდა მასთან. სიცილის სურვილმა ამიტანა. მან ხელი მოატრიალა და ნელა შემეხო მუხლით. ცნობისმოყვარეობით, შიშით, წინააღმდეგობის გაუწევლად ვადევნებდი თვალყურს მის მოქმედებას. ისევე რო[illegible] მეშინოდა. ჩემში თავმოყვარეობის, სირცხვილის გრძნობას არ [illegible] დავემსგავსებოდი ხანში შესულ ქალს, რომელიც სავარძლიდან დგება, რადგან ეს ყველაფერი მობეზრდა. ჩემი გული ოდნავ ტოკავდა. არ ვიცოდი, შეშფოთების ბრალი იყო ეს თუ ფილმის. კარგი ფილმი იყო. ურიგო ფილმებისათვის ცალკე დარბაზია საჭირო იმისათვის, ვისაც არა აქვს სხვა გასართობი. ახალგაზრდა კაცმა, ჩემი განწყობის გასაგებად, სახე ჩემკენ მოატრიალა და, რადგან ფილმი შვედური იყო, ნათელი კადრებით, იოლად გავარჩიე მისი საკმაოდ ლამაზი სახე. „საკმაოდ ლამაზია, მაგრამ არა ჩემი გემოვნების", — დავასკვენი. როდესაც მისი სახე ფრთხილად მიუახლოვდა ჩემსას, გავიფიქრე ჩვენ უკან მჯდომ ხალხზე, რომლებსაც ეგონებოდათ, რომ... ის კარგად მკოცნიდა და ამავე დროს მაჭერდა მუხლს, ხელს იწევდა. ჩემგან ხელის შეწყობას ელოდა. სულელურად და მალულად, რადგან აქამდე არ შევაჩერე. მე ავდექი და გავედი დარბაზიდან. იგი ვერაფერს მიხვდა.

ისევ ელისეის ბულვარზე აღმოვჩნდი, ტუჩებზე უცხო კაცის პირის გემოს ვგრძნობდი. შემდეგ სახლში შესვლა და ახალი რომანის წაკითხვა გადავწყვიტე.

სიხარულით დავეწაფე სარტრის უაღრესად საინტერესო წიგნს — „L'age de raison"[1] ახალგაზრდა ვიყავი; მომწონდა ერთი კაცი, მეორეს ვუყვარდი. პატარა ახალგაზრდული კონფლიქტები მქონდა გადასაწყვეტი. სიამაყეს ვგრძნობდი. იყო ცოლიანი კაცი, ქალი, მოკლედ, ერთი პატარა კვარტეტი, რომელიც პარიზის ერთ გაზაფხულზე შედგა. ვადგენდი მისაღებ, ჩემთვის სასურველ ცინიკურ ტოლობას. კიდევ მეტი, ძალიან კარგად, განსაკუთრებით კარგად ვგრძნობდი თავს. წარმოსახვაში ვხედავდი ყველა მომავალ სამწუხარო კონფლიქტს, მომავალ სიამოვნებას, წინასწარ დავცინოდი ჩემს თავს.

ვკითხულობდი, დაღამდა. წიგნი დავკეცე, თავი მკლავებზე ჩამოვაყრდენი, მერე ცას შევხედე, რომელიც ცისფერიდან თანდათან განაცრისფერდა. უცებ ჩემი სისუსტე და უმწეობა ვიგრძენი. ცხოვრება მიდიოდა. არაფერს ვაკეთებდი, მხოლოდ ჩემს თავს დავცინოდი, ვნატრობდი ვინმეს ჩემ გვერდით, რომელსაც გავუფრთხილდებოდი. გულში ჩავიკრავდი, მწვავე, თავდავიწყებული სიყვარულით.

ცინიკოსი არ ვიყავი, ამიტომ არ მშურდა ჩემდამი ბერტრანის სიყვარულის. მაგრამ ამ ქვეყანაზე ყველა ბედნიერი სიყვარულის მშურდა, ყველა თავდაკარგული შეხვედრის, ყველა სასიყვარულო მონობის. ავდექი და გავედი.

## თავი 5

ორი კვირის განმავლობაში ლუკს ბევრჯერ შევხვდი, მაგრამ ყოველთვის თავის ამხანაგებთან ერთად. ისინი მოგზაურები იყვნენ, რომლებმაც ბევრი საინტერესო ამბავი იცოდნენ, ლუკი სწრაფად, სასაცილოდ ლაპარაკობდა, თავაზიანად მექცეოდა. მას საქმიანი და უგულისყურო ადამიანის შესახედაობა

1. „ჟამი გონიერებისა"

ჰქონდა. ეს ყოველთვის ეჭვს ბადებდა ჩემში. არ მჯეროდა, რომ ჩემით გულწრფელად იყო დაინტერესებული. სახლის კარებამდე მაცილებდა, წასვლის წინ მანქანიდან ჩამოდიოდა, ნაზად მკოცნიდა ლოყაზე, აღარ მელაპარაკებოდა თავის სურვილებზე და მე დამშვიდებული და ოდნავ გულგატეხილი ვიყავი. ბოლოს მან შემატყობინა, რომ ორ დღეში ფრანსუაზი ჩამოდიოდა. გავიფიქრე, რომ ორმა კვირამ სიზმარივით გაიარა და ამდენი ფიქრი სულ ფუჭი იყო.

დილით ფრანსუაზის შესახვედრად სადგურზე ერთად წავედით. ბერტრანი ჩვენთან არ იყო. უკვე ათი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც არ დამლაპარაკებია. ვნანობდი, მაგრამ მარტოობაში უსაქმურ და უდარდელ ცხოვრებას ვარჩევდი. ვიცოდი, რომ ის განიცდიდა ჩემთან დაცილებას და ეს ხელს მიშლიდა სავსებით ბედნიერი ვყოფილიყავი.

ფრანსუაზი ძალიან მხიარული ჩამოვიდა, გვაკოცა, გვითხრა, ძალიან ცუდად გამოიყურებითო, მაგრამ ეს მალე გაივლისო. კმაყოფილმა შეგვატყობინა, რომ შაბათ-კვირას დაპატიჟებული ვიყავით ლუკის დასთან, რომელიც, ამავე დროს, ბერტრანის დედა იყო. მე ვთქვი, ვერ წამოვალ, რადგან, ჯერ ერთი, დაპატიჟებული არა ვარ და გარდა ამისა, ბერტრანთან ნაჩხუბარი ვარ-მეთქი. ლუკიმ დაუმატა, ჩემი და ყოველთვის მაღიზიანებსო. მაგრამ ფრანსუაზმა ყველაფერი მოაგვარა, მითხრა, ბერტრანმა თვითონ სთხოვა დედამისს შენი დაპატიჟებაო, ალბათ იმიტომ, რომ მოესპო ეს უეცარი უთანხმოება, ხოლო ლუკისთვის დროდადრო საჭირო იყო თავისი ახლობლების გახსენება.

ის სიცილით მელაპარაკებოდა და მეც ვუღიმოდი, დაბნეული მისი ალერსიანობით. გასუქებულიყო. უფრო დიდი ჩანდა, მაგრამ ისეთი თბილი, ისეთი სათნო იყო, რომ მე აღტაცებული დავრჩი, ჩემსა და ლუკს შორის რომ არაფერი არ მოხდა. შეგვეძლო, როგორც წინათ, ბედნიერები ვყოფილიყავით სამივენი ერთად. მე დავუბრუნდებოდი ბერტრანს, რომელიც ბოლოს და ბოლოს სულაც არ იყო მომაბეზრებელი და ასეთი განათლებული და აღზრდილი იყო. ჩვენ ჭკვიანურად ვიქცეოდით, მე და ლუკი. თუმცა, როცა მანქანაში ლუკსა და ფრანსუაზს შორის ჩავჯექი და ლუკს, როგორც ჩემგან უარყოფილ პიროვნებას შევხედე, ძალიან უსიამოვნო გრძნობამ შემიპყრო.

ერთ მშვენიერ საღამოს პარიზი დავტოვეთ და ბერტრანის დედასთან გავემგზავრეთ. მე ვიცოდი, რომ მეუღლემ მას ქალაქგარეთ დიდი, ლამაზი სახლი დაუტოვა. შაბათ-კვირას იქ წასვლა ჩემში მხოლოდ სნობისტური კმაყოფილების გრძნობას იწვევდა, რომლის დაკმაყოფილებისათვის აქამდე შემთხვევა არ მქონია. ბერტრანი მეუბნებოდა, დედაჩემი ძალიან გულთბილი და თავაზიანი ქალია. ლაპარაკის დროს ბერტრანს დამოუკიდებელი იერი ჰქონდა, როგორც ეს ახალგაზრდა ბიჭებს სჩვევიათ იმის აღსანიშნავად, რომ მათი ცხოვრება ახლა სხვაგვარია. გრილი ტილოს შარვალი ვიყიდე, ისეთი, კატერინას რომ ჰქონდა. მაგრამ ჩემთვის ძალიან განიერი იყო. ამ ნავაჭრმა ჩემი ბიუჯეტი შეარყია, მაგრამ ვიცოდი, თუ საჭირო გახდებოდა, ლუკი და ფრანსუაზი დამეხმარებოდნენ; მაკვირვებდა ჩემი ასეთი თავისუფალი დამოკიდებულება, მაგრამ, როგორც ყველა, ვინც საკუთარ სინდისს კარგად ეგუება, ამ თავისუფლებას უფრო მათ დიდსულოვნებას მივაწერდი, ვიდრე ჩემს არადელიკატურობას. ყოველთვის უფრო ადვილია სხვას მიაწერო რაიმე თვისებები, ვიდრე საკუთარ თავში აღმოაჩინო უარყოფითი მხარეები.

ლუკმა და ფრანსუაზმა სენტ-მიშელის ქუჩაზე მდებარე კაფეში მოგვაკით-

ხეს. ლუკი დაღლილი ჩანდა და ცოტათი მოწყენილიც. მანქანა ძალიან სწრაფად, თითქმის სახიფათოდ მიჰყავდა. ბერტრანმა შიშისაგან სიცილი დაიწყო, მეც ავყევი. ფრანსუაზი მოტრიალდა, როცა ჩვენი სიცილი გაიგონა. იმ ადამიანის დაბნეული და თავაზიანი გამოხედვა ჰქონდა, რომელიც არავის არაფერში გაუწევს წინააღმდეგობას, თუნდაც ეს მისი სიცოცხლისთვის იყოს საშიში.

„რატომ იცინით?“

„ახალგაზრდები არიან, — თქვა ლუკმა. — ოცი წელი — ეს გიჟური სიცილის დროა“.

არ ვიცი, რატომ, მისი ნათქვამი არ მომეწონა. არ მიყვარდა, როცა ლუკი მე და ბერტრანს ისე გვექცეოდა, როგორც წყვილს, თანაც ბავშვურ წყვილს.

„ეს გიჟური, ნერვული სიცილია, — ვთქვი, — ძალიან სწრაფად დაგყავთ მანქანა და გვეშინია“.

„შენ ჩემთან მოდი, ტარებას გასწავლი“, — თქვა ლუკმა.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ხალხში შინაობით დამელაპარაკა. ამაში კი შეცდა-მეთქი, გავიფიქრე. წუთით ფრანსუაზმა ლუკს შეხედა. მერე სისულელედ მომეჩვენა აზრი ლუკის შეცდომის შესახებ. მე არ ვთვლიდი, რომ არსებობდა მამხილებელი შეცდომები, მზერის დაჭერა, ელვისებური წინათგრძნობა. რომანებში ყოველთვის მაკვირვებდა წინადადება „და უცბად მიხვდა, რომ ის ატყუებდა“.

სახლს ვუახლოვდებოდით, ლუკმა უცბად პატარა ბილიკზე გადაუხვია და მე ბერტრანს დავეყრდენი. მან ძლიერად და ნაზად მიმიზიდა და მე შემრცხვა: ლუკთან ასეთი ქცევა უხერხული და არადელიკატური იყო.

„თქვენ პატარა ჩიტს ჰგავხართ“, — მითხრა ფრანსუაზმა.

იგი მოტრიალდა და შემომხედა. მას მართლა ძალიან კარგი, ძალიან სათნო გამოხედვა ჰქონდა. მის გამომეტყველებაში ვერ ნახავდით უფროსი ასაკის ქალის უპირატესობას ახალგაზრდული წყვილის მიმართ. მან, უბრალოდ, თქვა, რომ კარგად გამოვიყურებოდი ბერტრანის მკლავებში. გულის ამაჩუყებლად გამოვიყურებოდი. მე მომწონდა, რომ ამაღელვებელი ვიყავი, ეს მანთავისუფლებდა ათასგვარი ფიქრებისაგან, პასუხისაგან.

„ბებერი ჩიტი, — ვთქვი. — თავს მოხუცებულად ვგრძნობ“.

„მეც, — თქვა ფრანსუაზმა. — მაგრამ ამას უკეთესი ახსნა აქვს“.

ლუკმა მისკენ მიატრიალა თავი, ოდნავი ღიმილით, უცბად გავიფიქრე: „მათ მოსწონთ ერთმანეთი, ისინი ჯერ კიდევ ალბათ ერთად წვებიან. ლუკს მის გვერდით სძინავს, ეხვევა, უყვარს, ფიქრობს კი ლუკი, რომ ბერტრანი ფლობს ჩემს სხეულს? ნეტავ თუ წარმოიდგენს ხოლმე ამას? გრძნობს კია, როგორც მე მის მიმართ, გაურკვეველ ეჭვიანობას?“

„ესეც ჩვენი სახლი, — თქვა ბერტრანმა. — ვილასის მანქანა დგას, ვაითუ დედაჩემმა თავისი მუდმივი სტუმრები დაპატიჟა“.

„მაშინ ჩვენ წავალთ, — თქვა ლუკმა, — ვერ ვიტან ჩემი დის სტუმრებს. აქედან რამდენიმე ნაბიჯზე კარგი სასტუმრო ვიცი“.

„დაიცა, — თქვა ფრანსუაზმა, — ნუ შევქმნით უსიამო განწყობას, ეს მშვენიერი სახლია, დომინიკი კი აქ არასოდეს ყოფილა. მოდი, დომინიკ“.

მან ხელი მომკიდა და ლამის სახლისკენ წამიყვანა, რომელიც პატარა მინდვრით იყო გარშემორტყმული. მე გავყევი, თან ვფიქრობდი, რომ ალბათ საშინლად მოვიქცეოდი, თუ ამ ქალს მოვატყუებდი, რომ მე ის ძალიან მიყვარს,

ყველაფერს გავაკეთებდი, ოღონდ გულნატკენი არ დარჩენილიყო. ცხადია, ის ამას ვერ გაიგებდა.

„ოო, მოხვედით?“ გაისმა მჭახე ხმა.

ბერტრანის დედა მოაჯირს მოადგა. მე იგი არასოდეს მენახა. ინტერესით შემავლო თვალი, ისე უყურებენ ახალგაზრდა ბიჭების დედები იმ ახალგაზრდა გოგოებს, რომლებსაც პირველად ხედავენ. ქერა ქალი იყო, ცოტა არ იყოს მყვირალა. მალე ის ხმაურით აფუსფუსდა ჩვენ ირგვლივ. უცებ ძალიან შევწუხდი. ლუკი მას, როგორც უბედურებას, ისე უყურებდა. ბერტრანი ცოტათი დარცხვენილი იყო, რაც მაიძულებდა ზრდილობიანი ვყოფილიყავი. ბოლოს ჩემს ოთახში აღმოვჩნდი და თავისუფლად ამოვისუნთქე. საწოლი ძალზე მაღალი იყო, ხამი ტილოს ზეწრებით. ფანჯარა გავაღე. ის მწვანე და აშრიალებულ ხეებს გადაჰყურებდა. ოთახში სველი მიწისა და ბალახის დამათრობელი სუნი იდგა.

„მოგწონს?“ მკითხა ბერტრანმა.

მას დაბნეული კმაყოფილი სახე ჰქონდა. გავიფიქრე, რომ დედამისის სახლში ჩვენი ერთად სტუმრობა მისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი და რთული რამ იყო. გავუცინე.

„რა ლამაზი სახლი გაქვს. დედაშენს არ ვიცნობ, მაგრამ, ჩანს, ძალიან თავაზიანია“.

„შენ ის არ შეგაწუხებს, სხვათა შორის, მე გვერდით ვარ“.

მან ალერსიანად გამიცინა და მეც ღიმილით ვუპასუხე. ძალიან მიყვარდა უცნობი სახლები, დიდი ფანჯრებით, თეთრი და შავი ფილებით მოპირკეთებული სააბაზანოთი, ახალგაზრდა მბრძანებელი კაცებით.

ბერტრანმა თავისკენ მიმიზიდა, ტუჩებში ნაზად მაკოცა. მის სუნთქვას, მის კოცნას კარგად ვიცნობდი. ახალგაზრდა კაცზე, კინოში რომ შევხვდი, არაფერი მითქვამს. ვერ გაიგებდა. ახლა მეც არ მსიამოვნებდა ის ამბავი და ვერაფერი გამეგო ჩემი საქციელის. მხოლოდ არასასიამოვნო, სირცხვილის გრძნობა დამრჩა. მაშინ თავისუფალი ვიყავი და სასაცილო. ახლა შევიცვალე.

„წამოდი, ვისადილოთ“, ვუთხარი ბერტრანს, რომელიც თვალებგაფართოებული ხელახლა იხრებოდა ჩემს საკოცნელად. მომწონდა, რომ მისთვის საწყურველი ვიყავი. სამაგიეროდ, ჩემი თავი არ მომწონდა. ასეთი ცივი და მიუკარებელი პატარა გოგო გასართობია მხოლოდ მოხუცი კაცებისათვის.

„მაქვს შავი გული და თოვლივით თეთრი კბილები“.

სადილმა მოგვქანცა. უმთავრესად ბერტრანის დედის მეგობრები აქტიურობდნენ. ეს გახლდათ მოლაპარაკე და მოძრავი ცოლ-ქმარი. სადილის ბოლოს ქმარმა, რომელსაც რიშარი ერქვა და რომელიღაც ადმინისტრაციული სამინისტროს პრეზიდენტი იყო, თავი ვერ შეიკავა ჩვეული საუბარი არ წამოეწყო:

„გოგონი, თქვენც ერთ-ერთი იმ საწყალი ეგზისტენციალისტთაგანი ხართ? მართალი რომ ვთქვა, ძვირფასო მარტა, — მიუბრუნდა ბერტრანის დედას, — ვერაფერი გამიგია ამ გულგატეხილი ახალგაზრდებისა. მათ ასაკში, ეშმაკმა დალახვროს, ყოველთვის უნდა გიყვარდეს სიცოცხლე, ჩემს დროს არცთუ ხშირად ვერთობოდით, მაგრამ მხიარულები ვიყავით, მერწმუნეთ“.

მისი ცოლი და ბერტრანის დედა შეთანხმებულად იცინოდნენ; ლუკი ამთქნარებდა, ბერტრანი კი ემზადებოდა საკამათოდ, თუმცა მას ყურს არავინ უგდებდა. ფრანსუაზი, ადამიანების მიმართ თავისი ჩვეულებრივი კეთილი განწ-



საქართველოს
ეროვნული

ყობით. ვცდილობდი გამეგო, რატომ იყო ასეთი ტიპის ხალხი ძალიან მოსაწყენი. მე კი უკვე მეათეჯერ ვუსმენდი ამ შეზარხოშებულ და აწითლებულ კაცებს, რა ჯანსაღი და კმაყოფილი გაწყობით ლეჭავდნენ სიტყვა „ეგზისტენციალიზმს“ ისე, რომ არც კი ესმოდათ მისი მნიშვნელობა. არაფერს ვპასუხობდი.

„ჩემო რიშარ, — თქვა ლუკმა, — ჩემი აზრით, არაფერი[illegible]ლო იმაში, რომ მხოლოდ თქვენს ასაკში, უფრო სწორად, ჩვენს ასაკ[illegible]ლობენ. ამ ახალგაზრდებს სიყვარული აქვთ. ეს კარგია. უნდა გქონდეს სამსახური, გყავდეს პირადი მდივანი, რომ შეძლო იყო მხიარული...“

ლუკს ილარავინ შეკამათებია. სადილი შედარებით უხმაუროდ დასრულდა. ჩემსა და ლუკს გარდა ყველანი ლაპარაკობდნენ; ერთადერთი ლუკი იყო ჩემსავით მოწყენილი. იყო თუ არა ასეთი შეურიგებლობა მოწყენილობასთან ჩვენი პირველი ურთიერთშეთანხმება?

თბილი დარი იდგა და სადილის შემდეგ ტერასაზე გავედით. ბერტრანი ვისკის მოსატანად წავიდა. ლუკმა დაბალი ხმით მირჩია, ბევრი არ დამელია.

„რა, ცუდად მიჭირავს თავი?“ ვკითხე ნაწყენმა.

„მე შემშურდება, — თქვა მან. — მინდა მხოლოდ ჩემთან თვრებოდე და ჩემთან ლაპარაკობდე სისულელეებს“.

„დანარჩენ დროს რაღას გავაკეთებ?“

„იქნები მოწყენილი, როგორც სადილის დროს“.

„თქვენ კი, — ვთქვი, — გგონიათ, რომ ძალიან მხიარულად გამოიყურებოდით? მე მგონია, არც თქვენ უნდა ეკუთვნოდეთ სანაქებო თაობას, ნათქვამის მიუხედავად“.

მან გაიცინა.

„წამოდი ჩემთან, ბაღში გავიაროთ“.

„ამ სიბნელეში? მერე ბერტრანი? სხვები?“

გაოცებული ვიყავი.

„მათ საკმარისად მოგვაწყინეს თავი. წამოდი“.

ხელი მომკიდა და სხვებისკენ მიბრუნდა. ბერტრანი ჯერ არ ჩანდა. ბუნდოვნად წარმოვიდგინე, როგორ წამოვიდოდა ჩემს საძებრად, გვიპოვიდა ხის ძირას და ალბათ მოკლავდა ლუკს, ასეა „პელეასა და მელისანდაში“.

„ეს ქალიშვილი სენტიმენტალურ მოგზაურობაში მიმყავს“, მიმართა ლუკმა შეკრებილთ.

მე არ შემობრუნებულვარ, მაგრამ ფრანსუაზის სიცილი გავიგონე. ლუკმა ბილიკისკენ გამიტაცა, რომელიც დასაწყისში თეთრად მოჩანდა, შემდეგ კი სიბნელეში ინთქმებოდა. უცბად ძალიან შემეშინდა. ვინატრე, რომ მშობლებთან, იონში ვყოფილიყავი.

„მეშინია“, ვუთხარი ლუკს.

მას არ გაუცინია, მხოლოდ ხელი მომკიდა. მინდოდა ყოველთვის ასეთი ყოფილიყო: ჩუმი, ცოტათი სერიოზული, მფარველი და თბილი. რა იქნება არასოდეს მიმატოვოს, მითხრას, რომ ვუყვარვარ, რომ მომეფეროს, რომ მომხვიოს ხელები. ის გაჩერდა, მომხვია ხელები. თვალებდახუჭული მისი პიჯაკის პირდაპირ მოვექეცი. მივხვდი, მთელი აქამდე განვლილი დრო იყო მხოლოდ ცდა, რომ ამ წუთებს გავქცეოდი, იყო მისი ხელები, რომლებმაც ამაწევინა სახე, მისი პირი, თბილი, ალერსიანი და ასეთი შესაფერისი ჩემი პირისათვის. მან სახე გამიკავა და, სანამ ერთმანეთს ვკოცნიდით, მაგრად მიჭერდა თითებს, ხე-

ლები კისერზე შემოვხვიე. მეშინოდა ჩემი თავის, ყველაფრის, რაც მაშინ არ მომხდარა.

მე ძალიან, უსაზღვროდ შემიყვარდა მისი პირი. ის არც ერთ სიტყვას არ ამბობდა. უხმოდ მკოცნიდა, ხანდახან თავს მაღლა სწევდა, რომ ესუნთქა. მაშინ ჩემ ზემოდან სიბნელეში მის სახეს ვხედავდი, ჩაფიქრებულს და დაძაბულს, რომელიც ხანდახან ნიღაბს წააგავდა. შემდეგ ისევე, ძალზე ნელა ბრუნდებოდა. მის სახეს ველარ ვარჩევდი, თვალები დავხუჭე, გამოუცნობმა სიმხურვალემ დაიპყრო ჩემი თვალები, საფეთქლები, ყელი. ჩემს არსებაში რაღაც ისეთი ხდებოდა, რასაც ვერ ვხვდებოდი და რაც ჩემთვის უცნობი იყო. ეს არ იყო სწრაფი, მოუთმენელი სურვილი, ეს ბედნიერება იყო, ნელი და ამაღელვებელი.

ბოლოს ლუკი მომცილდა. ცოტათი ვბარბაცებდი. მან ხელი მომკიდა და უსიტყვოდ შემოვუარეთ ბაღს. ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ გათენებამდე შემეძლო მისი კოცნა. ისე, რომ სხვა არაფერი ჩაგვედინა. ბერტრანმა ძალიან სწრაფად დაანება თავი კოცნას. სხეულის დაუფლების სურვილი, მისი აზრით, კოცნას ზედმეტად ხდიდა, ის მხოლოდ ერთი ეტაპი იყო სიამოვნების მოსაწყვეტად დი არა რაღაც დამათრობელი და აუცილებელი, როგორც ეს ლუკმა მაგრძნობინა.

„შესანიშნავი ბაღი გაქვს, — უთხრა ლუკმა დას, — მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე გვიანია".

„არაფერი არასდროს არ არის გვიან", თქვა ბერტრანმა ცივად. ის მიყურებდა. მე მზერა მოვარიდე. ერთადერთი სურვილი მქონდა ჩემს ოთახში მარტო, სიბნელეში დავრჩენილიყავი. იმისათვის, რომ შემძლებოდა გამეხსენებინა და გამერკვია პარკში გატარებული ეს რამდენიმე წუთი.

მთელი ამ საღამოს განმავლობაში ამ წუთებს ცოტათი გადავწვევ. მე აქ არ ვიქნები. შემდეგ ჩემი მოგონებებით სავსე ავალ ოთახში, პირქვე დავემხობი, გავიხსენებ, ისევ თავიდან დავუბრუნდები განვლილ წუთებს, იმისათვის, რომ გაქარდეს ან გახდეს ერთადერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის. იმ საღამოს კარი ჩავკეტე, მაგრამ ბერტრანი არ მოსულა.

## თავი 6

ნელა თენდებოდა. გამოღვიძება ძალიან სასიამოვნო იყო, ძალიან ტკბილი და მშვიდი, ასე მხოლოდ ბავშვები ილვიძებენ. ეს არ იყო გრძელი, იძულებითი და განმარტოებული დღე, ლექციებით გადატვირთული. ეს სხვა იყო. ეს სხვა იყო, როდესაც მე უნდა მეთამაშა ჩემი როლი და პასუხიც მევგო ამაზე. ამ პასუხისმგებლობამ და მოქმედების აუცილებლობამ უცბად დაიპყრო მთელი ჩემი არსება. შეშფოთებული ბალიშში ჩავეფალი და ფიზიკური ტკივილი ვიგრძენი. მერე გუშინდელი საღამო ჯამახსენდა, ლუკის კოცნა და რაღაც დაიმსხვრა ჩემს არსებაში. თბილმა, გულის დამწეწქმა გრძნობამ ამიტანა.

საბაზანოში შესანიშნავი იყო. წყალში სიმღერაც დავიწყე მხიარულად, ჯაზურ სტილში: „და ახლა დრო დადგა, რომ გადაწყვიტო რაღაცა".

ვიღაცამ ძლიერად დააბრახუნა კედელზე.

„დააძინებთ თუ არა პატიოსან ხალხს".

ეს მხიარული ხმა იყო, ლუკის ხმა. მე რომ ათი წლით ადრე, ფრანსუაზზე ადრე დავბადებულიყავი, ჩვენ ალბათ შევძლებდით ერთად ცხოვრებას. ის

დილაობით სიცილით დამიშლიდა სიმღერას, ერთადაც დავიძინებდით, ვიქნებოდით ღიღხანს ბედნიერები ნაცვლად იმისა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილიყავით. ეს გამოუვალი მდგომარეობა იყო. ამიტომაც ალბათ აღარ ვუღრმავდებოდით ამ ამბავს, რადგან სხვა გზა ვერ გვებოდა, გარდა გულგრილი საქციელისა. საჭირო იყო ყოველივე ამისგან თავის დაღწევა, გაქცევა. სააბაზანოდან გამოვედი. მოვნახე ხავერდის პენუარი, რომელსაც სოფლის ძველი კარადის სურნელება ასდიოდა, და გამოვეწყე. გავიფიქრე, რომ მთავარია მშვიდად და მხნედ ვიყო, რომ ყველაფრის წინასწარ გულმოდგინედ ჩხრეკა სულაც არ არის საჭირო, მოვლენები თვითონ, თავისით წარიმართებიან. ჩემთვის ვღიღინებდი და არა მჯეროდა ჩემივე სიტყვების. სარკესთან ტილოს შარვალი მოვიზომე. ჩემი თავი არ მომეწონა, ჩემი წაწვეტებული სახე, უშნო ვარცხნილობა და თავაზიანი იერი. მერჩივნა მქონოდა სწორი სახე, მსხვილი ნაწნავები, მიბნედილი თვალები, გოროზი და თან ენებიანი იერი, კაცებს რომ დატანჯავდა. თავის უკან გადახრისას გამომწვევი გამომეტყველება გამიხდებოდა, ხოდა, რომელი ქალი არ არის სასურველი ასეთ მდგომარეობაში. ამავე დროს, შარვალში ერთობ სასაცილოდ გამოვიყურებოდი. ძალიან ვიწრო იყო. ინტიმური შესახედაობა მქონდა, ასე ქვემოთ ჩასვლას ვერასოდეს ვერ გავბედავდი. ეს სასოწარკვეთილება უცხო არ იყო ჩემთვის. იმდენად არ მომწონდა ჩემი შესახედაობა, რომ ახლა მთელი დღე გუნება მოშხამული მქონდა, მაგრამ ფრანსუაზი შემოვიდა და ყველაფერი მოაგვარა.

„ჩემო პატარა დომინიკ, რა მშვენიერი ხართ დღეს, კიდევ უფრო ახალგაზრდა და ცოცხალი შესახედაობისა, ჩემი ცოცხალი სინდისის ქენჯნა ხართ". ის ჩემს საწოლზე დაჯდა და სარკეში ჩაიხედა.

„რატომ სინდისის ქენჯნა?"

მან არ შემომხედა, ისე მიპასუხა:

„ძალიან მიყვარს ნამცხვარი და უზომოდ ვჭამ. და კიდევ ეს ნაოჭები ჩემს სახეზე".

მართლაც თვალებთან შესამჩნევი ნაოჭები ჰქონდა. მე ნაზად შევეხე მათ თითებით.

„პირიქით, მე მომწონს, — ვთქვი, — უნდა მოიარო მთელი ქვეყანა, ათენი ურიცხვი ღამე იმისათვის, რომ ეს პატარა ხაზები გაგიჩნდეს. ამით ძალიან იქვემთ. ლაბოლოს, არ ვიცი, რატომ და მე ეს ლამაზად, გრძნობიერად მიმაჩნია. ვერ ვიტან გადატკეცილ სახეებს".

მან გაიცინა.

„ჩემს დასაწყნარებლად თქვენ სილამაზის ინსტიტუტს გააკრიტიკებდით. ძალიან თავაზიანი ხართ, დომინიკ, ძალიან თავაზიანი".

შემრცხვა.

„ო, არც ისეთი კარგი".

„გაწყენინეთ? ახალგაზრდები ერიდებიან, არ უყვართ, როცა მათ თავაზიანად თვლიან. მაგრამ თქვენ არასოდეს არაფერს უსიამოვნოს და არასწორს არ ამბობთ და ადამიანები გიყვართ. მე ძალიან კარგი მგონიხართ".

„სულაც არაა ვარ კარგი".

უკვე დიდი ხანი იყო, რაც საკუთარ თავზე აღარ მილაპარაკია. ამით ჩვიდმეტ წლამდე ვიყავი გატაცებული. ბოლოს მომბეზრდა. მაგრამ ახლა არ შემეძლო ჩემს პიროვნებას არ ჩავღრმავებოდი, ახლა, როცა ლუკს ვუყვარდი, ლუკს ვაინტერესებდი. არადა, ეს უკანასკნელი აზრი სულელური იყო.

„ცოტას ვაჭარბებ", — ვთქვი ხმამაღლა.

„მეტისმეტად უგულისყურო ხართ", — თქვა ფრანსუაზმა.

„იმიტომ, რომ აღარ მიყვარს." — ვუთხარი.

მან შემომხედა. რა ცდუნებამ შემიპყრო? მინდოდა მეთქვა: „ფრანსუაზ, მე შევძლებ ლუკის სიყვარულს. მაგრამ თქვენც ძალიან მიყვარხართ. წაიყვანეთ ის."

„ბერტრანთან ყველაფერი მორჩა?"

მხრები ავიჩეჩე.

„მას ველარ ვამჩნევ, ველარ ვხედავ".

„ეს ალბათ უნდა უთხრათ ბერტრანს".

არ ვუპასუხე. რა უნდა მეთქვა ბერტრანისათვის? რომ აღარ მინდოდა მისი ნახვა? მაგრამ არა, მე მინდოდა მისი ნახვა. მე ის მიყვარდა.

ფრანსუაზმა გაიცინა.

„გასაგებია, ძნელია. წამოდით ვისაუზმოთ. კუმარტენის ქუჩაზე კარგი სვიტერი ვნახე, ძალიან მოუხდება თქვენს შარვალს. ერთად ვნახოთ".

კიბეზე ჩასვლისას მხიარულად ვლაპარაკობდით ჩაცმულობაზე. თუმცა ეს საკითხი დიდად არ მაღელვებდა, მაინც ამაზე ლაპარაკი მერჩივნა, ვიდრე სხვა რამეზე. უმჯობესი იყო რაღაც ამეხსნა, რაღაცაში შევმცდარიყავი, რაც მას გამოაცოცხლებდა. გვეცინა ერთად. ქვემოთ ბერტრანი და ლუკი საუზმობდნენ, ბანაობაზე ლაპარაკობდნენ.

„გინდათ აუზზე წავიდეთ", თქვა ბერტრანმა.

ის ალბათ ფიქრობდა, რომ ამომავალი მზის სინათლეზე ლუკს აჯობებდა. ანდა იქნებ სულაც არ ჰქონდა ასეთი ზრახვები?

„მშვენიერი აზრია. თან დომინიკს მანქანის მართვას ვასწავლი".

„მხოლოდ არ იგიჟოთ," — თქვა ბერტრანის დედამ. მას ბრწყინვალე საშინაო კაბა ეცვა

„კარგად გეძინათ? შენც, ჩემო პატარავ?"

ბერტრანს შერცხვა. მედიდური გამომეტყველება მიიღო, რაც ნაკლებად უხდებოდა. მე ის მხიარული მიყვარდა. ყოველთვის, როდესაც ვინმეს ლოლატობენ, უნდათ ის მხიარული იყოს. ასეთ დროს თითქოს ნაკლებად წუხხარ.

ლუკი ადგა. აშკარად ვერ ეგუებოდა თავისი დის საზოგადოებას. მეცინებოდა. მეც ხშირად ვგრძნობდი ასეთივე არაკეთილგანწყობას, მაგრამ იძულებული ვიყავი თავი შემეკავებინა. იყო რაღაც ბავშვური ლუკში.

„საბანაო კოსტუმს ავიღებ". — თქვა ლუკმა.

ყველა ჩვენ-ჩვენი საქმეების მოგვარებას შევუდექით. და აი, ყველანი მზად ვიყავით. ბერტრანი და დედამისი ცალკე მანქანით წამოვიდნენ. ჩვენ სამნი დავრჩით.

„საჭესთან დაჯექი", — მითხრა ლუკმა.

მე მანამდეც მქონდა რაღაც ბუნდოვანი წარმოდგენა მანქანის მართვაზე, რომელიც ახლა გამომადგა. ლუკი ჩემს გვერდით იჯდა, უკან ფრანსუაზი. საშიშროებას რომ ვერ გრძნობდა და არხეინად ლაპარაკობდა. ისევ მძაფრმა ნოსტალგიამ ამიტანა. ხომ შესაძლებელი იყო ლუკთან ერთად ხანგრძლივად მემოგზაურა მანქანის ლამპიონებით განათებულ თეთრ გზაზე, ღამეები ერთად გვეტარებინა, მე — დაყრდნობილი მის მხარზე, ლუკი — ჩემ გვერდით, დინჯი და სწრაფი. განთიადი სადმე ქალაქგარეთ. შებინდება ზღვაზე...

„იცით, ზღვა არასოდეს მინახავს". — აღმომხდა უცბად.

„მე გაჩვენებ". — თქვა ლუკმა ტბილად და მობრუნებისას [illegible]. ეს თითქოს დაპირება იყო. ფრანსუაზს არ გაუგია. მან განაგრძო: „ამის შემდეგ, როცა გავემგზავრებით, ლუკ, დომინიკიც წავიყვანოთ. ის [illegible] წყალია, რა წყალი". როგორც არავინ.

ბიბლიოთეკა

„მე ჯერ ალბათ ბანაობას დავიწყებ, — ვთქვი, — მერე ვილაპარაკებ".

„იცით, ზღვა მართლა შესანიშნავია, — თქვა ფრანსუაზმა, — სანაპირო ყვითელია, წითელი კლდეებით და ცისფერი, ცისფერი წყალი, ზემოდან რომ გევლება".

„პირდაპირ საოცრად აღწერ, — თქვა ლუკმა სიცილით. — ყვითელი, ლურჯი, წითელი. — როგორც მოწაფე. დამწყები მოწაფე, — დაამატა დამთმობი კილოთი და ჩვენკენ მოტრიალდა. — ძველი მოწაფეები ძალიან განსწავლულები არიან. მარცხნივ მოაბრუნეთ, დომინიკ, თუ შეძლებთ".

მე შევძელი. პატარა მინდორზე აღმოვჩნდით. მინდვრის შუა გამჭვირვალე ცისფერი წყლით სავსე აუზი იყო. მის დანახვაზე წინასწარ შემაცია. მალე საბანაო ტანსაცმელში გამოწყობილნი აუზთან ვიდექით. ლუკს შევხედე, როცა ის კაბინიდან გამოდიოდა. უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა. მიზეზი ვკითხე და მორცხვი ღიმილით მიპასუხა:

„არ მომწონს ჩემი თავი".

მართლაც, ბევრი ვერაფერი შვილი ჩანდა: დიდი იყო და გამხდარი, ცოტა მოხრილი და ოდნავ მზედაკრული. მაგრამ ისეთი საწყალი გამომეტყველება ჰქონდა, ისე უხერხულად ეჭირა პირსახოცი, ისეთი ბავშვური იყო, რომ მოელბი.

„არა, რატომ, — ვთქვი, — არც ისე უშნო ხართ".

მან აღმაცერად შემომხედა, თითქმის შემცბარმა და სიცილი დაიწყო.

„თანდათან კარგავ ჩემდამი პატივისცემას, არა?"

იგი გაიქცა და წყალში ჩახტა, მაგრამ მალე ამოყვინთა სასოწარკვეთილი ყვირილით. ფრანსუაზი მოვიდა და აუზის ნაპირას ჩამოჯდა. საბანაო კოსტიუმში უკეთესი იყო, ვიდრე ჩაცმული. ლუვრის ქანდაკებას ჰგავდა.

„საშინლად ცივი წყალია, — ამბობდა ლუკი, რომელსაც წყლიდან მარტო თავი უჩანდა. — გიჟი უნდა იყო, რომ მაისში ბანაობა გაბედო".

„აბა ,აპრილში ბანაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაისში კიდევ რა უჭირს, თუ ძალიან გიყვარს ცურვა". — შეგონებით განაცხადა ბერტრანის დედამ. როგორც კი ფეხის წვერით წყალი მოსინჯა, მაშინვე უკან შემობრუნდა ჩასაცმელად. ვუყურებდი აუზის ირგვლივ თავმოყრილ მხიარულ, მოლაპარაკე, აღგზნებულ ჯგუფებს და გავხალისდი, თან ვფიქრობდი: „რას ვაკეთებ მაინც აქ"!

„ბანაობ?" — მკითხა ბერტრანმა.

ის ჩემ წინ ცალ ფეხზე იდგა, შევხედე და მომეწონა. ვიცოდი, რომ ის კანტელებით ყოველდღე ვარჯიშობდა. ერთხელ week-end-ი ერთად გავატარეთ, მე მხოლოდ ვთვლემდი, მან კი იფიქრა, რომ ღრმად მეძინა და გათენებისას ფანჯრის წინ ვარჯიში დაიწყო; ალბათ ეგონა, რომ საქმეს მარჯვედ აკეთებდა, მე კი ჩუმად, ცრემლებამდე ვიცინოდი. მას ჯანმრთელი და სასიამოვნო შესახედაობა ჰქონდა.

„მშვენიერი შესაძლებლობა გვეძლევა, რომ გავშავდეთ. შეხედე სხვებს".

„წყალში შევიდეთ", — ვუთხარი. შემეშინდა, დედამისზე არ დაეწყო ჩივილი, ასე რომ ანერვიულებდა.

უსიამოვნო გრძნობით შევედი წყალში, აუზის irგვლივ გავცურე და აკანკალებულმა ისევ ნაპირს მივაშურე. ფრანსუაზმა პირსახოცით მაგრად დამზილა, მიკვირდა, რატომ არ ჰყავდა ამ ქალს შვილები. ის ხომ დედად იყო დაბადებული თავისი ფართო თეძოებით, დამათრობელი სხეულით, სითბოთი. გული დამწყდა.

## თავი 7

ამ week-end-დან ორი დღის შემდეგ, ექვს საათზე ლუკს უნდა შევხვედროდი. ასე მეგონა, რომ ჩვენ შორის რაღაც გამოუსწორებელი მოხდა, რომელიც სხვა ახალი შეცდომების ჩადენის ყოველგვარ შესაძლებლობას მოგვისპობდა. იმ შემთხვევის შემდეგ ისე, თითქოს მე-17 საუკუნის ახალგაზრდა ქალი ვყოფილიყავი, ვემზადებოდი, რათა პასუხი მომეთხოვა კოცნისთვის. ბარში უნდა შევხვედროდი, ვოლტერის ქუჩაზე. ჩემდა გასაკვირად, ლუკი უკვე იქ იყო. დაღლილი სახე ჰქონდა და საკმაოდ ცუდად გამოიყურებოდა. გვერდით დავუჯექი. მან ორი ვისკი მოითხოვა, შემდეგ ბერტრანზე შემეკითხა.

„კარგად არის“, — ვუპასუხე.

„განიცდის?“

წყნარად მეკითხებოდა, დაცინვის გარეშე.

„რატომ უნდა განიცდიდეს“, — ვკითხე დაუფიქრებლად.

„ის სულელი არ არის“.

„მე არ მესმის, რატომ მელაპარაკებით ბერტრანზე, ეს...“,

„ეს მეორეხარისხოვანია?“

მის ხმას ამჯერად ირონია შეეპარა.

მოთმინებას ვკარგავდი.

„იქნებ ასე არ არის, მაგრამ არც ისე მნიშვნელოვანია. თუ მნიშვნელოვან საკითხზე საუბარი გსურთ, ფრანსუაზზე ვილაპარაკოთ“,

ლუკს გაეცინა.

„ეს სასაცილოა. ასეთ ამბებში... თქვენ სხვის პარტნიორობას მეტ ყურადღებას უთმობთ, ვიდრე საკუთარს. ვერ არის კარგი ამის თქმა, მაგრამ, როდესაც ვინმეს იცნობ, იცი, როგორ განიცდის იგი, ეს ყოველივე დასაშვებად მიგაჩნია. ყოველ შემთხვევაში, თუ დასაშვებად არა, ნაკლებ საშინლებად მაინც, რადგან მზად ხარ ამისათვის“.

„მე არ ვიცი, როგორ განიცდის ბერტრანი“.

„შენ ამისთვის დრო არ გქონია. მე უკვე ათი წელია, ცოლი მყავს, ხოდა, მინახავს, როგორ განიცდის ფრანსუაზი. ეს ძალიან არასასიამოვნოა“.

ჩვენ ერთი წუთით უძრავად ვისხედით, ალბათ ორივემ წარმოვიდგინეთ ფრანსუაზის განცდები. მე ის კედლისკენ მიბრუნებული წარმომესახა.

„ეს უგუნურებაა, — თქვა ლუკმა, — მაგრამ ხომ გესმის, ეს არც ისე იოლი ყოფილა, როგორც მეგონა“.

მან ვისკი აიღო და თავდავიწყებით გადაყლაპა. თავი კინოში მეგონა. ვცდილობდი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ ეს ყველაფერი მე მეხებოდა, მაგრამ არარეალობის შეგრძნება ვერ მომეცილებინა. ესეც არის. ლუკი აქ იყო, ფიქრობდა. ყველაფერი წესრიგში იყო. ის ცოტა წინ გადმოიხარა. ჰქონდა ხელ-

ში აილო და ყინულს ოსტატურად ატრიალებდა. ჩემთვის არ შემოუხედავს, ისე ლაპარაკობდა.

„მე, რასაკვირველია, მქონდა თავგადასავლები, რომელთა შესახებ ფრანსუაზს არაფერი გაუგია. მხოლოდ რამდენიმე უხეირო შემთხვევაზე ვერ ვიტყვი ამას. ეს არასოდეს სერიოზული არ იყო".

ის უცბად გაჯავრებით გასწორდა:

„თუმცა ამჯერადაც არ არის ეს დიდად სერიოზული და არც შეიძლება იყოს. არაფერი არ არსებობს ფრანსუაზის საწინააღმდეგოდ".

არ ვიცი, რატომ, განცდის გარეშე ვუსმენდი. მეგონა, რომ ფილოსოფიის ლექციაზე ვიმყოფებოდი, რომელიც მე არ მეხებოდა.

„მაგრამ ახლა სხვაა. დასაწყისში მე შენ მინდოდი, როგორც ჩემი ტიპის კაცებს სურთ ახალგაზრდა გოგოები, შემპარავნი, ჯიუტნი, რთულნი. თუმცა ეს უკვე გითხარი. მინდოდა შენი დაახლოება, შენთან ღამის გატარება. არ მეგონა...".

უცბად ის ჩემკენ შემოტრიალდა. ჩემი ხელები აილო და ალერსიანად დაიწყო ლაპარაკი. ძალიან ახლოს ვხედავდი მის სახეს, ყველა მის ნაოჭს. გრძნობით ვუსმენდი მის ლაპარაკს. ჩემდა უნებურად მომაჯადოვა მისმა ასეთმა ყურადღებამ. სმენად ვიქეცი. ჩემი თავისგან განვთავისუფლდი, აღარ მესმოდა შინაგანი ხმა.

„არ მეგონა, თუ შენს პატივისცემას შევძლებდი. მე შენ პატივს გცემ, ძალიან, დომინიკ. მე შენ მიყვარხარ. მე არასდროს მეყვარები ისე, როგორც „სინამდვილეში" უყვართ, მაგრამ ჩვენ ერთნაირები ვართ — შენ და მე. შენთან მარტო ფიზიკური სიახლოვე კი არ მინდა, მინდა შენთან ერთად ვიცხოვრო, მინდა ერთად წავიდეთ არდადეგებზე. მინდა ძალიან ახლოს, ძალიან კმაყოფილები ვიყოთ. სიხარულს მივანიჭებთ ერთმანეთს. გაჩვენებ ზღვას, გასწავლი, რა სიამოვნების მინიჭება ძალუძს ფულს. შენ ნამდვილ თავისუფლებას იგრძნობ, მოწყენილები იშვიათად თუ ვიქნებით. ესეც და ეს".

„ეს მეც ძალიან მინდა," — ვუთხარი.

„მერე ფრანსუაზს დავუბრუნდები. შენ რას კარგავ ამით. ფიქრობ, რომ შემეჩვევი, რომ განშორება გაგიძნელდება? მერე რა? ეს უკეთესია, ვიდრე მოწყენილობა. უმჯობესია, ბედნიერი თუ არა, უბედური მაინც იყო, ვიდრე არაფერი გაწუხებდეს".

„ცხადია", — ვუთხარი.

„შენ არაფერს კარგავ", — თქვა ლუკმა დარწმუნებით.

„განცდები, განცდები, გადაჭარბება არ არის საჭირო, — ვთქვი მე, — სათნო გული არა მაქვს".

„კარგი, — თქვა ლუკმა. — ვნახოთ, მოვიფიქროთ. სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. გინდა კიდევ ერთი ჭიქა?"

ჩვენი ბედნიერებისა შევსვით. როგორც ლუკის სიტყვებიდან გავიგე, ალბათ მანქანით გავემგზავრებოდით, რაც ადრე შეუძლებლად მიმაჩნდა. მერე რამეს მოვიგონებ და მისგან განვთავისუფლდები. ძალიან არ უნდა შევჩვეოდი, რადგან ბოლოს ერთმანეთს უნდა დავშორებოდით. არც ისეთი სულელი ვიყავი.

სანაპიროზე ვსეირნობდით. ლუკი იცინოდა, ლაპარაკობდა. მეც ვიცინოდი, ვფიქრობდი, რომ მასთან ერთად სიცილი მსიამოვნებდა. თავს კარგად ვგრძნობდი. „სიცილი თან სდევს სიყვარულს", — ამბობდა ელენი. მაგრამ

ჩვენ სიყვარულზე არ ვლაპარაკობდით, ჩვენ მხოლოდ შევთანხმდით. მე ვამაყობდი, რომ ლუკი ჩემზე ფიქრობდა, პატივს მცემდა, ვუნდოდი. ცოტა სასაცილო, პატივსაცემ, სასურველ პიროვნებად შემეძლო წარმომედგინა თავი. დაფიქრებისას კი მკაცრი და პესიმისტური აზრები მეძალებოდა და ჩემი საკმაოდ საცოდავი სახე წარმომიდგებოდა თვალწინ.

ლუკს რომ დავცილდი, ბარში შევედი და კიდევ ოთხასი ფრანკის ვისკი დავლიე. ეს ფული სადილისთვის მქონდა გადანახული. ათ წუთში გამომისწორდა გუნება. ასე მეგონა, რომ ნაზი, სასიამოვნო, კარგი ქალი ვიყავი. მინდოდა ვინმე შემხვედროდა. რომ მისთვის გამენდო ჩემი აზრები ცხოვრებაზე. მის მკაცრ და სასიამოვნო მხარეებზე შემეძლო საათობით მელაპარაკა. ბარმენი თავაზიანი, მაგრამ უინტერესო კაცი იყო. მერე სენ-ჟაკის კაფეში შევედი. იქ ბერტრანს შევხვდი. მარტო იყო, მაგიდაზე რამდენიმე ცარიელი ჭიქა ედგა. გვერდით მივუჯექი; ჩემმა დანახვამ პირდაპირ ალაფრთოვანა.

„სწორედ შენზე ვფიქრობდი. „Kentuky"-ში ახალი ორკესტრია. გინდა წავიდეთ? რამდენი ხანია არ გვიცეკვია".

„არც ერთი კაპიკი არ გამაჩნია", — ვთქვი საწყლად.

„დედაჩემმა ათი ათასი ფრანკი მომცა. რამდენიმე ჭიქა დავლიოთ და მერე წავიდეთ".

„ჯერ მხოლოდ რვა საათია, — ავღნიშნე — „Kentuky" კი ათზე იხსნება".

„ხოდა, ჯერ დავლიოთ", — თქვა ბერტრანმა მხიარულად.

აღფრთოვანებული ვიყავი. სწრაფ პოპ-მუსიკაზე ცეკვა ძალიან მიყვარდა. ჯაზის ხმას რომ გავიგონებდი, ფეხები თვითონ იწყებდნენ მოძრაობას. ბერტრანმა დანახარჯი გადაიხადა. გავიფიქრე, რომ როცა სვამდა, უფრო უკეთესი, უფრო მხიარული იყო. ის ხომ ჩემი საუკეთესო ამხანაგი, ჩემი ძმა იყო. და ძალიან მიყვარდა.

ათ საათამდე ხუთი თუ შვიდი ბარი დავიარეთ. ბოლოს კარგად მთვრალები ვიყავით, გიჟურად მხიარულები, სენტიმენტალობის გარეშე. როცა „Kentuky"-ში შევედით, ორკესტრი ემზადებოდა. არავინ არ იყო და ჩვენ თითქმის მარტონი აღმოვჩნდით მთელ საცეკვაო მოედანზე. ჩემი აზრით, ძალიან კარგად ვცეკვავდით, თავისუფლად. ეს მუსიკა მომწონდა, მომწონდა მისი სწრაფი ტემპი, მსიამოვნებდა, მთელი სხეულით ვყვებოდი მას. ჩვენ ვსხდებოდით მხოლოდ იმისთვის, რომ დაგველია.

„მუსიკა, — ვუთხარი ბერტრანს დიდმნიშვნელოვნად, — კერძოდ, ჯაზის მუსიკა, ეს უდარდელი აჩქარებაა, განთავისუფლება". ბერტრანი უცბად გასწორდა.

„ზუსტად ასეა. ძალიან, ძალიან საინტერესო. შესანიშნავი განმარტებაა. ყოჩაღ, დომინიკ".

„მართლა?" — ვკითხე მე.

„Kentuky"-ის ვისკი უვარგისია, მუსიკა კი კარგი, განურჩევლად იმისა, უდარდელია თუ..."

„უდარდელი რისგან?"

„არ ვიცი, საყვირს უსმინე. ეს მხოლოდ უდარდელი არაა, ეს აუცილებელი, საჭირო იყო, რომ ის ამ ნოტის ბოლომდე მისულიყო, შენ იგრძენი? აუცილებელი, როგორც სიყვარული, ფიზიკური სიყვარული, არის წუთები, როცა ეს საჭიროა, როცა სხვანაირად არ შეიძლება".

„შესანიშნავია, ძალიან, ძალიან საინტერესოა. ვიცეკვოთ", — თქვა ბერტ-

რანმა. ღამე სმასა და როკის ცეკვაში გავატარეთ. ბოლოს იყო თავბრუდამხვევი მოძრაობა სახეების, ფეხების და კიდევ ბერტრანის მკლავების, რომლებიც მისრბოდნენ მისგან შორს და მუსიკა, რომელიც მისკენ მიზიდავდა. იყო კიდევ წარმოუდგენელი სითბო, წარმოუდგენელი შეგრძნება და შეთანხმება ჩვენი სხეულების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კეტავენ, — თქვა ბერტრანმა — ოთხი საათია".

„ჩემთანაც დაკეტილია", — ვუპასუხე.

„ეგ არაფერი", — თქვა მან.

ეს მართლაც ბევრს არაფერს ნიშნავდა. ბერტრანთან წავედით. მის ლოგინზე დავწექით, როგორც აქამდე, მთელი ზამთრის განმავლობაში, იმ ღამესაც ბუნებრივად მეჩვენებოდა, რომ ვგრძნობდი ბერტრანის სიმძიმეს. ჩვენ ბედნიერები ვიყავით ერთად.

## თავი 8

დილით მის გვერდით გამეღვიძა. ბერტრანს ისევ ეძინა. მისი თეძო ჩემსას ეხებოდა. ალბათ ადრე იყო. ველარ ვიძინებდი და ვფიქრობდი, როგორც სიზმრებში ჩაფლული ბერტრანი, არც მე ვიყავი იქ, ჩემი ნამდვილი მე ძალიან შორს იყო, სახლების, ხეების, მინდვრების იქით, ჩემს ბავშვობაზე იქით, უმოძრაოდ გაჩერებული გზის დასაწყისში. თითქოს ეს ახალგაზრდა გოგო, ამ მძინარე მამაკაცზე დაყრდნობილი, მხოლოდ ჩემი სუსტი ანარეკლი იყო. მშვიდი და ულმობელი, რომელსაც მე როგორღაც მოვცილდი, რათა ახალი ცხოვრება დამეწყო. თითქოს ჩემს მუდმივ „მე"-ს ვამჯობინე საკუთარი ცხოვრება, რომელიც ამ ქანდაკებას გზის დასაწყისში, ჩრდილში მიატოვებდა, მხრებზე კი, როგორც ჩიტები, მრავალი შესაძლო თუ უარყოფილი ცხოვრება ექნებოდა ჩარიგებული.

მე უკვე ვდექი, ვიცვამდი. ბერტრანმა გაიღვიძა, მეკითხებოდა, ამთქნარებდა, ხელით ნიკაპს ისინჯავდა, რაღაცას ამბობდა თავის წვერზე. შევუთანხმდი, რომ საღამოს შევხვდებოდი, და ჩემს ოთახში დავბრუნდი სამუშაოდ. მაგრამ ამაოდ. ძალიან ცხელოდა. შუადღე იყო, ლუკთან და ფრანსუაზთან უნდა მესაუზმა. ერთი საათით წამუშავებას აზრი არ ჰქონდა. სიგარეტის საყიდლად გავედი. როცა დავბრუნდი, ერთი მოვწიე და უცბად აღმოვაჩინე, რომ მთელი დღის განმავლობაში ვცდილობდი შემენარჩუნებინა ჩვეული ინსტინქტები, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მამოძრავებდა გაურკვეველი ძალა. აღმედგინა ეს ჩვევები, მაგრამ სად მეპოვა ისინი? აღარ მჯეროდა ადამიანთა სასიამოვნო ღიმილის, ქალაქის ქუჩების მღელვარე ცხოვრების. ბერტრანი აღარ მიყვარდა. სიგარეტს ვუკიდებდი და ჩემთვის, თითქმის ხმამაღლა ვამბობდი: „ვინმე ან რაიმე". ეს მელოდრამატულად მომეჩვენა. მელოდრამატულად და სასაცილოდ. კატერინასავით მეც მქონდა წუთები, როცა სენტიმენტალური გალიზიანება მეწვეოდა ხოლმე. მინდოდა სიყვარული, მჭირდებოდა სიტყვები, სიყვარულს რომ ახასიათებს: ნაზი, მკაცრი, თბილი, დიდზე დიდი რწმენა. არავინ არ მიყვარდა. იქნებ ლუკი მიყვარდა, ოღონდ როცა ჩემთან იყო. მაგრამ გალვიძების შემდეგ მასზე ფიქრს ვერ ვბედავდი. მე არ მინდოდა განმეცადა ის გრძნობა, თითქოს მასზე უარი ვთქვი, გრძნობა, გახსენებაზე რომ ყელში მაწვებოდა.

ლუკს და ფრანსუაზს ვუცდიდი, როცა უცნაურმა თავბრუსხვევამ შემიპყრო და სწრაფად პირისაბანთან მიმიყვანა. როცა მოვრჩი, თავი ავწიე და სარ-

ქეში ჩავიხედე. საკმაო დრო მქონდა, რომ საბოლოოდ დამედგინა ჩემი მდგომარეობა. „ესეც მოხდა", ვთქვი ხმამაღლა, ეს კოშმარი, რომელსაც მე კარგად ვიცნობდი, დაიწყო. მაგრამ იქნებ ვისკის ბრალი იყო და სხვა არაფერი მომხდარა. ჩემს თავს მკაცრად ვეკამათებოდი, სარკეში დაცინვით ვუყურებოდი. ნამდვილად ხაფანგში მოვექეცი. გადავწყვიტე ყველაფერი მეთქვა ფრანსუაზისთვის. მის გარდა ვერავინ მიშველიდა.

მაგრამ ვერ ვუთხარი, ვერ გავბედე. საუზმისას ლუკი სასმელს გვაძალებდა, ყველაფერი გადამავიწყდა. არ ვიცოდი, ისარგებლებდა თუ არა ბერტრანი, რომელიც ასე ეჭვიანობდა, ჩემი ამ მდგომარეობით, რათა თავისთან დავებრუნებინე. გარკვეულ ნიშნებს ვგრძნობდი.

ამ საუზმიდან ორი დღის შემდეგ ისეთი ნაადრევი ზაფხული დაიწყო, მსგავსის წარმოდგენა შეუძლებელი იყო. ქუჩებში დავდიოდი, რადგანაც სახლში აუტანლად ცხელოდა. ჯერ კიდევ მეეჭვებოდა ჩემი მდგომარეობა და კატერინას ათას შეკითხვას ვუსვამდი ამ საკითხზე. ოღონდ ისე, რომ მისთვის არაფერი გამინდვია. აღარც ლუკის და ფრანსუაზის ნახვა მინდოდა. ისინი თავისუფალნი და ძლიერნი იყვნენ, ავად ვიყავი. როგორც ცხოველი, უღონო და უსაგნო. დროდადრო ნერვიული სიცილი მიპყრობდა. კვირის ბოლოს დავრწმუნდი, რომ ბერტრანისაგან ბავშვს ველოდი, და ცოტათი დავწყნარდი. საჭირო იყო მოქმედება. მაგრამ გამოცდის წინადღეს მივხვდი, რომ შევცდი, რომ ეს მხოლოდ კოშმარი იყო და დამშვიდებულმა მხიარულად ჩავაბარე წერითი გამოცდა. ათი დღის განმავლობაში თავში სულ ერთი და იგივე აზრები მიტრიალებდა, ახლა კი აღტაცებით დავიწყე ფიქრი სხვა საკითხზე. შესაძლებელი იყო ყველაფერი თავიდან დამეწყო. ერთხელ, შემთხვევით, ფრანსუაზი ამოვიდა ჩემთან. ოთახში ძალიან ცხელოდა და შემომთავაზა, ჩემთან წამოდიო ზეპირი გამოცდისათვის მოსამზადებლად. ოთახში მარტო ვმეცადინეობდი, თეთრ ხალიჩაზე, ნახევრად მიხურულ დარაბებში. ხუთი საათისთვის ფრანსუაზი ბრუნდებოდა, ახალ ნაყიდებს მაჩვენებდა, მეკითხებოდა სასწავლო პროგრამის მიხედვით და ბოლოს ყველაფერი ხუმრობით მთავრდებოდა. ლუკიც მოდიოდა, იცინოდა ჩვენთან ერთად. მერე სადილად მივდიოდით ღია კაფეში. საღამოს სახლში მივყავდით. ერთ დღეს, შუა კვირას, ლუკი ფრანსუაზზე ადრე მოვიდა. იმ ოთახში შემოვიდა, სადაც ვმეცადინეობდი. ჩემ გვერდით დაიჩოქა, ხალიჩაზე, მკლავები მომხვია, უსიტყვოდ მაკოცა. მომეჩვენა, რომ თავიდან მოვიპოვე მისი ტუჩები, თითქოს არ ვიცნობდი და მასზე მთელი თხუთმეტი დღის განმავლობაში არ ვფიქრობდი. ბოლოს მითხრა, რომ არდადეგების დროს მომწერდა და, თუ დავთანხმდებოდი, ერთი კვირით სადმე გავემგზავრებოდით. ის მიკოცნიდა ყელს, მეფერებოდა კეფაზე, ეძებდა ჩემს პირს. სურვილი მწვავდა დაღამებამდე დავრჩენილიყავი ასე, მის მხარზე მიყრდნობილი, ალბათ იმისთვის, რომ ჩუმად მეჩივლა იმაზე, რომ არ გვიყვარდა ერთმანეთი. სასწავლო წელი გათავდა.

## ნაწილი II

### თავი 1

ჩვენი სახლი გრძელი და ნაცრისფერი იყო. მის გარშემო შემოვლებული მინდორი იონამდე აღწევდა. იონი მწვანე იყო და უმოძრაო, ჩაფლული მოშ-

რიალე ხშირ ლელიანში, გადამფრენი მერცხლებით და ალვის ხეების ბუსუსებით სავსე. ერთი ალვის ხე ძალიან მიყვარდა. ყოველთვის მის ახლოს ვწვებოდი, ფეხებს ხეს მივაბჯენდი, შევყურებდი ტოტებს, ვხედავდი, როგორ არხევდა მათ ქარი. მიწას თბილი ბალახის სუნი ასდიოდა და ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, რაც საოცარი მოდუნების შეგრძნებას კიდევ უფრო აძლიერებდა. ეს შემოგარენი წვიმაში და ზაფხულშიც კარგად ნაცნობი იყო ჩემთვის. მას პარიზზე, მის ქუჩებზე, მის მამაკაცებზე, სენაზე ადრე ვიცნობდი, ის არ იცვლებოდა.

ჩემმა გამოცდამ სასწაულივით ჩაიარა. ახლა რაც მინდოდა, იმას ვკითხულობდი, მერე საჭმელად ავდიოდი სახლში. დედაჩემმა თხუთმეტი წლის წინათ ტრაგიკულად დაკარგა ვაჟიშვილი და ნევრასთენია დასჩემდა. სახლიც მალე ისეთივე გახდა. მის კედლებში სევდა გამეფებულიყო. მამა თითის წვერებზე დადიოდა და დედაჩემისათვის მოსასხამები დაჰქონდა.

ბერტრანი წერილებს მწერდა. საინტერესო, მღელვარე, მინიშნებებით სავსე წერილი გამომიგზავნა „Kentuky"-ში გატარებულ საღამოზე, უკანასკნელ ღამეზე. თვლიდა, რომ იმ ღამეს მთლად თავაზიანი არ იყო, თუმცა მე არ ვეთანხმებოდი, სულაც არ მიმაჩნდა, რომ იმ ღამეს ნაკლებთავაზიანი იყო, ვიდრე საერთოდ. ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან მარტივი, დამაკმაყოფილებელი ურთიერთობა გვქონდა. დიდხანს ვიფიქრე იმაზე, თუ რისი თქმა სურდა ამით. ბოლოს მივხვდი, რომ ის ცდილობდა ჩვენს ურთიერთობაში ეროტიკის ნიშნები შეეტანა, რადგან ეძებდა იმას, რაც ჩვენ დაგვაკავშირებდა. ყველაფერს ებღაუჭებოდა და ამით უფრო ართულებდა ჩვენს ურთიერთობას. მინდოდა ამეხსნა მისთვის, რომ სწორედ იმას ართულებდა, რაც ჩვენს ურთიერთობაში ყველაზე სასურველი და სუფთა იყო. არ მესმოდა, რომ დგება ხოლმე დრო, როცა ეძებენ რაიმე უარყოფით თვისებასაც კი, ოღონდ არ გამოჩნდნენ საშუალონი, უმნიშვნელონი. მისი ასეთი საქციელი კი იმით აიხსნებოდა, რომ მე ის აღარ მიყვარდა. ამავე დროს, ვიცოდი, რომ ჩემთან დაშორებას განიცდიდა, უკვე მთელი თვე „ჩვენ" აღარ არსებობდა. ეს მე ჯერ კიდევ ძვირად მიღირდა.

მთელი ერთი თვე ლუკისგან არაფერი ისმოდა. მხოლოდ ფრანსუაზისგან მივიღე ძალიან თავაზიანი წერილი, რომელსაც ლუკიც აწერდა ხელს. თავმომწონედ, როგორც სულელი, თავს ვუმტკიცებდი, რომ ლუკი არ მიყვარდა, რომ მასთან დაშორებას არ განვიცდიდი. არ მესმოდა, რომ თუ მართლა გადამიყვარდებოდა, კმაყოფილება კი არ დამეუფლებოდა — თავს დამცირებულად ვიგრძნობდი. ვცდილობდი არ მეფიქრა. ამაზე ტვინის ჭყლეტა მაღიზიანებდა. მე კარგად ვგრძნობდი თავს.

ძალიან მიყვარდა ეს სახლი, სადაც ასეთი მოწყენილი ვიყავი. სასიამოვნოდ მოწყენილი და არა ისე დარცხვენილი, როგორც პარიზში. ძალიან თავაზიანი და ყურადღებიანი ვიყავი ყველას მიმართ. მომწონდა, რომ ასეთი ვიყავი. საგნიდან საგნისაკენ, მინდვრიდან მინდვრისაკენ დავეხეტებოდი, დღიდან დღემდე არაფერს ვაკეთებდი. რა სიმსუბუქე, რა შვებაა ასე უმოძრაოდ იწვე, სახეზე და ტანზე სასიამოვნოდ გაშავდე, ელოდე არდადეგების გათავებას ისე, რომ არც კი აცნობიერებდე ამ მოლოდინს, იკითხო წიგნები, არდადეგები ჰგავდა გრძელ, უფერულ გაკვეთილს.

ბოლოს ლუკის წერილი მივიღე. ის მწერდა, რომ 22 სექტემბერს ავინიონში იქნებოდა, იქ დამიცდიდა ან ჩემს წერილს დაელოდებოდა. სასწრაფოდ

გადავწყვიტე წავსულიყავი და გასული თვე სიმარტოვის სამოთხედ მომეჩვენა. ეს ლუკი იყო, ასეთი ინტერესმოკლებული, დინჯი კილოთი, სულ[illegible]ური ავინიონით. ისევ ტყუილებში ჩავეფალი. მივწერე კატერინას, რომ [illegible] გამოეგზავნა. მან ის მაშინვე გამომიგზავნა სხვა წერილთან ერთად, უკვირდა, რატომ არ მივემგზავრებოდი Cote-ის სანაპიროზე, სადაც [illegible] თავის ამხანაგებთან ერთად იყო. კატერინას ვერაფრით ვერ გაე[illegible] ჩემი საქციელი. მე ყურადღებისათვის მადლობა გადავუხადე და ვთხოვე, არ ეთქვა ჩემი წერილის შესახებ ბერტრანისთვის, რათა გული არ ტკენოდა, თუმცა წინასწარ ვიცოდი, რომ კატერინა, მეგობრული განწყობილების მომიზეზებით, ყველაფერს ეტყოდა ბერტრანს.

21 სექტემბერს მსუბუქი ბარგით ავინიონისკენ გავემგზავრე. ის, საბედნიეროდ, Cote-ის ლაჟვარდის სანაპიროს გზაზე მდებარეობდა. მშობლებმა სადგურამდე გამაცილეს. ცრემლი მერეოდა, მათ რომ ვტოვებდი, თუმცა არ მესმოდა, რატომ. მეჩვენებოდა, რომ ბავშვობას ვემშვიდობებოდი და მშობლიურ მეთვალყურეობას ვკარგავდი. წინასწარ მძულდა ავინიონი.

ლუკის სიჩუმის, მისი უგულისყურო წერილის შემდეგ მასზე გულგრილი, უგულო კაცის წარმოდგენა შემექმნა და ახლა სასიყვარულო შეხვედრისთვის საკმაოდ შეუფერებელი განწყობით მივდიოდი ავინიონში. მივდიოდი არა იმიტომ, რომ ლუკს ვუყვარდი და არც იმიტომ, რომ მე მიყვარდა. უბრალოდ, ჩვენ ერთი ენით ვლაპარაკობდით და მოგვწონდა ერთმანეთი. რომ დავფიქრდი, ეს მიზეზები უმნიშვნელო და მოგზაურობაც გაუგებარი მეჩვენა.

მაგრამ ლუკმა ერთხელ კიდევ გამაკვირვა. იგი სადგურის ბაქანზე იდგა აღელვებული და ჩემი დანახვით გამოწვეულ აღფრთოვანებას არ მალავდა. რომ ჩამოვედი, მკლავები მომხვია და ნაზად მაკოცა.

„შესანიშნავად გამოიყურები. ძალიან მიხარია, რომ ჩამოხვედი". „თქვენც მშვენივრად გამოიყურებით", — ხაზი გავუსვი მის გარეგნობას. მართლაც, გაშავებული, გამხდარი, გაცილებით უფრო ლამაზი იყო, ვიდრე პარიზში.

„ავინიონში დარჩენას აზრი არა აქვს, წავიდეთ ზღვის სანახავად, თითქმის აქვეა. დანარჩენი მერე მოვიფიქროთ", — თქვა მან.

მისი მანქანა სადგურის წინ იდგა. ჩემი ხელჩანთა უკან, მანქანაში ჩააგდო და გავემგზავრეთ. როგორღაც გამოფიტული და ცოტათი გულგატეხილი ვიყავი. მე ის არ მახსოვდა არც ასეთი მომხიბვლელი და არც ასეთი მხიარული.

გზა შესანიშნავი იყო, ჭადრების ხეივნით მორთული. ლუკი სიგარეტს ეწეოდა და მივქროდით მზეზე, ღია მანქანით. ჩემს თავს ვეუბნებოდი: „აი, მე უკვე აქა ვარ".

მაგრამ ეს აზრი არავითარ გრძნობას არ იწვევდა, არავითარს. შემეძლო ასევე კარგად ვყოფილიყავი ჩემი ალვის ხის ძირში, წიგნით ხელში, ჩემმა ამგვარმა უგრძნობლობამ გამამხიარულა. მისკენ მივტრიალდი და სიგარეტი ვთხოვე. მან გამიღიმა.

„უკეთესად ხარ?"

გამეცინა.

„კი, უკეთესად. ერთხანს ჩემს თავს ვეკითხებოდი, რას ვაკეთებ აქ თქვენთან ერთად, მაგრამ უკვე მოვრჩი".

„არაფერსაც არ აკეთებ. დასეირნობ, სიგარეტს ეწევი. ეკითხები შენს თავს, მოწყენილი ხარ თუ არა. არ გინდა გაკოცო?"

მანქანა გააჩერა, თავისკენ მიმიზიდა და მაკოცა. ეს ძალიან კარგი საშუა-

ლება იყო, რომ ერთმანეთი გაგვხსენებოდა. სიცილი მომეძალა, მერე გზა გავაგრძელეთ. მას ჩემი ხელი ეჭირა. კარგად ვახსოვდი. უკვე ორი თვე იყო, ვცხოვრობდი ნახევრად უცხო ხალხში, გაქვავებულ მწუხარებაში, რომელშიც მე არ ვმონაწილეობდი. ახლა მეჩვენებოდა, რომ ცხოვრება ძალიან ნელია, მაგრამ ისევ იწყებოდა.

ზღვა რაღაც აღმაფრთოვანებელი იყო. ერთი წუთით ვინანე, რომ ფრანსუაზი არ იყო ჩვენთან. ვეტყოდი, რომ ზღვა ნამდვილად ცისფერი იყო, წითელი კედლებით, ყვითელი სილით, რომ მან შესანიშნავად აღწერა მაშინ ზღვა. ცოტათი მეშინოდა, რომ ლუკი თავმომწონედ მაჩვენებდა ზღვას, თვალყურს მიადევნებდა ჩემს რეაქციას. რაც მაიძულებდა ზედსართავები წარმომეთქვა. აღტაცებული სახე მიმეღო. მაგრამ სანტ-რაფაელში მან მხოლოდ ხელით მანიშნა:

„აი ზღვა".

ჩვენ ნელა მივსრიალებდით ღამეში და ზღვა ჩვენს ახლოს კვნესოდა. იგი თანდათან ნაცრისფერი ხდებოდა. კანში ლუკმა მანქანა კრუაზეტის ქუჩაზე გააჩერა, უზარმაზარი ოტელის წინ, რომლის ჰოლმა შემაშინა, ვიცოდი, კმაყოფილი რომ ვყოფილიყავი, ყურადღება არ უნდა მიმექცია გარეგნული მორთულობისათვის, გრუმებისათვის, თავი ძალდაუტანებლად, უშიშრად დამეჭირა. ლუკი ელაპარაკებოდა ვიღაცას, რომელიც ქედმაღლურად იდგა დახლის უკან. უცებ იქ ყოფნის სურვილი გამიქრა. მან ეს იგრძნო, ხელი მომხვია, წინ გამიძღვა და ასე გადავჭერით დარბაზი. ჩვენი ოთახი უზარმაზარი იყო, თითქმის თეთრი, ორი კარ-ფანჯრით, რომლებიც ზღვისკენ გადიოდნენ. ოთახში არეულობა სუფევდა: ფარდების, ბარგის, ღია ფანჯრების, სარკეების. შუა ოთახში ვიდექი, ხელებჩამოშვებული, შეშფოთებული საკუთარი უგრძნობლობით.

„მოვედით",— თქვა ლუკმა.

კმაყოფილი მზერით დაათვალიერა ოთახი და აივანს დაეყრდნო.

„მოდი, ნახე".

მისგან საკმაო მანძილზე დაშორებით დავეყრდენი აივანს. არც ფანჯარაში ცქერის და არც ამ კაცთან, რომელსაც თითქმის არ ვიცნობდი, შენობით ლაპარაკის სურვილი არ მქონდა. მან სწრაფი მზერა მესროლა.

„შენ ნამდვილად გადამეჩვიე. წადი, წყალი გადაივლე და მერე ერთად დავლიოთ. მხოლოდ კომფორტს და ალკოჰოლს თუ შეუძლია შენი გამხიარულება".

ის მართალი იყო. მართლაც უკვე შეცვლილი, ჭიქით ხელში დავდექი მის გვერდით, სააბაზანო ოთახის და ზღვის შესახებ აღფრთოვანებით ველაპარაკებოდი. მან მითხრა, რომ ძალიან გავლამაზდი. ვუპასუხე, შენც-მეთქი. დიდხანს ვათვალიერებდით პალმებსა და ხალხს. მერე ის ტანსაცმლია გამოსაცვლელად წავიდა. მე კი ღიღინით, ფეხშიშველა დავსეირნობდი სქელი ხავერდის ხალიჩაზე.

სადილმა კარგად ჩაიარა. დიდი სითბოთი მოვიგონეთ ფრანსუაზი და ბერტრანი. ვიმედოვნებდი, რომ ბერტრანს არსად გადავეწყდებოდი. ლუკმა თქვა, ეს კი უეჭველია, ვინმე ისეთს შევხვდებით, სიამოვნებით რომ მოუყვება ფრანსუაზსა და ბერტრანს ჩვენს შესახებო. მაგრამ ჯერ დრო გვქონდა, ამაზე კი შეგვეძლო დაბრუნებისას გვეფიქრა. გულაჩუყებული ვიყავი, რომ ჩემი გულისთვის ასეთ რისკზე მიდიოდა. მთქნარებით ველაპარაკებოდი. ძალიან მეძინებოდა. ვუთხარი , რომ მომწონდა მისი უნარი, ყველაფერი მოეგვარებინა.

„ძალიან სასიამოვნოა, რომ გადაწყვეტილებას იღებთ და ასრულებთ კიდეც. შედეგებისა არ გეშინიათ“.

„რისი გინდა, რომ მეშინოდეს? — თქვა მან მოწყენით. — ბერტრანი არ მომკლავს, ფრანსუაზი არ მიმატოვებს, შენ არ გეყვარები“.

„ბერტრანი ალბათ მე მომკლავს“, — ვთქვი ნაწყენმა.

„ის ძალიან ზრდილობიანია საამისოდ. თუმცა ვინ არ არის ზრდილობიანი“.

„ბოროტები კიდევ უფრო მოსაწყენი ხალხია, თქვენ ხომ მითხარით“.

„შენ მართალი ხარ. უკვე გვიანია. მოდი, დავწვეთ“.

მან ეს ბუნებრივად თქვა. ჩვენს დიალოგში არაფერი ამაღელვებელი არ იყო, მაგრამ „მოდი, დავწვეთ“ ცოტა უხეშად მომეჩვენა. ამ ღამის, რომელიც ახლოვდებოდა, სინამდვილეში ძალიან მეშინოდა.

სააბაზანოში აკანკალებული ხელებით ჩავიცვი პიჟამა. პიჟამა გულდახურული იყო, მაგრამ სხვა არაფერი მქონდა. როცა ოთახში შემოვედი, ლუკი უკვე იწვა. სიგარეტს ეწეოდა და ფანჯრისკენ იყურებოდა. გვერდით მივუწექი. მან ხელი გამოიწოდა და წყნარად აიღო ჩემი ხელი. ვკანკალებდი.

„გაიხადე ეს პიჟამა, პატარა სულელო. სულ დაჭმუჭნი. გცივა ამ შესანიშნავ ღამეს, ავადა ხარ?“

მან მკლავები მომხვია. პიჟამა გამხადა, ფრთხილად დააგდო და ძირს დააგდო. მე ვუთხარი, რომ ასე მაინც დაისრისებოდა. სიცილი დაიწყო. მისი მოძრაობა ძალიან ნაზი გახდა. ის წყნარად მკოცნიდა ყელზე, ტუჩებში და თან ლაპარაკობდა:

„შენ ბალახის სურნელი გაქვს. მოგწონს ეს ოთახი? თუ არა, სხვაგან წავალთ. აქ ძალიან კარგია, კანში“.

„კი, კი“, — ვპასუხობდი გაგუდული ხმით.

მინდოდა უკვე მეორე დღე ყოფილიყო. და როცა ის წამოიწია და ხელი თეძოზე დამადო, ავკანკალდი. ის მკოცნიდა და მეც ვკოცნიდი კისერზე, მთელ ტანზე, ვეფერებოდი ყველაფერს, რასაც კი ვწვდებოდი და ვხედავდი ამ სიბნელეში, ღამის სინათლეზე, რომელიც ღია ფანჯრიდან აღწევდა. მერე ის უფრო ახლოს მოიწია ჩემკენ, ხელები შემოვხვიე, ერთად ვსუნთქავდით, განვიცდიდით. ბოლოს ვერაფერს ვხედავდი, ვერაფერს. ცასაც კი. მე ვკვდებოდი, უნდა მოვმკვდარიყავი და არ ვკვდებოდი, გული მიმდიოდა, ყველაფერი დანარჩენი ამაოება იყო, როგორ ვერ ვხვდებოდი ამას აქამდე. როდესაც ერთმანეთს დავცილდით, ლუკმა თვალები გაახილა და გამიცინა. მერე მე მის მხარზე დავდე თავი და დავიძინე.

## თავი 2

ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ ძნელია ვინმესთან ერთად ცხოვრება. მე ვფიქრობდი ამაზე, თუმცა ახლა, ლუკთან ამ ხანმოკლე ერთობლივი ცხოვრებისას, ეს ბოლომდე ვერ გავარკვიე. ასე ვფიქრობდი, რადგან არ შემეძლო ლუკთან მშვიდად ვყოფილიყავი, მეშინოდა, რომ ჩემთან მოეწყინებოდა. აქამდე ყოველთვის მოწყენილობის მეშინოდა და არა იმისა, მოიწყენდნენ თუ არა ჩემთან. ახლა ჩემს ამ ცვლილებას ვამჩნევდი და ეს მაწუხებდა. მაგრამ განა შეიძლება ძნელი ყოფილიყო ლუკთან ერთად ცხოვრება. ის არაფერს ამბობდა, არაფერს გეკითხებოდა (განსაკუთრებით იმაზე, თუ რას ფიქრობდი), კმაყოფილი

იერი ჰქონდა, რადგან მე იქ ვიყავი, არ ამჟღავნებდა გულგრილობას, არ თხოულობდა გრძნობების გამომჟღავნებას. ერთნაირად დავაბიჯებდით, ერთნაირი ჩვევები, ცხოვრების ერთნაირი რიტმი გვქონდა. ჩვენ მოგვწონდა ერთმანეთი, ყველაფერი კარგად მიდიოდა. არ მწყინდა, რომ თავს ძალას ვატანდი, რაიც გპირდება იმისთვის, რომ ვინმე შეგიყვარდეს, გაიცნო [illegible] შენი სიმარტოვე. ჩვენ მეგობრები, საყვარლები ვიყავით. ერთად ვბანაობდით ძალიან ლურჯ ხმელთაშუა ზღვაში, ვსაუზმობდით, მნიშვნელოვანს არაფერს ვამბობდით და მზისგან მთვრალები შევდიოდით ოტელში. ზოგჯერ მის მკლავებში მყოფს, სიყვარულის შემდეგ, სურვილი მქონდა მეთქვა მისთვის: „ლუკ, შემიყვარე, მოდი, ვცადოთ, შევიყვაროთ ერთმანეთი". მაგრამ არ ვეუბნებოდი. ვკმაყოფილდებოდი მხოლოდ იმით, რომ ვკოცნიდი მის შუბლს, თვალებს, პირს, ყველა ნაკვთს, მის მგრძნობიარე, უკვე ახალ სახეს, რომელსაც ბაგეებით შეიგრძნობ. არასოდეს არ მყვარებია არავის სახე. მე მისი ლოყებიც კი მიყვარდა, დღემდე ლოყებს სახის არამგრძნობიარე ნაწილად ვთვლიდი. ახლა კი, როდესაც სახით ვეხებოდი ლუკის გრილ და ახლად ამოსული წვერის გამო ოდნავ გაუხეშებულ სახეს, მესმოდა პრუსტის, რომელიც ამდენს ლაპარაკობდა ალბერტინას ლოყებზე. ლუკმა ჩემი სხეული მაგრძნობინა, ინტერესით მელაპარაკებოდა მასზე, უხამსობის გარეშე, როგორც რაღაც ძვირფასზე. ეს არ იყო ჩვენი ურთიერთობით გამოწვეული გრძნობიერება, ეს რაღაც სხვა იყო, რაღაც მკაცრი ურთიერთშეცნობა, გამოწვეული ცხოვრების კომედიისაგან, დაღლილობით, სიტყვებითა თუ სხვა სახის დამქანცველი ურთიერთობებით.

სადილის შემდეგ ყოველთვის ერთი და იგივე ცოტათი მოლუშულ კაფეში შევდიოდით, ანტიბის ქუჩის უკან. იქ პატარა ორკესტრი იყო. პირველსავე შესვლისას ლუკმა Lone and sweet-ის დაკვრა მოითხოვა, რომლის შესახებ ადრე ვლაპარაკობდი, და ჩენსკენ თავმომწონედ მოტრიალდა:

„ეს ისაა, შენ რომ გინდოდა?"

„კი. რა სასიამოვნოა, რომ ამაზე იფიქრე".

„ეს შენ ბერტრანს გაგონებს?"

ვუპასუხე, რომ ცოტათი, ეს ფირფიტა საკმაოდ ძველი იყო.

ის შეიჭმუხნა.

„ეს მოსაწყენია. ჩვენ სხვას ვიპოვით", — თქვა მან.

„რატომ?"

„როდესაც ერთად არიან, ერთი სიმღერაც უნდა ჰქონდეთ, ისევე, როგორც ერთი და იგივე სუნამო. ეს საჭიროა მომავალში გზის გასაკვლევად".

მე ალბათ სასაცილო გამომეტყველება მქონდა, რადგან მას გაეღიმა.

„შენს წლებში მომავალზე არ ფიქრობენ, მაგრამ მე სასიამოვნო სიბერეს ვიმზადებ, ფირფიტებით".

„მერე ბევრი გაქვს ისინი?"

„არა".

„საწყენია, — ვუთხარი გაბრაზებით. — შენს წლებში მე ალბათ მთელი დისკოთეკა მექნება".

მან მოწიწებით მომკიდა ხელი.

„გეწყინა?"

„არა. — ვუთხარი დაღლილმა, — მაგრამ გული მწყდება, რომ რამდენიმე

წელიწადში ჩვენი ცხოვრების ერთი კვირიდან, სიცოცხლით სავსე ამ კვირიდან არაფერი აღარ დარჩება გარდა ფირფიტისა, მით უმეტეს, რომ ეს ერთმა უკვე იცის და ამბობს კიდეც ამას“.

გაღიზიანებულმა ვიგრძენი რომ თვალები ცრემლებით მევსებოდა. ეს იმიტომ, რომ ასე მითხრა: „გეწყინა?“. როცა ასეთი კილოთი მელაპარაკებოდნენ, წუწუნის სურვილი მებადებოდა.

„მოდი, ვიცეკვოთ“, — თქვა ლუკმა.

მან მკლავები მომხვია და ბერტრანის ნაცნობ მელოდიაზე, რომელიც, ამავე დროს, არაფერი იყო გარდა დისკის კარგი ჩანაწერისა, ცეკვა დავიწყეთ. ცეკვისას ლუკმა ისეთი ძალით, თავდავიწყებული გრძნობით ჩამიკრა გულში, რომ ჩავებღაუჭე. მერე ცოტათი შემიშვა ხელი. ჩვენ ვცეკვავდით და ვლაპარაკობდით. ახლა სხვა ფირფიტა მოვნახეთ, რომელსაც ყველგან უკრავდნენ.

ამ პატარა შეკამათებას თუ არ ჩავთვლით, თავი კარგად მეჭირა. მხიარული ვიყავი და ჩვენს პატარა თავგადასავალს იღბლიანად ვთვლიდი. დაბოლოს, ლუკით აღტაცებული ვიყავი. არ შემეძლო არ ვყოფილიყავი აღტაცებული მისი განათლებით, მისი სიმტკიცით, მისი უნარით, მოვლენებისთვის მიეცა ასეთი ზუსტი განსაზღვრება, აზრი, ცინიზმის გარეშე. უბრალოდ, ხანდახან სურვილი მქონდა გაღიზიანებით მეთქვა მისთვის: „ბოლოს და ბოლოს რატომ არ გიყვარვარ? რამდენად დამაწყნარებდა ეს. რატომ არ გინდა ჩვენ გრძნობებისაგან აღემართოთ შუშის კედელი, რომელიც ხშირად ცვლის პროპორციებს და საიმედოა“. მაგრამ არა, ჩვენ მხოლოდ მოკავშირეები ვიყავით და გვესმოდა ერთმანეთის. ვერც მე გავხდებოდი მისთვის სიყვარულის საგანი და ვერც ის შემიყვარდებოდა. მას არ ჰქონდა ამის არც შესაძლებლობა, არც ძალა და არც სურვილი.

დათქმული კვირა თავდებოდა. ლუკი წასვლაზე არ ლაპარაკობდა. გავშავდით. ბარში, ცისკრის მოლოდინში, უსულგულო ზღვასთან უძრავი გემების ახლოს, ლაპარაკში თეთრად გათენებული ღამეების გამო უგულისყურო შესახედაობა გაგვიხდა ამ ელეგანტური ხალხის მახლობლად. ოტელში ღამე შემოვდიოდით, ვესალმებოდით მძინარე გარსონს. მერე ლუკს ხელში ავყავდი, დაღლილობისგან თავბრუდახვეულს ვუყვარდი, შუადღისას ვიღვიძებდით და მივდიოდით საბანაოდ.

იმ დღეს, რომელიც უკანასკნელი უნდა ყოფილიყო, ასე მეგონა, რომ ვუყვარდი. ის უსიტყვოდ, ჩაფიქრებული დადიოდა ოთახში. მე დავინტერესდი.

„რა თქვი სახლში, უკან როდის დაბრუნდებიო?“

„დავიბარე, დაახლოებით ერთ კვირაში დავბრუნდები-მეთქი“.

„თუ გინდა, შეგვიძლია კიდევ ერთი კვირა დავრჩეთ“.

„კარგი“.

მივხვდი, რომ ჯერჯერობით არც დავფიქრებულვარ, რომ უკვე წასვლის დრო იყო. მთელ ცხოვრებას გავატარებდი ასეთ სტუმართმოყვარე და მოხერხებულ ოტელში, რომელიც დიდ გემს მაგონებდა. ლუკთან ერთად გატარებული ღამეები თეთრი იყო. ჩვენ ნელა, ლაპარაკით მივდიოდით ზამთრისკენ, სიკვდილისკენ.

„მაგრამ ფრანსუაზი რომ გიცდის“.

„ეს შემიძლია მოვაგვარო. — თქვა მან. — კანის დატოვების სურვილი არა მაქვს, არც კანის, არც შენი“.

„მეც", — ვუთხარი ისეთივე წყნარი და მშვიდი კილოთი.

იგივე კილოთი. ერთი პირობა გავიფიქრე, რომ შეიძლება ვუყვარდი, მაგრამ არ მიტყდებოდა. ეს აზრი გულისცემას მიჩქარებდა. მერე გავიფიქრე, რომ ეს მხოლოდ სიტყვები იყო, რომ ბოლოს და ბოლოს მე მას მოვწონვარ და ეს საკმარისი უნდა ყოფილიყო ჩემთვის. უბრალოდ, ერთ ბედნიერ [illegible] კიდევ ვიქნებოდით ერთად, მერე უნდა დავშორებოდით ერთმანეთს. რატომ? რისთვის, რა, საქმიანობისთვის? იმისთვის, რომ შევყროდი ჩვეულ მოწყობილობას, იმ დაბნეულ სიმარტოვეს? მაშინ, როდესაც ის მიყურებდა, მხოლოდ მას ვხედავდი, როცა ის ლაპარაკობდა, მინდოდა მისთვის მესმინა. მხოლოდ ის მაინტერესებდა და მინდოდა ბედნიერი ყოფილიყო. ის, ლუკი, ჩემი საყვარელი.

„ეს კარგი აზრია, — ვთქვი, — სიმართლე გითხრა, წასვლაზე არც მიფიქრია".

„შენ არაფერზე არ ფიქრობ", მითხრა ღიმილით.

„მაშინ როცა შენთან ვარ".

„რატომ, უპასუხისმგებლოდ, ახალგაზრდად გრძნობ თავს?"

მან ეშმაკურად გაიღიმა. უნდოდა გამოერიცხა ჩვენს ურთიერთობაში „პატარა გოგო და შესანიშნავი მფარველი", თუკი შევეცდებოდი ასეთი ერთიანობის მტკიცებას. საბედნიეროდ, ვგრძნობდი, რომ საკმარისად მოზრდილი და შეგნებული ვიყავი.

„არა. მე ვგრძნობ პასუხისმგებლობას. მაგრამ რის მიმართ, ჩემი ცხოვრების? ის ხომ მისაღებია ჩემთვის, თუმცა საკმაოდ მდორეა. სულაც არა ვარ უბედური, პირიქით, კმაყოფილიც ვარ. ბედნიერიც კი არა ვარ. მე არაფერი არა ვარ. მხოლოდ კარგად ვარ შენთან".

„ეს შესანიშნავია, — თქვა მან. — მეც ძალიან კარგად ვარ შენთან"!

„ვიკრუტუნოთ მაშინ".

მას გაეცინა.

„იცი, გაბრაზებულ კატას ემსგავსები, როცა შენს პატარა უაზრობებს და ყოველდღიურ განცდებს ეხებიან. მე არ მინდა იკრუტუნო, განცხრომით იყო ჩემ გვერდით. ეს მომწყინდებოდა".

„რატომ?"

„მაშინ მარტოობას ვიგრძნობდი. არის წუთები, ფრანსუაზი მაშინებს, როცა ჩემ გვერდითაა, არაფერს ამბობს და კმაყოფილია. მეორეს მხრივ, უნდა გაკმაყოფილებდეს, მამაკაცური და საზოგადოებრივი თვალსაზრისით. ის, რომ ქალს ბედნიერს ხდი, მაშინაც კი, როცა არ გესმის, როგორ".

„ეს კარგია, — ვთქვი ხაზგასმით. — არსებობს ფრანსუაზი, რომელსაც შენ შენი დაბრუნებით გააბედნიერებ და მე, რომელსაც დამტოვებ უბედურს".

ვერ მოვასწარი ამ წინადადების თქმა, რომ უკვე ვინანე. ის ჩემკენ მოტრიალდა. „შენ, უბედურს?"

„არა, — ვუთხარი ღიმილით, — ცოტათი გზააბნეულს. უნდა ვინმე მოვნახო, ვინც ჩემით დაინტერესდება, მაგრამ ვერავინ შეძლებს ისეთი უფლებამოსილი იყოს, როგორც შენ ხარ".

„იცოდე, არაფერი მიამბო ამის შესახებ, — თქვა მან გაბრაზებით, მერე გადაიფიქრა. — არა, შენ მიამბობ, ყველაფერს მომიყვები. თუ ის ინდივიდი არასასიამოვნო იქნება, მე მას მივაგდებ. თუ არა, მაშინ თანხმობას განვაცხადებ. ერთი სიტყვით, მოვიქცევი ისე, როგორც ნამდვილი მამა".

ხელი მომკიდა და ნელა, დიდხანს მკოცნიდა ხელისგულზე. მე შევეხე მის

დახრილ კეფას. ძალიან ახალგაზრდა, ძალიან კარგი იყო ეს კაცი, რომელმაც შემომთავაზა თავგადასავალი ხვალინდელი დღისა სანტიმენტალობის გარეშე. ის ძალზე კეთილშობილი იყო.

„ორივენი ძალიან წესიერები ვართ," — ვთქვი დამრიგებლური კილოთი.

„კი, — დამთანხმდა ლუკი. — ასე ნუ ეწევი სიგარეტს, [illegible] გაძლევს კეთილშობილურ იერს".

მე წინწკლებიანი ხალათი მეცვა.

„თუმცა განა მე პატიოსანი ქალი ვარ? რას ვაკეთებ ამ დარბაზში, ახვის მეუღლესთან ერთად ამ კურტიზანულ ჩასაცმელში? განა არა ვარ იმ გზააცდენილ ახალგაზრდა სენტ-ჟერმენ და პრეს გოგოების მსგავსი, რომლებიც მამაკაცებთან დროს ტარებისას, მათი ოჯახების დანგრევისას სხვაზე ფიქრობენ?"

„კი, — თქვა მან საწყლად. — მე კი სხვა ქალის ქმარი, აქამდე წესიერი, ახლა ჭკუაზე გადასული პიჟონი, საწყალი პიჟონი. მოდი ჩემთან".

„არა. არა. უარს გიცხადებ, მე შენს ძარღვებში ვნებას ვაღვიძებ და უარს ვამბობ სიმშვიდეზე".

ის ლოგინზე დაეცა ხელებში თავჩარგული. გვერდით დავუჯექი დინჯი იერით და, როცა მან თავი ასწია, მკაცრად შევხედე.

„მე ვამპირი ვარ".

„მე კი ვინა ვარ?"

„ერთი საწყალი არსება, რომელსაც ოდესღაც კაცი ერქვა. ლუკ! კიდევ მთელი კვირა!"

მის გვერდით დავემხე! თმა მის თმას შევურიე. თმა თბილი იყო და ზღვის სურნელი და მარილის გემო ჰქონდა.

მარტო ვიყავი. ოტელის წინ შეზლონგზე ვიჯექი კმაყოფილი და ზღვას გავყურებდი. ჩემ გვერდით მოხუცი ინგლისელი ქალები ისხდნენ. დილის თერთმეტი საათი იყო. ლუკი ნიცაში წავიდა თავისი საქმეების მოსაგვარებლად. ნიცა მეც მომწონდა, მისი სადგურის მხარე, ინგლისურ ბულვართან, მაგრამ წაყოლაზე უარი ვუთხარი, რადგან მარტო ყოფნა მინდოდა.

ხოდა, აი, მარტო ვიყავი, ვამთქნარებდი უძილობით გამოფიტული. არაჩვეულებრივად კარგად ვგრძნობდი თავს. სიგარეტის ანთებისას ხელები მიკანკალებდა. სექტემბრის მზე სულაც არ იყო მწველი. მარტო კარგად ვგრძნობდი თავს. „ჩვენ კარგად ვართ მაშინ, როცა დაღლილები ვართ", ამბობდა ლუკი. ეს მართალი იყო.

მე ვეკუთვნოდი იმ ტიპის ადამიანებს, რომლებიც კარგად გრძნობენ თავს, როცა გამოლევენ თავისი სიცოცხლისუნარიანობის რაღაც ნაწილს, მომთხოვნელს და დამძიმებულს მოწყენილობით. სიცოცხლის იმ ნაწილს, რომელიც სვამს კითხვას: „რას უშვები შენს ცხოვრებას, რისი გაკეთების სურვილი გაქვს?", კითხვას, რომელზეც ერთი პასუხი მქონდა: „არაფრის".

ძალიან ლამაზმა ახალგაზრდა კაცმა ჩაიარა. უგულოდ შევათვალიერე. სილამაზე მაბნევდა, უხამსობად და მიუწვდომლად მეჩვენებოდა. ეს ახალგაზრდა კაცი მომეწონა შესახედავად, მაგრამ არარეალურად მეჩვენა. ლუკმა ყველა დანარჩენი კაცი განდევნა ჩემი ცხოვრებიდან. სამაგიეროდ, მე ვერ გამოვრიცხე ქალები მისი ცხოვრებიდან, ის მათ დაუზარებლად, თავაზიანად, უკრიტიკოდ იღებდა.

უცბად ზღვა ვეღარ დავინახე, თითქოს ბურუსი გადაეკრა, სული შემეხუთა. ხელი შუბლზე დავიდე. შუბლი სველი მქონდა, თუმცა ოფლის წვეთი ნე-

ლა ჩამისრიალდა ზურგში. ალბათ სიკვდილი სხვა არაფერია: ცისფერი ბურუსი, მსუბუქად ჩასრიალება უსასრულობაში. შემეძლო მოვმკვდარიყავი. სიკვდილს არ გავუწევდი წინააღმდეგობას.

უცბად უკანასკნელი სიტყვების აზრი დავიჭირე. მან გამიელვა გონებაში და საცაა ქუჩის ხმაურში ჩაიკარგებოდა. „არ გავუწევ სიკვდილს წინააღმდეგობას“, ამავე დროს, ბევრი რამ ამ ცხოვრებაში ძალიან მიყვარდა: პარიზი, სურნელება, წიგნები, სიყვარული, ჩემი აქტიური ცხოვრება ლუკთან. ქვეშეცნეულად ვგრძნობდი, რომ სხვასთან ვეროვისთან ვერ ვიქნებოდი ასე კარგად, როგორც ლუკთან, ის თითქოს ჩემთვის იყო დაბადებული და ჩვენი შეხვედრაც წინასწარ იყო გადაწყვეტილი. მაგრამ ჩემი ბედისწერა ისიც იყო, რომ ლუკი მიმატოვებდა. მერე შევეცდებოდი რაიმე ახალი თავგადასავალი წამომეწყო, ამაში დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ არასოდეს სხვასთან ასე, როგორც ლუკთან, არ ვიქნებოდი, ასე ნაკლებად მარტო, ასე მშვიდად. სულიერად დაწყნარებული და შინაგანად თავისუფალი. მაგრამ ის თავის ცოლთან წავიდოდა და დამტოვებდა მარტო ჩემ ოთახში, პარიზში, დამტოვებდა მარტოს უსასრულო საღამოებთან, სასოწარკვეთილებით მოცულს, ახალი, უხეირო რომანებით. წყნარად ავტირდი. ჩემი თავი შემეცოდა.

სამიოდე წუთს ცხვირს ვიწმენდდი. ჩემგან ორი შეზლონგით დაშორებული ინგლისელი ქალი იჯდა და დაკვირვებით, სიბრალულის გარეშე მიყურებდა. გავწითლდი. მერე მეც ყურადღებით შევხედე. ერთ წუთს მისდამი პატივისცემით გავიმსჭვალე. ესეც ადამიანი იყო, სხვა სახის ადამიანი. ის მე მიყურებდა, მე მას, დაკვირვებით, მზეში. ორივენი თითქოს დაბრმავებულები ვიყავით ერთმანეთის სახის აღმოჩენით. ორი არსება, რომელიც ერთ ენაზე არ ლაპარაკობდნენ და უყურებდნენ ერთმანეთს, როგორც აღმოჩენას. მერე ის ადგა და ჯოხზე დაყრდნობილი კოჭლობით წავიდა.

ბედნიერება — ეს რაღაც სრული ერთიანობაა წინააღმდეგობების გარეშე. კანის მოსაგონრად ალბათ სხვა რაიმე ძვირფასი სახსოვარი არ დამრჩებოდა ამ რამდენიმე უბედური წუთის, ლუკის სიცილის, ჩვენს ოთახში გატარებული ღამეების, მიმოზის დამათრობელი და მძაფრი სუნის გარდა. ჩემისთანა ადამიანისთვის ბედნიერება ალბათ რაღაც ისეთი დაბნეული შეგრძნებაა, როცა არაა მოწყენილი, არავისზე არაა დამოკიდებული. ახლა მეც ვიცნობდი ამ შეგრძნებას, ისე, როგორც ლუკის მზერის დაჭერისას ზოგჯერ მეგონა ხოლმე, რომ ყველაფერი კარგად მიდიოდა. ცხოვრების მთელი სიმძიმე მას აწვა ტვირთად და არა მე. ის ღიმილით მიყურებდა. ვიცოდი, რატომ იღიმებოდა და მეც მინდოდა გამეღიმა.

ერთი დილა უნდა გავიხსენო. აღფრთოვანების წუთი. ლუკი სილაზე იწვა. სიმაღლიდან ვხტებოდი. ყველაზე მაღალ პლატოზე ავედი. ლუკი პლიაჟზე ხალხში დავინახე. ზღვა სასიამოვნო იყო. ის მიცდიდა. ძალიან მაღლიდან ვხტებოდი. უნდა ზღვაში ჩავმხტარიყავი, ჩავფლულიყავი მასში. მარტო ვიქნებოდი. შემზარავად მარტო, ვიდრე ჩავხტებოდე. ლუკი მიყურებდა შეშინებული, ოდნავ ირონიულად. გადავხტი, ჩემ ირგვლივ წყალი შეირხა და მასთან შეხებისას ტკივილი ვიგრძენი. მერე ნაპირზე გამოვედი, ლუკის გვერდით დავემხე, წყლის წვეთები შევაშხეფე. თავი ხმელ ზურგზე დავადე და მხრებზე მოვეხვიე.

„შენ რა, გიჟი ხარ თუ ეგ, უბრალოდ, სპორტული ქინია?“ — თქვა მან.

„გიჟი ვარ“.

„მეც ასე ვფიქრობდი გაამაყებული, როცა მივხვდი, რომ იმ სიმაღლიდან

იმისათვის ხტებოდი, რათა ბოლოს ჩემთან მოსულიყავი, აღტაცებული, ბედნიერი ვიყავი".

„შენ ბედნიერი ხარ? არა, ეს მე ვარ ბედნიერი. ალბათ ბედნიერი უნდა ვიყო, თუმცა ჩემს თავს არ ვეკითხები, რატომ. ეს აქსიომაა, არა?

ვერ ვხედავდი, ისე ველაპარაკებოდი. იგი პირქვე იწვა, და მეტს ვერაფერს ვხედავდი, ჯანსაღი და ყავისფერი კეფისა.

„ფრანსუაზს შენს თავს კარგად დავუბრუნებ", — ვთქვი ხუმრობით.

„ცინიკოსი ხარ".

„შენ ნაკლებად ცინიკოსი ხარ, ვიდრე ჩვენ, ქალებზე. ყველა ქალი ცინიკოსია. შენ პატარა ბიჭი ხარ ჩემსა და ფრანსუაზს შორის".

„პრეტენზიულიც".

„ჩემზე უფრო პრეტენზიულიც. პრეტენზიული ქალები ამავე დროს სასაცილონიც არიან, კაცებს კი ეს ვაჟკაცურ იერს აძლევს და ისინიც სარგებლობენ ამით...".

„დრო გაათავე აქსიომებით ლაპარაკი. ამინდზე მითხარი რამე. არდადეგების დროს ეს ერთადერთი სასურველი თემაა".

„შესანიშნავი ამინდია", — ვთქვი, — „შესანიშნავი".

მერე ზურგზე დავწექი და დავიძინე.

როცა გამეღვიძა, ცა ჩაბნელებული იყო. პლიაჟი ცარიელი. პირი გამშრობოდა და დაქანცულობას ვგრძნობდი. ლუკი ჩემ გვერდით ქვიშაზე იჯდა, ჩაცმული, სიგარეტს ეწეოდა და ზღვას გასცქეროდა. მთელი წუთი ვუყურებდი ისე, რომ თვითონ ვერ მხედავდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა გაკვირვებულმა გავიფიქრე: „რაზე ფიქრობს ეს კაცი. რაზე შეიძლება ფიქრობდეს ცოცხალი არსება ზღვის პირას, მძინარე ადამიანის გვერდით." უცბათ ისეთი მარტოსული, ისეთი განადგურებული წარმომიდგა, რომ ხელი გავიწოდე და მის მხარს შევეხე. არც კი გაინძრა. ის არასოდეს არ კრთებოდა, იშვიათად ნახავდი გაკვირვებულს და კიდევ უფრო იშვიათად წამოიძახებდა რაიმეს.

„გაიღვიძე? — თქვა მან ზანტად და დანანებით გაიზმორა, — ოთხი საათია".

„ოთხი საათი? — წამოვხტი, — ამდენი მეძინა?"

„ნუ გიკვირს, — თქვა ლუკმა, — მაინც არაფერი საქმე არა გაქვს".

ეს წინადადება როგორღაც მკაცრად ნათქვამი მეჩვენა. თუმცა სიმართლეს ამბობდა. ჩვენ არაფერი გვქონდა ერთად გასაკეთებელი, არც სამუშაო და არც ნაცნობები გვყავდა საერთო.

„ნანობ?" — შევეკითხე.

ის ჩემკენ მოტრიალდა.

„მე მხოლოდ ეს მიყვარს. ჩაიცვი შენი სვიტერი, ძვირფასო, შეგცივა, და ოტელში წავიდეთ, ჩაი დავლიოთ".

კრუაზეტი უმზეოდ პირქუშად გამოიყურებოდა. მისი ბევრი პალმები ქარზე ოდნავ ირხეოდნენ. ოტელს ეძინა. ჩვენ ჩაი მოვითხოვეთ. ცხელი აბაზანა მივიღე და ლუკის გვერდით დასაწოლად მივედი, ის დაწოლილი კითხულობდა და დროდადრო სიგარეტის ფერფლს საფერფლეში ყრიდა. ცა მოღრუბლული იყო, დარაბები დავხურეთ. ოთახი ოდნავ იყო განათებული, ბნელოდა. ზურგზე ვიწექი, ხელები მუცელზე მეწყო, როგორც მკვდარს ან ლიპიან კაცს. თვალები დავხუჭე. მხოლოდ ლუკის ჟურნალის შრიალი არღვევდა შორეული ტალღების ხმაურს.

ჩემს თავს ვეუბნებოდი: „აი ლუკის გვერდით ვწევარ. შემიძლია ხელი გავიწოდო და შევეხო. მის სხეულს ვიცნობ, მის ხმას, ვიცი, როგორ ძინავს. ახლა ის კითხულობს. ცოტა მომწყინდა. მაგრამ ეს უსიამოვნო არ არის. მალე ჩვენ სადილად წავალთ, მერე ისევ დავწვებით ერთად, სამ დღეში კი ერთმანეთს დავცილდებით. არასოდეს ასე აღარ იქნება, როგორც ახლა. მხოლოდ ეს წუთი ხომ ჩვენია; არ ვიცი, სიყვარულია ეს თუ ურთიერთშეთანხმება, არც აქვს ამას მნიშვნელობა. ახლა მარტო ვართ. მან არ იცის, რომ მასზე ვფიქრობ. ის კითხულობს. მაგრამ ჩვენ ერთად ვართ, ჩემთანაა სითბო, რომელიც შეიძლება მან მომანიჭოს, და მცირედი გულგრილობაც. აქვს თვეში. დაშორებისას, აღარ მეხსომება ეს წუთები, მათ შეცვლის სხვა, უცარი და შემთხვევითი. მაგრამ ყველაზე მეტად ეს წუთები მეყვარება, წუთები, როდესაც მეჩვენება, რომ ცხოვრება წყნარი და დამათრობელია". ხელი გავიწოდე და „ფინიუარების ოჯახი" ავიღე (მახსოვს, ლუკი მსაყვედურობდა, ეს წიგნი რომ წაკითხული არ მქონდა). დავიწყე კითხვა და სიცილი, სანამ ლუკს არ მოუნდა ჩემთან ერთად სიცილი. მერე ორივენი ერთ გვერდს ვკითხულობდით, ლოყა ლოყასთან, მალე პირი პირთან. ბოლოს დარჩა წიგნი, რომელიც ძირს ეგდო, ჩვენი სიამოვნება და ღამე.

განშორების დღეც დადგა. ვთვალთმაქცობდი იმიტომ. რომ ვიცოდი, მას ეშინოდა, წასვლისას არ ავღელვებულიყავ. მე კი მეშინოდა, რომ ეს კიდევ უფრო ამაღელვებდა და ვცდილობდი არ მეხსენებინა, რომ ეს უკანასკნელი საღამო იყო. უბრალოდ, იმ ღამეს ბევრჯერ გამეღვიძა და შიშით ვეძებდი ლუკს, მის შუბლს, ხელებს, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ეს ნაზი, საერთო ძილი კიდევ არსებობდა. და ყოველთვის, თითქოს ამ შიშს უდარაჯებდა, თითქოს ამ დაძაბულობის გამო მისი ძილიც ფხიზელი იყო, მკლავებს მხვევდა. ხელს კეფაზე მიჭერდა და ჩურჩულით, თითქოს ცხოველს აწყნარებსო, უცხო ხმით მეუბნებოდა: „დაიძინე, დაიძინე". ეს იყო ბუნდოვანი და ჩურჩულით სავსე ღამე, დამძიმებული მიმოზის სურნელით, და კიდევ იყო ნახევრად ძილი და სითბო. მერე გათენდა, ვისაუზმეთ, ლუკმა თავისი ბარგი მოამზადა. მე — ჩემთან ველაპარაკებოდი გზაზე, რესტორანზე... თვითონვე მალიზიანებდა ჩემი ყალბი, წყნარი და მხნე კილო, რადგანაც სულაც არ ვგრძნობდი მხნეობას. დაბნეულობის გარდა არაფერს არ ვგრძნობდი, პირველად კომედიას ვთამაშობდი და უფრო წინდახედულად მეჩვენებოდა ასე გამეგრძელებინა. არ მინდოდა სევდა უფრო ადრე მოსულიყო, ვიდრე ლუკს მივატოვებდი. უმჯობესი იყო, ასეთი გამომეტყველება, ასეთი წყნარი სახე მიმელო და მშვიდად მოვქცეულიყავი.

„მზადა ვართ, ხო, — თქვა ლუკმა. — დავურეკავ. რომ მოვიდნენ".

მე გონს მოვედი.

„უკანასკნელად გავიხედოთ აივნიდან, — ვთქვი მელოდრამატულად. მან შეშფოთებულმა, ამ სურვილით გაკვირვებულმა შემომხედა და ჩემი გამომეტყველების შემხედვარემ სიცილი დაიწყო.

„შენ მართლა უგრძნობელი, ცინიკოსი ხარ. მე შენ მომწონხარ".

მან ხელები მომხვია და ნელა შემანჯღრია.

„იცი, იშვიათად ვინმეს უთხრანა მე შენ მომწონხარ, — ერთად გატარებული თხუთმეტი დღის შემდეგ".

„ეს არ იყო მარტო ერთად გატარებული დღეები, — შევეკამათე, — ეს თაფლობის თვე იყო".

„მით უმეტეს“, — თქვა მან და მომცილდა. იმ წუთს მართლა ვიგრძენი, რომ მტოვებდა, და სურვილი დამებადა, პიჯაკის კალთებში ჩავბღაუჭებოდი. ეს იყო წამიერი და არასასიამოვნო შეგრძნება.

დაბრუნება არ გაგვჭირვებია. ცოტა ხანს მანქანა მე მიმყავდა. ლუკმა მითხრა, რომ პარიზში ღამე ჩავედით და რომ მეორე დღეს დამირეკავდა. ჩვენ ვისადილებდით ფრანსუაზთან ერთად, რომელმაც ეს თხუთმეტი დღე ქალაქგარეთ, დედასთან გაატარა. ფრანსუაზთან შეხვედრა მაფიქრებდა, მაგრამ ლუკმა გამაფრთხილა, მოგზაურობაზე არაფერი თქვა. თვითონ მოვაგვარებ ყველაფერსო. შემოდგომა კარგად მქონდა წარმოდგენილი. ლუკს ხანდახან შევხვდებოდი, რომ ტუჩებში მეკოცნა და გვესიყვარულა. ვერ წარმომედგინა, რომ შეეძლო ფრანსუაზის მიტოვება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს წინასწარ იყო დათქმული და ბოლოს იმიტომ, რომ ფრანსუაზის მიტოვება შეუძლებლად მიმაჩნდა. ლუკს კიდევაც რომ შემოეთავაზებინა, მე ვერ დავუშვებდი ამას.

ლუკმა მითხრა, რომ ბევრი უინტერესო სამუშაო ელოდა. მე კი სასწავლო წელი მეწყებოდა და მელოდა ცოდნის უცილობელი გაღრმავება, რამაც საკმაოდ მომაბეზრა თავი გასულ წელს. ერთი სიტყვით, პარიზში მოწყენილები შევდიოდით. ეს მომწონდა, რადგანაც ერთნაირი მოწყენილობა ორივეში ერთნაირ სევდას ბადებდა და გვაკავშირებდა. ეს კავშირი იყო, რადგანაც მსგავსნი ვიყავით.

პარიზში გვიან ღამით ჩამოვედით. ჩემი ბინის კარიბჭესთან ლუკს შევხედე. მას დაღლილი სახე ჰქონდა. ვიფიქრე, რომ კარგად დავაღწიეთ თავი ამ პატარა თავგადასავალს, რომ ჩვენ საკმაოდ მოზრდილები, ცივილიზებულნი და ჭკვიანები ვიყავით. მერე უცბად მომერია სიბრაზე და ძალზე შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი.

## ნაწილი III

### თავი I

პარიზის თავიდან აღმოჩენა არასოდეს არ მჭირდებოდა; ის ჩემთვის კარგად იყო ნაცნობი. მაგრამ ახლა გაკვირვებული ვიყავი მისი სილამაზითა და იმ სიამოვნებით, რომელიც მივიღე მის ქუჩებში, ზაფხულის პარიზის ცარიელ ქუჩებში სეირნობისას. ამან სამი დღით ამაცილა იმ სიცარიელეს, იმ უაზრობის შეგრძნებას, რომელსაც ჩემში ლუკთან დაცილება იწვევდა. მას ვეძებდი თვალებით, ხანდახან, ღამე, ხელითაც. და ყოველთვის მისი არყოფნა არანორმალურად და უაზროდ მიმაჩნდა. მალე იმ თხუთმეტმა დღემ გარკვეული სახე მიიღო ჩემს მეხსიერებაში, სავსე და მკაცრი სახე. უცნაურია, მაგრამ ჩემს დამარცხებას ვერ ვგრძნობდი, პირიქით, გამარჯვებულად მიმაჩნდა თავი. ეს გამარჯვება, კარგად მესმოდა, გააძნელებდა, წამებად აქცევდა ყველა მსგავს ცდას.

ბერტრანი უნდა ჩამოსულიყო. რა მეთქვა მისთვის? ის ალბათ ჩვენი ურთიერთობის განახლებას მოინდომებდა. მაგრამ რა აზრი ჰქონდა ამას და, რაც მთავარია, როგორ ამეტანა სხვა სხეული, სხვა სუნთქვა, თუ არა ლუკისა.

ლუკმა არც მეორე და არც შემდეგ დღეს არ დამირეკა. ვფიქრობდი, რომ ეს ფრანსუაზთან ახსნა-განმარტებით იყო გამოწვეული. ორგვარი შეგრძნება

მქონდა: საკუთარი ღირსების და ასევე სირცხვილის. ბევრს დავდიოდი, გულ-
გრილად და უინტერესოდ ვფიქრობდი მომავალ წლებზე. ვფიქრობდი, მეპოვ
ნა რაიმე უფრო საინტერესო, ვიდრე სამართალი იყო. ვიმედოვნებდი, რომ
ლუკი თავის მეგობარს, ჟურნალის რედაქტორს გამაცნობდა, აქამდე იმერცი-
ის ძალა მაიძულებდა გრძნობაში მეძია სიმშვიდე, ახლა მე[illegible]-

ბიბლიოთეკა

ლობის არჩევაში მომეპოვებინა იგი.

ორი დღის შემდეგ უკვე ველარ ვეწინააღმდეგებოდი ლუკის ნახვის სურ-
ვილს, პატარა თავაზიანი ბარათი გავუგზავნე, რადგან დარეკვას ვერ ვბედავდი.
ვთხოვდი დაერეკა. მეორე დღეს დამირეკა და მითხრა, რომ ქალაქგარეთ ფრან-
სუაზის ჩამოსაყვანად იყო წასული, ამიტომ ვერ შეძლო უფრო ადრე შეხვედ-
რა. დაძაბული ხმა ჰქონდა. ვიფიქრე, რომ მოვენატრე. სანამ მელაპარაკებოდა,
წარმოვიდგინე ჩვენი შეხვედრა კაფეში. ის ხელში ამიყვანდა, მეტყოდა, რომ
უჩემოდ სიცოცხლე აღარ შეეძლო, რომ სისულელე იყო უჩემოდ გატარებუ-
ლი ის ორი დღე. მეც, თვალთმაქცობის გარეშე, ვეტყოდი, რომ იგივეს ვფიქ-
რობდი. ლუკი გამოსავალს იპოვიდა. ის შემხვდა კაფეში, რათა ეთქვა, რომ
ფრანსუაზი კარგად იყო და რომ არაფერი უკითხავს მისთვის. ამბობდა, რომ
ბევრი სამუშაო ჰქონდა. „ძალიან ლამაზი ხარ", — მითხრა და ხელზე მაკოცა.

შეცვლილი მეჩვენა, მას მუქი კოსტიუმი ეცვა, რაღაც სხვანაირი, სასურ-
ველი იერი ჰქონდა. ვუყურებდი მის ნათელ და დაღლილ სახეს. უცნაურად მე-
ჩვენებოდა, რომ მე აღარ მეკუთვნოდა. ვფიქრობდი, რომ ვერ შევძელი მესარ-
გებლა ლუკთან გატარებული იმ დღეებით (ეს სიტყვა უხამსად მომეჩვენა).
მხიარულად ვლაპარაკობდი და ისიც ასევე მპასუხობდა. ორივენი არაბუნებრი-
ვად ვიქცეოდით. რადგან ალბათ გვიკვირდა, რომ ერთად გატარებული თხუთ-
მეტი დღე, რომელმაც ასე კარგად ჩაიარა, ახლა უმნიშვნელო გახდა ჩვენთვის.
მაგრამ როცა ადგა, შევშფოთდი, მინდოდა მეთქვა: „კი მაგრამ, სად მიდიხარ?
რად მტოვებ მარტო?" იგი წავიდა და მარტო დავრჩი. არაფერი მქონდა გასა-
კეთებელი. ვფიქრობდი, „ეს ყველაფერი სასაცილოა", და მხრებს ვიჩეჩდი.
ვსეირნობდი ერთ საათს, ერთ თუ ორ კაფეში შევედი, სადაც იმედი მქონდა
ვინმეს შევხვდებოდი, მაგრამ ჯერ არავინ არ იყო ჩამოსული. თხუთმეტი დღე
რჩებოდა სწავლის დაწყებამდე და ისევ იონში წასვლა გადავწყვიტე. მაგრამ
რადგანაც ორი დღის შემდეგ ლუკთან და ფრანსუაზთან უნდა მესადილა, ვი-
ფიქრე დამეცადა და მერე წავსულიყავი.

ეს ორი დღე კინოში და ჩემს საწოლზე გავატარე. ვკითხულობდი ან მე-
ძინა. ჩემი ოთახი უცხოდ მეჩვენა. ბოლოს საღამოს საგულდაგულოდ გამოვეწ-
ყვე და მათთან წავედი სადილზე. ზარს რომ ვრეკავდი, ერთი წუთით შემეშინ-
და, მაგრამ კარი ფრანსუაზმა გამიღო და მისმა ღიმილმა დამაწყნარა. ლუკის-
გან ვიცოდი, რომ ფრანსუაზი არასოდეს არ ჩაიგდებდა თავს სასაცილო მდგო-
მარეობაში და მოიქცეოდა ისე, როგორც მის ღირსებას შეეფერებოდა. ის
არასდროს არ ყოფილა და არც იქნებოდა მოტყუებული.

ეს უცნაური სადილი იყო. სამივენი ერთად ვიყავით და ყველაფერი კარ-
გად მიდიოდა. სანამ ვისადილებდით, ბევრი დავლიეთ. მეჩვენებოდა, რომ ფრან-
სუაზმა არაფერი იცოდა, მაგრამ როგორღაც უფრო ყურადღებით მიყურებ-
და, ვიდრე საერთოდ. დროდადრო ლუკი თვალებში შემომხედავდა და ისე მე-
ლაპარაკებოდა, ვცდილობდი მხიარულად და ბუნებრივად მეპასუხა. ლაპარაკი
ბერტრანს შეეხო, რომელიც მომავალ კვირას უნდა ჩამოსულიყო.

„მე აქ არ ვიქნები", — ვთქვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სად იქნები?" — იკითხა ლუკმა.

„ალბათ რამდენიმე დღეს ჩემს მშობლებთან გავატარებ".

„როდის ჩამოხვალ?"

ეს ფრანსუაზი იყო.

„თხუთმეტ დღეში".

„დომინიკ, შენობით გელაპარაკებით, — წამოიძახა უცბად მან. — ზედმეტად მიმაჩნია თქვენობით ლაპარაკი".

„ვილაპარაკოთ შენობით", — თქვა ლუკმა სიცილით და დისკოთეკისკენ წავიდა. მზერა გავაყოლე. როდესაც ფრანსუაზისკენ შემოვტრიალდი, დავინახე, რომ მიყურებდა. ცოტათი შეწუხებულმა შევხედე, შემეშინდა, დამფრთხალი იერი არ მქონოდა. იგი მოწყენილი ღიმილით,რომელმაც შემაძრწუნა, მომიახლოვდა და ხელი შემახო.

„თქვენ, თუმცა შენ, გამომიგზავნი წერილს, დომინიკ. შენ არ გითქვამს, როგორ დაგიხვდა დედაშენი".

„კარგად, — ვუთხარი, — მე ის...".

და გავჩერდი. ლუკს ის ფირფიტა მოეძებნა, რომელსაც კანში ვუკრავდით. უცბად ყველაფერი გაცოცხლდა. ის არ მოტრიალებულა. ვიგრძენი, ამ წყვილის, ამ მუსიკის, ფრანსუაზის ყურადღების, რომელიც, ამავე დროს, არ იყო ყურადღება, ლუკის სანტიმენტალობის, რომელიც ასევე არ იყო სანტიმენტალობა, მოკლედ, მთელი ამ ნარევის გამო აზრი დამებნა. გაქცევის სურვილი მკლავდა.

„ეს ფირფიტა ძალიან მიყვარს", — თქვა ლუკმა წყნარად.

ის დაჯდა და მივხვდი, რომ არაფერზე არ ფიქრობდა, ჩვენს არასასიამოვნო დიალოგზედაც კი ფირფიტა-სუვენირის შესახებ. უბრალოდ, ეს მელოდია მას ორჯერ-სამჯერ გაახსენდა და იყიდა, რათა თავი დაეღწია მისგან.

„მეც ძალიან მიყვარს", — ვთქვი.

მან ჩემკენ მოიხედა, გაახსენდა და გამიღიმა, ისე თბილად, ისე გულიანად, რომ თვალები დავხარე. ფრანსუაზი სიგარეტს უკიდებდა. შეცბუნებული ვიყავი, ეს არ იყო ყალბი სიტუაცია. ასე მეგონა, საკმარისი იყო თითოეულს წყნარად, მიუკერძოებლად გამოეთქვა თავისი აზრი, ისე, თითქოს ეს ყველაფერი მას არ ეხებოდა.

„მივდივართ თუ არა პიესის სანახავად?" — იკითხა ლუკმა, მერე ჩემკენ მოტრიალდა, რომ აეხსნა. — ახალ პიესაზე მიპატიჟება მივიღეთ, შეგვიძლია სამივენი წავიდეთ".

„კეთილი, რატომაც არა", — ვთქვი.

მინდოდა გიჟური სიცილით დამემატებინა: „რასაკვირველია, მხოლოდ ესღა გვაკლია".

ფრანსუაზმა თავის ოთახში წამიყვანა, რათა მოეზომებინა მანტო, ჩემზე უფრო შესაფერისი რომ იქნებოდა, ჩამაცვა ერთი, მეორე, შემომატრიალა, ამიწია საყელო. ერთი წუთით, როდესაც საყელოს ორი ბოლოთი სახე დამიჭირა, სიცილით გავიფიქრე: „მე მის ხელში ვარ. შეუძლია დამახრჩოს, ანდა მომკლას". მაგრამ მან გამიღიმა:

„თქვენ ცურავთ ამ მანტოში".

„მართლაც", — ვუთხარი ისე, რომ არც კი მიფიქრია მანტოზე.

„როცა დაბრუნდებით, გამომიარეთ".

„აი, მორჩა, — გავიფიქრე, — ის მომთხოვს, რომ ლუკს აღარ შევხვდე. შევძლებ კი ამას!“ „არა, ვერ შევძლებ!“ იყო მზად პასუხი.

„გადაწყვეტილი მაქვს, ყურადღება მოგაქციოთ, შესაფერისად ჩაგაცვათ და გაჩვენოთ უფრო საინტერესო რამ, ვიდრე სტუდენტები და ბიბლიოთეკა“.

„ღმერთო ჩემო, — ვფიქრობდი, — ვერაფერი შესაფერისი [illegible] ამის სათქმელად“.

„არა? — მკითხა მან, რადგან ვდუმდი, — მე შვილი მინდა ვიგრძნო შენში (ამას სიცილით, მაგრამ თავაზიანად ამბობდა), — და მინდა ეს შვილი თვითნება და მეტად ინტელექტუალური იყოს“...

„თქვენ ძალიან თავაზიანი ხართ, — ვუპასუხე, — არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო“.

„თქვენ ხელს ნუ შემიშლით“, — თქვა მან სიცილით.

„კრაზანების ბუდეში მოვექეცი“, — გავიფიქრე. მაგრამ თუ ფრანსუაზს ვუყვარვარ და ჩემთან შეხვედრა უნდა, მაშინ ლუკს უფრო ხშირად შევხვდები, იქნებ ყველაფერი გავუმხილო, იქნებ ეს მისთვის ცოტათი სულერთიც იყოს ათი წლის ქორწინების შემდეგ.

„რატომ გიყვარვართ?“ — შევეკითხე.

„თქვენ ისეთივე ხართ, როგორიც ლუკი, — ცოტათი უბედური, დაბადებული იმისათვის, რომ დაგამშვიდოთ ისეთმა ადამიანმა, როგორიც მე ვარ, ვენერას ნიშნით დაბადებული, და ამას ვერ გაექცევით“.

ფიქრით ხელები ზეცისკენ აღემართე, მერე თეატრში წავედით. ლუკი იცინოდა, ლაპარაკობდა. ფრანსუაზი მიხსნიდა, ვინ იყო ეს ხალხი, ვინ ვის ახლდა. ბოლოს პანსიონამდე მიმაცილეს და ლუკმა ძალიან ბუნებრივად ხელზე მაკოცა. სახლში ცოტათი გაბრუებული შევედი, დავიძინე და მეორე დღეს იონში წავედი.

## თავი 2

იონი ნაცრისფერი იყო და აუტანლად მოსაწყენი. ეს არ იყო უბრალოდ მოწყენილობა, იგი ლუკზე ფიქრმა მომგვარა. ერთი კვირის შემდეგ უკან წამოვედი. დედაჩემი ჩემი წასვლის წინ უეცრად თავისი მელანქოლიიდან გამოფხიზლდა და მკითხა, ბედნიერი ვიყავი თუ არა. დავარწმუნე, რომ ძალიან მიყვარდა სამართალი, რომ ბევრს ვმუშაობდი და მყავდა კარგი ამხანაგები. და ისიც მშვიდად დაუბრუნდა თავის მელანქოლიას. არც ერთი წუთით არ დამბადებია სურვილი ყველაფერი მეთქვა. ანდა რა მეთქვა? აშკარად დავბერდი.

პანსიონატში ბერტრანის წერილი დამხვდა. მთხოვდა, რომ დაბრუნდები, მაცნობეო. ცხადია, იგი ჩემგან ახსნა-განმარტებას ელოდა. კატერინას თავშეკავების იმედი არ მქონდა და ამიტომ თავს მოვალედ ვგრძნობდი ბერტრანის წინაშე. დავურეკე და შევუთანხმდი შეხვედრაზე. სანამ მოვიდოდა, უნივერსიტეტის სასადილოში ჩავეწერე.

ბერტრანს ექვს საათზე, სენტ-ჟაკის ქუჩაზე კაფეში შევხვდი. მომეჩვენა, თითქოს არაფერი მომხდარა, რომ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. მაგრამ, როდესაც ადგა და ლოყაზე დინჯად მაკოცა, სინამდვილე გამახსენდა. შევეცადე უდარდელი და დამოუკიდებელი სახე მქონოდა.

„გალამაზებულხარ,“ — ვუთხარი გულწრფელად, თავში კი ცინიკურმა ფიქრმა გამკრა: „სამწუხაროდ“.

„შენც, — სწრაფად მომიგო, — მინდა იცოდე. კატერინამ ყველაფერი მითხრა".

„რა ყველაფერი?"

„თქვენი დღეების შესახებ Cote-ში. როცა დავფიქრდი, მივხვდი, რომ ეს ლუკი იყო. ხომ სწორია?"

„კი", — ვუთხარი (აღელვებული ვიყავი. ის არ ბრაზობდა, უბრალოდ, მშვიდად და ცოტათი მოწყენილი მელაპარაკებოდა).

„ხოდა, მე არ ვეკუთვნი იმ ტიპის მამაკაცებს, რომელთაც შეთავსება უყვართ. მე შენ კიდევ მიყვარხარ, იმდენად, რომ შემიძლია ამას ყურადღება არ მივაქციო, რომ არ გავგიჟდე ეჭვიანობით და არ განვიცადო, როგორც ამ გაზაფხულზე. არჩევანი შენზეა".

მან ეს უცბად თქვა.

„რა არჩევანი?" — ლუკი მართალი იყო, ბერტრანი ჩემთვის პრობლემას აღარ წარმოადგენდა.

„შენ ან აღარ შეხვდები ლუკს და ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით, ანდა შენ მას შეხვდები და ჩვენ კარგი მეგობრები დავრჩებით. ეს მინდოდა მეთქვა".

„ცხადია, ცხადია".

სათქმელი არაფერი მქონდა. ის დავაჟკაცებულიყო, უფრო დარბაისელი ჩანდა და თითქმის მომწონდა, მაგრამ იგი აღარაფერს ნიშნავდა ჩემთვის. სრულიად არაფერს. ხელით შევეხე ხელზე.

„ძალიან ვწუხვარ, — ვუთხარი, — მაგრამ არაფერი შემიძლია".

ერთ წუთს წყნარად იჯდა და ფანჯარაში იყურებოდა.

„ეს, ცოტათი არ იყოს, ძნელი ასატანია", — თქვა მან.

„არ მიყვარს, როცა ჩემ გამო წუხხარ, — ეთქვი. — მართლა ძალიან განვიცდი".

„ეს სულაც არ არის ისე ძნელი. — ჩაილაპარაკა თავისთვის, — როცა უკვე გადაწყვეტილია საქმე, ყველაფერი თავისთავად ხდება და სულაც არ გიჭირს. ძნელია, როცა ებღაუჭები".

უცბად ჩემკენ მოტრიალდა.

„გიყვარს?"

„არა, — ვთქვი გაღიზიანებით, — უბრალოდ, ჩვენ ძალიან კარგად გვესმის ერთმანეთის. ესაა და ეს".

„თუ მოიწყენ, მე აქა ვარ, — თქვა მან. — დარწმუნებული ვარ, რომ იდარდებ. შენ ნახავ, ლუკი — ეს თითქმის არაფერია, ერთი მოწყენილი ინტელიგენტი, მეტი არაფერი". ალტაცებით ვფიქრობდი ლუკის სითბოზე, მის სიცილზე.

„ჩემი იმედი გქონდეს, — თქვა მან ფიცხად. — მე აქ ვიქნები. შენ იცი, დომინიკ, მე ძალიან ბედნიერი ვიყავი შენთან".

ორივეს ტირილი გვინდოდა. მას იმიტომ, რომ ყველაფერი გათავდა და მაინც კიდევ რაღაცის იმედი ჰქონდა. მე კი იმიტომ, რომ ნამდვილ მფარველს ვკარგავდი, რათა საეჭვო თავგადასავლისთვის მიმეცა თავი. ავდექი და ნელა ვაკოცე.

„ნახვამდის, ბერტრან, მაპატიე".

„წადი!" — მითხრა თბილად.

წამოვედი, სული დაცარიელებული მქონდა. ეს წელი დიდებულად მეწყებოდა. კატერინა ჩემს ოთახში მიცდიდა. ტრაგიკული იერით იჯდა ლოგინზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დამინახა, ადგა, ხელი ჩამომართვა. მეც უსიცოცხლოდ მივესალმე და დავჯექი.

„დომინიკ, ბოდიშის მოხდა მინდოდა. ბერტრანისათვის ალბათ არაფერი არ უნდა მეთქვა. შენ როგორ ფიქრობ?“

კითხვა ძალიან მომეწონა.

„არა აქვს მნიშვნელობა. ალბათ ჯობდა, მე თვითონ მეთქვა, მაგრამ არა უშავს“.

„კარგი“, — მან შვებით ამოისუნთქა.

კატერინა ისევ ლოგინზე დაჯდა აღგზნებული და კმაყოფილი.

„ახლა მომიყევი“.

ვერაფერი ვერ ვთქვი და გადავიხარხარე.

„არა, არაჩვეულებრივი ვინმე ხარ, კატერინა. ხელდახელ ჩაარაკრაკე ბერტრანის ამბავი — და მორჩი ამ უსიამოვნებას! ახლა ახალი ამბები გინდა, უფრო საინტერესო.“

„ნუ დამცინი, — მითხრა პატარა ბავშვივით, — მომიყევი“.

„მოსაყოლი არაფერია, — ვუთხარი ცივად. — თხუთმეტი დღე გავატარე Cote-ში იმასთან, ვინც მომწონდა, და ყველაფერი ამით დამთავრდა“.

„ცოლიანია?“ — მკითხა მან შემპარავად.

„არა, ყრუ-მუნჯი. აბა, ბარგი უნდა ამოვალაგო“.

„მე არხეინად ვარ, — თქვა მან, — მაინც ყველაფერს მომიყვები“.

„ყველაზე საშინელი ის არის, რომ ალბათ ასეც იქნება, — გავიფიქრე კარადის გაღებისას, — ერთ სევდიან დღეს...“.

„მე კი, — განაგრძო მან, — შეყვარებული ვარ“.

„ვინ არის?“ — ვთქვი — ა, ალბათ უკანასკნელი“.

„თუ შენ ეს არ გაინტერესებს...“

და მაინც განაგრძო. გაბრაზებული ვალაგებდი. „რატომ მყავს ასეთი მომაბეზრებელი ამხანაგი. ლუკი ამას ვერ აიტანდა. მაგრამ ლუკს აქ რა ესაქმება. ეს ხომ ჩემი ცხოვრებაა“.

„ერთი სიტყვით, მე ის მიყვარს“, — დაამთავრა მან.

„მაინც რას ეძახი სიყვარულს?“ — ვკითხე ცნობისმოყვარედ.

„არ ვიცი. სიყვარული ნიშნავს — იფიქრო მასზე, წახვიდე მასთან ერთად, სხვებისაგან გამოარჩიო, ასე არ არის?“

„არ ვიცი, ალბათ“.

ალაგებას მოვრჩი. იმედდაკარგული ლოგინზე ჩამოვჯექი. კატერინა თავაზიანი გახდა.

„ჩემო დომინიკ, შენ გიჟი ხარ. არაფერზე არ ფიქრობ. წამოდი ამ საღამოს ჩვენთან. მე, გასაგებია, ჟან-ლუისთან და მის ამხანაგთან ერთად ვიქნები. ძალიან განათლებული ბიჭია. ლიტერატურა აინტერესებს. გაერთობი“.

არაფრით არ მინდოდა ლუკისთვის ორ დღეზე ადრე დამერეკა. დაღლილი ვიყავი, ცხოვრება მოსაწყენ წრებრუნვად მეჩვენებოდა. — ისეთი მყარი ელემენტით მის ცენტრში, როგორიც ლუკი იყო. მარტო მას ესმოდა ჩემი, მშველოდა. ის მჭირდებოდა.

კი, მე ის მჭირდებოდა. მისგან არაფრის მოთხოვნა არ შემეძლო, მაგრამ, ამავე დროს, როგორღაც პასუხს აგებდა ჩემს ბედზე, თუმცა მან ეს არ იცოდა, არც უნდა ცოდნოდა. შეთანხმება შეთანხმებაა, მაშინაც კი, როცა ერთ-ერთს ხელს აღარ აძლევს.

„წამოდი, — ვთქვი, — წავიდეთ, ვნახოთ შენი ჟან-ბერნარი და მისი განათლებული ამხანაგი, თუმცა მეცინება განათლებულ კაცზე. არა, მთლად ასე არ არის, მაგრამ მე მხოლოდ მოწყენილი განათლებულები მიყვარს, ისინი კი, რომლებიც ყველაფრიდან იოლად გამოძვრებიან ხოლმე, ძარღვებს მიშლიან“.

„ჟან-ლუი და არა ჟან-ბერნარი, — გამისწორა კატერინამ, — გამოძვრებიანო, მაინც რისგან?

„აი, ამისგან“, — ვთქვი პათოსით და ფანჯრიდან ვუჩვენე ჯოჯოხეთივით მოწყენილი მონაცრისფერო-მოვარდისფრო ცა.

„ასე არვარგა“, — შეშფოთებით მომიგო და კიბეზე ჩასვლისას მკლავში ხელი გამომდო.

ბოლოს და ბოლოს კატერინა მაინც მიყვარდა. მისი ჟან-ლუი ძალიან ლამაზი იყო, ცოტათი საეჭვო სილამაზისაც, მაგრამ სასიამოვნო. მისი მეგობარი ალენი უფრო დახვეწილი და სასაცილო ჩანდა, თავის განსწავლულობაში დარწმუნებული. ჰქონდა ღრმად განსჯის უნარი, რაც ბერტრანს აკლდა. ჩვენ სწრაფად მივატოვეთ კატერინა და მისი მეგობარი, რომლებიც საკუთარ გრძნობებს არ მალავდნენ, სრულიად უადგილოდ ამჟღავნებდნენ, კაფეშიაც კი.

ალენმა პანსიონამდე მიმაცილა. გზად სტენდალზე და, საერთოდ, ლიტერატურაზე მელაპარაკებოდა. ამ ორი წლის განმავლობაში პირველად დავინტერესდი ამ საკითხით. ის არც უშნო იყო და არც ლამაზი. დავეთანხმე, ორი დღის შემდეგ ერთად გვესადილა, რადგან ვიცოდი, რომ ორ დღეს ლუკს ვერ ვნახავდი. ყველაფერი უკვე ლუკზე იყო დამოკიდებული და ჩემ გარეშე ხდებოდა.

## თავი 3

ცხადი იყო, ლუკი მიყვარდა. ეს მალე დავადგინე, პირველივე ღამეს, რომელიც ისევ მასთან გავატარე სანაპიროზე, ოტელში. სიყვარულის შემდეგ ის ზურგზე იწვა და თვალებდახუჭული მელაპარაკებოდა. მან მითხრა: მაკოცეო, და მეც წამოვიწიე, იდაყვს დავეყრდენი, რომ მისთვის მეკოცნა. მაგრამ მიახლოვებისას უეცარმა სევდამ შემიპყრო, ავადმყოფურმა რწმენამ იმისა, რომ ეს სახე, ეს კაცი ერთადერთი და აუცილებელი იყო ჩემთვის. ის წარმოუთქმელი სიამოვნება, ის მოლოდინი, რომელიც ამ ტუჩებში იმალებოდა, იყო სიამოვნების, სიყვარულის მოლოდინი. მე ის მიყვარდა. არ მიკოცნია, ისე დავემხე მის მხარზე შეშინებული, კვნესით.

„გეძინება? — თქვა და ხელი ზურგზე მომხვია. ჩაიცინა. — პატარა ცხოველივით ხარ. სიყვარულის შემდეგ ან გძინავს ან გწყურია“.

„მე გავიფიქრე, — ვთქვი, — რომ ძალიან მიყვარხართ“.

„მეც, — თქვა მან და მხრებზე ხელი მომისვა. — სამი დღე არ მინახიხარ და უკვე თქვენობით მელაპარაკები“.

„მე თქვენ პატივს გცემთ, — ვუთხარი. — პატივს გცემთ და მიყვარხართ“. ორივეს გაგვეცინა.

„არა, — ვთქვი დინჯად, ისეთი გატაცებით, თითქოს ეს ბრწყინვალე აზრი უცბად მომივიდა. — რას იზამთ, მართლა რომ შემიყვარდეთ?“

„აკი უკვე გიყვარვარ“, — მიპასუხა თვალებდახუჭულმა.

„მე მინდა ვთქვა, რას იზამთ, თუ ჩემთვის აუცილებელი გახდებით, თუკი მომინდება, რომ ყოველთვის ჩემთან იყოთ“.

„ეს ძალიან მოსაწყენი იქნება, — თქვა მან. — დამაკმაყოფილებელიც კი არა“.

„მაგრამ მე რას მეტყოდით“.

„გეტყოდი, ოხ, დომინიკ, მაპატიე, დომინიკ“.

მე ამოვიოხრე. მაშასადამე, მასაც ჰქონდა წინდახედული, ნამუსიანი კაცის რეფლექსი, ასეთ დროს რომ ამბობენ: „აკი წინასწარ გაგაფრთხილე“.

„მე თქვენ წინასწარ შეგინდობთ“, ვთქვი მე.

„მომაწოდე სიგარეტი, შენს მხარეს აწყვია“, — თქვა ნაზად.

ჩუმად ვეწეოდით. ჩემთვის ვამბობდი: „მე ის მიყვარს. სიყვარული სხვა არაფერია, გარდა აზრისა: მე ის მიყვარს. ამას იქით სხვა გზა არ არის. შვება ამაშია.

მართლაც, მთელი ამ კვირის განმავლობაში მეტი არაფერი არ იყო. ლუკის ხმა ტელეფონში, 15 და 16-მდე ღამით თავისუფალი იქნები? სამ-ოთხ საათში ერთხელ ვიმეორებდი ამ სიტყვებს, ასე ცივად რომ წარმოთქვა ყურმილში. ეს ჩემში ბედნიერების შეგრძნებას იწვევდა და გულს მიკუმშავდა. ახლა მის გვერდით ვიყავი და დრო ძალზე მძიმედ, უფერულად გადიოდა.

„უკვე დროა წავიდე, — თქვა მან. — ხუთის ნახევარია, გვიანაა“.

„კი, — ვთქვი, — ფრანსუაზი აქ არის?“

„დავუბარე, რომ ბელგიელებთან ერთად მონმარტრზე მივდიოდი. მაგრამ კაბარე უკვე იკეტება“.

„მერე რას იტყვის? უკვე გვიანაა, ხუთი საათი ბელგიელებისთვისაც გვიანაა“.

ის თვალდახუჭული ლაპარაკობდა.

„შევალ, ვიტყვი, ოჰ, ეს ბელგიელები, და გავიზმორები. ის ჩემკენ გადმობრუნდება, შემახსენებს, რომ სელტერის წყალი სააბაზანოშია, და ისევ დაიძინებს“.

„ცხადია, — ვთქვი, — ხვალ კი მოუყვებით კაბარეზე, მოსაწყენ ბელგიელებზე და...“.

„არა, უბრალოდ, ჩამოვთვლი. ტყუილის არავითარი სურვილი არა მაქვს და არც დრო მაქვს ამისათვის“

„სხვა რისთვის გაქვთ დრო?“ — ვთქვი.

„არაფრისთვის. არც დრო, არც ძალა, არც სურვილი. რაიმე უნარი რომ გამაჩნდეს, შეგიყვარებდი“.

„ეს რამეს შეცვლიდა?“

„არაფერს. ჩვენთვის არაფერს. ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობ. უბრალოდ, უბედური ვიქნებოდი შენ გამო, მაშინ როცა ახლა კმაყოფილი ვარ“.

ჩემს თავს ვეკითხებოდი ,იქნებ ამას ჩემი სიტყვების პასუხად, თავის დაზღვევის მიზნით ამბობდა. მაგრამ მან ხელი შემახო თავზე და მაღალფარდოვნად თქვა:

„შენთვის ყველაფრის თქმა შემიძლია, ეს კი ძალიან მომწონს. ფრანსუაზს ვერ ვეტყოდი, რომ ის მართლა არ მიყვარს, რომ ჩვენს ურთიერთობას არ გააჩნია მყარი და კეთილშობილური საფუძველი. ყველაფრის ძირისძირი კი ჩემი ლაღილობაა, ჩემი მოწყენილობა, ძალიან მყარი და მნიშვნელოვანი საფუძველი. სიმარტოვეზე, მოწყენილობაზე მტკიცე და ხანგრძლივი კავშირები შეიძლება აიგოს, იგი უძრავია“.

თავი ავწიე მისი მხრებიდან:

„ეს ხომ...“

უეცარი შეწინააღმდეგების მიზნით მინდოდა მეთქვა — „სისულელეა“, მაგრამ შევჩერდი.

„რა ხომ? ეს შენი პატარა ახალგაზრდული ფიქრებია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან გულთბილად გაიცინა.

„ჩემო პატარა ფისოვ, შენ ისეთი ახალგაზრდა ხარ, ისეთი უმწეო, ეს მაწყნარებს“,

მან პანსიონში მიმიყვანა. მეორე დღეს ლუკთან და ფრანსუაზთან ერთად უნდა მესადილა. მათი მეგობარიც იქნებოდა. დამშვიდობებისას მანქანის ფანჯრიდან ვაკოცე. დაღლილი სახე და დაბერებული იერი ჰქონდა. ამ სიბერემ ცოტათი გული მომიკლა და წუთით კიდევ უფრო მეტი სიყვარული ვიგრძენი მისდამი.

## თავი 4

მეორე დღეს ხალისიანი განწყობით გავიღვიძე. უძილობა ყოველთვის კარგ გუნებაზე მაყენებდა. ავდექი, ფანჯარასთან მივედი, პარიზის ჰაერი ჩავისუნთქე, სიგარეტს ანგარიშმიუცემლად მოვუკიდე. მერე ისევ დავწექი, მანამდე სარკეში ჩავიხედე. დაქანცული თვალები და საინტერესო იერი მქონდა. ერთი სიტყვით კარგი სახე. გადავწყვიტე, სახლის პატრონისთვის მეთხოვნა ოთახი გაეთბო, რადგან მეტისმეტად გათავხედდა.

„აქ საშინლად ცივა“, — ვთქვი ხმამაღლა და მომეჩვენა, რომ ჩახლეჩილი და სასაცილო ხმა მქონდა. „ძვირფასო დომინიკ, — დავუმატე, — თქვენ გიყვართ. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოთ, საჭიროა სეირნობა, ლექციებზე სიარული, ახალგაზრდა ბიჭები, რაიმე სამუშაო“,

ჩემი თავისადმი სიმპათია ვიგრძენი. იუმორის გრძნობა ნამდვილად მქონდა, ჩემს ქერქში კარგად ვიყავი. მე სიყვარულისთვის გახლავართ დაბადებული. გარდა ამისა, სადილად ჩემი სიყვარულის საგანთან მივდიოდი. ლუკთან და ფრანსუაზთან მივდიოდი თავისუფლების ხანმოკლე შეგრძნებით, როგორც ალსარების შემდეგ; ამ შეგრძნებას იწვევდა ფიზიკური ეიფორია, რომლის მიზეზიც კარგად ვიცოდი. გაქანებულ ავტობუსს შევახტი. კონდუქტორმა, ასვლაში რომ მომხმარებოდა, წელზე ხელი მომხვია. ტალონი გავუწოდე და ერთმანეთს გავუცინეთ, მან, როგორც კაცმა ქალს, და მე, როგორც კაცს შეჩვეულმა ქალმა. ბაქანზე დავრჩი. ავტობუსი ჰრიჭინობდა და ცოტათი ინჯღრეოდა, სახელურს ვეყრდნობოდი. თავს კარგად ვგრძნობდი. ძალიან კარგად, მიუხედავად უძილობისა, რომელსაც ჩემს ყბასა და მზის წნულს შორის დაედო ბინა.

უცნობი მეგობარი უკვე მოსული დამხვდა. საკმაოდ მსუქანი და წითური ცივი კაცი იყო. ლუკი არ ჩანდა, როგორც ფრანსუაზმა თქვა, ღამე ბელგიელ კლიენტებთან გაეტარებინა და მხოლოდ ათ საათზე ადგა. ძალიან მოსაწყენი ყოფილან ისინი თავისი მონმარტრით, ვიგრძენი, რომ მსუქანი კაცი მიყურებდა, და გავწითლდი.

ლუკი შემოვიდა. დაღლილი სახე ჰქონდა.

„პიერ, — თქვა მან, — როგორა ხარ?“

„რაო, არ მელოდი?“

მან რაღაც გაავება ეტყობოდა. ალბათ იმიტომ, რომ ლუკს მისი გაუკვირდა, ჩემი კი არა.

„როგორ არა, ჩემო კარგო, როგორ არა, — თქვა ლუკმა დაქანცულად. — დასალევი არაფერი გვაქვს? რა არის ასეთი საოცნებოდ ყვითელი შენს ჭიქაში, დომინიკ?"

„სუფთა ვისკია, — ვუთხარი. — ვეღარა სცნობთ?"

„ვერა", — თქვა მან და სავარძელში დაჯდა, როგორც ყოველთვის სხდებიან, სავარძლის კიდეზე. მერე უგულისყურო და ინდიფერენტული მზერა გვესროლა. ბავშვური და ჯიუტი გამომეტყველება ჰქონდა. ფრანსუაზმა სიცილი დაიწყო.

„ჩემო საწყალო ლუკ, შენ ისევე ცუდად გამოიყურები, როგორც დომინიკი. ძვირფასო ბავშვო, ეს უნდა მორჩეს, მე ვეტყვი ბერტრანს, რომ..."

და აგვიხსნა, რას ეტყოდა ბერტრანს. ლუკს არ ვუყურებდი. კიდევ კარგი, ფრანსუაზზე ცუდი არასოდეს არაფერი გვითქვამს. ეს სასაცილოც კი იყო, მასზე ერთმანეთს ისე ველაპარაკებოდით, როგორც ძალიან ძვირფას ბავშვზე, როგორც ჩვენი ზრუნვის საგანზე.

„ასეთი დროსტარებანი სულაც არ მეპიტნავება", — თქვა პიერად წოდებულმა და უცბად ვიფიქრე, რომ მან ალბათ იცოდა კანის ამბავი. მხოლოდ ამით აიხსნებოდა მისი დამცინავი მზერა, სიცივე, გადაკრულებით ლაპარაკი. გამახსენდა, რომ იქ შეგვხვდა და ლუკმა მითხრა, მას ფრანსუაზი უყვარსო. ალბათ აღშფოთებული იყო. ალბათ ყველაფერს იტყოდა. როგორც კატერინა, მეგობრისთვის დახმარების მიზნით, ის არ დამალავდა, არ დაუშვებდა, რომ ფრანსუაზს მცდარი წარმოდგენა შექმნოდა სინამდვილეზე. და თუ ფრანსუაზი გაიგებდა ყველაფერს, ჩემი სიძულვილი შეიპყრობდა, რაც ასეთი უჩვეულო იყო მისთვის, რასაც არ ვიმსახურებდი. მაშინ რას ვიზამდი?

„წამოდით, ვისაუზმოთ, — თქვა ფრანსუაზმა, — შიმშილით ვკვდები".

იქვე, მახლობლად მდებარე რესტორანში ფეხით წავედით. ფრანსუაზმა მკლავში ხელი მომკიდა, კაცები ჩვენ უკან მოდიოდნენ.

„ძალიან თბილა, — თქვა ფრანსუაზმა, — მიყვარს შემოდგომა".

არ ვიცი რატომ, ამ სიტყვებმა გამახსენა ჩვენი ოთახი კანში, ლუკი ფანჯარასთან და მისი სიტყვები: „აბაზანა უნდა მიიღო და ერთი ჭიქა ვისკი დალიო. მაშინ ყველაფერი კარგად იქნება". ეს პირველი დღე იყო და მე უკმაყოფილო ვიყავი. შემდეგ სხვა თხუთმეტი, ლუკთან ერთად გატარებული ღამე და დღე. ახლა ეს ყველაზე სასურველი იყო ჩემთვის. რაც ალბათ არასდროს აღარ განმეორდებოდა. რომ მცოდნოდა... ყველაფერი ასევე იქნებოდა, კიდევაც რომ მცოდნოდა. გამახსენდა პრუსტის სიტყვები: „ძალიან იშვიათია, რომ ბედნიერება ზუსტად მაშინ მოვიდეს, როცა მას უხმობ". ეს მოხდა მაშინ. როცა იმ ღამეს ლუკის სახეს მივუახლოვდი, რომელიც მთელი კვირა მენატრებოდა. ამ შეხებამ ლამის გული შემილონა იმიტომ, რომ გაქრა სიცარიელე, რომელზედაც მთელი ჩემი ცხოვრება იყო აგებული. სიცარიელე გამოწვეული იყო შეგრძნებით, რომ ჩემი ცხოვრება მე არ მეკუთვნოდა.

იმ წუთში კი მქონდა შეგრძნება, რომ ჩემი ცხოვრება საბოლოოდ შევავსე, შევაკავშირე და ეს დიდებული, ამაღლებული წუთი იყო.

„ფრანსუაზ", — გავიგონე პიერის ხმა.

ჩვენ შემოვბრუნდით და თანამგზავრები შევიცვალეთ. ლუკის გვერდით მოვხვდი. ერთნაირი ნაბიჯით მივდიოდით პროსპექტზე და ერთნაირი ფიქრები გვქონდა, რადგან ანაზდად თითქმის მკაცრი მზერა მესროლა.

„რა იყო?" — შევეკითხე.

მან მოწყენილად აიჩეჩა მხრები. შეუმჩნეველმა მოძრაობამ შეუცვალა სახის გამომეტყველება.

ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, მეც მომაწოდა. ყოველთვის, როცა რაღაც აწუხებდა, სიგარეტს იშველიებდა. ეს კაცი მოკლებული იყო ყოველგვარ მანერულობას.

„ამ ტიპმა იცის ჩვენი ამბავი", — თქვა მან. ჩაფიქრებული ლაპარაკობდა, მომავლის შიშის გარეშე.

„ეს საშიშია?"

„ის დიდხანს ვერ გაუძლებს ცთუნებას და შეეცდება ფრანსუაზის დამშვიდებას. დავუმატებ, რომ სიტყვა დამშვიდება ამ შემთხვევაში არავითარ უკიდურესობას არ გამოიწვევს."

წუთით ძალიან მომეწონა მისი მიმნდობლობა უსიამოვნების მიმართ.

„ეს მეტად მგრძნობიარე ბრიყვია, — თქვა მან, — ეგ და ფრანსუაზი ერთ ფაკულტეტზე სწავლობდნენ. შენ გესმის?"

მე მესმოდა.

მან დაუმატა: „ეს ამბავი მაწუხებს იმიტომ, რომ ფრანსუაზს ტკივილს მიაყენებს და იმიტომ, რომ შენც გეხება...".

„ცხადია", — ვთქვი.

„იმდენად მაწუხებს, რომ ფრანსუაზი ცუდად განეწყობა შენ მიმართ, არადა, მას ბევრი კარგის გაკეთება შეუძლია შენთვის. იგი საიმედო მეგობარია".

„მე არა მყავს საიმედო მეგობარი, — ვთქვი დაღონებით. — მე საიმედო არაფერი მაქვს".

„მოწყენილი ხარ?" — თქვა მან და ხელი მომკიდა.

წუთით ავღელდი, როცა წარმოვიდგინე, რა შეიძლებოდა მოყოლოდა ამ მოძრაობას. შემდეგ სევდამ შემიპყრო. მას ჩემი ხელი ეჭირა და ფრანსუაზის წინ ერთად მივდიოდით, მაგრამ ფრანსუაზმა კარგად იცოდა, რომ ეს ლუკი იყო — დაღლილი კაცი, რომელსაც ჩემი ხელი ეჭირა. რაიმე ფარული მიზნები რომ ჰქონოდა, ცხადია, ამას არ გააკეთებდა. არა, ის არცთუ დიდ რისკზე მიდიოდა. ის გულგრილი კაცი იყო. ხელი მოვუჭირე. ნამდვილად ლუკი იყო, ის, ერთადერთი. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ შემდეგ მთელი დღეების განმავლობაში დავეპყრე ამ შემთხვევას, ეს კი მაკვირვებდა.

„არა, არა ვარ მოწყენილი, — ვუპასუხე. — არაფერია".

ვტყუოდი. მინდოდა მეთქვა მისთვის, რომ ვტყუოდი, რომ სინამდვილეში ძალიან მჭირდებოდა. მაგრამ ყველაფერი არარეალურად მეჩვენებოდა, როგორც კი მის გვერდით აღმოვჩნდებოდი. არაფერი არ არსებობდა, გარდა თხუთმეტი სასიამოვნოდ გატარებული დღისა. იყო მხოლოდ მოგონებების და სინანულის შეგრძნება. რატომ არის ასე შემზარავი და მტკივნეული ეს საიდუმლო სიყვარული, ვფიქრობდი დაცინვით. ბოლოს და ბოლოს მე ძლიერი ვიყავი, თავისუფალი, საკმაოდ ნიჭიერი, რომ მქონოდა ბედნიერი სიყვარულის უფლება.

საუზმე დიდხანს გაგრძელდა. აღელვებული ვუყურებდი ლუკს. ის ლამაზი იყო, განათლებული და დაღლილი. არ მინდოდა მასთან დაშორება. ზამთრისთვის გეგმებს ვადგენდი. დამშვიდობებისას მითხრა, რომ დამირეკავდა. ფრანსუაზმა დაუმატა, რომ ისიც დამირეკავდა, არ ვიცი, ვის გასაცნობად.

ათი დღე გავიდა — არც ერთმა და არც მეორემ არ დამირეკეს. ლუკის სახელი ჩემთვის მძიმე ტვირთი გახდა. ბოლოს დამირეკა და მითხრა, ფრანსუაზმა

ყველაფერი იცისო. ლუკი ძალზე დაკავებული იყო თურმე და შემპირდა, როგორც კი შეძლებდა, დამირეკავდა. ძალიან გულთბილად ლაპარაკობდა. უძრავად ვიდექი ჩემს ოთახში და ნათქვამის გაგება მიჭირდა. ალენთან ერთად სასადილოდ უნდა წავსულიყავი. ჩემი დამშვიდება მას არ შეეძლო. განადგურებული ვიყავი.

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ლუკს კიდევ ორჯერ შევხვდი. ერთხელ ბარში, ვოლტერის სანაპიროზე, მეორედ ოთახში. სადაც ვერც ადრე და ვერც შემდეგ ერთმანეთს ვერაფერი ვერ ვუთხარით. ყველაფერი ფერფლად იყო ქცეული. რა უცნაურია, ცხოვრება თავის ბეჭედს ასვამს რომანტიკულ შეთანხმებებს. გავიფიქრე, რომ სრულებით არ შემეძლო ვყოფილიყავი პატარა, სასიამოვნო, მხიარული არსება ცოლიანი კაცისათვის. მე ის მიყვარდა. ყოველ შემთხვევაში ვფიქრობდი, რომ ეს ასე იყო, რომ სიყვარული იყო ეს განუწყვეტელი ფიქრები, ეს დაუკმაყოფილებელი მწუხარება. მე ვცადე გამეცინა. ლუკი არ ამყვა. ის თბილად, ნაზად, მგრძნობიარედ, თითქოს სიკვდილს აპირებდა, ისე მელაპარაკებოდა იმის შესახებ, რომ ფრანსუაზი ძალიან განიცდიდა.

მკითხა, რას ვაკეთებდი. ვუპასუხე, რომ ვმუშაობდი, ვკითხულობდი. მაგრამ თუ ვკითხულობდი ან კინოში დავდიოდი, მხოლოდ იმ ფიქრით, რომ შემდეგ ლუკს მოვუყვებოდი ამ წიგნის, ამ ფილმის შესახებ, რომლის დამდგმელ რეჟისორს იგი იცნობდა. უიმედოდ ვეძებდი რაღაც სხვა კავშირს ჩვენ შორის, გარდა იმისა, რომ ფრანსუაზს საკმაოდ უსინდისოდ ვატკინეთ გული. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო და ჩვენ სინდისის ქეჯნას არ განვიცდიდით. მე არ შემეძლო მეთქვა მისთვის: „გაიხსენე“, ეს ეშმაკური ფანდი იქნებოდა და მას შეაშინებდა. არ შემეძლო მეთქვა მისთვის, რომ ყველგან მას ვეძებდი, ქუჩაში, ყველგან მისი მანქანის გამოჩენას ველოდი, გაუთავებლად ვიწყებდი მისი ტელეფონის ნომრის აკრეფას და არ ვრეკავდი, რომ განუწყვეტლივ ვეკითხებოდი ჩემი სახლის პატრონს მის შესახებ, რომ ყველაფერს მისკენ მივყავდი, რომ სიკვდილი მინდოდა. მე არაფრის უფლება არ მქონდა, არაფრისა, გინდაც იმ წუთს ჩემ გვერდით ყოფილიყო მისი სახე, მისი ხელები, მისი თბილი ხმა, მთელი ეს აუტანელი წარსული... გავხდი.

ალენი კარგი ბიჭი იყო. ერთხელაც ყველაფერი მოვუყევი. ჩვენ კილომეტრებს გავდიოდით, ის არჩევდა ჩემს გრძნობას, როგორც ლიტერატურულ პრობლემას, კამათობდა. ეს საშუალებას მაძლევდა გულახდილი ვყოფილიყავი მასთან.

„ხომ იცი, რომ ეს ყველაფერი გაივლის, — ამბობდა იგი, — რომ ექვს თვეში ან ერთ წელიწადში გაგეცინება კიდეც ამაზე“.

„მე არ მინდა გამეცინოს, — ვთქვი, — არა მარტო ჩემ გამო. არ მინდა დავივიწყო ერთად გატარებული დღეები, კანი, ჩვენი სიცილი, ჩვენი ურთიერთგაგება“.

„მაგრამ ხომ იცი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს შენთვის აღარაფერი იქნება“.

„ვიცი, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. ჩემთვის სულერთია. ახლა, ამ წუთს ამის გარდა არაფერი არსებობს“.

ჩვენ დავდიოდით. საღამოს პანსიონამდე მაცილებდა, მრავლისმეტყველად ხელს მართმევდა. შესვლისას ვეკითხებოდი სახლის პატრონს, ხომ არავის და-

ურეკია, იგი ღიმილით მპასუხობდა, რომ არა. ლოგინზე ვემხობოდი და ვფიქრობდი კანზე.

ვამბობდი: „ლუკს არ ვუყვარვარ“, ეს ჩემში სევდას ბადებდა და გულს მიკუმშავდა, ისევ ვიმეორებდი და ვიმეორებდი და ისევ სევდა მიპყრობდა, ზოგჯერ საკმაოდ ძლიერი. მაშინ ვფიქრობდი, რომ რაღაცას მაინც მივაღწიე, რომ შემიძლია ჩემი ტკივილის მართვა, რომელიც ყოველ წუთს ჩემს ხელთ იყო — ერთგული, შეიარაღებული. ვამბობდი: „ლუკს არ ვუყვარვარ“ და რაღაც გამანადგურებელი სევდა მიპყრობდა. მაგრამ რადგანაც ეს სევდა მე მეკუთვნოდა. მას შეეძლო უცბად ლექციებზე ანდა საუზმის დროს მწვეოდა და ისევ დავეტანჯე. უკვე აღარ შემეძლო თავი დამეღწია ამ ყოველდღიურ და გამართლებულ მოწყენილობისგან, საკუთარი არსებობის უაზრობისაგან წვიმაში, დაღლილობისას დილით, უაზრო ლექციების დროს, ლაპარაკისას. მე ვიტანჯებოდი, ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ ვიტანჯებოდი, ვეუბნებოდი ირონიულად, არ ვიცი კიდევ როგორ, ოღონდაც თავი დამეღწია ამ უბედური სიყვარულისგან.

და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ერთ საღამოს ლუკს შევხვდი. ბულონის ტყეში ვსეირნობდით მანქანით. მან მითხრა, რომ ერთ თვეში ამერიკაში მიდიოდა. ვთქვი, რომ ეს საინტერესო იყო. ბოლოს სინამდვილე გავიცნობიერე — ერთი თვე! სიგარეტს ვტაცე ხელი.

„ვიდრე დავბრუნდები, ალბათ დამივიწყებ“, — თქვა მან.

„რატომ?“ — ვთქვი.

„ჩემო კარგო, ეს უკეთესი იქნება შენთვის, გაცილებით უკეთესი“, — და მანქანა გააჩერა.

ვუყურებდი. დაძაბული, სასოწარკვეთილი სახე ჰქონდა. მან იცოდა, მან ყველაფერი იცოდა. ის აღარ იყო მხოლოდ კაცი, რომელიც უნდა დამეზოგა, ის მეგობარიც იყო. უეცრად ჩავებღაუჭე. ჩემი ლოყა მისას შევახე. ხეების ჩრდილს ვუყურებდი, ვუსმენდი ჩემს ხმას და მიკვირდა იმის, რასაც ვამბობდი.

„ლუკ, ეს შეუძლებელია. არა, ნუ დამტოვებ მარტო, მე არ შემიძლია უშენოდ ცხოვრება. თქვენ უნდა დარჩეთ. მე მარტო ვარ, ისე აუტანლად მარტო“.

ჩემი ხმა მესმოდა და თვითონვე მიკვირდა. რაღაც ბავშვურად, სულელურად, მუდარით ველაპარაკებოდი. ვიმეორებდი ჩემთვის იმას, რაც ლუკს შეეძლო ეთქვა: „კარგი, კარგი, ეს გაგივლის, დაწყნარდი“, მაგრამ მე ვერ ვჩერდებოდი და ლუკიც ჩუმად იყო.

ბოლოს, მოზღვავებული სიტყვების ეს ნაკადი რომ შეეწყვიტა, თავი ორივე ხელით დამიჭირა და ტუჩებში ნაზად მაკოცა.

„ჩემო საწყალო, ჩემო ძვირფასო, — ამბობდა იგი — ჩემო ტკბილო“. აუღელვებელი ხმა ჰქონდა. გავიფიქრე, რომ „საკმარისია“, რომ „ძალიან უბედური ვარ“. მივეხუტე და ტირილი დავიწყე. დრო გადიოდა, მალე სახლისკენ წამიყვანდა გამოფიტულს, დაქანცულს. მეც ნებას მივცემდი, რომ წავეყვანე. მერე ის აღარ იქნებოდა. უცებ ისევ ავღელდი.

„არა, — ვიმეორებდი, — არა“.

ჩავებღაუჭე. მინდოდა ის ვყოფილიყავი, დავკარგულიყავი მასში.

„დაგირეკავ, წასვლის წინ გნახავ, — ამბობდა იგი. — ბოდიშს გიხდი, დომინიკ, ბოდიშს გიხდი. ძალიან ბედნიერი ვიყავი შენთან. ეს გაგივლის, შენ იცი.

ყველაფერი გადის, ყველაფერს მივცემდი იმისათვის, რომ...“ მან უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

„იმისათვის, რომ გიყვარდე?“

„ხო“.

მისი ლოყა ძალიან რბილი იყო და ჩემი ცრემლისგან [illegible]. ერთი თვე ვერ ვნახავ. მას არ ვუყვარვარ. რა უცნაური გრძნობაა ეს [illegible], და რა უცნაურია, რომ ამის შემდეგ ცოცხალი რჩებიან. სახლში მიმიყვანა. აღარ ვტიროდი. განადგურებული ვიყავი. მეორე დღეს ისევ დამირეკა, შემდეგ დღესაც. მისი წასვლის დღეს გრიპი მქონდა. ერთი წუთით ჩემს სანახავად ამოვიდა. ალენი იქ იყო. წასვლისას ლოყაზე მაკოცა. იგი მომწერდა.

## თავი 5

ზოგჯერ ღამე პირგამშრალს მეღვიძებოდა და, სანამ ძილისგან გამოვფხიზლდებოდი, რაღაც მეჩურჩულებოდა, დაიძინე, ისევ სითბოს, უგრძნობლობას დაუბრუნდიო. ჩემთვის ეს დასვენების, სულის მოთქმის ერთადერთი საშუალება იყო. მაგრამ უკვე ვამბობდი, „მე მხოლოდ მწყურია“, საკმარისია ავდგე; მივიდე პირსაბანამდე, დავლიო წყალი და დავიძინებ. მაგრამ როცა ვდგებოდი, როცა თბილი წყალი ყელში ჩამდიოდა, უიმედობა მიპყრობდა ფიზიკური სევდის ისეთი რეალური შეგრძნებით, რომ აძაგძაგებული პირქვე ვწვებოდი ლოგინში. ხელებში თავჩარგული, სხეულს ლოგინში ვჭეჭყავდი, თითქოს ჩემი სიყვარული ლუკისადმი რაღაც თბილი, საშიში მხეცი იყო და მისი გაჭყლეტა მინდოდა ჩემს სხეულსა და ლოგინს შორის. მერე კი ბრძოლა იწყებოდა. ჩემი მეხსიერება და ჩემი წარმოდგენა მოსისხლე მტრები ხდებოდნენ. შემდეგ იყო ლუკის სახე, იყო ის, რაც კანში მოხდა, რაც შეიძლება მომხდარიყო. და კიდევ: ჩემი სხეულის აჯანყება, რომელსაც ეძინებოდა, ჩემი შეგნების, რომელიც ზიზღს იწვევდა ჩემში. გონს მოვდიოდი, ვამბობდი, „ეს მე ვარ, დომინიკა. მე ლუკი მიყვარს, რომელსაც არ ვუყვარვარ. ეს ცალმხრივი სიყვარულია და სევდა. საჭიროა დაიმსხვრეს იგი“. საშუალებას ვეძებდი, რომ ყველაფერი საბოლოოდ გადამეხაზა, გამეგზავნა ლუკისთვის კეთილშობილური წერილი, ამეხსნა მისთვის, რომ ყველაფერი მორჩა. მაგრამ ეს წერილი იმდენად მაინტერესებდა, რამდენადაც ის კეთილშობილური და წესიერი საშუალება იქნებოდა, რათა ლუკი დამებრუნებინა. ფიქრებში მასთან ასეთი მკაცრი საშუალებით განშორებისთანავე მის დაბრუნებაზე ვფიქრობდი.

საჭიროა მოქმედება, მეუბნებოდნენ ირგვლივ, მაგრამ მოქმედება რისთვის? მე სხვა არავინ მაინტერესებდა, ჩემი თავიც კი. მე ვარსებობდი მხოლოდ ლუკთან დაკავშირებით. კატერინა, ალენი, ქუჩები, ის ბიჭი, რომელმაც მაკოცა წვეულებაზე და რომელსაც მეტად აღარ შევხვდი. იყო წვიმა, სორბონა, კაფე, ამერიკის რუკა. მეზიზღებოდა ამერიკა, იყო სევდა. ნუთუ არასოდეს გათავდებოდა? თვეზე მეტია, რაც ლუკი წავიდა. მან პატარა წერილი, პატარა თბილი და სევდიანი წერილი გამომიგზავნა. ზეპირად ვიცოდი.

ერთადერთი ის მაწყნარებდა, რომ ჩემი გონება, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ამ სიყვარულს, რომელიც დასცინოდა მას, დამცინოდა მეც, თანდათან ჩემი თანამოაზრე ხდებოდა. ჩემს თავს აღარ ვეუბნებოდი: „გაკეთავეთ ეს წარმოდგენა“, არამედ „როგორ შეიძლება ამ დანახარჯის შემცირება?“.

ღამეები უცვლელი იყო, უამური სევდით სავსე, მაგრამ დღეები, ლექციე-

ბით გადატვირთული; ზოგჯერ სწრაფად გარბოდა. მე განყენებულად ვფიქრობდი ჩემზე და ლუკზე. მაგრამ ეს ვერ მარიდებდა იმ აუტანელ წუთებს, როცა უეცრად ტროტუარზე გავჩერდებოდი და რაღაც ხდებოდა ჩემში, რაც სიბრაზით, ზიზღით მავსებდა. მერე კაფეში შევდიოდი, ოც ფრანკს ვიხდიდი და დისკის მანქანაში, ხუთი წუთით სპლინს მივეცემოდი და კანის ფორტეპიანოს ვუსმენდი. ალენს ის უკვე ეზიზღებოდა, მაგრამ მე ყოველ მის ნოტას ვიცნობდი, მახსენდებოდა მიმოზის სურნელება ჩვენს ოთახში, ამას მე საკუთარი ფულით ვიძენდი, ჩემი თავი არ მომწონდა.

„გეყოფა, ჩემო ბებერო, — ამბობდა ალენი მოთმინებით. — გეყოფა".

არ მიყვარდა, როცა „ჩემო ბებეროს"-ს მეძახდნენ, მაგრამ მაშინ კი მომწონდა.

„შენ კარგი ბიჭი ხარ", — ვეუბნებოდი ალენს.

„არა, — ამბობდა იგი. — მე თემას დავწერ ვნების შესახებ. ამიტომ ვარ დაინტერესებული".

მუსიკა თვალნათლივ მარწმუნებდა, მარწმუნებდა, რომ ლუკი მჭირდებოდა. ვიცოდი, რომ ეს სურვილი დაკავშირებული იყო ერთდროულად ჩემს სიყვარულთან და ასევე დაშორებული მისგან. მასში შემეძლო გამომერჩია ცოცხალი არსება — ჩემი თანამონაწილე და გრძნობის საგანი — ჩემი მოწინააღმდეგე. ყველაზე მძიმე ის იყო, რომ არ შემეძლო მისი დამცირება, როგორც ხდება ხოლმე მაშინ, როდესაც ვამცირებთ ადამიანებს, რომლებიც გულგრილნი არიან ჩვენ მიმართ.

იყო წუთები, როცა ჩემს თავს ვეუბნებოდი: „საწყალი ლუკი, რა დამღლელი ვიქნებოდი მისთვის, რა მოსაწყენი". ჩემი თავი მეჯავრებოდა, რომ ვერ შევინარჩუნე სიმსუბუქე, ეს დამაახლოვებდა მასთან. მაგრამ მე კარგად ვიცოდი, რომ მისთვის უცხო იყო გაბრაზება. ის მოწინააღმდეგე არ იყო, ის ლუკი იყო, თავი ველარ დამეღწია.

ერთ დღეს, როცა ორ საათზე ლექციებზე წასასვლელად ჩემი ოთახიდან ჩამოვდიოდი, ტელეფონთან დამიძახეს. აღარ ვღელავდი, ვიცოდი, რომ ლუკი აქ არ იყო, ვიცანი ფრანსუაზის გაუბედავი ხმა.

„დომინიკი ხარ?"

„დიახ", — ვთქვი.

კიბეზე გავქვავდი.

„დომინიკ, უფრო ადრე მინდოდა დამერეკა თქვენთვის. შეგიძლიათ მოხვიდეთ ჩემს სანახავად?"

„დიახ", — ვთქვი. ჩემს ხმას ვაკვირდებოდი. ძალიან დინჯი კილო მქონდა.

„გინდათ ამ საღამოს ექვს საათზე?"

„კარგით",

მან ყურმილი ჩამოკიდა.

აღელვებული და თან კმაყოფილი ვიყავი, რომ მისი ხმა გავიგონე. ეს ლუკთან გატარებულ week-end-ს გამიცოცხლებდა, მანქანით სეირნობას, რესტორანში საუზმეებს და სხვა.

## თავი 6

ლექციებზე არ წავედი. ქუჩებში დავდიოდი და ჩემს თავს ვეკითხებოდი, რისი თქმა უნდოდა ფრანსუაზს. ტრადიციული წარმოდგენით ასე მეგონა, რომ

ჩემი ასეთი ტანჯვის გამო არავის შეეძლო ჩემზე გაბრაზება. ექვს საათზე წამოწვიმა. ქუჩა სველი იყო და სინათლეზე სელაპის ზურგივით ბრწყინავდა.

ჰოლში შესვლისას ჩემს თავს სარკეში შევხედე. ძალიან გვრემი, გაურკვეველი იმედი მქონდა, რომ ლოგინად ჩავვარდებოდი და მომაკვდავთან ლუკი ტირილით მოვიდოდა. სველი თმა მქონდა და გატანჯული იერი. ალბათ ფრანსუაზს ჩვეულ სიკეთეს გავუღვიძებდი. ცოტა ხანს გავჩერდი და ჩემს თავს ვუყურებდი. იქნებ შეეძლო ისე მოქცევა, რომ ფრანსუაზი დავიახლოვო. ასეთი მოქმედებით ლუკთან თამაშს გავაგრძელებდი. მაგრამ რისთვის? ან როგორ მეთამაშა ასეთი უსაზღვრო, შეუიარაღებელი, ყოვლისმომცველი გრძნობის დროს. გაკვირვებული და ალტაცებული ვიყავი ჩემი სიყვარულით, მაგრამ მავიწყდებოდა, რომ ის ჩემთვის მხოლოდ განცდის გამომწვევი საშუალება იყო.

ფრანსუაზმა კარი ნაძალადევი ღიმილით, ცოტათი შეშინებულმა გამიღო. შესვლისას საწვიმარი გავიხადე.

„როგორ ბრძანდებით?“ ვკითხე.

„ძალიან კარგად. — თქვა მან. — დაჯექი, უკაცრავად, დაჯექით“.

დამავიწყდა, რომ შენობით მელაპარაკებოდა. დავჯექი. იგი მიყურებდა აშკარად გაკვირვებული ჩემი საცოდავი შესახედაობით. ამან ამაღელვა.

„დალევ რამეს?“

„სიამოვნებით“.

ვისკი მომაწოდა. მისი გემო გადამავიწყდა, იყო მხოლოდ ჩემი მოწყენილი ოთახი, უნივერსიტეტის რესტორანი. წითელმა პალტომ, რომელიც მათ მიყიდეს, კარგი სამსახური გამიწია. ისეთი დაძაბული ვიყავი, ისეთი უბედური, რომ თავდაჯერება დამიბრუნდა.

„ესეც ასე“, — ვთქვი.

ფრანსუაზს შევხედე. ის დივანზე ჩემ პირდაპირ იჯდა. უსიტყვოდ მაკვირდებოდა. ჩვენ შეგვეძლო სხვა საკითხზე გველაპარაკა და დამშვიდობებისას დარცხვენილს მეთქვა: „ვფიქრობ, რომ თქვენ არცთუ ისე ძალიან გინდოდათ ჩემი ნახვა“. ეს ჩემზე იყო დამოკიდებული. საკმარისი იყო ჩქარა დამეწყო ლაპარაკი, რათა სიჩუმე არ ქცეულიყო ორმაგ ალიარებად. მაგრამ მე ვდუმდი. ერთი წუთი მქონდა, ერთ წუთს ვცხოვრობდი.

„მინდოდა უფრო ადრე დამერეკა, — თქვა მან. — რადგანაც ლუკმა მთხოვა და ბოლოს იმიტომ, რომ მეც ვწუხდი. ვიცოდი, რომ მარტო იყავით პარიზში...“.

„მეც უნდა დამერეკა“, — ვთქვი.

„რატომ?“

მინდოდა მეთქვა — „ბოდიშის მოსახდელად“, მაგრამ ეს სიტყვები უსუსურად მომეჩვენა. დავიწყე სიმართლის თქმა.

„იმიტომ, რომ სურვილი მქონდა, იმიტომ, რომ ძალიან მარტო ვიყავი და ბოლოს იმიტომ, რომ მაწუხებდა ფიქრი იმაზე, რომ თქვენ ფიქრობდით...“.

გაურკვევლად ჩავიქნიე ხელი.

„ძალიან ცუდად გამოიყურებით“, — თქვა მან.

„კი, — ვთქვი ბრაზით, — რომ შემძლებოდა, თქვენს სანახავად მოვიდოდი, თქვენ ალბათ ბივშტექს მაჭმევდით. თქვენს ხალიჩაზე წამოვწვებოდი. დამამშვიდებდით, საოცარია, თქვენ ხართ ერთადერთი ადამიანი, ვინც ამას შეძლებდა. მაგრამ თქვენ სწორედ ეს არ შეგიძლიათ“.

ვკანკალებდი. ჭიქა ხელში მითრთოდა. ფრანსუაზის მზერა აუტანელი ხდებოდა.

„მე... ძალიან ვწუხვარ", — ვთქვი თავის გასამართლებლად.

მან ჭიქა გამომართვა, მაგიდაზე დადო, დაჯდა.

„მე ვეჭვიანობდი, — თქვა მან დაბალი ხმით, — ფიზიკური სიახლოვის გამო ვეჭვიანობდი".

ვუყურებდი, ყველაფერს მოველოდი, გარდა ამისა.

„ეს სისულელე იყო, — თქვა მან. — კარგად ვიცოდი, რომ თქვენ და ლუკა... ეს სერიოზული არ იყო".

ჩემი გამომეტყველების დანახვისას ხელი ისე გაიქნია, თითქოს ბოდიშს მიხდიდა ამ სიტყვებისთვის. გუნებაში შევაქე.

„მინდა გითხრათ, რომ ფიზიკურ ღალატს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მე ყოველთვის ასეთი ვიყავი. მით უმეტეს ახლა, როცა...".

ეტყობა, უმძიმდა, მე კი მეშინოდა იმისი, რისი თქმაც უნდოდა.

„ახლა, როცა უკვე აღარ ვარ ახალგაზრდა, — დაასრულა მან, თავი მოაბრუნა, — და არც ისე უსასრულო".

„არა", — ვთქვი.

მე არ ვიყავი თანახმა. არ მეგონა, რომ ამ ამბავს შეიძლება ჩემთვის უცნობი ასპექტი ჰქონოდა. საცოდავი, არა, საცოდავიც არა, ჩვეულებრივი ნაღვლიანი. ვთვლიდი, რომ ეს ამბავი მე მეკუთვნოდა. მე ხომ არაფერი ვიცოდი მათი ცხოვრების შესახებ.

„ეს არ არის მთავარი", — ვთქვი და ავდექი.

მისკენ წავედი და შევჩერდი. ის ჩემკენ მობრუნდა და ოდნავ გამიღიმა.

„ჩემო საბრალო დომინიკ, რა გაუგებრობაა".

მის გვერდით დავჯექი, ხელებზე დავემხე, ყურები მიხშუოდა, სავსებით გამოფიტული ვიყავი. მინდოდა მეტირა.

„მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, — თქვა მან. — არ მინდა ვიფიქრო, რომ უბედური ხართ. როდესაც პირველად დაგინახეთ, ვიფიქრე, რომ შევძლებდი თქვენს სახეზე ბედნიერება აღბეჭდილიყო, ნაცვლად ისეთი დათრგუნული იერისა, როგორიც თქვენ გქონდათ. ეს არ მოხდა".

„მე ცოტათი უბედური ვიყავი, თუმცა ლუკმა წინასწარ გამაფრთხილა".

მის წინ ვიდექი, მინდოდა დავმხობილიყავი ამ მშვენიერი, კეთილშობილი ქალის წინ, მინდოდა, რომ ის დედაჩემი ყოფილიყო, ამეხსნა, რომ ძალიან უბედური ვიყავი, საცოდავი. მაგრამ არ შემეძლო მეთამაშა ეს როლი.

„ის ამ დღეში ჩამოვა", — თქვა მან.

ეს რა ლახვარი იყო კიდევ ამ ჯიუტი გულისთვის?

არა, ფრანსუაზს უნდა დაებრუნებინა ლუკი და თავისი სანახევრო ბედნიერება, მე კი ჩემი თავი მსხვერპლად შემეწირა. ამ უკანასკნელ ფიქრზე გამეღიმა. ეს უკანასკნელი ცდა იყო, რომ დამემალა ჩემი არარაობა. არაფერი არ მქონდა შესაწირი. იმედიც კი. მხოლოდ ის დამრჩენოდა, ბოლო მომელო ამ სეზონისთვის. ბედისადმი ასეთ მწარე მორჩილებაში იყო ოპტიმიზმის რაღაც წილი.

„უფრო გვიან, — ვთქვი, — როცა ყველაფერი მორჩება, გინახულებთ, ფრანსუაზ, ლუკსაც. ახლა არაფერი დამრჩენია, გარდა იმისა, რომ ვიცადო".

გასასვლელში ფრანსუაზმა ნაზად მაკოცა. მან არ მითხრა „ნახვამდის"-ო.

სახლში შესული ლოგინზე დავეცი. რა ვილაპარაკე, რა სისულელეები? ლუკი უკვე ბრუნდებოდა. იგი ხელებს მომხვევდა, მაკოცებდა, მიუხედავად

იმისა, რომ არ ვუყვარდი. იგი აქ იქნებოდა, აქ იქნებოდა ლუკი და ეს კოშმარი გათავდებოდა.

ათი დღის შემდეგ ლუკი დაბრუნდა. ვიცოდი, რადგან ჩაწერსვლის დღეს მათ წინ ავტობუსით გავიარე და მისი მანქანა დავინახე, პარიზში დავბრუნდი. მის ზარს ვუცდიდი. მან არ დარეკა, არც იმ და არც მეორე დღეს, როდესაც გრიპის მომიზეზებით ვიწექი და ვუცდიდი.

იგი აქ იყო, იგი არ მეძახდა თვენახევარი უნახაობის შემდეგაც. ეს უიმედობა იყო, ანუ შინაგანი კანკალი, შინაგანი ნერვული სიცილი, საერთო აპათია. არასდროს ამდენი არ გამძიცდია. ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ ეს უკანასკნელი გაბრძოლება იყო, მაგრამ რაოდენ მტანჯველი.

მესამე დღეს ავდექი. ლექციაზე წავედი. ალენი ისევ ჩემთან ერთად დადიოდა ქუჩებში, ყურადღებით ვუსმენდი. ვიცინოდი. არ ვიცოდი რატომ, ერთი წინადადება ამეკვიატა: „მგონი, დანიას ელის რაღაც უბედურება", — განუწყვეტლივ ამას ვიმეორებდი.

მეთხუთმეტე დღეს გაღვიძებისას ქუჩიდან მუსიკის ხმა გავიგონე. მეზობლის რადიოში უკრავდნენ. ეს იყო მოცარტის შესანიშნავი ანდანტე, რომელსაც ყოველთვის თან სდევდა განთიადი, სიკვდილი, უცნაური ღიმილი. რამდენიმე წუთს გაუნძრევლად ვიწექი ლოგინში და ვუსმენდი. ბედნიერი ვიყავი.

სახლის პატრონმა დამიძახა, ტელეფონთან მთხოვდნენ. ხალათი ნელა ჩავიცვი, აუჩქარებლად წავედი. ვიფიქრე, რომ ეს ლუკი იყო და რომ ეს სულაც არ იყო ახლა მნიშვნელოვანი. ჩემში რაღაც ჩაქრა.

„როგორ ხარ?"

მისი ხმა მესმოდა. ეს მისი ხმა იყო. საიდან გაჩნდა ჩემში ეს სიმშვიდე, ეს სითბო, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი, ცოცხალი მტოვებდა? მან მთხოვა, რომ მეორე დღეს შევხვედროდი და თითო ჭიქა დაგველია.

„კარგი", — ვუპასუხე.

ოთახში ავედი, ძალზე თავშეკავებული. მუსიკა გათავდა, მეწყინა, რომ დასასრულს ვერ მოვუსმინე. სარკეში ჩავიხედე და დავინახე, რომ ვიღიმებოდი. არ შევებრძოლებივარ ღიმილს, არ შემეძლო არ გამეღიმა. ვიცოდი, რომ ისევ თავისუფალი. ისევ მარტო ვიყავი. სურვილი მქონდა ეს სიტყვები მეთქვა ჩემთვის: მარტო, მარტო. მერე რა? მე ქალი ვიყავი, რომელსაც კაცი მიყვარდა. ეს ძალიან უბრალო ამბავი იყო. არავითარი მიზეზი არ მქონდა იმისათვის, რომ შევწუხებულიყავი.

□

# ვასილ შუკშინი

## მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ანზორ აბჟანდაძემ

### ცოდვის შვილი

სპირკა რასტორგუევი ოცდათექვსმეტი წლისაა, მაგრამ ოცდახუთისა გეგონებათ, მეტის არა.

იგი გასაოცრად ლამაზია. შაბათობით ორთქლის აბანოში შედის, მძღოლის ქუჩუს მოიშორებს, ახალ პერანგს გადმოიცვამს და — ჰაბუკი ღმერთია! ნათელი, ქკვიანური თვალები აქვს... ქორფა ბაგეები ალისფრად უელავს შავგვრემან სახეზე. ყორნის ფრთებივით მოშვილდული წარბები ყინიანად აზიდულან. ეშმაკმა დალახვროს... ბუნებას, როგორც ჩანს, ზოგჯერ ხუმრობა უყვარს. რაში არგია! „ფეხებზე მკიდიაო“ — თვითონვე ამბობს. ყველაფერი „ფეხებზე ჰკიდია“. ოცდათექვსმეტი წლისაა და — არც ოჯახი, არც რიგიანი სახლ-კარი. იცის თავისი საქმე — უწმაწური გინება და ღამღამობით მარტოხელა ქალებში სიარული. ყველასთან დადის, განურჩევლად. ესეც „ფეხებზე ჰკიდია“. თითქოს ჯიბრზე, ხნიერები და უსახურები უყვარს.

— სპირკა. სულელი ხარ, სულელი. შენი სიფათი მაინც შეიბრალე! ვისთან დაძვრები. ჩოფურა ლიზკასთან? არა გრცხვენია?

— სილამაზეს რა ჰქუა აქვს! — გონივრულად პასუხობს სპირკა. — ჩოფურაა, მაგრამ თქვენზე გულწრფელია.

სპირკას ადრიდანვე აებურდა ცხოვრება. ჯერ კიდევ მეხუთე კლასში იყო და უკვე ათასგვარი ამბები გადახდა. გერმანულის მასწავლებელი, წყნარი, მაგრამ ფხუკიანი ბებრუცუნა, ევაკუირებულთაგანი, დაჟინებით მიაჩერდა სპირკას და გაკვირვებულმა თქვა:

— ბაირონია!.. რა გასაოცრად ჰგავს!

სპირკას ეჯავრებოდა ბებრუცუნა.

როგორც კი მოახლოვდებოდა „ანნა უნდა მარტა ბადენ“, იმწამსვე სულ ემღვრეოდა. ისევ დაიწყებოდა: „არა, რა საოცარია!.. ზედგამოჭრილი პატა ბაირონია“. სპირკას ყელში ამოუვიდა. ერთხელ ბებრუცუნა ჩვეულე დაიქოქა:

— დაუჯერებელია. ვინ დაიჯერებს: პატარა ბაი...

— წადი. შენი დედაც... — და სპირკამ ისე შეიგინა, კაი ლოთბაზარასაც კი შეშურდებოდა.

ბებრუცუნას თვალები შუბლზე აუვარდა. შემდეგ ყვებოდა:

— განა შემეშინდა, არა. მე სანიტრად ვმუშაობდი თოთხმეტ წელში, ბევრი რამ მინახავს და გამიგონია... მე იმან განმაცვიფრა, საიდან იცის ასეთი სიტყ

ვები?! მერედა, რა მშვენიერი სახე აქვს!.. ღმერთო, რა სახე აქვს, — ნამდვილი პატარა ბაირონია!

„ბაირონი“ უწყალოდ გაწკეპლა დედამ. როგორც კი გამოკეთდა, ფრონტზე გაიქცა. ნოვოსიბირსკში დაიჭირეს და სახლში დააბრუნეს. დედამ ისევ სასტიკად სცემა... ღამით კი თმას იგლეჯდა, შვილს თავზე ედგა [illegible]. სპირკა საიდანღაც ჩამოხეტებული ჯეელისაგან შეეძინა და შვილთან ურთიერთობაში ამჟღავნებდა, თუ რა მწარედ უყვარდა და სძულდა ის ჰაბუკი. სპირკა ზედგამოჭრილი მამა იყო, ხასიათითაც კი ჰგავდა, თუმცა არასოდეს ენახა იგი.

სკოლაში მეტად აღარ წასულა, თუმცა დედამ ბევრი ურტყა და უყაპუნა. ბიჭი დაემუქრა, რომ სახურავიდან გადმოხტებოდა და ფიწალზე დაეგებოდა. დედამ უკან დაიხია. სპირკამ კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა.

თავხედი ბიჭი იყო, უფროსებს არ უსმენდა, ხულიგნობდა, ჩხუბობდა... გაწამებულმა დედამ ბოლოს ხელი ჩაიქნია.

— რა ვუყო. ჩასვან ეგება.

მართლაც ჩასვეს. იგი და მისი მეგობარი, მასავით ხელიდან წასული, შარაგზაზე დახვდნენ მეზობელი სოფლის მაღაზიის ფორანს და არყის ყუთი წაართვეს მეეტლეს... მოერივნენ კაცს! კარგადაც მიბერტყეს. მთელი ღღეღამე უბერავდნენ სპირკას „მარუხასთან“... სწორედ იქ წაასწრო მათ მილიციამ. სპირკამ მოასწრო თოფის აღება და აბანოში შევარდნა. თითქმის ორი დღეღამე ვერ მოახერხეს მისი შეპყრობა, — იქიდან ისროდა. „მარუხა“ — ვერკა-ტარტარა შეუგზავნეს, რათა დანებებაზე დაეყოლიებინა. ყბედმა ვერამ ჩუმად შეუტანა კალთის ქვეშ ამოფარებული ერთი ბოთლი არაყი და ვაზნები. დიდხანს დარჩა შიგ... გამოვიდა და ამაყად განაცხადა:

— არ გამოვა თქვენთან!

სპირკა ფანჯრიდან ისროდა, თან მღეროდა:

მტერს „ვარიაგი“ არ დანებდება,
არც შეწყალება სურს!

— სპირკა, რამდენჯერაც გაისვრი, იმდენი წელი დაგემატება! — დაუყვირეს მას.

— ითვალეთ, ითვალეთ! — უპასუხა სპირკამ და ფანჯრიდან ზედიზედ აქუხა. შემდეგ გამოფხიზლდა, საშინლად მოუნდა ძილი... გადმოაგდო თოფი და გამოვიდა.

ხუთი წელი „ხეხა“.

გამოვიდა — ისეთივე უცნაურად ლამაზი, თავხედი და უცნაურად კეთილი. სიკეთით ისევე აოცებდა ყველას, როგორც სილამაზით. შეეძლო უკანასკნელი პერანგი გაეცა, თუ ვინმეს დასჭირდებოდა. შეეძლო უქმე დღეს ტყეში წასულიყო, საღამომდე ეჩეხა, ღამით კი მთელი მანქანა შეშა მიეტანა ვინმე მარტოხელა მოხუცისათვის. მიუტანდა, გადმოტვირთავდა, მერე ქოხში შევიდოდა.

— რით გადაგიხადოთ, სპირენკა, ჩვენო მფარველო ანგელოზო, რით გადაგიხადოთ? — აწრიალდებოდნენ მოხუცები.

— ჰიქა არყით, — და ცნობისმოყვარეობით უცქეროდა ბებრებს, — როგორი ბიჭი ვარ, ჰა?

გამოვიდა ციხიდან სპირკა... ძმაკაცები მიმოფანტულიყვნენ. „მარუხებიც“ დათხოვილიყვნენ. ეგონათ, ისიც აიყრაედა გუდანაბადს, მაგრამ არა. ცოტა გაინავარდა, ფული დედას ჩააბარა და მძღოლობა დაიწყო.

ასე ცხოვრობდა სპირკა.

სოფელ იასნოეში გაზაფხულზე ორი ახალი მასწავლებელი ჩამოვიდა: სერგეი იურევიჩი და ირინა ივანოვნა ზელენეცკები — ცოლ-ქმარი. სერგეი იურევიჩი ფიზკულტურის მასწავლებელი იყო, ირინა ივანოვნა — სიმღერისა.

სერგეი იურევიჩი საშუალო ტანის, ჩასკვნილი, მხრებგანიერი ვაჟკაცი იყო... ლაღად დადიოდა, მსუბუქად ხტებოდა, ყირაზე გადასვლა შეეძლო. კარგი სანახავი იყო, როდესაც ის სერიოზულად, გატაცებით ვარჯიშობდა ძელზე, ორძელზე, რგოლებზე... უჩვეულოდ ფართო, კეთილი პირისახე, სქელი, მიჰეჰყილი ცხვირი და მეჩხერი, ქათქათა, მხსვილი კბილები ჰქონდა.

ირინა ივანოვნა პატარა, ფერმკრთალი, გოგონასავით მოხდენილი ქალი იყო. თითქოს არაფერი ჰქონდა განსაკუთრებული, მაგრამ როდესაც ლაბადას გაიხდიდა, კარადასთან მივიდოდა, ფეხისწვერებზე აიწევდა, რათა მძიმე აკორდეონი ჩამოეღო, წამსვე ისე მშვენიერი და კოხტა ხდებოდა, რომ უნებურად თვალს ვერ მოწყვეტდით.

ეს წყვილი (იქნებოდნენ ოცდაათი-ოცდათორმეტი წლისანი) იასნოეში აპრილის ბოლოს, თბილ დღეებში ჩამოვიდა. ისინი მოხუცი პროკუდინების დიდ სახლში დააბინავეს.

პირველი, ვინც ჩამოსულების მოსანახულებლად მივიდა, სპირკა იყო. ადრეც ასე იცოდა. მივიდოდა, დაჯდებოდა, დალევდა მასპინძელთან ერთად, (უნდა ითქვას, რომ სპირკა, მართალია, სვამდა, მაგრამ იშვიათად თვრებოდა), ისაუბრებდა და წავიდოდა.

საღამო იყო. სპირკამ დაიბანა, გაიპარსა, საგარეო კოსტიუმი ჩაიცვა და პროკუდინებთან წავიდა.

— წავალ, ვნახავ, რა ხალხია, — უთხრა დედას.

მოხუცი პროკუდინები ვახშმობდნენ.

— დაჯე, სპირიდონ, დაგვეწვიე. — სპირკა ეხმარებოდა ხოლმე მოხუცებს, მათაც უყვარდათ იგი და ელოდებოდათ.

— გმადლობთ, ახლახან ვივახშმე. თქვენი მდგმურები შინ არიან?

— იქ არიან, — მოხუცმა ოთახზე მიანიშნა. — ეწყობიან.

— კარგი ხალხია?

— არა უშავთ. პატივსაცემი ხალხი ჩანს. აი, ყველი და ძეხვი მოგვიკითხეს. დაჯე, გასინჯე.

სპირკამ თავი დაუქნია და ოთახისაკენ წავიდა. დააკაკუნა.

— შეიძლება?

— მობრძანდით! — გაისმა კარს მიღმა.

სპირკა შევიდა.

— გამარჯობათ!

— გამარჯობათ! — უპასუხა ცოლ-ქმარმა. უნებურად მიაჩერდნენ სპირკას. ასე ხდებოდა ყოველთვის.

სპირკამ თავი წარუდგინა.

— სპირიდონ რასტორგუევი.

— სერგეი იურევიჩი.

— ირინა ივანოვნა. დაბრძანდით.

სპირკამ ირინა ივანოვნას პატარა თბილი ხელი ხელში შეაყოვნა და ქალი დაუფარავად, ინტერესით შეათვალიერა. ირინა ივანოვნა ოდნავ შეიჭმუხნა, გაიღიმა, რატომღაც ჩქარა წაართვა ხელი და სკამის მოსატანად წავიდა... მოჰ-

ქონდა სკამი და როგორღაც გაკვირვებული, დაინტერესებული უყურებდა სპირკას.

სპირკა დაჯდა.

სერგეი იურევიჩი უცქეროდა.

— ქეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა, — თქვა სპირკამ.

— გმადლობთ.

— გაგაცნობთ აქაურობას, — განმარტა სპირკამ, — თორემ ვინ იცის, ჩვენი ჩალხი როდის გატოკდება.

— უკარება ხალხია?

— როგორც ყველგან. ყველა თავის ნაჭუჭშია.

— თქვენ აქაური ხართ?

— აქაურელი ვარ, ციმბირელი.

— სერიოჟა, რამეს მოვამზადებ, კარგი?

— აბა შენ იცი! — ხალისით უპასუხა სერიოჟამ და მხიარულად შეხედა სპირკას. — აი, სპირიდონთან ერთად ვიზეიმებთ ახალმოსახლეობას.

— შეიძლება თითო ჭიქის გადაკვრა, — დაეთანხმა სპირკა, — საიდან ხართ?

— არც ისე შორიდან.

ირინა ივანოვნა მოხუცების ოთახში გავიდა. სპირკამ თვალი გააყოლა.

— როგორ მიდის ცხოვრება აქ? — ჰკითხა სერგეი იურევიჩმა.

— ცხოვრება... — სპირკა გაჩუმდა, სიტყვას კი არ ეძებდა, უცებ დაინანა, რომ რასაც ცხოვრებაზე იტყოდა, ეს პატარა დიასახლისი ვერ მოისმენდა. — ადამიანი ხომ ასეა: ზოგჯერ უჯდება კოჭი ალჩუზე, ზოგჯერ არა... — არა, არ უნდოდა ლაპარაკი. — რატომ წავიდა თქვენი ცოლი? მოხუცებს ვეტყვი, ისინი მოამზადებენ რაიმეს.

— რატომ? ჩემი ცოლი თვითონაა დიასახლისი. თქვენ ამჟამად გიჯდებათ ალჩუზე?

— ხანდახან. საერთოდ კი ბედს არ ვუჩივი... — არადა არ უნდოდა ლაპარაკი, სანამ ქალი იქ ამზადებდა იმ სულელურ საუზმეს. — შეიძლება პაპიროსი მოვწიო?

— მოსწიეთ.

— მასწავლებლები ხართ?

— კი.

— თქვენი ცოლი რას ასწავლის?

— სიმღერას.

— კარგად მღერის? — გამოცოცხლდა სპირკა.

— მღერის...

— ჩვენ არ გვიმღერებს?

— რა გითხრათ... თხოვეთ, შეიძლება იმღეროს.

— წავალ, მოხუცებს დავავალებ, ტყუილად წვალობს იქ!

სპირკა ოთახიდან გავიდა.

დაბრუნდნენ ერთად — ირინა ივანოვნა და სპირკა. ირინა ივანოვნას თეფშით მოჰქონდა ყველი, ძეხვი, ქონის ნაჭერი...

— დავთანხმდი, ცხელ კერძს აღარ ვაკეთებ, — თქვა ქალმა.

— ძალიან კარგი.

— ცხელი კერძი რა ჩემ... — სპირკას კინაღამ წამოსცდა ჩვეული სიტყვე-ბი. — რა სჯობია კიტრს და არაყს! არა? — სპირკამ მასპინძელს შეხედა.

— შენ უკეთ იცი, — საკმაოდ ცივად უთხრა სერგეი იურევიჩმა.

სპირკას გაეხარდა, მასპინძელმა შენობით რომ მიმართა. ასე სჯობდა. მან ვერ შეამჩნია, როგორ გადახედა ერთმანეთს ცოლ-ქმარმა. [illegible], ახ-ლა ჰიქა არაყს გადაჰკრავენ და მერე თავისთავად გამოჩნდება.

არაყის ნაცვლად მაგიდაზე კონიაკი გაჩნდა.

— მე წინასწარ ერთ ჰიქას გადავკრავ, ასე ვარ მიჩვეული, შეიძლება?

სპირკას სტუმართმოყვრულად დაეთანხმდნენ.

სპირკამ კონიაკი დალია და ძეხვის პატარა ნაჭერი აიღო.

ცოლ-ქმარმაც შესვა სირჩა კონიაკი. სპირკამ დაინახა, როგორ შეთრთოლ-და ქალის ნაზი ყელი. სპირკას კონიაკმა აუჩქროლა გული თუ რა იყო, რაღაც მძიმე და ცხელი მოაწვა გულზე. აუტანლად მოუნდა, ხელით მიალერსებოდა ამ კისერს. მისი მზერა ნათელი, ჭკვიანური გახდა... სულში ნეტარება ჩაუდგა.

— კონიაკი კი არა, ცხონებაა! — შეაქო მან, — ძვირია ოღონდ.

სერგეი იურევიჩმა ჩაიცინა. სპირკამ ვერ შეამჩნია ეს.

— რა სჯობია შინნახად არაყს, არა? — თქვა სერგეი იურევიჩმა, — იაფი-ცაა და მაგარიც.

„რა მოვყვე სამხიარულო?“ — ფიქრობდა სპირკა.

— შინნახადი არაყი ახლა იშვიათობაა, — თქვა მერე, — ეს ომის დროს იყო... — და მოაგონდა შორეული მძიმე წლები. შიმშილი, ძნელი, არაადამიანუ-რი შრომა, ხვნა-თესვა... და მოუნდა ყოველივე ეს მხიარულად მოეთხრო ამათთვის. სპირკამ ლამაზი თავი ასწია, ჯიქურ შეხედა ქალს და გაიღიმა. — მოვ-ყვე, როგორ ვცხოვრობდი?

ირინა ივანოვნამ სწრაფად მოარიდა მზერა და ქმარს შეხედა.

— მოყევი, მოყევი, სპირიდონ, — სთხოვა სერგეი იურევიჩმა, — საინტერე-სოა, როგორ ცხოვრობდი.

სპირკამ გაიბოლა.

— მე ცოდვის შვილი ვარ, — დაიწყო მან.

— როგორ? — ვერ გაიგო ირინა ივანოვნამ.

— დედაჩემმა მიშოვნა. აქ ერთი დარდიმანდი ჩამოსულა. ამ მხარეში ტყავს აგროვებდა თურმე. დამამზადებელი ყოფილა. ჰოდა, მეც დამამზადა.

— იცნობთ მას?

— არასდროს არ მინახავს. დედაჩემის დაორსულების შემდეგ თვალი აღარ დანახვებია. მერე კი რაღაცაზე დაიჭირეს და მისი ასავალ-დასავალიც დაიკარგა. ალბათ ჩამოჰკიდეს. მეც ვცხოვრობ ასე თუ ისე... — და როგორც სწრაფად მოუნდა თავისი ცხოვრების შესახებ მხიარულად მოეთხრო, ასევე სწრაფად გაუქრა სურვილმა. რაა სამხიარულო ამაში... ბაკანზე ხომ არ მოუყ-ვეს? სპირკამ შეხედა ირინა ივანოვნას და გული ისევ შეუტოკა დაუძლეველ-მა სურვილმა, შეხებოდა ქალის ყელს, მიალერსებოდა.

წამოდგა.

— რეისზე ვარ წასასვლელი. გმადლობთ გამასპინძლებისათვის.

— როგორ? — ვერ გაიგო ირინა ივანოვნამ.

— არის ხოლმე. ნახვამდის. კიდევ გეწვევით.

სპირკა უკანმოუხედავად გავიდა ოთახიდან.

— უცნაური კაცია, — თქვა ცოლმა მცირეოდენი დუმილის შემდეგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენ გინდა თქვა, რომ ლამაზია?

— ლამაზია, კი.

— ლამაზია.. .იცი, შეუყვარდი!

— ჰო?

— შენც, მგონი, გულზე გაგკენწლა. გაგკენწლა?

— საიდან მოიგონე?

— გაგ-კენ-წლა!

— შენ გინდა, რომ გამკენწლოს?

— მერე რა?.. ოღონდ... არ გამოგივა.

ქალმა ქმარს შეხედა.

— შეშინდები, — თქვა ქმარმა, — ამისთვის სიმამაცეა საჭირო.

— გეყოფა, — თქვა ქალმა სერიოზულად, — რა მოგივიდა?

— სიმამაცე და, რა თქმა უნდა, ძალა, — განაგრძო ქმარმა, — საჭიროა, ასე ვთქვათ, ფორმაში ყოფნა. აი, მას შეუძლია. სხვათა შორის, ციხეშია ნაჯდომი.

— საიდან დაასკვენი?

— არა გჯერა? წადი, ჰკითხე მოხუცებს.

— თუ გინდა, შენ ჰკითხე.

— რატომაც არა!..

ქმარი მოხუცებთან გავიდა.

ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა... და ყასიდი მხიარულებით გამოაცხადა:

— ხუთი წელი! მკაცრი რეჟიმის ბანაკში. ძარცვისათვის.

საღამოხანის ნესტიანი, გრილი ჰაერი პირისახეს სასიამოვნოდ ელამუნებოდა. სპირკა მიდიოდა და პაპიროსს ეწეოდა. უცებ ინატრა, თავსხმა წვიმა წამოსულიყო, ზეცა ცეცხლოვანი ისრებით დასერილიყო, ექუხა... მას კი მთელი ხმით ეღრიალა.

სპირკა მორიგ „ბუნაგში“ გაემართა — ნიურა ზავიალოვასთან.

ფანჯარაზე დაუკაკუნა.

— რა გინდა? — უკმაყოფილოდ შეეკითხა ნამძინარევი ნიურა, რომელიც ბუნდოვან, თეთრ ლაქად მოჩანდა ფანჯრის მიღმა.

სპირკა დუმდა, ნიურაზე ფიქრობდა: ერთხელ, ომის დროს, როდესაც ნიურა ოცდასამი წლის ქვრივი იყო და ორი პატარა შვილი ჰყავდა, სპირკამ (ევი მაშინ თოთხმეტისა იყო) ღამით მის ბოსტანში ერთი ტომარა ხორბალი გადააგდო ურმიდან (ხორბალი აღალით მიჰქონდათ ქალაქში დასაფქვავად), მგონი, ამ ფანჯარაზე მიუკაკუნა ნიურას და აჩქარებით უთხრა:

— ბოსტანში ნახე, აბანოსთან... სადმე გადამალე!

ორი დღის შემდეგ კი ისევ ღამით, როცა მასთან მივიდა, ნიურა გაცეცხლებული მივარდა:

— სპირკა, ჭრელო გველო, შენ რა, ციხეში გინდა ჩამსვან? თვითონ მაძღრად გინდა იარო, სხვებს კი შარში ხვევ?

სპირკა აენთო.

— განა ჩემთვის მინდა, რას ღრიალებ?

— აბა ვისთვის?

— შენთვის. იმათ ჭამა არ უნდათ? — ბავშვებზე უთხრა, — ხომ მშივრები არიან...

ნიურამ ფურივით დაიბღავლა და სპირკას მივარდა მოსახვევად. ნაწყენმა სპირკამ შეიგინა.

— ჰო, კარგი!.. როდინში დანაყავ და ლავაშებს გამოაცხობ ნაცარში. გემრიელი იქნება, არ უნდა ლაპარაკი.

აი, ეს გაახსენდა უცებ.

— რას უდგახარ? — ჰკითხა ნიურამ, — კარი ღიაა... ბებრებს არ გააღვიძო.

სპირკა იდგა. საშინელი ცნობისმოყვარეობა აღძრა, რას იზამდა ქალი.

— სპირკა!.. რა მოგივიდა?

დუმილი.

— არ მოდიხარ?

დუმილი.

— სულელი ხარ ნამდვილი... გამაღვიძა და დამიწყო ახლა.. .აბა, ჯანდაბაში წასულხარ! — ნიურამ საწოლს მიაშურა.

სპირკა ფეხაკრეფით შევიდა წინა ოთახში, სადაც ნიურას მოხუცები ხვრინავდნენ, და ნიურასთან ალმოჩნდა.

— რა თავპატიეს იდებ?

სპირკას აუტანლად შეეცოდა ნიურა... რა ეშმაკად მოვიდა, მართლა და მართლა? ასე თუ მოიქცეოდა, სჯობდა სულ არ მოსულიყო.

— კარგი, ნიუროკ, დავიძინოთ.

სამი დღის შემდეგ, საღამოს, სპირკა პროკუდინებთან წავიდა. მდგმურები არ იყვნენ შინ. სპირკა მოხუცებს გამოესაუბრა. მოუყვა, როგორ გამოეცხადა ერთ ჯარისკაცს მიწიერი ღვთისმშობელი...

მოვიდა ირინა ივანოვნა. მარტო. ქორფა. გაზაფხულის საღამოს სიგრილე შემოიტანა სახლში. გაუკვირდა , და როგორც სპირკას მოეჩვენა, გაუხარდა.

მშვიდი, თავდაჯერებული სპირკა ოთახში შეჰყვა.

— აი, თაიგული, — თქვა და ქალს სისხლივით წითლად მოგიზგიზე ყვავილების თაიგული გაუწოდა.

— ოჰ!.. — გაუხარდა ქალს, — ოი, რა კარგებია! რა ჰქვია? ასეთები არასოდეს მინახავს...

— უძოვარებია. — სპირკას სიამით აუძგერდა გული. ასე ემართებოდა, როდესაც ჩხუბი მოუვიდოდა, ანდა სასურველ ქალს მოეხვეოდა. იგი არ ფარავდა სიყვარულს. — ხშირად მოგიტანთ ასეთებს.

— არა, რატომ?.. რად უნდა შეწუხდეთ...

— ოჰ, — გაინაზა სპირკა, — შევწუხდე! გზაზე იმდენია, თუნდაც ცელით მოთიბე... — სპირკა დამშვიდდა: მაინც კარგია, რომ ლამაზი იყო. სხვას კაი ხანია კარს მიუკეტავდნენ და მორჩა. გაიღიმა, შვება იგრძნო.

ქალმაც გაიცინა და დაირცხვინა. სპირკა ტკბებოდა: თითქოს პაპანაქება სიცხეში წყაროს ცივ წყალს სვამდა და მთელი სახე შიგ ჰქონდა ჩარგული. სვამდა და სვამდა, და სხეულში ულღვებოდა დამქანცავი სიცხე. მან ქალის ხელი ხელში დაიჭირა... თითქოს სიზმარში იყო! ოღონდაც არ გაჰღვიძებოდა.

ქალს ხელის წართმევა უნდოდა... სპირკამ არ გაუშვა.

— არ გინდათ... არაა საჭირო.

— რატომ არაა საჭირო? — ყველაფერი, რაც სპირკას შეეძლო და რაც უცილობლად მოქმედებდა სხვა ქალებზე, ახლა უნდა გამოეყენებინა ამ ძვირფას, სუსტ არსებასთან. გულში ლოცულობდა: „ღმერთო! ოღონდ ახლა არ

აჩტეს და დახტეს!" მან მიიზიდა ქალი... ახლოს დაინახა მისი გაფართოებული, გაკვირვებული თვალები. ახლა ოღონდ არ აკანკალებულიყო, არ შეესუსტებოდა ხელი... „ღმერთო, მეტს არაფერს გთხოვ, ვაკოცებ და მორჩა" და აკოცა. და მიუალერსა თეთრ, ნაზ ყელზე... და კიდევ ერთხელ აკოცა რბილ, დამყოლ ბაგეებს. და ამ დროს შემოვიდა ქმარი... სპირკას არ გაუგონია, ისე შემოვიდა. დაინახა, როგორ გადასწია ქალმა თავი და შიშმა გაიელვა მის თვალებში... სპირკას ზურგს უკან დამცინავი ხმა გაისმა:

— იგივენი და ქმარი.

სპირკამ გაუშვა ქალი. არ შერცხვენია, არც შეშინებია. გული დასწყდა მხოლოდ. ისეთი წყენა დაეუფლა ამ სალუქი, ბეჯითი, გულდაჯერებული კაცის მიმართ... ოჯახის უფროსი მოვიდა! ყველაფერი აქვთ მაგათ, ყველაფერი აქვთ მაგ წყეულებს, ყველგან ეგენი არიან, თანაც მუდამ სასურველნი. სპირკა ქმარს უყურებდა.

— მარჯვე ბიჭი ყოფილხარ! როგორაა საქმე, მიაღწიე რამეს? — სერგეი იურევიჩს გაღიმება სურდა, მაგრამ არ გამოუვიდა, მხოლოდ ავად მოეწკურა თვალები და სქელი ტუჩები აუცახცახდა. მან ცოლს შეხედა. — რატომ დუმხართ? რატომ გაფითრდი?! — მრისხანე, სუსხიანმა ხმამ შოლტივით გადაჰკრა ქალს. — ბოზო!.. მოასწარი? — ქმარმა მისკენ გაიბიჯა...

სპირკამ გზა გადაუღობა, ახლოს დაინახე, როგორ უბრიალებდა მუქი თვალები წყენისა და მრისხანებისაგან... და კიდევ სპირკამ იგრძნო ოდეკოლონის ოდნავი სიგრილე, სერგეი იურევიჩის სუფთად გაპარსული კისრიდან რომ მოდიოდა.

— მშვიდად, მშვიდად! — თქვა სპირკამ.

და იმავ წამს ძლიერმა, მოკლე ხელმა სპირკა ოთახიდან გაიყვანა.

— აბა, ლამაზო, წავიდეთ!..

სპირკამ ვერაფერი გააწყო მის ხელთან, რომელიც თითქოს მიდუღებულიყო ქეჩოზე. რაღაც არაადამიანური სიძლიერე იგრძნობოდა ამ ხელში, თითქოს ბერკეტი უბიძგებდა უკნიდან.

ასე გაათრიეს სპირკა მოხუცების ოთახშიც... მოხუცები თვალებდაჭყეტილნი უყურებდნენ მდგმურსა და სპირკას.

— ბინძური ხვადი კატა დავიჭირე, — აუხსნა მათ მდგმურმა.

ო, რა საშინელება ხდებოდა სპირკას სულში!.. სირცხვილი, ტკივილი, ბრაზი, — ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო და სულს უხუთავდა.

— ხელი გამიშვი, — ხიხინებდა სპირკა, — დამპალო...

პარმაღზე გამოვიდნენ... ბერკეტი ამოქმედდა, სპირკა მაღალი პარმაღიდან გადაფრინდა და ფეხის საწმენდად დაფენილ ნესტიან ნამჯაზე გაიშოტა.

„მოვკლავ", — გაუელვა სპირკას.

სერგეი იურევიჩი მისკენ წავიდა...

— ადექი.

სპირკა მანამდე წამოხტა, სანამ ამას ეტყოდნენ... და იმწამსვე ისევ გაიშხლართა მიწაზე. „მცემს", — მწარედ, ზიზღით გაიფიქრა მან. ისევ წამოხტა, სცადა გასხლტომოდა საშინელ ბერკეტს და ყელში სწვდომოდა ფიზკულტურელს, მაგრამ მეორე ბერკეტმა მოკლედ დაარტყა ყბაში ქვემოდან. სპირკა უკან გადავარდა. პირში სპილენძის გემო გაუჩნდა, ისევ მივარდა მასწავლებელს... მას შეეძლო ჩხუბი, მაგრამ მძვინვარებამ, ტკივილმა, სირცხვილმა და თავისი უმწეობის შეგნებამ ბერკეტების წინაშე სიმარჯვე და სიმშვიდე წაარ-

თვა. ბრმა მძვინვარება სულ წინ და წინ უბიძგებდა, ბერკეტები კი მოქმედებდნენ. იგი ვერც ერთხელ ვერ მისწვდა მასწავლებელს. ბოლო დარტყმის შემდეგ ველარ წამოიწია. მასწავლებელი თავზე დაადგა.

— მე შენ მოგივლი, — გაურკვევლად, სუსტად, სერიოზულად თქვა სპირკამ.

— ჩავთვალოთ, რომ ეს ზრდილობის გაკვეთილია. ციხის ჩვევები უნდა მოიშორო, — მასწავლებელი არ ბრაზობდა, სერიოზულად ლაპარაკობდა.

— მოგკლავ, — გაიმეორა სპირკამ. პირში მტკივნეულად ალუფხოდა ყველაფერი. თითქოს ოდეკოლონის შუშა გაეტკვირა, ისე სერავდა და სწვავდა იქ რაღაც. — მოგკლავ, იცოდე.

— რატომ? — მშვიდად ჰკითხა მასწავლებელმა, — რატომ მომკლავ?... თახსირო.

მასწავლებელი სახლში შევიდა, კარი მიხურა და რკინის ურდულით ჩარაზა.

სპირკამ ადგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო. თავი უგუგუნებდა, მაგრამ აზროვნება ნათელი ჰქონდა. მან იცოდა, როგორ შეიძლებოდა პროკუდინების სახლის სახურავიდან ჩამძვრალიყო საკუჭნაოში. საკუჭნაო არ იკეტებოდა — თოკი მარყუჟიერით იყო წამოცმული ლურსმანზე, რათა კარი თავისით არ გაღებულიყო. მოხუცები სახლის კარსაც არ კეტავდნენ ღამით. ოთახს საერთოდ არ ჰქონდა საკეტი. სპირკა ყველაფერს კარგად იცნობდა პროკუდინების სახლში, რადგან მათი ვაჟი მიშკა, ახალგაზრდობაში სპირკას ამხანაგი იყო. სპირკა ხშირად დადიოდა მათთან და ღამესაც კი ათევდა ხოლმე. ახლა მიშკა არ იყო აქ, მაგრამ ყველაფერი, ცხადია, ძველებურად იყო დარჩენილი.

სპირკა ძლივძლივობით ადგა, სახლის კედელს მოეჭიდა... მდინარისაკენ წავიდა... ძალა დაუბრუნდა.

ნაცემი სახე დაიბანა, ასანთის შუქზე შეათვალიერა კოსტიუმი, პერანგი... დედას არ უნდა დაენახა სისხლი, რათა ეჭვი არ აეღო ცუდ რამეზე, როდესაც იგი თოფს აიღებდა. თოფი შეიძლება აეღო ნებისმიერი საბაბით: ვითომ სათესლე მარცვლეული მიჰქონდა საწყობში, დილით კი იქ, ტბაზე, დასჭირდებოდა.

დედას უკვე ეძინა.

— სპირკა, შენა ხარ? — ჰკითხა მან ნამძინარევი ხმით ღუმელიდან.

— მე ვარ. დაიძინე. ისევ უნდა წავიდე.

— ღუმელში ნახე, შემწვარი კარტოფილია. რძეცაა წინკარში... ჭამე, თუ მიდიხარ.

— კარგი. თან წავიღებ. — სპირკას არ აუნთია სინათლე, ჩუმად ჩამოიღო კედლიდან თოფი, წინკარში მოსაჩვენებლად აფუსფუსდა და ოთახში შებრუნდა (თოფი წინკარში დატოვა). ღუმელთან მივიდა, სიბნელეში დედის თავი მონახა და თხელ, თბილ თმაზე მოეფერა. ზოგჯერ ეფერებოდა დედას, როცა ნასვამი იყო. დედა არ განძრეულა.

— დაულევია...როგორღა წახვალ? — დედას, რაც წლები გადიოდა, მით უფრო უყვარდა შვილი, ეცოდებოდა, რცხვენოდა, რომ სპირკამ ვერაფრით მოაბა ოჯახის შექმნას თავი, როგორც რიგიან ხალხს შეჰფერის! ელოდა, რომ რომელიმე თავისუფალი ქვრივი ან ქმარგაყრილი ქალი მოხვდებოდა მათ ოჯახში.

— არაფერია. წავალ.

— აბა, ქრისტე ღმერთი გფარავდეს, — დედამ სიბნელეში გადასახა ჯვარი. ნელა მაინც იარე, გიყებივით რომ დაქრიხართ.

— ყველაფერი კარგად იქნება, — სპირკა მხნედ აჩვენებდა თავს. მაგრამ ერტი სული ჰქონდა, ჩქარა წასულიყო და როგორმე დაევიწყებინა დედა. ვისიც ამქვეყნად დატოვება ასე უკლავდა გულს — დედა იყო.

სპირკა ბნელ ქუჩაში მიდიოდა და თოფი მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული. ცდილობდა, დედაზე აღარ ეფიქრა. ვერ გადაიტანს დედა, როცა დაინახავს, როგორ წაიყვანენ შებოჭილს!.. სპირკამ ნაბიჯს აუჩქარა. „ღმერთო, მიეცი ძალა, გადაიტანოს“, — ლოცულობდა, ლამის მირბოდა, ბოლოს გაიქცა კიდეც. ისე ღელავდა, თითქოს კაცის მოსაკლავად კი არა, ირინა ივანოვნასთან თბილ ლოგინში ჩასაწოლად მიდიოდა. თვალწინ ირინა ივანოვნა დაუდგა, მაგრამ როგორღაც იმწამსვე გაქრა. ახსოვდა მისი რბილი, ნახევრად გაღებული ბაგეები, მაგრამ მოგონებით დატკბობას ხელს უშლიდა პირში სისხლის გემო და... სერგეი იურევიჩის გაპარსული კისრიდან წამოსული ოდეკოლონის სიგრილე. ეს უსიამოვნო სუნი რატომღაც ახლა გაახსენდა.

სპირკა მირბოდა და გასამხნევებლად ხმადაბლა მღეროდა:

ნუთუ ჩემმა შავრა ცხენმა
გადატკვირა ლაგამი?
ნუთუ ჩემმა საყვარელმა...

სახლი ჩაბნელებული იყო. „მაშ ასე, მაშ ასე, — გამალებით ფიქრობდა სპირკა, — ავიღოთ კიბე... დავდგათ... მშვიდად“. გული ნეკნებს ეხეთქებოდა. „მშვიდად, სპირია!“ ბაწარი თითქმის უხმაუროდ გაწყდა, ოღონდ მოქაჩულმა ლურსმანმა გაიღლარუნა ოდნავ. სპირკამ თავისუფალი ხელის ცეცებით უხმაუროდ გაიარა წინკარში და კარს მიაგნო. „ასე, ასე...“ დაიჩარა, კარს ითითები ამოსდო, აქაჩა, რამდენადაც შეეძლო, და თავისკენ მოსწია. კარგი წყნარი, სასიამოვნო ამოოხვრით გაიღო: „პ-ახ“, და უხმოდ გააგრძელა მოძრაობა. წინაოთახში ბებრების ბინის სუნი იდგა, დანოტიოებული ჯუბაჩის, თბილი ლუმელის, ცომის სუნი..., აი, აქ გამოათრიეს წეღან ქეჩოთი. ღმერთო, ისე გამატარე, ბებრებმა არ გაიღვიძონ... შეშინდა: რამეს რომ შეეშალა ახლა ხელი. „ოი, როგორ მცემა! როგორ მცემა!.. მაგარი ვინმეა“.

სპირკას თავად უკვირდა თავისი სიმარჯვე და სიმშვიდე. სრულიად უხმაუროდ მოქმედებდა. ოთახის კარი მოსინჯა და ისიც ასწია ქვემოდან... კარმა გაიჭრიალა. სპირკამ სწრაფად, ფრთხილად მოსწია თავისკენ... უკვე ოთახში იყო! სიბნელეში, რომელიც ოდნავ გაბაცებულიყო ქუჩის ნათურის სინათლით, საწოლმა გაიჭრიალა. სპირკამ კედელზე ჩამრთველი მოძებნა და ჩართო. მას მისჩერებოდა საწოლში მჯდარი სერგეი იურევიჩი. წამოიწია ირინა ივანოვნამაც... ჯერ ქმარს მიაშტერდა, მერე თოფიანი სპირკა დაინახა. უხმოდ გააღო პირი... სპირკა მიხვდა, რომ სერგეი იურევიჩს არ ეძინა, — გასაგები იყო, — იგი უძრავად უყურებდა სპირკას მუქი თვალებით.

— მე გაგაფრთხილე, მოგიკლი-მეთქი, — თქვა სპირკამ. უნდოდა ჩახმახზე შეეყენებინა ორლულიანი თოფი, მაგრამ უკვე შეყენებული იყო. (როდის შეაყენა?) — გახსოვს? გითხარი.

სპირკაზე არ უმოქმედია, რომ ირინა ივანოვნა ლამის პერანგიანი იჯდა, პერანგი ცალი მხრიდან ჩამოვარდნოდა და მკვრივი, რძისფერი ძუძუ, ბავშვის ბაგეები ჯერ რომ არ შეხებოდა, მთლიანად მოუჩანდა კერტამდე.

ცოლ-ქმარი დუმდა. სპირკას უყურებდნენ.

— გამო ლოგინიდან, — თქვა სპირკამ.

— სპირიდონ... ხომ იცი, დაგხვრეტენ. ნუთუ...

— ვიცი. გამო.

— სპირიდონ! ნუთუ...

— გამო!

სერგეი იურევიჩი საწოლიდან ჩამოხტა, ტრუსი და მაისური ეცვა.

სპირკამ თოფი შემართა.

სერგეი იურევიჩს მკვდრისფერი დაედო...

უცებ ირინა ივანოვნამ დაიკივლა, დაიკივლა თავზარდამცემად, მძვინვარედ, მბრძანებლურად. სავსებით არ ჰგავდა ახლა თავის თავს ეს პატარა, ჰკვიანი ქალი, თბილი, რბილი ბაგეები რომ ჰქონდა. რაღაც სრულიად არაადამიანური სიმწარე და სასოწარკვეთა დაუფლებოდა. საწოლიდან ჩამოვარდა, გაფორთხდა და ხელები გაიწვდინა...

— არ გინდა! ო-ო-ო-ი! არ გინდა! ო-ო-ი!.. — მუხლებზე ფორთხავდა და ცდილობდა, ფეხებზე მოჰხვეოდა სპირკას.

უცებ სერგეი იურევიჩი სპირკასკენ გადახტა, მაგრამ მკერდში კონდახის დარტყმა მიიღო და დაეცა.

— გემუდარებით!.. არ გინდა!.. — ბღაოდა პატარა ქალი. ჩანდა, დაეწყებოდა სპირკას სახელი. — ო-ო-ი!..

წინა ოთახში, კარს უკან, ალიაქოთი ატეხეს მოხუცებმა, ისინიც აყვირდნენ.

— არ გინდა, ო-ო-ი!.. — ყვიროდა ქალი, თავს აქნევდა და ცდილობდა, ფეხებზე მოჰხვეოდა სპირკას, მიხოხავდა, ტრუსი არ ეცვა, პერანგი ზურგზე აჩაჩოდა, მაგრამ ვერ ამჩნევდა ამას, სპირკას ფეხებისაკენ მიიწევდა.

დაბნეული სპირკა ქალს იშორებდა... და უცებ ნათლად მიხვდა: თუ იგი ახლა გაისვრის, ამ სროლას მერე ვერაფრით მოინანიებს, ვერც ღვინოში ჩაახრჩობს... ასე მაინც არ ბღაოდეს!.. რამდენი ძალა ჰქონია!

— დედაც თქვენი!.. — შეიგინა სპირკამ.

ოთახიდან გავიდა და ბნელ სახლს გაშორდა. ძლიერი დაღლილობა იგრძნო რატომღაც. დედა გაახსენდა. გაიქცა. უნდოდა დედაზე ფიქრებს გაქცეოდა. ყოველგვარ ფიქრებს. ირინა ივანოვნა მოაგონდა, მოშიშვლებული. და საბრალული და საყვარული შემოენთო გულზე. წუთით შვება იგრძნო, უბედურება რომ არ დაატრიალა. ღმერთო, როგორ ბღაოდა!.. როგორ დაიკვლებოდა მკვდარ ქმარს! და ისევ დედა.. .აი, ვინ იბღავლებს! სპირკა სწრაფად გაიქცა. მიირბინა სასაფლაოზე, მიწაზე დაჯდა. ბნელოდა. თოფი აიღო და გულზე მიიბჯინა... შემართა ჩახმახი და გაიფიქრა: „მაშ... გათავდა?!" თითებით მოსინჯა ორი ცივი, თხელი რკალი...

„ახლა დამარტყამს", — გაიფიქრა ისევ. და უცებ ნათლად წარმოიდგინა, როგორ აგდია მკერდშელეწილი, ხელებგადაშლილი, დილის ნათელ ცას უცქერის გაყინული თვალებით... .ამოდის მზე. გაციებულ გვამს ბუზები ესევიან, ლურჯი ბუზები, მსხვილები, ხარბები. შემდეგ ხალხი მორბის სოფლიდან. ვიღაც ამბობს: „დავაფაროთ რამე".. .ფუი! სპირკას შეაჟრჟოლა. დაჯდა. „დაიცა, საყვარელო, დაიცა, დაიცა, დაიცა. გაჩერდი, არიფო, ნუ წრიალებ! მე შენ გეკითხები: რა მოხდა? ღმერთო! მაგრა დაგნაყეს? შენ რა, ჯერ არავის უცემიხარ? აბა, რა მოხდა?"

— რა მოხდა? — თქვა ხმამაღლა სპირკამ. — ჰა? — ზიზღით, ფრთხილად

მოიცილა ლულები. ფრთხილად დაუშვა ჩახმახი. ღრმად და შვებით ამოიოხრა და ხმამაღლა, ოინბაზურად დაიწყო ლაპარაკი, შვება და სიხარული დაეუფლა.
— რა მოხდა, სპირია? ჰა? აი-აი-აი-აი! როგორ თუ?! ცემეს ბიჭს? ცემეს... ეტკინა, არა? უნდოდა შუბლში ბითქი?.. აი, არიფი! — სპირკამ გაიცინა და ხელი მოისვა ტუჩებზე. მასწავლებლის ბერკეტს ტუჩები გაეხეთქა მისთვის, გაცინებამ ატკინა. — რა დაგემართა? რა დაგემართა? (გახეთქილი ბაგეები ასე გამოთქვამდნენ: „რა ფაფემართა? რა ფაფემართა?") ასე შეიძლება? აი-აი-აი-აი! არაა ქოოქი!.. დიდი ამბავი, გცემეს... შენ კი მაშინვე ბითქი მოინდომე გულში... ო-ო!

ხელებგაშლილი სპირკა ზურგით იწვა გრილ მიწაზე... აი, ასე იწვებოდა ხვალ. იქ, სადაც ახლა გული ძგერს, — სპირკამ ხელი დაიდო გულზე, — ორი ტყვია გაფლეთდა მკერდს, ქუდისხელა ნახვრეტს გააკეთებდა. შეიძლება პიჯაკი და პერანგიც დამწვარიყო. შიშველი იწვებოდა... ოო, ბრიყვი! რა საზიზღარი სანახავი იქნებოდა! სპირკა წამოჯდა, გაიბოლა, გემრიელად დაარტყა ნაფაზი. ისე ჩქარობდა გულში ტყვიების დახლას, რომ უკანასკნელი მოწევაც კი დაავიწყდა. სპირკას გაეგონა, რომ დასახვრეტად გამზადებულებიც კი პაპიროსს თხოულობენ უკანასკნელად. გაახსენდა პატარა გოგონა, თავისი ნათესავი: როცა გრძნობს, რომ მამას ბეზრდება მისი ტარება ზურგით, ის სასაცილოდ იჭყანება და ხვეწნით ამბობს: „უკანასკნელად! ელთიც, უკანასკნელად!" სპირკას გაეცინა გოგონას გახსენებაზე. ისევ წამოწვა, მოსწია, ვარსკვლავებს დაუწყო ყურება: მოეჩვენა, რომ თრთოდნენ და წკარუნობდნენ. და მასაც მოუნდა ლექვივით აწკმუტუნებულიყო საწყალობლად... იგი შეიჭმუხნა და იგრძნო, როგორ მდორედ, მძლავრად იზიდავდა მიწა. სპირკა წამოხტა. რაღაც უნდა გაეკეთებინა, რამე უნდა ეღონა. „ახლავე, ახლავე!" — გადაწყვიტა მან. თოფი აიღო და სწრაფად წავიდა.. .თვითონაც არ იცოდა, საით. ოღონდ გაშორებოდა სასაფლაოს, ამ ჯვრებსა და მდუმარებას. სპირკამ ხმამაღლა, უწყინარი ქირდვა დაუწყო განსვენებულებს:

— წვეხართ?.. ჰოდა, იწექით! იწექით, ასეთია თქვენი ბედი. მე რა შუაში ვარ? თქვენ იწექით, მე კი ცოტას კიდევ ვივლი ამ ქვეყანაზე. მივტრიალ-მოვტრიალდები.

აღარ უნდოდა ფიქრი სასაფლაოზე და იმაზე, როგორ იწვა იქ... ვინმესთან მისვლა მოსწყუროდა. იქნებ ეამბნა ყველაფერი... იქნებ ეცინათ. დაელიათ! მაგრამ სად? როგორ თუ სად! ვერკა მებუფეტესთან! სახაიეში! ე-ე, იქ არის ის ყოველთვის! ღამის გათევაც შეიძლება მასთან.

სპირკამ სახაიესკენ შეუხვია.

ვერა იმწამსვე აბუზღუნდა: რა არის, არც დღე მასვენებთ, არც ღამე... სპირკამ ასანთი გაჰკრა და სახე გაინათა.

— შეხედე, კინაღამ მომკლეს. შენ კი გააბი აქ...

ვერა შეშინდა. კმაყოფილმა სპირკამ წყნარად გაიცინა.

— სად დაგემართა ეს? — შეეკითხა ვერა.

— ერთგან... მაგრადა ვარ?

— ღმერთო, სპირკა!.. მოგკლავენ შენ, ერთი დღე იქნება. სად იყავი, აღარ იტყვი?

— არ ვიტყვი. საიდუმლოა.

ოთახში შევიდნენ. ვერამ ფარდები კარგად ჩამოაფარა და სინათლე აანთო. კიდევ ერთხელ შეათვალიერა სპირკა... თბილი ხელისგული, კრემის სუნი რომ ასდიოდა, დაჩეჩქვილ სახეზე მოუთათუნა.

— ოი! — ყასიდად შეჰყვირა სპირკამ, ისევ გაიცინა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

დიდებულია მარტოხელა ქალები! რატომღაც ყოველთვის სიმყუდროვე და სიმშვიდეა მათთან. შეიძლება გაბედულად იარო, თუკი იატაკი არ შეგიჭრიალებს. შეიძლება იფიქრო... შეიძლება მიუალერსო დიასახლისს, [illegible]... დროულად, ჰკვიანურად... კრთებიან ამ დროს და ალერსიანად, გამომცდელად გიცქერიან. ძვირფასები, კეთილები, ცოდონი არიან.

ვერამ არაყი მონახა. სარდაფშიც ჩავიდა და მჟავე კიტრი მოიტანა. ოღონდ შეშინებული დაბრუნდა...

— იქ შენ თოფი გაქვს, თუ რაა? ფეხი წამოვკარი...

— თოფია. იყოს.

— რად გინდა თოფი?

— ისე.

— სპირკა... რა არის ახლა ეს!

ვერას კარგი ქმარი ჰყავდა, კარგი ვაჟკაცი იყო, ორმოცი წლისა მოკვდა. ღმერთმა იცის, რა დაემართა. კიბო ჰქონდა ალბათ.

— სპირკა!..

— ჰა?

— შენ რა... საომრად მიდიხარ?

— საომრად. ხომ ხედავ, დამჭრეს. — სპირკამ ისევ გაიცინა. სულ ეცინებოდა. კარგი იყო აქ.

— აი, უცნაური კაცი. ვინმე ხომ არ მოკალი?

— არა. მერე უნდა მოვკლა. სხვა დროს.

— სპირკა, მეშინია. რამე ხომ არ ჩაგიდენია მართლა?.. მაშინ ხომ მეც... როგორც მოწმეს... შენ ეშმაკსაც წაუღიხარ!

— ყველაფერი რიგზეა, სულელო! რამ შეგაშინა! არავინ არ მომიკლავს. მე მომკლეს კინაღამ... მე კი ჯერ უნდა მოვიფიქრო, როგორ მოვკლა.

— დალიე და წადი, — გაჯავრდა ვერა, — წადი, სპირკა. ესღა მაკლდა ახლა.

სპირკა დასერიოზულდა.

— დამშვიდდი. განა ისეთ კაცს ვგავარ, უდანაშაულო ადამიანი ხიფათში გავხვიო? რა დაგემართა? არ მიცნობ? მე ხომ არაფრით არ მოვიდოდი, რომ... კარგი რა!

— თოფით ღამე სიარული...

სპირკამ ერთი ჭიქა გადაჰკრა და კიტრი მოკბიჩა. ვერას არ დაულევია.

— არ მინდა.

— რატომ?

— არ მინდა. შემაშინე იმ თოფით. ვინ გცემა?

— ვიღაც უცნობებმა. ნულარ მეკითხები, რა! არაა საჭირო. — გაახსენდა მასწავლებელი... გაფითრებული, ტრუსსა და მაისურში. სპირკამ მხრები შეარხია, უნდოდა მოეშორებინა უსიამოვნო, ბოროტი ფიქრები. — კარგი, კარგი, კარგი, — აჩქარებით თქვა მან, — არ გინდა, რა! — კიდევ დაისხა ნახევარი ჭიქა, რათა ვერ მოესწრო მასწავლებელ ქალზე გაფიქრება. არ უნდოდა გახსენება. მაინც გაახსენდა, პატარა, ნახევრად შიშველი, შეშინებული... მაინც გაახსენდა.

— საღამოს მოვალ და წავიღებ.

დილით სპირკა ადრე წამოხტა. თოფი ვერასთან დატოვა.

— სად მიხვალ?

— სამუშაოზე. სად წავალ!.. ისა... თოფზე არავის უთხრა.

— ჰო, აბა! წავალ და მოვყვები , სპირკა იყო ღამით-თქო ხიფათში...

— ჭკვიანი ხარ! ვიღაც უცნოებმა მცემეს. შარაგზაზე. შინდილის თოფით დავწეოდი, მაგრამ გამასწრეს.

ვერამ უნდობლად შეხედა სპირკას. სხვათა შორის, არც სპირკა ცდილა, დამაჯერებლად ელაპარაკა.

— დალევ?

— არა. კარგად მენახე.

სპირკა მასწავლებელთან წავიდა. მიდიოდა მიხვეულ-მოხვეული გზებით, ეზოებზე გადავლით, რათა ნაკლებად შეხვედროდა ვინმე. მაინც შეხვდა ორი-სამი. კოლმეურნეობის ბრიგადირმა ილია კიტაიცევმა იქედნურად, გამგებიანად გაუღიმა შორიდან:

— ოჰო! ქალებში იყავი?

სპირკამაც ფართოდ გაუღიმა, დაძლია ტკივილი, რომელმაც მთელი სახე დაუჩხვლიტა.

— ვიყავი, ილიუხა! ქალებში ვიყავი, მომაწევინე.

— რა მოგსვლია?

— არაფერი... დავეცი. — სირცხვილი, თავის მოჭრა!.. სირცხვილისაგან სპირკას ენაც კი დაება. ილიუხას იქედნურმა ჩაცინებამ სამართებლივით დაუსერა გული. — არ მოვწიოთ?

— მოვწიოთ, მოვწიოთ. მაგრად კი დაცემულხარ... მაღლიდან ჩამოვარდი ალბათ. როგორ მოგივიდა?

— რა ვუყოთ, ილიუხა... ხდება ხოლმე — ეცემიან. ახლა მე რომ გთხლი-შო, შენც დაეცემი. არა გჯერა?

ილიუხას ღიმილი შეაციედა.

— რატომ ბრაზობ?

— შენ რატომღა იღრიჯები? იმწამსვე ქირდვა რომ დაიწყე! არ შეგიძლია კბენის გარეშე სიტყვის თქმა? გზა!

არა, სოფელში აღარ დაიდგომება. დაიწყებენ ღრეჯას ვიღაც ლაზღანდა-რები... ეჰ, მასწავლებელო... მაგრა გისწავლია ხელების ხმარება! დიდებულია, დიდებული. კარგი იქნება, ჭერზე დაგკიდო ფეხებით... არა — შენს თვალწინ შენი ძვირფასი ცოლი ისე მაგრად დავკოცნო, რომ იღრიალოს. სპირკას წინ მიაქროლებდა სასტიკი სურვილები, თითქოს ზურგში უბიძგებდა. ვერ ამჩნევდა, რომ ისევ ჩქარობდა. მაგრამ იცოდა, რომ ამჯერად თავს არ დაესხმებოდა მას-წავლებელს. არა, ეს შემდეგ მოხდება... მშვიდად, სასტიკად. ეს მერე.

გვიან, როცა ამ დილის საუბარს იგონებდა მასწავლებელთან, სპირკა არ გრძნობდა კმაყოფილებას.

ისე გამოეცხადათ, თითქოს ტანსაცმელშემოფლეთილი, ნაჯახიანი შავი კაცი ტყიდან გამოვიდაო... ზღურბლზე დადგა. კაცი უკვე ჩაცმული იყო, გა-პარსული... ელექტრო საპარსი ეჭირა და სარკის წინ იდგა. საპარსი მის სახეს-თან ღუღუნებდა. ქალი, ძილისა და გუშინდელი ყვირილისაგან სახეშეშუპებული, ლამაზი, თეთრ-ქუნქულა, საუზმეს ამზადებდა. იგი თეფშით ხელში გაშეშდა.

— გასაფრთხილებლად მოვედი, — საქმიანად თქვა სპირკამ. — რაც აქ მოხდა, კრინტი არავისთან დაძრათ. მოხუცებს თქვენვე უბრძანეთ. მე ჯერ-ჯერობით მივეფარები ჰორიზონტს, მერე კი, სერგეი იურევიჩ, მაპატიეთ, მაგრამ, მაინც მოვივლი.

— როგორ... მოუვლი? — სულელურად შეეკითხა ირინა ივანოვნა.

— მე ავანსი მივიღე... იგი უნდა ავანაზღაურო. — სპირკამ არ იცოდა, როდის მოხდებოდა ეს. მაგრამ მოვა იგი ერთ მშვენიერ დღეს, მშვიდი, ლამაზი, მოხდენილი და იტყვის: „მე ვალის გადასახდელად მოვედი". ო, რა დღეში ჩაცვივდებიან! ო, როგორი იქნება თვითონ სპირკა! მასწავლებელი მთლად დაიბნევა და გასაცოდავდება. დაიწყებს ხვეწნას: „სპირიდონ, მე სულელი ვიყავი, გთხოვ მაპატიო..." „აბა, აბა, — იტყვის სპირკა თავაზიანად, — არაა საჭირო შარვალში ჩასვრა... აქ ხომ ქალია... თქვენი ცოლი. მან პატივი უნდა გცეთ თქვენ".

— რომელი ავანსი? — მაინც ვერ გაიგო ირინა ივანოვნამ, — ვისგან აიღეთ?

— სამაგიერო სურს გადამიხადოს, შური იძიოს, — აუხსნა ქმარმა. — კარგი, სპირიდონ, მივიღებ მხედველობაში. — მასწავლებელს მტკიცედ ეჭირა თავი. — არავის არაფერს ვეტყვით.

— ასე!.. კარგად იყავით, ჯერჯერობით. — სპირკა გავიდა.

„კი მაგრამ, სად უნდა წავიდე?" — გაიფიქრა მან. შეჩერდა კიდეც. მხოლოდ ახლა გაიაზრა, რომ წასვლა გადაწყვიტა.

„კი მაგრამ, სად? სად?" მაგრამ აღმოჩნდა, რომ ესეც იცოდა: ქალაქ ბ-სკში, აქედან ას ორმოცდაათი კილომეტრით რომ იყო დაშორებული. როდის მოიფიქრა ეს, არ იცოდა. თითქოს თავისთავად დაებადა ეს აზრი, მაგრამ თანდაყოლილი სიფრთხილე მოითხოვდა, რომ გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ შეემოწმებინა.

სახლს გვერდი აუარა და გარაჟში წავიდა. იქ კვლავ იგემა მძღოლების ეშმაკური მზერა, ბრაზობდა, ნერვიულობდა. მერე შორეული რეისის საგზური აიღო და სწრაფად გავიდა.

გზაში რამდენადმე დაწყნარდა. ფიქრებში ჩაეფლო. უნდოდა, ისევ აღედგინა წარმოსახვაში ის საამო სურათი, მასწავლებელთან საუბრისას რომ წარმოუდგა :მივა მათთან — თავაზიანი, მოხდენილი... მაგრამ სასურველი სურათი არა და არ აღუდგა. სპირკა ამაოდ ცდილობდა გაცხარებულიყო. აი, მივა.., მივა... „გამარჯობათ!" არა... არ გამოდის. საზიზღრობაა ამაზე ფიქრი. იგი უცებ გაართა იმან, — და უარი თქვა ამის გაცნობიერებაზე, — რომ არ იყო ნამდვილი, ყოვლისმშთანთქმელი ბრაზი მასწავლებელზე. ის ხილვები, რომ მასწავლებელი თავდაყირა ჰკიდია, რომ ფერწასული და საცოდავი მის წინ ხოხავს, — ძალიან უნდოდა, სასურველი, სასიამოვნო ყოფილიყო. მაშინ ალბათ დამშვიდებასაც შეძლებდა და როდისმე მართლაც ასე მოიქცეოდა, — მასწავლებელს თავდაყირა დაჰკიდებდა. ხომ უნდა უსურვო რაღაც ბოროტ მტერს! წარმოსახვით ხომ მაინც უნდა დაინახო იგი დამცირებული, დათრგუნვილი, რა თქმა უნდა! მაგრამ... სპირკა შეტოკდა კიდეც ადგილზე: მიხვდა, რომ ვერ ბრაზდებოდა მასწავლებელზე. რომ დაფიქრებოდა მთელ თავის ცხოვრებას, იგი მიხვდებოდა, გაიხსენებდა, რომ საერთოდ არავისთვის უსურვებია ბორო-

ტება. მაგრამ არ დაფიქრებულა. მხოლოდ სასოწარკვეთილად შეეცადა სულში ბრაზი გამოეწვია.

„მაშ, არიფო!.. მჩვარი ხარ, აბა რა? გთელავენ, როგორც პირუტყვს ლობის ძირში, შენ კი... ჰო-ჰო, როგორ გცემეს! სულ თამაშ-თამაშით. გათრიეს და გაგთელეს. რამ წაგახდინა? სულ იცინებენ აწი შენზე. მასწავლებელი იცინებს პირველი. რამ მოგსპო? არც ერთი ქალი აღარ მიგიკარებს, ასეთ მჩვარს". არსად იყო ბრაზი.

როგორ მოიქცეს ახლა? სპირკამ არ იცოდა, რა ეპასუხნა ამ კითხვაზე. მთელი დღე ცდილობდა, გაერკვია: „როგორ მოვიქცე?" ვერ შეძლო.

საერთოდ, სიცოცხლე, მობეზრდა, საშინლად უაზრო ეჩვენა ცხოვრება. ამაში თანდათან რწმუნდებოდა სპირკა. დროდადრო ზიზღს გრძნობდა საკუთარი თავისადმი. ასეთი რამ არასდროს დამართნია. სიმშვიდე დაეუფლა, მაგრამ რაღაც მკვდრული სიმშვიდე, ისეთი სიმშვიდე, როდესაც გზადაბნეული კაცი ბოლოს ხვდება, რომ გზა დაებნა და კუნძზე ჯდება. აღარ ყვირის, აღარ ეძებს ბილიკს. ჯდება. ზის და მორჩა.

სპირკაც ასე მოიქცა. ტყეში შეუხვია, გავიდა მინდორზე, ძრავა ჩააქრო, გადმოვიდა და კუნძზე დაჯდა.

„აი, აქ შეიძლება ტყვია დავიხალო, — გაიფიქრა მან მშვიდად, — სასაფლაოზე მიქარვა იყო. აქ სილამაზე მაინცაა".

სილამაზე იყო მართლაც. სპირკა საგანგებოდ არ დაკვირვებია ამ სილამაზეს, თითქოს ერთბაშად აღიქვა... იჯდა. დაიხარა, ბალახი მოწყვიტა, გაკვნიტა და ჩიტების სტვენას დაუგდო ყური. ტყის პატარა ბატონ-პატრონები სტვენდნენ, ყლურტულებდნენ, გალობდნენ სადღაც ბუჩქებში. ლამაზი კოდალების წყვილი, ხოჭოსავით შავი და გულზე თეთრ წინსაფრიანი, ულრანიდან გამოფრინდა, ნორჩი ფიჭვი ამოირჩია, აუფრინა-ჩაუფრინა, ხეს დაუკაკუნა, ვერაფერი იპოვა, მოეშვა და ისევ ბუჩქებში გაუჩინარდა.

„ესენიც წყვილად დაფრინავენ", — გაიფიქრა სპირკამ. ისიც გაიფიქრა, რომ ადამიანებს შურთ ჩიტებისა... ამბობენ: „მიხედენით მფრინველთა ცისათა". შეგშურდება, აბა რა! ისიც გაიფიქრა, რომ მასწავლებელმა ალბათ ქუჩაში გადაჰყარა ყვავილები ,მის ცოლს რომ მიუტანა სპირკამ. ალბათ ახლა ფანჯრის ქვეშ ჰქნებიან... ლამაზი ყვავილები იყო, წითლები. სპირკამ ჩაიცინა. კოხტაპრუწა სპირია... აქაც არის ყვავილები. აი, იქ, — ლურჯები, თეთრები, ყვითლები... აი, შროშანა ჰყვაის, აი, ლაშქარა... აი, თეთრი ყვავილების გვირგვინი ამოყელყელავებულა. სპირკას უყვარდა მისი სუნი. ადგა, მოწყვიტა წვრილი, თეთრი ყვავილების ბლუჯა. ისევ დაჯდა კუნძზე. ხელისგულებში გასრისა ყვავილები, შიგ სახე ჩარგო და შეისუნთქა ცივი, ნესტიანი, მწკლარტე, ჭაობის მსგავსი სუნი სადა, უბრალო მინდვრის ყვავილისა. ხელისგულებით დაიფარა სახე და ასე დარჩა დამჯდარი. დიდხანს იჯდა უძრავად. შეიძლება ფიქრობდა. შეიძლება ტიროდა...

...სპირკა სამი დღის მერე იპოვეს ტყეში, მინდორზე. იწვა, სახე მიწაში ჩაერგო, ხელებით ბალახები ჩაებღუჯა. თოფი გვერდით ეგდო. ვერაფრით გაიგეს, როგორ ისროლა. გულში მოერტყა, პირქვე კი იწვა... როგორღაც ქვემოდან მოეხერხებინა.

მოასვენეს, დაასაფლავეს.

ბევრი ხალხი იყო. ბევრი ტიროდა...

# როგორ მოკვდა ბერიკაცი

ბერიკაცმა დილიდანვე შეუძლოდ იგრძნო თავი [illegible]ნელი სისუსტე მოერია... დასუსტებული უკვე კარგა ხანია [illegible] — მთელი თვე — მაგრამ იმ დღეს რაღაც უჩვეულო სისუსტე [illegible]. ისეთი სევდა შემოაწვა გულზე, ისე უქმიფოდ იყო, [illegible] ეტირა. კი არ შეშინებია, გაუკვირდა: ასეთი სისუსტე არასოდეს უგრძნია. ხან მოეჩვენა, ფეხები წამერთვაო... თითებით მოსინჯა. არა, მოძრაობდნენ. ხან თითქოს მარცხენა ხელი გაუშეშდა. აამოძრავა ისიც — თითქოს არაფერი, მაგრამ როგორ სუსტად იყო, ღმერთო!..

შუადღემდე ითმენდა, იცდიდა: იქნებ მოშვებოდა გულზე, იქნებ მომჯობინებულიყო ცოტათი, გაბოლება ან დალევა მონდომებოდა. შემდეგ მიხვდა: ეს სიკვდილი იყო.

— დედაკაცო... დედაკაცო! — დაუძახა თავის დედაბერს. — ისა... ვკვდები მე.

— ოი, ღმერთო! რას ამბობ, კაცო! — შესძახა დედაბერმა. — რას არ მოიფიქრებ ერთი შენც!

— ეგება ჩამომიყვანო აქედან. ძალიან მიჭირს აქ ყოფნა. — ბერიკაცი ღუმელზე იწვა. — ჩამომიყვანე, თუ ღმერთი გწამს.

— მე მარტო რას ჩამოგიყვან. ეგორს ხომ არ დავუძახო?

— დაუძახე, თუა სახლში.

— ეზოში იყო და რა ვიცი... დავუძახებ.

დედაბერმა ჩაიცვა და გავიდა. ქოხში თეთრი, გაყინული ნისლი შემოიჭრა.

„ხათაბალაა ზამთარში სიკვდილი". — გაიფიქრა ბერიკაცმა.

მოვიდა ეგორი, მეზობელი გლეხი.

— ო, რა ყინვა, ეშმაკმა წაიღოს! — თქვა მან. — დაიცა, ძია სტეპან, ცოტათი გავთბები და მერე ამოვალ, თორემ გაგაციებ, შენ რა, ცუდად ხარ?

— ძალიან ცუდად ვარ. ეგორ. ვკვდები.

— აბა ერთი შენცა ხარ. იტყვი, რაღა!.. ნუ გეშინია.

— მეშინია თუ არ მეშინია, მორჩა. ძალიან ყინავს?

— ორმოცდაათი გრადუსია. — ეგორმა გააბოლა. — ისეთი თოვლია, რომ ნუ იტყვი. ტრაქტორებით ხვეტავენ, მაგრამ რაი მერე.

— შეიძლება ჩამოთოვოს კიდევ.

— ახლა საეჭვოა უკვე. აბა ერთი ჩამოგიყვანო...

დედაბერმა ბუმბულის ბალიში გააფუა. ეგორი ღუმელზე ავიდა ბერიკაცის ჩამოსაყვანად.

— კისერზე მომეჭიდე... ასე! როგორ გამხდარხარ!

— ვიავადმყოფე...

— ბავშვივით მჩატე ხარ. ჩემი კოლკა უფრო მძიმეა.

ბერიკაცი საწოლზე დააწვინეს და ტყაპუჭი დააფარეს.

— პაპიროსი ხომ არ შეგიხვიო? — შესთავაზა ეგორმა.

— არა, არ მინდა. ოი, ღმერთო, — ამოიოხრა ბერიკაცმა, — ამ ზამთარში სიკვდილი...

— კაი ერთი! — უთხრა ეგორმა სერიოზულად. — გამოიბერტყე თავიდან ეგ ფიქრები. — ტაბურეტი საწოლისაკენ მისწია და დაჯდა. — ფრონტზე იცი, როგორ ვიყავი? მეც ვფიქრობდი, მორჩა, წასულია ჩემი საქმე-მეთქი. ექიმი კიდე ასე მეუბნებოდა: თუ ისურვებ, იცოცხლებ, არ ისურვებ და, მოკვდე-

ბა... მე კი ლაპარაკი არ შემეძლო, ვიწექი და ვფიქრობდი: ვის არ სურს სი-ცოცხლე-[illegible] ამრევს ეს კაცი-მეთქი. ასე რომ, იწექი და იფიქრე, რომ იცოცხ-ლებ.

ბერიკაცმა სუსტად ჩაი[illegible].

— მომეცი, აბა, მოვწევ ერთს, — [illegible] მან.

ეგორმა მისცა. ბერიკაცმა მოსწია და ხველა აუტყდა, დიდხანს ახველებდა.

— მთლად გავხდი... კვამლი გამდის მუცლიდან.

ეგორმა მოკლედ ჩაიროხროხა.

— სად გტკივა უფრო? — ჰკითხა დედაბერმა, რომელიც ბერიკაცს სიბრა-ლულით და რატომღაც უკმაყოფილოდ უყურებდა.

— ყველგან... ყველაფერი. ისე სუსტად ვარ, თითქოს სისხლად დავიცალე. სამივე გაჩუმდა.

— აბა, წავედი, ძია სტეპან, — თქვა ეგორმა. — პირუტყვს უნდა დავალე-ვინო, საკვები მივცე...

— წადი.

— საღამოსაც შემოვივლი, მოგინახულებ.

— შემოიარე.

ეგორი წავიდა.

— რატომ ხარ სუსტად, იცი? არ ჭამ და იმიტომ, — შენიშნა დედაბერმა. — გინდა ქათამი დაგიკლა? ბულიონს გაგიკეთებ. ახალი ბულიონი გესიამოვნება, ა?

ბერიკაცი დაფიქრდა.

— არ მინდა. ვერ შევჭამ მაინც და ქათამსაც ტყუილად დაკლავ.

— რას დაეძებ, ერთი, ქათამს! მენანება თუ რა...

— არ მინდა, — ისევ თქვა ბერიკაცმა. — ჯობია ნახევარი ჭიქა დამალევი-ნო... იქნებ ცოტათი მაინც ჯანში წავიდეს.

— უარესი არ გიქნას...

— არა. შეიძლება ცოტა მომეშვას გულზე.

დედაბერმა კარადიდან გულმოდგინედ თავდახურული ბოთლი გამოიღო. შიგ ნახევარზე ცოტა მეტი იყო.

— უფრო არ გაწყინოს, კაცო...

— როდის აქეთაა არაყი მაწყინარი იყო, რას ამბობ! — ბერიკაცი ცოტა არ იყოს, აღელდა. — მთელი სიცოცხლე უფრთხით, ის კი არ გესმით, რომ არაყი პირველი წამალია. ბრიყვები ხართ...

— ახლა მაინც ნუ ჯაჯღანებ! — დედაბერიც აღელდა ცოტა. — „ბრიყვე-ბი"... ცალი ფეხი სამარეში უდგას და კიდე სხვას დასცინის... ხომ გთხოვა ექიმ-მა, არ ინერვიულოო.

— ექიმმა... ექიმები იმასაც კი გთხოვენ, არ მოკვდეო, მაგრამ ადამიანები მაინც კვდებიან.

დედაბერმა ნახევარი ჭიქა არაყი დაუსხა და ბერიკაცს მისცა. მან გადაკ-რა, მაგრამ კინაღამ სასულეში გადასცდა და ისევ უკან გადმოღვარა. დიდხანს იწვა უძრავად. შემდეგ ძლივძლივობით თქვა:

— არა, მაშინ უნდა სვას კაცმა, როცა სმის თავი აქვს.

შეწუხებული დედაბერი სიბრალულით უყურებდა. უყურა, უყურა და უცებ გულამოსკვნით ატირდა:

— კაცო... ღმერთმა დაგიფაროს, მაგრამ მართლა რომ მოკვდე, მე რა უნ-და ვქნა მარტოკამ?

მოხუცი დიდხანს დუმდა, მკაცრად უყურებდა ჭერს. ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ უნდოდა კარგად, საფუძვლიანად ელაპარაკა.

— პირველ რიგში ალიმენტი მოთხოვე მიშკას. უთხარი, მამაშენი რომ კვდებოდა, გთხოვა, დედაშენს მოუარე ბოლომდე-თქო. უთხარი, თუ მაგ შერ-ვენებული გონს მაინც არ მოვიდა, უჩივლე. სირცხვილი სირცხვილია, მაგრამ არსებობაც ხომ გინდა. იმას უნდა შერცხვეს თვითონ. მინკას მიხედონ, ბიჭმა ისწავლოს, ჭკვიანი ბიჭია. უთხარი, მამამ გთხოვა, ასწავლე-თქო. — ბერიკაცი დაიღალა, ისევ დიდხანს უყურებდა ჭერს. სახეზე საზეიმო და მკაცრი გამომეტ-ყველება ჰქონდა.

— პეტკას რა ვუთხრა? — შეეკითხა დედაბერი ცრემლების წმენდით. მანაც სერიოზულად დი უცრემლოდ დაიწყო ლაპარაკი.

— პეტკას?.. პეტკას ნუ შეაწუხებ, თვითონაც ძლივს გააქვს თავი.

— იქნებ ბულიონი ჭამო, კაცო.. ეგორი დამიკლავს..

— არ მინდა.

— უფრო ცუდად ხარ?

— ისევ ისე. დამაცა, დავისვენებ პატარას. — ბერიკაცმა თვალები დახუჭა. ნელა, წყნარად სუნთქავდა. მართლაც მიცვალებულს ჰგავდა. რაღაცნაირად შორეული, არამქვეყნიური სიმშვიდე ეფინა სახეზე.

— სტეპან! — შეეხმიანა დედაბერი.

— ჰო!

— ნუ წევხარ ასე...

— როგორ ნუ ვწევარ, ადამიანო? ვკვდები და შენ კი — ასე ნუ წევხარო. აბა, როგორ დავწვე? ოთხზე დავდგე?

— მიხეევნას დავუძახებ, მოგვეხმარება.

— წადით ერთი!.. მოიკლავს მიხეევნა ჩემთვის თავს... მუქთად წაიყვანს ქათამს და ის იქნება... უკეთესია, ეგორს მისცე. საფლავს მაინც გამითხრის. თორემ ვინაა საფლავის გამთხრელი?

— გამოჩნდება ვინმე...

— „გამოჩნდება". ირბენ მერე მთელ სოფელში. ვის სიამოვნებს ამ ყინ-ვაში საფლავის თხრა? ზამთარია ისეთი... ზაფხული მაინც ყოფილიყო!

— რა მოგივიდა, კაცო, ხომ არ კვდები მართლა! გამომჯობინდები ალბათ ისევ.

— კი, როგორ არა. წამოვხტები. აგე, ფეხები მიცივდება... ოი, ღმერთო, ღმერთო!.. — ბერიკაცმა ამოიოხრა. — ღმერთო... ძნელია. შემინდე მე ცოდ-ვილს.

დედაბერი ისევ ატირდა.

— სტეპან, გამაგრდი ცოტა. ეგორმა ხომ გითხრა, არ იფიქრო სიკვდილზეო.

— ბევრი ესმის მაგას! მაგი ხარივით ჯანმრთელია. ეტყვი, არ მოკვდეო და არ მოკვდება.

— აბა, შემინდე, თუ რამეში დამნაშავე ვარ...

— ღმერთი შეგინდობს, — თქვა ბერიკაცმა ბევრჯერ განაგონი ფრაზა. კი-დევ უნდოდა რაღაც ეთქვა, ძალიან საჭირო, მაგრამ უცებ უცნაურად მიიხედ-მოიხედა და აწრიალდა...

— აგნიუშა, — ძლივძლივობით თქვა მან, — მაპატიე... მე, ცოტა არ იყოს, აუტანელი ვიყავი. პური კი გვქონდა თავსაყარი, მაგრამ... ვინაა იქ, კუთხეში?

— სად, სტეპან?

— იქ!.. — ბერიკაცი იდაყვებზე წამოიწია. რაღაც შემზარავი შიში ჩაუდგა თვალებში და ქოხის კუთხეს მიაჩერდა წინკარისაკენ. — აგე, იქა, — თქვა მან, — იქ ზის, ბრაზიანი.

საღამოს ეგორმა შემოიარა.

ბერიკაცი საწოლზე იწვა, გათეთრებული ცხვირი მაღლა ჰქონდა აშვერილი. დედაბერი წყნარად ტიროდა მის თავთით.

ეგორმა ქუდი მოიხადა, ცოტახანს დაფიქრდა და პირჯვარი გადაიწერა ხატის წინ.

— ჰო, — თქვა მერე, — გრძნობდა საწყალი.

1967.

## მწუხარება

არის ზაფხულში ერთი დრო: ისეთი სურნელი დგას აბზინდისა, გაგიჟდები. განსაკუთრებით ღამით. მთვარე ანათებს, სიწყნარეა... სულში მტანჯველი მღელვარებაა. თავისუფალი, ლაღი, ტკბილი ფიქრები გესევიან ასეთ უკიდეგანო, ნათელ, გულისმომწყვლელ ღამეში. თითქოს ფიქრები კი არაა ეს, არამედ რაღაც გეზმანება, რაღაცას ელოდები. გაიტრუნები სადღაც ბოსტნის ბოლოს, ოროვანდებში, და სული გიგუბდება აუხსნელი, იდუმალი სიხარულისაგან. დასანანია, რომ ცოტა არის ჩვენს ცხოვრებაში ასეთი ღამეები. ისინი სამუდამოდ გამახსოვრდებიან.

არასოდეს დამავიწყდება ერთი ასეთი ღამე.

თორმეტი წლისა ვიყავი. ბოსტანში ვიჯექი, მუხლებზე ხელები მქონდა შემოჭდობილი და დაჟინებით, ცრემლის მორევამდე შევცქეროდი მთვარეს. უცებ გავიგონე: შორიახლოს ვიღაც ჩუმად ტიროდა. მივიხედ-მოვიხედე და დავინახე მოხუცი ნეჩაი, ჩვენი მეზობელი. მიდიოდა მთლად დალეული, გამხდარი მოხუცი, გრძელი ტილოს პერანგი ეცვა, ტიროდა და რაღაცას გაურკვევლად ბუტბუტებდა.

ბაბუა ნეჩაის სამი დღის წინათ მოუკვდა ცოლი, წყნარი, ჩუმი დედაბერი. ისინი მარტო ცხოვრობდნენ — შვილები წასულ-წამოსულიყვნენ. ნეჩაის ცოლი, ნეჩაიხა, შეუმჩნევლად ცხოვრობდა და ასევე შეუმჩნევლად მოკვდა. დილით შეიტყვეს: „ნეჩაიხა... საწყალი... გული აწუხებდა". გათხარეს საფლავი, ჩააწვინეს ნეჩაის ცოლი, მიაყარეს მიწა და მორჩა. აღარ მახსოვს ახლა, როგორი სახე ჰქონდა ნეჩაიხას. ეზოში დადიოდა, ქათმებს ეძახდა: „წია-წია-წია..." არავის ეჩხუბებოდა, არ დაჭორაობდა სოფელში. ცხოვრობდა და აღარ არის, წავიდა.

... იმ ნათელ, მშვენიერ ღამეს მე გავიგე, როგორ უჭირს მარტოდ დარჩენილ ადამიანს. უჭირს მაშინაც კი, როდესაც ასეთი მშვენიერებაა ირგვლივ, როდესაც ასეთი თბილი და მშობლიურია მიწა და სრულიად უშიშრად დადიხარ ზედ.

მე გავინაბე.

მოხუცის გრძელი, მუხლებს ქვევით ჩამოშვებული პერანგი თეთრად ელავდა მთვარის შუქზე. იგი ჩქარა მიდიოდა და ფართო სახელოებით იწმენდდა ცრემლებს. კარგად მოჩანდა, შორიახლოს დაჯდა. ყური მივუგდე.

— ეჰ, არაფერია... ახლა ცოტა დავწყნარდები... წყნარად ვილაპარაკოთ, — ხმადაბლა თქვა ბერიკაცმა და ისევ გადმოსცვივდა ცრემლები. — სამი დღეა

ვცოდვილობ და არ ვიცი, რა გზას დავადგე. ჭკუა ამერია... რა უნდა გავაწყო. რა ვქნა.

ცოტათი დამშვიდდა.

— ვჯავრობ და ვჯავრობ. პრასკოვია: რატო არაფერი მითხარი? წყენა ხომ არ გქონდა რაიმე გულში? გეთქვა, გულზე მოგეშვებოდა. აბა ახლა რაღაი, იფიქრე რამდენიც გინდა... ოხო-ხო... — გაჩუმდა. — ოხ, ოხ... დაგზარდეთ, გამოგაწყვეთ, ყველაფერი ისე გაგიკეთეთ, როგორც წესი და რიგია. ნათლიმამამ, სერგეიმ, კუბო გაგიკეთა. დაგიტირეთ. ხალხი მაინცდამაინც ბევრი არ ყოფილა. კორკოტი მოგიხარშეთ. განაპირას დაგასაფლავეთ, დადოვნას ახლოს. კაი ადგილია, მშრალი. ჩემთვისაც შევათვალიერე ადგილი. ახლა არ ვიცი, რა ვილონო ასე მარტოკამ? ქოხი რო გამოვკეტო და სერგეისთან წავიდე?.. კი მეშინია ისე. თვითონ არა უშავს. ცოლი ჰყავს ისეთი თორე... შენც ხო იცი: არაფერს გეტყვის, მაგრამ ლუკმა ყელში გაგეჩხირება. ხათაბალაა!.. რას მირჩევ, ა?

დუმილი.

მე შემეშინდა. მეგონა, სადაცაა ნეჩაის ცოლი მართლა ალაპარაკდებოდა თავისი ალერსიანი, უწყინარი ხმით.

— ვფიქრობ ახლა, ვმარჩიელობ, — განაგრძო ბაბუა ნეჩაიმ. — ვის მივეკედლო? რა წყალში ჩავვარდე? წუხელის ჩავთვლიმე ცოტა და ვხედავ: ვითომ ეზოში მიდიხარ, საცრით კვერცხები მიგაქვს. რომ დავაკვირდი, კვერცხები კი არა, წიწილები იყო, პატარა წიწილები. შენ ვითომ სათითაოდ ჭამა დაუწყე. შეჭამდი და კიდევ წაავლებდი ხელს... უფალო, შემიწყალე! გამელევიძა... მინდოდა შენი გაღვიძება, დამავიწყდა, რომ აღარ იყავი. პრასკოვიუშკა... სულწაწყმედილო... — ბაბუა ნეჩაი ისევ ატირდა. ხმამაღლა ატირდა, როგორღაც ამღუვლდა, გაბმულად აკვნესდა: — ე-ე-ე.... უ-უ-უ... მიმატოვე ხომ?.. ის რატო არ იფიქრე, მე რა მეშველებოდა. გეთქვა მაინც, ექიმს მოგიყვანდი ქალაქიდან.. .მოგარჩენდა, აბა, რას იზამდა! შენ კი სიტყვაც არ დასძარი, არც კი მიმახვედრე, ისე გაშეშდი! ასე მეც შემიძლია... — ნეჩაიმ ცხვირი მოიხოცა, ხომ აქ ყოფნა? მესიზმრები. ხშირად მაინც დამესიზმრე... ოღონდ ნორმალურად. თორემ ის რაღაც წიწილები... ეშმაკმა იცის, რა იყო. — ნეჩაი ხმადაბლა ალაპარაკდა და ნახევარი ველარ გავიგონე. — ცოდვაში კინაღამ ჩავდგი ფეხი... თურმე თხრიან ხანდახან, გამიგონია. ქალი ამოუთხრიათ კრაიუშკინოში, კვნესოდა თურმე. ამოთხარეს და ცოცხალი იყო თურმე. ეს ორი ღამეა მოვდივარ, ვუსმენ: თითქოს სიჩუმეა. თორემ მინდოდა მეც... ამბობენ, თურმე ძილი ყოფილა რაღაცა, ყველა ფიქრობს მკვდარიაო, მკვდარი კი არა, ძინავს თურმე მხოლოდ...

ამან მთლად შემარძწუნა. ფორთხვა-ფორთხვით გამოვძვერი ბოსტნიდან, ბაბუაჩემთან გავიქეცი და ყველაფერი მოვუყევი. ბაბუამ ჩაიცვა და წავედით. უკანა მხრიდან მოვუარეთ.

— თავის თავს ელაპარაკება, თუ იმას? — გამომკითხა ბაბუამ.

— იმას. რჩევას ეკითხება, როგორ მოიქცეს...

— შეირყევა, ეგ უბედური. მართლა წავა ამოსათხრელად. ნასვამი ხომ არაა ნეტავი?

— არა. მთვრალი როცაა, მღერის და ღმერთზე ჰყვება. — ვიცოდი ეს.

ნეჩაიმ ჩვენი ფეხის ხმა გაიგონა და გაჩუმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინაა მანდ? — მკაცრად იკითხა ბაბუამ.

ნეჩაიმ დიდხანს არ უპასუხა.

— ვინ არის მანდ, გეკითხები!

— რა გინდა?

— ნეჩაი, შენა ხარ?

— ჰო...

მივედით. ბაბუა ნეჩაი იჯდა, თათრულად მოერთხა ფეხები. ქვევიდან გვიყურებდა, ძალიან უკმაყოფილო იყო.

— კიდევ ვინ იყო აქ?

— სადა?

— აქ.. ვილაცასთან ლაპარაკობდი, გავიგონე.

— არაა შენი საქმე.

— ავიღებ ახლა კაი მაგარ ჯოხს და სახლისკენ ისე გაგიგდებ, სულ უკანმოუხედავად გაიქცევი. დაბერდი კაცი და ჭკუა არა გაქვს... არ გრცხვენია?

— მე ჩემს ცოლთან ვლაპარაკობ და არავის ვუშლი ხელს.

— ვისთან ლაპარაკობ? აღარაა ის, აღარ! როგორ უნდა ელაპარაკო! მოკვდა, მიწაში წევს...

— მელაპარაკება. მესმის მე, — დაიჟინა ნეჩაიმ. — ნუ გვიშლი ხელს. მოდიან აქ! გვაყურადებენ...

— აბა, წავედით. — ბაბუამ ადვილად წამოაყენა ნეჩაი. — ჩემთან წავიდეთ. ერთი ბოთლი არაყი მაქვს, დავლიოთ, გულზე მოგეშვება.

ბაბუა ნეჩაი არ გაძალიანებია.

— მიმძიმს, ნათლიმამ, ძალა გამომელია. — იგი წინ მიდიოდა, ბორძიკობდა და ცრემლებს იწმენდდა სახელოთი. ვუყურებდი სულ მთლად დალეულს, მწუხარებით გათანგულს და მეც ვტიროდი, უხმოდ ვტიროდი, ბაბუას რომ არ გაეგონა და თავში არ წაეთაქა. მეცოდებოდა ნეჩაი.

— ვის არ უმძიმს! — დაამშვიდა ბაბუამ. — ვის არ უმძიმს ახლობელი ადამიანის მიწაში ჩადება! მაგრამ ყველა გვერდით რომ მოუწვეს მწუხარებისაგან, რას ემგვანება? აგერ მე რამდენჯერ უნდა ჩავწოლილიყავი სამარეში! მოითმინე. გამაგრდი და მოითმინე.

— ცოდვაა.

— ცხადია, ცოდვაა. ვინ ამბობს, არაო. მაგრამ რაღას უშველი ახლა. მთლად დაუძლურდები და მორჩა. გაჭიმავ ფეხებს. მოითმინე.

— კი ვიცი, მაგრამ... მეწვის აქ ყველაფერი, ვერაფრით გავინელე. დალევაც ვცადე, არ გადავიდა ყელში.

— გადაგივა. სერგეი რატომ არ ჩამოვიდა? შორს კია, მაგრამ ამ დროს...

— მივლინებაში იყო. ოხ, როგორ მიმძიმს, ნათლიმამ! ჩემს დღეში ვერ ვიფიქრებდი...

— ასე ვართ სულ: ცოცხალია ადამიანი და ვითომც არაფერი. მოკვდება და გვეცოდება. მაგრამ წუხილმა რომ გაგაგიჟოს, ესეც... სიგიჟეა.

ამ წუთებში ჩემთვის აღარ იყო არც ნათელი, წყნარი ღამე, არც არავითარი ფიქრები, არც აუხსნელი, ნათელი სიხარული, — ყველაფერი გაქრა. დამდნარი მოხუცის მწუხარებამ დაჰფარა მშვენიერი სამყარო. ოღონდ მახსოვს, რომ ისევ იდგა აბზინდის მძაფრი, მწარე სურნელი.

ბაბუამ ჩვენთან დატოვა ნეჩაი. ისინი გვერდიგვერდ დაწვნენ იატაკზე და ტყაპუჭი გადაიფარეს.

— მე შენ ერთ ამბავს გიამბობ, — ხმადაბლა დაიწყო მოყოლა ბაბუაჩემმა. — შენ არ გიომია და არ იცი, რა ხდებოდა იქ... იქ უარესები ხდებოდა, ჩემო ძმაო. გეტყვი აგერ. სანიტრად ვმუშაობდი, ზურგში გადამყავდა დაჭრილები. მივდიოდით ერთხელ. ჩვენი „სტუდებეკერი" გადაჭედილი იყო. კვნესიან, იხვეწებიან, ნელა წაიყვანეთ მანქანა... მძღოლი, მიკოლა იგრინოვი, ჩემი კბილა, ისედაც ცდილობდა კარგად ევლო, შენელებაც არ შეიძლებოდა — უკან ვიხევდით. ჰოდა, მივდივართ. ვხედავთ, გზა იყოფა, წინ მსუბუქი მანქანა დგას. ოფიცერი ხელს იქნევს, გააჩერეო. ჩვენ კი ბრძანება გვაქვს სასტიკი, არ გავაჩეროთ, თუნდაც რქიანი ეშმაკი გადაგვიდგეს წინ. სწორიც იყო: იქ რამდენი დარჩა კიდევ გამოსაყვანი, ვინ იცის. იწვნენ და ილეოდნენ. იერიშზე რომ ვყოფილიყავით გადასული, კიდევ ჰო, მაგრამ უკან ვიხევდით. ავუარეთ გვერდი. მსუბუქმა მანქანამ გადაგვისწრო, ოფიცერმა გზა გადაგვიჭრა და ნაგანი იძრო. რა უნდა გვექნა, გავჩერდით. აღმოჩნდა, ოფიცერი ჰყავდათ მძიმედ დაჭრილი, ისინი კი სხვაგან უნდა წასულიყვნენ. ჩვენ იმ ოფიცერთან ერთად, ნაგანს რომ გვიღერებდა, ძლივს შევტენეთ დაჭრილი ძარაზე. მიკოლასთან, კაბინაში, კაპიტანი იყო, ისიც ავადმყოფი. მიკოლას ერთი ხელით ის ეჭირა, მეორეთი მანქანას მართავდა. ერთი სიტყვით, მოვთავსდით ასე თუ ისე. დაჭრილს, რომელიც ავიყვანეთ, აღსასრული უახლოვდებოდა უბედურს. მუხლებზე დავიდე მისი თავი, სულ სისხლში ცურავდა, ყველაფერი შეხმობოდა. მაშინვე ვიფიქრე, ვერ ჩააღწევს-მეთქი. არადა, მთლად ჯეელი იყო, ლეიტენანტი, წვერის პარსვა ახალი დაწყებული ჰქონდა ალბათ. მივედით ჰოსპიტალში, დავიწყეთ დაჭრილების ჩამოყვანა... ბაბუამ ამოიხრა, გაჩუმდა... პაპიროსი მოსწია, — მიკოლაც მოვიდა მოსახმარებლად... ლეიტენანტი იმას მივაწოდე. „მოკვდა-მეთქი უკვე". მიკოლამ შეხედა ლეიტენანტს, სახეზე დააკვირდა.. ქხუ... — ბაბუა ისევ გაჩუმდა. დიდხანს დუმდნენ.

— შვილი ხომ არ იყო? — ჩუმად ჰკითხა ბაბუა ნეჩაიმ.

— შვილი იყო.

— ოხ, ღმერთო!

— ქხ... — ბაბუაჩემს დააცემინა, ხუთჯერაც ზედიზედ მიაყოლა.

— მერე?

— მერე დავასაფლავეთ... მეთაურმა მიკოლა ერთკვირიანი შვებულებით გაუშვა შინ. წავიდა, ცოლისთვის არ უთქვამს, შვილი რომ დამარხა. საბუთები და ორდენები დამალა, ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა.

— რატომ არ უთხრა?

— როგორი სათქმელია! იმედი მაინც ექნება, უგზოუკვლოდ არის დაკარგულიო, ასე კი — მორჩა. ვერ შეძლო თქმა. რამდენჯერ მინდოდა მეთქვა და ვერ შევძელიო.

— ღმერთო, ღმერთო, — ისევ ამოიოხრა ბაბუა ნეჩაიმ. — თვითონ მაინც თუ გადარჩა?

— მიკოლა? არ ვიცი. სხვადასხვა ადგილას გადაგვიყვანეს... ასე მოხდა ეს ამბავი, შვილო!.. სათქმელად ადვილია. მერე ასეთი ახალგაზრდა...

ბებრები გაჩუმდნენ.

ფანჯრიდან კი სულ ილვრება და ილვრება მთვარის ცივი, მოზეიმე შუქი. ანათებს მთვარე!.. მხიარულება აქ თუ მწუხარება — ანათებს!

1966

# ძია ერმოლაი

ჩემი ბავშვობიდან ერთი შემთხვევა მახსენდება.

ალოობა იყო. იმ დღეს ადრე დავამთავრეთ ლეწვა, რადგან წვიმას აპირებდა. ცა ლურჯზე ლურჯი იყო, მაგრამ უკვე ქარი ამოვარდა. ჩვენ,— ბავშვებს, გვიხაროდა წვიმა, დავისვენებდით; ბოლო ძია ერმოლაი, ბრიგადირი, უკმაყოფილოდ უყურებდა ღრუბლებს და არ ჩქარობდა.

— არავითარი წვიმა არ იქნება. გაფანტავს ქარი,— ძია ერმოლაის სურდა, ზვინის გალეწვა დაემთავრებინა. მაგრამ... ყველა წასასვლელად მოემზადა. მანაც ხელი ჩაიქნია და წასასვლელად მზადებას შეუდგა.

ბრიგადის სადგომამდე კილომეტრ-ნახევარია. სანამ იქამდე მივაღწევდით, ცხენებს გამოვუშვებდით და ვივახშმებდით, ცა სქელი ღრუბლებით დაიფარა. მაგრამ წვიმა არ წამოსულა. ამოვარდა ძლიერი ქარი. ჰაერში მტვერი აიჭრა... სიბნელეს ელვა ფხრეწდა. ქუხდა... ქარი იქაურობას გლეჯდა, წვიმა კი არ მოდიოდა.

— ქურდების ღამეა ნამდვილი,— თქვა ძია ერმოლაიმ.— აბა, გრიშკა...— ძია ერმოლაიმ მოგვათვალიერა და მე მოვხვდი თვალში.— გრიშკა და ვასკა, კალოზე წადით და იქ გაათიეთ ღამე. ვინმე არ მივიდეს და ხორბალი არ წაიღოს. თორემ ისეთი ღამეა, რომ...

მე და გრიშა კალოსაკენ გავეშურეთ.

კილომეტრ-ნახევარი, რომელიც ჩვენ წეღან ხელად დავფარეთ, ახლა გრძელი და საშიში გვეჩვენა. ჭექა-ქუხილი იქაურობას აყრუებდა. ყოველი მხრიდან ქუხდა და ელავდა. აქა-იქ წვეთები ჩამოვარდა და სახეზე მტკივნეულად დაგვეცა. ირგვლივ მტვრისა და კიდევ რაღაც დამწვრის მკვეთრი, მწარე სუნი იდგა. ასეთი სუნი აქვს ტალ-კვესით გაჩენილ ცეცხლს.

როცა გაიელვებდა, ზვინები, ხეები, გასაშრობად დაწყობილი ძნები, უძრავად მდგარი ცხენები — ყველაფერი თითქოს წამიერად მაღლდებოდა ჰაერში, შემდეგ კი წყვდიადში ინთქმებოდა. ცაში ისეთი გრუხუნი იდგა, თითქოს უზარმაზარი ქვები მიგორავდნენ მთებიდან უფსკრულში, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და უკუნეთში ინთქმებოდნენ.

ჩვენ გზა დაგვებნა. ვეღარ მივაგენით იმ ზვინს, რომელსაც ვლეწავდით. ზვინები ბევრი იყო. ვჩერდებოდით, ველოდებოდით გაელვებას. წამიერად ლურჯ, მკვეთრ სინათლეში დაეკიდებოდა ყველაფერი, და მერე ისევ საზარლად მოგრუხუნე წყვდიადში ქრებოდა.

— მოდი, რომელიმე ზვინში შევძვრეთ და იქ გავათენოთ,— მითხრა გრიშკამ.

— კარგი. მართალი ხარ.

— დილით კი ვთქვათ, რომ კალოზე გავათიეთ ღამე, ვინ გაიგებს?

ზვინში შევძვერით. თეთრ, სურნელოვან თივაში მოვიკალათეთ. ცოტახანს ვილაპარაკეთ, მერე დავთქვით, რომ ადრე გავველვიძა... და ვერც შევნიშნეთ, ისე ჩაგვეძინა. არც გაგვიგია, როგორ წვიმდა ღამით.

გათენდა ნათელი, განბანილი, წყნარი დილა. ჩვენ გვიან გავიღვიძეთ, რადგანაც ვიცოდით, წვიმა ღამით მაგრად გაჟღენთავდა ძნას და ჩვენებიც სალეწავად ასე ადრე არ გამოვიდოდნენ, ამიტომ სადგომში დავბრუნდით.

— აბა, დარაჯებო,— გვითხრა ძია ერმოლაიმ, როცა დაგვინახა. მომეჩვენა, რომ რაღაც გამომცდელად გვიყურებდა.— როგორ გაათიეთ ღამე?

— კარგად.

— ყველაფერი რიგზეა კალოზე?

— ყველაფერი რიგზეა. რატომ გვეკითხები?

— არაფერი, გეკითხებით... მე გაგაგზავნეთ და მევე გეკითხებით. „რატომ გვეკითხები!" — და სულ გვიყურებს. მე უხერხულად შევიშმუშნე — ხორბალი ხელუხლებელია?

— ხელუხლებელია. — გრიშკა მრგვალი, ნათელი თვალებით უყურებს თვალდაუხამხამებლად. — რატომ კითხულობ?

მთელ ხერხემალზე, კუდუსუნამდე, ჭიანჭველები დამესიენ თითქოს. გრიშკაც დაიბნა... თვალები აახამხამა.

— იყავით თუ არა იქ?! კალოზე-მეთქი!

— იყავითო?

— ჰო. იყავით თუ არა?

— ვიყავით, აბა, სად ვიქნებოდით?

ოი, როგორ აფეთქდა ძია ერმოლაი!

— არ ყოფილხართ თქვენ იქ, ძაღლიშვილებო! თქვენ სადღაც ზვინში გაათიეთ ღამე და მეუბნებით, კალოზეო! მიგათრევთ ახლა ორივეს ცხვირით ზვინთან, როგორც მაწანწალა ძაღლებს. სად გაათიეთ?

— რა გინდა, რა?

— სად გაათიეთ-მეთქი?

— კალოზე. — გრიშკამ, ჩანს, მტკიცედ დადგომა გადაწყვიტა. მეც ცოტა მომეშვა გულზე.

— ვასკა, სად გაათიეთ?

— კალოზე.

— მოგკიდებთ ახლა ხელს და სულ ცხვირიდან ძმარს გადენთ... — ძია ერმოლაიმ სიმწრისაგან თავში იტაცა ხელი და ტკივილისაგან შეიჭმუხნა. — ვერ უყურებთ, რაებს ჩმახავენ? არ იყავით თქვენ კალოზე, არ ი-ყა-ვით! მე თვითონ ვიყავი იქ! გაიძვერებო თქვენ, გაიძვერებო! მე მაშინვე გამოგყევით უკან, ვიფიქრე, თუ მივიდნენ-მეთქი .არ იყავით თქვენ იქ!

კალოზე რომ ყოფილა, ამან სულაც არ შეგვაკრთო.

— მერე რა?

— რაო?

— რადა... ჩვენც ვიყავით. ჩვენ, ესე იგი, ცოტა გვიან მივედით... გზა დაგვებნა.

— სად მიხვედით გვიან? — იყვირა ძია ერმოლაიმ. — სად მიხვედით? მთელი ღამე იქ ვიყავი იმ წვიმაში! მხოლოდ რიჟრაჟზე წამოვედი. არ იყავით თქვენ იქ!

— ვიყავით...

ძია ერმოლაი გაშმაგდა... შეიძლება მის თვალებში ჩვენც წუთით მაღლა ვიწევდით და ჰაერში ვეკიდეთ, როგორც გუშინ ზვინები და ცხენები. ამიტომ გაუდიდდა ალბათ გაკვირვებისაგან თვალები.

— იყავით?

— ვიყავით.

მან ალვირს დაავლო ხელი... ჩვენ აქეთ-იქით გავსხლტით. ძია ერმოლაი შეჩერდა, ალვირი გადააგდო, სახე დაემანჭა ტკივილისაგან და წავიდა, თან ხელისგულით ცრემლებს იწმენდდა. არ იყო მაინცდამაინც ჯანმრთელი.

— გაიძვერები, — ლაპარაკობდა ის სიარულისას, — არ იყავით თქვენ იქ, არი. დგანან და თვალსა და ხელს შუა იტყუებიან. არ მოაწიეთ თქვენ ჩემ ხნობამდე! აფთრებივით ცოლები შეგახვედროთ ღმერთმა!.. გაიძვერები! თვალებში გიყურებენ და გატყუებენ — ვითომც არაფერი!.. ოი!.. — ძია ერმოლაი ჩვენკენ შემობრუნდა. — მითხარი პატიოსნად, შეგეშინდა-თქო, ვერ მივაგენით-თქო. არა, თვალებში გიყურებენ და ცრუობენ. გაიძვერებო!.. ხუთ შრომადღეს ჩამოგაჭრით და ნახავთ მაშინ.

დღისით, როცა ვლეწავდით, ძია ერმოლაი კიდევ ერთხელ მოგვადგა.

— წამოდით აქ... წამოდით, წამოდით. აი აქ, ხომ ხედავთ, აქ შევეფარე წვიმას. — გვაჩვენა და მავედრებელი თვალებით მოგვაჩერდა. — თქვენ სად შეაფარეთ?

— ჩვენ იმ მხრიდან.

— რომელი მხრიდან?

— იქიდან.

— რომელი იქიდან-მეთქი? რომელი იქიდან? — იგი ისევ კარგავდა მოთმინებას. — რომ გეძახდით? ირგვლივ რომ სულ შემოვუარე ზვინს? ისეთი ელვა იყო, რომ კაცს კი არა, ნემსს დაინახავდი. სად იყავით?

— იქ.

ძია ერმოლაიმ ძლივს შეიკავა ღრიალისაგან თავი, ისევ შეიჭმუხნა...

— ჰო, კარგი, კარგი... თქვენ ალბათ გეშინიათ, რომ ლანძღვას დაგიწყებთ. არ დაგიწყებთ, ოღონდ პატიოსნად თქვით: სად გაათიეთ ღამე? არ ჩამოგაჭრით ხუთ შრომადღეს... სად გაათიეთ?

— კალოზე.

— სად კალოზე, სად!... — ისევ აფეთქდა ძია ერმოლაი. — სად კალოზემეთქი? სად, როცა მე... უპ, თქვე გაიძვერებო! — მან მიიხედ-მოიხედა, რომ რითიმე შევეხურებინეთ.

ჩვენ გავიქეცით.

ძია ერმოლაი ზვინს მოეფარა... ალბათ ისევ ტიროდა. ტიროდა ხოლმე, როცა მეტი აღარაფერი შეეძლო.

შემდეგ ვლეწავდით. ხუთი შრომადღე არ ჩამოუჭრია.

ახლა, მრავალი, მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ჩემს სოფელში ვარ და სასაფლაოზე გავდივარ განსვენებული ახლობლების მოსაგონებლად, ერთ ჯვარზე წარწერას ვხედავ:

„ემელიანოვი ერმოლაი...ვიჩი".

ერმოლაი გრიგორიევიჩი, ძია ერმოლაი. მასაც ვიგონებ, ვდგები მის საფლავთან, ვფიქრობ. უბრალოა ჩემი ფიქრი მასზე: სულ მუდამ შრომობდა, კეთილი, პატიოსანი კაცი იყო. ისეთივე, როგორც ყველანი, როგორც ბაბუაჩემი, ბებიაჩემი. უბრალო ფიქრებია. ოღონდ ბოლომდე გააზრებას ვერ ვახერხებ მთელი ჩემი ინსტიტუტებისა და წიგნების მიუხედავად. მაგალითად: იყო თუ არა მათ ცხოვრებაში რაიმე დიდი აზრი? სწორედ მათ ცხოვრებაში? იქნებ არ იყო არავითარი აზრი, იყო მხოლოდ შრომა, შრომა... შრომობდნენ და შვილებს აჩენდნენ. მრავალი ადამიანი მინახავს შემდეგ... სრულიადაც არ ყოფილან ზარმაცები, არა, მაგრამ.. .ცხოვრება მათ სხვაგვარად ესმით. მე თვითონაც სხვაგვარად მესმის! მაგრამ როცა ამ ბორცვაკებს ვუყურებ, არ ვიცი, ვინაა ჩვენ შორის მართალი, უფრო ჭკვიანი. არა, უფრო ჭკვიანი კი არა, — ვინ არის უფრო ახლოს ჭეშმარიტებასთან? და ყველაზე მეტად ის მტანჯავს და სასოწარკვეთილებაში მაგდებს, რომ არ შემიძლია გაგება: სადაა ჭეშმარიტება. მე მხო-

ლოდ განსწავლის გამო და ცოტათი შიშის გამო ვწერ ამ სიტყვას ჩაზგასმით. მაგრამ არ კი ვიცი, რა არის იგი. ვიღაცის წინ მინდა ქუდი მოვიხადო. მაგრამ ვის წინ? მიყვარს ესენი, ბორცვებს ქვეშ მწოლარენი, პატივს ვცემ მათ და მელოდებიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1970

## სასაფლაოზე

ოჰ, ეს დიდებული, მშვენიერი ჟამი!... თბილი ამინდი. ნათელი დღე. ივლისი... შუა ზაფხული. სადღაც გაუბედავად რეკენ ზარს... და მისი ხმა — ნელი, სუფთა, — ლაჟვარდში მიცურავს და თანდათან ინავლება. მაგრამ სევდისმომგვრელად არა.

...ადამიანებს, როგორც ვამჩნევ, ერთი უცნაურობა სჭირთ: უყვართ ასეთ სასიამოვნო დროს სასაფლაოზე შევლა და იქ ერთი-ორი საათით ჯდომა. არა წვიმაში ან ავდარში, არამედ ასეთ დროს — სითბოსა და სიმშვიდეში. ალბათ რაღაც ახსნა აქვს ამ უცნაურობას. მაგრამ უცნაურობაა კი ეს? პირადად მე სასაფლაოზე სრულიად გარკვეული სურვილი მიზიდავს: მიყვარს იქ ფიქრი. ლაღი და როგორიღაც მოულოდნელი ფიქრები მეწვევა ხოლმე ამ ბორცვაკებს შორის. და კიდევ: როგორ ფიქრშიც არ უნდა იყო ჩაფლული, მაინც თითქოს ხრამის პირას მიდიხარ, — შემზარავია ქვევით დახედვა. ფიქრი ხან განზე მიიწევს, ხან ზევით, ხან ქვევით — მიწაში ორ მეტრზე. მაგრამ ჯვრები, ხის ხელებივით გაჩაჩხულნი, თავიანთ საიდუმლოს დარაჯობენ. უცნაურობა სწორედ სხვა რამეა: ის, რომ აქ ავტომობილების სიგნალები და ადამიანთა ხმები აღწევენ... ის, რომ სულ ორასიოდე მეტრის იქით ქუჩაა და იქ გაზეთებს, ღვინოს, რაღაც ამიდოპირინს ჰყიდიან... ერთხელ ისიც გავიგონე, როგორ გაიქროლა ჰენებით მილიციის ცხენოსანთა რაზმმა, — აი, უცნაურობა მართლაც!

...ვიჯექი სასაფლაოზე, დიდ ქალაქში, და ვფიქრობდი. ვფიქრობდი და ვერ გავიგე, როგორ მომიახლოვდა ვიღაც ზურგიდან. უცებ მომესმა:

— შენ აქ რას აკეთებ, შვილო? ეს ჩემი საფლავია.

მოვიხედე. დგას მოხუცი ქალი, მშვიდად მიცქერის.

— ჩემი საფლავია ეს, — გაიმეორა მან.

მე სკამიდან წამოვიჭერი... შევცბუნდი რაღაცნაირად.

— მაპატიეთ...

— არა უშავს... დაჯექი. — იგი მერხზე დაჯდა და მანიშნა გვერდით დავმჯდარიყავი. — დაჯე, დაჯე. ვიფიქრე, საფლავი შეეშალა-მეთქი.

დავჯექი.

— შვილია ჩემი აქ, — თქვა მან და მოვლილ საფლავს დახედა. — ჩემი ბიჭი... ძინავს. — მან ჩუმად წაიტირა, ჩუმადვე მოიწმინდა თავსაფრის ბოლოთი ცრემლები, ამოიოხრა. ყველაფერი ეს ჩვეულად, საქმიანად გააკეთა... ჩანდა, მისი მწუხარება მარადიული გამხდარიყო და შეჩვეოდა კიდეც ამას.

— შენ რა გინდოდა აქ? — მკითხა დედაბერმა და ჩემკენ შემობრუნდა. — ვინმე შენიანია?

— არა... ისე შემოვედი... დასასვენებლად.

მოხუცმა ინტერესით, უფრო ყურადღებით შემომხედა.

— რა დასასვენებელი ადგილი ესაა...

— რატომ არა... — მეშინოდა, რაიმე არ მეთქვა უხერხული. — სწორედ აქ შეიძლება დასვენება, ფიქრი.

— მართალია, კი. — დამეთანხმა დედაბერი. — ოღონდ აქ ფიქრი... რა ვიცი!.. მე უნდა ვიწვე აქ, მე! ის კი არა. — იგი ისევ საფლავისკენ შებრუნდა. — მე უნდა ვიწვე აქ, ის უნდა მოდიოდეს და აქ ჯდებოდეს, მაშინ ვიქნებოდი მშვიდად. ოხ, რა მშვიდად ვიქნებოდი! მაგრამ... ჩვენ ვინ გვეკითხება ამას, ესაა უბედურება.

— დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა?

— დიდი ხანია. შვიდი წელია უკვე.

— ავად იყო?

დედაბერმა არ მიპასუხა. დიდხანს დუმდა, ოდნავ აკანტურებდა თავს. მერე, როდესაც დავაკვირდი, მივხვდი, თითქმის ყოველთვის აკანტურებდა თავს.

— ოცდაოთხი წელი იცხოვრა სულ, — თქვა დედაბერმა წყნარად. ისევ გაჩუმდა. — ის-ის იყო ცხოვრებას იწყებდა და უცებ... ჩაწვა აქ... ახლა როგორც გინდა, ისე იცხოვრე. — იგი კვლავ ატირდა, კვლავ მოიწმინდა ცრემლები და ამოიოხრა. მერე მე მომიბრუნდა: — ცუდად ცხოვრობთ ახალგაზრდები, ოხ, რა ცუდად, — თქვა უცებ, თან ნათელი, სველი თვალებით მიყურებდა. — ერთ ამბავს მოგიყვები, შენ იცი, გინდ დაიჯერე, გინდ არა. მომისმინე და მერე იფიქრე, რახან ასე გიყვარს ფიქრი. ხომ არ გეჩქარება?

— არა.

— ჩვენთან, მოჩიშში... შენ აქაური ხარ?

— არა.

— ჰო-ო. ჩვენთან, გარეუბანში, ადგილია ერთი ,მოჩიში. სამხედრო ქალაქია, სამხედროები დგანან. იქაც არის სასაფლაო, მაგრამ ძველია, აღარ ასაფლავებენ იქ. ადრე ასაფლავებდნენ. იქ ერთი ჯარისკაცი იდგა საგუშაგოზე. უცებ მოესმა, რომ სასაფლაოზე ვიღაც ტიროდა. ხმის მიხედვით ქალი უნდა ყოფილიყო. მწარედ ტიროდა, საცოდავად! ჯარისკაცს ალბათ შეეძლო, სადმე დაერეკა, მაგრამ არ დარეკა, მეორეს მოუცადა, ვისაც უნდა შეეცვალა, იმ ჯარისკაცს. აბა, ერთი, მოუსმინეო, უთხრა, ხომ არ მომეჩვენაო. იმანაც მოუსმინა. მართლა ტიროდა ვიღაც. მაშინ წავიდა, რომელიც შეიცვალა, ის, და მეთაური თვითონ გააღვიძა. ასე და ასეო, ვიღაც ქალი ტირის სასაფლაოზეო. მეთაური თვითონ მივიდა საგუშაგოზე, თვითონ მოუსმინა. მართლა ტიროდა ვიღაც. ხან დაწყნარდებოდა, ხან ისევ ატირდებოდა. მაშინ მეთაური ყაზარმაში მივიდა, დააღვიძა ჯარისკაცები და უთხრა, ასე და ასეო, სასაფლაოზე ვიღაც ქალი ტირისო, უნდა გავიგოთ, რატომ ტირის იქო. სასაფლაოზე რამდენი ხანია არავინ დაუმარხავთ, საეჭვოაო... ვინ წავაო? ერთმა გამოთქვა სურვილი. წავალო, თქვა. მისცეს იარაღი, სავინიცობოდ, და წავიდა. მივიდა სასაფლაოზე. ტირილი შეწყდა... ისეთი სიბნელეა, თვალში თითს ვერ მიიტან. იკითხა: არის მანდ ვინმე სულიერიო? სიბნელიდან უპასუხეს: არისო. მოვიდა ქალი... ჯარისკაცს ფარანი ჰქონდა, მიანათა, უნდოდა კარგად შეეხედა მისთვის. ქალმა კი უთხრა: გაწიე, გაწიე ფარანიო. იარაღიც ტყუილად წამოგიღიაო. ჯარისკაცს შიში შეეპარა... „შენ ტიროდიო?“ „მე ვტიროდიო“. „რატომო?“ „თქვენზე ვტიროდიო, — იმან უთხრა, — ახალგაზრდა თაობაზე. მე მიწიერი ღვთისმშობელი ვარ და თქვენს უწესრიგო ცხოვრებაზე ვტირიო. მებრალებითო. წადი და თქვი იქ, რაც მე გითხარიო“. „მე კომკავშირელი ვარო, — ჯარისკაცმა უთხ-

რა, — ვინ დამიჯერებს, რომ შენ განახე? ის კი არაო, უთხრა, მეც არა მჯერაო". ქალი აი, ასე შეეხო მას, — დედაბერმა მსუბუქად შემახო ხელისგული ზურგზე, — და უთხრა: „და-აიჯერებთო". და გაქრა. გაქრა. ჯარისკაცი დაბრუნდა თავისიანებთან და მოჰყვა, რაც მოხდა, ვინც ნახა. არ დაუჯერეს, დასცინეს. აბა!.. — დედაბერმა უკანასკნელი სიტყვა მწარედ თქვა და [illegible] გაჩუმდა. მერე ისევ თქვა წყნარად და წუხილით: — როგორ!.. დასცინებდნენ! დას-ცი-ნე-ბდნენ! აბა!.. როცა ჯარისკაცი ყაზარმაში შევიდა სინათლეზე, გიმნასტურაზე ღვთისმშობლის გამოსახულება დაინახეს, ისე კარგად ჩანდა, როგორც ხელისგულზე. — დედაბერმა თავისი ხელისგული მაჩვენა. — ასე ცხადად, ასე კარგად!..

ეს ისე მოულოდნელი იყო, — გამოსახულების ამბავი, — და ისე ძლიერად, ისე შთამბეჭდავად დაასრულა დედაბერმა თავისი ამბავი, ახლა რომ ამდგარიყო და წასულიყო, მაშინვე პიჯაკს გავიხდიდი და შევამოწმებდი, იქაც ხომ არ იყო რაიმე აღბეჭდილი. მაგრამ დედაბერი გვერდით მეჯდა და წყნარად აკანტურებდა თავს. მე არაფერი მიკითხავს, არაფრით გამომიმჟღავნებია, მჯეროდა თუ არა მისი მონაყოლი, მინდოდა კიდევ მოეთხრო რამე. მან ზუსტად გამოიცნო ჩემი სურვილი: ჩემკენ შემობრუნდა და ლაპარაკი დაიწყო. მისი ხმა უკვე ჩვეულებრივი იყო, უბრალო.

— ჩემს მეორე ვაჟს, მინკას, ამ ქალებმა სულ აუბნიეს თავგზა. მუსუსია ნამდვილი. პანტაპუნტით იცვლიდა ცოლებს. მინკა-მეთქი, ვეუბნები, რატომ იცვლი წარამარა-მეთქი? რა ხეირია-მეთქი ამაში? ყველანი ერთნაირები არიან, გინდ გამოცვალე, გინდ არა. თხა გავყიდე, თხა ვიყიდეო, ისეა! მერე დაუახლოვდა ერთს, ბავშვი ეყოლიეს, ვფიქრობდი, იმას მაინც დაიტოვებდა. არა. იმასაც გაეყარა. კიდევ შემეშალაო. ღმერთო, შენ შემეწიე! უბედურებაა პირდაპირ. იყო ცოტა ხანს ისევ მარტო. მერე ერთი ნასწავლი ლაბორანტი გაიცნო და წავიდნენ სადღაც დასაკარგავში, ფერგანაში. იქიდან მომწერეს: „ჩამოდი, ძვირფასო დედიკო, გვესტუმრე". — დედაბერმა ისე ოსტატურად და სასაცილოდ გამოაჯავრა ფერგანაში მყოფ ახალგაზრდებს, რომ უნებურად გამეცინა, მაგრამ უცებ გამახსენდა, რომ სასაფლაოზე ვიყავი და პირზე ხელი ავიფარე. მაგრამ დედაბერი, ჩანს, უფრო გაამხნევა ჩემმა სიცილმა, და დიდი ხალისით განაგრძო მოყოლა. — ჰოდა, მოვიქაჩლე თავი და წავედი. მივედი, ვესტუმრე... ბებერი ჩერჩეტი ვარ, ასე მომიხდებოდა, ახია ჩემზე!

— ცუდად მიგიღეს?

— თავიდან არა უშავდა... ხელცარიელი კი არ წავსულვარ, ფულიც წავიღე თან. გამოჩერჩეტებული ბებერი ვარ, სულელი ვარ, სულელი! სანამ ფულები მქონდა, კი მეპყრობოდა ალერსიანად რძალი, როცა ფული გამითავდა, მითხრა: „დედა, ვინ აცხობს ასე მაჭკატს?" „როგორ თუ ვინ-მეთქი, ვუთხარი, ყველა ასე აცხობს-მეთქი; აბა სხვანაირად როგორ?" უსირცხვილოდ დამიწყო ჭკუის სწავლება, როგორ ცხვება მაჭკატი. შენო, მითხრა, ბევრ კარაქს დებ ტაფაზეო. ასეო, ნახევარი კილო არ გეყოფა დღეშიო. მერეო, ბევრ კარაქში ივლებაო, არც შესახედად ვარგაო. დავუწყეთ ერთმანეთს სწავლება. მე ერთი ვუთხარი, იმან ხუთი მითხრა. მიდი და ელაპარაკე ახალგაზრდებს: რქიან ეშმაკს გადარევენ თავისი სიჯიუტით. ღმერთო, მაპატიე, აქ რომ ვახსენე რქიანი. რა გინდა, რომ მოუხერხო. ქმარს მაინც კვებავდეს წესიერად. მივა საწყალი, წაიხემსებს, რაც მოხვდება, იმით და, მორჩა. ხანდახან სულ არ ჭამს — სასადილოში შევიარეო. ვაი, შენს ნასწავლობას რა ვუთხარი, ვფიქრობ! ქარაფშუტები

ნართ, ნასწავლები კი არა, — დედაბერი გაჩუმდა და მერე გულიანად დაამატა: — ნასწავლები! გავის ქნევის მეტი არაფერი იციან! რატომაა ასე? — მომიბრუნდა მე. — ბევრი რამე გაეგებათ, თითქოს ყველაფერი ესმით ქვეყანაზე, ცხოვრება კი არ ესმით. ა?

— არაფერი ბევრი არ იციან! — ვთქვი მე ასევე გულისწყრომით. — რა ცოდნა მაგათ აქვთ.

— ამდენი წელი რომ სწავლობენ?!

— მერე რა? როგორც სწავლობენ, ისე იციან. ცოდნისთვის სწავლობენ, გგონია?

— ჰო, კოლმეურნეობაში არ უნდათ მუშაობა. — დამეთანხმა დედაბერი. — ღმერთო, მაპატიე... რა ცხოვრება მოვიდა! ოღონდაც დრო გაატარონ და სოფლად თუნდაც ბალახიც არ გაიზარდოს, არ ენაღვლებათ.

დიდხანს ვდუმდით. დედაბერი თავის ფიქრებში ჩაეფლო, თანდათან მოიჩარა და მოიღუნა. არ ინძრეოდა, მხოლოდ თავს აკანტურებდა და აკანტურებდა.

სადღაც ისევ ჩამოჰკრეს ზარს. დედაბერმა თავი ასწია, სასაფლაოს შორეული ბოლოსაკენ გაიხედა, სადაც ხეებში პატარა მიტოვებული ეკლესია იდგა, და ჩუმადაბლა თქვა:

— საძაგლები.

— ბავშვები არიან?

— ჰო, ძვრებიან შიგ... წავალ, ჯოხით გავრეკავ. — დედაბერი ადგა, შემხედა. — შენ მარტო ნუ დაჯდები აქ, თორემ მე როგორღაც... სულ ვიფიქრებ: ზის იქ ვიღაც ჩემს საფლავთან-მეთქი. არ გინდა.

— არა, მეც მივდივარ. მეყოფა.

— ჰა. თორემ ვიფიქრებდი... — თითქოს მოიბოდიშა, დაუმატა დედაბერმა, მერე ბილიკს გაუყვა, დალეული, ჯოხზე დაყრდნობილი, და მაინც ჩქარა მიდიოდა, გამალებით. მე თვალი გავადევნე და ჩემს გზას გავუდექი.

1973

## დედის სიზმრები

აი, დედის სიზმრები, რამდენიმე. რატომ დამამახსოვრდა ისინი, არ ვიცი. შეიძლება იმიტომ, რომ ბევრჯერ მოყვა. თვითონ სულ ახსოვდა.

პირველი

სულ პატარა ვიყავი, ასე შვიდი-რვა წლის. შეიძლება უფრო პატარაც. ვხედავ სიზმარს. ვითომ გამოვედი სახლიდან — მამის სახლიდან. ვხედავ, ეზოში წვერიანი წმინდანი ზის ვირზე. პატარა ბებერია, მთლად თეთრი: წვერიც თეთრი, თმაც თეთრი. გოგონი, ეზოში გამატარ-გამომატარეო, — მეუბნება. მეც ვითომ ასეც იყო საჭირო — ვირს ალვირში მოვკიდე ხელი და მიმყავს. ვირი თვალითაც არ მინახავს, მაგრამ, რა ვიცი, დამესიზმრა. მიმყავს, მიმყავს, თან ვფიქრობ: „მოდი, ვკითხავ, რა მელის იმ ქვეყანაზედ“. ავდექი და ვკითხე. ბებერმა გაიცინა, საიდანღაც, მგონი, კალთის ქვეშიდან ქაღალდი ამოიღო და მომცა. „აი, — მეუბნება, — რა მოგელის“. გამოვართვი ქაღალდი. ვხედავ, სულ, სულ სავსეა ნაწერით. კითხვა უკვე ვიცოდი. ვხედავ, ასოები ჩვენებურია, გარჩევა კი უცებ ვერ შევძელი. კარგი, ვფიქრობ, ცოტას კიდე გავახეირნებ-მეთქი, მერე შინ შევალ და კარგად წავიკითხავ-მეთქი. გულს კი სულ ბაგაბუჯი გააქვს! ძალიან გახარებული ვარ, რომ გავიგებ, რა მომელის. მიმყავს ვითომ

ვირი და ხანდახან ქალალდში ვიჭყიტები. არ ვკითხულობ, ისე. მიხარია. ბებერიც კი დამავიწყდა. ამ სიხარულში ვარ და უცებ გამეღვიძა. ისე მეწყინა, ისე შეწყინა, რომ ტირილი დავიწყე. დილით დედას მოვუყევი. მან მითხრა: „სულელი ხარ, ვინ გეტყვის, იმ ქვეყანაზედ რა იქნება? არავინ არ გეტყვის". მე კი სულ ვფიქრობ: არ გამღვიძებოდა ადრე, შეიძლება მომესწრო ორიოდე სიტყვის წაკითხვა. რაც მთავარია, ვჩქარობდი შინ შესვლას!.. და, აი — უცებ მეხი — გამეღვიძა. ჩანს, მართლაც ასეა: ვერ გავიგებთ აქ იმის შესახებ, ვერ გავიგებთ.

## მეორე

— ეს იმ დროს იყო, როდესაც თქვენ მყავდით... როდესაც მაკარი წაიყვანეს.

— ოცდაცამეტში?

— ჰო. ის-ის იყო წაიყვანეს, გაზაფხულზე. მეშინოდა ღამით, ოი, როგორ მეშინოდა. ავძვრებოდი თქვენთან ერთად ღუმელზე და ვიწექი თვალებდაჭყეტილი. თქვენ კი გე-ძინათ არხეინად, ტუჩებგამობერილებს. მეც, ცოდვა გატეხილი სჯობს, განგებ გაღვიძებდით და გელაპარაკებოდით, — ასე უფრო არ მეშინოდა. თქვენ კი აბა რა იყავით მაშინ!.. ტალია სულ პატარა იყო, ძუძუს წოვდა. ჰოდა, ერთხელაც — დავიძინე, მესმის, თითქოს ქუჩიდან ფილაცამ დააკაკუნა. ვხედავ ჩემს თავს სიზმარში: ვითომ ღუმელზე ვარ, თქვენთან ერთად, ყველაფერი ჩვეულებრივადაა; მაგრამ ვითომ სულ არაფრის არ მეშინია. ჩამოვედი, გავაღე კარი. „ვინაა-მეთქი?" იქ კიდევ წინ ოთახის კარი იყო, იმაზე დააკაკუნეს. მიპასუხეს: „ჩვენ ვართ, ყრმებიო, იმ ქვეყნიდან მოვედითო". „ჩემთან რაზე მოდით-მეთქი, — ვეუბნები, — მიდით ეგერ ნიკოლაი პოგოდინთან, ის კაცია, არ ეშინია-მეთქი". „არა, ჩვენ შენთან გვაქვს საქმე, ნუ გეშინია ჩვენიო". გავაღე... შემოვიდა ორი ბიჭუნა. მანტიები ეცვათ. ერთბაშად რაღაც სურნელმა მომბერა, ისე სასიამოვნომ, რომ... არც კი შემიძლია, როგორ ვთქვა, რა სურნელება იყო ასეთი, რას ჰგავდა. დასხდნენ მერხზე და მეუბნებიან: „შენ და გყავს, ორი გოგონა მოუკვდა ქუნთრუშითო..." „კი, მყავს-მეთქი. მოუკვდა, კი, გოგონები — ვალია და ნიურა". „ტირის შვილებსო, წუხსო". „იტირებს-მეთქი, ვეუბნები, აბა რა იქნება, ცოდვაა". „ჰოდა, უთხარი, არ იტიროს, თორემ გოგონები უარესად არიან ამის გამო. არაა საჭირო ტირილიო". „კარგი, ვეტყვი-მეთქი. რატომ არიან ამის გამო უარესად-მეთქი", — ვკითხე. არაფერი მიპასუხეს, წავიდნენ. მეორე დღესვე მოვუყევი ავდოტიას. ის ატირდა: „ჩემო საყვარელო გოგონებო, ჩემო პაწაწინებო, როგორ არ გიტიროთ?" ჰოდა, ავლრიალდით ორივე. გული ვიჯერეთ ტირილით. როგორ არ გვეტირა — პაწაწინები იყვნენ, ლაპარაკი ახალი დაწყებული ჰქონდათ. ასეთები უფრო ცოდვაა.

## მესამე

— ვითომ ავადა ვარ, ვწევარ. მართლა ავად ვიყავი. ძა-ალიან ავად. ესეც იმ დროს იყო, მაკარი რომ წაიყვანეს. ვხედავ, ვითომ მამის სახლში ვწევარ, საწოლზე. ხშირად მესიზმრება, მამის სახლში რომ ვარ. ჰოდა, ვწევარ, ავად ვარ. მივიხედე უკან და ვხედავ — დგანან ავდოტიას გოგონები, რომ მოკვდნენ, ისინი. დგანან ორივენი, კუბოში რომ ეცვათ, ის კაბები აცვიათ, მახსოვს ის კაბები. „ოი, ვამბობ, ვალენკა, ნიურონკა!.. ჩემო საყვარლებო, საიდან მოდით?" „იქიდანო", მითხრეს. „როგორა ხართ იქ?" „კარგად. ოი, მარუსა დეი-

და. იქ კარგად ვართ!“ ჰო, რა თქმა უნდა, უცოდველი სულები... შემდეგ ვალია, უფროსი რომ იყო, აი ისე, პაწაწინა თითით დამემუქრა და მითხრა: „თოჯინას რომ დაგვპირდი და არ გაგვიკეთე!“ მართალი იყო: ავად რომ იყვნენ, თოჯინების გაკეთებას შევპირდი. მაშინ სად იყო საყიდლად, თვითონ ვაკეთებდით ჩვრებით, კაბის ნაჭრებისგან ვკერავდით და ვთამაშობდით. ისე ჩამწყდა გული, რომ ავტირდი და გამეღვიძა. ვწევარ აღრიალებული... „კარგო, ვფიქრობ, გამოვჯანმრთელდები და გაგიკეთებთ თოჯინებს“. გამოვმჯობინდი, გავაკეთე ორი თოჯინა, ჩავაცვი კოხტად და მეზობლის გოგონებს მივეცი, ღარიბები რომლებიც იყვნენ. აი, ითამაშეთ-მეთქი.

მეოთხე

— ეს კი, ომი რომ დაიწყო, მაშინ ვნახე. ჩვენი კაცები რომ გაიწვიეს, თავიდან აქ ჰყავდათ, შემდეგ ბიისკში წაიყვანეს ყველა — შალონებში ჩააჯინეს. შერეკეს შიგ უამრავი! ჰოდა, სანამ პარტიებად გაამგზავრებდნენ, მათთან ვცხოვრობდით, პირდაპირ მოედანზე, ვაგზლის წინ, დი-იდი მოედანი იყო. სამი დღე ვიყავით იქ. ზაფხული იყო, რა გვიჭირდა. ჰოდა, ერთხელ — დღისით! — თვალი მივლულე, ეგრე, მჯდომარემ. რაღაც ტომარაზე მივდე თავი და ჩავთვლიმე. შენი მამინაცვალი, პავლე, გვერდით მეჯდა. ჩავთვლიმე და მაშინვე სიზმარი ვნახე, თითქოს მასთან ერთად სათიბში ვიყავი. სათიბი ვითომ კოლმეურნეობის კი არა, ჩვენი იყო, საკუთარი. ფარდული იყო რაღაც, ფარდულის ახლოს სამფეხი იდგა... ვამზადებ ვითომ შეჭამანდს და ვაძლევ გასასინჯად: „გასინჯე, თორემ მერე მსაყვედურობ, უმარილოაო“. მან აიღო კოვზი, გასინჯა და ისროლა იქით, თან ისე გაბრაზდა, რომ შეიგინა. არადა, იშვიათად იგინებოდა საწყალი, მაშინ კი შეიგინა — პირი დაეწვა. გამეღვიძა მაშინვე. მოვუყევი, რაც ვნახე. მისმინა, მისმინა და დანაღვლიანდა..., სახე შეეცვალა, გაფითრდა. მერე ნაღვლიანად თქვა: „მორჩა,მანია... გლახა სიზმარია ეგ: დავიწვები მე იქ“. მართლაც დაიწვა: ნახევარი წელი იცოცხლა ამის შემდეგ. მოკლეს.

მეხუთე

— ერთი სიზმარი კიდევ. საავადმყოფოში ვიწექი. ჩემთან ერთად ერთი გოგო იწვა, ობოლი. მე ვეფერებოდი, მანაც შემიყვარა. ძალიან მომეჩვია. ღამის გასათევად ჩემთან მოდიოდა, როდესაც საავადმყოფოდან გამოვეწერეთ. საწყობში მუშაობდა მწონავად. ყოველ საღამოს მოდიოდა: „მარია სერგეევნა, ისევ მოვედი“. „მოდი, საყვარელო, ერთად უფრო მხიარულად ვიქნებით-მეთქი“.

— იმას რა, ბინა არ ჰქონდა?

— როგორ არა, მაგრამ შემეჩვია. მეც მივეჩვიე. ძალიან მეგობრულად ვცხოვრობდით ერთად! შემდეგ მოკვდა: პლევრიტი ჰქონდა, პლევრიტმა ღვიძლი დაუზიანა. მოკვდა საწყალი, მევე დავასაფლავე. ჰოდა, ვხედავ სიზმარს. ვითომ მდინარის პირას მივედი. იმ მხარეზე კი, კუნძული რომაა, ვითომ ქალაქი იყო, დიდი, დიდი ქალაქი! ლამაზი ქალაქი იყო ვითომ, დიდი სახლები... მაღალი სახლები ვითომ სულ ბაღებში იყო ჩაფლული, სულ სიმწვანეში. ყვავილები — ამ ნაპირიდანაც კი ვხედავდი — ისე ირხეოდნენ, ისე ლივლივებდნენ, რომ, ოი, ღმერთო! ჩავჯექი მდინარეში და გავცურე იქით. დამჯდარი მივცურავდი როგორღაც, მხოლოდ ხელებს ვამოძრავებდი ოდნავ. ჰოდა, ასე მივაღწიე იმ ქალაქამდე. გადავედი ნაპირზე — არავინ არაა. ვდგავარ, არ ვიცი,

სად წავიდე. ვხედავ, გამოდის ჩემი ნინოჩკა, ის გოგო, ობოლი,ოი, დედილო!.. დამინახა და ისე გაეხარდა! მომეხვია და ი-ისე მაგრად ჩამიკრა გულში, რომ გავიფიქრე: „რა ღონიერია, არ დასუსტებულა-მეთქი“. მან მართლაც ცოტა ხანს იავადმყოფა. მალე მოკვდა. „საით წავიდე-მეთქი, — ვეკითხები. — რატომ არავინ არის-მეთქი“. „არისო, მითხრა, როგორ არაო. შენ აი, აქ წადი, ხედავო?“ მე გავიხედე იქით, იქ უფრო ცუდი ადგილი იყო. ლამაზი, სახლებიც უფრო პატარები. „შენ სად ხარ-მეთქი?“ — ნინოჩკას ვკითხე. განა ის ვკითხე, სად ცხოვრობ-მეთქი. ვიცი, რომ მკვდარია, ჰოდა, უბრალოდ ვკითხე: „შენ სად ხარ-მეთქი?“ „მეო, მითხრა, აი, აქ, ცენტრშიო“. რა თქმა უნდა; აბა რამდენი იმან იცოცხლა, — ცოდვის ჩადენა ვერ მოასწრო, უბიწო სული იყო. მე კი, ხომ ხედავ, სადღაც განაპირას... განაპირას კი იყო, მაგრამ, ღმერთო, რა სილამაზე დავინახე იქ! სულ ის ქალაქი მიდგას თვალწინ.

— მაშინ ტელევიზორები იყო?

— რის ტელევიზორები! იცი, ეს როდის იყო! — როცა შენ ჯერ კიდევ ჯარში იყავი, ნატაშა კი ინსტიტუტში სწავლობდა. აი, იმ დროს იყო. შენ რა, ფიქრობ, ტელევიზორში ვნახე და იმიტომ მესიზმრა ასეთი ქალაქი?

— ჰო.

— არა, მე ასეთი ქალაქი არც ტელევიზორში მინახავს შემდეგ და არც კინოში. რას ამბობ!..

1973

□

# პ. კლოდელი

## საგალობელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან
თარგმნა ელდარ ქიზიაშვილმა

მესა აღევლინა, შევუდგეთ უფალს, მადლი ღვთისა გარდმოევლინა.
Procedamus in pace in nomine Domini*.

ვითარცა კეთროვანი წყლულთაგან კურნებული კვლავ ახალ ხორცით აღიმოსების,
ეგრეთვე კაციც შვებითა აღივსების, ოდეს ცოდვათაგან განიწმინდების.

ვითარცა ელია, რომელ ოცდაათ დღეს ვიდოდა ჰერობისკენ უფლისა მთისაკენ,
და სიყმილითა მიძალებულმა მიიღო პური ცეცხლზე შეხანხლული,

და ვითარცა ებრაელნი არგანით ხელში აღასრულებდნენ წესსა სჯულიერსა,
და დაუჯდომლად მჭამელნი და ფეხშიშველნი ილტვოდნენ კრავად აღდგომისად,

ჩვენც, ვითარცა სოდომითგან ოტებული უხუცესნი გარდასულ ჟამთა, რომელნი იფარვიდნენ რტოთა და კარავსა ქვეშე,
ვილტვოდეთ, რამეთუ ამა სოფლად არა გვაქვს მარადიული სასუფეველი.

ამ დილით ტრაპეზს ვეზიარენით სახლსა მამისასა ჩვენისასა
ძენი რიცხვმცირენი ესოდენ დიდი სერობისა და ესოდენ კეთილშობილი გამასპინძლებისათვის,

რამეთუ თავად იგი არს ხორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი,
რომელიც ვითარცა წერილ არს, ნებსით თვისით აღესრულა ჩვენთვის ცოდვილთათვის.

მცირედნი დავშთით მორწმუნენი, თუმცა ოდეს უფრო ცოტანი ვიქნებით, ჩვენი რწმენა ამით არ შეირყევა,

---

* უფლის სახელი მივდივართ მშვიდობისაკენ (ლათ.).

რადგან აღთქმანი უფლისანი არ განქარდებიან, ხოლო სიტყვანი კაცისანი მხოლოდ ბოლია და ქარი.

ანაზდეული სიცილი, ვითარცა ტკრციალი ცეცხლში შთავარდნილ ეკალთა.
ხოლო პური, რომელიც მივიღეთ, ხორცია და სისხლი ქრისტე უფლისა.

ბიბლიოთეკა

მეუფეო, არ ვარ ღირსი, რომ ჭერი ესე გექმნეთ თავშესაფრად,
მხოლოდ წარმოთქვით ერთი სიტყვა და თქვენი რჩეული განიკურნება.

და ეხლა მესა აღვლენილია, მადლი იდუმალი გარდმოვლენილი.
უფლისა სახელით მივაშუროთ კარს, რომელ განიხვნა ჩვენთვის.

ძნელია დატოვება ამა ადგილისა, სად დამკვიდრებულხართ თქვენსა სანაწილეს
და კვალად დადგომა ძველსა გზასა ქვიშიანსა და ვერაგობა-დაბრკოლებებით სავსე მინდვრებზე.

და ნაცვლად თქვენი უკვდავი სიტყვებისა, კაცთა გნიასის მოსმენა,
მაგრამ ჩვენ კვლავ გადიდებთ, მეუფეო, თქვენი ესოდენი ნებისთვის.

ნეტარ არს იგი, ვინც თქვენს ბარძიმს ეზიარა და ვისი გზებიც თქვენს საკურთხეველთან დასრულდა.
ჩვენ კი წინ გვიძევს კვლავაც გრძელი გზა გასავლელი.

აი, სოფელი ხილული, სადაც მარხია ჩვენი საერო ვალი,
და თუ ძალმიძს იმ ვალის აღსრულება, მხოლოდ სიყვარულით მოყვასისა და არა სიძულვილით მოყვასისა, და განძევებითა სიშმაგისა და უსჯულოებათა ყოველთა.

ათთა მცნებათა უკეთ აღსრულებით, ვიდრე აქამდის ვასრულებდი,
ლოცვად დგომით დილა-მწუხრზე და ყოველივესადმი მისი წილხვედრის მიგებით.

აი, დედამიწა ოთხივ კუთხით მზისა და მთვარის ქვეშ, რომელთაც მოჰყავთ დღე და ღამე,
დედამიწა მთელი თავისი ნაყოფიერებით, ცით, თავს რომ ადგას და ზღვით, გარს რომ აკრავს.

მწამს, აქ არის ღმერთი, როგორი მიუწვდომელიც არ უნდა იყოს იგი ჩემთვის,
ისე, როგორც ყველა თავის ანგელოზიანად იგი ცად სუფევს და ქალწულის უბიწო გულში,
ასევეა აქაც, რკინიგზის სადგურსა და ქარხანაში, სახლში, ჰაერსა და ღვინის საწყობში.

აქებდეთ ცასა და დედამიწასა და მეუფესა
აქებდეთ ღვაწლსა დილისასა და საღამოისასა და მეუფესა,

Kyrie eleison!*
Christe eleison!
Kyrie eleison!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარცა გუნდი საყდრიონთა და მორწმუნეთა,

რომელიც ჟამსა ცისკარისასა ლიტანიობით ჩამოივლის სოფლად და ლოცვათა წართქმით შესთხოვს უფალს კურთხევა გარდმოუვლინოს მხვნელ-მთესველთა ნამუშაკევს და პირნახულის პირველ მწიფობას,

ჩვენც ასევე, მიძინების ამა წინა დღესა ვიჩქაროთ დედამიწისა და კეთილად დაგვირგვინებული წელიწადის წინაშე წარსადგომად.

მწიფობისა ამ ბრწყინვალე დღესა მკობიდან რთვლამდის,
ოდეს ყოველი იქმნა აღსრულებული, მარიამმა დედამ უფლისამ მიიძინა თორმეტ მოციქულთა შორის და ანგელოზთა მიერ ზეცად იქნა ამაღლებული.

ხორბლის ერთმა მარცვალმა ათი ნაყოფი გამოიღო, მეორემ სამოცი და მესამემ — ასი,
მაგრამ სამოცი, ოცდაათი თუ ასი მიღწეული და აღსრულებული რიცხვია უკვე.

ყოველი საგანი ზღვარდებულია, ყოველი საგანი თავის ნაყოფშია ამოწურული,
ყოველი თესლი იმ თესლშია აღსრულებული, რომელიც მან წარმოშვა.

აი, მოაწია სამსჯავროს დღემ, ოდეს მეუფე განიკითხავს მთელ დედამიწას და ოდეს მზრუნველი ანგარიშს წარუდგენს თავის პატრონს.

უშიშრად ვიარებოდეთ ამ დიადი სამსჯავროს წიაღ,
ჩვენთა ხელქმნილისა და მასზე გარდმოსული კურთხევის იმედით.

და ვიცოდეთ, რომ სახე სოფლისა წარმავალია, ვითარცა ნაყოფი მოწეული,
ჩვენ კი პირმშონი ვართ თქვენი, მეუფეო, და თქვენი ქმნილების უტყუარი დასაბამი.

ჩვენი თავმოყრის ჟერიც მალე მოვა თქვენს კალოსა და ბეღელში,
ოდეს უკვდავი უფლის დიდება იფეთქებს, ვითარცა ქუხილი ცისა!

ვითარცა ელვა, რომელიც ერთბაშად ანათებს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის,
ასევე ძე კაცისა ოდეს გამოჩნდება ღრუბლებზე ამაღლებული, რათა განიკითხოს მიცვალებულები და ცოცხლები,

* უფალო შეგვიწყალე! უფალო შეგვიწყალე! ქრისტე შეგვიწყალე! (ბერძ.)

თავის მარჯვნივ დასვამს რჩეულებს, მარცხნივ კი — ვაცებს.
მეუფეო, ინებეთ ისე, რომ თქვენს მარჯვნივ დავჯდე და არა მარცხნივ!

ჩემი საქმეა არა გავიგო, არამედ ვილოცო სიყვარულსა და თრთოლვაში.
ინებეთ ისე, რომ გიხილოთ, მეუფეო ქრისტეო, ცრემლებით სავსე ამ თვალებით თქვენი მეორედ გამოცხადების დღეს!

ჩავარდით, წყეულნო, მარადიულ ცეცხლსა, რომელიც დემონისა და მისი ანგელოზებისთვის არს განმზადებული!
მოდით მამიჩემის რჩეულნო და თქვენც, ვისაც გშიათ და გწყურიათ, დალიეთ და დანაყრდით!

**წმინდაო დედა ღვთისმშობელო, ილოცეთ ჩვენთვის!**

**ყველა წმინდა მოციქულო და მახარებელო, ილოცეთ ჩვენთვის!**

**ყველა წმინდა ანგელოზო და მთავარანგელოზო, ილოცეთ ჩვენთვის!**

**ყველა წმინდა მოწამეო, ილოცეთ ჩვენთვის!**

**ყველა წმინდა ქალწულო და ქვრივო, ილოცეთ ჩვენთვის!**

**ყველა წმინდა დედავ და მამავ, ილოცეთ ჩვენთვის!**

არაფრის გვეშინოდეს ამ ქვეყნად, რადგან კაცნი ვართ და ყოვლისშემძლე ჩვენთან არს.
და ალვემატებით პატარა ჩიტებს, რომელთაც თორმეტ ცალს ერთ სუდ ჰყიდიან.

თუ ტვირთი ჟამისა მძიმეა და კაცნი შეჭირვებულნი არიან,
ეს მალე გაივლის, რადგან ხვედრი, რის გამოც იტანჯები, მცირეა.

ნუ შფოთავ შენი თავისთვის და ნურცა იმისთვის, რასაც სვამ და ჭამ.
შეხედე ყვავებს, რომელნი არც ხნავენ და არც მოსავალს აგროვებენ თავიანთ ბეღელში.

და მინდვრის შროშანებს, უფრო მშვენიერთ, ვიდრე სოლომონი თავის დიდების ჟამს!
განა ძალგიძს ერთი წყრთა მიუმატო შენს სხეულს! განა სახეს შეუძლია სარკის მოტყუება?

ნუ დრტვინავ თავისა შენისა გამო და ნურცა განადიდებ თავსა შენსა. არამედ უპირველესად ეძიებდე მეუფებასა და სამართალსა უფლისასა.
სხვა დანარჩენი უმნიშვნელოა, ყოველსა დღეს თავისი მზაკვრობა ჰკმარა.

და ცხოვრება უფრო მეტია, ვიდრე საზრდო და სხეული უფრო მეტი, ვიდრე სამოსი.
ზავითა ვარ შეკრული ყოველ არსებასთან, რომელიც კი ცისქვეშეთშია.
ჩემი ცხოვრების ნახევარი უკვე განვლილია და მის წინაშე სამუდამოდ ქალმოხდილი ვარ.

იგი აღარასოდეს განმეორდება, ჩემს წინაშე ვჭვრეტ ჩემივ გზისა და დღის დასასრულს.

აი, ჩემს წინაშეა სამყარო დასაბამიდან დღემდე

ყველა მამამთავარი და წმინდანი თავიანთი მოდგმის უწყვეტი /მდინარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Abraham genuit Isaac, Isaac autem genuit Iacob. Iacob autem gemit Iudam ei fratres egus, Et past multas generationes Iacob iterum genuit Ioseph virum Marie de quâ natus est Christe*.

აი, ჯვარცმული წმინდა პეტრე და წმინდა პავლე ჩემი პატრონი, რომელმაც დაწერა წიგნი მესასი და რომელსაც თავი მოჰკვეთეს ნერონის იმპერატორობის ჟამს.

აი, სათნოებითა და ძლიერებით აღსავსე ეტიენი და ყველა მარტვილი, წარმართნი და ურიანი და მწვალებელნი,

რომელთა სახელებიც ცად არის აღბეჭდილი და ჩვენს დიპტიქებზე სწერია.

აი, სჯულის მდებელნი, აი, ყველა საეკლესიო კრების სწავლულნი,

პაპები, რომელთაც აღაგმეს შმაგი ტირანები და ბედშავი და გონებაჩლუნგი მდაბიონი,

რადგან ჩვენთვის არ ჩაგიგონებიათ, უფალო, სხვისი დაჩაგვრა. არამედ არ დაეჩაგვრინოთო სხვას!

და გაუფრთხილდითო ხელუხლებლად რწმენას, რომელიც ჩავიბარეთ.

აი, უსაზღვროება ძმათა ჩემთა ყოველთა ცოცხალთა და მიცვალებულთა, ერთსულოვნება კათოლიკეთა.

ისრაელთა თორმეტი თემი შეკრებილი და სამი ეკლესია ერთ ბაზილიკად შეკრული.

აი, სამყარო ძლეული და სატანა დაწინაურებული.

აი, იერუსალიმი წმინდა ქალაქად აღშენებული!

აი, ზმანება მშვიდობის სუფევისა, სადაც ყოველი ცრემლი წარხოცილია,

გლახაკნი განდიდებულნი და საბრალონი შვებით მოსილნი,

ჩემს წინაშე ვხედავ ამ დაუჯერებელ ამბებს.

აი, კალენდრის ყველა წმინდანი წელიწადის ოთხივ დროისა, ყინულისა და ლადარის წმინდანები, და ისინიც, ვინც იტყობინებიან პირუტყვისა და სათიბების ბედს.

---

* აბრაამ ჰშვა ისააკ, ისააკ ჰშვა იაკობ, იაკობ ჰშვა იუდა და ძმანი მისნი და შემდგომ მრავალი თაობისა, იაკობ ჰშვა იოსებ ქმარი მარიამისი, რომლისაგან იშვა იესო, რომელსაც ჰრქვიან ქრისტე (მათეს სახარების მიხედვით).

წმინდა მედარი და წმინდა ბარნაბე, და სუასონელი წმინდა კრეპენი და კრეპინიანი.

წმინდა მარტენი და მეზვრეთა წმინდა ვინცენტი. წმინდა მაკრო-ფერ-ან ტარდენუელი, რომელიც არის თვით ამ დაბის დღესასწაული,

და წმინდა ლუსი დეკემბერში, ოდეს ყველაზე მოკლეა დღე.

მოვა დღე იგი ყველაზე დიდი, რომელ იქნება დღეი ჩემი აღსასრულისა,

მოვა დღე იგი ბნელით მოცული, ოდეს გადავაბიჯებ სიკვდილის ზღურბლსა!

ის დღე, ოდეს სული ჩემი არ იქნება ტარტაროსისაგან შთანთქმული,

და რომ მიქელ მაუწყებელი მას დააყენებს აბრაამის წიაღ!

რისი უნდა მეშინოდეს ოდეს ჩემს წინაშე ვხედავ ყველა მარტვილსა და ყველა იმათ, ვინაც თავიანთი დიდი ვალი მშვიდად განასრულეს.

და კრებულს ყველა დედათა და დათა ჩემთა, ყველა კეთილშობილ ქალთა, რომელნიც უდრტვინველად აღესრულნენ.

ისინი ჩემს წინ მიდიან მოკრძალებული ღირსებით.

ზოგჯერ რომელიმე მათგანი ჩემსკენ პირს იბრუნებს და შემომყურებს ზეციური შუქით გასხივოსნებული თვალებით.

ანასტაზი და აპილინი, პერპეტუა და ფელისიტე,

და ემერენტიელი ლურჯთვალა ნუკრი ცეცხლოვანი თმით და მწიფურ წამწამთ ჩეროთი.

და წმინდა მღვდელი, აღსარება ვისაც ვუთხარი იმ გრადასული სევდიანი შმაგ წლების მერე.

ვხედავ ჩემს გარდაცვლილ წინაპრებს, შემომყურებენ მშვიდი ღიმილით!

მეუბნებიან, ჩვენ მოგვყევ, ძეო ჩვენო სისხლისმიერო, და ჩაიბარე მემკვიდრეობა შენი კუთვნილი,

და დაიცავი ნათლობის ფიცი და ღირსება ქრისტიანული შენი სახელის.

ჩემს უკან ვხედავ, რაიც ჩემთან ერთად დაიწყო, ეს ერთი წელი, თვე და დღე არის,

ყოველი, რაიც ჩემთან გრძელდება და ჩემთან არის სამარადისოდ.

უკან ვიყურები და ვხედავ განვლილ წლებს და ყოველ ჩემს ნამოქმედარს ავსა და კარგს,

ავისა გამო სირცხვილი მიპყრობს, ხოლო კეთილს კი ვეღარ ვიხსენებ.

ყოველი ავი წარხოცილია უფლისა სისხლით და სინანულით.

და თუ მიქნია რაიმე კეთილი დაე, ღმერთმა მიანიჭოს სიმრავლე!

ჩემს უკან ვხედავ ყოველ იმ საქმეთ, რომლებიც გავასრულე და ეხლა იწყებენ სიცოცხლეს,

ნორჩი ჯეჯილი ძალუმად მზარდი და მოდგმა ჩემი კვალში რომ მომდევს.

სიმშვიდეს ვანიჭებ და თავადა ვგრძნობ ზავის სუფევას ჩემდამოვლენილს უცნობ ძმათაგან.

დაე, უფალო, ისინიც ჩემთან ერთად ამაღლდნენ თქვენს საგანძურში, როგორც იზრდება ჰირნახული ერთგვაროვანი.

ვით იმ მიწაზე, სადაც მე გავჩნდი, ლაღად იზრდება თვალგაუწვდენი ზღვა მოსავალი,

იქ, სადაც ესნი და უაზი ერთურთს ერწყმიან შეუმჩნევლად, ვით მეუღლენი ღრმა სიყვარულით.

თანამეცხედრეს ჩემსას ვხედავ ჩემს სიახლოვეს და პირმშოს ჩემსას განბრწყინებულს და მოზეიმეს,

რომელიც მძლავრად ფეხსა სცემს აკვანს და ამომავალ მზეს შეჰკისკისებს,

მზეს შესჭიკჭიკებს აღმომბრწყინველს პატარა გული უცოდველი სიხარულით გარდავსებული,

რამეთუ ღმერთმა შობა არა სიკვდილისათვის, არამედ ხილვად ამქვეყნიურ სიცოცხლისათვის!

გაქებთ, უფალო, გადიდებთ და გეთაყვანებით.

მადლობას გწირავთ ესოდენი დიდებისათვის!

მადლობას გწირავთ ფეხზე დგომით, მტკიცედ მდგომი ორივ ფეხით იმ მიწაზე, მე რომ წარმომშვა,

დღევანდელ დღესა, რომელ არ არს არც გუშინდელი, არც ხვალინდელი, არამედ არის დღე დღევანდელი.

მწამს შეუცვლელად წერტილისაც კი, რაც ჩემზე ადრე მამა-პაპამ ირწმუნა ჩემმა,

და ვაღიარებ კაცთა მაცხოვარს და იესო ქრისტეს, აღესრულა რომელიც ჯვარცმით,

და ვაღიარებ მამასა, რომელ არს ღმერთი, და ძესა, რომელ არს ღმერთი, და წმიდასა სულსა, რომელ არს ღმერთი,

და მაინც არა სამსა ღმერთსა, არამედ მხოლოდ ერთსა ღმერთსა,

და მამასა, რომელ არს უკვდავი, და ძესა, რომელ არს უკვდავი, და წმიდასა სულსა, რომელ არს უკვდავი,

და მაინც არა სამსა უკვდავსა, არამედ მხოლოდ ერთსა ღმერთსა უკვდავსა,

და მამასა, რომელ შობს, და ძესა, რომელ შობილ არს და ცხონდის.

და წმინდასა სულსა, რომელიც არა შობს, არცა შობილ არს, არამედ გამოდის მამიდან და ძიდან.

1907 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## კომენტარები:

1. ელია — ებრაელთა წინასწარმეტყველი (IX ს. ქრისტ. დაბადებამდე)

2. ჰორები — სინას მთის ბიბლიური სახელწოდება:

3. ეტიენი — პირველი წამებული ქრისტიანი; აწამეს 37 წ. იერუსალიმში

4. მედარი — წმინდანი, ნუაიონისა და ტურნეს ეპისკოპოსი (456-580), დღესასწაულის დღე 8 ივნისი.

5. ბარნაბე — წმინდა პავლეს თანამედროვე მოციქული, წმინდანი, დღესასწაულის დღე 11 ივნისი.

6. კრეპენი და კრეპინიანი სუასონელები — წმინდანები, ძმები, აწამეს გოლში 287 წელს, დღესასწაულის დღე 25 ოქტომბერი.

7. მარტენი — წმინდანი, ტურნეს ეპისკოპოსი (315-397) დღესასწაულის დღე 11 ნოემბერი.

6. ვინცენტი — წმინდანი, (1576-1660) განთქმული თავის ქველმოქმედებით.

9. ლუსი — წმინდანი ქალწული, აწამეს 304 წ; ლეგენდის მიხედვით თვალები დათხარეს; დღესასწაულის დღე 13 დეკემბერი.

10. ტარტაროსი — ბერძნულ-რომაული სახელწოდება ჯოჯოხეთისა, სადაც დიდ დამნაშავეებს სჯიან.

11. ანასტაზი — წმინდანი ქალი, აწამეს ნერონის დროს, დღესასწაულის დღე 15 აპრილი

12. აპოლინი — წმინდანი ქალწული, აწამეს ალექსანდრიაში 249 წ. დღესასწაულის დღე 9 თებერვალი.

14. ფელისიტე — წმინდანი ქალი, აწამეს აფრიკაში, დღესასწაულის დღე 7 მარტი.

13. პერპეტუა — წმინდანი ქალი, აწამეს აფრიკაში, დღესასწაულის დღე 7 მარტი.

15. უაზი და ესნი — საფრანგეთის მდინარეები.

□

# თომას მანი

## რია-რია და ნაადრევი წუხილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანულიდან
თარგმნა დათო წერედიანმა

მეორე კერძიც მხოლოდ ბოსტნეულის იყო — სავოიური კომბოსტოს კატლეტები; ამიტომ ამას კიდევ ფლამერი მოჰყვება. პუდინგის ფხვნილისა. აი, ახლახან რომ გამოჩნდა გასაყიდად; ნუშისა და საპნის გემო დაჰკრავს. და სანამ ქსავერი, შალის თეთრხელთათმანიანი და ყვითელსანდლებიანი მსახური ბიჭი, რომელსაც ზოლიანი ქურთუკი უკვე გვარიანად დავიწროვ-დამოკლებია, მაგ კერძსაც ჩამოარიგებს, „დიდები" ფრთხილად შეახსენებენ მამას, რომ დღეს სტუმრები ეყოლებათ.

„დიდები", ესენი არიან ინგრიდი, თვრამეტი წლის თაფლისფერთვალება სხივიანი ქალიშვილი, რომელსაც სულ მალე გამოსაშვები გამოცდები დაეწყება და, ეჭვი არაა, კიდევაც ჩააბარებს, რადგან მასწავლებლები და განსაკუთრებით დირექტორი ისე ჰყავს თავბრუდახვეული, რომ მათგან სრული შეწყნარება მოელის, არადა, ატესტატის გამოყენებას სულაც არ აპირებს, მომხიბლავ ღიმილზე, საამო ხმასა და სასაცილოდ გამოჯავრების ნიჭზე იმედებდამყარებული, თეატრისკენ მიილტვის — და ბერტი, ჩვიდმეტი წლის ქერათმიანი ყმაწვილი. რომელიც სკოლის დამთავრებაზე გადაჭრით უარს აცხადებს, ისწრაფვის. რაც შეიძლება მალე გადაეშვას ცხოვრების მორევში და მოცეკვავე ან კაბარეს რეჩიტატორი გამოვიდეს, ან კიდევ კელნერობა დაიწყოს, თანაც მაინცდამაინც „კაიროში". ამ მიზნით ერთხელ, დილის ხუთ საათზე, სახლიდან იპარებოდა, მაგრამ ბოლო წამს ბედმა უმუხთლა. ის აშკარად ჩამოჰგავს ქსავერ კლაინსგიუტლს, თანატოლ მსახურ ბიჭს, ოღონდ იმიტომ კი არა, თითქოს მდაბიური იერი ჰქონდეს — პირიქით, ნაკვთებით ზედგამოჭრილი მამამისია, პროფესორი კორნელიუსი — არამედ უფრო იმიტომ, რომ იმ მეორე მხრიდან მოხდა აქეთ შემომგვანება. ან სულაც ორივე მხრიდან წაიშალა ზღვარი, რაშიც მთავარი ბრალი ჩაცმა-დახურვისა და ქცევების საყოველთაო გაერთსახოვნებას მიუძღვის. ორივეს ხშირი და გაშავებული თმა აქვს. შუაზე დაუდევრად გადაყოფილი, ამიტომ თავის გადაქნევაც ერთნაირად იციან. როცა თმა შუბლზე ჩამოეშლებათ. დარშიც და ავდარშიც უქუდოდ დადიან ორივენი, ორივე სპორტულ ქურთუკს იცვამს. რომელზეც ქამარი მხოლოდ საკოხტაოდ არტყიათ, და როცა ერთ-ერთი მათგანი, ოდნავ წინ წახრილი და გვერდზე თავგადაწეული, ბაღის ჭიშკრიდან გადის ან ველოსიპედზე ჯდება — ქსავერი დაუკითხავად ხმარობს ბატონების ველოსიპედებს, მათ შორის ქალებისასაც, ხოლო სულ უდარდელ გუნებაზე თუა, არც პროფესორის ველოსიპედს ერიდება — საწოლი ოთახის ფანჯარასთან მდგომ კორნელიუსს ვე-

რასგზით ვერ გაურჩევია, შვილია ეს თუ მსახური. ჯეელ მუეიკსა ჰგავს ერთიცა და მეორეც, ასე მიაჩნია პროფესორს. ერთიცა და მეორეც თავგამოდებული მწეველია, ოღონდ ბერტს ჯიბე არ ანებებს, ქსავერისდენი [illegible] მოწევს, ქსავერი კი დღეში ოცდაათ ცალს ეწევა, თანაც უსათუოდ [illegible] სას, რომელიღაც ფრიად გამოჩინებული კინოვარსკვლავის სახელი [illegible] ჰქვია.

„დიდები“ მშობლებს „ბებრებს“ ეძახიან, ზურგს უკან [illegible] და მოფერებით, თუმცა კორნელიუსი ჯერ მხოლოდ ორმოცდაშვიდისაა, მეუღლე კი რვა წლით უმცროსია. „პატივცემულო ბერიკაცო“, ეტყვიან ხოლმე, „მოსიყვარულე ბებრუკავ“, ხოლო კორნელიუსის მშობლებს, სოფელში რომ ცხოვრობენ დღევანდელი მოხუცების გაოგნებული და დამფრთხალი ცხოვრებით, მათ ენაზე „ჩვენი ძველები“ ჰქვიათ. რაც შეეხება „პატარებს“, ლორხენსა და ბაისერს, რომლებიც ზემო სართულზე სადილ-ვახშმობენ „ლურჯ ანასთან“ ერთად — ასე შეერქვა ლურჯი ლოყების გამო — ისინი დედის მიბაძვით მამას პირდაპირ სახელით მიმართავენ, აბელს ეძახიან. ბავშვებისგან მართლაც რომ ღიმილისმომგვრელად ჟღერს ეს ახლობლურ-შეთამამებული მიმართვა, მეტადრე, როცა თავისი წკრიალა ხმით წარმოთქვამს ხუთი წლის ელეონორა, რომელიც ქალბატონი კორნელიუსის ბავშვობისდროინდელი სურათების განსახიერებაა და პროფესორს გამორჩევით უყვარს.

— ბერიკაცო, — რაც შეიძლება ალერსიანად ამბობს ინგრიდი და თავის დიდ, მაგრამ ლამაზ ხელს ხელზე ადებს მამას, რომელიც ბიურგერული და, კაცმა რომ თქვას, სავსებით ბუნებრივი ჩვეულების მიხედვით სუფრას თავში უზის, ინგრიდი კი მის ხელმარცხნივ, დედის პირდაპირ ზის, — ჩემო კეთილო წინაპარო, ნება მიბოძე, მოკრძალებით შეგახსენო, ვიცი დავიწყებული გექნება. ნაშუადღევს ჩვენი პატარა წვეულება იწყება, ჩვენი ბატიფეხურობანა და ქაშაყის-სალათობანა. შენი ვალია, მხნეობა მოიკრიბო და არ წაგვიხდე, ცხრა საათისთვის ყველაფერი მოთავდება.

— აჰ? — ამბობს კორნელიუსი და სახე უგრძელდება, — კეთილი, კეთილი, — და თავს იქნევს, გარდაუვალთან ვითომ სრული ჰარმონიის ნიშნად, — მე კი მეგონა... ნუთუ ასე მალე? თუმცა ჰო, ხუთშაბათია. როგორ გარბის დრო. მაინც როდისთვის მოელენ?

ხუთის ნახევარზე დაიწყებენ თავმოყრას. ამას ინგრიდი ამბობს, რომელსაც ძმა ყოველთვის უთმობს ხოლმე პირველობას მამასთან მოლაპარაკებისას. ვიდრე კორნელიუსი ზემო სართულზე იქნება თვალის მოსატყუებლად წამოწოლილი, ხმაური თითქმის არ შეაწუხებს, შვიდიდან რვამდე კი მისი გასეირნების დროა. თუ ურჩევნია, სულაც ტერასიდან ჩაიპარება.

— ო... — ამბობს კორნელიუსი, ვითომ არც ასეა საქმეო.

ბერტი მაინც ერევა საუბარში:

— ხუთშაბათი ერთადერთი დღეა, როცა ვანიას სპექტაკლი არა აქვს. სხვა დღეს შვიდის ნახევარზე მოუხდებოდა წასვლა, ეს კი ყველას უკლებლივ გულს დასწყვეტდა.

„ვანია“ ივან ჰერცლია, სახელმწიფო თეატრის აღიარებული „პირველი საყვარელი“, დიდად დაახლოებული ბერტსა და ინგრიდთან, რომლებიც ხშირად ჩაიზე დადიან მასთან და თეატრალურ საპირფარეშოშიც აკითხავენ. ის ახალი სკოლის ხელოვანია და სცენაზე უცნაურ პოზებს, პროფესორის აზრით, გადაპრანჭულ და არაბუნებრივ საბალეტო პოზებს იღებს, თანაც ტანჯული ხმით ყვირის. ცხადია, ეს ვერანაირად ვერ მიესადაგება ისტორიის პრო-

ფესორის გემოვნებას, მაგრამ მისი ვაჟი ჰერცლის ფეხის ხმას არის აყოლილი და ქვედა ქუთუთოების კიდეებს შავად ილებავს, რამაც რამდენჯერმე მძაფრი, მაგრამ უშედეგო შეხლა-შემოხლა გამოიწვია მამა-შვილს შორის, და ბერტი, ყმაწვილკაცურად უგრძნობელი უფროსთა გულისტკივილის მიმართ, აცხადებს, რომ არა მარტო იმ შემთხვევაში დაისახავს ჰერცლს ნიმუშად და მაგალითად, თუ მოცეკვავეობას გადაწყვეტს, არამედ „კვირობში", თუ იქ კელნერად დაიწყო მუშაობა, განზრახული აქვს, ზუსტად ჰერცლივით იმოძრაოს.

კორნელიუსი, ოდნავ წარბებაწეული, თავს მსუბუქად ხრის შვილის წინაშე, იმ ლოიალური მომთმენიანობისა და თავდაჭერილობის გამოსახატავად, მისი თაობის კაცს რომ ეკადრება. ეს პანტომიმა მოკლებულია გამოსადავებელ ირონიას და პირდაპირი მისამართი არა აქვს. ბერტმა თვითონ არჩიოს, მას კენწლავენ თუ მისი მეგობრის არტისტულ ნიჭს.

კიდევ ვინ უნდა მოვიდეს. აინტერესებს ოჯახის უფროსს. ჩამოთვლიან მისთვის მეტნაკლებად ნაცნობ რამდენიმე სახელს, ერთნი ვილათა კოლონიის ბინადარნი არიან, მეორენი შიგ ქალაქში ცხოვრობენ, ზოგიც ინგრიდის სკოლის ამხანაგია, ქალთა გიმნაზიის მაღალკლასელი... ნაწილი ჯერ კიდევ გასაფრთხილებელია, ტელეფონით დაურეკავენ. აი, თუნდაც მაქსია გასაფრთხილებელი, მაქს ჰერგეზელი, საინჟ. სტუდ., რომლის სახელს ინგრიდი გაბმით და დუდღუნით წარმოთქვამს, მისი სიტყვით, ამ ყაიდაზე ლაპარაკობს ყველა ჰერგეზელი, და ისე ცოცხლად და სასაცილოდ იწყებს მათ გამოჯავრებას, რომ მშობლებს ლამის სასულეში გადასცდეთ ეს უგემური ფლამერი. რადგან კაცს ასეთ დროშიც ეცინება, თუკი სასაცილოა რამე.

დროდადრო პროფესორის კაბინეტში ტელეფონი რეკავს და „დიდებიც" გარბიან ყურმილის ასაღებად, დარწმუნებულები, რომ მათ ურეკავენ. ბოლო გაძვირების შემდეგ ბევრმა ხელი აიღო ტელეფონზე, კორნელიუსებმა კი დღესდღეობით შეძლეს მისი შენარჩუნება, ისევე როგორც ომამდე აშენებულ ვილას ინარჩუნებენ ჯერხანად, იმ ძლივსამყოფი მრავალმილიონიანი ხელფასის წყალობით, რომელსაც პროფესორი ორდინარიუსობაში იღებს. ეს ვილა, სახლი გარეუბანში, კოხტაცაა და მყუდროც, ოღონდ საკმაოდ მოუვლელია, რადგან რემონტი უმასალობის გამო არ ხერხდება, და გრძელმილებიანი რკინის ღუმელებითაა დაუშნოებული. მაგრამ ეს ის კალაპოტია, რომელშიც მიედინებოდა უწინ ბიურგერული ზედაფენის ცხოვრება და რომელიც დღემდე უცვლელი დარჩა, თუმცა უკვე აღარ შეესატყვისება მათ დღევანდელ ყოფას, ანუ ამ ხელმოკლეობასა და ჯახირს, ამ გაცრეცილ და გადაბრუნებულ კოსტუმებს. შვილებს სხვა არაფერი უნახავთ, მათთვის ესაა წესიცა და ნორმაც, ისინი ვილებში დაბადებული პროლეტარები არიან. ჩაცმა-დახურვის საკითხი დიდადაც არ აწუხებთ. ამ თაობამ დროის შესაფერისი ტანსაცმელი შემოიღო, სიღატაკისა და სპორტული გემოვნების ნაყოფი, ზაფხულობით ქამრიანი ტილოს ხალათებითა და სანდლებითაც იოლად გადიან. ხანდაზმულ ბიურგერებს მეტი გასაჭირი ადგათ.

გვერდით „დიდები" მეგობრებს ესაუბრებიან, მათი ხელსახოცები კი სკამების საზურგეებზეა გადაკიდებული. ეს — მოპატიჟებულები რეკავენ. ზოგი უარს ამბობს მოსვლაზე, ზოგი კიდევ მოსვლას აპირებს, მაგრამ წინასწარ რაღაცა აქვს შესათანხმებელი, და „დიდებიც" ათანხმებენ თავიანთი წრის ჟარგონზე, ფუჭსიტყვაობითა და ყინჩსიტყვაობით რომ არის სავსე, და

საიდანაც „ბებრები“ კანტიკუნტად თუ რამეს გაიგებენ. ამასობაში ისინიც ბჭობენ, რითი გაუმასპინძლდნენ სტუმრებს. პროფესორი ბიურგერულ პატივმოყვარეობას ამჟღავნებს. მისი სურვილია, რომ ვახშამზე იტალიური სალათისა და შავი პურის ბუტერბროტების შემდეგ ტორტიც იყოს, რამე ტორტისმაგვარი. მაგრამ ქალბატონი კორნელიუსის აზრით ეს უკვე ზედმეტი იქნება, ყმაწვილები მსგავსს არაფერს აკი არც ელიან, და შეიძლება კვერს უკრავენ დედას, როცა კიდევ ერთხელ უბრუნდებიან ფლამერის კერძს.

დიასახლისი, ვისი წყობა და იერიც გამოჰყვა უფრო ტანმაღალ ინგრიდს, გაცრიცა და გალია ამოუთავებელმა ოჯახურმა გაჭირვებამ. მისთვის მისწრება იქნებოდა წყლებზე სამკურნალოდ წასვლა. მაგრამ ეს მერყევი ნიადაგი ფეხქვეშ და ეს უთავბოლო რია-რია გარშემო ამას სრულიად განუხორციელებელს ხდის. ამ წუთას მისი მთავარი საზრუნავია კვერცხის ყიდვა, ეს საქმე აუცილებლად დღეს უნდა მოესწროს და ახლა ამაზე ლაპარაკობს: ამა და ამ მაღაზიაში, თხუთმეტი წუთის სავალზე, სწორედ ხუთშაბათობით, ექვსიათისმარკიან კვერცხს არიგებენ წინასწარდადგენილი ნორმის მიხედვით. ამიტომ ახალგაზრდებმა ნასადილევს ყველა სხვა საქმე განზე უნდა გადადონ და კვერცხის ასაღებად წავიდნენ. დანი, მეზობლის ბიჭი, შემოივლის მათ წასაყვანად, ქსავერიც საგარეოდ გამოეწყობა და გვერდს დაუმშვენებს თავის ახალგაზრდა ბატონებს. რაკი ოჯახზე კვირაში მხოლოდ ხუთ-ხუთ კვერცხს იძლევიან, ყმაწვილები მოგონილი გვარებით თითო-თითოდ შევლენ მაღაზიაში და კორნელიუსების ვილისთვის ოც კვერცხს მოინადავლებენ. ეს ყოველკვირეული წარმტაცი სახიობაა თვითეული მონაწილისთვის, მუჟიკი კლაინსგიუტლისთვისაც კი, რომ არაფერი ითქვას ბერტსა და ინგრიდზე, რომლებიც თვისტომთა გამაიმუნებისა და გაბიაბრუებისკენ უზომოდ არიან მიდრეკილნი და ყოველ ნაბიჯზე ეწევიან ამ საქმიანობას, ისე, უანგაროდ, მაშინაც კი, როცა არავითარ კვერცხს არ გამოელიან. ხშირად, ტრამვაიში, ნამდვილ წარმოდგენას მართავენ, რომ შემოვლითა და მიკიბულ-მოკიბულებით თავი მავან და მავან ქალ-ვაჟად გაასაღონ, არა იმად, რაც მართლა არიან. კუთხურ კილოკავზე, სხვა დროს რომ არასოდეს ხმარობენ, სახალხოდ გააბამენ ერთმანეთში გრძელსა და რიოშ საუბარს, ყოვლად ჩვეულებრივ საუბარს, როგორც მილეთის ხალხი ლაპარაკობს: ქაქანებენ პოლიტიკაზე, ფასებზე, გამოგონილ ნაცნობებზე, და მთელი ვაგონი სიმპათიითა და ოდნავი დაეჭვებით, რაღაც შეუსაბამობის გუმანით ყურს უგდებს მათ უსაზღვროდ ჩვეულებრივ ენაგატლეკილობას. ესენი კი თანდათან თავს გადიან და გამოგონილ ნაცნობებზე უმსგავსი ამბების მოყოლას იწყებენ. ინგრიდს არც იმისა რცხვენია, ბანალური ჭყლოპინითა და ყლურტულით ყველას გასაგონად გამოაცხადოს, რომ გამყიდველი ქალია და ჰყავს უკანონო შვილი. ბიჭი, რომელსაც სადისტური ხასიათი გამოაჩნდა და ამას წინათ, სოფელში, ისე წარმოუდგენლად აწვალა ძროხა, რომ ქრისტიანი კაცის თვალს არ შეეხედებოდა. ბერტს ლამის სიცილი წასკდეს, იმგვარად ჩაიყლურტულებს ინგრიდი — „წარმოუდგენლად აწვალა“, მაგრამ გარეგნულად მხოლოდ პირქუშ თანაგრძნობას გამოხატავს უბედური ქალის მიმართ, და შეჰყვებიან მერე გრძელ და უღიმღამო მსჯელობას, ბილწსა და ბრიყვულს ერთდროულად, პათოლოგიური სისასტიკის ბუნებაზე, სანამ მოხუც კაცს, წინა რიგში მათ გასწვრივ ბილეთი რომ საჩვენებელ თითსა და ბეჭედს შორის ჩაუკეცავს, მოთმინების ფიალა არ ევსება და საჯაროდ არ გამოთქვამს აღშფოთებას იმის გამო, რომ ასეთი ყმაწვილები

ამგვარ თემატას (ის ხმარობს ბერძნულ მრავლობითს: თემატა) ესოდენ გამოწვლილვით იხილავენ. ამაზე ინგრიდი ვითომ ცრემლებად იღვრება, ბერტიკი ვითომ უკიდურესი დაძაბვით იოკებს, მაგრამ დიდხანსაც ვეღარ შეიოკებს სასიკვდილო რისხვას: მუშტებს კუმშავს, კბილებს აღრჭიალებს და მთელი ტანით კანკალებს, ჰოდა, მოხუცი კაცი, გულში რომ ავ[illegible]სდება, პირველსავე გაჩერებაზე სასწრაფოდ ტოვებს ვაგონს.

ასეთი გახლავთ „დიდების" შექცევანი. მათში ერთი უმთავრესი წილი ტელეფონს უდევს: ურეკავენ მთელ ქვეყანას, ოპერის მომღერლებს, თანამდებობის პირებსა თუ ეკლესიის წინამძღვრებს, ელაპარაკებიან ხან ვილაც გამყიდველი ქალის, ხან კიდევ გრაფ და გრაფინ მანსტოიფელების სახელით და ვითომ დიდი გაჭირვებით ეგუებიან იმ აზრს, რომ სხვაგან მოხვდნენ. ერთხელ მშობლებს მთელი ყუთი სავიზიტო ბარათები მოჰპარეს და წაღმა-უკუღმა, თან ოღონდ შემაცდენელ-საეჭვიცობო ვარაუდის დაჭერითაც, თანაუბნელთა საფოსტო ყუთებში მიყარ-მოყარეს, რის გამოც შეიქნა ერთი მიეთ-მოეთი, რადგან მოულოდნელად, ღმერთმა უწყის, ვინ მავანი სავიზიტოდ გამოსცხადებია, ეშმაკმა უწყის, ვინ მავანს.

შემოდის ქსავერი თმის უკუყრით, უკვე გაუხდია კერძების შემოსატანად სახმარი ხელთათმანები და მარცხენა ხელზე ყვითელი ჯაჭვბეჭედი მოუჩანს. მან ახლა სუფრა უნდა აალაგოს, და სანამ პროფესორი თავის რეაისმარკიან წყალწყალა ლუდს შეექცევა და სიგარეტს უკიდებს, კიბიდან და შუა ოთახიდან „პატარების" ერიამული მოისმის. ჭამის შემდეგ, როგორც წესად არის დადებული, მშობლებს უნდა დაენახონ, მოიბრძვიან სასადილო ოთახისკენ, ეომებიან კარებს, ერთდროულად ებღაუჭებიან სახელურს, მობაჯბაჯებენ და მობორძიკობენ ხალიჩაზე. წითელფაჩუჩიანები, წინდებჩამოჩაჩულები, სწრაფი და უხერხული ნაბიჯებით, გზადაგზა რაღაცას მოჰყვირ-მოამბ-მოტატანებენ, თან ორივე თავისი ჩვეული გზით მოექანება: ბაისერი — დედისკენ, ცდილობს მუხლებით ახოხდეს მის კალთაზე, რომ მიახაროს, რა ბევრი ჭამა, და დასამტკიცებლად გამობერილი მუცელი აჩვენოს, ლორხენი — თავისი „აბელისკენ", რომელიც სულ, სულ მისია, იმიტომ რომ თვითონაც სულ, სულ მამასია, რადგან გრძნობს იმ წრფელსა და ყოველი ღრმა განცდისთვის ნიშნეულ სევდანარევ სინაზეს — გრძნობს და გაღიმებული ტკბება — რომლითაც მამიკო მოსავს მის პაწაწინა პერსონას, იმ სიყვარულს, რომლითაც მამიკო შესცქერის და უკოცნის ლამაზად ჩამოქნილ ხელებს, ან კიდევ საფეთქლებს, წვრილ-წვრილი მოლურჯო ძარღვები რომ დასდევენ ნაზად და გულისშემკუმშველად.

ბავშვები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს აშკარა, მაგრამ მოუხელთებელი დამმური მსგავსებით, ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებს, რომ ერთნაირად არიან ჩაცმულ-დავარცხნილები, ოღონდ განსხვავებაც თვალში საცემია, ბუნებრივი განსხვავება მამრისა და მდედრისა. ეს პატარა და-ძმა ნამდვილი ადამ და ევაა, ცხადად გამოხატული, ბაისერის მხრივ, როგორც ჩანს, ცნობიერადაც კი, ცნობიერად და თავდაუჯერებლად გამოხატული: ისედაც ხომ უფრო ტანმკვრივია, უფრო ჩასკვნილი და ღონიერი, თან ცდილობს, რომ თავის ოთხწლოვან მამაკაცურ ღირსებას ხაზი გაუსვას დგომითაც, გამომეტყველებითაც, ლაპარაკის კილოთიც: წამოზიდული მხრებიდან მკლავებს, ახალგაზრდა ამერიკელის მსგავსად, ათლეტურად დაუშვებს, ლაპარაკის დროს ტუჩებს იმრგვალებს და ხმას იბოხებს. სიმართლე რომ ითქვას, მთელი ეს თავდაჯერებუ-

ლობი და მამაკაცურობა უფრო ლტოლვაა, ვიდრე ჭეშმარიტი ბუნება, რადგან
ამ უდაბურ და იავარქმნილ დროში გაჩენილს ერთობ ლაბილური და გაღი-
ზიანებადი ნერვული სისტემა გამოჰყვა: ცხოვრების უკუღმართობას მძაფრად
განიცდის, ხშირად იცის გაანჩხლება და ფეხების ბრაზიანი ბაკუნი, ყველა
წვრილმანზე ცხარე და სასოწარკვეთილი ცრემლები დასდის, ჰოდა, უკვე ამი-
ტომაც დედა განსაკუთრებულად ელოლიავება. თვალები ყვითლფერი აქვს,
მრგვალ-მრგვალი და ცოტა ელამი, მალე ალბათ სათვალე დასჭირდება, ცხვი-
რი — გრძელი, პირი — პატარა. ცხვირიცა და პირიც სულ მამას მიუგავს, ეს
კიდევ უფრო ცხადი შეიქნა მას შემდეგ, რაც პროფესორმა წვერ-ულვაში მო-
იპარსა (უკვე შეუძლებელი გახდა წვეროსნობა; ბოლოს და ბოლოს მეისტო-
რიეც მიდის ამგვარ დათმობაზე თანადროულ ზნე-ჩვეულებათა წინაშე). მაგ-
რამ კორნელიუსს ახლა თავისი გოგონა უზის მუხლებზე, თავისი ელეონორ-
ხენი, პატარა ევა — ბიჭზე ბევრად უფრო ალერსიანი და ტკბილსაურთიერ-
თო — ,შეძლებისდაგვარად სიგარეტს არიდებს და არ უშლის, ხელი შეახოს
მის სათვალეს, რომლის ორად გაყოფილი მუშები — საკითხავი და შორს
საყურებელი — ყოველდღე ხელახლა აღძრავს ხოლმე ბავშვის ცნობისმო-
ყვარეობას.

არადა, კორნელიუსს გუმანი ეუბნება, რომ ცოლის არჩევანი უფრო დიდ-
სულოვნურია და რომ ბაისერის უხიაგი მამაკაცურობა ალბათ მეტს ნიშნავს,
ვიდრე გოგონას გაწონასწორებული სანდომიანობა. მაგრამ გულს ხომ ვერ
უბრძანებ, ფიქრობს იგი, მისი გული კი თავიდანვე ამ პატარას ეკუთვნის, მას
აქეთ, რაც ქვეყანაზე არსებობს, მას აქეთ, რაც პირველად ნახა კორნელიუს-
მა, და თითქმის ყოველ ჩახუტებაზე სწორედ პირველი ნახვა ახსენდება: ეს
მოხდა ქალთა კლინიკის ერთ ნათელ პალატაში, სამშობიაროში, სადაც ლორ-
ხენი დაიბადა, უფროსი და-ძმისაგან თორმეტი წლით დაცილებული. შეაბიჯა
და ლამის იმავე წამს, როცა ცოლის ღიმილით გამხნევებულმა ფარდა გადა-
ხადა დედოფალას ციცქნა საწოლს, დიდის გვერდით მოდგმულს, და დაი-
ნახა პატარა საოცრება, ბალიშებში რომ იწვა ასეთი კეთილაღნაგი, ასეთი უტ-
კბესი თანაზომიერებით განათებული, დაინახა ეს პაწია, ლამაზი ხელები, ახ-
ლანდელივით ლამაზი, ოღონდ ბევრად უფრო პაწია, ეს თვალები, უკვე გახე-
ლილები, მაშინ სულ ცისფერი იყო და შიგ მოკაშკაშე დღე ისარკებოდა —
ჰო, ლამის იმავე წამს იგრძნო, რომ გზამოჭრილია და ტყვედქმნილია; ეს იყო
სიყვარული ერთი ნახვით და სამარადისოდ, გრძნობა უცნობი და მოულოდ-
ნელი და უნატვრელი — თუ მხოლოდ ცნობიერებაზე ვილაპარაკებთ — და
კორნელიუსი, გაოცებითა და სიხარულით აღვსილი, უმალ მიხვდა, რომ ეს
გრძნობა სიკვდილამდე თან გაჰყვებოდა.

თუმცა დოქტორმა კორნელიუსმა იცის, რომ ამ გრძნობის სრული მო-
ულოდნელობა და უნატვრელობა, გინდაც მისი სრული უნებურობა, თუ კარ-
გად ავწონ-დავწონით, მთლად მართალი არ არის. მიმხვდარია, რომ ეს გრძნო-
ბა უეცრად კი არ მოვარდნილა და შერწყმია მის ცხოვრებას, არამედ თვი-
თონ იყო წინასწარმომზადებული ამისთვის, ან უფრო სწორად, საამისოდ;
რომ თვითონ მის შიგნით შემზადდა რაღაც, რათა მოცემულ წამს ეს გრძნობა
თავისი თავიდან აღმოეცენებინა, და რომ ეს „რაღაც“ მისივე თვისება გახლ-
დათ, თვისება ისტორიის პროფესორისა — ძალიან უცნაური კია ამის თქმა.
მაგრამ დოქტორი კორნელიუსი აკი არც ამბობს ამას, ისე, თავისთვის იცის და
ხანდახან ჩუმად ჩაეღიმება. იცის, რომ ისტორიის პროფესორებს მხოლოდ

ჩავლილი ისტორია უყვართ და არა აწმიმდინარე, რომ სძულთ თანადროული გადატრიალებები, ვინაიდან მათ უკანონობად, წინაუკმობად და თავაშვებულობად, ერთი სიტყვით, „არაისტორიულობად“ შეიგრძნობენ, და რომ მათი გული მოწესრიგებულ, მიწყნარებულ, ისტორიადქცეულ წარსულს ეკუთვნის. წარსულს ხომ ზედროულობისა და მარადიულობის განწყობა ახლავს, ამბობს გუნებაში უნივერსიტეტის სწავლული, როცა ვახშმობის წინ მდინარის პირას მისეირნობს, და ეს განწყობა უფრო ესალბუნება ისტორიის პროფესორის ნერვებს, ვიდრე მისი დროების თავაშვებულობა. რაც გარდასულია, მარადისობაშია გარდასული, ესე იგი, მკვდარია. სიკვდილი კი ის წყაროა, საიდანაც გამოედინება ყოველგვარი მიწყნარება და ყოველგვარი ინსტინქტი თავდაცვისა თუ თავგადარჩენისა. დოქტორი იდუმალ ჰვრეტს ამას, როცა მარტო მიაბიჯებს სიბნელეში. სწორედ მისი თავდაცვის ალღო იყო, მარადიულობის ალღო იყო, ამ თავაშვებული დროებისგან მამობრივ სიყვარულში რომ აპოვნინა ხსნა. მამობრივი სიყვარული და დედის მკერდზე მიხუტებული ჩვილი მარადიულია, ამიტომაც არის მშვენიერი და წმინდა. ოღონდ ბნელში მიმავალი კორნელიუსი იმასაც ხედება, რომ მის ამ სიყვარულში არის რაღაცა უმართებულო და ურიგო. ამას იგი თეორიულად, მეცნიერული კეთილსინდისიერების გამო აზუსტებს. სათავიდანვე ახლავს მას რაღაცა მიკერძოებული, ამ სიყვარულს. მტრობა დევს მასში, ოპოზიცია აწმიმდინარე ისტორიის მიმართ ჩავლილის, ესე იგი, სიკვდილის სასარგებლოდ. დიახ, საკმაოდ უცნაურია, მაგრამ სიმართლეა, სინდისის წინაშე სიმართლეა. მისი გრძნობა სიცოცხლის ამ ნაზი ყლორტისადმი, ამ ახალნაყარისადმი რაღაცით სიკვდილის თანაზიარია და სიცოცხლის საპირისპირო, რაც, გარკვეული აზრით, მთლად კარგი და მოსაწონი ვერ არის... თუმცა მართლა შლეგი ასკეტი იქნებოდა, ამ შემთხვევითი მეცნიერული მოსაზრებების გამო გულიდან ამოეფხვრა ყველაზე სანუკვარი და ყველაზე ხალასი განცდა.

კორნელიუსს კალთაში ჩაუსვამს გოგონა, მუხლებზე გადმოუწყობინებია მოვარდისფრო წვრილი ფეხები, წარბებაზიდული ალერსიანად ესაუბრება სახუმარო მოწიწების კილოთი და აღტაცებული უსმენს მის ტკბილსა და წკრიალა ხმას, როცა გოგონა ეპასუხება და „აბელს“ ეძახის. ზოგჯერ მრავალმნიშვნელოვნად გადახედავს ხოლმე ცოლს, რომელიც თავის ბაისერს არიგებს და ნაზი საყვედურით კეთილგონიერებისა და თავშეკავებისაკენ მოუწოდებს, რადგან ცხოვრებისაგან გალიზიანებულ ბიჭს ამ დილითაც მოუვარა თავისმა აფზნიანობამ და შმაგი დარვიშივით კიოდა. ხანდახან „დიდებისკენაც“ უნდოდ გააპარებს ხოლმე თვალს, დასაშვებად მიაჩნია, რომ მისი ზოგიერთი მეცნიერული მოსაზრება, ღამეული სეირნობიდან გამოყოლილი, მათთვისაც არ იყოს უცხო. იქნებ ასეც არის, მაგრამ „დიდები“ მსგავსს არაფერს ავლენენ. თავ-თავიანთ სკამებს უკან მდგარნი, საზურგეებზე ხელებჩამოყრდნობილნი, თბილი და ოდნავ ირონიული ღიმილით უცქერიან მშობლების ბედნიერებას.

ბავშვებს სქელი და აგურისფერი, მოდურად მოქარგული არტისტული სამოსიაცვიათ, რომელიც თავის დროზე ბერტსა და ინგრიდს ეკუთვნოდა. ორივეს სამოსი ზუსტად ერთნაირია, განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბაისერს ხალათის ქვემოთ მოკლე შარვალი მოუჩანს. თმის ვარცხნილობაც ორივესი ერთნაირია — „პაჟი“. ბაისერს უთანაბროდ ქერა თმა აქვს, ალაგ-ალაგ სიმუქე შეპპარვია, რაღაც ოკრობოკროდ ამოსული და პატარა კომიკურ პა-

რიკა ჰგავს, ცუდად მორგებულ პარიკს. ლორხენის წაბლისფერი თმა კი აბრეშუმივით რბილია, მბზინავი და ისეთივე სასიამოვნო, როგორც მთელი მისი კოპწია არსება. თმა ყურებსაც უფარავს, რომლებიც, როგორც ცნობილია, სხვადასხვა ზომისაა, ცალი — სრულიად ნორმალური, ცალი კი — გამოფუებული და აშკარად უფრო დიდი. მამა ხანდახან ყურებზე შეავლებს ხოლმე ხელს და გაოცებული შეჰყურებს, თითქოს ეს პატარა ნაკლი პირველად ახლა შეენიშნოს, რითაც თან აცბუნებს და თან აცინებს გოგონას. დაშორიშორებული ოქროვან-მოყავისფრო თვალები აქვს, ნათელი და საამო გამოხედვა. წარბები — ქერა, ცხვირი — ჯერ სრულიად უფორმო, ნესტოები ამის გამო — საკმაოდ ფართო და თითქმის წრიული, პირი — დიდი და გამომეტყველი, მოძრავი ზედა ტუჩი ლამაზად, გაბუტვით აბურცვია. როცა გაიცინებს და დაცალცალკევებული, მარგალიტის კბილები გამოუკრთება (ერთი ცალი აკლია; როცა მოერყა და მამა ცხვირსახოცით აძრობდა, გადაფითრდა და აცახცახდა), პატარ-პატარა ფოსოები უჩნდება ლოყებზე, რომლებსაც ბავშვური სისავსის მიუხედავად ოდნავ ჩავარდნილი ეთქმის იმის გამო, რომ სახის ქვედა ნაწილი ცოტათი წინა აქვს წამოწეული. ყვრიმალთან, იქ სადაც თმა ეწყება, ბუსუსებიანი პატარა ხალი მოუჩანს.

საერთოდ, თავისი გარეგნობით ნაკლებადაა კმაყოფილი, — ნიშანი იმისა, რომ გარეგნობაზე უკვე ზრუნავს. სახე, მსჯელობს ხოლმე დაღონებული, სამწუხაროდ, ულამაზოა, აი, „ფიგურა“ კი ნამდვილად კოხტაა. რამდენიმე „განათლებული“ სიტყვა აქვს აჩემებული — „უთუოდ, უცილობლად, დასასრულ“ და სხაპასხუპით მიაყრის ხოლმე ერთმანეთზე. ბაისერის თვითკრიტიკული ეჭვები მეტწილად მორალისტური ხასიათისაა. იგი ქენჯნისკენ არის მიდრეკილი, თავი ავზნიანობის გამო მეტად ცოდვილად მიაჩნია და დარწმუნებულია, რომ სასუფეველში კი არ მოხვდება, არამედ „ჯოჯოხეთში“. შეგონებები, რომ ღმერთი მრავალმოწყალეა და შეუნდობს, არა სჭრის, დამწუხრებული ჯიუტად აქნევს თავის ცუდად მორგებულ პარიკს და საუკუნო ნეტარება მიუწვდომლად ეჩვენება. თუ გაცივდა, ლორწოთი გატენილ ბუშტს ემსგავსება, თითის დაკარებაზე ერთიანად ახიხინდება და ათხიპინდება, მაშინვე მაღალ სიცხეს აძლევს და ქლოშინს აწყებინებს. „საბავშვო“ ანა ბნელ ფიქრებს შეუპყრია ბაისერის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, მისი აზრით, ასეთი „სქელსისხლიანი“ ბავშვი ყოველ წუთს უნდა მოელოდეს დამბლას. ერთხელ მოეჩვენა კიდეც, თითქოს დადგა ეს საბედისწერო წუთი: ბაისერი მორიგი გაავზნიანების შემდეგ კუთხეში დააყენეს პირით კედლისკენ, და მალე შემთხვევით შეამჩნიეს, რომ სახე მთლად ლურჯი გახდომოდა, „საბავშვო“ ანაზე ბევრად უფრო ლურჯი. დაფეთებულმა ქალმა მთელი სახლი ფეხზე დააყენა, სქელმა სისხლმა თავისი ქნა, კვდება ბავშვიო, და უწესო ბაისერმა, თავისდაგასაკვირად, დაინახა, როგორ ეფერებიან შეშინებულები და თავს დასტრიალებენ, — სანამ არ გამოირკვა, რომ ცხვირ-პირი დამბლისგან კი არა, შეღებილი კედლისგან გალურჯებოდა, ინდიგო გადასვლოდა ნამტირალევ სახეზე.

საბავშვო ანაც შემოსულა და მკერდზე ხელებდაკრეფით კარებში გაჩერებულა, თეთრწინსაფრიანი და თმაგაპოხილი; ბატის-თვალები აქვს და სახეზე შეზღუდულობის თავმომწონე სიმკაცრე ახატია. „ბავშვები, — ხშირად იტყვის ხოლმე თავისი მოვლა-აღზრდით კმაყოფილი, — ძალზე იოლი ამოსახსნელები არიან“. ამას წინათ ჩვიდმეტი ჩამპალი კბილი ამოიღო და გლეხუ-

რი სახე, ყვითელკბილებიანი, კაუჩუკის წითელსასიანი პროტეზით დაიმშვენა. სულში უცნაური გემები ჩაჰბუდებია, ვითომ დიდ-პატარა მის პროტეზზე ლაპარაკობს და დგას ერთი ჟრიამული და ჟივილ-ხივილი. „იყო ბევრი უსარგებლო შითქმა-მოთქმა, — ამბობს მკვეთრი და იდუმალებით მოცული, — იმის გამო, რომ მე ცოტა ხნის წინათ, როგორც ცნობილია, ... ჩავასმევინე". საერთოდაც, ბუნდოვანი და ნართაული ლაპარაკი უყვარს; სხვათა განებისთვის მიუწვდომელი. მაგალითად, ვინმე დოქტორ ბლაიფუსზე, ვისაც თურმე ყველა ბავშვი იცნობს, და „ამ სახლშიც ვიცი ზოგ-ზოგი, — ამბობს იგი, — თავს რომ დოქტორ ბლაიფუსად ასაღებს". მეტი რა გზაა, უნდა წაუყრუონ და გაეცალონ. ბავშვებს მან მშვენიერი ლექსები ასწავლა, აი, თუნდაც ასეთი:

რკინის გზა, რკინის გზა,
ლოკომოტივი,
მიდის და მოდის და
მიკივ-მოკივის.

ან დროის კვალობაზე შედგენილი დუხჭირი, და მაინც სასიამოვნო კვირეული მენიუ, რომელიც ასე ჟღერს:

ორშაბათი უჟამურა,
სამშაბათი უშამურა,
ოთხშაბათი ჩმელა-ხმელა,
ხუთშაბათი ფუფრელა.

პარასკევი თევზის ფხება,
შაბათი და — კვირა დგება.
კვირავ, კვირავ, რას გვაჩუქებ?
სალათსა და ღორის სუკებს.

ან კიდევ ერთი რამ ტაეპი, ჩაუწვდომელი და ამოუხსნელი რომანტიკით აღსავსე:

გამოაღეთ ალაყაფი,
ეტლი მოდის გვიანი,
ვინ მობრძანდა, ვინ მობრძანდა?
პრინცი ოქროსთმიანი.

ან, დასასრულ, სამშიმ-მხიარული ბალადა მარიხენზე, რომელიც ჩამომჯდარიყო მდინარის პირას, მდინარის პირას, მდინარის პირას და ივარცხნიდა ოქროს დალალებს, ოქროს დალალებს, ოქროს დალალებს, და რუდოლფზე, რომელმაც დააძრო დანა, დააძრო დანა, დააძრო დანა და მაინც თავი წააგო.

ლორხენი მომხიბლავად ტიკტიკებს და მღერის ამ ლექსებს თავისი ტკბილი ხმით, ბევრად უკეთ, ვიდრე ბაისერი. საერთოდაც, ბაისერზე უკეთ გამოსდის ყველაფერი, ბიჭიც აღტაცებულია თავისი დაიკოთი და, სიჯიუტის ეშმაკი თუ არ შეუჯდა ან ჩხუბის ჟინმა არ წამოუარა, მუდამ უჯერებს ხოლმე. ხშირად დაიკო მეცნიერულად ანათლებს, ფრინველების სურათებს უჩვენებს და სახელებსეუბნება: ნისლჩიტა, ნამჩიტა, ყვავჩიტა. ბაისერმა უნდა იმეოროს. მედიცინასაც ასწავლის, აცნობს დაავადებებს, როგორიცაა გულის ან-

თება, სისხლის ანთება, ჰაერის ანთება. თუ ბიისერი უყურადღებოდ არის და ვერ იმეორებს, კუთხეში აყენებს. ერთხელ სილაც მიაყოლა, მაგრამ მერე ისე შერცხვა თავისი საქციელისა, რომ თვითონვე დადგა კუთხეში კარგა ხნით.

დიან, თანხმობით ცხოვრობენ, შეხმატკბილებულად. ზიარი შთაბეჭდილებებითა და ზიარი თავგადასავლებით. ბრუნდებიან შინ [illegible] ერთხმად ჰყვებიან, რომ სოფლის შარაზე „ორი მუ-უ და[illegible] ხორცი“ შემოხვდათ. ქვემოსართულელი მსახურები, ქსავერსი და ჰინტერპეფერების ქალები, ორი და, უწინ რომ ბიურგერები ყოფილან, ახლა კი, როგორც იტყვიან au pair, ანუ ლუკმაპურისა და თავშესაფრისთვის მზარეულისა და შინამოსამსახურის მოვალეობას ასრულებენ, ისინი ბავშვებს თავისიანებად მიაჩნიათ და მშობლებთან ურთიერთობაში, ზოგჯერ მაინც, თავიანთი და ამ ქვემოსართულელების მდგომარეობა მსგავსიც კი ეჩვენებათ. ყოველი დატუქსვის შემდეგ სამზარეულოში შედიან და ამბობენ: „ჩვენი ბატონები დღეს უგუნებოდ ბრძანდებიან“, ოღონდ თამაშს მაინც ზემოსართულელებთან ამჯობინებენ, მეტადრე „აბელთან“, თუ არ წერს და არ კითხულობს. ის უფრო კაი-კაი რამეებს იგონებს, ვიდრე ქსავერი და ჰინტერპეფერები. და-ძმა ვითომ „ოთხი მოსეირნე ბატონია“, „აბელიც“ ჩაცუცქდება, მათი სიმაღლისა ხდება და დასეირნობენ ხელიხელჩაკიდებულები, გული ვერ უჯერებიათ. ეს მოსეირნე ბატონები, სათვალავით ხუთნი, მეხუთე გაბავშვებული „აბელია“. თუ მიუშვეს, მთელი დღე ასე იტრიალებენ სასადილო მაგიდის გარშემო.

აქვთ კიდევ ერთი უაღრესად დაძაბული თამაში — ბალიშობანა. რომელიმე ბავშვი, მეტწილად ლორხენი, ვითომ „აბელისდა“ შეუმჩნევლად, სასადილო მაგიდასთან სკამზე ჯდება და მოუთმენლად ელოდება მის შემოსვლას. ისიც შემოდის ჰერისკენ ცქერა-ცქერითა და თავისი სკამის ხმამაღლი, უსაშველო ქება-ქებით, მერე მაგიდასთან მიდის და, ვითომ მთელი სიმძიმით, ლორხენს აჯდება. „ეს რა არის? —: წამოიძახებს, — ეს რა ხდება? — თან წრიალს იწყებს, ხან იქით გადაიხრება და ხან აქეთ, თითქოს არ ესმოდეს ლორხენის მოგუდული სიცილი, რომელიც თანდათან ძლიერდება, — ვინ დამიდო აქ ეს ბალიში, ასეთი მაგარი და უსწორმასწორო ბალიში? ეს რა საძაგელი ბალიშია, წესიერად ველარ დავმჯდარვარ ჩემს სკამზე!“ და სულ უფრო მეტად წრიალებს გამოუცნობ ბალიშზე მჯდარი, ცდილობს ხელის ფათურით მოსინჯოს, საიდან მოდის ეს ფხუკუნი და ფრუტუნი, სანამ არ მოტრიალდება და დრამა უდიდესი აღმოჩენისა და ურთიერთშეცნობის სცენით არ მთავრდება. ეს თამაშიც, თუნდაც მეასედ განმეორებული, არ კარგავს არც დაძაბულობასა და არც მიმზიდველობას.

დღეს ამგვარი გასართობებისათვის აღარავის სცალია. ჰაერში წინასადღესასწაულო მოუსვენრობა ტრიალებს, „დიდების“ მოსალოდნელი სტუმრიანობით გამოწვეული, თუმცა ჯერ მათ როლები აქვთ გასანაწილებელი და კვერცხი მოსატანი: ლორხენმა ეს-ეს არის ჩაათავა „რკინის გზა, რკინის გზა“, დოქტორმა კორნელიუსმა კი ეს-ეს არის კვლავ შეაცბუნა თავისი გოგონა, აღმოუჩინა, რომ, თურმე ნუ იტყვით, ყურები სხვადასხვა სიდიდისა ჰქონია, — და სწორედ ამ დროს შემოდის დანი, მეზობლის ბიჭი, ბერტისა და ინგრიდის წასაყვანად; აგრეთვე ქსავერისაც, რომელსაც ზოლიანი ლივრეის ნაცვლად საგარეო ქურთუკი ჩაუცვამს და ხელდახელ, კი, ცოტა ყალთაბანდური, მაგრამ გაცილებით თავლაღი და სიმპათიური იერი მიუღია. ასე რომ, „პატარები“ საბავშვო ანასთან ერთად ზემო სართულზე თავიანთი სამფლო-

ბელოსკენ გაეშურებიან, პროფესორი კაბინეტში შევა საკითხავად, მისი მეუღლე კი თავის ფიქრსა და საქმიანობას ანჩოუსის ბუტერბროტებისა და იტალიური სალათისკენ მიმართავს, რომ საცეკვაო წვეულების მონაწილეებს მზად დაახვედროს. გარდა ამისა, ვიდრე ახალგაზრდები დაბრუნდებოდნენ, აბგა უნდა აიღოს და ველოსიპედით ქალაქში წავიდეს, რომ მიღებული თვიური ფული ახალ გაუფასურებამდე სანოვაგედ აქციოს.

კორნელიუსი სკამის საზურგეს მიყრდნობია და კითხულობს. საჩვენებელ და შუა თითს შორის სიგარაგაჩრილი, ჯერ მაკოლეისთან ჩაიკითხავს მცირე რასმე ინგლისში სახელმწიფო სესხის წარმოშობაზე მეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს, მერე რომელიღაც ფრანგ ავტორთან — ესპანეთის მზარდ დავალიანებაზე მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულისთვის, — სახვალიო ლექციის მასალას. რადგან განზრახული აქვს, მაშინდელი ინგლისის არნახული სამრეწველო აღმავლობა იმ საბედისწერო შედეგებს შეუდაროს, ესპანეთში რომ ერთი საუკუნით ადრე სახელმწიფო დავალიანებამ გამოიწვია, და ამ განსხვავების ეთიკურ და ფსიქოლოგიურ მიზეზებს ანალიზი გაუკეთოს. ამით საშუალება მიეცემა, უილიამ მესამის ინგლისიდან, რასაც საკუთრივ ეძღვნება მისი ლექცია, ფილიპე მეორის ეპოქასა და კონტრრეფორმაციაზე გადაინაცვლოს, ეს კი მისი, ასე ვთქვათ, ჯილა-თემაა, ამ თემაზე მან ფრიად მნიშვნელოვანი წიგნი დაწერა — ხშირად ციტირებული ნაშრომი, რომელმაც ორდინარიუსობა მოუტანა. სანამ სიგარა ილევა და თანდათან მწარდება, ფიქრში მოხაზავს მსუბუქი სევდით შეფერილ ერთ-ორ წინადადებას, რომლითაც აღუწერს ხვალ სტუდენტებს ზოზინა ფილიპეს უპერსპექტივო ბრძოლას ყოველგვარი სიახლის ანუ ისტორიის მსვლელობის წინააღმდეგ, ინდივიდუუმისა და გერმანული რეფორმაციის განმათავისუფლებელ, იმპერიისმღრღვეველ ძალთა წინააღმდეგ, მაღალი წოდების ამ უნუგეშო, ცხოვრებისგან მსჯავრდადებულ და ამდენად, ღვთისგანაც განწირულ ბრძოლას წინსვლისა და განახლების წინააღმდეგ. ფრაზებით კმაყოფილი რჩება და კვლავ ხვეწავს მათ, სანამ გამოყენებულ წიგნებს თავ-თავის ალაგას დააწყობდეს და ზემო სართულზე, საწოლ ოთახში ავიდოდეს, რომ დღის ორ მონაკვეთს შორის ჩვეული ცეზურა ჩაავლოს, დარაბებმიხურული და თვალებმილულული ერთსაათიანი შუალედი მოიწყოს, რომელსაც საჭიროებს და რომელიც დღეს, როგორც მეცნიერული წიაღსვლის შემდეგ ისევ ახსენდება, შინაურ-სადღესასწაულო ფორიაქის ნიშნით ჩაივლის. ეღიმება გულის მსუბუქ აჩქროლებაზე, რასაც ეს გახსენება იწვევს, წინადადებათა მონახაზები შავი აბრეშუმით შემოსილ ფილიპეზე და ფიქრები შვილების წვეულებაზე თანდათან ერთმანეთში ირევა და ხუთიოდე წუთით რული ეკიდება.

დროდადრო, სანამ წევს და ისვენებს, ზარის ხმა და ჭიშკრის გაჯახუნება მოესმის და ყოველ ჯერზე გულში აღელვებისა, მოლოდინისა და უხერხულობის ჩხვლეტას გრძნობს იმის გაფიქრებაზე, რომ ეს — ახალგაზრდები შემოდიან და შუა ოთახში გროვდებიან. თან ყოველ ჩხვლეტაზე უნებურად ეღიმება, მაგრამ ეს ღიმილიც ნერვოზულობისაა, რომელიც ცოტაოდენ სიხარულსაც შეიცავს, რადგან ვის არ უხარია დღესასწაული. ხუთის ნახევარზე (ამ დროს თითქმის ბნელა) დგება და გამოსაფხიზლებლად პირსაბანთან მიდის. პირსაბანის ტაშტი აგერ ერთი წელია, რაც დაზიანებულია. წინათ მექანიკურად პირქვავდებოდა, მაგრამ ახლა ბუდეში ჩასასმელ სახსარს ცალი მხარე წატეხილი აქვს, ჰოდა, არც შეკეთება ხერხდება, რადგან ხელოსნები აღარ

არიან, და არც გამოცვლა, რადგან ვერც ერთი საწარმო მსგავს ვედრაფერს უშვებს. სხვა რა გზაა, უნდა მარმარილოს ფილას დაედგას შერილებზე, წყლით რომ ივსება, უნდა ორივე ხელით ამოიწიოს და ისე დაიცალოს. ტაშტის დანახვაზე კორნელიუსი თავს იქნევს. იგ უკვე ჩვეულებად აქვს. მერე საგარეოდ ეწყობა. სხვათა შორის დიდი გულმოდგინებით: ნაფურის ქვეშ გაჩერებული, დიდხანს აპრიალებს სათვალის შუშებს — და მოპირდაპირე სასადილო ოთახისკენ იღებს.

როცა კიბეზე ჩამავალს ერთმანეთში არეული ხმები ამოესმის ქვემოდან, — ადამიანებისა და გრამაფონისა, — მის გამომეტყველებას მასპინძლური გულითადობა ეძლევა. „გთხოვთ, ხელი არ შეუშალოთ", განზრახული აქვს, თქვას და პირდაპირ სასადილო ოთახში გავიდეს ჩაის დასალევად. მიაჩნია, რომ ეს სიტყვები სავსებით შეესაბამება ვითარებას: გარეგნულად ხალისიან-თავშეკავებული გამოჩნდება, როგორიც მართლა არის, მას კი საიმედო საფარობას გაუწევს.

დარბაზი გაჩახჩახებულია. ჭაღის ყველა ნათურა ანთია, იმ ერთი გადამწვარის გარდა. კორნელიუსი კიბის ბოლო საფეხურზე ჩერდება და დარბაზს ათვალიერებს. განათებული, ძალიან ლამაზი ეჩვენება, ლამაზი ეჩვენება მარეს ასლიც აგურის ბუხრის ზემოთ, კედლის პანელიც, სხვათა შორის, რბილი ხისა, წითელი ხალიჩაც, ზედ რომ სტუმრები მიმოდიან და საუბრობენ, ხელში ჩაის ფინჯნებითა და ანჩოუსის პაშტეტწასმული პურის ნაჭრებით. საწვეულებო ატმოსფერო, ტანსაცმლის, თმების, სუნთქვის მსუბუქი ორთქლი ასდის დარბაზს, დამახასიათებელი და მოგონებათა აღმძვრელი. გასახდელი ოთახის კარი მოღებულია, რადგან სტუმრების დენა ჯერაც არ შემწყდარა.

ხალხმრავლობამ პირველ წამს თვალის აჭრელება იცის; პროფესორი მხოლოდ ერთიან სურათს ხედავს. ვერ შეუმჩნევია, რომ ინგრიდი, თეთრპელერინიანი და მკლავებშიშველი, მის ცხვირწინ, ზედ კიბის ძირას დგას მეგობრებთან ერთად. იგი თავს უქნევს მამას და შემოპღიმის თავისი კბილებით.

— დაისვენე? — ეკითხება ხმადაბლა, პირისპირ მდგარი. და როცა პროფესორი ყოვლად გაუგებარი დაფეთებით ცნობს მას, ინგრიდი მეგობრების წარდგენას იწყებს.

— შეიძლება წარმოგიდგინო ბატონი ცუბერი? — ეუბნება, — ეს კიდევ ფროილაინ პლაიხინგერია.

ბატონი ცუბერი საკმაოდ დუხჭირი გარეგნობისაა, სამაგიეროდ ფროილაინ პლაიხინგერი ნამდვილი Germania გახლავთ, ქერა, გათქვირული და შილიფად ჩაცმული. აპრეხილი ცხვირი აქვს და ფამფამა ქალის წვრილი ხმა. როგორც ეს პროფესორის თავაზიან სალამზე პასუხად ირკვევა.

— მოხარული ვარ, სულითა და გულით მოხარული ვარ, — ამბობს დოქტორი კორნელიუსი, — რა კარგია, რომ პატივი დაგვდეთ და მობრძანდით. ინგრიდის თანაკლასელი, არა?

ბატონი ცუბერი კი ინგრიდის გოლფკლუბელი ამხანაგია. მრეწველობის კაცი ყოფილა, ბიძის ლუდსახდელში მუშაობს, და პროფესორი ერთ წამს წყალწყალა ლუდის თაობაზე ეხუმრება, თან თავს ისე იჭერს, თითქოს, ჰა, დარწმუნებულია, რომ ცუბერზეა დამოკიდებული, რა ხარისხის ლუდი ჩამოისხმება. — ძალიან გთხოვთ, ჩემ გამო ხელს ნუ შეიშლით, — ამბობს მერე და სასადილო ოთახში გასვლას აპირებს.

— აგერ მაქსიც, — ამბობს ინგრიდი, — მაქს, შე უსინდისო, სად ხარ აქამდე, ასე გვიან რატომ მოყერყეტდი?

აქ ყველანი შენობით მიმართავენ და ისე ელაპარაკებიან ერთმანეთს, რომ უფროსებს ყური ვერა და ვერ შეუჩვევიათ: აღზრდისა, გალანტურობისა, სალონურობისა თითქმის აღარაფერი დარჩა.

გასახდელი ოთახიდან ყმაწვილი კაცი შემოდის, — სმოკინგი, ფართო გულისპირი, სმოკინგთან სატარებელი წვრილი ბანტი, — კიბესთან მოდის და თავაზიან სალამს იძლევა. შავთვალწარბაა, მაგრამ თეთრი და ფეროვანი, რალა თქმა უნდა. წვერულვაშგაპარსული, ოღონდ ყურებთან ბაკების პატარა ნასახი დაუტოვებია. მართლაც რომ კალმით ნახატია, მაგრამ არა ბოშა მევიოლინესავით სასაცილოდ და მოგიზგიზედ ლამაზი, არამედ შნოიანი, ჯიშიანი, დახვეწილი, სმოკინგში კი თავს, ცოტა არ იყოს, უხერხულად გრძნობს, ეტყობა, ჯერ კიდევ მიუჩვეველია.

— კარგი, კარგი, კორნელია, ნუ მიწყრები. სულ იმ იდიოტური ლექციის ბრალია, — ამბობს იგი; და მას ინგრიდი, — ბატონი ჰერგეზელი გახლავსო, — აცნობს მამას.

აჰა, ეს ყოფილა ბატონი ჰერგეზელი. პროფესორს, რომელიც ხელს ართმევს მას, ყმაწვილი თავაზიან მადლობას უხდის დაპატიჟებისთვის.

— ცოტა შემაგვიანდა, — ამბობს იგი, — „ბანანებად, სანანებად", როგორც სიმღერაშია, მაინცდამაინც დღეს გამიგრძელდა ოთხ საათამდე ლექციები. არადა, შინაც ხომ უნდა შემერბინა ტანზე გამოსაცვლელად, — და პირდაპირ თავის პუმპებზე იწყებს ლაპარაკს, უშესაკრავო ფეხსაცმელებზე, რომლებმაც აგერ ახლა, გასახდელ ოთახში, თურმე ნუ იტყვით, სულ თავბედი აწყევლინეს.

— აბგით წამოვიღე, — ჰყვება იგი, — აბა რა გამოვა, საგზაო ფეხსაცმლებით გითელოთ აქ ხალიჩა. მაგრამ გამოვშტერდი და მაშველის წამოღება დამავიწყდა, ისე კი, ღმერთმანი, ვერა და ვერ ჩავჭედე ფეხები მაგ ოხრებში, ჰა-ჰა, წარმოგიდგენიათ, ეს რა ჭირი ამიკიდებია. ჩემს დღეში არ მცმია ასეთი ვიწრო პუმპები. ნომრებს ხომ კაცი ველარ ენდობა ჩვენს დროში, რაც გაეხარდებათ, იმას აწერენ. ნახეთ, ტყავი კი არა, ნამდვილი თუჯია! მთელი საჩვენებელი თითი გადავილილიტე... — და მიამიტურად სწევს მაღლა გაწითლებულ საჩვენებელ თითს, მერე ერთხელ კიდევ ნათლავს ყველაფერ ამას „ჭირის აკიდებად", თანაც უბედური ჭირისა. ზუსტად ისე ლაპარაკობს, ინგრიდმა რომ გამოაჯავრა, ცხვირში და უცნაური გაგრძელებით, მაგრამ აშკარაა, კი არ იპრანჭება, ასე მეტყველებს მთელი საჰერგეზელო.

დოქტორი კორნელიუსი ბოდიშობს მაშველის უქონლობის გამო და საჩვენებელ თითს სრულ თანაგრძნობას უცხადებს. — გთხოვთ, ხელი არ შეიშალოთ, — ამბობს იგი, — კარგად ბრძანდებოდეთ, — და დარბაზიდან სასადილო ოთახში გადის.

სტუმრები აქაც არიან; მაგიდა მთელ სიგრძეზე გაუშლიათ და ზედ ჩაის მიირთმევენ. მაგრამ პროფესორი პირდაპირ გობელენიანი კუთხისკენ მიემართება, პატარა, ცალკე ჭაღით რომ არის განათებული, მრგვალი მაგიდისკენ, სადაც ჩაის სვამს ხოლმე. მისი მეუღლეც აქ ყოფილა, ბერტსა და ორ სხვა ახალგაზრდა კაცს ესაუბრება. ერთი მათგანი ჰერცლია; პროფესორი იცნობს მას და ესალმება. მეორე ვინმე მელერია, ნაღდი „მძლევრელის" ტიპი, რომელსაც, ეტყობა, არც სამეჯლისო ტანსაცმელი გააჩნია და არც მისი შეძენის

სურვილი (ვინძლო ამგვარი რამ უკვე აღარც კი არსებობს), ყმაწვილი კაცი, რომელსაც აზრადაც არ მოსდის, მაღალწრეობანა გაითამაშოს (ვინძლო აღარც ამგვარი რამ არსებობს). ქამრიანი ბლუზა და შორტები აცვია, გაჩეჩილი გრუზა თმა, გრძელი კისერი აქვს და ძვლის სათვალე უკეთია. თურმე ბანკში მუშაობს, ასე უხსნიან პროფესორს, თან ერთგვარი ხელოვანიც ყოფილა, რაღაც მოარტისტ-მოფოლკლორისტო, ყველა მხარისა და ენის ხალხური სიმღერათა შემკრებ-შემსრულებელი. გიტარა, ყოველი შემთხვევისთვის, დღესაც მოუტანია, გასახდელში ჰკიდია მუშამბის ბუდეში ჩადებული.

მსახიობი ჰერცლი თხელი და ტანმორჩილია. სამაგიეროდ სახეზე უხვად ეზრდება შავი ჯაგარი, რაზეც მეტყველებენ გვარიანად შეპუდრული ლოყები. დიდრონი თვალები აქვს, ცეცხლოვანი და ღრმა მჭმუნვარებით აღსავსე; ბლომად მოყრილი პუდრისთვის აშკარად წითელი საღებავიც შეუშველებია. მისი ლაწვისთავების შეფაკლულობა უდავოდ კოსმეტიკური წარმოშობისაა. საოცარია, ფიქრობს პროფესორი, კაცს ეგონება ან მჭმუნვარება — ან ფერუმარილი. ორივე ერთად ხომ სულიერ წინააღმდეგობას ქმნის. სად მჭმუნვარე ადამიანი და სად ლოყების შეღებვა. მაგრამ აქ უცილობლად საქმე გვაქვს ხელოვანის განსაკუთრებულ და უცხო სულიერ წყობასთან, რომელიც ამგვარ წინააღმდეგობებს დასაშვებს ხდის, შესაძლოა სულაც მათგან იყოს შემდგარი. ფრიად საგულისხმოა და უდიერი მოპყრობის საბაბს არ იძლევა. ეგეც ხომ სავსებით კანონიერი წყობაა, პირველადი წყობა... — ლიმონს არ ინებებთ, ბატონო ჰოფ-მსახიობო?

ჰოფ-მსახიობი, საიმპერატორო კარის მსახიობი, დღეს აღარ არსებობს, მაგრამ ჰერცლს სიამოვნებს ეს მიმართვა, თუმცა თავი რევოლუციონერ შემოქმედად მიაჩნია, — კიდევ ერთი შეუსაბამობა, მისი სულიერი წყობის გამონაყური. პროფესორმა ეს შეუსაბამობაც სწორად იგრძნო და ახლა პირმოთნეობს იმ იდუმალი ზიზღის მისაჩქმალავად, ჰერცლის შეღებილმა ლოყებმა რომ აღუძრეს.

— მადლობას მოგახსენებთ, ბატონო პროფესორო, — ისეთი სისწრაფით წარმოთქვამს ჰერცლი, იშვიათი სამეტყველო ტექნიკა რომ არა, ენას იღრძობდა. მასპინძლებისადმი, განსაკუთრებით ოჯახის უფროსისადმი, უდიდეს პატივისცემას ავლენს, გადაჭარბებულ მოწიწებას, თითქმის თავმოდრეკილებას. ეტყობა, სინდისი აწუხებს ფერუმარილის გამო ,რომელიც შინაგანმა აუცილებლობამ კი წაასმევინა, მაგრამ ახლა, პროფესორის თვალსაწიერიდან, თვითონვე კიცხავს ამ საქციელს და უაღრესი თავმდაბლობის გამოჩენით ცდილობს მთელი ლოყებშეუღებავი კაცობრიობის გულის მოგებას.

სვამენ ჩაის და საუბრობენ, ჯერ — მელერის ხალხურ სიმღერებზე, ესპანურ და ბასკურ სიმღერებზე, მერე კი — სახელმწიფო თეატრში შილერის „დონ კარლოსის“ ახლებურ წაკითხვაზე, ახალ დადგმაზე, სადაც მთავარ როლს ჰერცლი ასრულებს. „იმედი მაქვს, — ამბობს იგი,— რომ ჩემი კარლოსი მონოლითური გამოვიდა“. დაწვრილებით იხილავენ ყველა მონაწილის თამაშს, დადგმის ავკარგიანობას, ისტორიულ ფონს, და პროფესორი ხედავს, რომ ისევ ჩვეულ მდინარებაშია მოხვედრილი, კონტრრეფორმაციულ ესპანეთშია გადასროლილი, რის გამოც თითქმის მტანჯველი უხერხულობა ეუფლება. მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის, არაფერი ულონებია საუბრის აქეთ შემოსაბრუნებლად. ეშინია, ისე არ გამოვიდეს, თითქოს ცოდნის გამოსამჟღავნებლად ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა, გაოგნებულია და ხმას ვერ იღებს. გულზე

ეშვება, როცა მაგიდასთან „პატარები" მოდიან, ლორხენი და ბაისერი. ხავერდის ლურჯი ტანსაცმელი აცვიათ, საკვირაო სამოსი, და სანამ დაძინების დრო მოუვიდოდეთ, „დიდების" წვეულებაში აპირებენ თავიანთ კვალობაზე მონაწილეობის მიღებას. დამორცხვებულები და თვალებგაფართოებულები ესალმებიან უფროსებს, მორჩილად წარმოთქვამენ სახელსა და წლოვანებას. მელერი მათ მშვიდად ათვალიერებს, ჰერცლი კი ალტაცებულია, აღფრთოვანებულია, ალბედნიერებულია მათი ხილვით, ლამის ლოცვად დადგეს, თვალები ცისკენ აღუპყრია, შეტყუპებული ხელები ტუჩებთან მიუტანია. შესაძლებელია ყოველივე ამას ალალი გულითაც აკეთებდეს, მაგრამ თეატრალურ ეფექტებზე თამაშის ჩვევა მის სიტყვებსა და საქციელს სასტიკად აყალბებს, გარდა ამისა, ბავშვებთან მიყვარილებით, ეტყობა, ლაწვთა ფერადოვნების გამოსყიდვასაც ლამობს.

ჩაის მაგიდიდან სტუმრები თანდათან გაიკრიფნენ. დარბაზში ცეკვები უნდა დაიწყოს. „პატარებიც" იქით მიეშურებიან და პროფესორი თავის ოთახში შებრუნებას აპირებს. — აბა, თქვენ იცით, კარგი დრო გაატარეთ, — ამბობს და ხელს ართმევს ზეზე წამომხტარ ჰერცლსა და მელერს, მერე თავის კაბინეტში შედის, თავის მყუდრო საკანეში, ფარდებს უშვებს, საწერ მაგიდაზე ლამპას ანთებს და სამუშაოს უჯდება.

ისეთიც არაფერი საქმეა, მაინცდამაინც სიწყნარე სჭირდებოდეს: ორიოდე ბარათი, ორიოდე ამონაწერი. ყურადღება, რა გასაკვირია, გაფანტული აქვს. გონებაში წელანდელი შთაბეჭდილებები ურიალებენ, ბატონი ჰერგეზელის ხეშეში პუმპები, ფროილაინ პლაიხინგერის ფაშფაშა სხეულიდან ამომავალი წვრილი ხმა. ხანაც მელერის ბასკურ სიმღერათა კოლექცია წამოუტივტივდება, როცა წერს ან უკან გადაწოლილი ერთ წერტილს მიშტერებია, ჰერცლის თავმოდრეკილება და გადამეტებულობა, „მისი" კარლოსი და ფილიპეს სამეფო კარი. საუბარს, ასე მიაჩნია პროფესორს, ერთი გასაოცარი თვისება აქვს: ივლის, ივლის და უცებ, თავისით, ჩვენი ფარული ფიქრის საგანს მიადგება. ეს წინათაც არაერთხელ შეუმჩნევია. ხანგამოშვებით ყურს მიუგდებს გარედან შემოჭრილ ხმაურს, თუმცა კი ამ წვეულებას ხმაურიანი არამც და არამც არ ეთქმის. მხოლოდ ლაპარაკი შემოდის, მეტი არაფერი, ცეკვისა—არაფერი, ფეხის არც ერთი გასმა. ეგენი აკი არც ფეხს უსვამენ და არც ტრიალებენ, ეგენი სულ სხვა ყაიდაზე ხელგადახვეულები, ვიდრე მის დროს იყო მიღებული, რაღაც უცნაურად მიმოდიან ხალიჩაზე, რომელიც სრულებით არ აბრკოლებთ, მიჰყვებიან გრამაფონის ჰანგებს, პროფესორი ახლა სწორედ მათზე ფიქრმა შეიყოლია, ახალი ქვეყნის ამ უჩვეულო ჰანგებს, ჯაზურად ორკესტრირებულს ათასგვარი დასარტყმელი ინსტრუმენტებით. გრამაფონი ყველაზე უკეთ მათ ხმას გადმოსცემს, შიგადაშიგ კი ტკარცალით ჩაერთვებიან კასტანეტები, მაგრამ აქ ეს საკრავიც პირწმინდად ჯაზურია და არავითარ შემთხვევაში ესპანური არ არის. არა, ესპანური არ არის. და კორნელიუსი თავის პროფესიულ ფიქრებს უბრუნდება.

ნახევარი საათის შემდეგ უცებ აზრად მოსდის, რომ არაფერი დაშავდება, მხოლოდ გულითადობაში ჩამოერთმევა, თუ სტუმრებს ერთ კოლოფ სიგარეტს გაუტანს. სირცხვილია, ასე მიაჩნია პროფესორს, ყმაწვილები თავ-თავიანთ სიგარეტს რომ ეწევიან, თუმცა ალბათ მაგაზე ფიქრით თავს არ იცხელებენ. შედის დაცარიელებულ სასადილო ოთახში, განჯინას ალებს და თავისი მარაგიდან ერთი კოლოფი სიგარეტი გამოაქვს, ოღონდ საუკეთესო არა,

ანუ ის არა, თვითონ რომ უყვარს, არამედ მოგრძო და შედარებით რბილი, რომელსაც ასეთ შემთხვევაში სიამოვნებითაც კი შეელევა, ეგენი ხომ ბოლოს და ბოლოს ჩვენი ახალგაზრდები არიან. გალიმებული შედის დარბაზში მაღლა აწეული კოლოფით ხელში და გახსნილს დებს ბუხრის თავზე, რომ მაშინვე, თვალის ერთი მიმთვლებისთანავე, კაბინეტში დაბრუნდეს.

ცეკვებს შორის შუალედია, გრამაფონი დუმს. სტუმრები დგანან და სხედან საუბარში გართულნი, ზოგი — კედლის გასწვრივ, ზოგი — ჟურნალების მაგიდასთან, ფანჯრის ახლოს, ზოგი კიდევ — სკამებზე, ბუხრის წინ. სხვები ამფითეატრულად ჩამომსხდარან კიბის საფეხურებზე, საკმაოდ შელანძღულ ფიანდაზზე, აი, თუნდაც მაქს ჰერგეზელი, ტანსქელ და ხმაწვრილ პლაიხინგერთან ერთად, ქალიშვილი სახეში შესჩერებია, და იგი, ნახევრად წამოწოლილი, რაღაცას უყვება, ცალი იდაყვი ზედა საფეხურისთვის ჩამოუყრდნია, მეორე ხელს კი ლაპარაკის დროს იქნევს. ოთახის მთავარი სივრცე ცარიელია; მხოლოდ შუაში, ჰაღქვეშ, ლურჯად ჩაცმულ პატარებს უხერხულად შემოუხვევიათ ხელები ერთმანეთისთვის და ნელ-ნელა ტრიალებენ, ჩუმად და საქმიანად. კორნელიუსი, ვიდრე გვერდს შეუვლიდეს, იხრება, თავზე ხელს უსვამს ორივეს და საალერსო სიტყვებს ეუბნება, მაგრამ ბავშვები წამითაც არ წყდებიან თავიანთ პატარა და სერიოზულ საქმეს. კაბინეტის კართან მისული კორნელიუსი უცებ ხედავს, რომ საინჟ. სტუდ. მაქს ჰერგეზელი, ალბათ იმიტომ, რომ პროფესორი შეამჩნია, იდაყვის ბიძგით დგება საფეხურიდან, ჩამოდის, გამოჰყავს ძმის მკლავებიდან ლორხენი და უმუსიკოდ სასაცილო ცეკვას იწყებს მასთან. თითქმის იმნაირადვე ცუცქდება, როგორც თვითონ კორნელიუსი ხუთბატონობანას დროს, ცდილობს, ხელი ნამდვილ დამასავით მოხვიოს და შიმის რამდენიმე პას აკეთებს დარცხვენილ ლორხენთან ერთად. ყველანი, ამის შემხედვარენი, გულიანად იცინიან, ეს კი ნიშანი ხდება გრამაფონის მომართვისა და საერთო ცეკვების განახლებისა. პროფესორს ხელი კარის სახელურისთვის ჩაუვლია და კიდევ ერთ წამს თავის კანტურით იყურება დარბაზისკენ, მერე, მხრებმოცინარი, კაბინეტში შედის. მისი ნაკვთები კიდევ რამდენიმე წუთით ინარჩუნებენ გარედან აკრულ, მექანიკურ ღიმილს.

ფურცლავს და წერს აბაჟურიან ლამპასთან მიმჯდარი, რომ ორიოდე წვრილმანი საქმე წინ წაიგდოს. ცოტა ხნის შემდეგ ამჩნევს, რომ სტუმრებს შუა ოთახიდან მისი მეუღლის სალონში გადაუნაცვლებიათ, რომლის ერთი კარი კაბინეტში გამოდის. იქიდანაც ლაპარაკი ისმის, შიგადაშიგ გიტარის აწყობის ხმა ერევა. მაშასადამე, ბატონი მელერი სიმღერას აპირებს, აჰა, მღერის კიდეც. ბანკის ჭაბუკი თანამშრომელი ძლიერი ბასით მღერის გიტარაზე რაღაც სხვაენოვან სიმღერას, შესაძლოა, შვედურს; ვიდრე პროფესორი დარწმუნებით გაარკვევდეს მის სადაურობას, სიმღერა თავდება და გაცხარებული ტაშისცემა მოისმის. სალონის კარზე მძიმე ფარდაა ჩამოშვებული და ხმას ახშობს. ახალი სიმღერა რომ იწყება, პროფესორი ფეხაკრეფით შედის.

სალონში ნახევრად ბნელა. მხოლოდ დახურული ბრა ანთია, რომლის გვერდით ზის დივანზე ფეხიფეხგადადებული მელერი და სიმებს ცერით აჟღერებს. მსმენელები დაუდევრად მიმსხდარ-მომსხდარან, მაგრამ სკამები საკმარისი არ აღმოჩნდა. ზოგიერთები ზეზეც დგანან, მაგრამ უფრო მეტნი, მათ შორის ქალიშვილებიც, ძირს, ხალიჩაზე სხედან, მუხლებზე მკლავებშემოხვეულები ან სულაც ფეხებგამართულები, აი, თუნდაც მაქს ჰერგეზელი, სმოკინგსაც არ გაფრთხილებია, პირდაპირ იატაკზე, როიალის ფეხთან მოკალათებუ-

ლი და პლაიხინგერიც გვერდით ამოსჯდომია. „პატარებიც“ აქ არიან: ქალბატონ კორნელიუსს, რომელიც მომღერლის პირდაპირ, სავარძელში ზის, ორივენი მუხლებზე დაუსვამს, და ბაისერი, ეს ბარბაროსი, შუა სიმღერის დროს უეცრად ხმამაღლა იწყებს ლაპარაკს, შიშილითა და თითის დაქნევით უხდებათ მისი გაჩუმება. ლორხენს ასეთი რამ თავის დღეში არ შეხვედროდა: ზის ნაზად და უხმოდ დედის კალთაში. პროფესორი ცდილობს, მისკენ მზერა დაიჭიროს და თვალი ჩაუკრას; მაგრამ გოგონა მამისკენ არ იყურება, თუმცა, ეტყობა, ვერც მომღერალს ხედავს. მისი თვალები სადღაც უფრო ღრმად იცქირებიან.

მელერი „Joli tambour“[1]-ს მღერის.

Sire, mon roi, donner-moi votre fille.[2]

ყველა აღფრთოვანებულია. — მშვენიერი რამეა, — ისმის ჰერგეზელის ცხვირისმიერი, გამორჩეული, ოდნავ ნებიერი ჰერგეზელური ხმა. ამას მოსდევს რაღაც გერმანული, რომლისთვისაც მელოდია თვითონ მელერს შეუთხზავს, და რომელიც ახალგაზრდობის მქუხარე ტაშს იმსახურებს, — მათხოვრების სიმღერა:

მათხოვარი გოგო
მსხუმად მიდის, სად?
მათხოვარი ბიჭი
თან მიჰყვება, სად?

მათხოვრების მხიარული სიმღერის შემდეგ პირდაპირ ზარ-ზეიმი იმართება. — გადასარევი რამეა, — ამბობს ისევ ჰერგეზელი თავის ჰერგეზელურ კილოზე. მერე მოდის რაღაცა უნგრული, ისიც ასეთივე შლაგერული, მელერი მას ორიგინალის ყოვლად გაუგებარ ენაზე ასრულებს და კვლავაც დიდ წარმატებას იხვეჭს. ოვაციებში პროფესორიც თვალსაჩინო მონაწილეობას ღებულობს. შიმისმცეკვართა წრეში განათლებისა და ისტორიულ-რეტროსპექტული ინტერესის ეს მცირე გამოკვესება გულზე ეთბობა. მიდის მელერთან და ულოცავს, ესაუბრება მოსმენილზე, მის წყაროებზე, სიმღერების სანოტო წიგნზე, რომლის თხოვებასაც თვალის გადასავლებად მელერი ჰპირდება. კორნელიუსი მით უფრო მეტ გულითადობას იჩენს მისადმი, რომ, ყველა მამის მსგავსად, უცხო ყმაწვილი კაცის მონაცემებსა და ღირსებებს მაშინვე საკუთარი შვილისას ადარებს და ყოველ შედარებაზე შეშფოთება, შური და სირცხვილი იპყრობს. აი, ეს მელერი, ფიქრობს იგი, ბანკის საქმიანი თანამშრომელია (წარმოდგენა არა აქვს, რა ისეთი საქმიანია ბანკში მელერი). თან ეს თავისებური ტალანტიც გამოუმუშავებია, რასაკვირველია, დიდი შრომისა და გარჯის ფასად. ჩემი საწყალი ბერტი კი პირიქითაა, არც არაფერი გაეგება, არც არაფერი მოეკითხება, თვალი მხოლოდ ოინბაზობაზე უჭირავს, მაგაში მაინც მისცემოდა ნიჭი. პროფესორს თან ვითომ სამართლიანობის გამოჩენაც სწადია, თავს ირწმუნებს, რომ ბერტი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მშვენიერი ყმაწვილია, იქნებ უფრო ნიჭიერიც, ვიდრე ეს წარმატებული მელერი. მასში შეიძლება პოეტური ნაპერწკალი ღვიოდეს, ან რამე ამდაგვარი, კელნერულ- საცეკვაო გეგმები კი მხოლოდ ყმაწვილური და სწრაფწარმავალი ცთომილება გამოდგეს. მაგრამ შურნეული მამობრივი პე-

[1] ლამაზი მედოლე (ფრანგ.).

[2] ჩემო ხელმწიფევ, მომათხოვეთ თქვენი ასული (ფრანგ.).

სიმიზმი უფრო ძლიერია. — როცა შელერი ხელახლა იწყებს სიმღერას, დოქტორი კორნელიუსი კაბინეტში ბრუნდება.

უკვე შვიდია, ის კი ისევ ყურადღებაგაყოფილი საქმიანობს. უცბად ახსენდება, რომ ერთი მოკლე, საქმიანი წერილი აქვს დასაწერი. ეს მდგომარეობა ზედგამოჭრილია სამაგისოდ, და სანამ წერს, წერაში კი ხანი შეუმჩნევლად გადის, რვის ნახევარი ხდება. ცხრის ნახევარზე იტალიურ სალათს გამოიტანენ, მაშასადამე, ის დროც დამდგარა, შინიდან გავიდეს და წერილი საფოსტო ყუთში ჩააგდოს, თან ზამთრის სიბნელეში თავისი წილი სუფთა ჰაერი გადაყლაპოს და მუხლი გამართოს. შუა ოთახში ცეკვები დიდი ხანია განახლდა. პალტოსა და კალოშების ჩასაცმელად დარბაზი უნდა გადაჭრას, მაგრამ ამას დაძაბულობა უკვე აღარ ახლავს: აკი რამდენჯერმე დაენახა ახალგაზრდებს, ჰოდა, აღარ შიშობს, რომ ვინმეს ხელს შეუშლის. ქაღალდების მილაგებისა და წერილის აღების შემდეგ კაბინეტიდან გამოდის და ცოტა ხანს კიდევაც ყოვნდება დარბაზში, რადგან კაბინეტის კართან ცოლს ხედავს, სავარძელში მჯდომარეს.

ქალბატონი კორნელიუსი ზის და ცეკვებს უყურებს, ხანდახან „დიდები“ ან სხვა გოგო-ბიჭები მოირბენენ ხოლმე და გამოელაპარაკებიან. პროფესორიც იქვე ჩერდება და ღიმილით ადევნებს თვალს ამ ორომტრიალს, რამაც, ეტყობა, უმაღლეს გაცხოველებას მიაღწია. მაყურებლები კიდევ მომრავლებულან: კიბეზე ლურჯი ანა დამდგარა და სახეზე მკაცრი შეზღუდულობა ახატია, მან, რაკი ბავშვები აქ ყოფნით ველარ ძღებიან, თვალყური უნდა ადევნოს, რომ ბაისერმა ბევრი არ იტრიალოს და „სქელი“ სისხლი საშიშრად არ აიღელვოს. ქვემოსართულელებიც ამოსულან, რომ „დიდების“ საცეკვაო მხიარულებაში წილი დაიდონ: ჰინტერჰეფერების ქალებიცა და ქსავერიც ბუფეტის კართან დგანან და სანახაობით ტკბებიან. ფროილაინ ვალბურგა, დეკლასირებულ დათაგან უფროსი, სამზარეულო ნაწილი (პირდაპირ მზარეულს არ ეძახიან, ამის გაგონება ერთობ უმძიმს) ყავისფერ თვალებს აცეცებს სქელშუშიანი მრგვალი სათვალიდან, რომლის საცხვირე რკალისთვის ტილო შემოუხვევია, რომ ცხვირის ძვალი არ ეტკინოს, — იგი, საერთოდ, გულკეთილ-სასაცილო არსებაა, სამაგიეროდ, ფროილაინ ცეცილია, მასზე ახალგაზრდა, თუმცაღა ახალგაზრდა აღარც მას ეთქმის, მუდამ კოპებშეკრული იყურება, რომ ყოფილი ბიურგერის ღირსება არავინ შეულახოს. მწარედ განიცდის, რომ წვრილბურჟუაზიული სფეროებიდან უბრალო მომსახურეთა რეგიონამდე ჩამოტყორცნა ბედმა, ჩაჩის დახურვაზე ან მოახლის სხვა აქსესუარზე ცივ უარს აცხადებს, და მის ცხოვრებაში უმძიმესი საათი ოთხშაბათ-საღამოობით დგება ხოლმე, როცა ქსავერს დასვენების დღე აქვს და სუფრაზე მომსახურება მას ეკისრება. სახემიბრუნებული და ცხვირაბზუებული საქმიანობს, ნამდვილი პატივაყრილი დედოფალი. ისე ძნელი და მტანჯველია მისი დამცირების ყურება, რომ ერთხელ „პატარებმა“, როცა შემთხვევით საერთო სუფრაზე ვახშმობდნენ, მოჰკრეს თუ არა თვალი, ერთხმად მორთეს ღრიალი.

ახალგაზრდა ქსავერისთვის ამგვარი ვნებები არ არსებობს, მას ეხალისება კიდევაც სუფრასთან ტრიალი, ბუნებრივი სიმარჯვის გარდა ხელგაწაფულობაც შველის, უწინ პიკოლოდ მუშაობდა. სხვაფრივ დიდი უქნარა და ქარაფშუტა ვინმეა, და თუმცა ბევრ დადებით თვისებას მიაწერენ მისი მეტისმეტად შემწყნარებელი ბატონები, ქარაფშუტაა უსაშველო. რას იზამ, ასეთია და ვერც გამოცვლი, რამეთუ არა ეკალთაგან შეკრიბიან ლეღვი. იგი ნაშიერი

და ნაყოფია ამ უხანო დროისა, თავისი თაობის ზუსტი მაგალითი, რევოლუციური ლაქია, სიმპათიური ბოლშევისტი. პროფესორი „დალხინების ტალკვესს" ეძახის, რადგან უჩვეულო და სახალისო საქმე თუ მოელის, ინიციატივით დატრიალდება, დამჯერეც ხდება და დაუზარელიც. მაგრამ წარმოდგენა არა აქვს, რა არის მოვალეობა, და ყოველდღიურ მოსაწყენ საქმეს ისევე ვერ გააკეთებინებ, როგორც ზოგიერთი ჯიშის ძაღლს ვერ გადაახტუნებ ჯოხზე. ეს, როგორც ჩანს, ეწინააღმდეგება მის ბუნებას, ამიტომ ენა აღარ მოგიბრუნდება და ხელს ჩაიქნევ. უჩვეულო და სახალისო შემთხვევის დროს შუაღამეზე წამოფრინდება ლოგინიდან, ისე კი რვაზე ადრე არ ადგება — ვერ გადაახტუნებ ჯოხზე, მორჩა და გათავდა. სამაგიეროდ, სამზარეულოდან მთელი დღე მოისმის და ყველა სართულს ედება მისი უმაქნისი ყოფის ხმამაღალი დასტური — პირის ჰარმონიკის წრიპინი, მხიარული სტვენა, უხეში, მაგრამ გულიანი სიმღერა, თვითონ სამზარეულო კი ხრჩოლავს მისი სიგარეტის ბოლით. გულხელდაკრეფილი დგას და უყურებს, როგორ შრომობენ ყოფილი ქალბატონები. დილდილობით, როცა პროფესორი საუზმობს, ქსავერი მის საწერ მაგიდაზე კალენდრის ფურცელს ამოხევს, სხვას ოთახში ხელს არაფერს დააკარებს. დოქტორმა კორნელიუსმა არაერთხელ უბრძანა, დაეხსნას კალენდარს, რადგან ხშირად სული წასძლევს ხოლმე და შემდეგ ფურცელსაც მიაყოლებს, რამაც, ადვილი შესაძლებელია, პროფესორს დღეთა სათვალავი აურიოს. მაგრამ ახალგაზრდა ქსავერს მოსწონს ეს საქმიანობა და არც ეშვება.

სხვათა შორის, ბავშვებს ძალიან სწყალობს, ეს მისი ხასიათის ერთ-ერთი კეთილად განმაწყობელი მხარეა. ბაღში ერთგულად ეთამაშება ხოლმე „პატარებს", ოსტატურად გამოუთლის და გაუკოპიტებს ხან რას და ხან რას. ზოგჯერ მათივე წიგნიდან მსხვილი ტუჩების ხამუში მოძრაობით რაღესაც წაუკითხავს, რაც საკმაოდ უცნაური მოსასმენია. კინო სულითა და გულით უყვარს, ყოველ ნახვაზე ნაღვლიანდება, ფორიაქდება და მარტო ლაპარაკობს. გულში იმედი უჭიატებს, რომ ერთხელაც იქნება მოხვდება მაგ სამყაროში და ბედს ეწევა. ეს იმედი თმაგაბურძგნულობასა და სისხარტესა და კისრისტეხიობას ემყარება. ქუჩის პირას ხშირად გავა ხოლმე წვრილ და მაღალ იფანზე, ტოტიდან ტოტზე მიძვრება, სანამ კენწეროში არ მოექცევა, და მის დამნახველს ყველას შიშის ჟრუანტელი უვლის. ის კი სიგარეტს უკიდებს და აქეთ-იქით ქანაობას იწყებს, ხის წვერწვეტა ტანს ფესვებამდე არყევს და თან კინორეჟისორს ზვერავს, რომელიც გზად ჩამოივლის და იქვე კონტრაქტს დაუდებს.

მან რომ ზოლიანი ქურთუკი გაიხადოს და სხვა ტანსაცმელი ჩაიცვას, თამამად შეეძლებოდა მოცეკვავეებში გარევა, მაინცდამაინც არავის მოხვდებოდა თვალში. „დიდების" სამეგობროში გარეგნულად საკმაო სიჭრელეა: შიგადაშიგ ბიურგერული საგარეო კოსტუმებიც გამოკრთება ხოლმე, მაგრამ ძალიან ხშირადაც არა: თვალი უმეტესად მელერ-მესიმლერისნაირ ტიპებს აწყდება. ქალებს შორისაც, არა მხოლოდ ვაჟებს შორის. პროფესორმა, ცოლის სავარძელთან რომ შეჩერებულა და იყურება, ზოგი რამ იცის ამ ახალუხლების სოციალურ მდგომარეობაზე, მოკლედ და ყურმოკვრით. არიან გიმნაზიელი გოგოები, სტუდენტი გოგოები, ხელოვნებაში დასაქმებული გოგოები; არიან ვაჟები, სუფთად ავანტიურისტული და დროისგან საგანგებოდ გამოყვანილი ჯიშისა და ჯილაგისანი. აგერ, ეს ფერმკრთალი, აწოწილი და პერანგმომარგალიტებული ყმაწვილი კაცი, კბილის ექიმის ვაჟი, არც მეტი, არც ნაკლე-

ბი, ბირჟის გადამყიდველია და ისევე ცხოვრობს, თუ პროფესორის მონასმენს დაეჯერება, როგორც ალადინი, ჯადოსნური ლამპრის პატრონი. აქვს ავტომანქანა, წვეულებებს სულ შამპანიურით იხდის და შემთხვევას არ გაუშვებს, რომ მეგობრებს პატარ-პატარა, ძვირფას-ძვირფასი სუვენირები არ მიუძღვნას. მან დღესაც მოართვა საჩუქრები ახალგაზრდა მასპინძლებს: მერტს — ოქროს ფანქარი, ინგრიდს — საყურეები, ბარბაროსული სიდიდის რგოლები, მაგრამ, ღვთის მადლით, ყურის ბიბილოში გასაყრელი კი არა, ზედ დასამაგრებელი. „დიდები" მშობლებთან მოდიან და სიცილით უჩვენებენ საჩუქრებს, მშობლები თავს აკანტურებენ, ალადინი კი შორიდან შემოსცქერის და რამდენჯერმე მდაბლად იხრება.

ახალგაზრდები გატაცებით ცეკვავენ, თუ ცეკვა დაერქმევა, რასაც ახლა მშვიდი თავდავიწყებით მისცემიან. დატაატობენ უცნაურად ხელგადახვეულნი და რაღაც ახლებურ პოზებში ჩამდგარნი, მუცლებგამოზნექილები, მხრებაწურულები, თეძოებაქანავებულები, ხალიჩაზე ნება-ნება მოარულები ყოვლად გაუგებარი წესების მიხედვით და, რაღა თქმა უნდა, არ იღლებიან, რადგან შეუძლებელია მაგ საქმემ ვინმე დაღალოს. არც სადმე ამავალ-ჩამავალი მკერდი, არც თუნდაც აწითლებული ლოყები. აქა-იქ გოგო გოგოსთან ცეკვავს და ბიჭი ბიჭთან, მაგათთვის ეგ სულერთია. ფეხს აყოლებენ ამ ეგზოტიკურ ხმაურს, გრამაფონისთვის მსხვილი ნემსი მოურგიათ, რომ რაც შეიძლება ხმამაღლა ახრიალოს თავისი შიმები, ფოქსტროტები და უანსტეპები, ყველა ეს დაბლ-ფოქსი თუ აფრიკული შიმი, ჯავა-დანსი თუ პოლკა კრეოლა — მძაფრი, სუნამომთფრქვეული სამუსიკო ნაწარმი, თან მიბნედილი და თან სამწყობრო, ეს უცხორიტმოვანი და მონოტური, ეს ორკესტრული ზიზილ-პიპილებით, დაფდაფებით, ბაგაბუგებითა და ჯაგაჯუგებით მოკაზმული ზანგური მიდი-მოდი.

— რა ჰქვია ამ ფირფიტას? — ეკითხება კორნელიუსი ფერმკრთალ გადამყიდველთან ერთად რწევა-რწევით მოსიარულე ინგრიდს სიმღერაზე, რომელიც არც ისე ცუდმიბნედილი და ცუდსამწყობროა, თან ორიოდე წვრილმანი მიგნების წყალობით თავისებურად სასიამოვნოც კია.

— თავადი პაპენჰაიმი, „ნუ ტირი, ჩემო ლამაზო გოგო", — ეუბნება ინგრიდი და საამოდ უღიმის თავისი თეთრი კბილებით.

სიგარეტის ბოლი ირწევა ჭაღქვეშ. წვეულების მსუბუქი ნისლი თანდათან დამძიმებულა, — ეს ტკბილ-მომწარო, ბლანტი, ამაგზნებელი, ათასი სურნელისგან ნაზავ-ნაჯერი ბალთა და მეჯლისთა ბურუსი, რომელიც ყველასთვის და მეტადრე მათთვის, ვისაც გრძნობიერი სიყრმე ჰქონია, აღსავსეა ყმაწვილურ გულისჩქროლვათა მოგონებებით... „პატარები" ჯერ ისევ დარბაზში არიან, რვა საათამდე მისცეს დარჩენის ნება, რაკი ასე ძალიან უხარიათ დღესასწაული. ახალგაზრდებმა მათ უკვე თვალი შეაჩვიეს; ისინიც თავისებურად აქაურობას ეკუთვნიან, თავიანთ კვალობაზე და ყაიდაზე. სხვათა შორის, ერთმანეთს დასცილებიან: ბაისერი ცალკე ტრიალებს ხალიჩაზე, ლურჯ ხავერდში გამოწყობილი, ლორხენი კი სასაცილოდ აედევნებია ერთ-ერთ მოტაატე წყვილს და ცდილობს სმოკინგზე წაეპოტინოს ვაჟს. ვაჟი მაქს ჰერგეზელია, ქალი — განუყრელი პლაიხინგერი. არადა, ლამაზად კი დაირწევიან, ერთი სიამოვნებაა მათი ყურება. უნდა აღიაროს კაცმა, თურმე ამ ზღვარგადასული ახალდროების ცეკვებიდან შეიძლება გამოიწუროს რამე თვალგასახარი, თუკი ოსტატურად სრულდება. ჭაბუკ ჰერგეზელს შესანიშნავად მიჰყავს თავისი

დამა, თავისუფლად და, როგორც ჩანს, წესების სრული დაცვით. რა მოხდენილ უკუსვლებს აკეთებს, როცა კი გასაქანი ეძლევა! მაგრამ ბალზეც, ამ ხალხმრავლობაში, ახერხებს არ უღალატოს გემოვნებას, ამაში პარტნიორის მოქნილობაც დიდად ეხმარება, — ფროილაინ პლაიხინგერი განსაცვიფრებელ გრაციას ავლენს, ზოგჯერ რომ მიემადლებათ ხოლმე ტანწერწეტა ქალებს. სახე სახესთან მიუტანიათ, საუბრობენ და აღევნებულ ლორხენს, ეტყობა, ვერც ამჩნევენ. სხვებს ეცინებათ ბავშვის სიჯიუტეზე, და დოქტორი კორნელიუსი, როცა სამივენი გვერდით ჩამოუვლიან, ცდილობს დაიჭიროს თავისი გოგონა და აქეთ გამოიყვანოს. მაგრამ ლორხენი გამწარებით უსხლტება. მას ახლა აბელის დანახვაც არ უნდა, ვეღარც კი ცნობს მამას, ხელებით მკერდზე აწვება, საყვარელი სახე განზე მიუბრუნებია, იქით, თავისი კაპრიზისკენ.

პროფესორს ვერ მოუხერხებია, თავს მოერიოს და მწარე განაწყენება არ იგრძნოს. ამ წუთას სძულს ეს წვეულება მთელი მისი ნაზავ-ნაჯერიანად, უძეირფასესი არსება რომ აუფორიაქა და გაუუცხოვა. მისი სიყვარული, ეს არცთუ მთლად მიუკერძოებელი და სათავიდანვე არცთუ მთლად უხინჯო სიყვარული მგრძნობიარე და იჭვნეულია. ანგარიშმიუცემლად იღიმება, მაგრამ თვალებში ნაღველი აქვს ჩამდგარი და მისი მზერა სადღაც ხალიჩის ნაქარგებში, მოცეკვავეთა ფეხებს იქით, „ჩაკარგულა".

— დროა „პატარებმა" დაიძინონ, — ეუბნება ცოლს, მაგრამ ქალბატონი კორნელიუსი თხუთმეტიოდე წუთს კიდევ გამოსთხოვს ბავშვებისთვის. მათ უკვე შეჰპირდნენ ამას, რაკი ასე ახალისებთ ეს ორომტრიალი. პროფესორი ისევ იღიმება და თავს უქნევს. კიდევ ერთი წამით ყოვნდება და მერე გასახდელში შედის, სადაც პალტოების, ქუდებისა და კალოშების ტევა აღარაა.

ჯახირობს, რომ დაზვინებული გროვიდან თავისი ნივთები გამოაძროს და სწორედ ამ დროს გასახდელში მაქს ჰერგეზელი შემოდის, ხელში ცხვირსახოცი უჭირავს და შუბლს იწმენდს.

— ბატონო პროფესორო, — ეუბნება მთელი საჰერგეზელოს კილოზე და უმცროს-უფროსობის წესზე ხელს აშველებს, — წაბრძანებას აპირებთ? მაინც რა უსაშველო ჭირი ავიკიდე ეს პუმპები. უდრეკია, როგორც კარლოს დიდი. მაგას კიდევ ვინ ჩივის, თან მოკლეც მქონია, ლამის ფრჩხილი გადამაძროს ცერზე, — ცალ ფეხზე დგება და მეორეს ხელებით იჭერს, — ვერ აგიწერთ, რა დღეში ვარ. გადავწყვიტე გამოვიცვალო, ჩავიცვამ სივზით ფეხსაცმელებს და ის იქნება. ო, ნება მომეცით, დაგეხმაროთ.

— გმადლობთ, — ამბობს კორნელიუსი, — მაგაზე ნუ გაირჯებით, უმჯობესია თქვენს ტანჯვას მოუღოთ ბოლო. ღმერთო ჩემო, რატომ წუხდებით! — რადგან ჰერგეზელი ცალ მუხლზე დაეშვა და კალოშების ბალთებს უკრავს.

პროფესორი მადლობას უხდის, სასიამოვნოდ შემცბარია ასეთი გულითადი პატივისცემის გამოვლენით. — კარგი დრო გაგეტარებინოთ ფეხზე გამოცვლის შემდეგ, — უსურვებს იგი, — თორემ როგორ შეიძლება, რა გემო აქვს ვიწრო ფეხსაცმლით ცეკვას. უსათუოდ უნდა გამოიცვალოთ. ნახვამდის, გავალ, ცოტა სუფთა ჰაერს ჩავისუნთქავ.

— ახლა ისევ ლორხენთან ვიცეკვებ, — მოსძახის ჰერგეზელი, — პირველი მოცეკვავე დადგება, დრო რომ მოუვა, ამის პირობას გაძლევთ!

— მართლა? — წინკარიდან ეპასუხება კორნელიუსი, — თუმცა თქვენ ხომ სპეციალისტი ხართ და ჩემპიონი. ოღონდ ეცადეთ, დაღუნვისას ხერხემალი არ გაიმრუდოთ!

მერე თავს უკრავს და მიდის. სასიამოვნო ყმაწვილია, ფიქრობს იგი, სანამ ჭიშკრიდან გავიდოდეს, სიინგ. სტუდ., გზაზეა დამდგარი, აწყობილი აქვს საქმე, თან რა მოხდენილია და რა ზრდილობიანი. და თავისი „საბრალო ბერტის" გამო კვლავ ის მამობრივი შური და შეშფოთება იპყრობს, სხვა ახალგაზრდების მომავალს ვარდისფრად რომ უხატავს, შვილისას კი — წყვდიადით მოცულად. ასე იწყება მისი ღამეული სეირნობა.

ბიბლიოთეკა

ხეივანს აივლის, ხიდზე გადადის და იქითა სანაპიროთი აღმა, შემდეგი ხიდისკენ მიუყვება მდინარეს. ნესტიანი სიცივეა და დროდადრო წამოთოვს ხოლმე. პალტოს საყელო აუწევია, ხელები ზურგზე შემოუწყვია, ჯოხის კაუჭი მხარზე ჩამოუდვია და ხანგამოშვებით, ფილტვების გასაწმენდად, ღრმად ისუნთქავს ზამთრის ღამის ცივ ჰაერს. როგორც ყოველთვის ამ სეირნობისას, ახლაც თავის სამეცნიერო საქმეებზე ფიქრობს, ხვალინდელ ლექციაზე, ფრაზებზე, რომლებითაც მოუთხრობს სტუდენტებს ფილიპე მეორის ბრძოლას გერმანული რეფორმაციის წინააღმდეგ და რომლებიც გაჟღენთილნი უნდა იყვნენ სამართლიანობითა და სევდით. მეტადრე სამართლიანობით! ფიქრობს იგი, სამართლიანობა მეცნიერების სულია, შემეცნების პრინციპია. ახალგაზრდობას მის შუქზე უნდა დაანახო საგნები და მოვლენები როგორც სულიერი დისციპლინის გამო, ასევე ადამიანურ-პიროვნული მიზეზების გამოც: არ უნდა შეეხალო მათ, არ უნდა შეურაცხყო მათი პოლიტიკური შეხედულებები, რომლებიც დღესდღეობით უდავოდ ისეა დაქსაქსული და დაპირისპირებული, რომ არ იცი, როდის რა იფეთქებს, ამიტომაც სულ იოლია, რომელიმე მხარემ ლექციაზე ფეხების ბრახაბრუხი აგიტეხოს. შესაძლოა კიდეც აგიყელყელავდეს, თუ, ისტორიის საზრისიდან გამომდინარე, ერთ-ერთ დაჯგუფებას მიემხრე. მაგრამ სწორედ მიმხრობაა, ფიქრობს პროფესორი, ყველაზე მეტად რაც ეწინააღმდეგება ისტორიის საზრისს. ისტორიის საზრისი მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობაა. ჰოდა, ზუსტად ამიტომ და ამა საქმეთა განჩხრეკის შედეგად... სამართლიანობა არც ახალგაზრდული აღტყინებაა და არც თავაწყვეტილი „მიდი-მისცხე". სამართლიანობა არის სევდა. მაგრამ თუკი ბუნებით სევდაა, მაშინ ბუნებითვე და შეფარვით ისტორიის სევდიან და უმერმისო ძალთა თანამებრძოლი უფროა, ვიდრე მათი, ვინც გაჰყვირის — „მიდი-მისცხე". ესე იგი, საბოლოო ჯამში, ისიც თანაგრძნობაზეა დამყარებული და სხვაგვარად არც წარმოიდგინება? ესე იგი, საბოლოო ჯამში, არავითარი სამართლიანობა არ არსებობს? ეკითხება პროფესორი თავს და ამ ფიქრებში ისეა ჩაღრმავებული, რომ ხიდთან ანგარიშმიუცემლად უშვებს ყუთში წერილს და უკან მოდის. ეს აზრი, რომელსაც ახლა ჩაჰკირკიტებს, მეცნიერებისთვის ხელისშემშლელი აზრია. მაგრამ თვითონვეა მეცნიერება სინდისის საქმე, ფსიქოლოგია და მოვალენი ვართ განუსჯელად მივიღოთ, გინდ ხელისშემშლელი იყოს, გინდ არა... ამგვარ ზმანებებში გადავარდნილი ბრუნდება დოქტორი კორნელიუსი შინ.

ალაყაფის თაღქვეშ ქსავერი დგას და, ეტყობა, მას ელოდება.

— ბატონო პროფესორო, — ეუბნება მსხვილი ტუჩების ხამუში მოძრაობით და თმას უკან იყრის. — ლორხენთან აბრძანდით, რაღაცა ჭირს.

— რა მოუვიდა? — ეკითხება შეკრთალი კორნელიუსი, — ავად ხომ არ გახდა?

— არა, ავად არა, — მიუგებს ქსავერი. — რაღაც ეტაკა და მაგრა ტირის. სულ იმ ფრაკიანი კეტას ბრალია, რო ეცეკვა. ბატონი ჰერგეზელის თავს

იკლავდა, მაღლა რო აგვყავდა. ხოდა, ტირის ეხლა, ვერ ვაჩერებთ. რაღაცა ეტაკა და ძაან მაგრა ეტაკა.

— სისულელეა, — ამბობს პროფესორი, რომელმაც უკვე მოასწრო შინ შევარდნა და გასახდელში თავისი ნივთების მიყრა. მეტს აღარაფერს ამბობს, აღებს ფარდებიან შემინულ კარს და დარბაზში შედის, სტუმრებს, ვინც უყურებს, მარჯვნივ, კიბისკენ მიემართება. სწრაფი ნაბიჯით შეუყვება კიბეს, ორ-ორ საფეხურს ახტება, ზემო სართულის შუა ოთახს გადაკვეთს და პატარა დერეფნით პირდაპირ ბავშვების ოთახისკენ მიიჩქარის, ქსავერი ფეხდაფეხ მიჰყვება და კართან ჩერდება.

საბავშვო ოთახში ჯერ ისევ შუქი ანთია. კედლებს ჭრელად მოხატული ქაღალდის ფრიზი გასდევს. დიდი თარო სათამაშოებითაა გამოტენილი, ლაქის წითელნესტოებიან ცხენს ფლოქვები მოხრილი ფიცრისთვის დაუბჯენია, სხვა სათამაშოები — საყვირი, კუბიკები, მატარებლის ვაგონები — ლინოლეუმის იატაკზეა მიმოყრილი. თეჯირიანი თეთრი საწოლები გვერდი-გვერდ დგანან: ლორხენისა — კუთხეში, ფანჯარასთან, ბაისერისა — ერთი ნაბიჯით აქეთ, ოთახის სიღრმისკენ.

ბაისერს სძინავს. მან, როგორც ყოველთვის, საბავშვო ანას კარნახითა და შემწეობით, ხმადაუზოგავად ილოცა და მაშინვე ძილს მისცა თავი, ქარიშხლიან და წითლად მოვარვარე ძილქუშს, რომელსაც ახლა საწოლთან გასროლილი ზარბაზანიც ვერ დაუფრთხობს. მოკუმშული მუშტები თავზემოთ შემოუწყვია ბალიშზე, შფოთიანი ძილისაგან გაწეწილ-გაწკეპილი, ცუდად მორგებული პარიკის გარდიგარდმო.

ლორხენის საწოლს ქალები შემოხვევიან: ლურჯი ანას გარდა, დები ჰინტერჰეფერებიც იქვე დგანან, ბავშვს აწყნარებენ და თან ერთმანეთში ბჭობენ. პროფესორის მიახლოებისთანავე განზე დგებიან და ახლა უკვე კარგად მოჩანს ბალიშებზე წამომჯდარი ლორხენი, ფერწასული და ისე გულამოსკვნით მტირალი, რომ დოქტორ კორნელიუსს არ ახსოვს, ოდესმე ამ ყოფაში ენახოს. პატარა, ნატიფი ხელები საბანზე დაუწყვია, ნაქარგებშემოყოლებული ღამის პერანგი ჩიორას გამხდარი მხრიდან ჩამოცოცებია, თავი კი, ლამაზი თავი, რომელიც დოქტორ კორნელიუსს აგრერიგად უყვარს, იმიტომ რომ სახის წინწამოწეული ქვედა ნაწილით მართლა ყვავილივით ადგას ყელის წვრილ ღეროს, ირიბად გადაუხრია უკან, ცრემლიანი თვალები ოთახის ზედა კუთხისთვის მიუპყრია და თითქოს იქ, იმ ადგილას, რაღაცას თავისქნევით შესთხოვს საკუთარ დიდ გულისტკივილზე; რადგან, იქნებ ნებით და მწუხარების გამოსახატავად, ან იქნებ მოძალებული ქვითინის გამო, თავი განუწყვეტლივ უთრთის და ერხევა, მოძრავი პირი კი, ამშვილდული ფორმის ზედა ტუჩით, ნახევრად გახსნია როგორც პატარა mater dolorosa-ს[1], თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით სცვივა და პირიდან მონოტონური ხმა ამოსდის, რომელიც სრულებით არა ჰგავს ჩვეულებრივ ბავშვის აწჩხლ და ნაძალადევ კივილს, არამედ ნამდვილია, ტანჯვისეულია, და დოქტორ კორნელიუსს, საერთოდ რომ ვერ იტანს ატირებულ ლორხენის დანახვას, ასე ატირებული კი არასდროს უნახავს, გაუსაძლისი სიბრალული ეუფლება.

ეს სიბრალული, პირველ ყოვლისა, ჰინტერჰეფერების მიმართ მკვეთრ გაღიზიანებად ელინდება.

---

[1] მგლოვიარე დედა (ლათ.).

— ვაზშამს, — ამბობს მკვახედ. — ვინ იცის, ათასი რამ სჭირდება. ჩანს, მარტო ქალბატონზეა მიგდებული ეგ საქმე.

ხაბიურგერალთა მახვილი სმენისთვის ესეც საკმარისია. ისინი პრივილეგირებულები შორდებიან იქაურობას, კართან ატუზული ქსავერ კლაინსგიუტლი კი მანქვა-გრეხით მიაცილებს მათ. იგი მდაბიოდშობილობას [illegible]ანად და გულუთანაღროდ, ამიტომაც ყოფილ ქალბატონთა დაცემის ამბავი მისი დიდი და მოუბეზრებელი თავშესაქცევია.

— შვილო, შვილო, — ამბობს კორნელიუსი ხმამოგუდული, გისოსებიანი საწოლის გვერდით სკამზე ეშვება და გულში იხუტებს ატირებულ ლორხენს, — რა დამართნია ჩემს შვილიკოს?

გოგონა მამას ცრემლებით უსველებს სახეს.

— აბელ... აბელ... — სლუკუნებს იგი, — რატომ... მაქსი... არაა ჩემი ძმა? გახდეს რა..., მაქსი... ჩემი ძმა.

რა უბედურებაა, რა გულისშემძვრელი უბედურებაა! აი, რა ქნა ამ საცეკვაო წვეულებამ მთელი თავისი ნაზავ-ნაჯერით! ფიქრობს კორნელიუსი და უმწეოდ შეჰყურებს ლურჯ საბავშვო ანას, რომელიც თეთრ წინსაფარზე ხელებდაკრეფილი დგას და სახეზე თავმომწონე შეზღუდულობა ახატია.

— ყველაფერი იმის ბრალია, — ამბობს მკაცრად და ბრძნულად, ქვედატუჩშეწეული, — რომ ბავშვში ქალურმა ლტოლვამ უჩვეულო ძალით იჩინა თავი.

— ენა დაიმოკლეთ, — ეუბნება გაწამებული კორნელიუსი. იმაზეც კმაყოფილია, რომ გოგონა ხელიდან მაინც არ უსხლტება, თავიდან არ იცილებს, როგორც დარბაზში წელან, პირიქით, ეკვრის და მისგან ელოდება შველას, თან ისევ და ისევ თავის უგნურ, ყოვლად უაზრო სურვილს იმეორებს, რომ მაქსი მისი ძმა გახდეს, გულამოსკვნილი ევედრება, დააბრუნონ დარბაზში და კიდევ აცეკვონ მაქსთან. მაგრამ დარბაზში მაქსთან ახლა გაფუებული პლაიხინგერი ცეკვავს, დევივით პლაიხინგერი, რომელსაც უფლება აქვს მაქსს თავის ნებაზე მოექცეს — მაშინ როცა ლორხენი გულდათუთქულ მამას ... პაწია და ჩიორა არასოდეს სჩვენებია, ასლუკუნებული უმწეოდ რომ ეკვრის და არ იცის, რა ემართება მის საბრალო პატარა სულს, აზრადაც არ მოსდის, რომ ფაშფაშა, ზორზოხა, სრულუფლებიანი პლაიხინგერის გამო იტანჯება, რომელსაც ნება აქვს იცეკვოს მაქს ჰერგეზელთან, ლორხენს კი ეს ნება მხოლოდ ერთხელ მისცეს და ისიც ხუმრობით, თუმცა შეუდარებლად უფრო სანდომიანია. მთელი ამ შემთხვევის გამო ადგე და საყვედური უთხრა მაქს ჰერგეზელს, არ ეგება, ეს იმას ნიშნავს, მასზე გიჟური ეჭვი მიიტანო. ლორხენის მწუხარება უკანონოა, მკრეხელურია და, ამდენად, მისი სააშკარაოზე გამოტანა დაუშვებელია. არადა, რაკი გონებას არ მორჩილებს, ვერც დაიოკებ, და ერთი დიდი საჯავრელი ეგეც არის. ლურჯი ანასათვის და ქსავერისთვის ეგ საჯავრელი არც არაფერს ნიშნავს, მის მიმართ უგრძნობელნი ჩანან, სულერთია, სიჩლუნგით მოსდით თუ სქელკანიანობით, მამის გულს კი შუაზე ფლეთს ცალკე ეგ საჯავრელი, ცალკე სირცხვილის შიში ამ უკანონო და მკრეხელური ვნების გამო.

საბრალო ლორხენს ვერაფერს შველის მამის შეგონება, რომ აი, რა მშვენიერი ძმა ჰყავს გვერდით, ძილქუშში გადავარდნილი ბაისერის სახით. ლორხენი ცრემლებს შორის ერთს ზიზღით გადახედავს ძმის საწოლს და ისევ მაქსს ითხოვს. ვერაფერს შველის ვერც იმის დაპირება, რომ ხვალ გულის მოჯერე-

ბამდე ითამაშებენ ხუთბატონობანას, ვერც იმის ჩამოთვლა, რა და რა ბრწყინვალე წვრილმანებით შეამკობენ სუფრასთან ბალიშობანას. ლორხენს ამის გაგონებაც არ უნდა, გაგონებაც არ უნდა დაწვეს და დაიძინოს. მას არ სწადია ძილი, სწადია იყოს ანე წამომჯდარი და მწუხარებდეს... მაგრამ უეცრად ორივენი, აბელიცა და ლორხენიც, სმენად იქცევიან, ხდება რაღაც ბრწყინვალე, რაღაც დაუჯერებელი, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ, ორთა ფეხისხმით, უახლოვდება, უახლოვდება საბავშვო ოთახს და, ჰოი საოცრებავ...

ქსავერის ნამოქმედარია — არ უნდა დიდი მისნობა. ქსავერ კლაინსგიუტლი მთელი ეს ხანი კართან როდი იყო ასვეტილი. მას შემდეგ, რაც გაძევებული ქალბატონები მანქვა-გრეხით გაალა, გადაწყვიტა რამე ეღონა და შეუდგა კიდეც საქმეს. ჩავიდა დარბაზში, სახელოზე წაეპოტინა ბატონ ჰერგეზელს და მსხვილი ტუჩების ხამუში მოძრაობით რაღაცა უთხრა, სთხოვა რაღაცა. ჰოდა, ახლა ორივენი აქ არიან. ქსავერი ისევ კართან ჩერდება, მან თავისი გააკეთა, მაქს ჰერგეზელი კი შემოდის ოთახში და ლორხენის საწოლისკენ მოემართება — სმოკინგი, ყურებთან მუქი ბაკების პატარა ნასახი, შავ-შავი ლამაზი თვალები — მოდის და აშკარად იცის, რომ მოდის როგორც ბედნიერების მორბედი, ზღაპრული უფლისწული და გედი-რაინდი. ის, ვისაც ხელეწიფება თქვას: აჰა, მოვედი და ყველა მწუხარება განქარდა!

კორნელიუსი თითქმის ლორხენივით არის მონუსხული.

— შეხედე, — ეუბნება ჩურჩულით, — ვინ მოსულა. ამით ბატონმა ჰერგეზელმა უზომო პატივი დაგვდო.

— როგორ გეკადრებათ. რას ჰქვია პატივი დაგდოთ, — ამბობს ჰერგეზელი. — იგი მოვიდა, რომ ერთხელ კიდევ ენახა თავისი თანამოცეკვავე დამა და ღამე მშვიდობისა ესურვებინა.

მოდის საწოლთან, რომელშიც განაბული ლორხენი ზის. იგი ცრემლებს შორის იღიმება ნეტარი ღიმილით. მოკლე, მაღალი ბგერა, შვების ნახევარკვნესა ამოსდის მკერდიდან და უსიტყვოდ შეჰყურებს გედ-რაინდს თავისი ოქროვანი თვალებით, რომლებიც ნამტირალევი და დაწითლებული კია, მაგრამ ზორზოხა პლაიხინგერის თვალებს მაინც ბევრად სჯობია. იგი არ უწვდის მკლავებს მაქს ჰერგეზელს ყელზე შემოსახვევად, მისი ბედნიერებაც, ისევე როგორც მწუხარება, გონებას არ მორჩილებს, მაგრამ ამას მაინც არ სჩადის. პატარა ლამაზი ხელები მშვიდად უწყვია საბანზე, მაქს ჰერგეზელი კი მკლავებით გისოსებს ჩამოყრდნობია, როგორც აივნის მოაჯირს.

— „რომ სარეცელზე ზეწამომჯდარი, — ამბობს იგი, — ცრემლებს არ ღვრიდეს უძილო ღამით", — და თვალს პროფესორისკენ აპარებს, რა არის, მოუწონეს თუ არა განათლება, — ჰა, ჰა, ჰა, ამ ასაკში! „ნუ ტირი,, ჩემო ლამაზო გოგო". რომ იცოდე, რა კარგი ხარ. გადასარევი ვინმე გაიზრდები. ოღონდ სულ ასეთი უნდა დარჩე. ჰა, ჰა, ჰა, ამ ასაკში! ახლა ხომ დაიძინებ, ლორელაიერლ, და არ იტირებ; მე რაკი მოვედი!

ლორხენი გაბრწყინებული შეჰყურებს. ჩიორას მხარი მოშიშვლებია და პროფესორი მაქმანებიან საყელოს უსწორებს. უნებლიეთ. ერთი სენტიმენტალური ამბავი ახსენდება მომაკვდავ ბავშვზე, რომელსაც თურმე კლოუნი მიგვარეს, ცირკში რომ ენახა და გაუნელებელი ალტაცება გამოჰყოლოდა. კლოუნი ბოლო წუთს მისულა ბავშვთან, საცირკოდ გამოწყობილი, წინიდანაც და უკნიდანაც ვერცხლისფერი პეპლებით მოხატული და ბავშვს ნეტარებით დაულევია სული, მაქს ჰერგეზელი არაა პეპლებით მოხატული და,

ღვთის მადლით, არც ლორხენი კვდება, მას მხოლოდ „რაღაცა ძაან მაგრა ეტკაა", მაგრამ ეს ამბავი მაინც მსგავსი ამბავია, და განცდა, რომელიც პროფესორს აღეძვრის ჭაბუკი ჰერგეზელის მიმართ, აქ რომ გადმოძრომილა და შტერულ რატრატებს — უფრო მამის გამო, ვიდრე შვილისა, თუმცა ლორხენი ამას ვერ ამჩნევს — მადლიერებაც არის, უხერხულობაც, მღელვარებაცა და აღტაცებაც, ერთმანეთზე რაღაც უცნაურად ასხმული.

— ღამე მშვიდობისა, ლორელაიერლ, — ამბობს ჰერგეზელი და თეჯირიდან ხელს უწვდის ლორხენს. გოგონას პატარა, ლამაზი, თეთრი ხელი ქრება მის დიდ, ღონიერ, მოწითალო ხელში. — ტკბილად იძინე, — ეუბნება, — ტკბილი სიზმრები ნახე! ოღონდ ჩემზე არა! თუ ღმერთი გწამს! ამ ასაკში! ჰა, ჰა, ჰა, ჰა. — და ზღაპრული კლოუნი ამთავრებს თავის სტუმრობას, კორნელიუსი კარისკენ მიაცილებს.

— ოღონდ მადლობა არ მითხრათ! სამადლობელი არაფერია! — თავაზიან-დიდსულოვნად იცავს თავს, ვიდრე ერთად გადიან, და ქსავერიც მათ უერთდება, სტუმრებს იტალიური სალათი უნდა გაუტანოს.

დოქტორი კორნელიუსი ისევ ლორხენთან ბრუნდება, რომელიც მიწოლილა და ლოყათი პატარა ყურთბალიშს მიხუტებია.

— რა კარგი იყო, არა? — ეუბნება და საბანს ფრთხილად უსწორებს. გოგონა თავს უქნევს ტირილის შემდეგ ჯერაც სუნთქვაარეული. დოქტორი კორნელიუსი თხუთმეტიოდე წუთი კიდევ ზის გისოსებიან საწოლთან, დაჰყურებს, როგორ მიდის გოგონა ძილში, ძამიკოს კვალდაკვალ, რომელმაც ბევრად უფრო ადრე მიაგნო ამ საკეთილო გზას. წაბლისფერი, აბრეშუმივით თმა ლამაზ ხვეულებად მიმოშლია, ძილის დროს იცის ასე; გრძელ წამწამებს ღრმად გადაუჩრდილავს ნამტირალევი თვალები, საიდანაც ამდენი წუხილი გადმოსკდა; გაბუტული პირი, ანგელოზის პირი ნეტარებით გახსნია, და მშვიდ სუნთქვას მხოლოდ შიგადაშიგ თუ შეუთრთოლებს ნაგვიანევი სლუკუნი.

და ხელები, ყვავილოვანი, თეთრ-მოვარდისფრო ხელები, რა მშვიდად განისვენებენ, ცალი — ლურჯ საბანზე, ცალი კი — სასთუმალზე, სახესთან ახლოს. დოქტორი კორნელიუსის გული დამათრობელი სინაზით ივსება.

რა ბედნიერებაა, ფიქრობს იგი, რომ მთვლემარების ყოველ ჩასუნთქვაზე ლეთა იღვრება მის პატარა სულში; რომ ბავშვის ყოველი ასეთი ღამე დღესა და დღეს შორის ჩაწოლილი ღრმა და ფართო უფსკრულია. ხვალ, რა თქმა უნდა, ჭაბუკი ჰერგეზელი მკრთალი ლანდილა იქნება საიმისოდ, გული რომ კვლავაც შეუძრას, და... — ხსოვნისგან განწმენდილი ხალისით იგი აბელსა და ბაისერთან ერთად ისევ „ხუთბატონობანას" ან დაძაბულ „ბალიშობანას" თამაშს შეუდგება.

მადლი ზენას ამისათვის!

# სტანკა პენჩევა

## ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა მედეა კახიძემ

### ზღურბლზე დაბადებული

რაგინდ წისქვილის
დატრიალდეს ჩემს თავს დოლაბი,
საითაც გინდა
გამიტაცოს უცხო ქარებმა,
მაინც ცხოვრების ნირს არ შევიცვლი.
თუმცა ლოგინში დავიბადე,
მაინც ეჭვი მღრღნის,
თუ გავჩნდი-მეთქი
ზღურბლზე ანდა გზაჯვარედინზე?
რადგან სიყრმიდან
დამებედა გზების ტრფიალი,
და მოყვარული ვარ ხეტიალის.
მე მიყვარს, როცა
მაღალ ქუსლებით
გზაზე კაკლუცად მივბაკიბუკობ,
ჭკვამხიარული ბულვარები
და მოჩახჩახე ბარები მიყვარს,
მწვანე ბალახზე სიარული
მიყვარს ფეხშიშველს.
მიყვარს, როდესაც
ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ
და მზის სხივები გარს მეხვევიან.
ოღონდაც წასვლა შემეძლოს სადმე,
უცებ ტანსაცმელს ჩავალაგებ
და გავფრინდები.
ღამით კი სიზმრად
ვნახულობ პირმშოს
და თოკზე ვკიდებ შვილის ტანსაცმელს.
მე მეტკბილება
ჩემი ხელით ნაშოვნი პური.
მე ამაყი ვარ,
მადლობა ღმერთს,
მაგრამ მაინც მსურს
საღამოობით
ჩემს ოჯახში შემოდიოდეს
ისეთი კაცი,
ფეხის ხმა სახლს აზანზარებდეს,
მოსიყვარულე იყოს ჩემი
და მბრძანებელი.
მე დავიბადე
ალბათ ზღურბლზე და ამიტომაც
ორი სხვადასხვა
ქალი ებრძვის ჩემში ერთმანეთს.
ორი ნაპირი და ორი დრო
მომიხმობს ცხადლივ,
მე ასეთი ვარ
და ჩემს შეცვლას
შეძლებს ვერავინ!

### სამართალი

ხან იგვიანებს სამართალი
როგორც ბარათი,
რომელსაც უკვე არავინ ელის,
რადგანაც წლობით დაყოვნდა გზაში,

ადრესატი კი
სამუდამოდ გადაიკარგა.
ზოგჯერ ისედაც
ხდება ხოლმე,
რომ სამართალი
კაცს ესტუმრება,
როგორც თივას წვიმა შხაპუნა,
რომელსაც უკვე
აღარ ძალუძს აყვავილება!
მე თვალთუხილავ
ჯავშანს ვატარებ,
ჩემი ფარია
ჩემივ მძიმე ხვედრი დატოვებით,
მწამს სამართალი [illegible] მყარად,
ოღონდაც სულზე უნდა მოგვესწროს,
ოღონდ არ უნდა დააგვიანოს!

## კარგია როცა

უმჯობესია
თავის დროზე მორჩეს ყოველი,
წახვიდე დროზე
სანამ ცეცხლი ჩაიწაცრება,
სუფრა დატოვო, ვიდრე სუფრაზე
სანამცეცოდ გახდება საქმე,
გაბრუნდე, სანამ
გულგრილ მზერას შეგაგებებენ.
მჭკნარი ყვავილის
ცქერა არ მიყვარს,
არც ცარიელი სასმისების
ყურება მიყვარს.
გთხოვ არასოდეს მომეკარო
უსიყვარულოდ,
ო, არასოდეს!

## გადარჩენილი

მოვდივარ შენთან გადარჩენილი,
გთხოვ შემიფარო შენს სიყვარულში,
შემმოსე რწმენით და სიამაყით
შთამბერე სული და გამათბე,
როგორც ფუტკარი,
წვიმის წვეთებით დანაწვიმარი
მოვდივარ შენთან
გაძარცული და ფეხშიშველი,
დანაცრდა ჩემი ახალგაზრდობა,
დანაცრდა ჩემი საბადებელი,
ცეცხლს სული ძლივას გამოვაღწიე,
მხოლოდ თვალები,
ხელები ჩემი
და სუნთქვა ჩემი გადავარჩინე,
მოვდივარ შენთან ცოცხალ-მკვდარი,
ნაკვერჩხლებზე და ცეცხლზე
დამწვარი —
მიმიღებ ასეთს!

## მე მაინც მიქნები

ბევრი გავცვითე,ფეხსაცმელი,
ლამაზი კაბაც,
სამაჯურები მორგებული
მკლავებზე კარგად,
ჯანსაღ სხეულით ფეხშიშველი
ვუვლიდი მთა-ველს,
ვამზეურებდი ლამაზ თმებს და
ღონიერ მკლავებს.
ნორჩი სხეული სიბერეში
დაჭკნება ალბათ,
დავემსგავსები გაცრეცილ კაბას,
გახუნებულს და დიდი ხნის ნახმარს.

ვერ შევლევივარ, რომელსაც ახლაც.
ნვალ ვეღარ ვირბენ,
დღეს თუ ფეხებს მსუბუქად ვაბჯენ,
მოენატრებათ
სამაჯურის წკრიალი მაჯებს.
გაწყვეტილ ბილიკს
ველარავინ ვერ შეცვლის ახლით,
დადუმდებიან ხმები, ერთხმად
შეწყვეტენ ძახილს.
ჩემი სხეული შეერევა
ნაცარს და წყვარამს,
მაგრამ მე მაინც ვიქნები მარად.
ისე ვით ჩემი გულისსწორის
ნამღერი ექო.
როგორც ჩამქრალი
კერის სითბო
ცეცხლი რომ ერქვა,
მე კვლავ ვიცოცხლებ
არ ჩაივლის ყოფნა უკვალოდ,
ავბრიალდები წითელ ფერად
ტყეში უკვამლოდ.
სულ სხვა ფოთლები
დაფარავენ გზასა და ბექობს.
იშარიშურებს ხმელ ფოთლებში
ფეხის ხმის ექო.
მე კვლავ ვიცოცხლებ
ერთი დიდი მდინარის პირას
და ჩემს სიცოცხლეს ჩავუსახლებ
თეთრ ღრუბელს მტირალს.
კვლავაც ჩემს მხრებზე
იჩანჩქერებს ჩანჩქერის ჩქერი;
ქარაშოტები იქნებიან სავსენი ჩემით.
თავს ვეკითხები შავ ორმოში
დალპება რაღა?
მხოლოდ და მხოლოდ
ჩემეული ლამაზი კაბა!

## ღირსეული ადამიანები

ისინი როგორც ალმასები ისე ბრწყინავენ,
გვხვდებიან ძალზე იშვიათად ვით ალმასები.
ისინი ქვებში და ქვიშებში მიმობნეულან
და უსასრულო არის მათი შუქურ-ნათელი.
და ჩემთვის ისიც საკმარისია,
რომ არსებობენ ისინი ქვეყნად,
სწორედ ისეთი, როგორიც მე ვარ,
ჩვეულებრივი და მიწიერი.
ჩემთვის ისიც კი საკმარისია,
ზოგჯერ ეკლებით მოკირწყლულ გზაზე
რომ ფეხს მიწყობენ.
არ ვიცი, სისხლი მიყივის ხოლმე
თუ გული გულს სცნობს,
ქვეშეცნეულად ვცნობ გულკეთილ
ადამიანებს,
მათი თვალების სითბო ალბათ ილვრება
ჩემში
და ამის საბაბს მაძლევს მათი უბრალოება.
ვინ იცის, იქნებ ვინმეს სიკეთემ
მეც გამიქარწყლოს ტანჯვა, ტკივილი...
და არ ვკითხულობ,

ბევრნი არიან თუ ცოტანი ასეთი ხალხი,
ჩემთვის ისიც კი საკმარისია,
რომ არსებობენ ისინი ქვეყნად,
ღირსეულები და კეთილები.

## გაქცევა

როცა გუნება მიმძიმდება
და სევდა მიპყრობს,
მწარე ღიმილით ვტოვებ სამყაროს.
ჩითის კაბაში გამოკრული და
ფეხშიშველი
ვახტები ღობეს,
მინდორში ვხტები,
რომელსაც ჯერაც
კაცის თვალი არ შეხებია,
იქ ყველაფერი სხვაგვარია
უცნაური და მოულოდნელი.
სულ ახლებურად არის შექმნილი
სულ სხვა დროში და სხვა გარემოში.
ვით მზესუმზირა
მზეც იმგვარად თავს ატრიალებს,
მდინარეები ისევ უკან უბრუნდებიან
ცივციველა და ანკარა წყაროს.
გვიმრები ჰყვავის დიდმშვენიერი,
თაფლის სურნელი ასდის აბზინდას.
სულს ვგავარ ბოთლში მოუხელთებელს,
ცვალებად ღრუბელს,
და ქარს ვგავარ უცებ მოვარდნილს,
ვარ გაბნეული ყველა საგანში,
რომელიც ჯერ არ დაბადებულა,
გაცისკროვნებულ ციდან მოწყვეტილ
შუქურას ვგავარ
და მავიწყდება, რომ ამ მინდორს
ჰქონდა მესერი.

## სათუთნი

განა ყოველთვის
პირველები გარბიან ხოლმე
უმწეო ხალხის მისაშველებლად
ყოჩაღები და დაკუნთულები.
ისინი ჩხუბში რომ გადაეშვნენ,
ხშირად შესაფერ წუთებს უცდიან.
მოძალადეებს,
თავხედებს,
ბრიყვებს,
ან მოსაკლავად შემართულ დანას,
ყველაზე ხშირად
წინ უდგებიან —
უფრო ნაზად და გულსათუთად
გამოზრდილები.
ისინი ჩვენში იწვევენ სიცილს,
დაუფიქრებლად როცა გარბიან,
შეურაცხყოფილ ქალის საშველად,
ისინი თავით არღვევენ კედელს
სხვათა შეცდომის გასასწორებლად.
მაგრამ სათუთად
მგრძნობიარე მათი სულები,
ჰქრება ადვილად
ნაადრევი ყვავილის მსგავსად
და გულგრილობის მსხვერპლი ხდებიან.
როს დაჰკრავს ჟამი,
ჩაჰბერავენ უკანასკნელ შეტევის
საყვირს;
ყველამ ქუდები მოიხადეთ,
არ ელოდნენ ისინი საყვირს,
არამედ იყვნენ თურმე სათუთნი,
სათუთი, როგორც თოთო ბალახი!

## შენ მართალი ხარ

შენ მართალი ხარ,
სულ რომ ერთად ვყოფილიყავით,
გახუნდებოდა სიყვარულის
ცისარტყელები
და ოცნებები დაითქმებოდა.
ვინ იცის, იქნებ ასე სჯობია.
რაღა თქმა უნდა, შენ მართალი ხარ!
მაგრამ დღეები,
ვით მწუხარე მოჩვენებები,
ჩუმი ყვედრებით მივლიან ფერხულს
როცა გიხმობდი,
შენ ჩემს გვერდით არ მყავდი მაშინ.

და დღეს გიჩვენო არ მეშინია
გუშინწინდელი დამდნარი თრთვილი,
მე დამავიწყდა, რაც უნდა მეთქვა,
ხმა ჩამეხლიჩა ბევრი ყვირილით,
შენ მართალი ხარ.
მაგრამ ნუთუ არ გეშინია,
რომ უკან აღარ დაბრუნდება
აღარაფერი?
თუმც გეხუმრები, რა თქმა უნდა, შენ
მართალი ხარ!
მე ერთმა ბოშამ მიმკითხავა
ბედნიერება.

## დასასრული

იქნებ ასეთი სიკვდილი სჯობდეს,
მოკვდე იქ, სადაც გიღვრია ოფლი,
ვით გუთნის კვალში ღვინია ხარი
ან გაფრენილი ცხენი შარაზე.
— მოკვდე, არ გქონდეს სიკვდილის
შიში,
მხოლოდ გაოცდე, სულ ერთი წამით.
ხელებაწეულს და თვალებღიას
ტუჩებზე შეგრჩეს
სიყვარული ან სიძულვილი...

ის აფეთქება მიმოიქცეს
შენს სულში ექოდ
და მეყსეულად უკუნეთის
დაეშვას ფარდა.
არ მსურს ლოგინად ჩავარდნა დიდხანს,
მოდი, სიკვდილო,
დამამსხვრიე, ისე ვით სარკე
— რომ შორს გაისმას ხმები
წკრიალის.

## რჩევა საკუთარ თავს

ტოლფარდს ნურასდროს გაეჯიბრები,
ნუგეშისცემას ნუ მოელი უნუგეშოსგან,
ნუ გაგაკვირვებს
ფარშევანგის ლამაზი ფრთები,
თავს შეებრძოლე,
იაკობივით ღმერთებს ბრძოლა
გამოუცხადე.
საფოსი გშურდეს,
გაუტოლე თავი ტიტანებს,
ისე რომ შენი უძლურებით

გოდებდე მწარედ,
წერე გულმმაგად,
ბედუკუღმართ ტკივილზე წერე,
დაწერე ისე,
თითქოს იყო სიკვდილმისჯილი,
ანდა ქადაგი,
დაწერე ისე, ფრჩხილებიდან
მოწვეთდეს სისხლი,
დაწერე ისე,
რომ ქაღალდი იქცეს ნახშირად!

## ეროზია

ჟამი მტვრად აქცევს
ტიტან მწვერვალებს,
რკინას ჭამს ჟანგი
და შრება წყალი.
რა ვქნათ,
რაგვარად შემოვინახოთ
ალერსის სითბო,
გრძნობა გულისა.
მე ვუფრთხილდები
გრძნობებს, როგორც ლიცლიცა
ჭურჭელს
ვით მყიფე მინას
ყმაწვილს უმწეოს,
არა და დრო თავს
დამჭახჭახებს ქუხილ-გრიალით,
გაივლის ხანი,
ხელს შევახებ უფრო გულგრილად.
შევხედავ, როგორც სიცარიელეს,
რა ვუყოთ, ჟანგი
ჭამს რკინასაც,
ნურაფერს მეტყვი,
არ გინდა სიტყვა,
ერთს გთხოვ — გიყვარდე
უფრო გიყვარდე,
გიყვარდე მხოლოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბებერი ვაშლის ხეები

ისინი იდგნენ
გზის პირას ყუჩად,
და ნაბიჯ-ნაბიჯ იხევდნენ უკან,
წვიმის წვეთებით გალუმპულები.
და მარტოობით გათოშილები,
ჩემი ბებერი ვაშლის ხეები.
ისინი ჩუმად იდგნენ წვიმაში,
სადაც გუშინ და გუშინწინ იდგნენ.
გუშინ ნაყოფით დახუნძლულები
დღეისთვის უკვე გაძარცულები,
ღირსეულად და ამაყად იდგნენ.
როგორც ცხოვრების ორომტრიალში
გლეხის მოხუცი დედაკაცები,
წვრილშვილთა და დამაშვრალნი
ერთდროს ტურფანი და
თვალწარმტაცნი
სათავისოდ რომ არაფერი
არ დაიტოვეს,
მოსიყვარულე გულების გარდა.
და უკოცნიდა ვაშლის ხეებს,
ხელებს დაღარულს
დღე დაღვრემილი შემოდგომისა.

## სიკვდილი

ვიცი, სიკვდილი
ვერ შემაშინებს,
თუ კი შენს მხარზე
მედება თავი.
და ვიდრე სისხლი გამიცივდება,
მაგ შენი მყუდრო
ვაჟკაცური სხეულის სითბო
მე კვლავ გამათბობს...
როგორც პატარას,
მთელ დღეს ეზოში
თამაშით დაღლილს,
შენს გვერდით ტკბილად დამეძინება
და როცა ღამის უკუნეთში
ფეხს შევდგამ შიშით,
ჩამჭიდე ხელი,
რომ წყვდიადმა არ შემაშინოს!

## სინაზე

სილამაზის ჟამს ვიდრე გვქვია ახალგაზრდები,
ვცურავთ და ვცურავთ სიყვარულის მზის ემბაზებში,
ჩვენი თვალები სიყვარულის იპერენ მზერას,
რა გინდ იცრუონ, ყოველგვარი სიცრუის გვჯერა.
ჩვენ ვიფურჩქნებით, ვგავართ მზეში კვირტს პაწაწინას,
კვალდაკვალ დაგვდევს ალერსით წვიმა..
მეც დავბერდები, სიტყვას აღარ მეტყვიან საქებს;
გულისტკივილით ნაზ ხელებზე შევამჩნევთ ლაქებს.
შეიფერება როცა თმები უეცრად თრთვილით,
ბებრული სახით, ბებრულად ვივლი.
მხოლოდ ერთადერთს, ვისაც ასე ვუყვარდი ერთ დროს,
როგორც ცას ნისლი მიენდობა,
მას უნდა ვენდო.
ვიქნები მისთვის ლამაზი დარდი,
სავსე სხივებით და სილაჟვარდით.
მოეფერება ჩემს დამჭკნარ ხელს, მაჩუქებს ღიმილს,
ხელგაყრილები გვერდიგვერდ ვივლით.
დიდი სინაზით ვფიქრობ ხოლმე, იმ კაცზე, ვინაც
იქნება ჩემთვის სიბერეში მზეცა და წვიმაც...

## ქალობა

ჩემი ხელობა არის უბრალო,
მე მქვია ქალი.
ჩემი სინაზით და ალერსით
მე ვარ ძლიერი.
და როგორც ციცქნა ციცინათელას,
დამაქვს სინათლე.
მე ვარ მორჩილიც
და მბრძანებელიც,
ჩემი ხელები არ თაკილობენ
ვაჟკაცურ საქმეს,
როდესაც დაღლილ ვაჟკაცებს სძინავთ,
მე ვფხიზლობ მაშინ მუხლჩაუხრელად.
მე ვუნახავდი შვილთაშვილს
ფარ-ხმალს,
ვკერავდი დროშას
და თოფიც კი მეჭირა ხელში,
უნაზესი და უსუსტეს მხრებით
ვეზიდებოდი მთების სიმძიმეს,
უნდა წამოდგე ჩიტებზე ადრე,
არ უნდა დათმო პირველობა
მინდვრად, დაზგასთან.
შუაღამემდე უნდა ენთოს
ოჯახში შუქი,
რადგან ჩვენს კაცებს უყვართ როცა
მოთმენით ვუცდით.
ჩვენ, როგორც ბავშვებს,
უნდა მუდამ შეგვეძლოს მათით
გაკვირვებაც და
უცნაური ზეალტაცებაც.
და უნდა გავცეთ გულების სითბო,
უკან არასდროს მოვითხოვოთ
სამაგიერო.
რადგანაც ხშირად
თვით ვაჟკაცთა უვაჟკაცესიც
ჩვენს ნაზ ხელებზე დასაყრდნობად
იწვდიან ხელებს.
რაკილა მწყურვალს
არასოდეს არ ვუჭერთ წყაროს
და განკიცხულთაც
შემწყნარებლურად ვექცევით მუდამ,

ჩვენ უნდა ვშობოთ
ჯანიანი შვილების მოდგმა.
და არა მარტო ალერსი და სითბო
ვაგემოთ.
უპირველესად ვაჟკაცებად უნდა
გავზარდოთ,
და ჩვენ ყველაფრის მაგივრობა უნდა
გავწიოთ.

ჩვენ უნდა ვიყოთ პური არსობის
და თვალმახარა გაზაფხულის
ყვავილება.
მზესავით უნდა ვატაროთ შუქი,
ვიყოთ საჭირო ვით დედამიწა.
ჩემი ხელობა არის უბრალო,
ჩემი ხელობა არის ქალობა!

●

ერთ მშვენიერ დღეს
მომწყინდება შიშით — კანკალი,
ტყუილის თქმა და
პირში მუდამ წყლის ჩაგუბება,
მე თავს დავაღწევ ყველა მათგანს
ვით აბლაბუდას,
ვიტყვი ნათლად და ხმაგანწირულად.
კი მართალია, მე ის მიყვარს,
ვუყვარვარ მასაც,
თქვენ გნებავთ კიდევ რამის გარკვევა?
და ყველაფერი დამთავრდება
უცბად ადვილად.
ჩვენ ხელს ჩავჭიდებთ ერთიმეორეს,
და გავუყვებით შორეულ მხარეს,
სადაც თავიდან კვლავ დავიწყებთ
ახალ ცხოვრებას.
— ეს მოხდებოდა,
რომ არ იყოს იმ ერთი ქალის
თვალები მკაცრი და გაყინული,
თან ნაღვლიანი, თანაც ბოროტი.
შენ მძიმე ხვედრი დამაკისრე,
ჩემო ძვირფასო.
უნდა დავიცვა სიმყუდროვე
შენი ოჯახის
ვიყო შენთვის და არც ვიყო თითქოს
და ძლიერ ქალად მოგაჩვენო
თავი უღონო!

# შამაი გოლანი

## დაბრუნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობილი ებრაელი მწერალი. დაიბადა 1933 წელს პოლონეთში.

ნაცისტური ოკუპაციის დროს გადასახლებული იყო კვიპროსზე. 1947 წელს საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში, უმაღლესი განათლებაც იქ მიიღო, ჯერ კიბუცის და შემდეგ ეროვნულ უნივერსიტეტში.

1974 წელს შამაი გოლანი აირჩიეს „პ. ე. ნ“ მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარედ. მინიჭებული აქვს იუნონის პრიზი ლიტერატურაში, აშერ ბარაშის პრემია, რამად-განის და АСИМ-ის ლიტერატურული პრიზები, ებრაელ მწერალთა ასოციაციის ველენროდის ჯილდო.

ამჟამად ბატონი გოლანი ისრაელელ მწერალთა სახლის დირექტორია.

წინამდებარე მოთხრობა ინგლისურად თარგმნა თანამედროვე ებრაული ლიტერატურის ცნობილმა გამომცემელმა რიჩარდ ფლანცმა.

ბწკარედიდან თარგმანი შეასრულა თენგიზ ჩალაურმა.

„მე მეგონა, შენ გინდოდა, რომ შემეხედა...
მხედველობაში მაქვს შენი ჭრილობები“.

მომსვლელ-მნახველებს მოჩვენებითი სიხარულით, პირმოთნე ღიმილითა და ნაძალადევი სიცილ-კისკისით მოჰქონდათ თაიგულები — გლადიოლუსები, მიხაკები, ტიტები და მინდვრის ქრიზანთემები. იტანი დინჯად დაასრიალებდა ბორბლებიან სავარძელს ყვავილებით სავსე ლარნაკებსა და ქოთნებს შორის. აურაცხელი ხალხი მოვიდა, ისე ეახლნენ როგორც ნეფეს, მხოლოდ თაიგულების მირთმევისას რატომღაც ყველა მზერას არიდებდა, არ იცოდნენ, სად დაემალათ თვალები. იტანს არაფერი ჰქონდა სასაყვედურო, პირიქით, „მადლი უფალს, რომ გვირგვინებად არ მოუწიათ მოტანა“, — ფიქრობდა. მართლაც მადლობა უზენაესს, რომ იმ ჯოჯოხეთს თითქმის მრთელი გადაურჩა.

სტუმრები ერთიმეორის მიყოლებით შემოდიოდნენ, ჯგუფებად და წყვილებად, ისეთი თავმოწონებით, თითქოს დიდგვაროვანთა მიღებაზე იყვნენ მიწვეულნი. მობრძანდნენ ალექსი და სიმონ კლიმანოვიჩები საშინაო ვაჭრობის ბანკიდან. გახამებული სახელოებით და ყელში წაჭერილი ჰალსტუხებით; შემდეგ მრავალბინიანი სახლის მობინადრეთა კომიტეტიც გამოჩნდა სრული შემადგენლობით. წინ ქალბატონი ტაიროში მოუძღოდათ, უშველებელი კრემიანი ტორტით ხელში, კავშირგაბმულობის პოლკის ოფიცერმა (იქ იტანი ერთ დროს სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა) გულწრფელად მოუბოდიშა, რომ პოლკის მეთაურმა ვერ მოახერხა სტუმრობა ფრიად საგულისხმო მიზეზის გამო. სარეაბილიტაციო განყოფილებიდან მოვიდნენ წარმომადგენლები, საჩოგბურთო კლუბიდანაც და პარტიის ახალგაზრდული სექციიდანაც. ყველამ შეწუხებული სახით გამოთქვა სინანული მისი დასახიჩრების გამო, ისეთი საცოდავები იყვნენ, თითქოს თვითონ ყოფილიყვნენ დამნაშავენი მის უბედურებაში. ზოგიერთი ბეჭებზე ხელს მოუთათუნებდა და ასე ცდილობდა გაემხნევებინა. დაბეჯითებით არწმუნებდნენ, ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებულიო. იტანმა აღარ გააქეზა სტუმრები ზედმეტი თავის კანტურით და ტუჩების გა-

წელვით და ცამდის მართალი აღმოჩნდა — რამდენიმე წუთის მერე ყველამ ჩამოიშორა ნიღბები და ხეიბრის დამწვარ-დანაწიბურებულ ყურებს ცხადლივ ესმოდა, როგორ ყლურწავდნენ ღვინოს, როგორ ნელ-ნელა შედიოდნენ ხორხოშში და თავშეუკავებლად, მოურიდებლად ხითხითებდნენ, თითქოს კორწილში ბრძანდებოდნენ.

— შეუძლოდ ხომ არ გრძნობ თავს? — მზრუნველად ჰკითხავდა ნილი და ვიდრე მეუღლე პასუხს მიაგებდა, ხმამაღლა, ყველას გასაგონად გამოაცხადი: „იტანი მშვენივრად გრძნობს თავს!“ ცოტა ხნის შემდეგ კი მკერდზე ხელებგადაჭდობილმა შენიშვნაც კი მისცა: „დაანებე თავი ბორბლებს, იტან!“ ალბათ ასეთივე მკაცრი ტონით კიცხავდა თავის ცელქ მოსწავლეებს.

სტუმრები უეცრად აიშალნენ, ფეხაკრეფით უახლოვდებოდნენ, მორიდებით ართმევდნენ ხელს, წარმატებას უსურვებდნენ და მასიურ კარს იქით მოჩვენებებივით უჩინარდებოდნენ. მშობლებმაც ისურვეს სწრაფი გამოჯანმრთელება და აგრძნობინეს, რომ არ უნდოდათ ხელი შეეშალათ ახალგაზრდა წყვილისათვის.

სიწყნარე უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ხმაური და ჟრიამული, მხოლოდ სამზარეულოდან ისმოდა ჭურჭლის ზრიალის ხმა. იტანი გაჭირვებით გადმობობღდა სავარძლიდან, ყავარჯნები იღლიებში ამოიჩარა და რის ვაი-ვაგლახით შეჯახირდა სამზარეულოში. წყლის ჩხრიალში ნილიმ ვერც გაიგონა მისი შესვლა და კაცი კარგა ხანს ედგა ზურგს უკან ცოლს, მშვიდად შესცქეროდა, როგორ რეცხავდა პლასტმასის თეფშებს და დანა-ჩანგალს, ასე იდგა გახევებული და უეცრად მისი სხეულის დაუფლების მწველმა სურვილმა შეიპყრო, ისევე, როგორც ფრონტზე წასვლის წინა ღამეს, მაგრამ სადღა ჰქონდა ის ძალა! უყავარჯნებოთ მორიგით გაგორდებოდა იატაკზე. და მაინც თითქმის ფიზიკურად განიცადა ცოლთან დამშვიდობების ის ჯადოსნური საღამო — ოღონდ ამჟამად დიდი და აურწყავი ტკივილით.

მაშინ ჯანმრთელი, მზემოკიდებული და იარაღასხმული იტანი კოვბოური ფილმის გმირივით შევიდა სახლში და როგორც კი ნილის მოცინარ თვალებს შეხედა, ქარით დახეთქილი ტუჩები დაებერა, „ცოტა ხნით მოვედი, — ხმაშეცვლილმა უთხრა, — მთელი შენაერთი ჯორდანის ველზე გაგვამწესეს, იქ კი, შენც კარგად იცი, რა ჯოჯოხეთიც ტრიალებს“.

ნილიმ ბაგეზე ხელისგული მიიფარა. შემდეგ სვიასავით ჩაეხვია, მთელი სხეულით შეერწყა; მკლავები და მკერდი ვნებით უთრთოდა.

რამდენჯერ ულანდებია იტანს ზაფხულის უსასრულო ღამეებში ამ შეხვედრაზე, კლანჭებივით ხარბმა თითებმა გასცეს იგი, როგორც მსხვერპლს, ისე დააცხრა ქალის გათქვირულ სხეულს. „მტკივა... — ამოიკვნესა ნილიმ და მისი მაჯები ისე დაბღუჯა, თითქოს მოძალადე მამაკაცისაგან იცავდა თავს, „ეს ყველაფერი იმდენად მოულოდნელია, — ხმა მილეულმა ამოილუღლუღა, — გონს ვერ მოვსულვარ. იქნებ წაგვხედმსა, — ურჩია, — ბავშვებიც გავაღვიძოთ, ენატრებით, — ნილიმ თმა შეისწორა და იმწამსვე უგანა, სამზარეულოს მიაშურა. იტანი სულსწრაფად მიჰყვა, წელზე შემოხვია ხელები, აცახცახებული ჩაეტმასნა და ნეშები მისი მკერდით აივსო. „ცოტა ხანს მაცადე...“ — ამოიკვნესა ნილიმ, მაგრამ მამაკაცს ნდომისაგან უკვე სული ეხუთებოდა, ბუღასავით ეძგერა, თუმცა თავად მისთვისაც უცნაური და მიუღებელი იყო ასეთი საქციელი, მაგრამ ცხოველურმა სურვილმა ყველაფერი წალეკა, გონება დაუბინდა და წაართვა. ყველაფრის შემდეგ მორცხვად მოუბოდიშა ნილის, „იმ წყეულ ველზე კაცი

კარგავს ადამიანურსო, — და თავი იმართლა, — არც მე ვარ გამონაკლისი, ჩვენ იქ მამრების ჯოგად ვიქეცით, უკეთეს შემთხვევაში ატეხილ კენტავრებად, ზაფხულის ღამეები უსასრულოა და ამასთანავე იმდენად აღმგზნები, რომ სიტყვის თქმის ილაჯიც კი წართმეული გვაქვს. მხოლოდ ინსტინქტებით ვსულდგმულობთ, მამრის უსასო ყვირილი და მიწას მიჯაჭვული ტანჯვა-წამება, — იტანი აღგზნებული ლაპარაკობდა, ცდილობდა ნილის მზერის ამოცნობაც უნდოდა, როგორმე გაემართლებინა უგვანო საქციელი, — ერთხელ ასეთ ღრუტუნზე წავასწარით ორს, — განაგრძო დაუფიქრებლად, — სანგარში იყვნენ შეყუყულნი, დედალი ხელყუმბარით გამოგვენთო, ჩვენ კი როგორც მგლები ისე მოვიქციეთ წრეში· თან დავცინოდით და თანაც ვფრთხილობდით, ასეთ დროს ყველანაირი სიგიჟეა მოსალოდნელი, ხელყუმბარა სათამაშო არაა. — იტანმა სული მოითქვა და ირონიულად გაიღიმა, — ჰო, იმას ვამბობ, პირუტყვებად ვიქეცით-მეთქი, საფარში მხეცებივით ვსულდგმულობდით, სიკვდილისა და სიბინძურის გვერდიგვერდ, და მაშინაც კი, როდესაც სამხედრო მანქანაზე ხარ შემომჯდარი, ხმას ვერ იღებ, კრინტსაც ვერ ძრავ; მხოლოდ შუაღამისას, სადილობისას გიბრუნდება ადამიანური მეტყველების უნარი, გავარვარებული მკერდიდან უაზრო სიტყვები და ნაწყვეტი ფრაზები ლავასავით უაზროდ მოედინება, შეუსვენებლად ლაყბობ და თვალგაშტერებული ჩასცქერი ჯამში გაციებულ, ქონმოგდებულ წვნიანს, რომელშიც ჩამხრჩვალი ბუზები ტივტივებენ, თვადაც ოფლით გამქისული და ტკიპებით დაკბენილი ხარ და სიცოცხლე ფეხებზე გკიდია, იცი რაიმე ამ საზიზღრობის შესახებ? იცი? მან ცოლის მხრები ძალუმად ჩაბღუჯა და შეეცადა მის შემობრუნებას, რათა თვალებში ჩაეხედა, „იტან!“ წამოიყვირა ნილიმ და მახვილი ბოლო ხმოვანზე დასვა, მაშინ ის შეძახილი იტანმა დატუქსავად აღიქვა, „ეტყობა თავის მოსწავლე ვგონივარ, — გაიფიქრა გაღიზიანებულმა, იქნებ მალე ესეც მითხრას: ხელები უკან, ბიჭუნავ!“

ახლა კი ტერფებწაპრილი, ქედჩადრეკილი უმწეოდ ამოსდგომოდა ქალის სხეულს და ყავარჯნის საყრდენებს ისეთი გაგულისებით უჭერდა თითებს, ლამის ფრჩხილებიდან სისხლი გადმოსდენოდა.

ცოტა ხნის შემდეგ განიერ საწოლსა და რბილ ქვეშაგებში ჩაფლული, მეტისმეტად უხერხულად გრძნობდა თავს. ნილი გვერდით ეწვა· ჭურჭლისა და საპნის ფხვნილის მძაფრი სუნით გაჟღენთილი, ქმრის გაუბედავ მკლავზე გადასვენებული, ყავარჯენივით გაშეშებულიყო. კაცი კი ცოლის სითამამეს ელოდა, მცირედი მოძრაობა, თითების მსუბუქი, სურვილიანი შეხება ალბათ საკმარისი იქნებოდა მის აღსაგზნებად.

— შენ არც კი მიყურებ... — სასოწარკვეთით აღნიშნა იტანმა.

ნილი კვლავინდებურად მისჩერებოდა ჭერზე ამოჩემებულ წერტილს· მცირე დუმილის შემდეგ კი მანაც გაბედა და თქვა:

— მე მეგონა, შენ არ გინდოდა, რომ შემეხედა... მხედველობაში მაქვს შენი ჭრილობები.

— ვიცი! — ამოიგმინა იტანმა.

— შენ არაფერი არ იცი, — მიუგო ქალმა, სხარტად შემობრუნდა და თავი მის მკერდში ჩამალა, — მართლაც ვერაფერს ხვდები.

— იქნებ ასეცაა და ვერ ვხვდები, იქნებ არც სურვილი მაქვს... — დაეთანხმა იტანი, გადაბრუნდა და თავზე საბანი წაიხურა, მატყლის სიფაფუკით დაიხშო სმენა, რათა არ გაეგონა ოთახის კუთხეებიდან მომდინარე საშიში ჩურჩული. მერე გულაღმა გაიშოტა და კუნთებში სიძაბუნე ჩაუდგა, მთელი სხეულით

მოიმჩვარა. მერე კი სიზმარი ნახა: სადღაც გარბოდა, იცოდა, მნიშვნელოვანი დავალება ჰქონდა მიღებული დედისგან, რომელმაც პა ნევმიის ქუჩაზე გაგზავნა; ცდილობდა ეჩქარა, მაგრამ ყავარჯნები უშლიდა ხელს, შეშფოთებულს გაელვება, გაყინულ შუბლზე ოფლიანი ხელისგული მოისვა; ღამის შუქზე მეუღლის სახეს მოყვითალო ჩრდილი დაჰკრავდა, შავი თმა შარავანდედივით შემობუროდა. გაახსენდა მაშინ, სამხედრო სამსახურში გაწვევამდე, როგორ უთხრა ნილიმ „დღეს სამსახურიდან გიკითხეს და იცი, რა მითხრეს? ნუ დააკავებ შინ მეუღლეს, კაცი მხოლოდ ცოლის საკუთრება არ არისო! — ამ სიტყვების წარმოთქმისას ნილიმ ღიმება სცადა, ტკივილიანად გაეპო ბაგე, — მე კი მივუგე, რომ ქალებს ეს უფლება ოდითგანვე გვაქვს ჩამორთმეული!“

ნილის თვალებში საოცარი თანაგრძნობა გამოსჭვიოდა და ერთგვარი დანაშაულის გამომეტყველებაც, ახლაც, გამოჰხედა თუ არა, იგივე გრძნობა გაუკრთა მზერაში, მაგრამ იტანმა თავი მოიმძინარა, აღარ შეეძლო ყველაფრის ხელმეორედ ატანა, თუმცა იცოდა საკმარისი იყო მეუღლე მის ქუთუთოებს შეხებოდა, რომ იგი წამწამებით დაუკოცნიდა თბილსა და კეთილ თითებს.

— შენ არ გიამბნია, როგორ შეგემთხვა ეგ უბედურება, — ჩურჩულით თქვა ნილიმ, — ალბათ საშინელი ტკივილი განიცადე, მითხარი ახლაც ძალიან გაწუხებს?

იტანმა თვალები გაახილა და თავისთვის აღნიშნა, რომ ქალმა სიტყვა „ტკივილი“ ივრითული გრამატიკის კანონებით წარმოთქვა, მისი მეუღლე მუდამ პროფესიის ერთგული რჩებოდა და თავსაც იწონებდა სრულყოფილი განსწავლულობით.

— რაც აქ არა ხარ, ბავშვები სულ ხელიდან წავიდნენ, ველურებივით იქცევიან, შენს შესახვედრად შექმნილი სიმღერაც კი ტამტამთა რიტმზე შექმნეს, (როგორც ჩანდა, ნილის გადაავიწყდა, ეს სიმღერა ერთხელ უკვე რომ მოასმენინა, ჰოსპიტალში,) — აბა, ზაბა ჰელი, აბაბა ბა ჰელი, მამიკო დღეს მოფრინდება ჰელიკოპტერით, — იდაყვებზე წამოზიდული ნილი მელოდიურად ღიღინებდა, როდესაც სიმღერა მოამთავრა, ისევ ბავშვებზე ალაპარაკდა.

— რონის თვალები მაშინებს, ისე უელავს, თითქოს ცუდი ზრახვა ჰქონდეს გუნებაში, ყოველთვის შეშფოთება მიპყრობს... — ნილის პერანგი ჩახსნოდა და სავსე მკერდი გამომწვევად მოუჩანდა, იტანმა სრული უმწეობა იგრძნო და თვალთა უპეებში ცრემლები ჩაუდგა, — როდესაც რონი გრძელ ჯინსებშია, ტანმორჩილ კაცს ჩამოაგავს, იცი, რას მთავაზობდა შენი არყოფნის დროს, არც კი დაიჯერებ; დედიკო, შენ ხომ სულ მარტო რჩები ჩვენი დაძინების შემდეგ და თუ გინდა მე მამიკოს მაგივრად დავწვები შენს გვერდით, დიდ საწოლში... ხომ გასაოცარია?!

იტანი მოქანცა ცოლის ტიტყინმა, ნეტავი გაჩუმდესო, ინატრა და კვლავ თავი მოიმძინარა, სიმშვიდე მოენატრა, ქალი კი ამ დროს საწოლში წამოჯდა, ზუსტად მის ფეხებთან და იტანი დაიძაბა, თითქმის შეშინდა, რომ ცოლი არარსებულ და ჯერაც მტკივან ტერფებზე არ დაჯდომოდა.

— ვიცი, რომ ყველაფერი გესმის და თავს იკატუნებ, — მოფერებით უთხრა ნილიმ და ხელი თეძოზე ჩამოადო.

— ტყუილუბრალოდ ცდილობ ჩემს გამხნევებას, — მშვიდად წარმოთქვა იტანმა, — მე კარგად ვიქნები, ძალიან კარგად.

— მეც ვიცი, იტან, ეჭვიც არ მეპარება, — მიუგო ქალმა, ჩამოიჩოჩა და როგორც ბალღს, ისე ეამბორა შუბლზე.

კაცმა საპნის ფხვნილის და კიდევ რაღაც ქიმიკატის სუნი იგრძნო, მხუთავი სპაზმა მოაწვა ყელში, აკანკალებული თითებით გამორთო სინათლე და მეუღლეს ზურგი შეაქცია.

დილით როდესაც ნილიმ ყავა მოუტანა საწოლში, იტანმა მისი ფარული მზერა შენიშნა, შიშნარევი ძრწოლა ჩადგომოდა თვალებში.

— წუხელის მგონი შეგაშინე. — მობოდიშებით უთხრა იტანმა.

— არა, რას ამბობ?! — შეცბა ნილი.

— როგორ არა, ნამდვილად გვარიანად დაგაფრთხე. — ჯიუტად გაიმეორა იტანმა.

ქალს თვალები გაუფართოვდა, მოუსვენრობა დაეტყო.

— მართალი გითხრა, ცოტა უცნაურად კი მოიქეცი... ისე, თითქოს... — გაჭირვებით ამოილუღლუღა და გაჩუმდა.

იტანი უეცრად წამოენთო, მთელი სხეულით აცახცახდა.

— მე არ მითხოვია ყავა ლოგინში! — იღრიალა, — და საერთოდ შეიგნე, რომ არა ვარ ავადმყოფი, არც ხეიბარი, და საერთოდ ჯანმრთელი ვარ, სრულიად საღსალამათი, გასაგებია?!

კაცი მთელი არსებით გრძნობდა, როგორ ეხსნებოდა ახლადპირშეკრული იარები, არარსებული ტერფებიც უფრო მწვავედ სტკიოდა. გაოგნებული, შემცბარი მეუღლე საწოლთან ედგა და ციებიანივით კანკალებდა. იტანმა მკლავში ხელი სტაცა და ძალით ჩამოაჯინა საწოლზე. რამდენიმე წამს ორთავენი ერთი მექანიზმის ზამბარებივით შეთანხმებულად თრთოდნენ, შემდეგ ნილიმ იუე ფრთხილად გაიშვირა ხელი, თითქოს ჩიტს უნდა მოეფეროსო, და ქმრის ნაიარევ თეძოს მსუბუქად შეეხო, მუხლამდე ჩააყოლა მგრძნობიარე, თბილი თითები, და იტანმა უეცარი შვება იგრძნო.

— მე ყველაფერს ვგრძნობდი, — არც კი შეუხედავს, ისე უთხრა, — ნაღმი რომ აფეთქდა, გონება არც დამიკარგავს, პირველი ფიქრი ის იყო, როგორ უნდა მეარსება უფეხებოდ; წარმოიდგინე, ერთგვარი ინტერესიც კი გამიჩნდა, ყველა შედეგი წარმოვისახე გონებაში... მერე და მერე, სიკვდილი მინდოდა, მხოლოდ სიკვდილს ვნატრობდი... დარწმუნებული ვარ, შენც გაიფიქრებდი ამას...

ეს შეკითხვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ქალი ადგილზე შეხტა.

— მე? — გაფითრებულმა იკითხა.

— შენ, შენ! — კბილების ღრჭიალით დაიხავლა იტანმა და უფრო ძლიერად ჩაბღუჯა მისი მკლავი, — იმიტომაც არ მოდიოდი ჩემთან, დიდხანს არ მოდიოდი, შიშობდი, შენს ნააზრევს არ მივმხვდარიყავი, ხომ ასეა?!

კაცმა იგრძნო როგორ გაუქვავდა ქალს მკლავი, მხოლოდ მისი თითები დაბორიალებდნენ ნაიარევ თეძოზე, იფხოჭნებოდნენ და აუტანელ ტკივილს აყენებდნენ.

— გგონია, ვერ ვგრძნობდი შენს გველაძუობას? — ბოღმიანად განაგრძო იტანმა, — შენი საფიქრალ-სადარდებელიც ზეპირად ვიცოდი, იმიტომ, რომ ჩვენ ერთნაირად ვაზროვნებდით, ორთავეს ისეთი შედეგი გვაწყობდა, რომელიც საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა არსებულ მდგომარეობიდან.

ნილიმ ძალისძალით გამოგლიჯა ხელი.

— წარმოიდგინე, რომ მე ახლაც ვხვდები ყველაფერს, — ნაძალადევი სიმშვიდით უთხრა, — შენი დღევანდელი ეჭვები და სატკივარიც ვიცი.

— როგორ? — განცვიფრებით ჩაეკითხა იტანი, — ... თავგრძნობის სიტყვებს ელოდა და იმედი გაუცრუვდა.

— შენს მდგომარეობაში ალბათ ... ასევე ვიქნებოდი. მაშინაც და ახლაც. — იტანი უცბად მოლბა, მა... წაეპოტინა მეუღლეს.

— მო... — ხმაშეცვლილმა უთხრა.

— გადაირიე, — გაოცდა ქალი, — უკვე დილაა, ჩემი სა...

— მოდი-მეთქი, — ჯიუტად გაუმეორა კაცმა.

ნილი დაიხარა და გაფართოებულ, მოელვარე თვალებში ჩახედა.

— დამაცადე, — უთხრა, — წყალს გადავივლებ.

როდესაც ცოლმა ზურგი შეაქცია, იტანმა გაუსაძლისად ამოიოხრა, მისაღებში ჯერ ზარის ხმა გაისმა, რასაც რაზის ჩხაკუნი მოჰყვა.

იტანმა მიაყურადა, სმენა დაძაბა, ვიღაც უცნობი კაცის ხმადაბალი საუბარი მოესმა.

— რას ჩურჩულებთ მანდ? — მთელი ხმით იღრიალა და ყვირილის ხმამ უცნაური, არაბუნებრივი ექო გამოსცა ბინაში.

ნილი დაფეთებული შემოვარდა.

— ეს ხომ რძის დამტარებელია, იტან, ხვალ ბავშვებს უსაუზმოდ ხომ ვერ გავისტუმრებ.

იტანი საწოლში წამოჯდა, ამაოდ ცდილობდა სიბრაზის მოთოკვას, ნილი კი კვლავ კლასის ხელმძღვანელის ტონით ალაპარაკდა.

— მართალია ძნელი მოსასმენი იქნება შენთვის, მაგრამ, ექიმმა გამაფრთხილა, რომ... მოკლედ სექსი ჯერჯერობით არ არის შენთვის აუცილებელი, ჯანმრთელობისათვის უმჯობესია თავი შეიკავო... ასე რომ...

— საკმარისია, — გააჩუმა იტანმა, — მე თავად ვიცი, რა შეიძლება და რა არა.

ნილი დადუმდა, მერე თანხმობით გაუღიმა.

— ჩემი ქმარი არასოდეს ემორჩილებოდა ექიმებს, — ხუმრობანარევი სიკეკლუცით აღნიშნა და საწოლზე ფრთხილად დაეშვა, — კანონები სუსტებისათვის არის შექმნილი! თუ არ ვცდები, თქვენი სიტყვებია.

— ჩვენ კი მიგვიფურთხებია როგორც კანონებისათვის ისე მისი შემქმნელებისათვის! — გადაიხარხარა იტანმა.

— გახსოვს, მაშინაც ასე ჰიკჰიკებდი, ერთის და მეორისაცო, რომ ამბობდი, — აღგზნებით ალაპარაკდა ნილი, — ეს მაღალფარდოვნება კი იმისთვის მოიშველიე, რომ ჩემთვის გეკოცნა, თვით მენაჯერისა და მასწავლებლების თვალწინ, ვერაფერს ვიტყვი, სამაგალითო საქციელია ორი შვილის მამისთვის. — ნილი კვლავინდებურად კისკისებდა და ნიკაპზე კატასავით ელაციცებოდა.

— შენ მალე მოსვლას შემპირდი, — ხმა გაიმკაცრა იტანმა და გამომცდელად შეხედა.

— მერე... მე ხომ აქა ვარ, — გაუღიმა ნილმა და ნებიერად შეირხა.

იტანი დაიძაბა, უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა.

ნილიც მიხვდა ცვლილებას და იქნებ ამიტომაც უთხრა დამამშვიდებლად.

—საღამოთი კი კინოში წავალთ... ბოლო სეანსზე...

— კინოში? — დაიღმუვლა იტანმა,—ბოლო სეანსზე,—ტუჩების პრუწვით გასცინა, — რომ ყველამ ცხადლივ დაინახოს და შეიბრალოს ლამაზი ქალი, რომელიც ბავშვივით ელოლიავება ყავარჯნებზე ჩამოცმულ ხეიბარ ქმარს. ნამ-

დვილ საფრთხო[illegible]ას, ჰო, რაღა თქმა უნდა საცოდავ ქალს ყველა თანაუგრძნობს.

— შენ უბრალოდ გეშინია, — [illegible]პირ მიახალა ნილიმ, — [illegible], რომ გეშინია!

იტანი ისეთი გაგულისებით ეცა მხარში, რომ ქალმა [illegible] ამოიკვნესა და ტუჩებზე იკბინა. მანაც იმწამსვე შეუშვა ხელი, თავი გად[illegible] მიაჩერდა, მზერა გაეყინა. „რა ვქნა, რა ვქნა, რა ვქნა?!“

მეუღლე თითქოს განაფიქრს მიუხვდა.

— თავიდან უნდა დაიწყო ყველაფერი, სხვა საშველი არა გაქვს. — მშვიდად უთხრა.

— როგორც ძველად, არა?

— დიახ, როგორც ძველად.

— და... თავიც ხელმეორედ მოგაწონო ხომ?

— მარტო ეგ არა, უნდა შემაყვარო კიდეც.

— უფეხებოდ? — მწარედ გაეცინა იტანს და კიდურები შეატოკა.

— მე რომ შემიყვარდე, ამისთვის ტერფები სრულებით არ გჭირდება და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, არც ადრე გამოგიყენებია დიდად.

იტანი შეცბა, გამჭოლად შეხედა ცოლს.

— შენ რა, მართლა არ გელოდები?

— მე შემიძლია შეგიცადო ორი კვირა ან ერთი თვე, მერე კი აუცილებლად გავცივდები.

იტანს უნებლიეთ ცრემლები მოერია, ცოტა ხანს იყუჩა.

— მაშინ... ძალიან გთხოვ, — შესაბრალისად, ხმაგაბზარულმა სთხოვა, — სერიოზულად გთხოვ, ისე, როგორც არასოდეს არაფერი მითხოვია...

ქალი უცებ მოლბუნდა, გულში ჩაეკრა, მკლავები კისერზე შემოხვია და ყვრიმალზე დაეკონა.

— შენ ხომ ჩემი ცოლი ხარ? — შეახსენა იტანმა.

ნილიმ თავი შეაბრუნა, ეშმაკური სხივი გაუკრთა თვალებში.

— შენ კიდევ ჩემი საყვარელი ქმარი, ესეც ხომ ასეა?!

იტანმა ხელის გულებში მოაქცია მისი სახე.

— ნილი, ნილი... — მუდარით ამოიგმინა, — შენ ხომ წარმოდგენაც არ გაქვს, როგორ მოეიწევდი აქეთ, ექიმებიც გეტყოდნენ: ამ სურვილმა და სწრაფვამ გამომაჯანმრთელა ასე მოკლე დროში, — იტანი წამით შეჩერდა, აზრი გაეფანტა, — იქ, ჰოსპიტალში უცოლოებს გაცილებით უფრო უჭირთ, — დაბეჯითებით აღნიშნა, — ცოლი და შვილები უებარი მალამოა დაჭრილი ჯარისკაცისათვის, თუმცა დედაც ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ დედა ქალი არ არის... ის სულ სხვაა.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ნილი, — აგერ ხომ ხედავ, — უთხრა და ოთახზე მიანიშნა, — აქ ყველაფერი მზადაა, ბავშვებიც კი დედაჩემთან გავგზავნე, მთელი დღით მოვიცილე, და ერთგვარად თითქოს კიდეც ვუღალატე: მეც ხომ დედა ვარ...

— ვხვდები ნილი, ვხვდები, — სევდიანად აღნიშნა იტანმა და საბანი ნიკაპამდის წაიხურა, — ოჰ, დედა, დედა! — მწარედ ამოიგმინა.

როდესაც ჰოსპიტალში იწვა, მხოლოდ ოჯახში დაბრუნებაზე კი არ ოცნებობდა, წვრილმანებშიც ითვალისწინებდა და ითვლიდა ყოველივეს, უპირველესად მისი აზრით, საჭირო და აუცილებელი იყო ცოლისთვის დაემტკიცებინა,

რომ ისეთივე მამრი იყო, როგორც დასახიჩრებამდე, ამას მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, იმდენად მოეწონა ამ აკვიატებულ აზრს, რომ მკურნალ ექიმს პირობაც კი ჩამოართვა, ვიდრე სრულიად არ გამოჯანმრთელდებოდა, საავადმყოფოდან არ გაეწერათ. ბოლოს, როდესაც ბორბლებიან სავარძელში ათავსებდნენ, მოწყალების დამ, ჩვილი ბალღივით რომ [illegible]ბიდან, რამდენჯერმე გამომწვევად ჩაიკისკისა. იტანს ყოველთვის [illegible] ამ ქალის შავი კულულების ოქროსფერი ბოლოები და თუ წახმარებისას იგი გათქვირული სხეულით შეეხებოდა, ახლადმოწიფულ ბიჭივით წითლდებოდა.

— მიდი იტან, მიდი! — ამხნევებდა მოცინარი მოწყალების და სასწრაფო მანქანაზე აბლოტებულ იტანს, რომელსაც დასახიჩრებული კიდურები მანქანის ძარაზე ჰქონდა შემოწყობილი და იმ ფეხბურთელს ჰგავდა, უკუმალაყით გოლის გატანას რომ ცდილობს.

სასიამოვნო მოგონებიდან ცოლის ფრთხილმა და ნაზმა შეხებამ გამოარკვია.

— შენი ავადმყოფობის ფურცელი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ სრულ წესრიგში ხარ, ამასთანავე ნებისმიერ ფრონტზე სამოქმედოდ, სრული ასი პროცენტით...

მართალია, — სულსწრაფად დაეთანხმა იტანი, — ასპროცენტიან მზადყოფნაში გახლავართ, ქალბატონო, ამას წყალი არ გაუვა.

ამ ბაქიბუქში იყო, რომ ქალის ბაგეთა კუთხეებში გამკრთალი იდუმალი ღიმილი შენიშნა და საოცრად მოესურვილა ნილის თმის თავბრუდამხვევი სურნელის შეგრძნება, მისი ვნებიანი ჩურჩულის მოსმენა. გაახსენდა, როგორ შემოვიდა ნილი პირველად ჰოსპიტალში, თვითონ როგორ ქურდულად უმზერდა დოლბანდში დატოვებული ჭუჭრუტანიდან ღმერთქალივით მომხიბლავ საკუთარ მეუღლეს, ხელში ყვავილების თაიგული რომ ეჭირა და ისეთი სახით მოდიოდა მისი საწოლისკენ, თითქოს უკანასკნელი გამოსათხოვარი მიჰქონდა მიცვალებულთან. ნილიმ ყვავილები ქოთანში ჩააწყო და ფრთხილად დაეშვა საწოლის კიდეზე. იტანმა იმ წამს, არტახებში გამოკრული ჩვილის უმწეობა იგრძნო, გონებაში ერთადერთი ფრაზა უტრიალებდა გამუდმებით: „ის ჩემია... ჩემია... ჩემი..."

ჰოსპიტალიდან გაწერისას მთავარმა ექიმმა სამომავლოდ დადებული განაწესი შეუდგინა: დროსტარება, ჰაერზე ყოფნა და უდარდელობა, თავადაც — მსუქანი, ლაყლაყა და მუდამ მომღიმარი, ამდაგვარი ცხოვრების მოტრფიალე ჩანდა. ო კეი, ყმაწვილო, — ანგლოსაქსური კილოთი დამოძღვრა, — დიდებულად გამოიყურები, ასპროცენტიანი ბულა ხარ!

სწორედ იმ პირველ შეხვედრისას უყვებოდა ნილი შვილებზე და მათ მიერ შეთხზულ ჰელი..., ჰელიკოპტერზე. საბედნიეროდ იტანს ყურები დოლბანდს გარეთ ჰქონდა გამოჩრილი, მართალია დამწვარი, გადატყაული და გაშავებული, მაგრამ მაინც მგრძნობიარე და ბგერების აღმქმელი.

მისი დაჭრის ფაქტი შტაბიდან ეცნობებიათ ახლობლებისთვის, არც ის დაემალათ, რომ იტან კერენის ყოფნა-არყოფნა მის სწრაფ ტრანსპორტირებაზე და დროულ ქირურგიულ ჩარევაზე იყო დამოკიდებული. ყველაფერ ამას ცრემლნარევი ხმით უყვებოდა ნილი. იტანს გაახსენდა, როგორ იკრუნჩხებოდა გაუსაძლისი ტკივილისაგან ვერტმფრენში; ნილი კი რაღაც სულელურ სიზმრებს უამბობს, თანაც წვრილად: როგორ ჯდებოდა ჰელიკოპტერი მათი სახლის სახურავზე, როგორ გრუხუნებდა სახურავი და რა ნდობით ცდილობდა ქმარსდა-

ნატრული, შეშინებული ქალი ამ უზარმაზარი ნემსიყლაპიას მუცელში შეძრომას. სანიტარული ვერტმფრენი, განაწესით შუაღამისას მოფრინავდა, ბავშვებმაც კი იცოდნენ ეს და ამიტომაც მღეროდნენ ხმაშეწყობით — ჰელი... ჰელი... კომპტერი... — სიტყვებიც თავად შეთხზეს: ჰელიკოპტერს მუცელი ბაყაყისა აქვს, დიდი და გაბერილი, და იმ ღიპში ჩვენი მამიკო [illegible]ული...“ ეს ტექსტი რომელიღაც საბავშვო სიმღერას მიუსადაგეს და ზედ რიტმული ცეკვაც დაურთეს. „ჰელი... ჰელი...“ ისე გაჰკიოდნენ, თითქოს ცოცხალ არსებას უხმობდნენ; არც კი იცოდნენ, რომ მათი მამა უკვე ჰოსპიტალში იყო, და ვერტმფრენის ყოველ გამოჩენაზე ველურებივით იქცეოდნენ. მართალი რომ თქვას კაცმა, არც ნილის ადგა უკეთესი დღე, როგორც კი ციდან ვერტმფრენის ხმა შემოესმებოდა, ფეთიანივით მიიჩქაროდა ტელეფონისკენ და გულგახეთქილი ელოდა ზუმერს, მან თითქმის არაფერი იცოდა ქმრის მდგომარეობის შესახებ, მხოლოდ გაზეთის ძუნწი ინფორმაცია, რომ სამხედრო მანქანა ნაღმზე აფეთქდა, სადღაც აღმოსავლეთით თუ სამხრეთით, თითქოს მიმართულებას რაიმე არსებითი მნიშვნელობა ჰქონოდა, ახლა, მადლობა ღმერთს, ეს კოშმარი დასრულდა.

საუბრისას ნილი ვერ ისვენებდა, ხან სარკეს იმარჯვებდა და თმას ისწორებდა ან ტუჩებს ილებავდა, ბოლოს საყურეებიც კი ამოაცოცა ჩანთიდან და ყურებზე მოირგო, ბოლოს სათქმელი მოამთავრა და უმწეოდ გაიღიმა, — ხედავ, — უთხრა, — თავი გავილამაზე.

ცოტა ხანს იყუჩა, ფარული მზერით შეათვალიერა ქმრის გამოტილი სხეული.

— მე ტანზეც კი ვისხურე სუნამო, — ჩურჩულით გაენდო და მკერდი სახესთან მიუტანა.

იტანმა არაარსებული ტერფების წვა იგრძნო და სწორედ მაშინ მოწყალების და მიუახლოვდათ რომელიც ამ დრომდე სფინქსივით გაქვავებული უთვალთვალებდა პალატის კუთხიდან; იგი შეთქმულივით მიეახლათ და ავადმყოფის საწოლთან ფარდა ისე ჩამოაფარა, თითქოს სოფლის კლუბის მაყურებელს სპექტაკლის დასასრული აუწყაო.

ნილი შეცბა, სახტად დარჩა, თუმცა უდავოდ გააფრთხილებდნენ, რომ იქ, ჰოსპიტალში, ცოლქმრული ურთიერთობა ჩვეულებრივ, მისაღებ ფაქტად ითვლებოდა.

— იტან, ისევ გიყვარვარ? — მთრთოლვარე ხმით დაიჩურჩულა, — გთხოვ, ნუ დამიმალავ, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ერთიც, მინდა დარწმუნებული იყო, რომ შენ არაფერი გაქვს სადარდებელი, არც აწმყო და არც მომავალი... იცი, ტალი ვერაფრით ვერ დავაოკე, ისე აიკვიატა აქ წამოსვლა, ბავშვების ახირების ამბავი ხომ იცი?!

— ბავშვები? — ამოიხრიალა იტანმა.

— ხვალ მოვიყვან, — დაუყვავა ნილიმ, — მინდოდა ერთი-ორი დღე დაგესვენა.

—ბავშვები! — თავშეკავებულად დაიღმუვლა იტანმა, — ახლავე, ამ წუთში აქ გაჩნდნენ, გთხოვ... დაუყოვნებლივ...

როდესაც ბიჭები პალატაში შემოიძურწნენ, იტანი უკვე სავარძელში იჯდა, გაპრიალებული ფეხსაცმელები საიმედოდ ფარავდნენ მის ნაკლს, მაგრამ პატარებს მაინც ეშინოდათ იმ კაცთან მიახლოვება, რომლის სახესაც ვერ ხედავდნენ, ბოლოს რონიმ გაბედა, ყოყმანით მივიდა და კისერზე აკოცა, მერე ტუჩები ხელისზურგით მოიწმინდა და, კანფეტები თუ ჩამოგვიტანეო; პასუხაც

აღარ დაელოდა, ყავარჯნები დაისაკუთრა და ოჩოფეხებად გამოიყენა: თან ამაყად გაიძახოდა „მამაზე მაღალი ვარ. შემომხედეთ!“ ტალიმ კოცნაც არ აღირსა, ბორბლებიან სავარძელზე მოკალათებული და შუბლზე კულულებჩამოშლილი. ქვეშ-ქვეშ აკვირდებოდა მამას, რომლის დავიწყებაც უკვე მოასწრო. იტანმა თითის ქნევით მოიხმო, მაგრამ ბიჭმა ჯიუტად გაიქნია თავი. მაშინ იტანმა აუხსნა როგორ აეხსნა სავარძელზე მუხრუჭები და როგორ ეტრიალებინა ბორბლები, დედამაც გაამხნევა: „მიდი ტალი, მიდი, გაქანდი მამიკოსკენ! — თან წაუმღერა, — მამა მოფრინდა ჰელი... ჰელიკოპტერით“, და სავარძელს ხელი ჰკრა. დამუხრუჭებული სავარძელი წინ გადაქანდა, ტალი გადმოვარდა, იტანის ფეხებთან დაასკდა იატაკს, ცხვირიდან სისხლი წასკდა და აღრიალდა.

სახლში დაბრუნებისთანავე იტანმა ცალკე საწოლი ინდომა, საძინებელ ოთახში განმარტოვდა და განდეგილივით იწყო ცხოვრება. მას ყოველ დილით ესმოდა როგორ ამზადებდა ნილი ბავშვებს სკოლისა და ბაღში წასასვლელად. შემდეგ ისინი პარმაღზე გადიოდნენ, ბიჭები პირიდი მცველებივით აქეთ-იქიდან ედგნენ დედას, მერე სიჩუმე ისადგურებდა ბინაში და აღარც იყო რაიმე მიზეზი საწოლიდან წამოსადგომად. იტანი მაინც წამობობღდებოდა საწოლიდან. დათხილი გადიოდა გვერდით ოთახში, სადაც განიერ საწოლზე უწესრიგოდ მიმოყრილ ქვეშაგებს ჯერ კიდევ ასდიოდა მისი ცოლ-შვილის დამათრობელი სურნელი. ხეიბარი თავფეხიანად, თხუნელასავით ძვრებოდა საბნის ქვეშ და იმ ბედნიერ დღეთა მოგონებების ნირვანაში ეფლობოდა, როდესაც, სავალდებულო სამსახურში გაწვევამდე, ის და ნილი, ამ სარეცელზე მეოხებით გულუხვად უხდიდნენ ხარკს სიყვარულის ქალღმერთს.

ერთხელ, ჯერ კიდევ ჰოსპიტალში ყოფნისას, ნილიმ უამბო თუ როგორ აქციეს ბიჭებმა მათი საწოლი აუზად, რომელშიც დიდი მონდომებით სწავლობდნენ ცურვას. იქვე ეშმაკური ღიმილით ისიც უსაყვედურა, შვილების ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, წესით, მამაკაცი უნდა ზრუნავდესო.

რომელიმე ამდაგვარი მოგონებით სულშეძრული იტანი საწოლს სტოვებდა, ბორბლებიან სავარძელს უბრუნდებოდა და ბინაში მოგზაურობას იწყებდა. იგი ჯერ კიდევ ვერ ფლობდა სრულყოფილად სავარძლის მართვის ტექნიკას და ამიტომაც დიდი სიფრთხილით დაგორავდა ოთახებში, შიშობდა, შემთხვევით არ წამოსდებოდა და ნამსხვრევებად არ ექცია ის პატარ-პატარა ქანდაკებები, გზად რომ ელობებოდნენ.

მოგზაურობას იტანი ბავშვების ოთახში ამთავრებდა, სადაც ზოლებიან ნოხზე წამოწოლილი იგონებდა იმ ბედნიერ დღეებს, როცა მუხლებზე წამოსკუპულ რონის ცხენოსნობას ასწავლიდა და აღტაცებული ბიჭი ინდიელივით კიოდა. ახლა კი მას ხელების მიშველებაც სჭირდებოდა, რომ დაუძლურებული მუხლები როგორმე სავარძელზე აეკეცა.

ოჯახში დაბრუნების პირველ დღეებში იტანი სიტყვის უთქმელად ცდილობდა შვილებთან ხელმეორედ დაბრუნებას და პურის გულისგან ჩიტების თავებსა და ადამიანის ტერფებს ძერწავდა. სანამ ნილიმ არ გააფრთხილა, რომ პურის ტყუილუბრალოდ გაფუჭება დიდ ცოდვად ითვლებოდა. იტანი უთქმელად დაემორჩილა, რადგან დიასახლისის სიტყვა ყველასთვის კანონი იყო. ქალმავე შემოიღო შუადღის სავალდებულო ძილი, და ამით, იმ ბლენძ დირექტორის მოადგილეს მიბაძა, ახლახანს რომ იყო დაბრუნებული სამხრეთ ამერიკიდან. სწორედ ის გაქსუებული იბარებდა გამუდმებით კაბინეტში რონის და დედამისის თანდასწრებით ტუქსავდა: არც დიდაქტიკური შეგონებები

ავიწყდებოდა, დაახლოებით ამგვარი ხარისხისა: „ოჯახში წესრიგს მამაკაცის მტკიცე და მსახვრალი ხელი ამყარებს". იქნებ ამიტომაც წუწუნებდა ნილი გამუდმებით, რომ ის მხოლოდ ქალია, ხოლო რონი და ტალი სულ უფრო და უფრო მიდიან ხელიდან.

სიესტის დადგომისთანავე იტანი გარიყულივით ჯდება სავარძელში და შუადღის გაზეთს ფურცლავს, მაღვიძარა კი მონოტონური წიკწიკით აღნუსხავს დროს და იმ ჟამისკენ მიიწევს, როდესაც მისი მეუღლე სამხრეთ-ამერიკული ძილიდან გამოერკვევა და კვლავ სამსახურში წავა, ხეიბარი კი კვლავინდებურად მარტოხელად დარჩება. იტანი უგულისყუროდ დაატარებს მზერას გაზეთის ფურცლებზე და ალღოთი პოულობს იმ ცნობას, რომელსაც ყოველთვის კითხულობს. მშრალ ფრაზებში ჩაწვდომით, სავარძელს მიბმული ვეტერანი ცდილობს ამოიცნოს; ვინ დაიღუპა გმირის სიკვდილით და ვინ კიდევ — მოვალეობის შესრულების დროს. დაჭრილებს მხოლოდ გვარებით იხსენიებენ. მაგრამ მისი სახელი მაინც უნდა გამოჩნდეს, თუნდაც საშინაო ვაჭრობის ბანკის თანამშრომელთა განცხადებაში, რომლითაც ისინი თანაგრძნობას უცხადებენ მის მეუღლეს და შვილებს მარჩენალის — ათისთავ იტან კერენის მძიმედ დაჭრისა და დაინვალიდების გამო; ანდა ჩოგბურთის კლუბის ოფიციალურ განცხადებაში, რომელშიც დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ჯორჯ-იოსები, კოლეგების სახელით დიდ გულისტკივილს გამოთქვამს ახალგაზრდა სპორტსმენის იტან კერენის უიღბლო სპორტული მომავლის გამო.

დიდი ბუზი თავგამოდებით აწყდებოდა ფანჯრის მინას და მისი მონოტონური ბზუილი წყვეტს იტანის ფიქრს და უდუნებს გრძნობებს, და იტანიც ნელნელა იძირება შფოთვარე, მოუსვენარ ძილში, ინთქმება საფარის მცხუნვარე ღამეში. მათი სამხედრო მუხლუხებიანი მანქანა მორიგი საბრძოლო დავალებიდან ბრუნდება, შორს მოპირდაპირე მხარეს მოჩანს ბანაკის სინათლეები, და ძრავის ხმაურს ცვლის მაღვიძარას მკვეთრი წკრიალი. იტანი გაჭირვებით ახელს თვალს და კარში ნილის ნამძინარევ სახეს და აბურდულ თმას ხედავს. ნილი სწრაფად ქრება. აბაზანიდან წყლის ჩხრიალის ხმა ისმის, იტანი შრიალით კეცავს გაზეთს; ამასობაში ნილი ბავშვებს აცმევს და ემზადება, რომ სასეირნოდ გაისტუმროს ისინი, თან აფრთხილებს დროულად დაბრუნდნენ. ექვს საათზე ტელევიზიით მათი საყვარელი ფილმი იწყება რობინ ჰუდზე. ბიჭები სიყმაწვილიდანვე უნდა განიმსჭვალონ გმირული სულისკვეთებით; ეს, რაღა თქმა უნდა, მისი სიმამრის სიტყვებია. ქალი ახლაც მამის ზეგავლენის სფეროშია მოქცეული, თუმცა გმირობა და ოქროულობით ვაჭრობა რაღაც ვერ ესადაგება ერთმანეთს. ნილი ერთადერთი მემკვიდრეა და სრულიად დასაშვებია, რომ მან ჯერ კიდევ ვერ აპატია მეუღლეს ის სიჯიუტე, ქორწინების წინ — სიმამრის ნება-სურვილს რომ აღუდგა, ან კი რა აზრი ჰქონდა ყოველ შაბათ დილით სინაგოგაში სიარულს, როცა მას, იტან კერნერს, სამ ომში ნაწრთობს, ერთი ნაკაწრიც არ ჰქონდა. შაბათს (საოცარი დამთხვევაა) იგი კვლავ ბრძოლის ველზე იქნებოდა. ახლახანსაც, უკანასკნელისწინა დაბრუნებისას, სიმამრის ახალ შეთავაზებაზე, სიძემ ძველებურად განაცხადა კატეგორიული უარი — „დაე, თავად წაბრძანდნენ სინაგოგაში შენი ღვთისმოსავი, ოქროს მამიკო და მის არეულგადარეული დრო!" ფრაზის მომთავრებისთანავე პიჟამო გაიძრო და დედაშობილა ისე გაიშხლართა დივანზე, თითქოს თვალსაჩინოდ სურდა დაემტკიცებინა ცოლისათვის საკუთარი სხეულისა და ჯანსაღი კიდურების სრულყოფილება.

— ბავშვები?! — შეშფოთებით წამოიძახა ნილიმ, — სადაცაა დაბრუნდებიან.

საპასუხოდ იტანმა მკლავები გაუკავა, წამოაქცია და ყურში ხითხითით ჩასძახა: — არ უნდა გრცხვენოდეს შიშველი ჭეშმარიტებისა!

ქალი გასხლტომას ცდილობდა, ერთხელ თითქმის მოახერხა კიდეც, მაგრამ კაცმა ტერფებში მოიმწყვდია მისი კოჭები... და შემდეგ რატომღაც ნდომა აისრულა, სიამოვნებით დაძაგრა და აათამაშა კუნთები.

ნილის საყვედურიან მზერაზე, (რომელიც უეჭველი თვალთმაქცობის ნიმუშად გამოდგებოდა) სიცილი აუტყდა.

— გუშინ ჩოგბურთის კლუბის ჩემპიონატი მოვიგე, — თავმომწონედ უთხრა, — ომის დამთავრებისთანავე კი მისი განშტოების მენეჯერი გავხდები. — ამას რომ ამბობდა, ქალის შიშველ ზურგს გამომწვევად ჩქმეტდა თითებით, — რაც შეეხება სინაგოგას, — განაგრძო, — პირობას გაძლევ, როგორც კი ჩემი ღრმადპატივცემული სიმამრის ასაკს მივაღწევ, ხახამივით დღენიადაგ იქ ვიქნები აყუდებული.

— შენ მართლაც აუტანელი გახდი! — ბეჭები შეარხია ნილიმ და უნებურად გაეღიმა, როდესაც თავს დამარცხებულად თვლიდა, ნილი ყოველთვის ამ გამოთქმას იშველიებდა.

ეს იყო მაშინ...

ახლა კი — ხეიბარ იტანს ესმის, თუ როგორ კეპავს სამზარეულოში კიტრს მისი ცოლი, რომელსაც ეჩვენება, რომ მას უმოძრაობისაგან სიმსუქნე ემალება და ასეთ დროს ბოსტნეულის სალათები პირდაპირ მისწრებაა; კიდევ აუცილებელი ყოფილა ფიზიკური ვარჯიშები და გაზეთების კირკიტის მავნე ჩვევის უარყოფა. ამასთანავე მისი ქალბატონი დარწმუნებულია, რომ იტანი, რაიმე სერიოზულ საქმეს უნდა ეწიოს, ჭორებითა და ზღაპრებით არ გამოიტენოს თავი. ამ მხრივ სწორედ რომ მისწრებაა ნილის სკოლის ბიბლიოთეკა, მრავალმხრივი და აურაცხელი საგანძურით.

— ნილი, მე მოვნახე სერიოზული წიგნი, — შეეხმიანა იტანი.

მართლაც, ამ დილით, როდესაც ოთახებში დაგორავდა, ერთ ბროშურას წააწყდა, თავფურცელზე მსხვილი ასოებით წაეწერათ. „იტან კერნერს, საუკეთესო მსროლელს — სნაიპერთა კურსის უფროსისაგან".

როგორც კი წარწერა წაიკითხა, იმწამსვე ვენები დაებერა ყელზე.

— უნდა გაგანდო, რა სიბრძნე წერია აქ! — გასძახა ცოლს და ღვარძლიანად გადაიხარხარა, აღარც თანხმობას დაელოდა, ჩანიშნულ გვერდზე გადაფურცლა და კითხვა დაიწყო.

„ამ ბოლო დრომდე ფიქრობდნენ, რომ ადამიანისათვის საბედისწერო იყო აფეთქებული ჭურვის ნამსხვრევი, რომელსაც დარტყმის მომენტში 8 კგ/მ ენერგია ახლდა; ახლა, თანამედროვე გამოთვლით ეს მონაცემები არარეალურია, რადგან აღმოჩნდა დამატებითი ფაქტორები, მაგალითად: ორ ნამსხვრევს, რომელსაც ერთნაირი პოტენციური ენეგია აქვთ, მაგრამ სხვადასხვა მოყვანილობა — ერთს ბრტყელი, მეორეს კი ისარივით წამახული, სხეულში შეჭრისას სხვადასხვა შედეგი ექნებათ. წამახული გაცილებით თავისუფლად შეაღწევს სხეულში და უფრო სერიოზულ შინაგან დაზიანებებს და, შესაძლოა, სიკვდილსაც კი გამოიწვევს. ამის დასამტკიცებლად წარმოვიდგინოთ ორი სხვადასხვა ფორმის და ერთნაირი წონის საგანი, რომლებსაც რვა მეტ-

რის სიღრმიდან დავუშვებთ დაბლა მდგომ ორ ადამიანზე. გასაგებია, რომ იმ უბედურს, რომელსაც წამახული საგანი დაეცემა, გაცილებით მეტი შანსი აქვს საიქიოში მოხვედრისა, ვიდრე მეორეს..."

იტანმა წამით მოაშორა მზერა ფურცელს და დაინახა კარებთან მდგომი ნილი, ცალი ხელი ჯიბეში ჩაეყო, მეორეთი კი სალათიანი ლანგარი ეჭირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაამთავრე?! — მკაცრი ხმით ჰკითხა ქალმა.

— შენ თვად არ მირჩიე სერიოზული წიგნი? — ღვარძლიანი დაცინვით შეეპასუხა იტანი.

— მე გეკითხები, დაამთავრე თუ არა? — ტუჩები გაბუსხა ნილიმ.

— ჯერ არა. — მოჩვენებითი სიდინჯით მიუგო იტანმა და კითხვა განაგრძო: „ამჟამად დამტკიცებულია, რომ ტყვიას ან ჭურვს, თუ იგი ეჯახება ან ესობა სხეულს 1 კვადრატულ სანტიმეტრზე 7 კგ/მეტრის ძალით შეუძლია მოკლას ადამიანი. თუმცა არც ესაა ზუსტი გამოთვლა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ნაკლები დარტყმის ძალის მქონე სხეულიც კი გამოიწვევს სიკვდილს, თუ ის ადამიანს ნაკლებადდაცულ სასიცოცხლო ორგანოში მოხვდა, ვთქვათ საფეთქელში, თვალში, გულში და სხვა".

იტანმა წამით სული მოითქვა და იმგვარივე მონოტონური ხმით იკითხა: შენ როგორ ფიქრობ, ამ მხრივ გამიმართლა თუ არა?!

ნილიმ მისი შეკითხვა უპასუხოდ დატოვა.

შებინდებისას მთელი ოჯახი სასადილო მაგიდას უსხდა დიდ ოთახში. იქ იტანის სავარძელი შედარებით თავისუფლად მოძრაობდა. ტალის მარჯვენა ხელის ცერი კბილებშუა მოექცია და სალოკი თითით წარბს იფხანდა. რონი მოუსვენრად ცქმუტავდა და ფეხებს იქნევდა.

ნილი თვალგაშტერებული უმზერდა უფროს ვაჟს.

ტელევიზორში სარეკლამო გადაცემა მთავრდებოდა, სადაცაა ფილმი დაიწყებოდა.

— რობინ ჰუდი! — შლეგიანივით წამოიძახა რონიმ, — მისი ნასროლი ისარი ყოველთვის ხვდება მიზანს.

— ყოველთვის? — უნდოდ იკითხა იტანმა.

— რა თქმა უნდა, მამა. — დაადასტურა ბიჭმა.

იტანს გააჟრჟოლა, თითქმის ფიზიკურად შეიგრძნო როგორ ხლეჩდა ისარი სხეულს.

— გინდა ზუსტი სროლის შესახებ წაგიკითხო? — გამომწვევად შესთავაზა შვილს.

ბიჭს თვალები გაუფართოვდა. — რა თქმა უნდა, — თქვა და მარცხენა ფეხი მარჯვენის ქვეშ ამოიდო.

იტანმა სავარძლის ჩანთიდან წიგნი ამოიღო და გადაშალა.

ბავშვები სმენად იქცნენ, ნილიმ კი აღშფოთებული მზერა მიაპყრო ქმარს. თუმცა იტანმა იოტისოდენა ყურადღებაც არ მიაქცია.

„ადამიანის სხეულში მოხვედრილი ისარი იწვევს ორ ძირითად შედეგს, — მშვიდად კითხულობდა იტანი. — პირველი დროებით გავლენას ახდენს მასზე, მეორე მუდმივს. ძლიერი დარტყმის დროს ორგანიზმში წარმოიქმნება ეგრეთწოდებული „წნევის კუთხე", რომელიც მკვრივად კუმშავს სხეულის ხერხემლ ქსოვილებს. თუ ისარი ისე გაივლის, რომ არ დააზიანებს მნიშვნელოვან სასიცოცხლო ორგანოებს, სისხლძარღვებს, არტერიებს, სასუნთქ ორგანოებს და სხვა, მაშინ „წნევის კონუსის" არე უბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას, მაგ-

რომ თუ ისრისაგან შექმნილ გამჭოლ არეში რომელიმე მნიშვნელოვანი ორგანო მოხვდა, მაშინ ადგილი ექნება მუდმივ დაზიანებას. ისრის ნაკვალევზე კუნთოვანი ქსოვილები და ნერვები გაგლეჯილია, მაშინ წარმოიქმნება მუდმივი ჭრილობა, რომელიც დიდი ხნის გავლის შემდეგაც კი მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება მოშუშდეს, თუ არა და სამუდამო იარად დარჩება".

იტანმა წიგნი დახურა და მაშინვე მიხვდა, რომ აღარავინ [illegible] ნილი ჭურჭელს რეცხავდა სამზარეულოში, ბიჭები კი ტელეეკრანს მისჩერებოდნენ, სადაც მათი საყვარელი გმირი მიზანშეუმცდარად ტყორცნიდა ისრებს მოწინააღმდეგეთ და ბავშვები ალტაცებულნი უმზერდნენ მას, დარწმუნებულები, რომ უთანასწორო ბრძოლაშიც კი მუდამ ის იმარჯვებს, ვის მხარეზეც სიმართლეა.

ნილი უკვე კრებაზე წასასვლელად ემზადებოდა. „დროზე დავბრუნდებით" — გამოსძახა, დარწმუნებულმა, რომ პედანტი დირექტორის მოადგილე წამითაც არ გადააცილებდა დაგეგმილ დროს. ბავშვები თავისთავად ემზადებოდნენ დასაწოლად, ისინი მამას არასოდეს აწუხებდნენ, ხანდახან ტალიმ იცოდა ჩასვლეება, მაგრამ ცოტა ხანს იწკმუტუნებდა, მხარს იცვლიდა და კვლავ იძინებდა. ასე, რომ იტანს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრება, შესაძლებლობა აქვს, როგორც სურს, ისე მოისვენოს, თუმცა რა იცის ნილიმ, რა საზიზღრად გულისმომწყვლელია ზოზინით მიმავალი დრო, განსაკუთრებით ღამით, აქაც და იქაც — სანგარში, როდესაც წამებს ითვლი არაფრისმომტანი განთიადის მოლოდინში.

იტანი აბაზანაში შეფართხუნდა, ნილის წასვლამდე უნდა მოესწრო ეს პროცედურა, უმტკივნეულოდ მხოლოდ მეუღლის მგრძნობიარე თითები ახერხებდნენ მის განბანვას. ღრმად ჩამჯდარი, დაკბილული იარები მკერდზე და მუცელზე ჯერაც არ ჰქონდა მოშუშებული.

აბაზანის კაფელაკრული კედლები ჰოსპიტლის თვალისმომჭრელ სითეთრეს აგონებდა. ხეიბრის აღგზნებული მზერა უაზროდ და შიშნეულად დაძრწოდა ამ ქათქათა ზედაპირებაზე, ვიდრე საკუთარ ორეულს არ წააწყდა სარკეში და ამან კიდევ უფრო შეაძრწუნა. სასწრაფოდ გადაგორდა აბაზანაში, მუთაქასავით მოხერხებულად ჩაეპერტყა და შენიშნა სასირცხოსთან თმა მედუზის საცეცებივით რომ აუფრიალდა. „ადამიანი-მედუზა", — გაიფიქრა და მუცლის ნაიარევს დააცქერდა. საინტერესოა ნაღმის ნამსხვრევი სასიკვდილო იყო თუ მხოლოდ ჭრილობების გამომწვევი? იმწამსვე მიხვდა მაჯლაჯუნა აზრის მოშორების აუცილებლობას და თავს შეუძახა: „შენ ჯანმრთელი ხარ, იტან! "ცოტა ხნის შემდეგ კი განმარტა"... ჯანმრთელი... როგორც დიდი, საცეცებწაცლილი, ბოლისფერი მედუზა, რომელიც ბრიყვულად ერთგულია თავისი საზიზღარი ცხოვრების... ასე ვარ მეც, და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავწყვიტო, ვინ ვარ? რა ვარ? და ღირს თუ არა ასეთი არსებობა ქვეყნად?!"

რატომ არ გამაფრთხილე? — უსაყვედურა ნილიმ, სახელოები აიკაპიწა და მწვანე ღრუბელით მის გულდაგულ გასაპვნას შეუდგა.

იტანი ბეჭებით გრძნობდა მისი თითების სიმშაგეს, ის წინ გადაიხარა, ხელები თეძოებქვეშ ამოიდო და ზურგის კუნთები დაძაბა. „ასე არსებობა კიდევ დასაშვებია, — თვითგვემით ფიქრობდა, — ერთადერთი რაც მომეთხოვება, ღრმად უნდა ვისუნთქო და შერწყმამდის შევითვისო საკუთარი ცოლის თითები".

იტანმა ონკანი გახსნა და პირისახე ცივ ჭავლს შეუშვირა.

— მხეცო! — იყვირა ნილიმ და გვერდზე გახტა, თან წყლის წვეთებს იფერთხავდა მუშამბის წინსაფრიდან, რომლის შემოკვრაც არასოდეს ავიწყდებოდა.

„კაბის გამოცვლა მაინც მოგიწევს“, კმაყოფილებით დაასკვნა იტანმა, რომელიც გვერდული მზერით გრძნობდა, როგორი ძრწოლვით დასცქეროდა ქალი მის დასახიჩრებულ ფეხებს.

— ცუდი ბიჭი ხარ! — უთხრა ნილიმ და ხაოიანი პირსახოცით შეუდგა მის გამშრალებას.

— მე დიდი ხანია აღარა ვარ ბიჭი, — იუარა იტანმა, — შენ ხარ ჩემი, ბოლისფერი შებოლილი მედუზა.

ხაოიანი პირსახოცი გაშეშდა.

— შებოლილი და ბოლისფერი? — უაზროდ იკითხა ნილიმ, მერე მკლავში ჩაეჭიდა, რომ აბაზანიდან ამოსვლაში მიხმარებოდა.

— თვითონაც შევძლებ, — გაბრაზდა იტანი და ქალი უხეშად მოიცილა.

— იტან! — ხმა გაიმკაცრა ნილიმ, ზუსტად იმ ზღვრამდე, სადამდისაც პედაგოგს შეეფერებოდა.

აბაზანიდან ამობობღებისას იტანმა სხეულის სიმძიმე მკლავებზე გადაიტანა და კუნთების სასიამოვნო დაჭიმულობა იგრძნო, თავი ჩაქინდრული ჰქონდა და დაჩეხილ ტერფებს უაზროდ ჩასცქეროდა. „უზარმაზარმა მედუზამ მძლავრ საცეცებში მოაქცია ქალის სუსტი სხეული და იქამდის ჰყავდა შებოჭილი, ვიდრე არ იგრძნო როგორ შეუსუსტდა მსხვერპლს სისხლის ძინისმომგვრელი პულსაცია“ — გაუელვა გონებაში და ამ აზრმა თავადვე გააოცა.

— თუ დაგჭირდე, გამომძახე, — კარის გახურვამდე უთხრა ნილიმ. იტანი დაიოთხა, კენტავრივით შევარდა ოთახში და შიშით დაფეთებულ ცოლს კოჭში სწვდა, ქალი მხოლოდ წამიერად გაშეშდა და შემდეგ კი გაუძალიანდა, ყოველმხრივ ცდილობდა არ წაქცეულიყო, მაგრამ ოთხფეხამ მაინც იმარჯვა და რაც მეტად ეწინააღმდეგებოდა ქალი, მით უფრო შმაგდებოდა. ბოლოს და ბოლოს, კენტავრის მკლავებიდან და თითებიდან ქალის ხერხემალსაც გადაედო მწვავე ენება და მოუთოკავი ჟინი.

— კრებაზე დამაგვიანდება, — ულონოდ ამოიკვნესა ნილიმ და საკინძე შეიხსნა.

სამყარო კი ისეთივე აღმოჩნდა, როგორც მილიონი საუკუნის წინ, დასახიჩრებულ ნატერფალებს არაფერი შეეცვალა.

— ჩემი ბოლისფერი მედუზა, — დაიჩურჩულა დაღლილმა ქალმა და კაცს ყურის ბიბილოზე აკოცა.

იტანს გამარჯვებულის ღიმი გაუკრთა ბაგეზე, მზერას ვერ აშორებდა საყვარელ სხეულს.

— რაიმე დამაფარე, — სთხოვა ცოლმა.

— მაინც რატომ? — გაალოზიანა იტანმა.

— ორი მშობიარობა ქალს სილამაზეს ვერ მატებს.

— არც მთლად ეგრეა, — დაამშვიდა იტანმა.

— მუცლის ნაიარევი ტალის საჩუქარია, — დანანებით აღნიშნა ნილიმ, — დათვის ბელივით მსუქანი იყო და გვერდულად მოდიოდა.

ქალმა კაცის ხელს ხელი ჩასჭიდა, მიიზიდა და ნაჭრილობევზე დაიფარა — ყველას აქვს საკუთარი, განუმეორებელი ნაიარევი! — სიცილი აუტყდა იტანს.

ნილიც შეთქმულივით აჰყვა. ჩუმად, თავშეკავებით ხითხითობდნენ, გვერდით ოთახში ბავშვებს ეძინათ.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაჰარიში ნიკოლოზ რერიხი

## წიგნიდან „მორიას ყვავილები"

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ტარიელ ბიბილურმა

### შელოცვა

I

1. მამა — აგნი.[1] ძე — აგნი.
სულიწმიდა — აგნი.
სამება თანაარსი, სამება განუყოფელი.
გზნება და სიმხურვალე — გული მათი.
ცეცხლი — თვალი მათი.
გრიგალი და ალი — ბაგე მათი.
გზნება ღვთაებისა — აგნი.
ბოროტს აგნი შთანთქავს.
ალი ბოროტს დაწვავს.
გზნება აღმოფხვრის ბოროტს.
სიავეს განწმენდს.
უვნებელყოფს დემონთა ისრებს.
დაე წარხოცოს უხსენებლის გესლმა
ბოროტი!
აგლამიდ[2] — გველო მბრძანებელო!
არტან, არიონ, ყურად იღეთ!
ვეფხვი, არწივი, ლომი ველქოყანის!
ბოროტისაგან დაიხსენით!
უნასად იქეც, ცეცხლად განიმქვერ,
გასწყვი, დაიკარგე,
ავსულო.

II. მამა-მშვიდი, ძე — მშვიდი,
სულიწმიდა — მშვიდი.
სამება თანაარსი, სამება განუყოფელი.
ლურჯი ზღვა — გული მათი.
ვარსკვლავნი — თვალები მათი.
ღამის ნათელი — ბაგე მათი.
სიღრმე ღვთაებისა — ზღვა,
ზღვით მოილტვიან ავსულები.
მათ ვერას ვნებენ ისრები დემონთა.
ფოცხვერო, მგელო, სონლულო,
იხსენით ბოროტი!
გზანი
გზანი უტიეთ!
კიიოს, კოიზავი,
მიიღეთ ბოროტი.

III. ქვა საცნაურპყავ.[3] ქვა დაიუნჯე.
აგნი დაიფარე. აღენთე ცეცხლად.
წითლით შეუპოვრით.
ლურჯით აუმღვრეველით.
მწვანით განბრძნობილით.
ერთი იცოდე. ქვა დაიუნჯე.
ფუ, ლო, პო, ქვას შეუდექით.
მიაგეთ ძლიერთ,
უბოძეთ ერთგულთ.
იენნო გუიო დია, —
გზამართლით იარ!

1911.

---

1. „ცეცხლი" სანსკრიტულად.
2. მაგიური სიტყვები დედანში განმარტებული არ არის.
3. იგულისხმება საკრალური ქვა ჩინტამანი...

(მთარგმნელის შენიშ.)

## წმინდა ნიშნები

ჩვენ არა ვიცით. მაგრამ მათთვის საცნაურია.
ქვებმა უწყიან. ხეებისთვის ცნობილი არის
და სახსოვარი.
ახსოვთ, ვინ მისცა სახელები წყალსა და ხმელეთს.
აწ მტვერადქცეული ქალაქები ცად ვინ აზიდა.
ვინ დააარსა გარდასული სახელმწიფონი.
სიტყვები ჩვენთვის ამოუხსნელი.
ყველა მათგანი აღსავსეა შინაგანი ძალმოსილებით.
ზეობის ჟამით იმსჭვალვიან ირგვლივ ყოველნი.
ყველგან გმირების ნაკვალევია.
საამურია სიტყვა „იცოდე“.
„გახსოვდეს“, — სიტყვა შემზარავია.
ცოდნა და ხსოვნა.
ხსოვნა და ცოდნა.
ნიშნავს გჯეროდეს.
ხომალდები სერავენ ზეცას.
იღვრებოდა თხევადი ცეცხლი.
სიკვდილ-სიცოცხლის ნაპერწკალი აკმევდა ნათელს.
ლოდები ტაძრად მაღლდებოდნენ
მეოხებით სულიერი ენერგიისა.
აწრთობდნენ მახვილს სასწაულებრივს.
იდუმალ სიბრძნეს ინახავდნენ ხელნაწერები.
და კვლავ ცხადია ესე ყოველი. ყოველივე აშკარა არის.
ზღაპარ-გადმოცემა ცხოვრებად იქმნა.
და ისევ ვცხოვრობთ.
და კვლავ სახეს ვიცვლით.
და კვლავ შევეხებით მიწას.
დიადი „ამჟამად“ ხვალ გაფერმკრთალდება.
მაგრამ აღიძვრიან წმინდა ნიშნები.
როს გარდუვალი შეიქმნება.
მათ ვერ განჭვრეტენ.
ვინ იცის? მაგრამ ისინი
სიცოცხლეს აღაგზნებენ. სადღა არიან
წმინდა ნიშნები?

1915.

## ვიხილავთ

წმინდა ნიშნების საძიებლად
მივემართებით.
მდუმარედ მივალთ და გულმოდგინედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიან კაცნი, იღიმიან, თვისთან
გვიხმობენ.
სხვები ნიადაგ გულნაკლულნი
მიიჩქარიან.
ზოგიერთი გვიქადის კიდეც.
სურს მიითვისოს რაც გვაბადია.
გამვლელებმა არა უწყიან,
წმინდა ნიშნების საპოვნელად რომ
ვეშურებით.

დაქადნებულნი უსათუოდ
გვერდს აგვიქცევენ.
მათ ხომ ეგზომ ბევრი საქმე აქვთ.
ჩვენ კი აღთქმულნი მიზნისაკენ
სწრაფვას განვაგრძობთ.
არავინ იცის სად მიატოვა
მეპატრონემ თავისი ნიშნები.
ყველაზე უფრო ალბათ გზისპირა
სვეტებზეა საგულვებელი...
ან ყვავილნარში.
ან ჩქერალებში მდინარისა.
ლაჟვარდოვან ცაშიაც ველით მათ
აღმოჩენას.
სინათლეზე მზისა და მთვარის,
დღვილისა და კოცონის შუქზე
უნდა ვპოვოთ წმინდა ნიშნები.
დიდხანს ვუნდებით, დაჟინებით
ვჭვრეტთ.
ძეკაცთაგან ბევრი გზას ასცდა.
ვგონებთ რომ მართლა შთაინერგეს
მათ ნაბრძანები:
მოიძიონ წმინდა ნიშნები.
სიბნელე წვება. ჭირს გზის გაგნება.
ალაგი არის ფრიად უცხო და
უჩვეულო.
სად შეიძლება ისინი იყვნენ —
წმინდა ნიშნები?
მათ ალბათ უკვე დღე-დღეობით
ველარ მივაგნებთ.
სამაგიეროდ ხვალვე ინათლებს.
მე მჯერა — რომ ჩვენ მათ
მოვიხილავთ.

1915

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნათელი

როგორ განვჭვრიტოთ სახება შენი?
გრძნობებზე და გონზე უღრმესი,
ცხოველმყოფელი სახება იგი,
შეუგრძნობადი, უჩუმარი, მოუხილველი.
მოვუხმობ: სიბრძნეს, გულსა და შრომას,
ვინ საცნაურქმნა, რომ არცა ფორმის,
არცა ბგერისა და გემოვნების არა უწყის რა,
და არც სასრული და დასაბამი არ გააჩნია?
ოდეს ყომრალში შეჩერდება არსი ყოველი,
ზღვათა სიმლაშე და წყურვილი უდაბნოისა!
მე მომლოდინე ვიქნები შენი
ზენაარი ბრწყინვალებისა.
მზე არ მზეობს შენს სახებასთან,
იჩრდილება შუქი მთვარისა,
ვერცა ვარსკვლავში სხივოსნობენ.
ბნელს ვერ ჰკვეთს ალი,
ვერც მეხთატეხა ვერ ანათებს უსიერ
წყვდიადს,
ცისარტყელები წარიკვეთენ ფერადოვნებას.
ინავლება ჩრდილოეთის შორი ნათება,
აქ მხოლოდ შენი ბრწყინვალების ციაგი
სუფევს.
ყოველი მისი სინათლით სუნთქავს,
სიბნელეში კრთის სამხილი შენი უშრეტელი
ელვარებისა,
და ჩემს დახუჭულ სამზერთაგან შემოდის
სულში
შენი დიადი ბრწყინვალების ძალმოსილება.

1918.

□

# იოზეფ ტომანი, მიროსლავა ტომანოვა

# სოკრატე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიულ-ბიოგრაფიული რომანი

თარგმნა ზურაბ ბოგიაშვილმა

## სიკეთის მაძიებელი კაცი

ჩეხი მწერლების, ცოლ-ქმარ იოზეფ ტომანისა (1899-1977) და მიროსლავა ტომანოვას რომანი — „სოკრატე" ჩეხურად 1975 წელს გამოვიდა. მალევე ორჯერ გამოიცა რუსულად („რადუგა"), ჩეხურიდან ნ. არისევას მიერ თარგმნილი. მეორე გამოცემას თან ახლავს ო. მალევიჩის წინასიტყვაობა (რომლის მოკლე ვარიანტსაც ვთავაზობთ „საუნჯის" მკითხველს).

სახელგანთქმულ ძველბერძენ ფილოსოფოს სოკრატესადმი მიძღვნილ ამ რომანში დახატულია როგორც აყვავების, ისე დაცემის ხანის ათენის პოლისის საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო პანორამა.

სოკრატე, რომელიც, ახალგაზრდა მარქსის თქმით, „ხორცშესხმულ ფილოსოფიას" წარმოადგენდა, მაგრამ წინამორბედ ფილოსოფოსთაგან იმით განსხვავდებოდა, რომ „ღვთაებრივი კი არა, ადამიანური სახე ჰქონდა" და „არა იდუმალი, არამედ გასაგები და ნათელი, არა წინასწარმეტყველი, არამედ ბუნებათანაზიარი ადამიანი" იყო, ლიტერატურულ გმირად ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე იქცა. თუმცა ციცერონმა მოგვიანებით დაწერა, სოკრატემ ფილოსოფია „ციდან დედამიწაზედ" ჩამოიტანაო, არისტოფანემ ის ცისა და დედამიწის შუა ჩამოკიდებულ კალათაში ჩასვა და იქ ასიბრძნა საგანთა ბუნებისა გამო (კომედია „ღრუბლები", 423 წ. ჩ. ე.). „კომედიის მამა" კონსერვატიული ატიკური გლეხობის იდეოლოგი იყო და სოკრატეს ფილოსოფიაში ათენის დემოკრატიის ტრადიციულ საფუძველთათვის საშიშროებას ხედავდა. არისტოფანემ ფილოსოფოსს უღმერთობაში დასდო ბრალი და ისიც დააბრალა, ახალგაზრდობას გვირყვნისო, ჩვენს მომავალ თაობას პრაქტიკულ საქმეთაგან აცდენს და თეთრის შავად და შავის თეთრად დახატვის სოფისტურ ხელოვნებას ასწავლისო. ოცდაოთხი წლის შემდეგ იგივე ბრალდებანი წაუყენეს სოკრატეს სასამართლოზე, სადაც მან თავისი დაცვა ისეთნაირად წარმართა, რომ თითქმის ძალით გამოატანინა სიკვდილის განაჩენი. ფორტუნამ ფილოსოფოსს ერთი თვით გაუხანგრძლივა სიცოცხლე, რომელიც ერთი თვეც მან მეგობრებთან საუბარში გაატარა, ჯიუტად უარი თქვა გაქცევაზე და მერმე ხელი არ აუკანკალებია, ისე დალია ციკუტიანი ფიალა. სოკრატეს სიკვდილმა თავზარი დასცა თანამედროვეთ, ხოლო თვად დელფოს ორაკულის მიერ კაცთა შორის უბრძნესად სახელდებული, რომელსაც სტრიქონი არ დაუწერია, ანტიკური სამყაროსთვის უფრო უმეტესი ლეგენდარული და მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა, ვიდრე ქრისტე შუა საუკუნეებისთვის. უსამართლო ბრალდებათაგან სოკრატეს პირველი სიკვდილშემდგომი დამცველნი იყვნენ სახელგანთქმული ფილოსოფოსი პლატონი და ისტორიკოსი ქსენოფონტი. სოკრატეს პლატონისეული და ქსენოფონტისეული აპოლოგიები (დაცვანი) და სხვა „სოკრატეული" თხზულებანი, არისტოფანეს კომედიებთან და არისტოტელეს სიტყვაძუნწ შენიშვნებთან ერთად, ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი „სარწმუნო" წყაროებია ამ „ფილოსოფიის დემიურგის" (მარქსი) შესახებ. მაგრამ პლატო-

ნისა და ქსენოფონტის მოწმეობა იმდენად განსხვავებულია ერთმანეთისგან, რომ დასტურად უნდა წარმოეშვა მრავალსაუკუნოვანი დავა იმის თაობაზე, თუ როგორი იყო ნამდვილი სოკრატე.

ხშირად — პლატონის მიხედვით — სოკრატეს არისტოკრატიული იდეალიზმის დამსაფუძვლებლად ხატავდნენ, ხოლო ქსენოფონტის სოკრატე იმდენად მოსაწყენი მორალისტია, რომ პირდაპირ გაუგებარი ხდება, რა ნიშნით აიმხედრა მან თავისი ბრალმდებლები და მსაჯულნი.

იოზეფ და მიროსლავა ტომანები ესწრაფვიან, რომ ჩახვდნენ [illegible] სოკრატეს, როგორც ისტორიული პიროვნების, სახე, ცდილობენ შორეული ეპოქის იმ წინააღმდეგობებში გარკვევას, რომელმა წინააღმდეგობებმაც ნიადაგი შეუქმნა იურიდიულ დანაშაულს, აგერ თითქმის ორი ათას ხუთასი წელიწადია გამოცანად რომ რჩება, მაგრამ წარსულს ისინი მაინც თანამედროვეობის გადასახედიდან გასცქერიან.

სოკრატე რომანში ნამდვილი უბრალო ხალხის შვილია, ათენური დემოკრატიის შვილი. იმისი სულიერი სახე ყალიბდება პერიკლეს ეპოქაში, ათენის იმ გაუგონარი აყვავების პერიოდში, როცა იშვნენ ფიდია, სოფოკლე, ევრიპიდე. ავტორები განსაკუთრებით თვალსაჩენს ხდიან სოკრატეში მდიდარ მხატვრულ ნიჭიერებას. ქვითხურო სოფრონისკესა და ბებიაქალის ფენარეტეს შვილი, რომელსაც მოქანდაკის მადლიანი მარჯვენა დაჰყოლია, საბოლოოდ ადამიანის სულის ძერწვას ამჯობინებს და თავს შესძლენის ტექნე მაევტიკეს — ჭეშმარიტების დიალექტიკურად დაბადების სამეანო ხელოვნებას, და ეს ჭეშმარიტება სოკრატესთვის იგივეა, რაც სილამაზე, რგება, სათნოება. სოკრატეს ოცნებაა, რომ „არეტე" (სიქველე, სათნოება), ღირსება, ოდენ რჩეულთ რომ ამშვენებს, ყოველი ათენელის თვისებად იქცეს. რომანის მთელი მოქმედების დრამატულ ნერვს მწერლები ათენელ ოლიგარქოსთა და დემოკრატთა ბრძოლაში ხედავენ. და სოკრატე ამ ბრძოლაში გამოდის როგორც პერიკლეს დემოკრატიის იდეალთა დამცველი, ვინაიდან პერიკლეს დემოკრატიის პრინციპები იმხანად სულ უფრო და უფრო კარგავენ თავიანთ ჭეშმარიტ დანიშნულებას. ისტორიულ ფაქტებს, ისტორიკოს-ემპირიკოსს დაცალკევებული და შემთხვევითი რომ ჰგონია, ისტორიკოსი პოეტი დემოკრატიის წინააღმდეგ შეთქმულების ერთიან მთლიან ჯაჭვად აერთიანებს. პერიკლეს უახლოესი მეგობრის ფილოსოფოს ანაქსაგორას გაკიცხვა და განდევნა, ფიდიას განკიცხვა, პერიკლეს საყვარელი ქალის ასპასიას გესვლა, ალკიბიადეს გასამართლება — ერთად ასხმული რამდენიმე რგოლია, საბოლოო მიზანთან, ანუ ოლიგარქოსთა ძალაუფლების აღდგენასთან რომ მივყავართ. სოკრატე ამ შეთქმულების წინააღმდეგ რომ იბრძვის, ალკიბიადეს სულსაც საგრობს — წინააღმდეგობას უწევს სოფისტთა გამხრწნელ ზეგავლენას. ეს სოფისტნი კი ინდივიდუალისტურ ანარქიზმთან ერთად თავგამოდებით ნერგავდნენ ეგოისტური პრაქტიციზმისა და იმის რწმენას, რომ პირწმინდად შეფარდებითი რამ არის ყველაგვარი ცოდნა და ფასეულობა. სოკრატე თავისი არსებობის მთელ აზრს თავის მოწაფეებში ხედავს, ის მაშინ გრძნობს თავს ცოცხლად, როცა ვისმეს ესაუბრება გიმნასიაში თუ ბაზარში, სადმე ათენის მოედანზე თუ ქუჩაში. ბევრნი, ვისაც სოკრატე მოძღვრავს, მასწავლებლის თვალში მოლოდინს თითქოს და ვერ ამართლებენ. დემოკრატიული ათენის იმედი, ალკიბიადე, ვისი აღლაგმავი ბუნების მართვაც მხოლოდ სოკრატეს ძალუძდა, ავისმდგომთაგან დარწყმულ მახეში ებმება და ათენს ღალატობს. სოკრატეს მეორე მოწაფე, ალკიბიადეს ბიძაშვილი კრიტია, ფარულად გადადის ოლიგარქოსთა მხარეზე და მოგვიანებით სათავეში ჩაუდგება ოცდაათი ტირანის სისხლიან დიქტატურას. არისტოკრატიის მხარეზევე უკვე სოკრატეს სიკვდილის შემდგომ სულიერად გადადის პლატონი. ის მრავალსახოვანი დემოსი კი, რომელსაც მიმართავდა და რომლის შესამატსაც ესწრაფოდა სოკრატე, ოცდაათი ტირანის ძალაუფლების დამხობის დღიდან ერთ წელიწადში სათამაშო რამ ნივთად იქცევა დემაგოგთა (ამ სიტყვის ანტიკური და თანამედროვე მნიშვნელობითაც) ხელში და სასიკვდილოდ გაიმეტებს საკუთარ თვალისჩინს. სიცოცხლის ბოლოს სოკრატესთვის ცხადი ხდება, რომ იმისი ქადაგები ვერ მოერეოდა ადამიანის სრულყოფის გზაზე უმთავრეს დაბრკოლებას — „სილატაკის ბოროტებას" და „ოქროს ბოროტებას". და მაინც იმ რწმენით კვდება, რომ ყოველ ადამიანში მზეა, ოღონდ უნდა ანათებინონ.

„სოკრატეში" ძველბერძნული მითოლოგია გმირისა და ამ გმირის თანამედროვეთა მსოფლშეგრძნების საფუძველია. ულმერთობაში ანდა ახალ ღმერთთა წინაშე ერთგულ თაყვანისცემაში ბრალდადებულ სოკრატეს, მზე—აპოლონის ნათლულს, სიცოცხლის ბოლო წუთამდე წარმართულად სწამს და შეჰხარის ამქვეყნიურ სილამაზეს, ადამიანისა და ბუნების ჰარმონიას.

ცოტანი როდი იყვნენ ისტორიკოსნი და ფილოსოფოსნი, ლეგენდარულ სოკრატეს მხოლოდ იმიტომ რომ უარყოფდნენ, რათა ტრადიციული ლეგენდა საკუთარი, ხან სრულიად ფანტასტიკური რამ ნავარაუდევით შეეცვალათ. ტომანები სოკრატეს ისეთს ხატავენ, როგორიც ის შთამომავალთა შეგნებაში შემოვიდა. მწერალნი ოდენ ახლებურად იაზრებენ ამ თითქმის ლეგენდარულ სახეს და სწმენდენ, თუ რამ შემთხვევითად დაშრევებია.

„სოკრატე" მონორომანია. ყველა დანარჩენი მოქმედი პირი მთავარი გმირის გარშემო ტრიალებს, როგორც ცთომილნი ტრიალებენ პლანეტის გარშემო. თავადაც აქ ძველთა ათენელთა მზეა. მაგრამ არც სხვა პერსონაჟთ აკლიათ ფერ-ხორცი, თანაც კიდევ არატრადიციულად არიან დახატული. ასეთია ალკიბიადე — არა უბრალოდ უპრინციპო ცუდმედიდი, არამედ ადამიანი, რომელშიც კეთილშობილი მისწრაფებანი და გულწრფელი პატრიოტიზმი ებრძვის სვე-ბედის ნებიერის პატივმოყვარეობასა და აულაგმავ ვნებებს. ასეთია სოკრატეს ცოლი ქსანთიპე, არა ჭირვეული ფურია, როგორც ანტიკურ ანეკდოტებშია, არამედ თავდადებული და მოსიყვარულე, თუმცა საკმაოდ ენაკვიმატი. ასეთია პლატონი, ავადმყოფურად აზიზი არისტოკრატი, რომელსაც სწორედ ამიტომ არ შეეძლო და აკი არც შემოუნახა შთამომავალთ თავისი მოძღვრის ნამდვილი სახე, ხოლო პლატონის გვერდით, არა ერთნაირად სისხლსავსედ, მაგრამ მუდამ მხატვრულად დამაჯერებელი სიმართლით ცოცხლობენ წარბშეკრული ანაქსაგორა, ბრძენი და კეთილშობილი პერიკლე, სხვისა სიკეთესა ზედა დამწუხრებული კრიტია, ორსახოვანი ანიტე, მშვენიერი და მწიგნობარი დიაცნი — ასპასია და თეოდატა, უბრალო და გულიანი სოფრონისკე და ფენარეტე, ნორჩი კორინა და მირტო — სოკრატეს პირველი და უკანასკნელი სიყვარული. მკითხველის მეხსიერებაში რჩება ისეთი მეორეხარისხოვანი ფიგურაც კი, როგორიც მაბეზღარი ანოფელესია.

თხრობა მოიცავს სოკრატეს სიცოცხლის სამოცდაათ წელიწადს. მაგრამ რომანის ავტორთ მოქმედება რამდენიმე კულმინაციური მომენტის გარშემო გაშალეს და თავისებურ ლირიკულ-დრამატულ „ინტერმეცოებს" შეანაცვლეს, რითაც მწერლის წარმოდგენაში გმირთა გამართული დიალოგის მოწმენი ვხდებით.

„სოკრატეს" სტილისტიკა ასახული დროის შესატყვისია. ენა ძირითადად თანამედროვეა, თუმცა ავტორები რეალიათა სახელწოდებებში ფართოდ იყენებენ ძველბერძნულ ლექსიკონსაც. განსაკუთრებით თანამედროვედ ჟღერს მთხრობლის ენა, ენერგია, ლაკონიზმი, აფორისტულობა მარჯვედ ერწყმის აღწერისა და აზრის გადმოცემის მეტაფორულ მანერას, რაც აგრე რიგად ახასიათებს მითოლოგიურ ცნობიერებას.

ტომანებმა მოახერხეს სოკრატეს პიროვნების სავსებით დამოუკიდებელი კონცეფციის წამოყენება, რომელი კონცეფციაც მჭიდროდ არის დაკავშირებული გმირის წარმომშობი ეპოქის ახალ გაგებასთან.

სოკრატეს ჩეხური „აპოლოგია" ისტორიულ-ფილოსოფიური თხზულება არ არის. ჩვენ წინაშეა რომანი, რომელშიც ისტორიულ უტყუარობას ქმნის არა დეტალები, არამედ პიროვნებისა და ეპოქის საზოგადო გაგება.

იოზეფ ტომანი, ისტორიის ხელოვნური აქტუალიზაციის პრინციპული მოწინააღმდეგე, დარწმუნებული იყო, რომ წარსულის მოხილვა კაცობრიობას საკუთარი თავის ღრმად შეცნობაში ეხმარება. „მფრინავი, — წერდა იგი, — რომელიც პრაღის თავზე დაფრინავს, ხედავს არა მარტო ხალხითა და მანქანებით გადატვირთული ქუჩების ორომტრიალს, არამედ მთლიანად ქალაქსაც"

# სოკრატე — სიკეთის მაქებელი

„ქვეყნად მრავალი არის ძალა საოცარი,
ადამიანზედ ძლიერი კი არაფერი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პროლოგი

სიცილი ღმერთებისა და ადამიანების პრივილეგიაა.

დემოკრიტე

ქალღმერთს ეცინებოდა. აი სულ ახლა გაეღვიძა, კენარი ტანი შეარხია. ეზოს თვალი შეავლო: ზვინებად ეყარა ალილმები, ტორსები, მარმარილოს ლოდები. კმაყოფილი დარჩა, რომ მისი საზეიმო დღე იწყებოდა ბროლივით სპეტაკი დილით, რომელიც ისე ციმციმებდა, ვითარცა ცვარი მუხუდოს ყვავილზედ.

ქალღმერთმა მზერა თავის მეზობელზედ, ბიძია მომეზედ გადაიტანა. ღმერთ მომეს ჯერ კიდევ ეძინა. ქალღმერთი თანაგრძნობით ათვალიერებდა იმის მოღიმარ სახეს, სოფრონისკესგან ჯერაც დაუმთავრებელს: ტუჩებმოღრეცილს, ცალთვალმოხუჭულს, წარბშეკრულს, მხოლოდ ყური დაეცქვიტა ხარბად, რათა ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვოდა.

მაგრამ აი მომემაც გაახილა თვალები — სანდლების ბაკუნმა გამოაღვიძა. ახალგაზრდა ქალმა შემოირბინა, ხელში ყვავილები ეჭირა. ამან მოაგონა მომეს, თუ რა დღე იყო ეს დღე. მაშინვე ქალღმერთს მიუბრუნდა, რომ დღესასწაული მიელოცა. მაგრამ ახალგაზრდა ქალმა დაასწრო: ქალღმერთის ფერხთით ჩაიკეცა, მუხლებზედ შემოეჭდო და შეჰღაღადა:

— ო, არტემიდა, დიდო ქალღმერთო!..

ქალღმერთმა ისევ ჩაიცინა.

— აი, ოლეანდრის ყვავილები მოგართვი შენი დაბადების დღეს... ეს თაფლის კვერიც ირისთვის მომიძღვნია, ფენარეტეს შეეწირი... ხომ გესმის, როგორ გმინავს? გემუდარები, ტკივილები შეუმსუბუქე!

ამის შემდეგ ქალი წამოხტა და შეირბინა სახლში, სადაც ბებიაქალი ფენარეტე, მოქანდაკე სოფრონისკეს მეუღლე, თავად იტანჯებოდა სამშობიარო სარეცელზედ.

— ჯერ კიდევ გუშინ ჩავითქვი, პირველს უნდა მიმელოცა ქალღმერთისთვის! ამ ჩიტირეკიამ კირში ჩალა გამომავლო! — ცოფს ანთხევდა მომე.

ქალღმერთი იცინოდა, პირში მარგალიტივით კბილები უციმციმებდა.

— კარგი, ნუ ილანძღები. მომე, მომილოცე ბარემ და მორჩი!

— ეგ მამაძაღლი, ეგა! დამასწრო მაგ მახვილფეხა გომბიომ...

— გეყოფა! — მხიარულად შესძახა ქალღმერთმა და წამიერი მზერა შეავლო თავის მშვენიერ, მოხდენილ ფეხებს. — შენს სიტყვებს მოლოცვად ვიღებ. თორემ შენი ამბავი რომ ვიცი, ერთი თუ მოგიარა სიშმაგემ, მოლოცვა სულაც დაგავიწყდება და, ღმერთმა უწყის, როდის მორჩები იმ საბრალო ქალის ლანძღვას, ბებერო ბუზღუნავ! არცა კიდევ ოლიმპიელთათვის დაგიკლია უსირცხვილოდ ლანძღვა-გამასხარავება და ამის შემდეგ მაინც ჩივი, ღმერთებში ყველაზე უფრო ათვალწუნებული ვარო. მამა ზევსმა ოლიმპოდან გამომაძევაო!

მომემ ჩაიბუზღუნა:

— ზევსი ბებერი ქსუა! ცოტა რამ და, მაშინვე წყრება...

— ჩუმად! იმას ნუ აბრალებ. ყველაფერი შენი დაუყენებელი ენის ბრალია. სულ ბუზღუნებ, რაღაცით უკმაყოფილო ხარ, მუდამ ვინმეს ან რამეს სჯი და ჰკიცხავ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მერედა, ცუდია?

— კეთილო მომე, — უთხრა ქალღმერთმა, — შენ დედამიწაზეც გაგიჭირდებოდა ცხოვრება, ეგეთი იქედნური ბუნების პატრონს, და ოლიმპზედ ლაპარაკი ხომ ზედმეტია, სადაც არ არის ათენური დემოკრატია...

— არც ათენური და არც ზეციური, — უკმეხად შეაწყვეტინა მომემ. — სად ოლიმპო და სად დემოკრატია! ეჰ! ოლიგარქია... რას ვამბობ, ტირანია მეფობს!

ქალღმერთმა გამაფრთხილებლად ასწია ხელი:

— ცოტა ფრთხილად, მომე!

მომემ ენას კბილი დააჭირა — არტემიდა ხომ თვითონაც უზენაეს ციურ ოლიგარქიას ეკუთვნის — და მობოდიშება დაიწყო:

— შენ გამონაკლისი ხარ. ძვირფასო, შენი ძმა აპოლონიც — ასევე. მაგრამ დანარჩენნი? ჰერა, ათენა, პოსეიდონი, არესი, აფროდიტე...

როგორც კი სიყვარულის ქალღმერთის სახელი გაიგონა, არტემიდამ ხელი დაუშვა. თავისი განუყრელი მარმარილოს შვლის პატარა რქებს შეეხო და ჰკითხა:

— ერთი მიამბე, როგორ მოხდა ის შენი... ასე ვთქვათ, წამოსვლა ოლიმპიდან? ამბობენ, თურმე პრომეთე გილანძღია, ადამიანის შემქმნელი, იმისთვის გილანძღია, თავის ქმნილებას მკერდში გული რად ჩაუდგაო. თითქოს გისაყვედურნია კიდეც, ადამიანის დახურულ გულში რა იფარება ვერავინ ხედავს, და ამის გამო ხდება ქვეყნად ამდენი უბედურებაო. აუგად გიხსენებია ათენა და თვითონ დიოსიც. თუმცა ჩემმა ძმამ აპოლონმა მიამბო, ზევსს ოლიმპიდან იმისთვის გამოუგდიხარ, იმისი ასულის — აფროდიტეს სილამაზეს ვითომდაც ჩირქსა სცხებდი.

— აბა, რისთვის დამენდო? — გაიოცა მომემ. — მე ხომ ერთდროულად ქირდვისა და სისულელის ღმერთი ვარ! დიახაც, ეგრე იყო, როგორცა თქვი. ზევსმა მიბრძანა: „გულდასმით დააკვირდი ამ ღვთაებრივ ქმნილებას. ძალიან მინდა გაგება, შარიანო ავყიავ, ამ ჩემს ასულს სილამაზეში რამე თუნდაც მცირეოდენ ხინჯს მოუძებნი თუ არაო, ყველა გაისუსა. აჰა, ვფიქრობ, ნამდვილად მახეს მიგებენ-მეთქი. და ვეუბნები: „დაიცა, ძვირფასო დიოს! რომელი სილამაზე გაქვს მხედველობაში: სხეულისა თუ სულისა-მეთქი?“ აფროდიტემ ზიზღით დაიფრუტუნა. ზევსი გამძვინვარდა: ჭაობშიმც ჩაფლულხარ მაგ შენი სულითო. ეგ შენი მოძღვრება შეშლილ ათენელ ფილოსოფოსთ მოიგონესო, და როგორც ჰერმესმა მაუწყა, სულ უფრო და უფრო ვრცელდებაო, თითქოს თვითონ ეოლოსი ავრცელებდეს თავისი სუნთქვით მთელს დედამიწაზეო. არა, ეგ არ მომწონსო. ვგონებ, ამით ადამიანს სურს ჩვენზედ, ღმერთთა ზედან უფრო მაღლა დგომაო. ეგ მეამბოხე ადამიანური სული უკვე აქაც აღწევს, ოლიმპის მწვერვალზედო. მე სხეულის მშვენიერებაზედ ვლაპარაკობო. დააკვირდი და განსაჯეო. მეც ავდექი და საგულდაგულოდ დავუწყე თვალიერება, ხან წინიდან შევხედე, ხან ზურგიდან — წუნი

ვერაფერს დავდე. თეთრია, ფაფუკი, როგორც ზღვის ქაფი. კანი აქვს ისეთი, კოსური აბრეშუმი გეგონება, არავითარი ხინჯი...

არტემიდამ აგდებულად ჩაიცინა:

— აი შე ქირდვისა და კილვის ღმერთო, ხინჯის პოვნა არასდროს გიჭირს, აქ კი შეგშლია. აფროდიტეს თანშეზრდილებზედ რაღის [illegible]

მომემ გაიღრიჯა:

— სწორედ ეგ არის ის ერთადერთი რამ, რაზედაც აფროდიტეს ვუკიჟინებ!

— მართებულად მოქცეულხარ, — ქედმაღლურად მიუგო არტემიდამ. — მე რომ პარისის სამსჯავროზედ ერთი სამთაგანი ქალღმერთი ვყოფილიყავ, განხეთქილების ვაშლი მე მერგებოდა!

მომემ იქედნურად მიუგო:

— ნურც ეგრე იკვეხნი, ჩემო სიცოცხლევ. მე დიდი ხანია აქა ვარ ატუზული ჩემი დაუმთავრებელი სახით და, მახსოვს, როგორ დაიწყო სოფრონისკემ შენი ხატვა და გამოკვეთა. იცოდე: ეგ შენი მშვენიერი ფეხები გადმოღებულია თევზით მოვაჭრე თხუთმეტი წლის გოგონასგან, — პერას გეფიცები, მთელი ეს ვიწრო ეზო თევზის სუნით აყროლდებოდა ხოლმე, როცა ის გოგო აქ მოდიოდა. შენი საკადრისი მკერდი სოფრონისკემ ცამეტი წლის აგორელ მეყვავილე ქალიშვილს შეუთვალიერა, ხოლო შენი სახე გამოკვეთილია რომელიღაც პეტერას მიხედვით, რომელიც აქ ნონათ ტახტრევანდით მოჰყავდათ, აბა, რა გეგონა.

— მადლობელი ვარ მაგ ახალ ამბავთათვის, — უქმურად უთხრა ქალღმერთმა. — მერე რა, ვითომ რა მაკლდება მაგით? მთავარია, რომ ჩემი თავი ოსტატს გამოუვიდა! — დაასრულა ამპარტავნულად.

ამ დროს არტემიდას ისართა კონასავით მოხვდა მზის სხივნი. ქალღმერთს შუქმა თვალი მოსჭრა.

— ეგ რა არის? — შეშინდა მომე. — შენ იწვი! თეთრი ალი გიკიდია! შენ ერთიანად ცეცხლი და ალი ხარ!

არტემიდამ ნეტარებით გაიცინა:

— ეს ძმაა ჩემი! აპოლონ ფებოსი! არასოდეს არ ავიწყდება ჩვენი საერთო დაბადების დღე და სხივთა კონას შემძლვნის ხოლმე.

ქალღმერთმა ფებოსს ამბორი გაუგზავნა და ხელი დაუქნია. სახლიდან მეზობელი ქალი მელისა გამოვარდა, ხარაზ ლეპტინეს ცოლი, ქვის ყორეს მივარდა:

— ნოქსენ! ნოქსენ!

ყორის მიღმიდან ყმაწვილის ხმა გაისმა:

— რა იყო, დედი?

— აგორაზედ გავარდი, იქ სოფრონისკეა, მარმარილოს სვეტსა დგამს! საჩქაროდ წამოვიდეს, ცოლი უკვდება...

მელისა შობრუნდა, არტემიდას ფერხთით დავარდა მუხლმოყრილი:

— კეთილშობილო, მოწყალეო, სხივმოსილო ქალღმერთო! შეიბრალე ფენარეტე! სულ უფრო უჭირს... რამდენი ათენელი ქალისთვის მოუყრევინებია მშვიდობიანად მუცლი. თვითონ კი თავი არა აქვს... მიეშველე, მიეშველე, მშობიარეთა მფარველო ქალღმერთო!

ტანჯული მელოგინის გოდებამ მელისა ისევ ფეხზედ წამოაყენა.

— რატომ არ მიეშველები? — წაიბუზღუნა მომემ. — ეს ხომ შენი საქ-

მეა! იმის გამო, რომ საკუთარი დაბადების დღეს უკვე მეოცედ ზეიმობ, ის უბედური განსაცდელში უნდა დაგდო?

— შენის ფიქრით, მე რა, არ ვიცი, როდის რა უნდა ვქნა? რიგე ყველგან ეჩრები, ისევ რაღაცა არ მოგწონს! აი, მაგიტომაც არავის უყვარხარ. ზევსმაც მაგისათვის გამოგაძევა ოლიმპიდან...

— მერედა, განა მართალი არა ვარ? იმის ნაცვლად [illegible] მფარვებულს მიხედო, დგახარ და კურტუმს იქნევ. სულ თავის მოწონება გინდა იმით, რომ ეგ კოხტა გავა პირდაპირ ორ ცალ ფინიკს მიგიგავს და არც აფროდიტესავით დიდი გავია.

— გაჩუმდი, ენამყრალო! — მიაძახა არტემიდამ.

— განა მართალი არა ვარ? ვიწუნებ, რაც არ მომწონს.

— მთავარია, როგორ იწუნებ. ქირდავ, ლანძღავ, აბუჩად იგდებ. ხომ შეიძლება, ისე დაიწუნო, რომ არც შეურაცხყო და არც მასხრად აიგდო.

მომემ კითხვით მოიგერია:

— მერედა, იცი ეგეთი ვინმე ამქვეყნად?

— არა, არ ვიცი, — აღიარა ქალღმერთმა. — არც ადამიანთა შორის მეგულება ვინმე და არც ღმერთთა შორის. დაწუნება იოლია, თუ ძალა შეგწევს, ისე მიუთითე, რომ თან ურჩიო, როგორ აქციონ ცუდი კარგად — აი, ეს იქნებოდა ჩინებული! ვნახოთ, ეგების დაიბადოს კიდეც ისეთი ვინმე, ვინც შეიძლება... იქნებ სწორედ ის იყოს ასეთი, რომელიც ახლა იბადება...

— დიახაც ვისურვებდი იმის ხილვას, — გესლიანად ჩაუკრა მომემ.

მშობიარის სასოწარკვეთილმა შეკივლებამ დაარღვია მზიანი დღის მყუდროება.

●

ალოპეკოსის დემოსის მოუკირწყლავ ქუჩაბანდებში ყმაწვილი გარბოდა და შიშველი ფეხებით მტვრის კორიანტელს აყენებდა. აგორაზედ რომ გავიდა, ქვაფენილის კრიალა ფილებზედ ფეხისგულები აატყაპუნა.

აკროპოლისზედ ყურთასმენა წაიღო სამხედრო ბუკ-ნაღარის საშინელმა ქუხილმა, რადგანაც სწორედ იმ დღეს — ფარგელიონის თვის მეექვსე დღეს, სამოცდამეჩვიდმეტე ოლიმპიადის მეოთხე წელს, აპსეფიონეს არქონტობის ჟამს, მეტსაც გეტყვით — ქალღმერთ არტემიდას და ღმერთ აპოლონის დაბადების დღეს, მალემსრბოლი ასე იუწყებოდა:

— ჩვენმა სარდალმა კიმონმა ათენის ფლოტით სპარსეთის ფლოტი დაამარცხა პამფილიაში, მდინარე ევრიმედონტთან! არქონტმა სუყველას პრიტანეუმში გამასპინძლება ბრძანა, მეტეკთა და მონათა კიდევგან.

„დიდება ათენას და კიმონს!" — იხუვლა ხალხმა და პრიტანეუმს მიაწყდა. ქვისმთლელმა და მოქანდაკე სოფრონისკემ სიხარულისგან მძიმე ტორი დაჰკრა მხარზედ თავის შემწე კედრონს:

— გაიგონე, გაუთლელო? მე კი სწორედ ასეთ დღეს უნდა მეყოლოს შვილი! აბა, ცოცხლად! უნდა მოვასწროთ წახემსება და ყელის ჩასველება პრიტანეუმში...

მზემ შუბის ტარზედ აიწია. აგორა ნამდვილ სკას დაემსგავსა. გეგონებოდათ, ჰეფესტოსის სამჭედლოა ეტნის გულშიო, ისეთი გუგუნი, გნიასი და პაპანება იდგა.

— დიდება კიმონს!

— დიდება!

— ფრთხილად, არ გატყდე! ნათქვამია, დღეს მხედარი, ხვალ — ცხედარიო...

— იყუჩე, ღორის დინგო! რა ვიცი, ფეთიანივით კი გარბიხარ, ჩახეთქვა და ჩაცეცხლვა არავინ მომასწროსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფრონისკე ყველაზედ უფრო ხმამაღლა ყვირის:

— ჩემი ბიჭი ამ ბედნიერ დღეს დაიბადება! დღევანდელ ბედნიერ დღეს! როგორც ინატრო, ისეა.

— ჩემი ქმარი ომიდან დაბრუნდება... — ნაღვლიანად ამბობს თევზის ვაჭარი ქალი.

— გაიგებს, იმ მაწანწალა სოსიესთან რომ დაეთრეოდი, და ცხვირს დაგინაყავს!

— მერე შენ რა? საკუთარი ქუჭყი ჩამოიბანე! შენისთანებისგან მთელი ქუჩა ყარს...

ზედდატანებაზედ ყმაწვილმაც მოირბინა, სულს ძლივს ითქვამს:

— სოფრონისკე, მალე შინ წამო!

— რა მოხდა? — შესძახა შიშით გაფითრებულმა სოფრონისკემ.

— ფენარეტე სულსა ღაფავს... უნდა დაგემშვიდობოს... კვდება ქალი...

სოფრონისკეს ხელიდან ჩაქუჩი გაუვარდა.

— კედრონ, აკრიფე ხელსაწყონი...

გავარდა და უკან მიუხედავად გაიქცა.

გზადაგზა ყელში სულმობჯენილი უხსნის ყველას — ვინ არ იცის, რომ ბებიაქალი ფენარეტე თვეში დგას?

— რამდენ ვინმესთვის აღუპყრია ხელი... იმას ვიღა მიეშველება?

— ახლა თვითონ იმას ეჭირვება ვინმე ფენარეტე...

— წამო, თითო ჭიქა დავლიოთ! — უძახიან სოფრონისკეს ნაცნობები, რომელთაც უკვე მოულხენიათ.

— არ შემიძლია — ცოლი მიკვდება...

გარბის!

მეზობელი ქალები მზით გასხივოსნებული არტემიდას ქანდაკების გარშემო შეყრილან, მუხლი მოუყრიათ, მოსთქვამენ, ლოცულობენ.

— არტემიდა! ილითია! მშობიარეთა მფარველო ქალღმერთო! ნუ მიატოვებ ფენარეტეს, შენ შეარჩინე ნაშიერი გაჩენაში მრავალთა შემწევნელს!

შეწყდა კივილი, დაცხრა ტკივილი, ნაყოფს სამზეოსკენ რომ ეწეოდა. საბედისწერო დუმილი ჩამოვარდა.

აკროპოლისიდან მოვარდნილი ბუკთა ქუხილი ისედაც დამძიმებულ დუმილს კიდევ უფრო ამძაფრებს. ისმის ფენარეტეს მძიმე სუნთქვა. მოჩანს იმისი გატანჯული სახე, ვეება მუცელი, კლეპსიდრა — წყლის საათი, რომელსაც ზენიტისკენ წასული მზის სხივები ეცემა. წვეთები საშინელ წამებს ითვლიან. ჩანან კარს მიშტერებული მშობიარის თვალები, შიგ ელდა რომ ჩამდგარა. სად არის აქამდე სოფრონისკე?

და აი სოფრონისკეც მოვარდა, ეზოში იმ კარიბჭიდან შემოიჭრა, რომელსაც აწერია: „ბოროტებავ, არ შემოხვიდე!“ გზას მოიკვლევს ჭადრის ჩრდილში მიმობნეულ ლოდებსა და ტორსებს შორის. აი უკვე შევარდა შინ, სუნთქვაშეკრული დაეცა მშობიარესთან და ცოლის ცივ ხელს შუბლი მიადო.

— მოხვედი, სოფრონისკე?.. — ქალს ხმა უწყდება.

ქმარი ჭვითინებს. ქალები ხელს ჰკიდებენ. ეზოში გამოჰყავთ.

მშობიარეს ავგაროზები შემოუწყვეს. ბალახბულახით დაფარეს, შემდეგ კი ისევ გარეთ გამოვიდნენ, რათა კვალად არტემიდასთვის მო[illegible] მეწ-ლი, ელოცათ, ეტირათ და ევაგლახათ ილითიის წინაშე.

დაძაბულობა აუტანელი გახდა. ფენარეტესთან მხოლოდ [illegible] ახლობელი ქალი დარჩა — მელისა და ანთეა. სარეცელთან თავდახრილნი იდგნენ.

ეს ამბავი ზუსტად შუადღისას მოხდა. გულგამგმირავი კივილი აღმოხდა ტანჯულ ქალს მკერდიდან. ყრმა მელისამ აიყვანა — ბუთხუზა, ვარდისფერი, დიდთავა. ანთეა კარში გამოვარდა.

— ბიჭია! ბიჭი!

რა ბედნიერი წამია!

მელისას ქმარი, ჩარაზი ლეპტინე, ყორეზედ გადავიდა. სოფრონისკე გულში ჩაიკრა!

— აი ახლა კი დავლიოთ! ოღონდ შუში, გაუზავებელი! ბიჭი გყავს, გაიგე? თანაც ამქვეყნად იმ დროს გამოცხადდა, როდეს ჰელიოსი ზენიტზეა!

სოფრონისკე საზეიმო ხმით უძახის მზეს:

— ერთბაშად ორი სიცოცხლე შემძლვენი! ფენარეტესი და შვილისა!

მშობიარესთან ლოგინის ძლევნს უხიდებიან. ყრმას ბანენ და ისე ხმამაღლა აქებენ, რომ მთელს ეზოს ესმის:

— რა ჯანმრთელია! როგორ გატანჯა დედა! შეხეთ, რა დიდი თვალები აქვს! რა მაღალი შუბლი! მხარზედ კიდევ მოზრდილი ხალი აზის... ნეტავი, რასა ჰგავს? ვითომ თიფლის კვერს? არა — მზეს!

დიახ! მზეს!

მელისამ გაბანილი ბავშვი ეზოში გამოიყვანა — მამას უჩვენა: სოფრონისკემ გამოართვა, ორივე ხელით მაღლა ასწია და ამით, ძველი ჩვეულებისამებრ, ყმაწვილი თავისად აღიარა.

არტემიდამ შესძახა:

— ბედნიერი ნადირობა მისურვებია, ბიჭუნავ!

...მომემ ეგრევე მოუჭრა:

— რას არ მოიგონებ? რას უსურვებ ათენელი ქვისმთლელის შვილს? რაზედ ენადიროს? კურდღლებზედ, ირმებზედ თუ ტახებზედ? ეგეთი სისულელე მხოლოდ შენს თავში თუ დაიბადებოდა! აბა ვის მოაგონდებოდა ახალშობილის ნადირობა, თუ არა ნადირობის ქალღმერთს! ჰა-ჰა-ჰა!

მაგრამ არტემიდამ პირში ბურთი ჩასჩარა მომეს:

— აბა, როგორ გეკადრება, ბიძია მომე? განა მხოლოდ მხეცებზედ ნადირობენ? ადამიანი მთელი სიცოცხლე რაღაცაზედ ნადირობს. ყოველდღე, ყოველ საათს იმისი ნანადირევია ყოველნაირი ცოდნა, სილამაზის ყოველი მისხალი! ადამიანი ადამიანზეც ნადირობს... სიცოცხლე, დაიხსომე, უსასრულო ნადირობაა!

თაკარა შუადღე თონესავით გიზგიზებს და ახალშობილის ვარდისფერ სხეულს ოქროს ელვით ამშვენებს. ყრმას სახე დაემანჭა, ბაგეები შეარხია — რა უნდა ნეტავი? რა უნდა და, ალბათ ატირდება, როგორც სუყველა...

თუმცა არა! ყრმამ პაწაწა უკბილო პირი დააღო და მაღლად გაიცინა.

არ ნახულა! არ გაგონილა! მამა გაოცებით დააშტერდა შვილს. ქალებმა კი დიდის ამბით შეიცხადეს:

— აი, შე უქნარავ! სიცილით მოევლინე არა ქვეყანას!

— ეტყობა, მოეწონა წუთისოფელი!
— ხუთი შვილის დედა ვარ და ყველასგან მხოლოდ ჩხავილი მსმენია!
— ჩემი შვილებიც ტიროდნენ — ყველანი.
ამ ვაჟბატონმა კი ძლივს დააღწია თავი დედის წიაღს და [illegible] ილისოს!
— ოჰ, რა მოუსვენარი გამოვა, ქალებო!
— რას დაარქმევ? — ჰკითხა მამას ლეპტინმა.
— პაპაჩემიც მოუსვენარი იყო. იმის სახელს დავარქმევ — სოკრატეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი პირველი

### I

პატარა მდინარე ილისოსი ათენის კედლებს ჩაუვლის, სამხრეთით შემოუვლის და კეფისოსს ერთვის.

ღრმა როდია ილისოსი. კლაკნილი განშტოებებით შეკრულა დაბალი ბალახით დაფარულ სათიბ-საძოვრებში, სადაც აქა-იქ ბუჩქებსა და ლოდებსაც შეამჩნევს კაცის თვალი; ერთგან ნაპირი დაბალ გორაკად აღმართულა, და ამ გორაკზე ჭადარი დგას. ჭადრის ქვეშ კი პატარა საკურთხეველია და შიგ პანის ქანდაკებაა ხისა, ყვავილებით მორთული. მცირე ველი, რომელზედაც ილისოსი მიედინება, არკადიული სიზმარია, მწყემსური იდილიაა. და არც არავის გაუკვირდება, თუ აქ, ამ გორაკზედ გამოჩნდება მცირე რამ ცხვრის ფარა და წინ გამოუძღვება სტესიქორეს დაფნისი, რომელიც თავის ლერწმის სალამურს დააკვნესებს.

ადრიანი დილაა, წყალი მშვიდი ტლაშუნით ევლება ლოდებს. წყლიდან მსუბუქი ნისლი ამოდის და ჰაერშივე დნება. აღმოსავლეთის მხარეს, ჰიმეტოსის თავზედ ვერცხლისფერი ალიონი იშლება.

ბუჩქებს ზემოთ ვირის ყურები გამოჩნდა. სახედარი წვნიან ფოთლებს მიირთმევს. სოკრატე ქვაზედ ჩამომჯდარა, სახედრის დარდი ნაკლებად აწუხებს. პერკონი ჭკვიანი ცხოველია, თავისთვის ბალახობს, სოკრატეს ხელს არ უშლის მოჩხრიალე ტალღების ცქერაში.

„პანტა რეი" — ყველაფერი მიედინება, გარბის, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, — ჭაბუკს ჰერაკლიტეს აღმოჩენა აგონდება. მართლაც აგრეა: აი, რა შორს წაიღო ყვითელი ნარგიზი, წყალში რომ ჩააგდო! აქ კი უკვე სხვა წყალია, უკანაც სულ სხვა ნაკადი მოიჩქარის. და ასე უსასრულოდ, ადამიანის სიცოცხლეც ამგვარადვეა. ყოველი წამი, გაელვება, ყოველი გრძნობა ნეტარებისა თუ ტკივილისა, ყოველგვარი სახე თვალთაგან იკარგება, ყოველი ხმა წყდება, ყუჩდება ბგერა, ქრება ყოველნაირი სუნი. ყველაფერი მოძრაობაა, და ადამიანის გულიც განუწყვეტლივ იძვრის, ვიდრე ადამიანი ცოცხალია.

მდინარე თითქოსდა ახმიანდა, ზედ მზის სხივები ათინათდა. ელვარებით ესალმება მდინარე ახალი დღის მობრძანებას.

სოკრატე თავის გულის სწორს ელოდება, მალიმალ ქალაქიდან ბუჩქებს შორის მომავალ ბილიკისკენ იყურება, დიდხანს არ მოუხდა ლოდინი.

კვიპაროსების ხეივანში მოდის კორინა, მხარზედ სარეცხით სავსე კალათა შემოუდგამს. სოკრატე სატრფოს მიხრა-მოხრას შეჰხარის. მსუბუქად მოდის ქალიშვილი, თითქოს ცეკვავსო, ბუჩქებთან მოსვლა აცალა. ბალახში კალათი რომ დადგა, მაშინ თვითონაც გამოვიდა.

— ეგრე გაირინდე, კორინა, როგორც დგახარ! — სთხოვა. — არ გაინძრე!

კორინამ გაუგონა. უძრავად გაჩერდა სოკრატეც, განცვიფრებული, დამუნჯებული, მეგობრის მშვენებით მონუსხული, და ასე შესცქეროდა ამ დილის ნაზ ჩვენებას, იმის უზინჯო სახეს. კორინას მხოლოდ [illegible] მოსავს, ფეხშიშველაა, გადატკეცილი სახე და შავგვრემანი ტანი [illegible] სანდალოზის ხისგანაათ გამოკვეთილი, ბაფთით შეკრული გიშრისფერი თმა ალაგ-ალაგ ჩამოშლია და კულულებს ნიავი უთამაშებს. თვალებიც ამ თმასავით შავი, ელვარე და სიცოცხლით სავსე აქვს კორინას.

— ერთი დილა მაშინ მიიწურა, როცა მზე ამოვიდა, — ამეტყველდა სოკრატე. — მაგრამ ახლა, როცა შენ კვიპაროსის ხეივნიდან გამოხვედი, მეორე დილა გამითენდა.

ქალს ნუხლები მოუყარა, ფეხები დაუკოცნა და მსუბუქი ქსოვილით დაფარულ მუხლებზე მოეხვია.

კორინა დაიხარა, ხელები ჭაბუკის ხშირ თმაში ჩარგო.

ქალიშვილი თითქოს გაბრუებულა, სოკრატეს ყოველი კოცნა თითქოს ნესტრავს, სისხლში შხამს აწვეთებს. ეს შხამი არა჻ჰკლავს, ნეტარებაში ჰკუას კარგავენ ამ შხამის ძალით. კორინა ველარ ხედავს ნაპერწკლების მფრქვეველ მზიან დილას — ქალიშვილის გარშემო წყვდიადი ღამე წვება, ნელსურნელოვანი ღამე ეუფლება, მთელი სხეული ზედ ადნება, კოცნის ძალას ნებდება. კორინა მთლად სოკრატეს ტყვეობაშია, მაგრამ სულაც არ ეშინია იმისა, რომ თვალთ დაუბნელდა — პირიქით, ნეტარებს.

აფსუს! მდინარის ზემო და ქვემო მხრიდან უკვე მოვიდნენ თეთრეულის მრეცხავი ქალიშვილები და ქალები ალოპეკოსის დემოსიდან. ბატების გუნდივით აყაყანდნენ. ყბედობითა და კისკისით შეძრეს მდინარის ნაპირი. კორინამ უხალისოდ დაიხსნა თავი.

— თეთრეული მაქვს გასავლები, — ამოისუნთქა. — და მაშინვე შინ უნდა გავიქცე...

— ჰო. მარტოს აღარ გამოგიშვებენ, თუ გაიგეს, რომ აქ მე გელოდები, — გაიცინა სოკრატემ. — არ გამოგიშვებენ და მაინც ხომ მოხვალ სადმე სხვაგან?

— მოვალ, მოვალ, ყველას ანდამატივით იზიდავ. მით უფრო ჩემსავით სულელ გოგოს. — კორინა უკვე ჩაჩოქილი იყო, სარეცხს წყალში ავლებდა, თან კითხვის გამომხატველი თვალებით უმზერდა სოკრატეს.

სოკრატემ გაუგო.

— არა, არ მოგცემ ნაგის ნებას, რომ შენს თავს სულელი უწოდო! იქნებ გიყვარს კიდეც ის შარდის სუნად აყროლებული მდებავი ეგერსიდე, რომელსაც ერთი სული აქვს, ვიდრე ხელში ჩაგიგდებს?

— მიყვარს კი არა. აბა, ეგ რა კითხვაა?

— აჰა, აი ესეც შენი სალი გონების დამამტკიცებელი საბუთი. ვერა, ვერ დაგიბრმავა თვალები ვერც იმისმა სახლმა, ვერც ორიოდე მონამ და ვერც კიდევ ჭუჭყიანმა ტეტრადრაქმამ. არა, შენ არა ჰყიდი შენს სილამაზეს, შენ გინდა, რომ ბედნიერი იყო, ეს კი მხოლოდ ჩემთან ყოფნით არის შესაძლებელი...

კორინა, რაც ძალი და ღონე აქვს, თეთრეულს ავლებს წყალში. წყალი

თითქმის დულს, ქაფდება, ქალწული უკან არ იხედება, ისე ელაპარაკება სოკრატეს...

— მართალი ხარ, მე მხოლოდ შენთან შემიძლია ბედნიერების პოვნა...

სოკრატემ შეამჩნია, რომ კორინას ცივ წყალში ხელები ვარდისფერი გაუხდა.

— შენ ვარდისფერთითებიანი ეოსივით ლამაზი ხარ და ახლა კიდევ უფრო ლამაზი ხარ მაგ ნაოჭიან პეპლოსში, ვიდრე ეოსი თავის ზაფრანისფერ სამოსელში, რომელსაც ჰომეროსმა უმღერა...

ქალიშვილს ასეთი ქებისა შერცხვა და ფეხზე წამოდგა. მაგრამ სოკრატე მხატვრის აღტაცებით შეჰხაროდა, შეჰფოფინებდა და კიდევ უფრო შეაქო, თუმცა უკვე სხვა კილოზედ:

— ვაი რომ ზევსი არა ვარ, თორემ ისე შეგიყვარებდი, როგორაც იმას შეუყვარდებოდა ხოლმე ნაირ-ნაირად გარდასახეულებული მავანი და მავანი მიწიერი.

ვერცხლისებრ გაწკრიალდა სოკრატეს მიწიერი სატრფოს კისკისი.

— მაინც რა სახით მოვლინებას უფრო ისურვებდი?

— გედის სახით, ჩემო დიდო სიცოცხლევ. წარმოიდგინე, რომ ეგ ტილო, ახლა რომ წყალში ავლებ, გედია. მთლიანად შემოგევლება ფრთებით, შემოგეხვევა და შენ აღმოჩნდები უნაზესი გრძნობის ტყვეობაში. გინდა? ან არადა, ოქროს წვიმად ხომ არ მოგევლინო? კოცნით შეგძრავდი თავით ფეხთამდე. ოქროს ყოველი წვეთი კოცნა იქნებოდა. არც ერთ ნამცეც ადგილს არ დაგიტოვებდი უკოცნელად...

— ოჰ, შე ჩემო ურცხვო ტრფიალო! — შვებით ამოისუნთქა ბედნიერმა კორინამ და უნებურად დაიხედა მხარზედ, თითქოს უკვე დაეცაო ოქროს წვიმის წვეთი. რა სიამით დანებდებოდა სოკრატეს ალერსს!

კორინამ თეთრეული კალათაში ჩაალაგა. სოკრატემ ქალიშვილი წამოაყენა, იმისი ხელები კისერზედ შემოიხვია და ბაგით ბაგეზედ დააცხრა.

მეშწვანილემ, რომელსაც ცბოსტნეული მიჰქონდა გასაყიდად, გულით დალოცა!

— აფროდიტე იყოს თქვენი მფარველი, მტრედებო!

სოკრატემ არ დააყოვნა:

— შენ კი ჰერმესი გფარავდეს, ნაბიჯი აგიჩქაროს და თვალთ დაგიბნელოს!

და ისევ სატრფოს დაუწყო კოცნა.

კორინამ განიშორა, კალათა მხარზე შეიდგა, უკან მიიხედა, შეშინებულმა ჰკითხა:

— შენი პერკონი სადღაა?

აღარ ჩანდა ბუჩქებში სახედრის გრძელი ყურები! პირუტყვი არსად იყო. მაგრამ სოკრატე არ შეშფოთებულა, ორი თითი ჩაიდო პირში და დაუსტვინა, პასუხად იმავ წამს გაისმა პერკონის: „ი-ო! ი-ო!“

2

სოკრატე მარტო დარჩა ილისოსის ნაპირზე. დგას უზარმაზარი ჭადრის ქვეშ, რომელსაც ათასობით მწვანე ხელისგული გაუშვერია და მზის სხივებს აგროვებს. დგას სოკრატე პატარა საკურთხეველთან, ჭიებისგან გამოხრული პანის მოწცრო ფიგურის წინ: ფიგურას საღებავი გადასცლია, მარცხენა ყუ-

რი და მარჯვენა ხელი აკლია. სოკრატე ჩაფიქრებული შესცქერის ყოველივე ამას.

ვინ იცის, რამდენჯერ გაუწკეპლიხარ გუთნისდედებს, პატარა პანო, ოდეს წვიმა დაგიგვიანებია, ძროხისთვის ძუძუ გაგიშვრია ანდა ქერის მოსავალი ქარისთვის გაგიტანებია! ყვავილებიც დაგჭკნობია თუ სულაც ძირიანად გაგხმობია. აწ უკვე ნაკლებად გაფასებენ. თუმცა აგერ ახალი მოტანილი თაიგულიც ჩანს, ნეტაი, რომელმა დიაცმა გაიმეტა? ნუთუ ვინმეს სწამს კიდევ? რწმენა მთებსა სძრავსო, ნეტყვის ხოლმე დედაჩემი. მაგრამ არ ვიცი, რას გულისხმობს ამ რწმენაში, რას გაუგებ, ბებიაქალია...

სოკრატემ რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან. საზღვარი პადრის ჩრდილსა და მზის მხურვალებას შორის მკვეთრია. სოკრატეს უფრო მზე უყვარს, ვიდრე ჩრდილი. მზეში დადგა.

გუშინ, როდესაც ახალშობილთა ამასოფლად შოვლინებით დაღლილ ფენარეტესა და მარმარილოს თლაში დაქანცულ სოფრონისკეს ჩაეძინათ, სოკრატემ ჭრაქი აანთო, გაშალა გრაგნილი, კრიტონს რომ გამოართვა, და შუაღამემდე კითხულობდა. თანაც ანაქსიმანდრეზედ ფიქრობდა, რომელმაც ყოველი არსის უზენაეს კანონად მატერიის ბრუნვა-ტრიალი აღიარა.

მატერიის ამ მარადიულ ბრუნვასა თუ მიმოქცევაზედ ფიქრობდა სოკრატე, ვიდრე წეღან კორინა გამოჩნდებოდა, მეზობლის ასული, და ახლა იმავე ფიქრს მიუბრუნდა.

თვალს ადევნებდა, რა ნელად ჰკრავდა ჩრდილი წრეს პადრის გარშემო, რომლის ქვეშაც თვითონ იდგა. მზე ყოველთვის ერთნაირი სიჩქარით მოძრაობს, არასოდეს არ აჩქარებს თავის მოძრაობას, არც ანელებს, არც ერთი წამით. საოცარი ძალაუფლებაა ამ თანაბარზომიერებაში — თან ამშვიდებს და თან აშფოთებს დამკვირვებელს.

მზეში ნატყორცნი ჩრდილის შემწეობით ანაქსიმანდრემ მზის საათი შექმნა. დრო-ჟამის აღრიცხვა ადამიანთ ესაჭიროებათ, თუმცა ყოველთვის სასიამოვნო როდია. განსაკუთრებით მტრულად ამ აღრიცხვას ისინი უყურებენ, დროს ფუჭად რომ ფლანგავენ. რა გაეწყობა, შევეცადოთ, რომ დრო რაც შეიძლება ნაკლებად ვფანტოთ უსარგებლოდ!

ასეთ დასკვნამდე რომ მივიდა, სოკრატემ თავის თავს მიმართა: „შენც კარგი ვინმე ხარ, უსაქმურო! ცნობისმოყვარეობა ადამიანებისკენ გეწევა, სულ აგორაზედ დარბიხარ, იქ კი ხალხს გამოკითხვით აბეზრებ თავს, ნაცვლად იმისა, რომ დადგე და კრიტონის სახლის პერისტილისთვის სილენეს ქანდაკებაზედ იმუშაო. ბრწყინვალე შეკვეთაა! ვინ, რომელი ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი დაიტრაბახებს ასეთ პატივს? თუმცა, ისიც ხომ მართალია, სხვას ვის შეუძლია დატრაბახება, ექვსი წლიდან დაწყებული ჩვიდმეტ წლამდე თიხის ზელაში და ქვის თლაში ვიყავიო? ეჰ, შე მცონარავ, შენა! ის როგორღა იყო, სიხარულით რომ ცას ეწიე, სასწაული ქვის გამოთლას იქადნებოდი, სანაძლეოც კი დაუდე კრიტონს, ამ სამუშაოს თავის დროზედ დავასრულებო! მაშ, აბა შინ მოუსვი და საქმეს მიხედე!"

აჰაოა საკუთარი თავის საყვედური, ფუჭია ოდენ კეთილი ზრახვები. ცნობისმოყვარეობა და ცოდნის წყურვილი ტკიპებივით მოჰკიდებიან სოკრატეს და ჩინებულად იბერებიან მისი სისხლით. პადრის მხოხავ ჩრდილს თვალი მოაცილა და — უკვე სხვა თვალით უყურებს ათენის კედლის მიღმა გადაშლილ ველს, ნაცნობ სურათს.

ძველმა ფილოსოფოსმა ანაქსიმანდრემ დღეს იძულებული გახადა სოკრატე, რომ მდინარისთვის, ბუჩქებისა და ხეებისთვის, მწყემსის სალამურის ხმაზედ ველად მოშალახე ცხვრებისთვის ეცქირა არა როგორც მომხიბლავი იდილიისთვის. და სოკრატე ახლა იმაზედ ფიქრობდა, თუ რამ წარმოშვა ასეთი სრულყოფილი ჰარმონია, ურომლისოდაც წარმოუდგენელია — თუგინდ ადამიანისა და თუგინდ რომელიც გინდა ქმნილების არსებობა.

ველს რომ ფიქრიანი მზერა გააყოლა, ილისოსის გაღმა ნაპირზედ სოკრატემ ფილოსოფოს ანაქსაგორას, თავის მასწავლებელს მოჰკრა თვალი. მაღალი, კოხტა ტანის ფილოსოფოსი დინჯად მიაბიჯებდა, როგორც დარბაისელთ სჩვევიათ. იმის ფართო და ხშირ წვერს — როგორსაც ფილოსოფოსნი იყენებდნენ — საგრძნობლად შეჰპაროდა ჭაღარა, თუმცა ანაქსაგორა ჯერ ორმოცდაათისაც არ იყო. ხშირნაოჭიანი ჰიმატიონი ზედ სანდლებამდე სწვდებოდა.

სოკრატემ დაუსტვინა. მაგრამ უკვე კარგა გაძაძღარი სახედარი იქავ ბალახში მიწოლილიყო და პატრონს აღარ ეხმაურებოდა. სოკრატემ პერკონს ალვირის სათავური დაუჭირა:

— გატყობ, პანისა არ იყოს, შენც ჩრდილში წოლა შეგყვარებია. ადე, შე იმასავით ყვავილებდასაყრელო! მალე, ანაქსაგორას უნდა დავეწიო, ეგების ცოტა რამ მაინც ვისწავლო, თორემ შენზე მეტი ვირი მე გამოვალ.

ამ ლაპარაკ-ლაპარაკში, როგორც იყო, მდინარემდე მიათრია სოკრატემ სახედარი, ფონი შეათვალიერა და ორივენი გაღმა გავიდნენ.

— მშვიდობა მითქვამს, ძვირფასო ანაქსაგორა! ჰაირე! — ჯერ ისევ წყლიდან შეუძახა სოკრატემ ფილოსოფოსს.

ანაქსაგორამ მიმშვიდობების ნიშნად ხელი აუწია.

— შენც ძვირფასი ხარ ჩემთვის, სოკრატე! დღეს განსაკუთრებით, რადგან ვხედავ, ჩემთან შეხვედრა ისე მოუთმენლად მოგნდომებია, ვირზედაც კი არ შემჯდარხარ, რათა მდინარეში მშრალად გამოეყვანე!

— მართალი ბრძანებაა, — მხიარულად წარმოთქვა ჭაბუკმა და სამოსზედ დაიხედა. — არც კი შემიმჩნევია: მთელი ილისოსი მდის!

ქიტონი გაიძრო და წურვა დაუწყო.

— ქვისმთლელის ჯაფა სასარგებლო გამომდგარა შენთვის, ჭაბუკო მეგობარო, — მიუთხრო ანაქსაგორამ, თან სიამოვნებით შეავლო თვალი სოკრატეს ლამაზად აღნაგ სხეულს, თითქოს მარტოოდენ კუნთებისგან შეკრულს. — მერე, რამდენი მზეა შენში!

სოკრატემ გაწურული ქიტონი ისევ მოირგო შავგვრემან ტანზედ. სიტყვა ანაქსიმანდრეზედ და იმის მოძღვრებაზედ ჩამოაგდო.

— შენ, ანაქსაგორა, ჩვენს ბოლო საუბარში ის ახალი დასკვნები მოიხსენიე, რომელთაც იმაზედ ფიქრში მიაგენი, თუ ვითარ გაჩნდა სამყარო, რარიგ ვითარდებოდა და ვითარდება. იმ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს, სულ იმას ვფიქრობდი, რაგვარ განირჩევა ყოველივე შენგან თქმული ჰომეროსის „ილიადისგან“, სადაც ცა, დედამიწა და ქვესკნელი აურაცხელი ღმერთებით, პატარა-პატარა ღვთაებებითა და დემონებით დასახლებულა!

— დღესაც ისე ხომ არ შეგაშინებ, რომ ძილი არ მოგეკაროს, უკეთუ მზეზედ ჩემს შეხედულებას გაგანდობ? — ჰკითხა ფილოსოფოსმა.

სოკრატემ დაარწმუნა, თუ არ გამანდობ, უფრო არ დამეძინება ცნობის-

მოყვარეობისგანო, და ანაქსაგორამ გაუზიარა თავისი მოსაზრება, რომ მზე სხვა არაფერია, თუ არა უზარმაზარი გავარვარებული ქვა.

სოკრატე ლამის გაშტერდა. დიდი გადმოკარკლული თვალებიდან ელვა გამოკვესა, და ყვრიმალებზედ ოფლის წვეთები დაუცურდა.

— ჩემი მზე! და ქვა?! — შესძახა შეწუხებულმა და სასოწარკვეთილმა. — მე კი ყოველ დილით თაყვანსა ვცემ! მზე ჩვენი სატრფოა! მზის სიყვარული რომ არა, აბა, რა სიცოცხლე იქნებოდა! არც ადამიანნი იარსებებდნენ, არც ცხოველნი, არც მცენარენი! მზე მიჯნურია, რომელსაც სიმხურვალით ვერავინ შეედრება!

ანაქსაგორამ ხელი მხარზედ დაადო.

— დაწყნარდი, ყმაწვილო! მე ხომ იმ შენი მიჯნურის თავზედ ბეწვიც არ შემირხევია!

— შეარხიე! შეარხიე! — შმაგივით შესძახა სოკრატემ. — რაკი მზე ქვაა, მაშ, ის აღარც ოქროსთმიანი ჰელიოსია, რომელსაც თავზედ სხივთამთოველი გვირგვინი ადგას! მაშ, ის ყოველდღიურად ცის ტატნობზედ არ გამოდის თავისი ოქროს ეტლით, რომელსაც ოთხი ფრთოსანი ცხენი უბია!

ანაქსაგორამ ჰკითხა:

— დიდხანს თუ შეგიძლია მზის ყურება?

სოკრატე მიუხვდა, მახეს უგებდა სწავლული, მაგრამ პატიოსნად მიუგო:

— მხოლოდ ერთი წამით!

და გაება.

— მაშ, როგორღა შეეძლო ვინმეს — თუნდაც ღმერთს — რომ საუკუნეთა მანძილზედ ასეთ სიცხეში ეცხოვრა?

— ალბათ ფერფლად იქცეოდა, — წყნარად თქვა სოკრატემ, მაგრამ მაშინვე ისევ წამოენთო. — მაშ, აბა ისე გამოდის, ანაქსაგორა, რომ შენ ჰელიოსსა ბუგავ!

— ჰელიოსს კი, ჩემო ძვირფასო, მაგრამ ამისდა მიუხედავად, შენი არ იყოს, არც მე შემიწყვეტია მზის თაყვანისცემა. დაიხსომე: რასაც ჩვენ, ფილოსოფოსნი, ვამტკიცებთ, არაფრით არ განსხვავდება ძველი მითებისგან. ხშირად ჩვენ მხოლოდ პროზის ენით ვთარგმნით, პროზად გადმოგვაქვს ლექსი და პოეტური მეტაფორები, წინასწარმეტყველებანი და ხილვები. ანაქსიმანდრემ, რომელიც შენ ახსენე, პირველმა დაიწყო წერა პროზად. გამიგე, რის თქმა მინდა ამით? გამიგე? კიდევ ერთი კითხვა: კრიტონს თავისი მამის ბიბლიოთეკიდან შენთვის ჰერაკლიტე ეფესელის თხზულებანი ხომ არ მოუცია? მოგცა? მაშ, აბა უთუოდ გეცოდინება, რომ ჰერაკლიტეს ყოველი არსის დასაბამად ცეცხლი მიაჩნია. აგრეა არა?

სოკრატემ თავი დაუქნია.

ჩვეულებრივ მუდამ დინჯმა ანაქსაგორამ გაიღიმა:

— განა ჰერაკლიტე არ ამტკიცებს, რომ ყველგვარ ცვლილებათა მიზეზი ცეცხლია? რომ ცეცხლი ძალაა? და თანაც ცეცხლოვანი ძალა გონების შემცველია? ეს ნუსი, ეს გონება, საყვარელო სოკრატე, ყოველი არსის დასაბამად მიმაჩნია. გონება — აი უდიდესი ღმერთი, რომელსაც თაყვანი უნდა სცენ ადამიანთ. მაშ მეტი რაღა გინდა? როცა ვამტკიცებ, მზე ცეცხლოვანი ქვაა-მეთქი, განა ამით უფრო მეტ პატივს არ ვანიჭებ, ვიდრე იმით მივანი-

ჭებდი, მზეში მხოლოდ მოელვარე გვირგვინით შემკული მეეტლე რომ დაენახა?

— შეიძლება, ძვირფასო ანაქსაგორა, — სოკრატეში წინააღმდეგობის სული აღდგა. — მაგრამ მაგაში უკვე აღარ არის სილამაზე!

— ეგრე ნუ ლაპარაკობ! — პირში სწვდა ანაქსაგორამ. — სრულიად ერთი და იგივეა, რადგან ჭეშმარიტება იგივეა, რაც მშვენიერება!

მაგრამ სოკრატე ვეღარ იოკებდა მღელვარებას და ისევ ისე შფოთიანად შეედავა:

— მაშ, აბა, ჩემო მასწავლებელო, შენ ღმერთთ სულ ძირსა ჰყრი ოლიმპიდანაც. ცეცხლში ცხოვრება თუ შეუძლებელია, ვერც ყინულსა და სიცივეში იცხოვრებს ვინმე!

— დიახ, ოლიმპიდან ვაძევებ ღმერთთ, — სერიოზულად დაუდასტურა ანაქსაგორამ. — ან განა შესაძლოა, რომ იქა ცხოვრობდნენ, ადამიანური თუ ცხოველური სურვილნი ამოძრავებდეთ, სასიყვარულო ინტრიგებს აბამდნენ, ერთმანეთს ხოცავდნენ და ერთმანეთზედ შურსა ძიობდნენ, ვნებდნენ ანდა, პირიქით, შეეწეოდნენ სხვა ღმერთთ, ნახევარღმერთთაც და ადამიანთაც? რახან ადამიანმა ღმერთთა ისეთებად წარმოდგენა დაიწყო, როგორიც თვითონ არის, თავისი ნაზი და სუსტი მიწიერი გარსითა და არსით, მაშინ აბა ისიც უნდა იაზროს, რომ ოლიმპზედ მოხვედრა, სადაც მარადიული ყინულია, იგივე გაყინვა' ნიშნავს. დიახ, ვაძევებ, ჩემო ჭაბუკო მეგობარო, ღმერთთ ქვესკნელიდანაც ვაძევებ, სადაც ჰაერი არ არის და სუნთქვა შეუძლებელია, და ზღვის წიაღიდანაც. ხან ისე მგონია, ნამდვილად მთვრალებში ვარ-მეთქი, რომელ მთვრალთაც უაზროდ სწამთ ღმერთნი, ოღონდ ცბიერი განზრახვით — სულ იმათ გადააბრალონ ყველა თავიანთი უბედურება, უიღბლობა და მარცხი.

სოკრატე ბალახის ღეროს ღეჭავდა და დუმდა. ჯიუტად დუმდა.

ფილოსოფოსმა გადახედა:

— რა იყო? დანაღვლიანდი?

— მე მოქანდაკე ვარ, — მიუგო სოკრატემ. — ჩემი ხელობაა — ქვისგან გამოვკვეთო ან ბრინჯაოსგან ჩამოვასხა ღმერთნი, რომელთაც შენ ამ ქვეყანაზედ არ აყენებ. იქნებ სამართლიანადაც, მაგრამ მე...

— მაგრამ ხომ გითხარი, მშვენიერება ჭეშმარიტებაა-მეთქი. შენ მხატვარი ხარ, შენი პოეზია მარმარილოში და ლითონშია, შენ პოეტი ხარ ფორმისა და მატერიისა, და ვინ მოგთხოვს, მზე მაინცდამაინც ქერის კვეკვერას დაამგვანეო? ვითომ შენც რატომ ისე არ უნდა გამოხატავდე მზეს, როგორაც ჰომეროსი გამოხატავდა — სხივნათლიერი მეეტლის სახით? ან თუნდაც ოლიმპიური ქინქლილით ხელში მორბენალ ათლეტად...

— ეჰ, ჩემო ძვირფასო, ბრძენო და დიდო მოძღვარო! — შესძახა აღტაცებულმა სოკრატემ.

— შენ ყოველთვის ჩქარობ, ყმაწვილო. სილამაზე დაე დარჩეს, ოღონდ გაქრეს ბრმარწმენა ღმერთთა. სწორედ ამ დღეებში დავიწყე ამაზედ წერა.

სოკრატემ გაოცებულმა დაიხია უკან.

— წერა დავიწყე ღმერთთა წინააღმდეგო? მერედა, არ გეშინია?

— ვისი? ღმერთთა? ისინი ხომ არ არიან!

— ვისი და, ადამიანთა!

ანაქსაგორამ შუბლი შეიჭმუხნა.

— ჰო, ადამიანნი, ილოცხლე... მართლაც საშიშნი არიან. მაგრამ ამჟამად, პერიკლეს ძლიერი ზეგავლენის წყალობით, იმისი ფართო შეხედულებათა იმედით, ვგონებ, საშიშროება ბევრად უფრო ნაკლებია, მეტადრე ჩემთვის — მე ხომ იმისი ახლო მეგობარი და მრჩეველი ვარ. მაგრამ თუნდაც არსებობდეს, ეს საშიშროება... სიმართლემ შიში არ უნდა იცოდეს.

— შენ გმირი ხარ, ანაქსაგორა! — აღტაცებით შესძახა სოკრატემ.

— განა წერა გმირობაა?

— ვფიქრობ, ზოგჯერ წერაც საგმირო საქმეა, უკეთუ ნაწერის განსჯა სულელთ მოუწევთ.

ხიდი გაიარეს. ვინცა ხვდებოდათ, ყველა მოწიწებით აძლევდა სალამს ანაქსაგორას, პერიკლეს მეგობარს; ზოგიერთნი ჭაბუკს უღიმოდნენ.

— წელან ზეთისხილის ხეივნიდან რომ გამოვედი, მდინარის ზემოთ, — თქვა ანაქსაგორამ, — ორნი დავინახე...

სოკრატეს სიწითლე შეეპარა. მაგრამ დედის დარიგება მოაგონდა: არასოდეს ტყუილი არა თქვაო, ამიტომ მაშინვე გამოტყდა:

— დიახ, მარტო არ ვყოფილვარ.

— კორინა იყო არა, ერთხელ რომ მიამბე, ასეთი და ასეთი გოგოაო? ძალიან ლამაზი კია...

— რაო? — აენთო სოკრატე, — ლამაზიაო? აი პისტიოსი კი, ქერათმიან ქალებზედ რომ ირევა, პირიქით ამბობს: არც ისეთი ლამაზიაო!... მაშ მართალი ვყოფილვარ! სწორად ამომირჩევია!

— ასეთ დავაში, — მიუგო ანაქსაგორამ, — სწორად ის კი არა ხედავს, ვის მხარესაც ეგების სიმართლეა, არამედ — ვის მხარესაც სიყვარულია, მაგრამ ის მესამე სადღაა, მდინარესთან რომ იყო? ვირი რა უყავი?

სოკრატემ თავში ხელი იკრა:

— უი ვირი! მაპატიე, რომ ვერ გაცილებ. გავფრინდი პერკონის საძებნელად!

და ისევ მდინარეს მიაშურა.

3

ხირხატ კალაპოტში რბოდა ლიაასფოდელოსფერი ილისოსი და თან მიჰქონდა სოკრატეს სიყმაწვილის დრო-ჟამი.

სულ უფრო იშვიათად ხვდებოდა კორინას და ანაქსაგორას — სოკრატე თავდავიწყებით იყო შეპყრობილი სილენეს. არც დღე ახსოვდა, არც კვირიკეებს ითვლიდა... თავში ერთი აზრი ჩაუჯდა: საჭიროა აჩქარება! მაგრამ ანაქსაგორას სიტყვებიც მიწყივ ჩაესმოდა: „შენ მხატვარი ხარ, შენი პოეზია მარმარილოშია... შენ პოეტი ხარ ფორმისა და მატერიისა..." აჩქარება ხელოვნებას არ არგებს.

სოკრატე თავდაპირველად ხატავდა — ვინ მოთვლის, რამდენი ნახატი და მონახაზი უარყო, რამდენი შეცვალა, რამდენი მოდელი გამოძერწა თიხისგან, რათა შემდეგ ეძერწა ისევ და ხელახალა.

ბოლოს, ერთხელაც, მოეჩვენა, საწადელს მივაღწიეო.

მისი სილენე შეზარხოშებული ბერიკაცია. მძიმედ ჰობარბაცებს, იტყვი, ცეკვავსო, და მაინც ზრუნვა უბოჭავს მოძრაობას — ხელთ ხომ პატარა დიონისე უჭირავს. ნანა-ნანა-ნანაო, ჩემო პაწაწინაო, მშვენიერი ღვინო გასვი, იავ ნანა, ნანაო... სილენის მოცინარი და თანაც ცოტა დამცინავი თვალები

აქვს — ან იქნებ სულაც წინასწარმეტყველური ნაპერწკალი უციმციმებს.

შუბლი ნამდვილად ისეთი აქვს, როგორიც ღვთის ბრძენ აღმზრდელს შეჰფერის. მაგრამ ყურები რას უგავს? რასა და, კაცს თხისა ჰგონება, იმისთანა წვეტიანებია! ამით თითქოს მინიშნებულია პირველყოფილი, ცხოველური თავაწყვეტილობა, ისინი გვაგონებენ ექსტაზის გავლენით წარმართული აღმაფრენის გაელვებას, იმ სილამაზით აღძრულს, რომელ სილამაზესაც სისხლსავსე ცხოვრების შეგრძნება ქმნის.

თიხის მოდელთ რომ მორჩა, სოკრატე ახლა მარმარილოს ეცა, მკვდარ ქვას სატირების წინამძღოლის სულს უდგამს, ხორცშესხმულ მხიარულ ბერიკაცად აქცევს.

იმისდა მიხედვით, როგორც მზე მოძრაობს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, სოკრატეც ხან ჩრდილში ექცევა და ხან მზეში. ყოველ ძარღვში სისხლი უდუღს, თვითონ კი უფრო იმასა გრძნობს, როგორ დუღს სისხლი მარმარილოს ძარღვებში...

დღეს სოფრონისკეს პატარა ეზო დაძაბულად მიყუჩებულია. სოკრატე ხარაჩოზედ დგას — სილენეს ამთავრებს, ხვეწავს, წვერს უკრიალებს, შუბლს, ცხვირს უპრიალებს, გარშემო უტრიალებს, ათვალიერებს, ხანაც იჩოქებს, რათა დაბლიდან კარგად ახედოს, ხელებითაც და მხედველობითაც ზედ მისჯაჭვია სილენეს.

დაძაბული დუმილი ცად განაბულ არწივს დამგვანებია. დაძაბულობას ის უფრო აძლიერებს, რომ სოკრატეს ზურგს უკან მეგობრები, თანატოლები უდგანან. აქ არიან ახალგაზრდა კრიტონი, სიმონი, პისტიოსი, კირებოსი, ქსანდროსი და ლავროსი. სუნთქვა შეჰკვრიათ, რათა სოკრატეს ღრმა გულისყურით მოცული ფიქრი არ დაურღვიონ. თვითონ ის კი ხმამაღლა სუნთქავს, ხან ხვნეშის კიდეც, და ხმაურით ირწევიან, ჭრიალებენ იმის ფეხქვეშ ქანდაკების გარშემო აღმართული ხარაჩოთა ფიცრები.

სხვებზედ მეტი ყურადღებით კრიტონი ადევნებს თვალს სამუშაოს. ყველაზედ ახლოსაც დგას მოფუსფუსე სოკრატესთან. კრიტონი მოხდენილი ჭაბუკია, ნაზი და სუსტი ჩანს — ჩასკვნილი სოკრატესგან ზარე ორი ასეთი ჭაბუკი გამოვიდოდა. ძვირფასი ქსოვილის იისფერი ქლამინდი და ერთადერთი ძვირფასქვიანი ბეჭედი მნახველს ეგრევე მიანიშნებენ, რომ ის მდიდარი არისტოკრატიული ოჯახის შვილია. ვიწრო სახე, მაღალი შუბლი, სახის ნატიფი ნაკვთები დაძაბულ მოლოდინს გამოხატავენ. კრიტონისთვის ორმაგად მნიშვნელოვანია სოკრატეს გამარჯვება — ჯერ ერთი, სურს, რომ მამამ დროზედ მიართვას დედას საჩუქარი, და მეორეც — მოლოდინი არ გაუცრუოს სოკრატემ, რომელიც ალალი გულით შეჰყვარებია.

ხმელ-ხმელი, ახმახი პისტიოსი, რომელმაც სულ ახლახან დაამთავრა სწავლა თავის ლითონმჭედელ მამასთან, ყველას თავს დაჰყურებს და გულით შეჰხარის სოკრატეს ოსტატობას, რადგან კარგად ესმის ხელობის მადლი.

მომავალი ხაბაზი კირებოსი, სიცილის დიდად მოყვარული, შესცქერის სოკრატეს სილენეს და ვერ გადაუწყვეტია, წაიხუმროს თუ არა, რატომ არ გამოაბა სოკრატემ თავის სილენეს თხის კუდი — სულ ერთია, მაინც ვეღარ გამოასწორებინებს...

ძმათ ქსანდროსსა და ლავროსს მამასთან ერთად ათენის კედლებთან ყვავილნი და ბოსტნეული მოჰყავთ აგორას ბაზრისთვის. სწორედ აქ გაიცნეს პირველად სოკრატე, რომელმაც მოხიბლა და მოაჯადოვა ისინი თავისი

მოსწრებული და ცოტა არ იყოს, სახიფათოდ გადაკრულ-გადმოკრული სიტყვა-პასუხით — ხან მყიდველთ ექილიკებოდა, ხანაც გამყიდველთა. დღეს კი ძმებს სილენე ხიბლავს. ქსანდროსი გულდასმით ათვალიერებს სილენეს გვირგვინში ჩაწნულ ვაზის ფოთოლთ, აიცებს ამ ფოთოლთა ფორმა და იკ-ლიკანტური განლაგება.

სიმონმა დუმილი ვეღარ აიტანა. სილენეს ქიტონის ნაოჭებს ხელი მია-შეირა და მორცხვად წართქვა:

— აი აქ კი დაგვიწყებია...

სოკრატე ისე შეხტა, თითქოს ჩასცხეს რამეო.

— რა თქვი? დამვიწყებია? აბა სად?! — ლაწის შეჰყვირა. — აი მანდ? არა, არ მინდოდა, რომ ებრიალა. აღალმა წალა როდია, რომელსაც ერთიანად პრიალი უნდა გაჰქონდეს, აღალმას თავისი ჩრდილი უნდა ახლდეს... — და უკვე უწყინრად, თითქმის ფიქრიანად დაუმატა: — როგორც მე, როგორც შენ, როგორც ყველას...

სიმონი სოკრატეს მეზობელი იყო. მხოლოდ ერთი დაბალი ღობე ყოფდა სიმონის მამის, ხარაზ ლეპტინესა და სოფრონისკეს პატარა ეზოებს. სიმონი პატარაობიდანვე მიეჩვია სოკრატეს შორჩილებას. იმანაც თავისი გემოვნება ჩაუნერგა ყველაფერში, განსაკუთრებით კი ცნობისმოყვარეობას შეაჩვია. სოკრატე ხშირად ეუბნებოდა: შენ გახდები ყველაზე დიდი განათლებული ხარაზი მთელ საბერძნეთშიო — სიმონი ამას ხუმრობადაც იღებდა და სინამდვილედაც. ამიტომ არც ახლა სწყენია სოკრატეს მკვახე პასუხი.

სოკრატე კი სულ უფრო და უფრო ჩქარი ნაბიჯით უვლიდა გარშემო სილენეს, ყოველი მხრიდან ათვალიერებდა ქანდაკებას, სულის შებერვით აცლიდა მარმარილოს მსუბუქ მტვერს მიუწვდომელი ნასვრეტებიდან, ტყავის ნაჭერს უსვამდა ხან აქ, ხან იქ — დაბოლოს, გულში ჩაიკრა აღალმა, ჩაიკრა და წვეტიან ყურში ჩასჩურჩულა:

— აბა, შენ იცი, ჩემო დიონისეს თანამგზავრო, ორივენი ჯანსაღად ვიყვნეთ!

მერე მარმარილოს ბერიკაცს ზურგი აქცია და ჭაბუკთ მიუბრუნდა:

— ძვირფასო კრიტონ, — ჰკითხა ვითომც საგონებელში ჩავარდნილმა, — როდის უნდა გადავცე სილენე მამაშენს?

— ზეგ, — მიუგო იმან. — ვერ მოასწრებ?

— ევოე! — შესძახა სოკრატემ. — სანაძლეო მოგებული მაქვს! სილენეს დღესვე შეუძლია თქვენკენ წამოსვლა!

— ევოე! ევოე!

სოკრატემ ხარაჩოდან ისკუპა, პირდაპირ ბიჭების წინ დახტა და ბედნიერმა გაიცინა:

— იცით თუ არა, ჩემო მამლაყინწებო, რა გვაქვს სანაძლეოდ დათქმული? რა და, კრიტონის მამამ მითხრა: „თუ ქანდაკება დანიშნული დღისთვის — ესე იგი ჩემი ცოლის დაბადების კვირაძალზედ მომისწარიო, ფასის გარდა თექვსმეტ კოტილა შეუზავებელ ქიოსურ ღვინოს მიიღებო". მთელი თექვსმეტი კოტილა? მთელი ერთი ჰუსი ღვინო! გაიხარეთ და გამახარეთ, ბიჭებო! დავდგეთ და ერთად ვსვათ!

— ნურც ეგრე აჩქარდები! — პირში სწვდა სიმონი. — ჯერ კრიტონის მამამ უნდა ნახოს სილენე. და, თუ მოიწონა, ღვინოს მერე ელოდე.

— მართალს ამბობ! — კვერი დაუკრა სოკრატემ.

კრიტონი მამის დასაძახებლად გავარდა.

სოკრატე კი უეცრად ეჭვმა შეიპყრო, რისი ზეიმი. რა აღტაცება! თითქოს არაფერიც არა ყოფილა. ყველაზე მძიმეს მხატვრისთვის — დაეჭვებას, ვინ როგორ შეუფასებდა ნამუშევარს — იმით იხშობდა, რომ ჩაქუჩს დემონთაგან შეპყრობილსავით ურტყამდა და გაშმაგებული შლიდა ხარაჩოებს; მეგობრები ხელს აშველებდნენ. ფიცრები გვერდზე გაჰქონდათ, მარმარილოს ნატეხებისგან ასუფთავებდნენ სივრცეს სილენეს გარშემო.

სოკრატე ალალმას შეფიქრიანებული, კითხვის გამომხატველი მზერით ზონავდა, როცა ეზოში კრიტონის მამა შემოვიდა. ჭაღარა, მაღალმა კაცმა მისალმების ნიშნად ხელი ასწია და სილენესკენ გაემართა. ანაზდად გველნაკბენივით უკან-უკან დაიწია და ეგრევე გაშეშდა. დიდხანს უსიტყვოდ შესცქეროდა, სახეზედ ნაოჭები გაუჩნდა. მერე ნელა-ნელა შემოუარა ქანდაკებას, ყველა რაკურსში გაბედ-გამოხედა.

ბოლოს, აღალმისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე წარმოთქვა:

— დაუჯერებელია! ნამდვილად ცეკვავს! ცოტა დაულევია კიდეც ამ კეთილსა და მხიარულს... ზევსის მზემ, ცოცხალია! — სოკრატეს მიუბრუნდა. — შენ ერთმა აკეთე?

სოკრატემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, და კრიტონის მამამ გულში ჩაიკრა:

— არ ვიცი, გრძნობ თუ არა, ჩემო ბიჭო, რაოდენ დიდია შენი ხელოვნება. გილოცავ კიდეც და მადლობასაც გეუბნები იმისთვის, რომ ცოლს ასეთი იშვიათი საჩუქრით გამახარებინებ...

სოკრატე ხარბად იჭერდა კრიტონის მამის ყოველ სიტყვას, მაგრამ ბოლომდე აღარ უსმენია, უეცრად მიბრუნდა და შინ შევარდა — მშობლებთან. პირველად დედა მონახა, მოეხვია, გულში ჩაიკრა, მარმარილოს მტვერში ამოგანგლა, ჯერ სახე დაუკოცნა, მერე ხელები, ბედნიერებისა და მადლიერებისგან გულაჩვილებულმა გაუაზრებელი შეძახილებით გააბრუა:

— ნამდვილად ჭკუიდან შევიშლები! იმან მითხრა... არა, თავად უნდა მოისმინო, რასაც კრიტონის მამა ამბობს! მამაჩემმაც უნდა მოისმინოს: სად არის მამაჩემი? მამა! მამა!

— რა მოხდა? — იკითხა კარებში შემოსულმა სოფრონისკემ, მაგრამ სოკრატე იმასაც უკვე გულში იკრავს, უკოცნის ქვის თლაში დაკოჟრილ ხელებს და ორივენი, დედაცა და მამაც, ძალით მიჰყავს კრიტონის მამასთან, თავის სილენესთან.

კრიტონის მამამ მშობლებს შვილის ნამუშევარი შეუქო, შეაქო სოფრონისკე — ბიჭი კარგად გაგიწვრთნიაო, — დაბოლოს, ისეთი რამ თქვა, რაც სოკრატესთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ყოველგვარი ქება, ვიდრე ქოისის ღვინის მოგება ანდა გაწეული შრომის გასამრჯელო: კრიტონის მამა შეჰპირდა, სოკრატეს ამბავს ათენში ყველაზე უფრო გავლენიან კაცს, პერიკლეს ვეტყვიო.

პერიკლე ყველას თავის გარშემო იკრებს, ვისაც კი ათენის განდიდება ხელეწიფება, მხარს უჭერს ახალგაზრდობის პირველსავე აღმაფრენას; ვინ იცის, იქნებ სოკრატეც მიიწვიონ იმასთან.

სოფრონისკეს ამის გაფიქრებაზედ თავბრუ დაეხვა. თვითონ ძნელად მიიკვლევდა გზას, შვილს კი ცა გაეხსნა, რაზედაც მხოლოდ ოცნება შეეძლო. აღელვებული, თითქოს რისხვითაც კი მიუბრუნდა სოკრატეს:

— რამდენი უნდა გეჩიჩინო, შე ქეციანო ბიჭო, ჩემი ნიჭი გამოგყვა-მეთქი? შენ კი გამხმარ ზეთისხილად არ გიღირს ჩემი ლაპარაკი.

მერე თავისი დიდი ხელების ქნევა-ქნევით კრიტონის მამას მიუბრუნდა:

— შენს გეფიცები ზევსისას, დიდად გაგვახარე მე და ჩემი ცოლი, რომ შვილს გვიქებ შენისთანა კაცი, ეგზომ განათლებული, ნაცნობი ხელოვნებისა. ფიქრით მე თვითონაც ვფიქრობდი, სილენე გამოუვიდა-მეთქი, მაგრამ შენი აზრი მეტს ნიშნავს. — როცა საქმე შვილს ეხება, მოგეხსენება, უნებლიეთ მიკერძოებული ხდება კაცი... თუმცა თითქოს დემონები მგლეჯდნენ ლუკმა-ლუკმა, ისე მაგიჟებს ის აზრი, კიდევ რამდენს მოასწრებდა და რამდენს შექმნიდა, აგრე რიგად რომ არ დაეხეტებოდეს ათენში ქუჩა-ქუჩა და ყოველ გამვლელ-გამომვლელს თავს არ აბეზრებდეს უსარგებლო კითხვებით ისეგვარ საგანთა თუ ადამიანთა თაობაზედ, რომლებთანაც არც არაფერი ესაქმება! ახლაღა ვხედავ, რომ ამის მოთმენა აღარ შეიძლება!

უფროსმა კრიტონმა დაინახა, როგორ მოიღუშა სოკრატე, მაგრამ სოფრონისკეს აღარ შესდავებია.

— მკაცრი ხარ, ძვირფასო სოფრონისკე, შვილის მიმართ და ეგრეც უნდა, ისე მეც უნდა ვუჩივლო სოკრატეს: სილენეს ფასზედ არ გამრიგებია. ამიტომ უფლება აქვს, რამდენიც უნდა, იმდენი მომთხოვოს. — და გაუღიმა სოკრატეს. — მაშ, აბა, მოითხოვე, ძვირფასო სასწაულმოქმედო.

სოკრატემ უხერხულობა იგრძნო, შერცხვა, მხრები აიჩეჩა. ამაოდ უკარნახებდა სოფრონისკე, ანგარიშში ჩადი როგორც მარმარილოს, ისე ამისი მოპოვების, მოტანის, დახარჯული დროის საღირალიო, — სოკრატეს ხმის ამოღების თავი აღარა ჰქონდა.

კრიტონის მამა იმ გადაწყვეტილებით წავიდა, რომ საკუთარი შეხედულებით გადაუხდიდა საფასურს. სილენე დაე ხვალ დილით დაუდგან პერისტილში, ხოლო საფასურსა და მოგებულ ღვინოს ახლავ გამოუგზავნის.

კრიტონის მამის წასვლისთანავე სოკრატეს მეგობარ-ამხანაგთაც დააპირეს წასვლა, მაგრამ სოკრატემ ბრძანების კილოთი შესძახა:

— არც ერთი არ წახვალთ! ნადიმი გვექნება! ცოტა რამეს მოვიძიებთ ჩვენს მარანში, ქიოსურს კი გამოგვიგზავნიან!

მაშინვე შინ შევარდა, რომ ღვთის მოწყალება რამ მოეშოვებინა, და იქ მამა სწვდა ხუჭუჭ ქოჩორში, შეანჯღრია, თან შეუღრინა:

— ვირი ხარ, ვირი, ვირებში უპირველესი! ძალიანაც კარგად შეგეძლო, რომ იმ მდიდრისთვის თუნდაც ათასი დრაქმა მოგეთხოვა, ხომ დაინახე, რარიგ მოეწონა ქანდაკება! შენ კი მთვრალივით იდექი და თვალებსა კარკლავდი....

— მე სიხარულით ვმუშაობდი... — წყნარად მიუგო სოკრატემ.

დედამ გაუღიმა.

— მერედა, ჩემი მარმარილოთი მუშაობდი, — უსაყვედურა შვილს გაჯავრებულმა სოფრონისკემ.

— შენ რა, კრიტონის მამა ისეთი ძუნწი ვინმე გგონია, თუნდაც ქვის ფულს მაინც არ გადაიხდის?

— მე ჯერ კიდევ ისე არ გამოვჩერჩეტებულვარ, რომ ეგ ვიფიქრო — მაგრამ მოგება სადღაა? ყოჩაღად უნდა მოქცეულიყავი და მსუყე ლუკმა ყელსაც ჩაგვიკოკლოზინებდა, გულსაც გაგვიხარებდა. მეც წელებზედ ფეხებს ვიდგამ, დედაშენიც, ორივენი ვბერდებით... — სული ყელში მოებჯინა სოფ-

[სოფ]რონისკეს. — დღეს ქვეყნის ფულის შოვნა შეგეძლო, შენ კი, დოყლაპიავ, ბედი ხელიდან გაუშვი!

— მაპატიე, მამა. ისეთი სიხარული დამეუფლა, რომ გასამრჯელოზედ სიტყვა ველარ დავძარი...

სოფრონისკემ უნდობლად გაიცინა.

— შვილიც ასეთი უნდა! გასაწრჯელოზედ სიტყვის სათქმელად პირს ვერ აღებს, სასმელ-საჭმელად კი კარგა გვარიანად დაულია. სასმელ-საჭმელზედ სხვამ უნდა იზრუნოს, არა? შენ არ გესაქმება, ხომ?

მამა კიდევ დიდხანს არ შეეშვებოდა სოკრატეს ჩარხვას, როგორც იმხანად აკროპოლისის სვეტის იონიურ სამერხულ-ბულაურსა ჩარხავდა, მაგრამ სასმელ-საჭმლის ხსენებამ მადა აღუძრა და გაჩუმდა. თუმცა თავისი ნდომა იმით დაფარა, რომ სოკრატეს მეგობრები გაიხსენა, გარეთ დგანან და სუფრის გაშლას ელოდებიანო, იმათ შორის კი თვითონ კრიტონია, ვინც ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანია, ასეთ შემთხვევაში ხელის მოჭერა არ გამოგვადგებაო.

ფენარეტესა და სოკრატეს ეზოში სუფრაზედ ისეთი არაფერი გამოუტანიათ, რაც თუნდაც შორეულად საქეიფო ტაბლას გაახსენებდა ადამიანს. უბრალოდ დაპირებული ქიოსური ღვინის ცოტ-ცოტა დასაყოლებელი რამ გაშალეს: კვერები, თხის ყველი, ხახვი, მარილიანი ზეთისხილი და გამხმარი თაფლის პურები. ფენარეტესაც გული მოსდიოდა შვილზედ: რატომ წინასწარ არ გამაფრთხილე, თუკი დღეს სტუმრები უნდა მოგვსვლოდნენო, ისეთი ღარიბული სუფრა გვაქვს, თავი მოგვეჭრა და ეგ არისო.

— დიდი უნდილი ბიჭი ხარ, — წყრომით უთხრა ფენარეტემ შვილს, მაგრამ იმწამსვე ალერსის ნაპერწკალი გაუკრთა შავ თვალებში და ბატკნის საწმისივით ხუჭუჭა, ზარმარილოს მტვრით დაფქვილულ თმაზედ ხელი გადაუსვა სოკრატეს. — არა, ნამდვილად კარგი ქენი, რომ წინასწარ ქვეყანა არ შეყარე. რა იცი, იქნებ გაეთვალე კიდეც ვინმეს, და სიხარულის ნაცვლად სატირლად გაგვხდომოდა საქმე.

ჭიშკარში კაკუნი გაისმა! ეზოში შემოვიდნენ კრიტონის მონები, თან შემოიტანეს კალათები, სავსე საჭმელ-სასმლით, ტკბილეულით, ზედ მოაყოლეს დანაპირები ქიოსური ღვინო და ერთიც ვერცხლის ტეტრადრაქმებით გატენილი ტომსიკა: მოითხოვეს, რომ სოკრატეს თვითონ გადაეთვალა ვერცხლი და დაედასტურებინა სამი ათასი დრაქმის მიღება. ელადის ცა მოწმეა, სოფრონისკე ზომაზედ მეტად კმაყოფილი დარჩა. და სამი ათასჯერ უფრო გემრიელი მოეჩვენა ის მდიდრული სანოვაგე, რაც ხელოვნების კეთილშობილმა და გულუხვმა დამფასებელმა გამოგზავნა გასამრჯელოსთან ერთად. თავპატიჟი არავის დაუწყია. თირკმელა სოკო, კირჩხიბი, შემწვარი თევზი, პაშტეტი, ცხვრის ბარკალი — ყველაფერი თვალის დახამხამებაში ქრებოდა სუფრაზედ. მონადიმენი სასმისებს სასმისებზედ ცლიდნენ.

ღვინომ მალე გაამხიარულა ახალგაზრდები, გაათამამა ყველანი.

სოფრონისკე გონიერი კაცი იყო, გაიფიქრა: მე და ჩემმა დედაკაცმა ყმაწვილთ ხელი არ უნდა შევუშალოთო. ცოტა იცელქონ თიკნებმაო, რაც მეტს ინებივრებენ, მით უფრო დაამახსოვრდება სოკრატეს ეს მეტად მნიშვნელოვანი დღეო, დიდ მოვლენას დიდი ლხინი უხდებაო, დიახაცო.

4

— რატომ უნდა შევუზავოთ ძვირფასი ქიოსური ტოპაზი წყაროს წყალს? — შესძახა სოკრატემ. — ცოდვას ჩავიდენთ! დაე, ჩვენმა ენამ შეიცნოს ჭეშმარიტი გემო ამა ღვინოთა საუნჯისა!

სვამდნენ, ხმაურობდნენ, იცინოდნენ, მასხარაობდნენ იმაზედ, რომ პერიკლეს შეუყვარდა ასპასია მილეთელი, სახელგანთქმული ჰეტერა.

პერიკლემ თავისი კანონიერი მეუღლე სხვას დაუთმო და შინ ასპასია დაისვა. ეს საქციელი იმდენად გახმაურდა, რომ ანეკდოტებისგან თვითონ პერიკლეს მეგობრებიც ვეღარ იკავებდნენ თავს, პოლიტიკური მტრები კი მით უმეტეს, ასევე არისტოკრატნი და კომედიათა მთხზველნი, რომელთა ბოროტი ენა მუდამ დაუნდობელი იყო, ვისაც არ უნდა შეხებოდა.

ათენის კედლებზედ გამოჩნდა ქებისა და ამასთან მომყივნებელი წარწერები. ეს კედლის სჭოლიოები ნაირფეროვანი იყო, ისევე როგორც ნაირ-ნაირნი იყვნენ იმათი დამწერი ადამიანები.

მსოფლიო ბრუნავს ელადის ირგვლივ,
ათენის ირგვლივ ბრუნავს ელადა;
აკროპოლისის ირგვლივ — ათენი,
ათენელნი — პერიკლეს ირგვლივ,
და ასპასიას ირგვლივ — პერიკლე.
მაშასადამე, ასპასიას ირგვლივ ბრუნავს მსოფლიო!

დემოკრატთ ოდენ ქების წარწერები დაეტოვებინათ, და კირებოსი იმათ იმოწმებდა:

სილატაკის შიში ჩვენში არ არის —
პერიკლეს ჟამს არ შიმშილობს არავინ!

— დიდებულია! მერე როგორ გიხდება, ძვირფასო ხაბაზო, ეგ სიტყვები!
— მაგრამ არის სხვა წარწერებიც! ჰა-ჰა-ჰა! აი მისმინეთ:

ო, ათენელნო, როდემდე უნდა
უცქიროს ხალხმა,
როგორ ულოკავს ღირსეული ჩვენი პერიკლე
უბირთა ბრბოს გავა-უკანალს?

ზარხოშის მიუხედავად, ყველა აღშფოთდა:
— გეყოფა! რა საზიზღრობაა! ღმერთთ უწყიან, ვინ დაწერა ეგ სიბილწე!
— მე ვიცი... მეც ვიცი მაგის დამწერი! — ენის ბორძიკით თქვა კირებოსმა, — ზედ წავასწარი... სწორედ ამთავრებდა...
— ვინ არის? ვინ?
— რომელიღაც კონკიაჟღარუნა... ჰა-ჰა-ჰა! ვეუბნები: ასეთ რამეებში ბევრს იღებ-მეთქი? ის კი: თუკიდიდე კარგ გასამრჯელოს გვაძლევს მეცა და იმათაცაო...
— ჩანს, ბატონ არისტოკრატთ, — შენ ეს არ გეხება, კრიტონ, — ჩინებული გემოვნება ჰქონიათ, — შენიშნა სიმონმა.

შეუზავებელი ქიოსური — დიდებული, გემრიელი, ფუხთალი რამ არის, ნამდვილი ცეცხლია, ოხერი! მონადიმენი სულ უფრო ღრმად იკვლევენ მაც-

ღურ თემას: ასპასიას. ერთნი ამტკიცებენ: პერიკლე თავისი სილამაზით გამოიჭირაო; სხვები — სიბრძნითაო; მესამე ამბობს: უცხოელი იყო, ჩვენებურ გამოჩენილ კაცთა თანა ფართო კავშირითაო. კრიტონის აზრით, ასპასიამ პერიკლე თავისი სიყვარულის გრძნებით მოაჯადოვა. ამას დაჟინებით ამტკიცებს:

— სიყვარულში გრძნება მეტი ძალით მოქმედებს, ვიდრე ხარის თვალები! უფრო ძლიერია, ვიდრე აფროდიტეს აკოკრებული ძუძუმკერდი, დამიჯერეთ, მეგობარნო!

— აბა, რა ნაწილ-ნაწილ შლით, — ჩაერია სოკრატე. — პერიკლემ ასპასია იმიტომ შეირთო, რომ ყველა ეგ თვისება ერთად ახასიათებს, ასპასია მართლაც დიდებული ქალია.

კრიტონმა უცებ თვალი მიაშტერა სოკრატეს, თავისი სილენეს გვერდით რომ იდგა და ხელში ბადია ეჭირა. სხვათაც იქით მიიხედეს — ჰოი, ოლიმპიელო ღმერთნო!

— ხედავ? — წაუჩურჩულა აღტკინებულმა სიმონმა პისტიოსს.

იმან ფარულად გადააქდო საჩვენებელი თითი ნეკს — გათვალვის საწინააღმდეგოდ, ბოროტი ჯადოს თავიდან ასაცილებლად: რაც ახლა დაინახა, ღვთის გმობა და ულმერთობა იყო...

რაკი შეამჩნია, რომ ყველანი გარინდებულიყვნენ, სოკრატეც გაისუსა, თუმცა ის ერთადერთი ვერ მიმხვდარიყო, რამ შეაშინა ეგზომ მისი მეგობრები.

მოცეკვავე სილენე უმალ ცოცხალი იყო, ვიდრე ესიცოცხლო. სახე ჩამავალი მზის სხივებში ულაქლაქებდა, სოკრატე კი, თუმცა თმაც და ოფლიანი ტანიც მარმარილოს მტვერით ჰქონდა შეფიფქული, ისეთივე ვარდისფერი იდგა, როგორც სილენე და თავის უძრაობაში უფრო უსიცოცხლო ჩანდა, ვიდრე ცოცხალი. მერე როგორ ჰგავდნენ ერთმანეთს!

სილენეს ფართო შუბლი ჰქონდა, პაჭუა ცხვირი, გადმოკარკლული თვალები. სოკრატეს თავისი თავი გამოექანდაკებინა!

კირებოსს სიცილი აუტყდა:

— რა იყო? — ჰკითხა სოკრატემ, თუმცა თვითონაც ხარხარის გუნებაზედ იყო.

კირებოსი პირდაპირ ჰხვინებდა; მუცელი ხელით ეჭირა, სიტყვა ვერ ეთქვა, მხოლოდ ხელი გაეშვირა სილენესკენ. იმისი სიცილი ყველას გადაედო.

— რა მოგივიდათ, კრიტონ? — ვერაფერი გაეგო სოკრატეს. — რა არის აქ სასაცილო? — იმისი გულუბრყვილობა სხვათ კიდევ უფრო აცინებდა. — ერთი მითხარით, რა მეხი გეცათ! დამუნჯდით თუ რა მოგივიდათ?

კრიტონმა გადაკვრით უთხრა:

— უკან მიიხედე, ძვირფასო, თავად მიხვდები, დაინახავ.

— რა უნდა დავინახო? — სწრაფად მიიხედა სოკრატემ.

— შენი საკუთარი გამოსახულება!

სოკრატე ბრაზით აენთო:

— ეს მე ვარ? მე ვარ ეს ბებერი ვაცი, მუდამ რომ მთვრალია და მუდამ რომ იკრიჭება? სისულელეს ამბობ, კრიტონ!

— არა, ამან მშვენივრად იცის, რასაც ამბობს, — ჩაერია კირებოსი. — მითხარი ერთი, ამ ბებერ ვაცს, რომელიც ადამიანთ დასცინის და თავისი სატირების ბრბოსთან ერთად ყოველნაირ საძაგლობას სჩადის, ჩლიქებიც რატომ არ გამოასხი? ჰა-ჰა-ჰა! — კირებოსი სიცილით იგუდებოდა. —

თხის კუდი ვითომ რატომ არ დაჰკიდე უკანალზედ? თავაზიანად მოერიდე საკუთარი თავის გამასხარავებას, არა?

— ჩინებულია! — შესძახა კრიტონმა. — ჩვენ წინაშეა სილენე, მაგრამ თხის ჯიშისთვის დამახასიათებელ უძველეს ნიშანთაგან უკვე განწმენდილი! ახლაღა მივხვდი: მამაჩემს იმიტომაც მოეჩვენა სილენე ცოცხალი, რომ ის შენა ხარ, სოკრატე!

სოკრატე გარინდებული იდგა. უსიტყვოდ შესცქეროდა კრიტონს, მხოლოდ ხელს უფრო მაგრად უჭერდა ბადიას. კრიტონი კარგად ხედავდა, რომ თავისი სიტყვით სტუმრები გაამხიარულა, სოკრატე კი გაანაწყენა, მაგრამ რითაც არ უნდა დამთავრებულიყო ეს თამაში, გაჩერება აღარ შეეძლო. ხელი ჯერ სილენესკენ გაიშვირა, მერე სოკრატესკენ, და განაგრძო:

— ამას კი არა, შენ გაკლია რაღაც-რაღაცები, რომ ერთიმეორესთან კიდევ უფრო ახლოს დადგეთ: ვაზის ფოთოლთა გვირგვინი, ისიც გვერდზედ მოქცეული!

კირებოსი წამოდგა, ბარბაცით მივიდა კედელთან, რომელზეც ვაზი იყო გასული, წაამტვრია ქორფა ლერწები, გვირგვინად დაწნა და თავზედ დაადგა სოკრატეს, რომელიც ამის შემდეგაც კვლავ გარინდებული იდგა.

— დაუარე! შეიკუნტრუშე შენი სილენესავით! — უბრძანასავით კრიტონმა.

მშვიდად და მტკიცედ, ისე, რომ მოკუმული პირი თითქმის არც გაუღია, სოკრატემ წართქვა:

— თქვენ უკვე გადამიხადეთ. ზედმეტიც კი მომეცით. მაშ, ცეკვა და თქვენი გამხიარულებაც ჩემზეა!

არც თვით გარემოება, არც კრიტონის განწყობილება არ იყო ისეთი, რომ უალაგო ხუმრობისთვის ბოდიში მოეხადა. პირიქით, გაიბღინძა:

— რა დემონები ჩაგისხდნენ სულში? ვითომ რატომ არ გინდა ცეკვა? რაკი მე ვიცინი, შენც გაიცინე! ჩვენთან ერთად იცინე!

სოკრატე კუშტად დუმდა. და ძალა ეკარგებოდა მეგობართა სიცილსაც, ვიდრე ბოლოს სულაც არ მიწყდა. კრიტონი კი გიჟური ხარხარიდან შესაბრალის ზლუქუნზედ გადავიდა;

— ვატყობ, გაწყენინე... ჰა, დამცხე, მცემე, სოკრატე! — მივიდა მეგობართან და სახე მიუშვირა.

სოკრატე უძრავად იდგა. კრიტონმა ხელი ასწია, რომ გვირგვინი ჩამოეხსნა, იმან ცივად მოუჭრა:

— გაუშვი!

კრიტონმა დაიხია, რომ ძალა მოეკრიბა, ოღონდ რისთვის, თვითონაც არ იცოდა.

მზე ჩავიდა. ცის ნათელი ჩაქრა, თუმცა მწუხრი ჯერ კიდევ არ ქცეულიყო ხშირბინდად.

კრიტონს უცაბედად მიმართ სიმონმა:

— აბა, ენამოსწრებულო კრიტონ, უფრო უკეთ დააკვირდი სილენეს!

კრიტონი შებრუნდა. თეთრი დაძარღვული მარმარილოს ქანდაკება ბინდში ანათებდა.

— ვერა ხედავ? — არ ეშვებოდა სიმონი. — იმას გარდა, რაცა თქვი, სხვას ვერაფერსა ხედავ?

კრიტონს სიმონის საშუალებით უფრო ეადვილებოდა იმის თქმა, რაზედაც თვითონ ენა არ მოუბრუნდა, როცა სოკრატეს უშუალოდ მიმართავდა:

— მერედა, რა დაგინახე? ვითომ რა არის იმაში ცუდი, კაცს ღვინოსა და მხიარულებას თუ მიეცა? მე, შენ გეტყვი, სოკრატესაც ღვინო აქვია! მთელი სახლი ხეივანში უზით. ჰუდიში იმოდენა ვენახი აქვთ. მარანში ღმერთმა უწყის რაოდენი ღვინო უდგათ... — და სოკრატეს მიუბრუნდა: — რატომ გრცხვენია ამ ამბისა, ძიდო მოქანდაკევ? ჩვენ ხომ ელინნი ვართ! რატომაც არ უნდა ვსვამდეთ? თავად ზევსი სვამს, იმისი ერთი ღვთაებრივი ყლუპი — მთელი ჰუსია! საწყალი განიმედე წელში წყდება, ვიდრე იმოდენ ღვინოს მოზიდავდეს, რაოდენიც მარტო მეხთამტყორცნელს ჰყოფნის, მერე იქ კიდევ რამდენი სხვა ღმერთია! — კრიტონმა მორცხვად გაუღიმა სოკრატეს. — არ დაგიჯერებ, სოკრატე, არა მგონია, რომ კალიროეს წყაროზედ ჩვენი სირბილი ისურვო! — მაგრამ სოკრატეს სახეზედ კრიტონს რაღაც არ მოეწონა, აენთო — დღეს რა, დალიე? რაღაც დაძმარებული იყურები — ქალწულ ათენას ვფიცავ, სასმლისა არცრა გეტყობა! რას იტყვით, მეგობარნო, ვითომ დალეულია? თქვენი თვალით დაინახეთ?

სუყველამ ერთხმად იყვირა, როგორც სხვანი, სოკრატეცა სვამდაო, ოღონდ ცოტა უფრო მეტსაო.

— საქმე ის არის, რომ სოკრატე ჩვენზე მეტს იტანს, გაიგე?

სიმონი ადგა, კრიტონთან მივიდა:

კრიტონი აენთო:

— შენ, სიმონ, ნუ მერევი საქმეში. ეს მე და სოკრატემ ვიცით.

— აბა, გაჩერდი! — არ უთმობდა სიმონი. — ეს მარტო თქვენი საქმე არ არის. სოკრატე ორივეს მეგობარია, შენიც და ჩემიც. ვითომ რატომ არ უნდა ჩავერიო თქვენს დავაში? მე ამის ნება მაქვს. ვერ დამიშლი! შენ მით უმეტეს უფრო! საით იყურები? ხომ გითხარი: სილენეს უყურე-მეთქი. ვერა ხედავ, ხელებზედ პატარა დიონისე დასკუპებია.

კრიტონი განათლებული და ჭკვიანი ჭაბუკია. გონება არც მაშინ ღალატობს, როცა ნასვამია, თუმცა ზოგჯერ რაღაც უთანაბროდ უმუშავებს.

ყრმა დიონისეზედ თქმულმა სიმონის სიტყვებმა თითქოს რაღაც აზრი გაუღვიძეს — და ერთბაშად ყველაფერი თვალწინ დაუდგა. სილენეში ანთებული ნაპერწკალი დიონისეს გადაახტა, მისგან სულ ნაპერწკლები იფრქვევა, იფრქვევა სატირული კულტიდან, ყოველი მხრიდან, სადაც კი შეაბიჯებენ ნორჩი ღმერთი და იმისი მოძღვარი. დითირამბიდან იბადება მუსიკა, ცეკვა, გალობა, დეკლამაცია... და აი უკვე აენთო უზარმარი ალი. ცეცხლოვან ენებსავით ირევიან აზრები, განცდები, ვნებანი, ალტაცების შეძახილები და შუქი, თეატრში მსხდომი ათასობით ადამიანის გულსა და გონებას რომ აცისკროვნებს, როცა სილენური ზეიმით შემოდის სატირების ქორო და წინ მოუძღვით ტრაგიკული პოეტი... კრიტონი სირცხვილით გაწითლდა.

— რა საჭიროა წვრილმანების ახსნა! — ჩაიბურტყუნა უხეშად და უკმეხად.

— ახლა საჭიროა, — ღრმა სერიოზულობით მიუგო სიმონმა. — რახან სიტყვა ღვინოზედ ჩამოაგდე, სიბრძნე რაღატომ გამოგრჩა? სილენე, დიონისეს ლალა და განუყრელი თანამგზავრი, ღვინოში გონებას კი არ იხრჩობდა, როგორც დღეს შენ მოგივიდა, კრიტონ, არამედ სიბრძნეს პოულობდა. აი

ამაში უნდა ეძიო მსგავსება ამ ორთა შორის — სილენსა და სოკრატეს შორის, — უბრალოდ დაასრულა მან.

სოკრატემ კი, თითქოს უემური სიზმრიდან გამოერკვაო, უეცრად გულიანად გაიცინა:

— სიმონ, სიმონ! ვიცი, კეთილი გული გაქვს და ისა თქვი, რისი თქმაც საჭიროდ მიგაჩნია, რათა უმაქნის ლოთად არ ჩავეთვალე. მაგრამ მე კრიტონისგან ის კი არ მეწყინა, რითაც გამიმასპინძლდა, არამედ ისა, რომ თვითონ დათვრა და ენას ვერ მოუარა, ხოლო მე თუ ცოტა ჩემი სილენეთი წავიტრაბახე, სამაგიეროდ მან თავისი მახვილგონიერებით წაიტრაბახა. არც როდის მომწონდა, რომ აგრე რიგად ეშვება სულ დაბლა — ხომ იცით, როგორ მიყვარს! არც ის მომწონს, რომ თავად იქცა იმ რქიან ვაცად, რადაც ჩემი გარდასახვა მოინდომა!

სუფრას მხიარულება დაუბრუნდა. კირებოსმა ისე გაიცინა, რომ ღვინო პურმარილზედ დააშხეფა.

— კრიტონი რქიანი ვაცია! ჰა-ჰა-ჰა!

კრიტონი ფეხზედ ვეღარ იდგა. სოკრატემ ხელი მოჰკიდა:

— ძვირფასო კრიტონ, როგორც გითხარი, დიდი პატივი მომაგე. რაღა მამაშენი და რაღა შენ — მან ზედმეტი გადამიხადა, შენ კი ზედმეტად შენაფასე. როგორ გეკადრებათ, მეგობარნო, განა მე იმის თავი მაქვს, რომ ღმერთთა გაზრდა ვიკისრო? მით უფრო ისეთი სახელგანთქმული ღმთისა, როგორიც დიონისეა? იცით, რომ გამომივიდა სილენე? იმიტომ რომ სიყვარულით ვძერწავდი, როგორი სიყვარულითაც არც ერთი სხვა ქანდაკება არ გამომიძერწავს, და მთელი მუშაობის განმავლობაში განუწყვეტლივ ვფიქრობდი პატარა ღმერთზედ, — გამოგიტყდებით, მეგობარნო, — იმ სასწაულთმოქმედ ღმერთზედ, რომელიც ყველა დარდს ფანტავს და ადამიანთათვის მოაქვს დამათრობელი სიხარული... ვისურვებდი, — აჰ, როგორ ვისურვებდი, რომ ადამიანები ერთიანად გამომეხსნა დარდისა და მწუხარებისგან, ზრუნვისგან და სანაცვლოდ რაღაც უკეთესი მებოძებინა. მაგრამ სად ვიპოვო ამდენი ადამიანური ძალა, უკეთუ ღვთაებრივი ძალი არ გამაჩნია?

— გაგაჩნია, სოკრატე! როგორ არ გაგაჩნია! — შესძახა კრიტონმა და შიგ ტუჩებში აკოცა. — შენს სიტყვას შეუძლია, რომ ადამიანის სულის სიღრმიდან ამოზიდოს ყველაფერი, რაც რამ შენ გინდა! მაგის უნარი და მართლა საოცარი ძალა გაქვს! ხელოვნება ესე დედისგან დაგყვა, ძალა კი — მამისგან...

— უხვი და უშურველი ხარ დღეს ჩემდამი, კრიტონ! ჰა-ჰა! — გაიცინა სოკრატემ. — მაგრამ ყველაზედ უკეთესი ის არის, რომ ზურგზედ უნდა მოგკიდო და შინ წაგიყვანო, ნაცვლად იმისა, რომ დავწვე და დავისვენო. ალიონიდან, ძვირფასნო, სულ ფეხზედ ვარ!

5

ჰელიოსის დაი, რძისფერ-ვერცხლისფერი სელენე, ჯერ არ გამობრძანებულა დღეს თავისი ეტლით ცის ტატნობზედ სასეირნოდ. ძმისგან განსხვავებით ის არც ისე ზუსტია, რომ იმისი ხილვა ყოველ ღამეს შეიძლებოდეს, როგორც ჰელიოსი ჩანს ყოველდღე. ქალური ჭირვეულობის ამბავია... ზოგჯერ ღამის დედოფალი დღისითაც გამოჩნდება ხოლმე ცაზედ — ფერმკრთალი, მილეული, მწყაზარი მწყემსის ენდიმიონის სიყვარულით დასნეულებული, ან-

და რა უნდა უხაროდეს, როცა ღმერთებმა სატრფო არა მარტო მარადიული სიჭაბუკით, არამედ მარადიული ძილითაც დაუსაჩუქრეს! ხოლო ის ამბავი, რომ ზოგ ვინმეს, მაგალითად, ჰგზავრთა და ზღვაოსანთ, ღამით წავლები სინათლე ექნებათ, სელენეს სულაც არ აწუხებს.

სამაგიეროდ ვარსკვლავთ ერთი ბეწოთაც არა სწყინთ, თუ ის ცაზედ არ გამოკრთება. აბა, ვის ეხალისება, რომ სხვა ვინმემ დაჩრდილოს?

უძრავად იდგა პატარა ეზოში სოკრატე, მოთმინებით უცდიდა, როდის გამოჩნდებოდა ზეთისხილის ტოტებში კორინა: დღეს პაემანი აქვთ დანიშნული. ორივე ხელი უკან ჰქონდა შემოწყობილი, ცალში ვარდის თაიგული ეჭირა და ცაში იყურებოდა. აკვირდებოდა, როგორ ხტოდა ლაჟვარდისფერი ბუდიდან ხან ერთი, ხან მეორე ციმციმე ვარსკვლავი.

უყურე ერთი! — ფიქრობს სოკრატე. ღამე შეყვარებულთ ეკუთვნით. ხოლო ყოველი ვარსკვლავი, გამოიჩეკება თუ არა, უკვე ცნობისმოყვარეობისგან კანკალებს, რომ არც ერთი კოცნა არ გამოეპაროს... ნუ გეშინია, გენაცვალე, დღეს ბევრს გაკოცებ, მოლოდინს გაგიმართლებ...

არც კორინას აწუხებდა უმთვარობა — სიბნელეში უფრო იოლად გავა ძილმიცემული სახლიდან. ხელებით, შიშველი ფეხებით მოეჭიდა ზეთისხილის ტოტს. კენწერო შეირხა, დაიშრიალა, ტოტმა გაიჭრიალა და ფოთლებიდან გაისმა წყნარი ხმა:

— მე აქა ვარ!

— შენთან მოვიჩქარი, — მიუგო პატარა ეზოში მორიალე თეთრმა ჩრდილმა; ეს სიტყვები იმას ნიშნავდა, რომ ტილოსქიტონიანი სოკრატე მარმარილოს ლოდებზე აცოცდა, ცალი ხელით კედელს დაეყრდნო, ზედ შეხტა, მუშაითივით გაიარა და ვარდები კორინას გაუწოდა. ცისფერ ღამეში ყვითელი ვარდის ფურცლები თითქოს ანათებდნენ.

კორინამ ცხვირი ყვავილებში ჩარგო, ხარბად დაყნოსა: „აჰ! აა-ჰ!" რა ცინცხალი და მშვენიერია ვარდების სურნელება — ალბათ ვერც ერთი სახელგანთქმული არაბი ჯადოქარი ვერ შესძლებდა ასეთი ნელსურნელოვანი რამის შეზავებას, რამეთუ რა უნდა ექნა ისეთი, რომ ვერცხლის ფლაკონში გრძნებით შეკრულ სურნელს ცოცხალი ყვავილის სიხასხასე შეენარჩუნებინა?

წყნარმა სიცილმა ზარივით გაიწკრიალა ზეთისხილის ფოთლებში:

— რით დავიმსახურე, სოკრატე? ასეთი პატივი ეკადრება სპარსეთის მეფეთ მეფის ასულს და არა კორინას, მეწუღე ლეპტინის ასულს...

კედელზედ ჩამომჯდარი სოკრატე კორინასკენ დაიხარა, გულდადაგულმა უპასუხა, და მის სიტყვებში მუსიკა ისმოდა:

— ქსერქსე თუ ვიქნებოდი, მეფეთ მეფე, ვბრძანებდი, რომ მაგ შენი კოხტა ფეხებისთვის მთელი გზა სარდიდან პარასგადამდე ოქროთი მოეკირწყლათ...

კორინამ გასაჯავრებლად გაუცინა, ვაჟი კი, სიყვარულით მთვრალი, თავისას განაგრძობდა:

— ბაალის უზენაესი ქურუმი თუ ვიქნებოდი, შენს სახელზედ, ძვირფასო, ჰეკატომბეს გავმართავდი, ათას რქამოოქროულ ხარს დავკლავდი...

კორინამ სიცილი შეწყვიტა, ფრთხილად მიიწია კედლისკენ.

— მეფე სარდანაპალი თუ ვიქნებოდი, ისეთ სასახლეს აგიშენებდი და იმისთანა დაკიდებულ ბაღებს გაგიმართავდი, თვით სემირამიდას შეშურდებოდა...

— თუ ვიქნებოდი, თუ ვიქნებოდი... — კორინამ სოკრატეს სატრფიალო მჭევრმეტყველება შეაწყვეტინა და თავად დაიფრქვა — არა სიტყვიერ სამკაულებად, არამედ საყვედურებად. — შენ სულ ეგ „თუ ვიქნებოდი" გაკერია პირზედ, ჯერ კიდევ ამ სამი თვის წინათ ილისოსის ნაპირზედ მიმტკიცებდი, ნეტავი ზევსი მქნა და თავით ფეხთამდე დაგკოცნიდით! სხვათა შორის, სულ არ იყო ზევსობა საჭირო, ეგ ისეც შეგეძლო! მაგრამ რამდენი ხანია ილისოსთან აღარც გამოჩენილხარ! მე კი იქ ყოველდღე დავდივარ და ვავლებ და ვავლებ უკვე ასჯერ გავლებულ სარეცხს, ხელები ჩემი აღარ არის, თვალი სულ შენკენ მიჭირავს, გელოდები, აი ახლა მოვა, აი ახლა მოვა, აი ახლა-მეთქი, ლამის ტირილი დავიწყო ხოლმე, მაგრამ საქმეში ხარ! ის შენი პერკონი საბალახოდ აღარ მოგყავდა, ოღონდაც ტურტლიანი მეწაღის გოგოს არ შემხვედროდი... მე კი ტირილის მეტი სხვა რა შემიძლია... და ვტირი და ვტირი... — ამის თქმა იყო, და კორინა ახლაც ატირდა.

სოკრატე უცებ ვერ მოეგო გონს. არა, ნამდვილად მართალია, გასალანძღი ვარ: უპატივცემლობაა, სხვა არა იყოს რა, და განა საკუთარი თავის უპატივცემლობაც არ არის? სოკრატემ ყველაფერი აუხსნა კორინას, რამაც შეუშალა ხელი, მთელი ამ ხნის განმავლობაში რატომ ვერ დადიოდა ილისოსის ნაპირებზედ, რომ ტკბილად ეტარებინათ დრო. პერკონი დილაუთენია გაჰყავდა საძოვრად, მერე ჩქარა-ჩქარა უთიბავდა ბალახს, უდებდა საზიდარს და ისევ შინ გარბოდა, რათა სილენე დათქმული დროისთვის დაემთავრებინა და კრიტონის მამასთან სანაძლეო მოეგო.

— ვიცი, ყველაფერი ვიცი, — დაისლუკუნა კორინამ, — მაგრამ სილენე უკვე მეთორმეტე დღეა კრიტონის სახლის პერისტილში დგას!

სოკრატემ ვეღარ მოითმინა:

— დიახ, მაგრამ მამაჩემმა მაშინვე ახალ უღელში შემაბა: ყოველ დილას აკროპოლისზედ მივყავარ, აქ ვეხმარები იონური სვეტისთავების გამოყვანაში. სვეტების კეთება ეგრე იოლი საქმე როდია. ურტყამ და ურტყამ ჩაქუჩს, თავად კი შიშით ცახცახებ. ემანდ მარმარილოს ზედმეტი არ ჩამოსტყდესო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვშიმშილობდი! პერკონი ალბათ აიტანდა, მე კი გამიჭირდა. დიდხანს მშიოდი...

სოკრატე ერთი ნახტომით გაჩნდა კორინას სიახლოვეს, რომელიც ხიდან უკვე დაშვებულიყო კედელზედ და ტოტს მოჭიდებული იდგა.

— მაგრამ მეტ ხანს შიმშილობას აღარ ვაპირებ! — და სოკრატემ ორივე ხელი ინისკენ გაიწოდა.

— დაიცა! — ურბძანა კორინამ. — ერთი კითხვაც: განა არ შეგეძლო, რომ ეგ მაშინ გეთქვა? მხოლოდ თვალს მიკრავდი, როცა ზეთისხილზედ ავდიოდი ხოლმე და ხელით მანიშნებდი, ჩუმად იყავი, ნუ მიშლიო.

— მეც მაქვს კითხვა! — სწრაფად მიუგო სოკრატემ. — მერედა, რატომ მიჯერებდი? გწყინდა? ან იქნებ სულაც გინდოდა, რომ საქმე კეთილად დამესრულებინა?

— რა თქმა უნდა, მაგიტომაც.

— ხომ ხედავდი — ვიწვოდი თუ არა?

— გხედავდი. მაგრამ არ ვიცი, ახლა ვისთვის იწვი?

— როგორ თუ ვისთვის? — თითქმის შეჰყვირა სოკრატემ.

— თავად უკეთ მოგეხსენება. როგორც სიმონმა მითხრა, პერიკლეს მი-

უწვევიხარ. რაღა თქმა უნდა, ასპასია პატივით მიგიღებს და შენთვის თავისი საშენიდან ულამაზეს კრავს არ დაინანებს...

თვითონ კორინას ნაკლებად სჯეროდა სოკრატესთვის გარდმოფენილი ასეთი ნეტარება, მაგრამ თავს განზრახ იტანჯავდა ეჭვიანობით.

— მე აბა სადა მაქვს ინდური აბრეშუმის სამოსელი? არც ტუჩების შეღებვა შემიძლია, წარბებს მომწვანო ჩრდილით ვერ დავიმშვენებ და ვერც წამწამთ გავიშავებ! სად ვიშოვო ფრჩხილის ლაქი ანდა თმის ასაბზინებელი ოქროს ფხვნილი? აბა ჰეტერებსავით რით შევიფერადო ძუძუსთავები, რათა პეპლოსის თხელ ქსოვილში თვალს არ ემალებოდნენ? — ქალიშვილი რაღაც კაეშნიანმა აღტკინებამ მოიცვა, და ასე დაასრულა: — არც კითარაზე დაკვრა ვიცი, არც ჰეგზამეტრებისა და ელეგიური დისტიქების გამოთქმით კითხვა... ახლა ჩემს სალოდავ როკვას არ იკითხავ? აბა სად მე და სად ის ცეკვანასწავლი ლამაზი ასულნი, მამაკაცთ ეგრევე ვნებას რომ უშლიან?..

სოკრატემ მეტი ველარ მოითმინა. გაიცინა, ღონიერ მკლავებში მოიმწყვდია კორინა და თითქოს საიდუმლოდ ჩასჩურჩულა ყურში:

— ა, შე სულელო, შენა, სწორედ იმიტომ მიყვარხარ, რომ არ კეკლუცობ და ჰეტერებს არა ჰგავხარ, უბრალოდ ჩემი გოგო ხარ, ჩემი კორინა, ასპასიას იმ შეფერადებულ და გადაპრანჭულ ქალებზედ ათასჯერ უკეთესი... გჯერა ჩემი?

პასუხს ხომ არ დაუცდის? და ჰკოცნის კორინას, ჰკოცნის — მაგრამ ქალიშვილს ტუჩები მოკუმული აქვს, და სოკრატეს ბრაზი ერევა:

— ეგერსიდეზედ რაღას იტყვი?! აბა, მიპასუხე! ყველაფერი გავიგე: ვიდრე მე აქ მარმარილოს ვთლიდი, თურმე ის დაგტრიალებდა! რა ვიცი, იქნებ გულში ჩაიკარი კიდეც, რაკი ესოდენ დიდხანს ყურადღება ვერ მოგაქციე?

— არა, არ მომწონს და ყოველთვის ვერიდები, — მიუგო კორინამ.

— ეგ ცოტაა, — მრისხანედ განაცხადა სოკრატემ. — უნდა უთხრა, რომ იმის დანახვაც არა გსურს და ნუღარ დაიარება თქვენსა. გააგდე და მორჩა. ან იქნებ მაინც გიყვარს?

— მე შენ მიყვარხარ!

კორინამ კისერზედ მოჰხვია ხელები, ტუჩები მიუახლოვა, კოცნას ელოდა.

სოკრატემ ხელში აიყვანა და კედლიდან ძირს ჩამოსვა პატარა ეზოში:

— სიყვარული დედამიწაზედ სჯობს, აქ უფრო გემრიელი იქნება, — უთხრა და ქალიშვილი სურნელოვან მოლზედ დაუშვა.

ამასობაში სელენეც გამოვიდა მოწმენდილ ცაზედ. ნაღვლიანად დახედა ათენს, შეიხედა სოფრონისკეს პატარა ეზოშიც.

შეყვარებულნი არიან! — ამოიოხრა. ქვისმთლელი სოკრატე და მეწულის ასული კორინაა. რა მგზნებარე ჭაბუკია! ბაგეებს არ აცილებს, ლამის გადაყლაპოს. გოგოს უკვე სულაც ველარ ვხედავ! კიდევ უფრო დაღონდა სელენე: ეჰ, ნეტავი მეც ასე ვუყვარდე ჩემს ენდიმიონს! თუნდაც ერთ ღამეს რომ მღირსებოდა ასეთი ნეტარება!

მაგრამ ყველას თავისი ბედი აქვსო, ფიქრობს ქალღმერთი. ენდიმიონს წილად ხვდა მარადიული ძილი მარადიულ სიჭაბუკესთან და სილამაზესთან ერთად, მე კი — მარად დაუკმაყოფილებელი სურვილი. სილამაზის ცქერაც სიამოვნებაა. გულში რომ სურვილი გაქვს, ესეც სიკეთეა...

ვერცხლის სხივებით მოეხვია მთვარე მოკვდავ მიჯნურთ. სოკრატემ კორინას გასხივოსნებული სახე დაინახა.

— ბედნიერი ხარ? — ჰკითხა.

— ძალიან... ძალიან!

— აქამდე ლამაზი იყავი, ახლა მშვენიერი ხარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

6

ალოპეკოსის დემოსის ჭაბუკები პალესტრის გასახდელით გავიდნენ მოედანზედ, ლიკიონის გიმნასიაში ასპარეზობა იყო.

ქვიშიან სარბენ ბილიკზედ რამდენიმე შიშველი ჭაბუკი გარბოდა. ქუსლთაგან ქვიშა სცვიოდათ, ზეთიანი სხეულები უბზინავდათ. ჯერეთ მთელი ძალით არ გარბოდნენ — შეჯიბრებისათვის იზოგავდნენ ძალას.

აქოშინებული, მოცინარი ხუთეულიდან ორი ერთდროულად მივიდა მიზანთან. ისინი მხიარულად დაობდნენ დროს იმ უმნიშვნელო მონაკვეთზედ, რომლითაც შესაძლოა ერთიმეორეს გაუსწრეს, ან იქნებ სულაც არავითარი სხვაობა არ იყო. ჩვენს ბიჭებს გაეცნენ: მორბენალნი კერამეიკონის დემოსიდან იყვნენ ჩამოსულნი და აქ თავიანთი ყოფილი მოძღვრის კლებოსის სანახავად მოვიდნენ.

— გინდათ ჩვენთან შეჯიბრი? — ჰკითხა ყვითელთმიანმა კერამეიკონელმა კრიტონს, ალოპეკოსელი ჭაბუკების რიგში რომ იდგა. ალოპეკოსელთ ებანავით, ტანი დაეზილათ და ახლა ჭადრის ჩრდილში ელოდნენ სოკრატეს.

— შეიძლება, — მიუგო კრიტონმა, — არ ვიცი. აი, მოვა სოკრატე...

— ვინ არის სოკრატე? თქვენი მოძღვარია?

ალოპეკოსელთ ერთმანეთს გადახედეს, და კრიტონმა თქვა:

— სოკრატე ჩვენი მეგობარია, მაგრამ წინამძღოლიც არის.

სიმონმა გაიცინა:

— სოკრატე ყველგან და ყოველთვის წინამძღოლია!

— თავისი ძალის წყალობით? — ჰკითხა კერამეიკონელმა.

— თავისი ძალის წყალობით.

— ალმაფრენით.

— გონებით.

— და მხიარულებით, — დაასრულა კირებოსმა. — ყველას გულს ინადირებს.

— აგერ ისიც! ჰაირე, სოკრატე!

სოკრატე მამას გამოჰპარვოდა აკროპოლისიდან, სადაც ერთად მუშაობდნენ. მთელი გზა სირბილით გამოევლო და ძლივსღა სუნთქავდა. მოსვლა და შეძახილი ერთი იყო:

— რამდენს ვირბენთ? ხუთს თუ ათს?

მოძღვარ კლებოსს გაეცინა:

— გაიგონეთ? ამაშია მთელი სოკრატე! ამდენი სირბილის შემდეგ, ჯერეთ კიდევ რომ მწევარი ძაღლივით ქშინავს, უკვე მზად არის ისევ სარბენად!

ყველას გაეცინა. სოკრატეს კერამეიკონელი ჭაბუკები გააცნეს. კრიტონმა რაღაც ჩაუჩურჩულა.

— რა თქმა უნდა, — გაგეჯიბრებით, — განაცხადა სოკრატემ და მეტოქეთ მოქანდაკის თვალით შეხედა. ჩინებული აღნაგობა აქვთ!

პისტიოსმა საპნის ხის ფხვნილი მისცა. სოკრატემ ქიტონი გაიხადა, ტანიდან მტვერი და ოფლი ჩამოიბანა.

კერამეიკონელნი მუშტრისთვალით უცქეროდნენ. საშუალო ტანისა იყო. ძლიერი ფეხები, მაგარი მხრები, ამოზნექილი მკერდი, ქვისმთლელის დიდი ხელები ჰქონდა.

სიმონიც სიყვარულით აკვირდებოდა, შუბლს იჭმუხნიდა: უთხრას თუ არა ახლა, შეჯიბრის წინ? არა, გაანაწყენებს, ხასიათს გაუფუჭებს... მოცდა აჯობებს...

სოკრატემ პირზედ წყალი შეისხა, შეიწმინდა. ტანზედ ზეთი წაიცხო. რამოდენიმეჯერ შეხტა და შემოტრიალდა.

— თქვენ მაინც არ მიპასუხეთ: რამდენს გავრბივართ?

— ხუთჯერ იქით და აქეთ, — თქვა კლებოსმა.

ათი წახრილი ჭაბუკი დადგა სარბენ ბილიკზედ.

კლებოსმა გონგს შემოჰკრა.

ადგილს მოსწყდნენ.

გრძელფეხა მკვერავმა პისტიოსმა გაუსწრო ყველას. მეორე ყვითელთმიანი კერამეიკონელი მირბოდა. კერამეიკონელს მისდევდნენ სიმონი და კრიტონი. სოკრატე მეხუთე ადგილზედ იყო.

მოძღვარი თვალს არ აშორებდა. გაბრაზებულმა გადააფურთხა, ფრჩხილებით მთელი მკერდი დაილადრა. აი შე წელანგარავ! უსაქმურო! როგორ გარბის, პირდაპირ თავის მოჰრაა! ისე მიძუნძულებს ბილიკზედ, თითქოს მოწყენილიაო, ნაცნობ მორბენალს უცქერის, კვიპაროსის ქვეშ თავის გამორჩეულს რომ ჰკოცნის... ყოვლისშემძლე ზევსო, მეხი და ელვა დაატეხე მაგის ტერფებს!

უკვე მესამე სტადიონს გარბიან. მორბენალნი თავიანთ უკან ქვიშის კორიანტელს აყენებენ. სოკრატეს ახლა ორმა გაუსწრო — აყლაყუდა კრებოსმა და შავმა კერამეიკონელმა. სოკრატე უკვე მეშვიდეა! მოძღვარს რომ ჩაურბინა, იმან გაშმაგებულმა შეუყვირა:

— სოკრატე! იქნებ ცხვირიც გამოიჩიჩქნო?!

სოკრატემ მხიარულად გაიცინა, კლებოსს დაემანჭა, ცხვირში თითი იტაკა.

მაგრამ მაშინვე იფიქრა: ვარცხვენო კლებოსს. არამზადა ვარო! სულ ჩემით ტრაბახობს, როგორც ფარაონი თავისი ლეოპარდით, სულ იმის მტკიცებაშია, სოკრატე ოლიმპიურ ასპარეზობაზედ გაიმარჯვებსო, მე კი როგორ ვიქცევი! ეგრე არ გამოვა, ძვირფასო სოკრატე, მიდი, მიაწექი, როგორც მამაჩემი სოფრონისკე იტყოდა. ეჰ, ვინ იცის, როგორ საძირეში მიდებს ახლა სოფრონისკე, სად გამექცაო.

სოკრატემ მთელი ყურადღება სირბილზედ გადაიტანა, წინ მორბენალთა ზურგებსა და ტერფებს ჰკიდა თვალი და მიაწვა.

მალე გაუსწრო კიდეც კრებოსსა და შავთმიანს. დრო ჯერ კიდევ არის. მხოლოდ მეექვსე სტადიონს გარბიან. კრიტონს საკმაოდ იოლად სძლია. მაგრამ წინა სამეული მაინც უსწრებს. სოკრატემ ნაბიჯს უმატა. ღია პირით დაიწყო სუნთქვა, უფრო მსუბუქად ადგამდა ფეხისგულებს მიწაზედ. ოდნავ უფრო წაიხარა და მერვე სტადიონზედ უკვე უკან ჩამოიტოვა სიმონი, ჩაუქროლა პისტიოსს. ყვითელთმიანი ლამაზი კერამეიკონელი კვლავ წინ არის... ოჰო! ახლა სირბილი უკვე პატივის საქმეა: ალოპეკოსისა კერამეიკონის წი-

ნაალმდეგ! რჩება უკანასკნელი წრე. სოკრატეს სუნთქვა უკვე უჭირს, უსტვენს და ქშინავს, მაგრამ სიჩქარეს უმატებს. მეტოქეს ისე ჩაუქროლა, თითქოს პენტელიკონის თხემს ქარიშხალმა გადაუარაო, ცამეტი ტერფით გაუსწრო კერამეიკონელს და მიზანს მიაღწია.

კლებოსი გადაეხვია, ჰკოცნიდა, მუშტებს ურტყამდა... თან ცეკვა-ცეკვით დაუარა გარშემო სოკრატეს, როგორც აფრიკელი ველური გარშემო კერპს. და ისევ ჩაუკოცნა ოფლიანი ლოყები, თან გაჰყვიროდა, ასეთი რამ ჯერ კიდევ არ მომხდარა ელადაშიო: მეექვსე სტადიონის შემოვლისას ეს ღვთის გლახა, ეს ჩემი ცოდვით სავსე საყვარელი ბიჭი მეშვიდე ადგილზეა, ცხვირს იჩიჩქნის, განზედ იმზირება, ბუზებს იჭერს, და უეცრად — იმარჯვებს!

წყლის დალევა არ დაანება კლებოსმა, გულმოდგინედ უსველებდა პირს ლელვის ვარდისფერი გულით, თვითონ კი ფარშავანგივით უვლიდა გარშემო სოკრატესა და მის ამხანაგთ. დიდხანს დუმილს არღვევდა მხოლოდ სუნთქვა — მორბენალთა სუნთქვა.

— მომისმინე, მაინც როგორ მოახერხე გამარჯვება? — ჰკითხა გაოცებულმა პისტიოსმა.

სოკრატემ დინჯად შეავლო თვალი და ისე უთხრა:

— მოვინდომე.

— ხედავთ! — შესძახა კრიტონმა. — მოინდომა! მორჩა და გათავდა! სოკრატე, შენ სტრატეგი იქნები. სტრატეგს მტკიცე ნებისყოფა უნდა ჰქონდეს. სხვაგვარად თავს ვერ შეინარჩუნებს.

— ჩემი სტრატეგობა სად გაგონილა! — გაიცინა სოკრატემ. — მე მინდა, რომ აგორაზედ ზეთისხილის გამყიდველი გავხდე, რათა ჩემ გარშემო ყოველთვის მრავალთუმრავლესი ხალხი ირეოდეს.

— „მოვინდომე"! მონდომება მაგისთვის საკმარისია! — გაიმეორა კირებოსმა. — ეგ შენი მასწავლებლისაგან, ანაქსაგორასაგან გადმოიღე?

— არა! — ფიქრიანად უპასუხა სოკრატემ. — მაგრამ ოდესმე ვინმეს სწავლება რომ მომიხდეს — რისგანაც ღმერთებმა დამიფარონ, — უცილობლად ამას ვასწავლიდი.

სოკრატე ბალახში გაიშხლართა, თვალები დახუჭა. ამხანაგები თითქოს ცქერით ვერ ძღებოდნენ, და კერამეიკონელმა ხმადაბლა უთხრა კრიტონს:

— უცნაური ყმაწვილია, არა? მაგრამ მაგისგან, იცოცხლე, აქილევსის ბადალი მეომარი გამოვიდოდა!

სოკრატეს თავზედ ვიღაც დაიხარა და წყნარად უთხრა:

— რაღაც მაქვს შენთვის სათქმელი...

სიმონი ეცნო და თვალები არ გაუხელია.

— ეგერსიდე... — გაუბედავად დაიწყო სიმონმა და ენა დაება.

— რა — ეგერსიდე? — ზანტად ჰკითხა სოკრატემ.

— ისევ მოვიდა ჩვენსა.

სოკრატემ თვალები გაახილა, იდაყვზედ წამოიწია:

— და კორინამ გააგდო, არა?

სიმონს შეეშინდა კიდეც.

— რას ამბობ! არა, კორინა იმას ვერ გააგდებს: ის ჩვენი მუდმივი შემკვეთია, თანაც კარგი შემკვეთი.. გუშინ სანდლები შეგვიკვეთა და ძვირფასი ტყავი აირჩია. კორინამ რა, გითხრა, გავაგდებო?

სოკრატე წამოჯდა, მსგავსი რამ ვერ გაიხსენა.

— არა, ეგეთი რამ, მგონი, არ უთქვამს. — და გაცეცხლდა, — სამაგიეროდ მითხრა, მიყვარხარო.

სიმონმა მეგობარს მხარზედ ხელი მოუჭირა, რომ თავისი სიტყვებისთვის მეტი დამაჯერებლობა მიეცა:

— საქმე ეგრეა! სწორედ ეგრე უთხრა ეგერსიდეს — რომ შენ უყვარხარ!

— ჩინებულია! მეც ეგ მინდოდა!

— შენ ბევრი რამ გინდა...

— ძალიან გაბრაზდა ეგერსიდე, არა? გაშმაგდა? ჩხუბი ატეხა? მეც ეგ მინდა! — გაუხარდა სოკრატეს.

— სულაც არ გაბრაზებულა. — სიმონი ყოველ ახალ სიტყვას უფრო სერიოზული იერით ამბობდა. — მამაჩემს თავი მოაწონა: ჩემს სამ მონას მეოთხეც მივუმატეო, სამლებროს ვაფართოებო.

— და მთელ ათენს სალებავში ჩამატებული შარდის სუნით აქოთებს, — შეაწყვეტინა სოკრატემ.

— ნუ იცინი. მამაჩემი სიამოვნებით ისმენდა ეგერსიდეს სახელოსნოს აყვავების ამბავს.

— მაშ, კიდევ უფრო ძვირფას სანდლებს შეგიკვეთავთ, ჰა? — ისევ შეაწყვეტინა სოკრატემ.

— არა! თუმცა არც უმაგისობაა, — გამოასწორა სიმონმა. — მაგრამ ყოვლის უარესი ის არის, რომ ეგერსიდემ სიტყვა გადაუკრა მამაჩემს, კორინა გულში ჩამივარდაო.

— რა-ო? ეგრეა საქმე? კორინასკენ თავისი მონების, მამისა და სანდლების შემწეობით მოძვრება?! — იფეთქა სოკრატემ.

— ხოლო რაც შეგეხება შენ, — დაასრულა სიმონმა. — სოკრატეს მე თვითონ მოვუვლიო, თქვა.

სოკრატე გამჭრიახი მზერით მიაცქერდა სიმონს.

— შენ კი ყოველივე ამას მხოლოდ შეჯიბრების შემდეგ მეუბნები, რადგან იფიქრე, გაბრაზდება, ჩვენი დემოსის ღირსებას ვერ დაიცავსო, არა? ტყუილად გიფიქრია ეგრე, ჩემო კეთილო სიმონ, სულაც არ გავბრაზდები, მივესალმები კიდეც ამ ამბავს. მიხარია. ოღონდ როდის მოვილაპარაკებთ მე და ის ვაჟბატონი? როდის გავარკვევთ — ვინ ვის ბოსტანში მიძვრება?

— არ ვიცი, — სიმონი ღრმად შეურვებული იყო. — მაგრამ უნდა მოემზადო. არ დაგავიწყდეს: ტანად ის მთელი თავით უფრო მაღალია შენზედ.

— უფრო მაღალია, მდიდარია, ცბიერია, თავხედია — მაგრამ კორინას გული მე მოვინადირე !მაშ, რა ფასი აქვს ყოველივე სხვა რამეს?

7

სოკრატე და კრიტონი ზღვისკენ დაეშვნენ, ათენის ნავსადგურ პირეოსში. სოკრატეს მამის დავალება უნდა გადაეცა მეხომალდისთვის, რომელსაც კუნძულებიდან მარმარილო მოჰქონდა, კრიტონიც გზად აედევნა, ნავსადგურში შეხედვა ეწადა.

ზღვამ გრძნობები აშალა. მოციმციმე, მოლივლივე უნაპირო ზედაპირი თვალსაწიერამდე გადაჭიმულა, უზღვავი ტალღის ტყლაშუნი და გუგუნი აყრუებს ნავსადგურს, ხმელეთის მკლავებში რომ მოქცეულა. თავს ზემოთ მუქი

ლურჯი ცაა. ამ ცის ქვეშ — ღრმა ზღვა. მაგრამ ზღვის თავზედ ცა კიდევ უფრო ღრმაა. მიუწვდომელ სიღრმეთაგან თავბრუ გესხმის...

ჰაერი მოციმციმე ზღვის მლაშე სუნით გაჟღენთილა. ამ სუნში მკვეთრად იგრძნობა ცოცხალი თევზის, მზეზედ დამდნარი კუპრის, მძაღე ზეთისა და ადამიანის ოფლის სუნი. პირეოსი, სადაც ყველა საზღვაო გზა იყრის თავს — დიდი სავაჭრო ალაგია, რომელსაც ვერ შეედრება ხმელთაშუა ზღვის ვერც ერთი სხვა ნავსაყუდელი; აქ ვაჭრობაა ყოველგვარი საქონლით, რომელიც კი ქვეყნად ცნობილია, ვაჭრობაა ადამიანებითაც, ფულითაც. და ჩურჩულ-კურკურში, ყვირილ-ძახილში, ჩხუბსა და დავიდარაბაში განუწყვეტლივ რაღაც ხელიდან ხელში გადადის.

მონები და ნავსადგურის მტვირთავნი ხორბლიან გემებსა სცლიან — ათენს საკუთარი ხორბალი არა ჰყოფნის, — თანაც გასატანი საქონლით: იარაღით, ლითონის ნაკეთობით, კერამიკით, ფუფუნების საგნებით, ძვირფასი სამკაულებით ტვირთავენ...

პირეოსს გვერდები გაუდგამს, მხრები გაუშლია — ნავსაშენებით, საწყობებით, სახელოსნოებით, დოკებით, ნავსაბმელებით, სამხედრო ხომალდების მისადგომებით; თავის წიაღში შემოუმტკიცებია ერთმანეთზედ ახორხლილი ფუნდუკები, სამიკიტნოები, საროსკიპოები, მდიდართა ვილები და შუკაქუჩებში შეფენილი ცოცქნა ქოხმახები, რომელთა თითო-თითო უფანჯრო სენაკში, როგორც ნადირთა სოროებში, შეყუჟულან ღატაკთა მთელი ოჯახები, სამაგიეროდ ქუჩაში გამოდგმულ მაგიდებზედ, ამ ქოხმახების წინ, იყიდება ხორცი, თევზი, ბოსტნეული, პური...

ამ გადატვირთულ ქალაქში ყველაზედ უფრო გაცხოველებული და ხალხმრავალი ადგილები საკერმეებია, სადაც ზარაფთა და ტრაპეზიტთა მომხვეჭელ ხელებში ზღვა მინა და ტალანტი ჩხრიალებს, და თითქოს ხედავ, როგორ ადენს სისხლს მევახშე ამ ვერცხლის გროვას, ვინაიდან სარგებელი თავისი ცხოვრების აზრად და მიზნად გაუხდია.

სოკრატემ მამის დავალება შეასრულა და კრიტონთან ერთად მოლზედ გაისეირნა, სადაც მსხვილი ბაგირებით იყო მიბმული გემები. გემბანებისკენ და გემბანებიდან უწყვეტ ნაკადად დიოდა საქონელი და ხალხი — მეზღვაურნი, თავმომწონე გემომფლობელნი, ეგვიპტელნი, სირიელნი, აბრეშუმში ჩამჯდარი სპარსელნი, ნახევრად შიშველი მონები და მკვირცხლი ფინიკიელნი, რომელნიც ყველგან უხვად არიან და რომელთა ხმა სხვებისაზედ უფრო გამკივანია...

ჩვენი მეგობრები გადაბრუნებულ ორჩხომელზედ ჩამოსხდნენ. წარმოუდგენელი ფუსფუსია ხმელეთზეც და ზღვაზეც. გემებს შორის ორჩხომელნი დაიკლაკნებიან, ყვირილი, ლანძღვა ყველა ენაზედ გაისმის ხმელეთიდან ზღვისკენ და ზღვიდან ისევ ხმელეთს უბრუნდება...

ოწინართა ჭრიალს, ჯაჭვების ჩხრიალს, საზიდართა გრიალ-გრუხუნს განუწყვეტლივ აყრუებდა ნავსადგურში და ზღვაში მდგარ გემებზედ მონათა მიმართ გაბმულად ნათქვამი ბრძანებები...

მთელი ამ ხმიანობის, გრუხუნის, ფაციფუცის ნარევში, რასაც ვერც თვალი მოიცავს და ვერც ყური, ზღვაში დინჯად გადის შავი ტრიერა, დაჭრელებული და წითელი საღებავით მოხატული, ძვირფასეულობის შესანახი ზარდახშის მსგავსი.

ტრიერის გვერდები წყლის ზედაპირიდან დიდ სიმაღლეზედ აღმართუ-

ლან. წინ, ზღვისკენ, უზარმაზარი ნისკარტი აქვს გაშვერილი, ზურგზედ კი, როგორც ფლამინგოს ფრთები, ფერადი იალქნები ებერება, და ფლეიტის ხმაზედ ათობით გრძელი ხოფის მძლავრი მოსმა გემს მშობლიური ქალაქის საზღვრებს აშორებს. დიდებული ათენური გემი ნილოსის შესართავისაკენ მიცურავს.

სოკრატე და კრიტონი აღტაცებული მზერით აცილებდნენ ამაყ ხომალდს — ზღვის მკერდზედ მიბნეულ სამკაულს, ათენელნი იყვნენ და ამაყობდნენ: ატიკამ თავისი მარმარილოს თავით, ათენით, ბარბაროსთ ხმელთაშუა ზღვამდე ბატონობა წაართვა. უკვე ზღვათა მეუფეა არა ფინიკიელთა ტიროსი, არამედ ათენის პირეოსი! ეს ბატონობა გრძელდება თითქმის ოცდაათი წელიწადია, და პერიკლე მზრუნველობით იცავს, ამრავლებს თემისტოკლეს დიდი ჯაფით მოპოვებულ სასახელო ნაყოფს. ეკლესია ხალისით ამტკიცებს პერიკლეს ხარჯებს ახალი გემების საშენებლად, რომელთა შიდა სადგომები თავიანთი ხარჯით უნდა მოაპირკეთონ ათენელმა მდიდრებმა.

ქვეყნიერების ოთხივე მხრიდან აწყდებიან ელადას ბარბაროსნი, როგორც ელინები უწოდებენ ყველა უცხოელს, ელადაში კი ათენის რესპუბლიკაა — ყველაზედ უფრო კულტურული სახელმწიფო.

ყველაფერი, რაც სხვა ქვეყნებში მხოლოდ მეფეთათვის, ფარაონთათვის, იმათ უახლოეს ნათესავთათვის, აგრეთვე უმაღლეს ქურუმთათვის არის, ატიკაში ხელმისაწვდომია მთელი ხალხისათვის (მონების გამოკლებით): თეატრები, სტადიონები, უფასო სადილები დღესასწაულებზედ...

ათენის პოლისი — ერთადერთი სახელმწიფოა მთელ იმჟამინდელ მსოფლიოში, რომელსაც განაგებს ყველაზედ უფრო დემოკრატიული სახალხო გამგებლობა, სულ უფრო და უფრო რომ ვითარდება მთელი სიგრძე-სიგანით ჩვენ მიერ აღწერილ წლებში.

კრიტონმა ტრიერას თვალი მოაშორა: მან სიჩქარეს უმატა და თანდათან სულ პატარავდებოდა.

რამდენადაც დღე იწურებოდა, იმდენად მკაფიოდ ანათებდა სუნიონის შუქურა. შუქურა ყირამალა დამდგარი კუდიანი ვარსკვლავია, რომლის ყელიდანაც მაღლა და შორს სცემს ალი, გრიგალში მოხვედრილ გემებს ხსნად რომ მოვლენია. თვითონ პირეოსიც ხსნაა თავისთავად, რადგან მრისხანე ქარიშხალშიც კი მის ნავსაყუდელში სიმშვიდეა, და ყველა სიდიდის ურიცხვი გემი პოულობს აქ საიმედო თავშესაფარს.

კრიტონმა სოკრატეს მხარზედ ხელი შეახო:

— უცნაური ხარ დღეს, სოკრატე, შენისთანა მხიარული და მოლაპარაკე ეგრე რამ დაგადუმა. რა მოგივიდა?

— მართალია. რა დაგიმალო და, ვჯავრობ. პერიკლეს დღემდე არ მივუწვევივარ, სამი თვე გავიდა...

— ბევრი საქმე და საზრუნავი აქვს — ხომ იცი, რარიგ ებრძვის თუკიდიდე, ოლიგარქთა მეთაური. ბრძოლა სულ უფრო მწვავდება. მამაჩემი ამბობს, პერიკლემ აღარ იცის, უმალ რომელ საქმეს მოჰკიდოს ხელიო...

— ჰოდა, აბა სადა სცალია ჩემისთანა ქვისმთლელის შვილისთვის! მესმის.

— არა, არა, სოკრატე, დიდხანს გალოდინა, მართალია... მაგრამ იცი, რა? მამაჩემსა ვთხოვ, შეახსენოს...

— არაფერიც არ შეახსენოს! — შესძახა სოკრატემ. — არ მინდა! მეც

შემეძლო, რომ ანაქსაგორასთვის მეთხოვა, მაგრამ არა, არავისი თხოვნა-ვედრება არა მსურს. და საერთოდ კმარა ამაზედ, ძმობილო!

მწუხრი ჩამოწვა. ზღვაზედ ღამე დადგა, მაგრამ პირეოსი აციმციმდა. ათასი სინათლით გაჩახჩახდა — თვით ათენიც არ არის ასე განათებული, აინთო ურიცხვი ჩირაღდანი, ჭრაქი, ბაზმა...

მეგობრები წამოდგნენ, სინათლის ძახილს მიჰყვნენ და შეუმჩნევლად აღმოჩნდნენ ერთ ვიწრო ქუჩაზედ, სადაც ყოველი სახლის წინ ფერადი ლიფლიფა ან ფალოსი ეკიდა. ირგვლივ უზარმაზარი ყვითელი და მწვანე ნესვები, დიდი ლაქლაქა ვაშლები იჭყიტებოდნენ ზღვის ნიავით შეთრთოლებულნი.

ღია კარებიდან პატარა ქუჩაში მუსიკა გამოიჭრა, ავლოსი, ორძალი, სალამური, კითარა, ბობღანი, მოცეკვავეთა ბაკუნი... ზებერი მაჭანკალნი ორსავე ჭაბუკს დააშტერდნენ. იმავე წამს გამოიცნეს კრიტონის არისტოკრატიული სამოსელი, მაინც ხელითაც მოუსინჯეს მოსასხამი, თვალი არ გვატყუებდესო, შემდეგ კი — მოკრძალებით თუ თავხედურად, თავაზიანად თუ მომაბეზრებლად, ვისაც როგორ შეეძლო, — ჭაბუკთ ბუნაგებში დაუწყეს პატიჟი. მაგრამ იმათ გზა განაგრძეს. აგერ მეორე ჩიხი, კიდევ უფრო ვიწრო, ერთი ციდა სახლები, რომელთა წინ ნახევრად შიშველი მეძავნი დგანან, ზოგსაც ფარდა გადაუწევია და პირდაპირ გამოუფენია თავისი მშვენიერება. კრიტონს სული ეხუთებოდა. მაგრამ უფრო თავშეკავებული სოკრატეც კი, რომელსაც ბევრად მეტი ენახა, გულგრილი არ დარჩენილა. აი შიშველი თრაკიელი ქალი კარის ღიობში ზღურბლზედ დამჯდარა — ჩარჩოში ჩასმული სურათია. თმაჩამოშლილი ქალიშვილი, რომელსაც ცალი ძუძუ გაუშიშვლებია, თავაწყვეტილი ბაკქი ქალის ვნებიანობით იზიდავს კრიტონს, უახლოვდება, სხეულზედ ეხახუნება და სიამოვნების გამომხატველად კვნესის..

კრიტონმა ხელი ჰკრა — ბაკქი ქალი ახლა სოკრატეს მიეკრა; მაგრამ არც ის გადაჰხვევია, და მაშინ ქალმა ჰკითხა:

— თქვენ რა, ქალი არ გინდათ? ეგ ხომ არ არის შენი საყვარელი?

ერთ ცდუნებას უკუაგდებ — მეორე იქვეა. გაფუფუნებული სირიელი ქალი პეპელას ფრთასავით აქნევს მოსხმული პეპლოსის კალთას, ხან იფარავს, ხანაც იშიშვლებს მუცლის ქვედა არეს.

— შემოდით, ლამაზებო, — ალერსით უხმობს. — ნუღა ფიქრობთ! შემოდით!

კრიტონი და სოკრატე გვერდით ჩაუვლიან შემოთავაზებულ სიამოვნებას, თუმცა ზურგზედ ჭიანჭველები დასდიან.

კედლის ლაფაროს ჩრდილში ბებერი მეძავი მიწოლილა, ღვინისფერი ჯვალოს პეპლოსი ჭუჭყისგან გაშავებია. მან გრძელი დამჭკნარი ხელები ჩაავლო კრიტონს ფეხებში და მოულოდნელი რამ ძალით შეაჩერა. ფეხს უკოცნის, სულ მაღლა და მაღლა მიუყვება, ვნებიანად ლოშნის...

— მაშოვნინე რამე, მეუფეო, — ელიჯინება კოცნასა და კოცნას შორის. — მე ისეთი რამეები შემიძლია, Ჩაც სხვას აქ არავის ეხერხება...

გულდამძიმებული კრიტონი უპასუხებს:

— მე არაფერი მაგნაირი არა მჭირდება...

— ქორფა გოგოებს ეძებ, მეუფეო! — გაიცინა დედაბერმა. — როგორც ყველა გამოუცდელი... მაგრამ აბა ერთი მცადე, რის შემძლე ვარ!

კრიტონმა ზიზღით შეიგრძნო, როგორ ჩააფრინდა ქალი ბარძაყებზედ.

— გამიშვი! — შეუძახა. — გამიშვი, თორემ წიხლს მიიღებ!

— ინანებ...

სოკრატე ჩაერია:

— წავიდეთ, კრიტონ!

ჭაბუკმა უკვე ძალით დააღწია თავი მეძავი დედაბრის ჩხინკორა ხელებსა და ჩაფრენილ ტუჩებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამჯერი, სისხლი მადინე! — ცრუობდა დიაცი. — სამაგიეროდ მაჩუქე მაინც რამე მშიერ-მწყურვალს...

კრიტონმა საფულე ამოიღო.

მაგრამ აქ სიბნელიდან მეორე მეძავი გამოხტა, კრიტონთან მიირბინა და დაიწივლა:

— არაფერიც არ მისცე მაგ ბილწ დედაკაცს, მაგას! სხვას ობოლებს სთხოვს, თვითონ კი მხრებამდე სცემს საყურეები! შეხე! სულ ოქროსია!

დედაბერი ლამის დაიხრჩო, ვიდრე ხრინწიანი ხმით რამეს იტყოდა:

— ამ საყურეებს პურში ვერ გავცვლი, თან ჩავიტან მიწაში!

კრიტონმა მეძავს დრაქმა მიუგდო. წმინდა ვერცხლმა ქვებზედ გაიწკრიალა — დედაბერი წამსვე დააცხრა მონეტას, თავისი სხეულით გადაეფარა.

მეორე მეძავი კრიტონს დაედევნა, ბევრი ფული ჰქონია, იქნებ მეც რამე მერგოსო:

— წამო ჩემთან, ყმაწვილო! იმ ყვითელ ფარანს რომ ხედავ, იქ არის ჩემი სამყოფელი, შენიც. მთელ პირეოსში ყოვლის უკეთესი ტკბობის სახლია.

კრიტონმა პასუხი არ გასცა. უხმოდ ჩაუარეს „ყოვლის უკეთეს ტკბობის სახლს", რომლის კარებიდანაც ავლოსის ნაზად მათრობელი ხმა გამოდიოდა. კარზედ შეცდომებით სავსე წარწერა იყო:

აქ ყველაზედ უფრორე სანდამიანი ქურფა გოგოები ელიან
ნეტარებას, სიტკბოსა სძლევნიან დიდებულთ, ნავთმოძღვართ,
ნავკოსალართ, ჯეელ მეზღვიერთ...

ამ სახლის იქით მეძავმა ველარ გაბედა წასვლა: იქით სხვათა უბანი იწყებოდა. კედელს მიეყრდნო, ამაო ცდით დაღლილი; ახალ მსხვერპლს დაუდარაჯდა.

ქუჩაბანდებში დაეხეტებოდნენ ათენის საზღვაო კავშირის ყველა ნავსადგურის მეზღვაურები, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბარბაროსული ქვეყნების ზღვაოსნები. ყველას ნაირნაირად ეცვა, მაგრამ სარტყელში ყველას ხანჯალი ერჭო.

ქუჩის მთელი სიგანე სამ სირიელს დაეჭირა. კრიტონსა და სოკრატეს კედელზედ აკვრა მოუხდათ, რომ ისინი გაეტარებინათ.

— სად აჯობებს მისვლა? — იკითხა ერთმა სირიელმა.

— „აფროდიტე კალიპიგოსის" ფუნდუკში, — მიუგო მეორემ.

— რას ნიშნავს „კალიპიგოსი"? — დაინტერესდა მესამე, რომელიც უცნობი სიტყვის ჟღერამ მიიზიდა.

— რას ნიშნავს და, იმ აფროდიტეს მშვენიერი უკანალი აქვს, — აუხსნა მეორემ და სიტყვებს ისეთი ჟესტი დააყოლა, თითქოს ხელი შეახო გონების თვალით წარმოდგენილ დუნდულებს.

— მაშ, ჩვენც იქ წავიდეთ — გადაწყვიტა მესამემ.

აქ გზად შეხვდათ ერთი ტანსარო ქალიშვილი, რომელსაც გვერდჩახსნილი პეპლოსი სიარულში უფრიალებდა. ლურჯი ფარნის შუქზედ ქალიშვილი ფერწასულ მოჩვენებასა ჰგავდა. მეზღვაურმა უმალ შეიცვალა გადაწყვე-

ტილება, ეგრევე ეტაკა ამ გვერდჩახსნილ პეპლოსიანს, კედელთან მიიმწყვდია და ორივენი ისე დაირწნენ, როგორც ნავი ქარიშხალში.

კრიტონი და სოკრატე მღელვარებისგან გაშეშდნენ.

— სად წავიდეთ? — ხრინწიანი ხმით წამოისროლა კრიტონმა.

დიდი წითელი ვაშლი, ჭრელ ყაითანზე რომ ეკიდა, მაცდური ღიმცი-მით უხმობდა ჭაბუკებს.

ფარდა შეირხა, სახლიდან ლამაზი ასული გამოვიდა — კანი სპილენძისფერი ჰქონდა, თმა ხარის ბეწვივით შავი და მოციმციმე, შუბლს ზემოთ ძოწისფერი ბაფთით შეეკრა. შუა ბარძაყებამდე სწვდებოდა ლიმონისფერი პეპლოსი.

— ჩვენთან შემოდი, ბატონო, — ქლესა ალერსით უთხრა მან, რაკი კრიტონს ტანზედ მდიდრული მოსასხამი დაუნახა. — ჩვენ მთელ პირეოსში ყველაზედ უფრო მდიდრული სახლი ვართ. გეტყობა, ლამაზო, გადახდა არ გაგიჭირდება.

კრიტონი სოკრატეს მიუბრუნდა:

— შევიდეთ?

სოკრატე შეყოყმანდა.

ქალიშვილმა სოკრატეს გადახედა.

— შენს მონას შეუძლია, რომ გარეთ დაიცადოს, — უთხრა მეძავმა კრიტონს. — ან იქნებ მაგისთვისაც გადაიხდი?

— შევედით! — მოკლედ მოჭრა კრიტონმა.

— ჩემი სახელია იონასა, — უთხრა ქალმა, პატარა შესასვლელში რომ შეუძღვა. იქ შავკანიან მონას ეძინა, უზარმაზარი გველივით დახვეულს, თავი მუხლებში ჰქონდა ჩარგული.

მძინარეს ჩაუარეს და შევიდნენ დიდ ბნელ ოთახში, რომელსაც დაბალი ჭერი ჰქონდა, სწორედ აქ ანთებდა ზეთის ბაზმებს დაწესებულების პატრონი, სახედანაოჭებული, უპეებშეშუპებული კაცი. მან გულზედ ხელები გადაიჯვარედინა და ისე მიესალმა სტუმრებს.

— სინდარი მზად არის თქვენდა სამსახურად, ბატონო.

ტაში შემოჰკრა — გამოჩნდა შავი მონა ქალი, ხელში ღვინის ამფორა და თასი ეჭირა.

— ან იქნებ შეუზავებელს ამჯობინებ?

კრიტონი მიჩვეული იყო, რომ ყველაფერში სოკრატესთვის ეკითხა რჩევა, მაგრამ ამჯერად თვითონ გადაწყვიტა:

— რა თქმა უნდა, შეუზავებელს!

სინდარი მაგიდას მიუჯდა, იონასა სადღაც გაქრა.

— მუსიკა! — შესძახა მასპინძელმა.

კუთხეში გაუბედავად გაისმა ფლეიტის დუნე ხმა.

კრიტონმა, ცოტა არ იყოს, მორცხვად უთხრა სოკრატეს:

— რა ლიზათიან ბუნაგში შემოგვაგდო ქარმა!

— ყველა ბუნაგი ერთნაირია, — მიუგო სოკრატემ. — ეგრევე იგრძნობა, რომ აქ კრიტონები არ დადიან.

ამას ყურითაც იგრძნობდა კაცი. ნახევრად ბნელში ისმოდა ხითხითი, ჩურჩული — ღმერთმა უწყის, ვისი, რაზედ და რისთვის. მაგრამ აი, აანთეს ბაზმები და საჩინო გახდა დაწესებულების მთელი „ფუფუნება“: ყველგან, საითაც გაიხედავ, მკაფიო ლაქებია, ფარდები, საბნები, პეპლოსები, ქიტონე-

ბი, კედლის მოხატულობა... სულ აფერადებულია ყველაფერი! თვალში გცემს ჭრელაჭრული, აღმოსავლური ფერები: აქეთ ცეცხლოვანი გოგირდისფერი ყვითელი, იქით გესლიავებრ მწვანე, წითელი, ზღვისფერი, ოქრონარევი შავი, ვერცხლნარევი ჭრაფერი... თავით ფეხთამდე კილიტებით მორთული მუტრიბი ქალი ბნელიდან გამოვიდა, რათა სტუმრებს სილამაზით თავი მოაწონოს და ყველას ყურადღება თავის მუსიკალურ ხელოვნებას მიაპყროს.

იონასა დაბრუნდა, თან მეორე ქალიშვილი მოიყოლა სტუმრისთვის. ის ქალიშვილი სოკრატესთან მივიდა. ბაგეზედ ისეთი მწარე ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს შეწყალებას ითხოვსო.

— მე ამიკლე ვარო, — გააცნო თავი.

ამ ჭრელი ბუნაგისმაგვარ ცახცახე შუქში ამიკლეს ღია ფერის თმა ჭაღარას ჰგავდა.

იონასამ კრიტონს ტკბილეული შესთავაზა: ვნების ამშლელიაო.

— სამოსურ ღვინოში ჩადებული ვირთევზას ღვიძლი მთელი დრაქმა ღირს — ძვირია, არა? ჰო, ჩვენში ფასები მაღალია, სამაგიეროდ ფრიად ისიამოვნებ. თუმცა შენთვის ფასს რა მნიშვნელობა აქვს...

— მაგაზედ ნუ იდარდებ, — წაიტრაბახა კრიტონმა.

ჭამა-სმას დასხდნენ. მძიმე როდოსული ღვინო კარგად ასრულებდა თავის დანიშნულებას. საჭმელ-სასმელს რომ მორჩნენ, პატარა ბნელ სენაკში გავიდნენ, სადაც ორი სარეცელი იდგა.

ღვინო აქაც გაჩნდა. ქალიშვილებმა ტანთ გაიხადეს.

— აქ ეროტის სამეფოა კეთილშობილთათვის, — თქვა იონასამ. — შენი მონა ჩვენთან დარჩება?

მეორედ ელოდა სოკრატე, რომ სიტყვა „მონა" სიტყვა „მეგობრად" გასწორდებოდა. მაგრამ კრიტონმა პირდაპირ უთხრა:

— დარჩება.

იონასა სოკრატეს ხელს შეეხო:

— რაღა თქმა უნდა. თუმცა ჩვენსა არავითარი საფრთხე არ მოგელით — ai სხვა სახლებში კი არცთუ იშვიათად იღვრება სისხლი...

რაღაც გადაუძახა მუტრიბ ქალს, რომელიც ახლა აღარ ჩანდა, და მან ფლეიტა უმალ კითარით შეცვალა. ორ სარეცელს შუა დარჩენილ ვიწრო ადგილზედ იონასამ გიჟური როკვა დაიწყო.

კრიტონი ეცა, ხელები მოჰხვია, მუხლებზედ დაისვა. ქალიშვილი წყნარად, გამოცდილად ეალერსებოდა. კრიტონი ვეღარაფერს ხედავდა, აღარაფერი ესმოდა, მხოლოდ ამ მოღვედილ, სუნამოში განბანილ სხეულს გრძნობდა. ზედ ცეცხლად რომ ედებოდა.

ამიკლეს წარმატება არ ჰქონია. სოკრატე ოდენ მკერდზე უსვამდა ხელს და ათას რამეს ეკითხებოდა. აადაური ხარო, ვისი ასული ხარო. როდის მიატოვეო მამის სახლი და რისთვისო. მოგწონსო თუ არა აქაურობა და ვისთან გიხდება წოლაო...

— რა შენი საქმეა, ქვეყანაზედ ღორისდინგიანთ რა გამოლევს... ილოცხლე, ბლომად მოდიან ათასგვარ სუნად აყროლებული მეზღვაურნი! — მოთმინებიდან გამოვიდა ამიკლე. — სულ ზედმეტ რამეებს მეკითხები! თავად მონა ხარ და ისიც არ იცი, როგორ უნდა ემსახურო სხვას?

— მე მონა არა ვარ.

ამიკლე უფრო ლმობიერი გახდა, ხელები კისერზედ შემოაჭდო და გაენ-

დო: არც მე ვარ მონა. მამამისი თურმე სატვირთო გემის მეპატრონე ყოფილიყო, მაგრამ იმდენი ვალი აეღო საქონლის შესასყიდად ზარაფთაგან, რომ ბოლოს სამათხოვროდ გახდომოდა საქმე, გემი კი ვალებს ჩაეყლაპათ.

— მერე ისეთ სამუშაოებზედ მოუხდა გადასვლა, რომელთაც მხოლოდ მონები ასრულებენ, მთელი ოჯახი გაჭირვებაში ჩავარდა. მეც [illegible] ამიკლემ.

სოკრატე ისევ გულმკერდზე უსვამდა ხელს.

— არც საქმრო გამოინახა? ლამაზი მაინც არ იყავი.

ამიკლემ ჭაბუკის ხუჭუჭ თმაში შეაცურა ხელი.

— ლუკმაპურისთვის, არა? ეგრე წარმოუდგენია ყველას: ქმარმა უნდა არჩინოს ცოლი. დაე ჩემმა სილამაზემ მარჩინოს! შენ ხომ არ გინდა ჩემი შერთვა? ალბათ გინდა, რაკი ყველაფერს ასე დაწვრილებით მეკითხები. მიდი, გამიყვანე აქედან! შემირთე! იქნებ ჩემთვისაც ხარ გაჩენილი. მე კი მზადა ვარ, რომ მუცლით ვიხოხო თუნდაც ისეთი ფეხშიშველა ლატაკის წინაშე, როგორიც შენა ხარ!

ამიკლე უფრო მიეკრო.

სოკრატემ იგრძნო, როგორ ღაპალუპით დაცურდა შიშველ მკერდზე ამიკლეს ცრემლები. მხოლოდ ის არ იცოდა, გულწრფელად იცრემლებოდა ქალი თუ თვალთმაქცურად.

— რატომ ჩემი მეგობარი არ აირჩიე, მე რატომ მომიჯექი?

ამიკლემ ხმას დაუწია:

— არჩევანის უფლება მხოლოდ იონასას აქვს. ჩემი ის არი, რაც დარჩება ხოლმე.

სოკრატემ უსიტყვოდ გაუწოდა სამი დრაქმა — სულ რაც ჰქონდა. ქალიშვილმა ელვისებური მზერა ესროლა ნაჭრის ფარდას, საიდანაც სახლის პატრონი უმზერდა. განზრახ ხელი უკრა სოკრატეს და შესძახა:

— მკერდს რატომ მწიწკნი? მტკივა!

სინდარის თავი გაქრა. ამიკლემ წასჩურჩულა:

— აი ახლა მომეცი ეგ ფული... მალე! მადლობა!

ამიკლეს კოცნას მხურვალება შეემატა. სოკრატეც ვნებამორეული უსვამდა ხელებს მთელ სხეულზედ, თითქოს დამახსოვრება სურდა, რარიგ მკვრივი გვერდები და ძუძუები ჰქონდა, ამიკლეც ალერსით უპასუხებდა. ერთმანეთს შეხვდა მოქანდაკის ხელების გამოცდილება და გამოცდილება მეძავის ხელებისა... სოკრატემ თვალები დახუჭა — შეხებით უფრო მძაფრ სიამოვნებას გრძნობდა.

უეცრად ყურები ცქვიტა. იონასას და კრიტონის ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბარი დაიჭირა, თვალები გაახილა. ისინი უკვე აღარ ისხდნენ — დაწოლილიყვნენ, მაგრამ იონასა სულ უფრო შორს იჭერდა იმ ამბავს, რითაც უნდა დამთავრებულიყო ხვევნა-ალერსი.

— რა ნაზი ხარ... რა ტკბილი სუნი აქვს შენს თმასა და ხელისგულებს. მე ჯერ არასოდეს არ მოვფერებივარ შენისთანა ლამაზ ყმაწვილს. ნამდვილად მიყვარხარ... იარე, მოდი ხოლმე ჩემთან! მპირდები? ილი?

სოკრატეს ხელი ამიკლეს ტანს შეაცივდა; გაოცებით უსმენდა იონასას, დაინახა იმისკენ დახრილი კრიტონის სახე — ესოდენ ნაცნობი, ახლა სრულიად უცხოდ ეჩვენა...

კიდევ ერთი სახე დაინახა სოკრატემ — ფარდიდან რომ გამოყო ვიღაცამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სინდარის სახე, ოფლიანი თმა შუბლზედ მიჰკვროდა. ლურჯი ტომსიკები თვალებქვეშ კიდევ უფრო წამობერვოდა. სინდარი სინახაობით ტკბებოდა — მაგრამ აი ნიშანი მისცა იონასას: დროა, მორჩით!

— მე უმალ შემიყვარდი... პირველ შეხედვისთანავე! — იონასამ კრიტონს აკოცა. — შენ თუ გიყვარვარ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მიყვარხარ... მიყვარხარ...

— რატომ ცრუობ?! — ველარ მოითმინა სოკრატემ. — რატომ ხარჯავ მაგ სიტყვებს ტყუილუბრალოდ? აბა რა სიყვარულზედ შეიძლება აქ ლაპარაკი?

იონასა აიმრიზა:

— რა დაუკრეფავში გადადის შენი მონა? მე შენ გიყვარვარ, შენ კი მე...

სოკრატემ შენიშნა: კრიტონს რომ ჰკოცნიდა, იონასა ფარულად ფეხით ქისას უსინჯავდა. თანაც განაგრძობდა:

— შენსავით ისე უცებ ჯერ არავის მოვუხიბლივარ...

— ცრუობ! — მიაძახა სოკრატემ ისევ ისე მკვახედ, როგორც წეღან კრიტონს უთხრა.

იონასას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ კრიტონმა დაასწრო:

— როგორ ბედავ ამის შეურაცხყოფას? რას გადაეკიდე? მოგვასვენე!

სოკრატემ საკუთარ ყურებს არ დაუჯერა. კრიტონის სიტყვებმა კი არა, იმისმა მტრულმა კილომ განაცვიფრა. ფიქრიანად გადაუსვა ხელი ამიკლეს თმაზედ. იმანაც ჩურჩულით უთხრა:

— მართალი ხარ, ტყუის! უკვე რამდენი წელია, რაც სინდარის საყვარელია... — და სიძულვილით დაუმატა: — ამიტომაც აქვს არჩევნის ნება, ჩვენ კი ვინ აგვარჩევინებს!

სოკრატემ სინდარის მახინჯ სახეს შეხედა. ბებერი საყვარელი კრიტონის გვერდით წამოწოლილი იონასას მოქმედებას უთვალთვალებდა. ვაი, ვაი, ნუთუ ამ ჯოჯოხეთის მაშხალის მოზიარე უნდა იყოს ჩემი კრიტონიო, ფიქრობდა სოკრატე.

ამიკლემ უკვე მოუთმენლად უთხრა:

—შენ არავინ გიშლის..., მიდი!

მაგრამ სოკრატე გაბრაზებული იყო, ისევ კრიტონს მიუბრუნდა:

— რა მოგივიდა, ტვინი ხომ არ გადაგიბრუნდა, რომ მაგ გოგოსი გჯერა? ვერ მიმხვდარხარ, რისთვის გელაქუცება?

— ნუ ლანძღავ! გიკრძალავ იცოდე! — დაუყვირა კრიტონმა და სიბრაზისგან სახე დაემანჭა.

— ტყუილად წამოგიყვანე, ჰირიმე! ვიღაც მეძავის ტკბილი სიტყვების ანკესზედ ეგები... ადე! წავიდეთ-აქედან! — და სოკრატემ იმისკენ ნაბიჯი გადადგა.

კრიტონმა პატარა მაგიდიდან რკინის ბაზმაკი აიღო, მოუქნია:

— არ მომეშვები?! რას გადამეკიდე? იცოდე, გესვრი!

— მესროლე!

კრიტონმა ბაზმაკი ესროლა. სოკრატემ ჰაერშივე დაიჭირა. პატრუქი ჩაქრა, ზეთი დაიღვარა.

იონასა ზურგზედ დაწვა, კრიტონი მიიხუტა.

— შენც მიმიკარი, — შეუძახა ამიკლემ სოკრატეს.

მაგრამ ამ დროს ყვირილი გაისმა. ვიღაცის შავმა ხელმა სინდარი იქით მი-

აგდო, ფარდა ჩამოგლიჯა და გამოჩნდა მზით გარუჯული წვერიანი მეზღვაური. ეს იყო დრაბოლი, რომელსაც საქონელი დაჰქონდა პირეოსიდან ეგინაში, ხოლო აფროდიტეს დღეებში იონასას ნახულობდა, უხვად იხდიდა გასამრჯელოს. იქნებ არც იცოდა, რომ იონასა — სინდარს საყვარლად ჰყავდა, ან იცოდა, მაგრამ იმისთვის ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა — ყოველ შემთხვევაში, დრაბოლი აქ მუდმივი და საპატიო სტუმარი იყო.

თავისი იონასა რომ სარეცელში დაინახა ლამაზ ჭაბუკთან ჩახუტებული, დრაბოლმა თვალში ისრით დაჭრილი ხარჯიხვივით დაიბღავლა.

იონასამ მეტისმეტად გვიან იგრძნო საფრთხე, მაგრამ ყველაფერი იღონა, რომ თავი მართალი გამოეყვანა. გვერდი იცვალა, კრიტონს ზურგი აქცია, ისე იქცეოდა, ვითომ უძალიანდებოდა, თანაც ყვიროდა:

— რას გადამეკიდე! არ მინდიხარ! გეუბნები, გამიშვი-მეთქი! გამიშვი, თორემ გიკბენ!

— აი, შე ძუკნავ, შენა! — დაიწყო დრაბოლმა ლანძღვა-გინება. — მთელი ჩემი ფული შენ გინდება! შენ კი ვიღაც ლაწირაკს ჩაჰგორებიხარ! დღეს ჩემი ხარ! ვერსად წამიხვალ! ცხვირ-პირს დაგინაყავ!

იონასამ კიდევ უფრო უმატა თავის თვალთმაქცობას, ვითომ ეზიზღებოდა კრიტონი:

— აპა, დაინახე, მინდიხარ თუ არა! — და სახეში შეაფურთხა.

ჭაბუკს არასოდეს გამოეცადა მსგავსი დამცირება, ფერი დაკარგა — და იმწამს დრაბოლის მძიმე ხელი იონასას სახეზედ დაეშვა.

კრიტონი უკვე დგებოდა სარეცლიდან, როცა მეზღვაურმა დაძარღვული ხელები ყელში წაუჭირა და დახრჩობა დაუწყო. კრიტონი ხროტინებდა, ქშინავდა, იტლინკებოდა, დრაბოლის ტორების მარწუხი კი მაინც არ იხსნებოდა. სოკრატე მეგობრის საშველად გაიჭრა, მაგრამ სინდარის ნიშანზედ უმალ შავკანიანი ბუმბერაზი გამოჩნდა, კრიტონსა და სოკრატეს ხელები ჩაავლო და ორივენი გარეთ გააბრძანა, მანამ კი ერთი-ორჯერ თავები ერთმანეთზედ მიუხალა და მოპირდაპირე კედელს ისე მიანარცხა, თითქოს ქეციანი კნუტები ყოფილიყვნენ.

ისინი რის ვაივაგლახით წამოდგნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, „გრძელ ყედლებს" მიაშურეს და აღმა შეუყვნენ ათენის გზას.

კრიტონი შეჩერდა, შუბლი კედელს მიაყრდნო: გული ერეოდა. სოკრატემ გაიფიქრა: გარედანაც ჭუჭყი, შიგნიდანაც ჭუჭყი — ალებინებს, აბა რა იქნებაო! მეც არანაკლებ მაღებინებდა, უფრო მაგარი კუჭი რომ არა მქონდესო...

გზა განაგრძეს. კრიტონი ნელა მილასლასებდა, ფეხებს ძლივს ადგამდა. სოკრატემ ჰკითხა:

— კიდევ ცუდად ხარ?

— ცუდად... მთავარი კი ის არის, რომ საკუთარი თავი მძაგს. როგორ მექცეოდი! ჩემს თავზედ მომდის ბრაზი... შეგიძლია პატიება, სოკრატე?

— უკვე გაპატიე.

— შენ უმალ შეიცანი ის საძაგლობა...

— იმიტომ შევიცანი, რომ მე ის ვიცოდი, რაც შენ არ იცოდი. ის შენი „სიყვარული" ყოველ ღამე იმ ბებერ სინდართან კოტრიალობს, — სოკრატემ გადაწყვიტა, რომ არ დაენდო მეგობარი.

კრიტონმა სახეზედ ხელები აიფარა. სიტყვებს ვერ პოულობდა, რომ ზიზღნარევი გრძნობა გამოეხატა.

— შენ ის თუ შენიშნე, რა ფერადებია იმ ბუნაგში? ცისარტყელას ყველა ფერი, და რაც მთავარია, ყველა ჭყატანა, მკვეთრი. მხოლოდ ერთი ფერი არა ჩანს იქ — თეთრი.

— იმიტომ რომ იქ იმისი ადგილი არ არის, — მიუგო კრიტონმა.

— სწორედაც. მაგრამ, მგონი, გადახდა დაგავიწყდა.

კრიტონმა უნებლიედ სარტყელი მოისინჯა — საფულე აღარა ჰქონდა.

— გადამიხდია, — ჩაიბურტყუნა. — სულ წაუღიათ, თითქმის მთელი ოცდაათი დრაქმა მქონდა! — მაინც ვის უნდა წაეღო? ნუთუ იმ გოგოს... ან იქნებ სახლის პატრონმა ამწაპნა?

სოკრატემ გაიცინა:

— ყველაფერი უნდა გიხაროდეს, რაც დღეს თავს გადაგხდა!

— სასიხარული რა გვაქვს? ახლაც მეწვის სახეზედ იმ კახპის ფურთხი, ასე მგონია, ახლაც იმ წუმპეში ვიხრჩობი...

— არა, ორივეს უნდა გვიხაროდეს!

— რა? მითხარი!

— რა და, გავიგეთ, რა საშინელი ძალა აქვს ზოგჯერ ვნებას, ინსტინქტს.

— მართლა, საშინელი რამ ძალაა! საზიზღარი — მაგრამ უძლეველი... მითხარი, თუ კაცი ხარ, შეუძლია რამეს იმისი დამარცხება?

— არ ვიცი, კრიტონ. გონება და ნებისყოფა მეტისმეტად სუსტია იმ ძალის წინაშე. იქნებ გრძნობა შეეჭიდოს? შესაძლებელია, თუ სილამაზის ჰარმონიას სიყვარული შეერწყმის, რათა ნეტარება მოგვანიჭოს... არ ვიცი, მეტისმეტად ძლიერია ვნება...

8

— აჰა, სანდლები. ფეხშიშველა ხომ არ წახვალ! — უთხრა ფენარეტემ.

შვილმა გაკვირვებით შეხედა, მაგრამ დავა არ დაუწყია. ტაძარში ფეხშიშველა კი შევდივარ, მაგრამ იქ ასე წასვლა ნამდვილად ურიგობა იქნებაო, გაიფიქრა.

— ქიტონსაც გამოგიტან. ახლახან გიყიდე. გეცვას ახალი, როცა ეფებოსთა რიგებში ჩასაწერად წახვალ.

დედა გავიდა. შვილმა კი, თავის საწოლზედ ჩამომჯდარმა, სანდლების სინჯვა დაიწყო. ზედ გადაჯვარედინებული თასმები მიხაკისფერ პატარა გველებს ჰგავდა.

ჩაიცვა, აბზინდები შეიკრა. აჰ! ქუსლზედ უჭერს, ძალზედ ვიწროა — ფეხი თავისუფლად არ არის... ადგა და დააბაკუნა.

დედა შემოვიდა, თეთრი ქიტონი შემოუტანა.

— მოგიხდება, შვილო! — გადაეხვია. — ათენა იყოს შენი მფარველი, და წარმატება დაგემგზავროს ცხოვრებაში! გადააბიჯე ზღურბლზედ მარჯვენა ფეხით. გიხარია?

— მერე როგორ, დედი! ყველას კი არ ეპატიჟებიან პერიკლესთან...

ბრწყინვალე და დიდებული არა — უბრალო იყო პერიკლეს სახლ-კარი. რას შეედრებოდა მავან და მავან არისტოკრატთა კარმიდამოს! სამაგიეროდ იქ ბინა დაედო აზრთა სიმდიდრეს — განძს თავად სახლის უფლისას — და ნატიფ გემოვნებას, რომელიც იმ ჰერქვეშ პერიკლეს მეორე ცოლს, ასპასიას გაებატონებინა. იმათი ხშირი სტუმრები იყვნენ ფრიად თვალსაჩინო კაცნი,

ფილოსოფოსნი, მეცნიერნი, მშენებელნი, მხატვარნი, რომელთაც პერიკლე ათენში იკრებდა ქალაქთა ათენის კავშირის ყოველი მხრიდან.

ერთ-ერთი ფართო სადგომი სამუშაო სამყოფლისათვის დაეთმოთ — სწორედ იქ იბადებოდა ახალი ათენი. ერთიმეორის გვერდით განლაგებულ მაგიდებზედ ნახაზები იყო გაშლილი. ქალაქის გარდაქმნის დიდი გეგმა წარმოადგენდა ყველაფრის სულსა და გულს. ათენი ყველაზედ მშვენიერი ქალაქი უნდა გამხდარიყო დედამიწის ზურგზედ. ირგვლივ იმ შენობების დეტალური ნახაზები ეწყო, რომლებიც უკვე გადაეკეთებინათ ანდა ახლა უპირებდნენ გადაკეთებას, იქვე იყო ახალი შენობების ნახაზები და მაკეტები, იმ შენობათა გარეგნული და შინაგანი გაწყობა-მორთულობის ესკიზები.

ოთახი სავსე იყო ამ ჯერ კიდევ მხოლოდ წარმოსახვაში არსებული შენობებით. როდის შეავსებს ქალაქს მთელი ეს მშვენიერება? ვინც ყოველდღე გეგმებს ჩაჰკირკიტებს, ჯერ იმათაც არ იციან, როდის რა იქნება. იციან მხოლოდ, რომ მშვენიერება ერთბაშად არ იბადება. მოაქვთ მონახაზები — ერთი უნდა შეცვალონ, მეორე უნდა შეავსონ, რაღაც ახალი რამ დაუმატონ. და პერიკლე მუდამ იმას მოითხოვს, რომ ახალი ძველზედ უფრო მდიდრული და დიდებული იყოს.

დიდი მქანდაკებელი ფიდია, რომლის ხელშიაც უნდა მოაქციოს პერიკლემ ქალაქის გარდაქმნის მთელი გამგებლობა — წვერმოშვებული, ნაღვერდლებივით თვალებანთებული კაცი, — ჯოხით უჩვენებს პერიკლეს, სად რა სამუშაოებია ქალაქში, სად რა შენდება, როგორ ხდება ოდესღაც სპარსელთაგან დანგრეული ტაძრებისა და ქალაქის კედლების აღდგენა.

ჩამავალი მზე ფარდაში შემოიჭრა, ფიდიას მიაფინა შუქი, მოქანდაკეს ანაზდეულად უჩვეულო დაძაბულობა გამოეხატა სახეზედ. ჩუქურთმიან სავარძელში მჯდარი ასპასია სოფოკლესკენ გადაიხარა:

— სახეზედ შეხედე!

— ნამდვილად, ასეთი გამომეტყველება არასოდეს ჰქონია. აღელვებულია, და საჩვენებელი ჯოხიც მოუსვენრად დახტის გეგმებზედ. ფიდიას თითქოს აციებს, — ჩურჩულითვე უპასუხა სოფოკლემ. — მაგრამ წვა ბევრად უფრო მშვენიერია, ვინემ ჩანავლება!

ფიდიამ თავისი ანგარიში მოათავა. ახლა პაპირუსის გრაგნილი აიღო, თავისუფალ მაგიდაზე გაშალა — პართენონი! აი ზედა გეგმა, საერთო ხედი, მოპირკეთების ესკიზები, თვით ფიდიასგან შემოთავაზებული. დორიული სვეტების ტყე გარს ევლება ქალწულ ათენას გიგანტურ ტაძარს, აკროპოლისს სამეფო გვირგვინისდა მსგავსად რომ წამოსდგომოდა. ორმოცზედ მეტი სვეტი ისწრაფის ზევით, სივრცეში, რომელი სივრცეც მნახველის თვალისთვის კიდევ უფრო მაღალი ჩანს, რადგან სვეტები ოდნავ შიგნითკენ არის დახრილი. ფერადი მოხატულობა ასახავს პანათენეას საზეიმო სვლას — ეს მსვლელობა ფირზედ იქნება ამოკვეთილი. ორივე ფრონტონიც ფერადია ნავარაუდევი: ლურჯი, წითელი, ყვითელი.

დუმილი ჩამოვარდა. ვერავინ ბედავდა პერიკლემდე ხმის ამოღებას.

პირველი კაცი დიდხანს ინარჩუნებდა დარბაისლურ გამომეტყველებას. მისი დიდი პირის სქელი ბაგეები მოკუმული იყო. პერიკლეს ვიწრო სახე აქვს, მაღალი თავის ქალა. ზურგსუკან „ხახვისთავას“ ეძახდნენ, პირში კი — „ოლიმპიელს“. უსიტყვოდ, მუშტრის თვალით აკვირდებოდა პერიკლე ფიდიას პროექტს.

ასპასიამ წყნარად უთხრა სოფოკლეს:

— რა ტაძარია! მახსოვს, ამასწინათ ნაწყვეტს გვიკითხავდი შენი დაუმთავრებელი ტრაგედიიდან: „ქვეყნად მრავალი არის ძალა გასაოცარი, ადამიანზედ ძლიერი კი არაფერია!"

პერიკლეს შუბლი შეეჭმუხნა.

— შენს სახეზედ ღელვაცებასაც ვხედავ და... შიშსაც, — უთხრა ასპასიამ.

— ჭკვიანი ქალი ხარ! — წაილუღლუღა პერიკლემ, ისე რომ პროექტისთვის თვალი არ მოუცილებია.

— განსაცვიფრებელია! — აღმოხდა სოფოკლეს.

— შენი ჩანაფიქრია, — მორიდებით მიუბრუნდა პერიკლეს ფიდია. — მეცა და ხუროთმოძღვრებსაც — კალიკრატეს და იქტინეს გვახსოვდა შენი სურვილები და მოთხოვნები.

— მაგრამ ეს ყველაფერი ბევრად უფრო ბრწყინვალეა იმაზედ, რასაც მე წარმოვიდგენდი!

— ათენელი ხალხის კარვისებურსახურავიან დარბაზს — ოდეონს — მიემატება კიდევ ერთი ძვირფასი თვალი, — თქვა ანაქსაგორამ.

პერიკლეს თავისი ჩვეულებისამებრ ტუჩებში გაეღიმა:

— აბა როგორ გინდათ, ძვირფასებო! თუკიდიდემ მიზნად დაისახა ათენის არისტოკრატთა გაერთიანება, რათა ათენის ხალხის წინააღმდეგ გაილაშქროს, მე კი ვისწავლე ხალხის აზრებით აზროვნება, ათი ათასობით ადამიანის თვალებით ხედვა, და გადავწყვიტე, რომ ვიცოცხლო ხალხისთვის, — ვაშენო მისთვის.

— პართენონის ჩანაფიქრი შენია, — გაიმეორა ფიდიამ, შეშფოთებულმა იმით, რომ თვითონ ათენას ტაძარზედ პერიკლეს ჯერ არაფერი ეთქვა.

ასპასიამ თავის ქნევით დაუდასტურა:

— დიახ, პერიკლეს ნამდვილად შეუძლია ქალაქისთვის მიწიდან საგანძურის ამოღება, მაგრამ ამ სილამაზის ძალა, ფიდია, შენგან მოდის.

— ეს რაღაც ორგიაა სილამაზისა, — აღტაცებით შენიშნა ანაქსაგორამ, ხოლო სოფოკლემ დაუმატა:

— ასეთი სილამაზე მიახლოების სურვილს აღუძრავს ადამიანს.

მაგრამ პერიკლეს სახე მაინც არ გაუნათდა. მისი დიდი გამომცდელი თვალები ისევ და ისევ დასტრიალებდნენ გეგმას, არქიტრავების, ანუ სამერხულების და ფრიზის ესკიზებს, რომელი ფრიზის წითელ ფონზედაც ლურჯი ფიგურები გამოირჩეოდნენ. ბოლოს პერიკლემ ენა გამოაგო:

— სილამაზის ორგიაო, ბრძანეთ. დიახ: ჩვენთა თვალწინ გადაშლილი ზმანებაა, რომელიც გვაიძულებს, რომ უკეთესნი გავხდეთ. მაგრამ თანაც დამაფრთხობელი სილამაზეა და აღაშფოთებს კიდეც ადამიანს.

ფიდიამ უმწეოდ დაუშვა ხელები. მიუხვდა. იცოდა, რაც დაჯდებოდა პართენონი. იცოდა — თუ ათენელნი თავს ამ გვირგვინით დაიმშვიდებდნენ, ყოველთა პოლისთა, ანუ ათენის საზღვაო კავშირის წევრთა შორისა და სიძულვილის ახალი საბაბი გაჩნდებოდა. ის კი არა, ისინი უკვე ლანძღავდნენ ათენს, როგორც ქარაფშუტა მფლანგველს, იმათ ხარჯზედ რომ კეკლუცობდა სამკაულებით; პერიკლემ სპარსელთა შიშით კი არ გადაიტანა კავშირის საერთო ხაზინა კუნძულ დელოსიდან ათენში, არამედ იმისათვის, რომ ხელთ ჰქონოდაო.

პერიკლემ თავი ასწია და იმ მტკიცე კილოთი წარმოთქვა, რომელი კილოთიც ათენის მრავალათასიან ეკლესიას მიმართავდა ხოლმე:

— ვიცი, ვიცი, რაზედაც ფიქრობთ და რისი თქმაც ვერ გაგიბედავთ ჩემ წინაშე, თავად გეტყვით: მე მოურიდებლად გამომაქვს ფული მოკავშირეთა სალაროდან, აკროპოლისზედ რომ გვაქვს დამალული. კი, ასე ვიქცევი, მაგრამ განა ქურდი ვარ? ან ჩემთვის ვხარჯავ?

ფეხაკრეფით შემოვიდა მონა, პერიკლეს მოახსენა, სოკრატე მობრძანდაო. დღესა გყავდათ მოწვეული, სწორედ ამ საათზედო.

— სხვა დროს მოვიდეს, მერე შევატყობინებ, როდის, — უთხრა პერიკლემ.

ანაქსაგორამ ხელის ჟესტით შეაჩერა მონა და სახლის პატრონს მიუბრუნდა:

— როდისღა მოხვდება შენთან საწყალი ყმაწვილი, თუ შენ დღემუდამ ამ გეგმებს მოუნდი? ისედაც უკვე რამდენიმე თვეა გელოდება.

— ვინ სოკრატე? — იკითხა ასპასიამ. — მგონი, გაგონილი უნდა მქონდეს ეს სახელი.

— სოკრატე ახალგაზრდა მადლცხებული მოქანდაკეა, — მიუგო ფიდიასმა. — კრიტონთან ვნახე მაგის სილენი, იშვიათი ნამუშევარია.

— მოქანდაკეა და თანაც ჩემი მოწაფე, — დაუმატა ანაქსაგორამ.

— ჩინებულია, — თქვა პერიკლემ ჩვეული მსუბუქი ღიმილით. — მაშ, სოკრატესა და მე ერთი და იგივე მასწავლებელი გვყოლია. აბა, შენ იცი, ძვირფასო ანაქსაგორა, თუ იმისგანაც ისეთ შეშლილს გამოიყვან, როგორიც მე ვარ!...

და მაშინვე განკარგულება მოახდინა, რომ სოკრატე პერისტილში შემოეყვანათ:

— მანდ დაიცადოს. ვახშმად ვეპატიჟები.

მონა გავიდა თუ არა, საგონებელში ჩავარდნილმა ასპასიამ პერიკლეს ჰკითხა: ეგრე შეშფოთებული რად ხარო. პერიკლე წამსვე აენთო:

— ვითომ არ იცოდე! ჩემს წინააღმდეგ უსაძაგლეს ბრალდებას აღძრავენ.

ყველამ იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს სიტყვები. პერიკლე ბრმადმორწმუნე იყო, თავის არსებაში ვერ დაეძლია ძრწოლა ზებუნებრივი ძალების წინაშე, ღმერთების შურისძიების წინაშე. ვინ იცის რამდენჯერ ენახა იმათი ხორცშესხმული შურისგება!

ანაქსაგორას დიდი ძალა და მეცადინეობა დასჭირდა, რომ პერიკლე როგორმე გადაერწმუნებინა, მოერჩინა ბრმა მორწმუნეობისგან, როგორაც ექიმი მოარჩენს ხოლმე მძიმე სნეულს. მაგრამ პერიკლეს თვალწინ მაინც სისხლის გუბე ედგა, ოდესღაც მკრეხელურად რომ დაეღვარა ალკმეონიდების გვარის — მისი გვარის წარმომადგენელს.

იმ ხანებში, როცა კილონი თავისი მიმდევრების შემწეობით ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ლამობდა, სახელმწიფოს არქონტი იყო მეგაკლე, ალკმეონის შთამომავალი. მეამბოხენი ალყაში მოემწყვდნენ აკროპოლისზედ, მაგრამ თავშესაფრად ათენას საკურთხეველი აირჩიეს, რაც ძველი კანონების თანახმად უზრუნველყოფდა ადამიანთა სიცოცხლეს.

მეგაკლემ მეამბოხეთ შეწყალება აღუთქვა, უკეთუ სილოცავს მიატოვებდნენ, მაგრამ ისინი იქიდან გამოვიდნენ თუ არა, არქონტმა ურცხვად და-

არღვია წმინდა აღთქმა და იმათი ამოხოცვა ბრძანა. ესეგვარი მუხანათობისთვის მთელი იმისი მოდგმა სამუდამჟამოდ დაიკრულა.

ორი საუკუნის განმავლობაში ყოველგვარ უბედურებას, რომელიც ამ მოდგმის ხალხს დაატყდებოდა ხოლმე, ღმერთების შურისძიებად რაცხდნენ. ეს კრულვა ალკმეონიდთა საგვარეულოს მტერთათვის მეტად ხელსაყრელ იარაღად იქცა — ნებისმიერ დროს შეეძლოთ იმისი გამოყენება.

— მეც კრული ვარ, — ყრუდ წარმოთქვა პერიკლემ, — მეც ძვირად დამიჯდება ის სისხლიანი ბოროტმოქმედება....

— გისმენ, და გული მტკივა, ჩემო პერიკლე, ახალ ტრაგედიაში, ახლა ოიდიპოსზედ რომ ვწერ, ბუნდოვან ბედისწერასთან ერთად ქებით ცამდე უნდა ავიყვანო ადამიანის ყოველი ნაბიჯი, დამოუკიდებლად რომ ადგამს..

— მაგისთვის მიქიხარ, სოფოკლე. უკვე დადგა დრო, დღეს დრომოჭმული ბრმამორწმუნეობის საპირისპიროდ სათანადო ფასი დაედო გონებასა და ადამიანის მოქმედებას. — თქვა ანაქსაგორამ, თანაც გაიფიქრა, იქნებ თვით პერიკლემ ჩააგონა სოფოკლეს, რომ მითებსა და ლეგენდებზედ მაღლა ნებისყოფა და გონება დაეყენებინაო.

ამ დროს სოკრატე პერისტილში იჯდა. წინ ლარნაკით ხილი დაედგათ. ფეხთით მცირე რამ სარაჯი უჩუხჩუხებდა, მეზობელი სამყოფლიდან ხმა გამოდიოდა. სოკრატე თავის მასწავლებლის ლაპარაკს უსმენდა.

ანაქსაგორა კი განაგრძობდა:

— გავიხსენოთ, რას ამბობს პრომეთე ესქილეს ტრაგედიაში: „მე ჭეშმარიტად მძაგს ღმერთებიო...“ მეც მძულან ისინი, ჩემო მეგობრებო. ყველგან ყოველთვის ყოველ საქმეში ერჩებიან, სჯიან ადამიანთ, თვითონ კი იმათზედ უფრო ალვირახსნილ ცხოვრებას ეწევიან, ჰაერს წამლავენ მუქარისა და საშინელებათა შხამით — და ამავ დროს სულაც არ არსებობენ!

პერიკლე მიხვდა, რომ მეგობრები ცდილობდნენ ბოროტი უღლისგან იმის გამოხსნას, მაგრამ მაინც დაჟინებით ამტკიცებდა, ქვეყნად ბედისწერის რაღაც იდუმალი ძალა სუფევსო.

— შენ კი, პერიკლე, დარწმუნებული ვარ, პირველი იქნები, ვინც ბედისწერის ძალას დაამხობ — თუ დავუშვებთ, რომ ასეთი რამ მართლა არსებობს, — ისევ გამოაგო სიტყვა ანაქსაგორამ.

— მაგრამ როგორ და რითი, ანაქსაგორა? — ჩაერია ასპასია.

— შენ ათენს ისეთ ძლევამოსილ და მშვენიერ ქალაქად აქცევ, პერიკლე, რომ ცისა და მიწის ყოველთა ძალთა კეთილგანწყობილებას მოიპოვებ. ამით, — ფილოსოფოსმა პართენონის გეგმაზედ მიუთითა. — შენ არა მარტო გამოისყიდი ყოველგვარ წყევლა-კრულვას, არამედ ყველა იდუმალი ძალის გულსაც მოიგებ. — დიახ, დიახ! — ასპასიას თვალები პერიკლეს სიყვარულით გაუნათდა. — ისე იქნება, როგორც ჩვენი ფილოსოფოსი ლაპარაკობს.

ფიდიას საჩვენებელი ჯოხი პართენონის გეგმაზედ შეჩერდა, წვერით ათენას სამლოცველოს შეეხო.

— ერთხელ სიზმარი ვნახე, ძვირფასო პერიკლე. შენ ალბათ ცთუნებას უწოდებდი, მაგრამ იმდენად მშვენიერი რამ იყო, გამოუთქმელი აღტაცებისგან გამომეღვიძა. და ის სიზმარი ყოველ ღამეს მეორდებოდა, ვიდრე ხატვა და ძერწვა არ დავიწყე იმისა, რაც სიზმრად მომევლინა.

პერიკლემ შენიშნა, რა ადგილზედ გაჩერდა ფიდიას საჩვენებელი ჯოხი.
— შენ რა, ათენა, პალადა მოგევლინა?

— დიახ, — იდუმალი გამომეტყველებით დაუმოწმა ფიდიამ. — სულ ერთიანად ციმციმებდა, და ის ციმციმი ჩამიჯდა ტვინში, გულში, ხელებში, გამაცისკროვნა კაცი.

იმ ამბავმა, რომ მოქანდაკეს ძილში ათენა მოევლინებოდა, პერიკლეზედ დიდად იმოქმედა.

— უფრო წვლილად იუბნე, როგორ გამოიყურებოდა ქალღმერთი.

ფიდიამ ისეთი მოწიწებით დაიწყო თხრობა, თითქოს ახლაც თვალწინ ედგა ის ღმერთქალი.

— ათენა მთლად სპილოს ძვლისა იყო, ბაჯაღლო ოქროს სამოსი ემოსა, ორთავ თვალი სპეკალისა ჰქონდა და შუქს აფრქვევდა. მარცხენა ხელით ოქროს ფარს ეყრდნობოდა, მარჯვენა ხელში კი პატარა ნიკე — გამარჯვების ქალღმერთი ეჭირა.

— გამარჯვების?! — ღრმად ამოისუნთქა პერიკლემ.

— დიახ, ათენისა და შენი გამარჯვებისა, პერიკლე.

აქ პერიკლე გონს მოეგო:

— შეჩერდი, ფიდია! მატყუებ. შენ ქალღმერთს კი არა, იმ ქანდაკებას ალწერ, რომელზედაც უკვე მუშაობ!

საყვედურმა გაახარა ფიდია.

— დიახ, ეგრეა, და ერთი სული მაქვს, რას იტყვი ჩემს ჩანაფიქრზედ.

პერიკლემ სიფიცხე გააზომიერა: იქ ანაქსაგორა ბრძანდებოდა, ის კი ყოველთვის აფრთხილებდა, რისხვის მოძალებას ერიდეო. მაგრამ მოქანდაკის ნათქვამმა პერიკლე მაინც შინაგანად აალელვა.

— რას ლაპარაკობ? ქრიზოელეფანტინის ქანდაკება? სპილოს ძვალი, ოქრო, სპეკალი... და გინდა, რომ ასეთი ბუმბერაზი ამ ტაძარში დადგა?!

— ვგონებ, ფერი ფერს მოვლენ, — თამამად მიუგო ფიდიამ.

— ნუთუ არ გესმის, ფიდია, — პერიკლეს რისხვა შეუკავებლად მატულობდა. — ნუთუ არ გესმის, რომ სილამაზე, ჩვენი მსჯელობის საგნად ქცეული, აღაშფოთებს ჩვენთა მოკავშირეთაც და თუკიდიდესაც თავისი მიმდევრებიანად? ნუთუ მართლა არ იცი, რა არის ბრძოლა ძალაუფლებისთვის? რა არის შეთქმულება დემოკრატიული მმართველობის წინააღმდეგ?

თითქოს ეს სიტყვები არც გაუგონიაო, ფიდიამ ოცნებაში წასულმა წარმოთქვა:

— ქალღმერთს შენი მსგავსი სახე ჰქონდა, ძვირფასო ასპასია, შენი გამომეტყველება, შენი ბრძნული შუბლი, შენი მოციმციმე თვალები...

— ეგ უკვე მეტისმეტია! — შესძახა პერიკლემ. — არა, ფიდია! ეგრე არ შეიძლება! ასპასია ბრძენი და მშვენიერია, მაგრამ ამ ამბის ბოროტად გამოყენება არ ეგების...

— მართალი ხარ, ჩემო ძვირფასო, — სიტყვა ჩამოართვა ასპასიამ. — მაგისი ნება არავის მისცე, ისედაც უკვე არაერთხელ მომჩვენებია, რომ ფიდიას სახელოსნოდან გამოსულ ღმერთებსა და გმირებს ჩემი და შენი ნაკვთები აქვთ...

— მერედა, რა გასაკვირია, თუ ყოველდღე თითქმის თქვენსა ვარ, ორივენი მიყვარხართ და ორივეს პატივსა გცემთ? — ისეთი კილოთი შეეპასუხა ფიდია, რომ თან თავის მომავალ ქმნილებას იცავდა.

პერიკლემ იკითხა, დიდი იქნება თუ არა ნიკეს ქანდაკება, რომელიც ათენას ხელისგულზე უნდა ეჭიროსო.

— ადამიანის სიმაღლეზედ მეტი, შვიდი-რვა ტერფი...

— მაშ, აბა შენი ათენა ბუმბერაზი უნდა იყოს! — შესძახა პერიკლემ.

— ექვსჯერ დიდი, — მშვიდად მიუგო ფიდიამ. — ამაზედ მცირე სრულიად დაიკარგებოდა პართენონის სივრცეში.

— საშინელი ვინმე ხარ, ფიდია. ჩემი დალუპვა გწადს, მაგრამ ამჯერად დასტურს ტყუილად ელოდები. სულაც არ არის საჭირო ქუსლებამდის ჩაწვდენილი ჟამოსელი, ექვსი ქანდაკების სამყოფი. თანაც სულ ბაჯაღლოსი! მფლანგველობაა და მეტი არაფერი! არა, არა, ფიდია. მაგ შეცდომას ვერ ჩამადენინებ!

სოკრატე ელოდა. აღტაცებული ათვალიერებდა მარმარილოს, ბრინჯაოს, ალებასტრის ქანდაკებებს, პერისტილში რომ იდგა ღია ცის ქვეშ და კარიბჭის საჩეხში. ღია იისფერი და ყირმიზი ყვავილებით დახუნძლულ მქერის ბუჩქებში თეთრი ფარშავანგები დასეირნობდნენ, მარაოსავით გაშლილ ბოლოებზედ ყოველ ფრთას მომწვანო თვალი უმშვენებდა. პატარა თავებზედ კი გვირგვინები ადგათ. სოკრატე თვალს არ აცილებდა კეთილშობილ გვირგვინოსან ფრთოსანთ. ისინი დროდადრო უამური ხმით ყიოდნენ და ჭაბუკს ხელს უშლიდნენ, რომ სრულად მოესმინა, ვისი აღელვებული ხმა რას ამბობდა იმ სამყოფელში, სადაც ათენის მომავალი გვირგვინის ბედი წყდებოდა.

ანაქსაგორას ხმას რომ გაარჩევდა ხოლმე, სოკრატეს უხაროდა: მასწავლებლის იქ ყოფნა თითქოს უსუსტებდა იმ უხერხულობის გრძნობას, ის მთლად რომ მოეცვა. ანაქსაგორას მუდამ მშვიდ ხმასთან შედარებით დანარჩენთა მეტყველება ბევრად უფრო აღელვებული ჩანდა.

სოკრატესთვის ნაცნობი იყო ფიდიას ხმაც. ხშირად ესმოდა მისი ბრძანებები და ახსნა-განმარტებანი, როდესაც აკროპოლისზედ მამასთან ერთად მუშაობდა. ფიდიას ხმა მკვეთრად და მკაფიოდ ჟღერდა ხოლმე თვით ჩაქუჩისა თუ კვერის ცემა-კაკუნში, ბორბლებისა და ოწინართა ჭრიალში, ლანძღვასა და გინებაში, ყველა ენაზედ რომ გაისმოდა... ამ ხმაში თითქმის ყოველთვის იგრძნობა მბრძანებლურობა და გატაცება. ფიდიას ხმა მუდამ ამ ორ ტონალობას შორის მონაცვლეობს, მხოლოდ ძალა ეცვლება.

სოფოკლეს ხმა სოკრატეს პირველად ესმოდა. ხმის მიხედვით არ ჩანდა, რომ ეს კაცი თავზარსა სცემდა თეატრში თავმოყრილ ხალხს; მაგრამ სოფოკლეს თვით ჩვეულებრივ საუბარშიც წამდაუწუმ ისმოდა სალექსო ზომა.

პერიკლეს ლაპარაკის აზრს რომ ჩასწვდა, სოკრატეს გააჟრჟოლა. მიხვდა, რა საოცარი დამატყვევებელი ძალაც ჰქონდა ამ ბუნებით ორატორი კაცის ხმას. ალკმეონიდთა მოდგმისაა... რომლის ძირი შორეულ წარსულში იკარგება. დიდება და წყევლა-კრულვა დღემდის თან ახლავს ამ მოდგმას. პერიკლეს ხმაში სოკრატემ ფიდიას პართენონითა და ათენათი აღტაცება შეიცნო, — აღტაცება, რაც უფრო მეტად უსვამდა ხაზს თავის უკიდურეს შიშს: პერიკლე თავისი განსჯით ხომ თვითონვე უგდებდა თავის თავს მოსისხლე მტრის ხელში!

და სოკრატეს გული შეეკუმშა, ტკივილნარევი წამოძახილი რომ შეესმა: „არა, არა, ფიდია. მაგ შეცდომას ვერ ჩამადენინებ!"

დროდადრო ასპასიას ლბილი და თბილი ხმაც გაისმის. მიყურადება ნამ-

დვილად მკრეხელობაა, მაგრამ რა ქნას, აბა როგორ არ მიუგდოს ყური? მერე იქნებ თვალებში ვეღარც შეხედოს...

და სოკრატე თავიდა უნებურად სმენად იქცევა. ლაპარაკობს პერიკლე. ხმადაბლა ლაპარაკობს. სოკრატეს სიტყვები ვერ გაურჩევია. ცუდად ისმის, მაგრამ აი პერიკლემ ხმას აუწია, ღრმა შინაგანი მღელვარებით ლაპარაკობს:

— ვიპარავ თუ რა? ასე უკუღმართად ახსნა სად გაგონილა?! მთლმედ მთელ ათენს ვიწვევ! სიცოცხლის ბოლომდის ჩემთვის ერთ დრაქმასაც არ გამოვიტან მოკავშირეთა ხაზინიდან! საკუთარ ოჯახს ვავიწროებ, ვაწუწუნებ და ვაბუზღუნებ! ჩემი მნე ევანგელე თითოეულ ობოლოსს უთვლის... რატომ უთვლისო? — გიკვირთ ზოგჯერ. რატომ და, გეტყვით. იმიტომ რომ ხალხის მხარეზედ დავდექი. ღარიბი უმრავლესობა მდიდარ უმრავლესობას დავამჯობინე. ეს რა, იმად ვქენი, რომ უქონელთა ხარჯზედ გავმდიდრდე? თუ იმად, რომ ანგარებას ვეძებ ხალხის ძალაში, რამაც ათენს უდიდესი სიმტკიცე და სახელი უნდა მოუხვეჭოს? აბა რაღა ფასი მექნებოდა ყოველივე ამის შემდეგ? არა, ესეგვარ უბადრუკ და წვრილმან მიზანს ვერ დაისახავს პერიკლე. და ვინც ამას ამტკიცებს, ურცხვად ტყუის. დრაკონის კანონით უკეთუ ვაშლის ქურდობისთვის სიკვდილია დაწესებული, მაშ, აბა მე რაღა სასჯელის ღირსი ვიქნებოდი?

ისმენს სოკრატე პერიკლეს სულის მგზნებარე აღსარებას და პირველად რწმუნდება იმ ნათქვამის სიმართლეში, რასაც პერიკლეზედ ამბობენ: რაღა მეხი და რაღა მაგის ენაო.

— სიკვდილითაც ვერ გამოვისყიდიდი, ისეთი დიდი იქნებოდა ჩემი დანაშაული ათენელი ხალხის წინაშე, კანონს ვერ მოუგონებდნენ ჩემს საქციელს, რათა საკადრისად დავესაჯე! ხალხი ვითომ რა, უსულო, უთვალო და უგულო ბრბოა? არა და არა! ხალხი ერთ უზარმაზარ სახედველად ქცეული ათასოათასობით თვალია, დიონისეს თეატრში ერთ ვეება გულად ქცეული ათასობით გულია. ქეზმოდებული მდიდარი ვინმე უხმობს ლხინად რამოდენსამე თავის მეგობარს, ჯერეთ ჭამით დახეთქავს, ღვინით გამოაბრუებს. მერე გართობასაც მოუნდომებს. ოინბაზსა და ფლეიტისტს მიშველ მოცეკვავე ქალსაც მოაყოლებს, — და სტუმართ მეტი რა უნდათ, მეცხრე ცაზედ არიან. მაგრამ ხალხის უზარმაზარი სახედველისთვის, მისი ვეება გულისთვის ესეგვარი გართობა ცოტაა! ხალხს თეატრები სჭირდება, სადაც მრავალთუმრავლესნი დაეტევიან. ხალხის მოთხოვნები ათიათასჯერ აღემატება გულმოყირჭებულ მონადიმეთა მოთხოვნებს. ხალხს არა ჰყოფნის სცენაზედ ერთი მსახიობისა და ერთი მომღერლის გამოყვანა — ხალხს სურს, რომ მოიხილოს მომღერალთა მთელი გუნდნი, მოისმინოს საგუნდო დეკლამაცია, სიმღერა, იყოს ცეკვა, დიალოგი, დიდ იდეათა ჭიდილი... — აქ პერიკლემ თვალი შეავლო სოფოკლეს. — დიახ, ძვირფასო სოფოკლე, შენ ეს ყოველი კარგად უწყი. არ არის საკმარისი, რომ ხალხს ოდენ ლუტუნით ვულვიძებდეთ გრძნობას. ხალხს სურს, რომ თვითონაც წილი ედოს ბრმა ბედისწერის წინააღმდეგომ ადამიანის თავისუფალი ნების ბრძოლაში. ხალხს უნდა, რომ თვითონაც ვნებისა და სილამაზის ქარიშხალმა მოიცვას. აი რა ეჭირვება ხალხის უზარმაზარ სახედველსა და ვეება გულს! როგორც სისხლი, ცრემლი, სიკვდილი, სასჯელი თუ გამოხსნა, ისე ყოველივე ამის ბადალი სიცილი და სიხარული თან უნდა სდევდეს ხალხს. და კიდევ გმირთა ცხოვრებით არსებობა უნდა ხალხს! გმირთა თანა ტანჯვა და გმირთა თანა გამარჯვება. საკუთარი სახელმწიფოს სილამაზითა და

თავბრუდამხვევ აზრთა სიღრმით თავდავიწყება... ვინმე მარტოსულს კი არა, ოდენ ხალხის გამგებლობას შესწევს ძალა, რომ კმაყოფილი ჰყოს ყველაზედ უფრორე მომთხოვნი მაყურებელი — ხალხი, მისი ბუმბერაზული სახედველი და დიადი გული...

წყნარად უსმენდნენ პერიკლეს მეგობარნი. ფიდია უკიდურესად აღელვებულია. ხვდება, რომ პერიკლეს, რახან თეატრზედ ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს პართენონიც და მისი ათენაც. მაგრამ ანაქსაგორამ ღმერთების მიმართ თავისი ურწმუნოება გადასდო... ნუთუ უარყოფს ჩემს გეგმებს?!

სოკრატე მთელი გულისყურით უსმენს, პირიც კი დაუღია: მაინც რას მისცემს პერიკლე ხალხის უზარმაზარ სახედველსა და დიად გულს?

●

პერიკლეს მზერა იქვე არ ეშვებოდა სოფოკლეს:

— ათასობით მაყურებლისთვის განკუთვნილი თეატრი ათასთ სულისკვეთებას უძლიერებს, დარდს უფანტავს. სულისა და სიტყვის ძლიერებით თეატრი სულის დონეს უმაღლებს ათასთ. ბარბაროსთ სულ სხვარიგ აქვთ: მბრძანებელი ღმერთია. შორს იმის დაბლა კი ნახევარადამიანი და ნახევარცხოველი დგას. მაინც რატომ მდებენ ბრალს ჩემი ორგულნი დიდების მოყვარებაში? მაინც რატომ? არა, ჩემი დარდი იმათ სულაც არა აქვთ! ხალხისთვის იმათ იმის მიცემა არ უნდათ, რასაც ჩემი ხელით სახალხო ხელისუფლება აძლევს! სახალხო ხელისუფლებისთვის კი იმის მიცემა არ სურთ, რასაც ხალხი აძლევს! აი რა არის მიზეზი. და ამაში მტკიცედ ვარ დარწმუნებული.

პერიკლემ მზერა ანაქსაგორაზედ გადაიტანა:

— სირცხვილი მწვავს წუთიერი სისუსტისა გამო. სულ ამ წუთიერი სისუსტის ბრალია, რომ ჩემს მახსოვრობაში ერთად ამოტივტივდა ავი ბედისწერაც და უძველესი წყევლა-კრულვაც. — ახლა ფერწასულ, თრთოლვაშემდგარ ფიდიას გადახედა. — პართენონის სიდიადემ და სილამაზემ დაიპყრო ჩემი გული, შენმა ათენამ დაიპყრო, ფიდია! აწ ათენი მთელ ხალხს ეკუთვნის, ამიტომაც ხალხს უნდა ეკუთვნოდეს მისი სამეფო გვირგვინი პართენონი და ათენას მთელი ღვთაებრივი სიდიადე. შენ დიდი მხატვარი ხარ, ფიდია, დიდი მოქანდაკე, ხუროთმოძღვარი, მატერიისა და სივრცის მბრძანებელი. მინასა და ტალანტს იმოდენს მოგიზომებ, რაოდენიც დაგჭირდება. მოგიზომებ და წინასწარ ვიცი: ეკლესია დიდის ხალისით მოიწონებს მთელს ხარჯებს. ეკლესია გულით იგრძნობს, რომ სილამაზე ალამაღლებს ადამიანს; იმისთვის, რომ ადამიანისშვილს თვალი მოსჭრას, სილამაზე თვალისმომჭრელი უნდა იყოს, ადამიანი უცხო სილამაზის სამყაროში უნდა ცხოვრობდეს...

სუნთქვაშეკრული უსმენდა სოკრატე პერიკლეს ამ ალსარებას. ადამიანს გარემომცველი სილამაზის მთელი სამყარო უნდა აღამაღლებდესო...

— რითაც ჩვენი ქალაქის განდიდება გვინდა, ყველაფერი ერთი სულისკვეთებით უნდა შესრულდეს. დიდხანს ვიფიქრე — და სხვა არცერთ მეგულება ამ საქმის შენზედ უკეთ აღმსრულებელი, ფიდია.

— მეშინოდა, რომ ჩემს სახელს ახსენებდი, ძვირფასო პერიკლე, და თანაც მსურდა, რომ გეხსენებინე.

პერიკლე მივიდა ფიდიასთან და მაგრად ჩაიკრა გულში.

— ჰერსა ვკრათ ქუდი! — წარმოთქვა სოფოკლემ. — მშვენიერი დღე გაგვითენდა.

— შენ რაღას სდუმხარ, ანაქსაგორა? — დაეკითხა ასპასია.

—მე ველოდი, მშვენიერო, მაგ კითხვას: ვინც გვასწავლი, ღმერთები არ არსებობენო, რატომ არაფერს ამბობ ტაძრისა და ქანდაკების წინააღმდეგ?

— რა, არ გვეთანხმები?

— სავსებით გეთანხმებით. მე წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ადამიანი თავს იმძიმებდეს თავისივე მოგონილი ღმერთების რწმენით. მაგრამ აბა წინ როგორ აღუდგები იმას, რომ ესა თუ ის უძველესი იგავი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნის საბაბი გახდეს? თანაც ისეთი ბრწყინვალე ქმნილებებისა, როგორიც პართენონი და ფიდიას ათენა იქნება? მარადიული სიჭაბუკის ნიღბით სახედამშვენებული ძველი ღმერთები ხომ ისევე არიან ამოზრდილნი ელადის მიწიდან, როგორაც ლელვი და ზეთისხილი იზრდება.

— ჩინებულია, ძვირფასო ანაქსაგორა, — სიტყვა ჩამოართვა სოფოკლემ. — ჩვენი ცხოვრება ერთიანად გაჟღენთილია მითებით, რომელ მითებშიაც უძველესი ფესვებია ჩვენთა ჰომეროსთა და ჰესიოდეთა ფანტაზიისა და ჩვენც, მთხზველნი ტრაგედიათა, იმავ წყაროს ვართ დაწაფებულნი.

თითოეული სიტყვა ეყურებოდა ახლა სოკრატეს, და წამერთ ანაქსაგორას ნათქვამი წამოაგონდა: ხელოვანს, თუნდაც უწყოდეს, რომ მზე ოდენ გავარვარებული ქვაა, მაინც უფლება აქვს, რომ ცარგვლის სარბიელზედ ის ოქროს ეტლით მქროლავ ჰელიოსად წარმოიდგინოს. დიაღაც, ადამიანის ქმნილებაა ღმერთი, და მხატვრის ფანტაზია ღმერთთ ხელოვნების ქმნილებად აქცევს...

მონა ზედიზედ ანთებდა ზეთის ბაზმებს, და ამისდა კვალობაზედ თანდათან აჩნდა სიბნელეში ვახშმისთვის განკუთვნილი სამყოფელი. სოკრატე თვალის გასწორებას ვერ უბედავდა იმათ, ვისაც ამდენ ხანს, თავისდაუნებურად, იმათგან შეუმჩნეველი, უგდებდა ყურს. ყველაზედ მეტად პერიკლეს შეხედვა უჭირდა, რომლის ალსარება და აღიარებაც ის-ის იყო ისმინა. და თავისი მზერისთვის თავშესაფარს სოკრატე ანაქსაგორასთან ეძებდა. სიმორცხვის გაფანტვას ცდილობდა.

ანაქსაგორამ გაუღიმა:

— მე და სოკრატე ძველი მეგობრები ვართ. დილაობით ილისოსის გაყოლებით ვსეირნობთ, ამის პერკონს ვაძოვებთ ხოლმე. რაკი იმ დროს კიდევაც ვფილოსოფოსობთ, ზოგჯერ სახედარი გვავიწყდება და შინ უიმისოდ ვბრუნდებით, ხომ მართალია?

ასპასიამ და სოფოკლემ გაიცინეს. სოკრატე გაწითლდა.

— შემდეგ კი ეს, — ანაქსაგორამ სოკრატეს მხარეს გაიქნია თავი, — თავქუდმოგლეჯილი გარბის სახედრის საძებნელად, და მე მარტოხელას მიხდება გზის გაგრძელება...

ასპასია ჯერეთ კიდევ იცინოდა, თან სიტყვა გამოაგო:

— ყოველ შემთხვევაში, სოკრატე, როგორც ჩანს, ზოგჯერ ამხიარულებ ხოლმე ჩვენს მუდამ დარბაისელ ბრძენკაცს. ამის სიახლოვეს ყოფნა შენთვისაც უთუოდ სასიამოვნოა...

— თუ შენც გიყვარს სიამოვნება და ტკბობა, — დასძინა სოფოკლემ.

— მიყვარს, — თამამად გამოეხმაურა სოკრატე. — დღევანდელი საღამო კი ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა, როგორიც ოდესმე განმიცდია...

— ხომ არ აზვიადებ, ჭაბუკო? — გაეცინა ასპასიას.

პასუხი ანაქსაგორამ გასცა:

— სოკრატე ყოველთვის და ყველაფერს აზვიადებს. მე სულ იმის შეხსენებაში ვარ, უცილობლად ზომიერი იყავი-მეთქი... დღეს კი დარწმუნებული ვარ, არ აზვიადებს.

სოკრატე პირველად ხედავდა ასპასიას. ხედავდა იმის ღრმა, მოლურჯ თვალებს, რომლებშიც ლომის ტყავივით ყვითელი შუქი უციმციმებდა. მაგრამ ვერ ხედავდა იმ თვალთა სიღრმეში თავისი გამომცდელი გონებით ჩახედვას.

ქალს ჭიაფერით შეღებილი, იშვიათი სილამაზის ბაგეები გაეპო, გაიელვეს ალებასტრის კბილებმა:

— გაზვიადება ახალგაზრდობის თვისებაა... ასევე ხელოვნებისა. საჭიროა ზომიერება თვით ზომიერების მოთხოვნაშიაც.

ასპასია ჯერ ანაქსაგორას ელაპარაკებოდა. შემდეგ თავი ისევ სოკრატესკენ მიაბრუნა. ამ მოძრაობის დროს ოქროს დიადემაში პაწაწინა ლალის თვლებმა გაიელვა, ზაფრანისფერი პეპლოსის და ოქროს აბზინდით მხარზედ შეკრული მოსასხამის რბილი ნაკეცები შეერხა. თხელი ქსოვილი კიდევ უფრო აჩენდა მისი სხეულის სრულყოფილებას. მართლაც მშვენიერი, ალერსიანი, ბრძენი მანდილოსანი იყო. განა გასაკვირია, რომ თავის დროზედ მან თვალი მოსტაცა სპარსეთის შაჰს? განა გასაკვირია, რომ თვალი მოსჭრა პერიკლესაც?

რაღაც ზრიალი მოისმა, რასაც ნამსხვრევების წკრიალი მოჰყვა. ასპასიამ მხევალს ახედა. მხევალი გაიქცა, და უმალ გამოჩნდა სახლთუხუცესი ევანგელე და ქალბატონს მოახსენა, მონაქალს ფაიას ლარნაკი დაუვარდა, რომელზედაც ცისარტყელას ქალღმერთი ირიდა იყო გამოსახულიო.

— ჩემი ულამაზესი ლარნაკი... — შეწუხდა ასპასია.

—უჰ, სწორედ ის ლარნაკი, ბრწყინვალე ირიდა რომ ამშვენებდა. — ამოიოხრა ფიდიამ. — დიდი დანაკარგია!

— დაუდევრობაც არის და დაუკევრობაც. პირდაპირ დანაშაულია. ფაია სასტიკი სასჯელის ღირსია, — განაცხადა ევანგელემ.

სოკრატე ასპასიას უთვალთვალებდა. ქალს სახეზედ ნათელი მოეფინა.

— ფაიას ჩემი თმის დავარცხნა უყვარს, — ასპასიამ სახლთუხუცესს შეხედა. — მთელი თვე ველარ დამვარცხნის.

ევანგელე გავიდა.

— და ეს საკმარისი სასჯელია? — ჰკითხა ფიდიამ.

კედელს იქით ქალი ატირდა.

— ძალიანაც მკაცრი სასჯელია, — შეედავა სოფოკლე. — ასპასიას რომ აეკრძალა ჩემთვის ამ ჭერქვეშ ვახშმად სიარული, მეც ისევე სასოწარკვეთილებაში ჩავვარდებოდი, როგორც ის მონა ქალი.

სოკრატე ასპასიას მონუსხულივით უყურებდა. ქალმა გაუღიმა და ფიდიას მიუბრუნდა:

— შენ სოკრატეს სილენეს აქებდი, ფიდია. გვითხარ, რა სამუშაოს გაიმეტებდი სოკრატესთვის?

ფიდია დაფიქრდა. თავის წარმოდგენაში უკვე დაანაწილა პართენონის სამუშაოები. სოკრატეს ჯერჯერობით გამოცდილ მოქანდაკეს დაუყენებს შეგირდად, თვითონვე მიადევნებს თვალს, რა ფხას გამოიჩენს ჭაბუკი, და მერმე? თუკი იმედებს გაამართლებს, მიანდო ვითომ დამოუკიდებელი საქმე? პართენონის აღმართვის შემდეგ პერიკლე ახალი პროპილეების დაწყებას ფიქრობს... ფიდია სოკრატეს მიუბრუნდა:

— პირველად წვრილმან დამხმარე სამუშაოებს შემისრულებ, მოგვიანებით, მოსაწონ ესკიზებს თუ მოიტან, დიდ საქმეს მოგანდობ.

— მართალი ხარ, ფიდია. — შენიშნა პერიკლემ. — ახალგაზრდებს დიდი სამუშაოც უნდა მივცეთ, დაე შეამოწმონ თავიანთი უნარი და ძალა. ჰა, რას იტყვი, სოკრატე, ხომ არ შეგეშინდება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოკრატემ მორიდებით მიუგო:

— საქრეთელი ხელთ ექვსი წლისამ ავიღე. დიდ სამუშაოზედ სულაც არ ვიტყოდი უარს.

— კარგი, — უთხრა ფიდიამ. — ახალი პროპილეების ზემოთ, ფრიზისთვის, გამოძერწავ სამ ერინიას: ალექტოს, ტისიფონეს და მეგერას.

ასპასიამ თვალებით შიში გამოხატა.

— ერინიებს?! — შესძახა სოკრატემ. — მაპატიე... მაგრამ არ შემიძლია. ძალიანაც მინდა, ოღონდ...

— სოკრატე! — უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა ანაქსაგორამ. — შენ რა, ფიდიასთვის უარის თქმას ბედავ?!

სოკრატე გაჯიუტდა.

— ერინიები, სამი დედაბერი, ძონძებს რომ დააფრიალებენ... ძერებივით ფრთები და ბრჭყალები ასხიათ... თმის ნაცვლად გველების გორგალი ადევთ, თვალებში სისხლი უდგათ... არა, არ შემიძლია, მაპატიე, დიდო ფიდია, არ შემიძლია და რა ვქნა.

ფიდიას ეწყინა; აენთო:

— გაუგონარია! მე ისეთი სამუშაო შეგირჩიე, რაც შენს ფანტაზიას თავისუფლებას მისცემდა, უნარს გამოაჩენდი... უბრალოდ სითამამე არა გყოფნის. მხატვარი არა ყოფილხარ!

პერიკლემ ღვინოში ჩამბალი ნიგვზიანი ნამცხვარი გვერდზედ მისწია.

— დაიცა, ფიდია, — უთხრა. — მე კი სწორედ ახლა მომეწონა სოკრატე. ამის ადგილას ყოველი, თუმცაღა კი გამოცდილი მხატვარი, მიწამდე თავს დაგიკრავდა მაგ წინადადებისთვის. მოიღუშე, ფიდია, მოიღუშე! მაგრამ ვერ დამაჯერებ, რომ მხატვრის სითამამეს მოკლებული იყოს ის კაცი, ვისაც ვაჟკაცობა ეყო და პირში გითხრა უარი შენს წინადადებაზედ.

ფიდია თავისას არა თმობდა.

— ეს პირტიტველა ჭაბუკი არა მარტო მე, არამედ შენც ჩაგიდგა ჭიბრში, ძვირფასო პერიკლე. შენ ხომ თავად ისურვე სამივე ერინიის პროპილეების თავზედ დადგმა, რათა სისხლიანი დანაშაული არცვისთვის არ ჩაედენინებინათ, ვინც იმათ ქვეშ გაივლიდა.

— კი, — წარმოთქვა პერიკლემ, ის ალკმეონიდთა ბედისწერაზედ ფიქრობდა, რაც ისევ ძველებურად აძრწუნებდა. — კი, მე მწადს, რომ არცვინ არღვევდეს ფიცს, არცვინ ბილწავდეს ძველ ჩვეულებებს... — მან სოკრატეს გადახედა. — მაინც რატომ არ გინდა, სოკრატე, რომ ერინიებს მოჰკიდო ხელი?

მხარდაჭერის ძებნაში სოკრატემ ანაქსაგორას გადახედა.

— ერინიები მარტო იმათ როდი უკარგავენ მოსვენებას, ვინც სისხლიან ბოროტმოქმედებას სჩადის და კანონს არღვევს. ისინი უდანაშაულო ადამიანთაც სჯიან მხოლოდ იმისთვის, რომ იმ უბედურთ ძარღვებში თითქოსდა დაწყევლილი სისხლი უჩქეფდეთ. მერე და, რა არის დაწყევლილი სისხლი? შენ, ძვირფასო ანაქსაგორა, სხვა რამეს მასწავლიდი. შენგან ვიცი, რომ ადამიანი

თვითონვე უმზადებს თავის თავს კეთილ ან ბოროტ ბედს და არ უნდა აგებდეს პასუხს თავის წინაპართა შეცდომებისთვის. ბრმარწმენაზედ მაღლა შენ გონება დააყენე.

ასპასიას სახე გაებადრა:

— შენ ღირსეული მასწავლებლის კარგი მოწაფე ხარ, — [illegible] ახლა რაღას იტყვი, ძვირფასო ფიდია?

— ეს პერიკლეს სურვილი იყო. მანვე გასცეს პასუხი. — თავი მოარიდა კამათის გაგრძელებას ფიდიამ..

პერიკლე ფიქრიან დუმილს მიეცა.

მხევალმა სუფრიდან აალაგა შემწვარი ცხვრის ნარჩენები, ღვიძლით გამოტენილი შაშვები, თაფლის კვერები. შემდეგ ყველას სპილენძის პატარა ტაშტი ჩამოუტარა — ხელების გადასაბანად.

მეორე მხევალმა მსხლითა და მსხვილმარცვლიანი შავი ყურძნით სავსე პატარ-პატარა მაგიდები დაუდგა სტუმრებს. მესამემ ვარდებჩადგმული ლარნაკები შემოიტანა. სამყოფელში იშვიათი სურნელება დატრიალდა.

სოკრატე ცდილობდა, რომ გაექარწყლებინა არასასიამოვნო შთაბეჭდილება, რაც მან მოახდინა, მაგრამ გაქარწყლების მაგიერ კიდევ უფრო გააუარესა. ჭაბუკის აზრი ერთთავად პერიკლეს აზრს უპირისპირდებოდა.

— არ მიყვარან ერინიები. მეზიზღება, იმათი უმართებულო დაუზავებლობა. აბა, რა ღირსნი არიან, რომ იმათ დაამშვენებდნენ ათენის უდიდესი სიამაყისა და მშვენიერების შესასვლელი?

ასპასიამ შენიშნა — სახეზედ ყველას ღრუბელი ჩამოაწვა. ხელში ვარდის კოკორს ატრიალებდა, ყნოსავდა, სოკრატეს უღიმოდა.

— შენ რას შემოგვთავაზებდი პროპილეების ფრიზის სამკაულად, ძვირფასო სოკრატე?

მოღიმარ ასპასიას დაუფიქრებლად მიუგო:

— სამ ქარიტას.

— უჰ, მართლა! კეთილმოსურნე ქარიტები და არა შურისმაძიებელი ურჩხულები! ნამდვილად მშვენიერი იქნებოდა! — შესძახა ასპასიამ. — ყოველ მომსვლელს მიემშვიდობებოდნენ მშვენიერებისა და ბედნიერების ქალღმერთნი — ევფროსინე, გაფურჩქნილი თალია, შუქმფინარი აგლაია... პერიკლე, საყვარელო, არ გამოიცვლი სურვილს?

პერიკლე დუმდა, ღრმად ჩაფიქრებული იყო.

— დამატება შეიძლება? — წყნარად იკითხა სოკრატემ.

— ცოტა თქვი თუ? — გაბრაზდა ანაქსაგორა.

— არა, ძვირფასო ანაქსაგორა, — გამოერკვა ფიქრში წასული პერიკლე. — მივცეთ ნება სოკრატეს, თქვას ყველაფერი, თქვას. მომწონს ამისი პირდაპირობა.

და სოკრატემ გაბედულად დაასრულა თავისი გამოსვლა ერინიების, ფიდიას და პერიკლეს წინააღმდეგ:

— ცაზედ მზე ჩახჩახებს, და მზის შესახვედრად აციმციმდება აკროპოლისის ოქროსა და მარმარილოს მშვენიერება. ეს მიწიერი და ციური ციალი ჰარმონიულ კავშირშია სიცოცხლის ნათელთან. ათენისთვის გთავაზობთ არა სისხლიან წარსულს, არამედ ნათელ და ბედნიერ მომავალს: დაე, პროპილეების თავზედ ცეკვავდნენ ქარიტები, ხელიხელჩაკიდებულნი ნიშნად იმისა,

რომ სიკეთე, შეუქმფინარი მშვენიერება და ქალაქის აყვავება განუყრელად შეერთებულა!

პერიკლემ ასპასიას ვარდიანი ხელი ახლოს მიიტანა, ვარდს დაჰყნოსა. მერე ღრმად ამოისუნთქა, ასპასიას შიშველ მხარს ემბორა.

— ძვირფასო ფიდია, ანდობ სოკრატეს სამ ქარიტას? — დაეკითხა დიდოსტატს.

— თუ შენც თანახმა ხარ — სიამოვნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამშვიდობებისას ასპასიამ სოკრატეს უთხრა:

— მოხარული ვარ, ყმაწვილო, რომ ამიერიდან ჩვენი სახლის ხშირი სტუმარი იქნები.

— მე მალე თვრამეტისა უნდა გავხდე. სამხედრო სამსახური მიწევს. — შეეპასუხა სოკრატე.

— სამწუხაროა. — მიუგო ასპასიამ. — მაშ აბა ორი წლის შემდეგ იყოს.

— დიახ. — სწრაფად დაუდასტურა პერიკლემ. — ორი წლის შემდეგ შენი პირველი გზა აქეთ დაგექნას, ჩვენკენ.

— ქარიტების ესკიზის დაწყება კი ახლავ შეგიძლია, თავისუფალ დროს, — უთხრა ფიდიამ და დაემშვიდობა.

მან კარგა ღონივრად დაჰკრა ჭაბუკს მხარზედ ხელი, როგორაც სოფრონისკე უშვრებოდა ხოლმე, და უკმეხი გულითადობით დასძინა:

— კადნიერი კი ხარ, ლაწირაკო, მაგრამ, რას იზამ, თავში ცოტა რაღაცრაღაცები გიყრია...

კარისმცველმა სოკრატეს ანთებული მაშხალა მიაწოდა:

— ჰაირე!

სოკრატე მხნედ გავიდა გარეთ, ქუჩაში, მაგრამ იქავ შედგა. არა, მაინც რა მოსდის? ნუთუ თავბრუ ეხვევა? ვითომ რისგან? იქნებ ღვინისგან? არა. სისულელეა... სულ ქარიტებმა უქნეს! იმ თავისმა ქარიტებმა!

ფეხთ სანდლები გაიხადა, სარტყელზედ ჩამოიბა და შინ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. თავბრუ ეხვევა — და, ჯანდაბას, დაეხვეს! იბრუალე, იბრუალე, საბრუალო კი გაქვს, სოკრატეს თავო!

მაშხალის ალი, სირბილში უკან გადმოზნექილი, ბრტყლად ირთხმოდა. სოკრატეს ეჩვენებოდა, რომ მთელი ქუჩა ტრიალებდა, რაც მოეწონა კიდეც. ძალიანაც კარგი! ყოველივე პერიკლეს ირგვლივ ტრიალებს... სოკრატეს ქარიტების ირგვლივ... მარადის იგოგმანებს პროპილეების თავზედ სამი მზეთუნახავი, მარადის ახედავს ხალხი იმ სამ მშვენიერ ასულს, და ყოველი იტყვის: ეს სოკრატეა!

მაგრამ მამა? მამა რას იტყვის? რაია და, აი, შე ჩერჩეტო შენა, აბა ეგ რამ გაფიქრებინაო? მოცეკვავე ფიგურები სად გაგონილაო? ნეტავი შენთვის საცეკვაოდ ვისა სცხელაო?

სოკრატემ წარმოიდგინა, რომ გვერდით სოფრონისკე მისდევდა.

— სულაც არ არის ძნელი, მამაჩემო! აი ნახე, ეხლავ გიჩვენებ ამ ცეკვას!

მან მაშხალა მიწაში ჩაასო და როკვას მოჰყვა აღილინებული. მოეჩვენა, რომ მამის ხმა მკაფიოდ ესმოდა: „გეყოფა, ჩერჩეტო! აბა ეგ ჩალფაჩუნა რა ქარიტაა! რაღა ეგა და რაღა თხა ანდა ჭრიჭინა!"

— მეც ავდგები და კორინას დავუძახებ! — შესძახა სოკრატემ. — პეპლოსს გავხდი, ჩემი გულისთვის სიამოვნებით იცეკვებს...

„აი, შე სალახანავ, შენა, — გაუბრაზდა გონების თვალით წარმოდგენილი

სოფრონისკე, — ათენის სამკაულად კი არა. სულ იმ მეწულის გოგოს გულისთვის მოიგონე ეს ქარიტები, რა არი მიწყივ ხელთა გყავდეს და გაჩადო ხოლმე...“

— ჰერასა ვფიცავ, არა! მე ქალაქზედ ვფიქრობდი და მხოლოდ შენმა შენიშვნამ გამახსენა კორინა — ცეკვის ჟამს დიდებული რამ იქნება.

და სოკრატემ თავისი წკრიალა ხმით სიმღერა შემოსძახა, [illegible]რივით მაშხალის გარშემო ხტოდა: ვითომ ევფროსინე იყო, და ის ცეკვავდა.

კუთხიდან ორი სკვითი გამოვიდა — ათენში სიმშვიდისა და წესრიგის მცველნი.

— აქ რა ხდება?! — იქუხა ერთმა.

— რა ხდება და, ევფროსინე ვარ- კარგი გუნება-განწყობილების ქალღმერთი.., და აი, როგორც ხედავ, ვცეკვავ...

მეორე გუშაგმა მაშხალის შუქზედ იცნო:

— უყურე ერთი! ეს ხომ სოკრატეა! აქ საიდან გაჩნდი?

— შინ მივდივარ. პერიკლესთან ვიყავი ვახშმად.

— მართალი ხარ, ღვინო მარტო გეტყობა კი არა, ჩანს კიდეც! — გაიცინა სკვითმა.

სოკრატემ მაშხალა მიწიდან ამოაძრო და სკვითს ხელში მიაჩეჩა:

— აჰა, შუქი მიჩუქებია, ვაჟებო! აქედან ბნელშიაც გავიგნებ გზას.

თქვა და, თითქოს გასწრებაზეაო, ისე გაიქრა, რათა დედ-მამისთვის დიდად სასიხარულო ახალი ამბავი ეცნობებინა; ოღონდ ამ ჩინებულ საქმეში კორინას მომავალ მონაწილეობაზედ ჯერჯერობით დუმილი გადაწყვიტა.

მალე თავიანთ ეზოშიც შევარდა და მშობლიური სახლის ათასნაირი სუნიეცა: ლავანდის, სალბისა და თხის რძის სუნი.

9

სოკრატე ფეხშიშველა მიაბიჯებს ორთვალას გვერდით, რომელსაც პერკონი ეწევა ქვიან, ოღროჩოღრო გზაზედ. ორთვალაში კორინა ზის, სარტყელშემორტყმული თეთრი პეპლოსი აცვია. ეტლს უკან სოკრატეს ამხანაგები მოჰყვებიან, ამ ერთი დღით ყველა სხვა საქმიდან დაუხსნიათ თავი. დილაადრიან გამოვიდნენ და ილისოსს აუყვნენ ზემოთ, აგროსისკენ. სულ აღმართაღმართ მიდიან — ჰიმეტოსის მთის საკმაოდ მაღალი ქედები გამოუშვერია ამ ადგილებამდე. ქარვისფერი დილაა. ჰაერში ფუტკრის ნაყარი ირევა, თაფლის სურნელება დგას. ეს ფუტკრის ქვეყანა თაფლით განთქმულია ელადის საზღვრებს იქითაც კი.

ჰუდი — პატარა სოფელია ჰიმეტოსის დასავლეთ კალთაზედ, ათენის მახლობლად. იქ წინაპართ სოფრონისკეს მემკვიდრეობად ერთი ნამცეცი მიწა დაუტოვეს თავის ვენახიანად — ხუთასამდე ძირი ვაზი, ორმოცი ზეთისხილი და რამდენიმე ლეღვის ხე.

ლაშქრობის მიზანი ზეთისხილის რთველია. დამხმარენიც თავიანთ წილს მიიღებენ, ხოლო მარილიანი ზეთისხილი რომ იშვიათი საჭმელია, ამისი მტკიცება არავის სჭირდება.

სოკრატე მხნედ მიაბიჯებს, ჩოჩორიც არხეინად მიაბაკუნებს ფეხებს. რახრახით მიდის ორთვალა ქვებზედ. და კიდევ უფრო მეტი ხმაურის ასატეხად სოკრატემ მთელი ხმით დააგუგუნა სახელდახელოდ შეთხზული სიმღერა, სოფელ ჰუდის სადიდებელი:

ჰოი, პუდო, ქებულო სოფელო,
საარაკო არკადიას ვადარებ!
ჰოი, პუდო, გაწოლილხარ
სათიბების უნაზეს მკლავებში,
ზეთისხილის წრეში!
რანაირი აღარ დამილევია
შენი წყარო ანკარა
ორივე პეშვით — ფიალით,
მუდამ თან რომ ვატარებ...

სიმონი, კრიტონი, პისტიოსი და კირებოსი ნაბიჯს სოკრატეს პვანის ტაქტს აყოლებენ.

თაფლის სურნელებით გაჟღენთილ სოფრონისკეს ბაღში ჭიშკრიდან შევიდნენ პუდის განაპირას.

ბაღის ზემო ნაწილში მეზობლის ბაღ-ვენახია. იმ მეზობლის შვილი გლავკე სოკრატეს კბილაა. ჭიშკართანვე ქოხი იდგა, იქ ბიჭებმა თითო-თითო ხალხა აიღეს ზეთისხილის ჩამოსაბერტყად და თითო-თითოც კალათი. ახლა ისინი ჰოპლიტებს დაემსგავსნენ, შუბებითა და ფარებით შეიარაღებულ მეომრებს. გლავკე გახარებული ეგებება:

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

ერთიმეორეს ეხვევიან, ძირს კოტრიალობენ, ძიძგილაობენ, ბღლარძუნობენ. ჭიდილში ერევა ბებერი ქოფაკიც, რბილი დრუნჩით ეხება ორივეს, ალერსით კბენს და ელრინება გლავკესა და სოკრატეს.

ბოლოს, სიცილითა და ხვნეშით რომ წამოდგნენ, სოკრატემ თავისი რაზმი წარუდგინა მეგობარს.

— ჩემო ძვირფასო გლავკე, ახლა შენ გაიცნობ გმირებს ტროას ომისას, რომელი ომიც აქა მზადდება. აი ეს, — კრიტონზედ მიუთითა — აგამემნონია, მიკენის მეფე და ტროაზედ მოლაშქრე აქაველთა უმაღლესი ბელადი. რაღა თქმა უნდა, იცნობ. ეს კი, — პისტიოსზედ უთხრა, — ამისი ძმაა, სპარტის მეფე მენელაოსი. ასე გამხდარი იმიტომ არის, რომ სპარტაში საუზმედ, სადილად და ვახშმად ოდენ ძმრიან შეჭამანდს მიირთმევენ. წამხდარმა პარისმა ტროის მეფის პრიამოსის ვაჟმა, ცოლი წაჰგვარა, მშვენიერი ელენე. გამტაცებელს რომ არცთუ ძალიან გაუძალიანდა ხსენებული ელენე, სულ იმ ძმრიანი შეჭამანდის ბრალია — პირის სიმყრალე იცის, ელენე კი აზიზად გაზრდილი ქალი იყო. შემდეგ მომისმინე, ძვირფასო გლავკე! აი ეს კაცი (ხაბაზი კირებოსი) — ჩინებული გმირი აქილევსია, რომელმაც თავი ისახელა არა მარტო თავისი განთქმული ქუსლით, არამედ გაუგონარი სიმამაცითა და სისხლის მწყურვალებით. აქ, — და სიმონი წინ გამოაგდო, — აქილევსის მეგობარს პატროკლეს ხედავ, სასტიკად მოკლულს და სასტიკადვე შურძიებულს. ხოლო ეს მშვენიერი ქალიშვილი მშვენიერი ელენე არ გეგონოს, რომლის გულისთვისაც ატყდა ძმათა სისხლისმღვრელი ტროის ომი. შეხე, გლავკე, რა კარგი რამ არის, რომელი გვერდიდანაც გინდა — შეათვალიერე! სწორედ ის აფროდიტეა, პარისისგან განხეთქილების ოქროს ვაშლი რომ ირგუნა. მთელი ეს ხანძარი გააჩაღა და ახლა ჩვენთან ერთად ჩქარობს იმის ჩაქრობას. შენ წინაშე კი, — სოკრატემ ხელი მკერდზე დაირტყა, — დგას ყველაზედ მარჯვე მეომარი, ენამწარე, მაგრამ სამართლიანი, მახვილი სიტყვით ერთნაირად რომ ანანებს ქედმაღლობას მეფესაც და მეფარესაც. —

თვით თერსიტე, ვისაც სუყველას ეშინია! მაგრამ ჯერეთ ყველაფერი არ მითქვამს. ო, ჰუდის მპყრობელო ქალო, რამეთუ პირუტყვი ესე, — პერიკონის ლაგამს ჩაავლო ხელი, — უბრალო ვირი კი არ გახლავს, სახელგანთქმული ტროის ცხენია, რომლის გვამშიც... თუმცა თავადაც კარგად მოგეხსენება, რაც არის და რაც უნდა იყოს ამისთანა გვამში.

საერთო ხარხარში სოკრატემ ეპოდეწ მოულოდნელად [illegible] დაასრულა სიტყვა, ჩამოწყვიტა ზეთისხილი და გემრიელად დაუწყო ღეჭვა.

— ვხედავ ჩვენი მტრები, ეს ათასობით ზეთისხილი, სუყველა ძირს ზღართანს მოადენს. მოვუხმობ მთავარსარდალსა და უმაღლეს ბელადს, მეფე აგამემნონს, რომ საიერიშო ბრძანება გასცეს!

კრიტონმა მხიარულად ჩამოართვა სიტყვა:

— აქაველნო! მოსაგრენო! შეუტიეთ მტერსა და ყოველნი წარტყვევნეთ!

— შეჩერდით! — შესძახა გლავკემ. — ჯერეთ წაიხემსეთ. ამოდენა გზა გამოგივლიათ.

ქერის კვერები, სამი დოქი რძე მიირთვეს და მაშინვე წყვილ-წყვილად შეუტიეს „მტერს“: ერთნი არხევდნენ და ბერტყავდნენ, მეორენი აგროვებდნენ.

— ჯერეთ არა მსმენია და არცა კიდევ მინახავს, რომ აფროდიტე და ყბედი თერსიტე შეწყვილებულიყვნენ... რას იზამ! დღეს პირველად ვნახე ასეთი რამ, — იხუმრა კრიტონმა, როცა სოკრატე და კორინა საკმაოდ შორს განცალკევებით მდგარი მაღალი ხისკენ წავიდნენ.

სოკრატემ ქალიშვილი ბუმბულივით აიტაცა და ხეზედ შეასკუპა. კორინა ტოტზედ მოეწყო და დაიწყო ფეხების ქნევა, თან იცინოდა და ისეთი თეთრი კბილები უჩანდა, სიქათქათით პაროსის მარმარილოსაც დაჩრდილავდნენ. სოკრატემ ქალიშვილს სანდლები დახადა, ფეხების თითები დაუკოცნა. კორინას ელტინებოდა და ისე კისკისებდა, აწ ხმიანობით დაჯაბნილი ფრინველნი ერთბაშად დადუმდნენ ბაღში. სოკრატე სატრფოს ქუსლებს ეფერებოდა, ხელს უსვამდა — როგორც მოქანდაკე და როგორც მიჯნური.

— აი, ქუსლები მესმის! — თქვა ალტაცებულმა. — ზედგამოჭრილი წყვილი წაბლია...

— კოჭები რა, არაფერია? — ბავშვურად კეკლუცობდა კორინა.

— შენი კოჭები ისე ნაზია, როგორც ერთი ყვავილისთვის განკუთვნილი ლარნაკის ყელი, მერედა, იმ ადგილას რა ლამაზად მომრგვალებული ლარნაკი, — შეჰხაროდა სოკრატე და კოხტა წვივებზედ ეფერებოდა. — მუხლი პაწაწა გაქვს, ვაშლივით მრგვალი, ცოტა ზემოთ კი...

— სოკრატე! რამდენი კალათი აავსეთ უკვე? — ეშმაკურად გასძახა სიმონმა.

კორინამ ძმას ენა გამოუყო და უპასუხა:

— შენზედ ორჯერ მეტი! — მაგრამ მაშინვე მორცხვად გადახედა სოკრატეს. — დამნაშავე ვარ, გაცდენ...

— მომაცდინე, ძვირფასო, ნუ გეშინია: დავეწევით. ერთი კარგი ხერხი ვიცი კრეფის დასაჩქარებლად.

კალათი ხილით დახუნძლულ ტოტს ქვეშ შეუდგა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეარხია. ამის შემდეგ ხელით ჩამოსაყრელი სულ რამდენიმე ზეთისხილიღა შერჩა ტოტს; კალათა მალე აივსო.

მთელ ბაღში ხუმრობა, სიცილი, ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. ყველა-

ზედ უფრო ძნელი კენწეროების მიწვდენა იყო. კორინა — თვად შავგვრემანი ზეთისხილის ტოტი, ვინაიდან ბიჭებზედ თხელი და მსუბუქი იყო, სუყველაზედ მაღლა ადიოდა და მიუდგომელი ტოტებიც კი ჩამოზერტყა. სოკრატე გულდაგულ ადევნებდა თვალყურს იმის ყოველ მოძრაობას, ურცხვად შესცქეროდა ქვემიდან პეპლოსაფრიალებული ქალიშვილის ფეხებსა და მუცელს და, ამ გამოცხადებული სილამაზით თავბრუდახვეულს ზეთისხილი აღარც ახსოვდა.

კორინა — ბუნების სადა და წმინდა ქმნილებაა. ქალაქელი გოგონებივით ცრუ სიმორცხვე არა სჩვევია. იცის, რომ კარგი გოგოა. ხედავს, რარიგ ეტრფის სოკრატე.

— მოგწონვარ? — წყნარად ეკითხება ჭაბუკს.

— მოგწონვარო? აბა ეგ რა სიტყვაა.

— ჩემი გრძელი ფეხებიც მოგწონს?

— შენ ლამაზი გრძელი ფეხები გაქვს, თითქოსდა ცეკვისთვის შექმნილი...

— ცეკვა მიყვარს, ოღონდ, როცა არავინ მიყურებს.

— პირიქით, მაშინ უნდა იცეკვო, როცა გიყურებენ. სანანურია, ოდეს ფუჭად იკარგება თუნდაც ერთი სილამაზე... იცეკვებ?

— თუ გინდა, რატომაც არა! ძალიან მიხარია, რომ მოგწონვარ. სულ მთლიანად მოგწონვარ?

— სულ მთლიანად — რასაც გიყურებ.

— მაშ მიყურე, რაკი მოგწონვარ!

სოკრატემ ხმას დაუწია:

— საღამოს თავით ფეხთამდე დაგათვალიერებ, კარგი?

ქალიშვილი ვერ მიმხვდარიყო, რომ არა მარტო შეყვარებული, არამედ მოქანდაკეც ელაპარაკებოდა.

— როგორ თუ დამათვალიერებ? რატომ უნდა დამათვალიერო?

— რატომ და, წვლილად უნდა ვიცოდე, რაც მიყვარს.

— კარგი აბა! — თქვა კორინამ და კიდევ უფრო მაღლა აცოცდა.

სოკრატე თვალს არ აცილებდა, ვიდრე გოგო ქვედა ტოტზედ არ დაეშვა და პირდაპირ გულში არ ჩაეკრა, ბაგემ კი ბაგე მოძებნა.

გლავკეს დებმა ამასობაში ცხვრის ხორცი შეწვეს, თავიანთთვისაც და სტუმრებისთვისაც. ასე ოციოდე წლის კოხტა გოგოები იყვნენ. ვახშამი ლელეის ქვეშ გაშალეს. პირდაპირ მოლზედ დააფინეს ჰილოფი. ნიორგამჯდარი შებრაწული ხორცი ნაშრომთ გემრიელად მიირთვეს და ზედ სახარჯო ღვინოც დააყოლეს.

ნავახშმევს სოკრატემ ყველანი ვენახში წაიყვანა, რომლის შესასვლელთანაც კვარცხლბეკზედ ქვისგან გამოკვეთილი დიონისეს ქანდაკი იდგა.

ქანდაკების წინ გამართულ პატარა სამსხვერპლოში სოკრატემ ღმერთს შესაწირავი მიართვა — ერთი მუჭა ზეთისხილი და ერთიც დიდი ყურძნის მტევანი.

დიონისეს სამსხვერპლოს წინარე მოლი ბიბინებდა. გლავკეს დებმა თვითონაც დაიმშვენეს თავი მინდვრის ყვავილების ღარადელებით, კორინაც მორთეს და დიონისეს პატივსაცემად სარიტუალო ცეკვისთვის განემზადნენ. გლავკემ ავლოსი აახმიანა.

გლავკეს დები ფეხშიშველნი იყვნენ, თეთრი პეპლოსები მუხლებამდის

სწვდებოდათ, ზედ წითელი ბაბთები ერტყათ. წამერთ თმა ჩამოიშალეს, ეგრევ აროკდნენ ბალახზედ, და ამ საღმრთო ცეკვაში თანდათან ბაკქანტების ველური ტლინკაობაც გაჩნდა და ორგიული მოძრაობანიც.

ოდეს გლავკეს დებმა ცეკვა დაასრულეს და საერთო მოწონება დაიმსახურეს, ყველასთვის მოულოდნელად სოკრატემ განაცხადა:

— ახლა კორინა იცეკვებს.

კორინა წამოდგა, შავი თმა ჩამოიშალა და შუა მოლზედ გავიდა. სოკრატემ გლავკეს სამ ტერფად მელიური სიმღერის დაკვრა სთხოვა.

ნაზად, ახლად გამოფხიზლებულ ნიმფასებრ დაუარა კორინამ. შიშველ ფეხებს კოხტად ახუსხუსებდა. მერე ორჯერ ზეასწია ფეხი, ლონიერად დააბაკუნა და ანარნარდა. ცეკვის რიტმი სულ უფრო მძაფრი და მკაფიო ხდებოდა. სხეულის ყოველ მიმოხრას ხელების მოძრაობა აწონასწორებდა. თავის ყოველ მიბრუნებასა თუ მობრუნებასთან ხელისგულები და თითები იყო შეხმატკბილებული. ჩამოქნილი ფეხები რიტმული სინარნარით აჩენდნენ თავიანთი ფორმების მრავალწახნაგოვან სილამაზეს; და რიტმის აჩქარების კვალობაზედ სოკრატეს, მოცეკვავე ქალიშვილს თვალებით რომ ჭამდა, სულ უფრო ცხადლივ ეჩვენებოდა, რომ ერთი კი არა, ნამდვილად ორნი ცეკვავდნენ, ორდებოდა ფეხებისა და სხეულის ნატიფი მოძრაობა, და მოჩვენება-მოჩვენებაში ბოლოს უკვე აშკარად სამნი დაინახა — სამი მოცეკვავე ქალიშვილი.

ჰერაკლესა და იმის კომბალსა ვფიცავ! სამნი არიან, ერთმანეთზედ მშვენიერნი. ჩემი სამი ქარიტა! ერთ კორინაში მოქცეული სამი ქარიტა! ესერიგად კიდევ უფრო უკეთესია, ვიდრე მე ვფიქრობდი!

სოკრატეს მღელვარებას საზღვარი არა ჰქონდა. თვალს ვერ აცილებდა იმას, რაც მოქანდაკისთვის პირდაპირ წმინდაა: ფორმა, ფორმა, ფორმა — და არც ერთი არა ჰგავს მეორეს. არა, ყველანი ერთიმეორის მსგავსნი არიან და თანაც შორს არიან ერთმანეთისგან, ერთი რამ უმთავრესი კი მაინც საერთო აქვთ: მოძრაობით უმღერიან სიცოცხლის სიხარულს — შეთანხმებული, მომხიბვლელი, ნარნარი მოძრაობით!

— ევრიკა! — შესძახა სოკრატემ და დიონისეს წინაშე მუხლებზედ დავარდა. — მადლობელი ვარ, ძვირფასო ღმერთო, რომ ეს დღე მარგუნე! — სიხარულით აღავლინა ცად დიონისეს ქება და მისდა პატივსაცემად დითირამბის მღერა დაიწყო:

იდიდე, დიონისე, ძეო ღმრთისაო, დიონისე,
კაცთა იმედო, მხურვალეო, ღვინის
მბოძებელო,
ვაზის გვირგვინით შემკულო დიონისე!
ყურძნის ხის ნაყოფით, ყურძნის ტკბილი წვენით
მძიმე ფიქრთაგან გვიხსნი და გვალაღებ,
ხამეთა შემოქმედო და მომხიბვლელო,
მქუხარე ბრომიოს,
შლეგო ბაკქოს,
ექსტაზის ღმერთო, ლელეას რომ აღძრავ
ცქნებით!

ევოე! ევოე!
მეგობარო ღმერთო,
სიმშვიდისა და მხიარულების მბრძანებელო,
დითირამბთა მოყვარულო,
თავადაც ტკბილო მედითირამბევ,
ირიბისა და ლერწმების მადლმოსილო, —
ევოე! ევოე!

და ყველამ ზეიმოვნად აღტაცა:

— ევოე! ევოე!

დღის მიწურულს ათენელნი პუდის მკვიდრთ დაემშვიდობნენ და სავსე გოდორ-გიდლებით დადებული ორთვალა ადგილიდან დაძრა პურთნმა. გზა თავდაღმართს მიუყვებოდა, ნასვამ ჭაბუკთ ღვინო მოეკიდათ და სწრაფად, ხალისიანად მიაბიჯებდნენ.

კორინა და სოკრატე უკან მიჰყვებოდნენ. ხელიხელჩაკიდებულნი მიდიოდნენ, სახეგაბადრულნი: ვაჟის სახეზედ აღტაცება აღბეჭდილიყო, ქალისაზედ — ბედნიერება. და ორივეს სიყვარულის ნათელი ადგა.

10

სოფრონისკეს სახლის ბანზედ გულაღმა იწვა სოკრატე. პაპირუსის გრაგნილი ჩამავალი მზის სხივებისთვის მიეშვირა — იბიკოსის ლექსს ავაჯით კითხულობდა:

ოდეს გაზაფხულზედ ყვავიან
კიდონური ვაშლები,
ერთ დიდ ბაღად
მდინარის ტალღებს დაწაფებულნი...
ოდეს გაზაფხულზედ
ყვავის ვაზიც,
გამოაქვს კვირტი და იფურჩქნება.
მე კი აროდეს არ მასვენებს, მტანჯავს
ეროსი, კიპრიდასგან მოვლინებული
შავია და შიშის მომგვრელი,
ვით ელვით აღძრული ქარი თრაკიული-
ჩრდილოეთიდან მოვარდნილი...
და სულს ერთიან მიფორიაქებს
მწველი ვნებებით.

გვერდით სიმონი უჯდა, მუხლებზედ ცვილით დაფარული ფირფიტა ედო და ზედ ლექსის იმ აზრებსა და მეტაფორებს იწერდა, რომლებიც ძალიან მოსწონდა. სოკრატეს სასიამოვნო ხმა და მხურვალე გრძნობა, რა გრძნობითაც ლექსის ზოგიერთ ადგილს გამოჰყოფდა, პოეტის სტრიქონთ განსაკუთრებულ წრფელ ჟღერადობას ანიჭებდა.

ქუჩიდან მოისმა:

— ჰაირე, სოკრატე!

სოკრატე და სიმონი წამოხტნენ, სტუმრებს ბანიდან სალამი დაუმოწმეს.

— მანდ რას აკეთებთ? — ჰკითხა კრებოსმა, — ბანსა სტკეპნით?

— მზის უკანასკნელ სხივებს ვიჭერთ! — მიუგო სოკრატემ. — ახლავ ჩამოვალთ.

ჭაბუკნი სოკრატეს ცარიელი ხელით არა სწვევიან: ყოველთვის თან რამეც მოჰქონდათ სავახშმოდ. დააწყობდნენ ერთ დიდ თიხის ლანგარზედ და თანაბრად იყოფდნენ.

სულ ბოლოს იმას მოჰკრა თვალი, ვისაც სოკრატე მოუთმენლად ელოდა.

— კრიტონს გაუმარჯოს! — შეეგება მეგობარს და მაშინვე ისა ჰკითხა, კიდევ ხომ მომიტანე რამე წასაკითხიო.

— მომიტანე, — გაიცინა კრიტონმა და თავზემოთ აღმართა პაპირუსის გრაგნილიანი ბუდე. — ის რა, უკვე წაიკითხე, ამას წინათ რომ მოგიტანე?

— მაშ, აბა თვალები და ბაზმა რისთვის მინდა?

— გატყობ, ჩემზედ ადრე შთანთქავ ჩვენი საწიგნობლის გრაგნილთ! პირდაპირ ზვიგენი ხარ!

კრიტონ უფროსის საწიგნობელი! ოდესმე ალბათ შთანთქავს იმ ნანატრ ხელნაწერთ ანდა დაწევით მაინც დაეწევა კრიტონ უმცროსს! — სოკრატე ფიქრით კრიტონის საავარაკო სახლის საწიგნობელს ეწვია: კედლის გაყოლებით, სანდალოზის ხის თაროებზედ ინახებოდა ასობით გრაგნილი, მჭიდროდ ნაწერი, ზოგიერთს ნახატი რამ და ფერადოვანი სურათებიც ამკობდა. ყოველი გრაგნილი გამოყვანილი თხის ტყავის ოქროს თავსახურავიან ცილინდრულ ბუდეში იდო და ყოველ თავსახურავზედ ავტორის სახელი და წიგნის სახელწოდება იყო ამოკვეთილი. თავსახურავნი თვალისმომჭრელად ელავდნენ. არა ქანდაკებანი, არა კედლის მხატვრობა, არა კრეტსაბმელნი, არა ძვირფასი სამოსლით სავსე ზანდუკები, არც ძვირფასეულობით სავსე ზარდახშები, — არა, ამ სახლის უდიდესი განძი იყო საწიგნობელი. აქ ინახებოდა ბაბილონური, ძველებრაული, ეგვიპტური, სპარსული ხელნაწერები. შემდეგ მოდიოდნენ ელინები: ჰომეროსი, ჰესიოდე, საფო, ალკეოსი, ანაკრეონტი, პინდარე, არქილოქე...

— დიახ, ზვიგენი ვარ — დაეთანხმა სოკრატე. — მე იმასავით ზურგზედ გადაბრუნებული და პირდაღებული ვნადირობ მსხვერპლზედ. ყველაფერს ჩავნთქავ!

— ამასაც? — კრიტონმა გრაგნილიანი ბუდე გაუწოდა სოკრატეს. ეს იყო ბაბილონური ეპოსი გილგამეშიანი, რომლის გმირიც უკვდავებას ეძებს.

სოკრატემ ხარბად სტაცა ხელი გრაგნილს.

— სულ შენი ბრალია, ძვირფასო კრიტონ, რომ ამჯერად გაცემას აღებას ვამჯობინებ! ამით იმის თქმა მინდა, რომ თითქმის არავითარ სიამოვნებას არა ვგრძნობ, როცა ვეშველები მამაჩემს იონური სვეტისთავების გამოყვანაში.

მერმე სოკრატე უკვე ყველას მიუბრუნდა და სიცილით უთხრა, რაც რამ კრიტონის გრაგნილებიდან გავიგე, თავიდან მაშინაც კი არ გამომდის, როცა სვეტისთავებს ვარ შებმულიო, თანაც ამ თავებს სვეტებისას სულაც ვერა ვგრძნობ თავშიო.

მეგობრებს ეს სულ არ გაჰკვირვებიათ. ისინი კარგად იცნობდნენ განსხვავებას ხელობასა და შემოქმედებას შორის. სვეტისთავები სუყველა ერთნაირი უნდა იყოს, და სიმუშაოდ იოლი როდია, მაგრამ ხელოვნება მაინც არ არის.

— საშინელება ის არი, — ალაპარაკდა ახლა კრიტონი, — რაც მეტს ვკითხულობ, მით უფრო ამერდამერია თავში ყველაფერი.

— ძალიანაც კარგი! — გაეცინა კრიბოსს. — წიგნები მალე სულაც დაგაფრთხობენ!

— შენ, რა, კაცი თუ უეიცი დარჩა, ის გირჩევნია? — სოკრატემ კრიბოსს საყვედურით გადახედა.

არეულდარეულობის შიში თავში კარგ საქმესაც შერება. — კრიბოსის მაგიერ გამოეხმაურა სიმონი. — ამ არეულდარეულობაში წესრიგის დამყარებას გვაიძულებს.

კრიტონმა თავი გააქნია.

— სათქმელად ადვილია, სიმონ, წესრიგის დამყარება! პოეტთა თუ ფილოსოფოსთა ნაირნაირ მტკიცებაში იმდენი წინააღმდეგობაა, რომ ერთი კაცი ვერას გახდება!

და კრიტონმა პირველად წამოგონებული მაგალითები დაიმოწმა: ანაქსიმენეს კოსმოსის წინარემატერიად ჰაერი მიაჩნია, ჰერაკლიტეს — ცეცხლი, და ამას გარდა გვასწავლის კიდეც: ბრძოლა ყოველი არსის მამამთავარიაო; ერთი ფილოსოფოსი ფიქრობს, დედამიწა ბურთიაო, მეორე ამბობს, ბრტყელიაო. აქ ვარაუდი მეტია, ვიდრე მტკიცება.

— გვიპასუხე ერთი, — კრიტონი სოკრატეს მიუბრუნდა, — განა ანაქსაგორა ისევე უყურებს პითაგორას, როგორც სამოსელნი, რომელთა აზრითაც პითაგორა წინასწარმეტყველი და სასწაულმოქმედია, თითქმის ღმერთია?

— არა. ანაქსაგორა პითაგორას პატივს მიაგებს განსაკუთრებით ფიზიკისა და გეომეტრიის კანონების აღმოჩენისთვის, მაგრამ ასევე ღრმად აღაშფოთებს ჩემს მასწავლებელს პითაგორაული მისტიციზმი: ის თან მატერიის პირველადობას აღიარებს და თანაც სხეულიდან სხეულში სულთა გადასვლა სწამს! ანაქსაგორას ხშირად უთქვამს: ვერა, ვერ დავიჯერებ, სოკრატე, დაარც მინდა ვიფიქრო, რომ ორი ათეული წლის წინათ ვირის სხეულში ვცოცხლობდი, თუმცა ამით სულაც არ მინდა შენი პერკონის გრძნობების შელახვაო. ვერც კიდევ იმას დავიჯერებ, რომ ოდესმე სპარსეთის მეფე შევიქნები ანდა ნილოსის ნიანგად გადავიქცევიო.

— ეგ ეგრეა, სოკრატე, მაგრამ ის ამით ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რაოდენი ქაოსი სუფევს ფილოსოფოსთა შეხედულებებში! — შესძახა კრიტონმა.

— რას იზამ! — გაიცინა სოკრატემ, — ჯერეთ რაც შეიძლება მეტი უნდა გავიგოთ — მერე?

ბიჭებმა ერთიმეორეს გადახედეს: მერე? აბა, ჩვენ რა ვიცით.

სოკრატემ ისევ სიცილით განაგრძო:

— როგორ არ იცით, აკი უკვე თქვით კიდეც! შენ, სიმონ, ჰგონებ, რომ ეს ყველაფერი უნდა მოწესრიგდეს, ხოლო შენ, კრიტონ, ფიქრობ, აქ უფრო მეტი ვარაუდებია, ვიდრე მტკიცებანიო. და მთელ ამ თავსატეხს ერთი კაცი ვერ მოერევაო. რაკი ერთი ვერ მოერევა, მაშ, აბა ბევრმა უნდა მოჰკიდოს ხელი. აი, ჩვენ აქ მთელი ჯგუფი ვართ — იქნებ საკმარისიც ვიყვნეთ?

— შენი სიტყვები როგორც გავიგე, ამ საქმეს ყველამ ერთად უნდა მოვუაროთ? — გატაცებით იკითხა კრიტონმა.

— აბა, მაშ როგორ? ჩვენ ხომ ნაწილობრივ ასედაც ვიქცევით, ეგრე არ არის? — კითხვითვე მიუგო სოკრატემ.

— ოღონდ შენ ყოველთვის ჩვენთან უნდა იყვე! — საჩქაროდ ჩაურთო სიმონმა.

ხოლო ქსანდროსმა და ლავროსმა უცებ შესძახეს:

— ჩვენი მასწავლებელი იყავ, სოკრატე!

— რას ამბობთ! — შეიცხადა სოკრატემ. — აბა სხვას რა უნდა ვასწავლო, როცა თავად ახლა ვსწავლობ?

კრიტონი თავის კვერს ნამცეცებს აცლიდა.

— ჩვენ ყველანი ჯერ კიდევ ვსწავლობთ, — დაიწყო მან და ფრთხილად არჩევდა სიტყვებს იმის მიხედვით, თუ როგორ უვითარდებოდა აზრი, — მაგრამ შენ ერთს, ძვირფასო სოკრატე, მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია ცხოვრებაში ყოველივე იმის გამოყენება, რასაც ჩვენ სწავლის დროს ვეხებით. შენი

ყოველი აზრი სადგისივით არის, მაგრამ ეგ სადგისი ბოლოს და ბოლოს სასარგებლო საქმეს აკეთებს, — ხომ მართალია, სიმონ?

— სწორედ ეგრეა, — თავი დაუქნია მეწუღის შვილმა.

კირებოსის შავგვრემან სახეზედ თეთრმა კბილებმა გაიელვა:

— ყოველ სახლს ზედ აწერია რაღაც სახელწოდება ან ხატოვანი გამონათქვამი, მაგალითად: „შემოდი ჩვენსა, მოგებავ!“ „ფრთოსანი ჰერმესი“ ან „აქ ცხოვრობს ბედნიერება“. რა მოხდება, რომ შენი სახლიც მოვნათლოთ? მამაშენს ნურც გავაგებინებთ, ავდგეთ და თქვენს სახლს „სოკრატეს საზროვნო“ ვუწოდოთ!

— ჩინებულია, კირებოს! — აღტაცებით შესძახა სიმონმა. — ეს იქნება სკოლა — და თანაც არც სკოლა.

სოკრატე ხარხარებდა:

— მე რას დავეძებ, რაც გინდათ, ის დაარქვით ჩვენს სახლს!

— იცინი? — უთხრა კრიტონმა. — ჩვენ კი, რამდენადაც შეტყობა შემიძლია, ამ ამბავს ყველანი სერიოზულად ვუდგებით!

— სიცილი რა, სერიოზულობას ხელს უშლის? — შეედავა სოკრატე. — ჩემის აზრით, სერიოზულ საქმესთან მხიარულების გზით უნდა მივიდეთ!

კირებოსმა დაღეჭილი ლუკმა გადაყლაპა და თქვა:

— მართალი სიტყვაა, სიცილი მეც მიყვარს, მაგრამ აი პურის ცხობას ვრჩები თუ არა, სოკრატესთან გამოვრბივარ, რომ ამისი პური ვჭამო, თუმცა ჩემი იქნებ უკეთესია...

— ახლა კი გეტყვით, მეგობარნო, რომ დიდ პითაგორას, ცოტა არ იყოს, ვერ ვეგუები, — უკვე საქმიანი კილოთი წართქვა სოკრატემ. — ამბობენ, სიცილსა და მხიარულებას ყოველთვის ბეჯითად გაურბოდაო. თავად განსაჯეთ, აბა რა კაცია, ვინც უარყოფს კარგ განწყობილებას — სულის მხიარულ ნახევარს?

— მაშ, აბა მეორე, არამხიარული ნახევრის ამარა რჩება, შენ ანუგეშე, ზევსო! — დაუფიქრებლად მიუგო კირებოსმა.

სოკრატემ დანანებით დასძინა:

— თუ სრულ სიმართლეს ვიტყვით, უნდა გამოგიტყდეთ — არც ჩემი მასწავლებელი ანაქსაგორაა დიდი მხიარულების მოყვარული. სიცილი არ უყვარს. პერიკლესაც უშლის სიცილს.

— ქალწულო ათენა! — პათეტიკურად შესძახა კირებოსმა. — იქნებ იმან ისიც მოითხოვოს, რომ ჩვენც ქვებსავით სერიოზულნი გავხდეთ! იქნებ ათენელთ ეს კარგი აღზრდის შედეგად მიიჩნიონ!

— ეგრეთ მოთხოვნას თუ წამოაყენებდნენ, — თქვა სოკრატემ, — მაშინ მე ყველაზედ უფრო უზრდელად ჩავითვლებოდი.

— დიდება შენ და სიხარული ჩვენ! — დაიძახა კირებოსმა. — ამას დასველება მოუხდებოდა!

ღმერთებს ზედაშე წაუქციეს, მერმე ჯამფილაში ღვინო და წყალი შეაზავეს, ფიალები აავსეს და კირებოსმა საზეიმოდ წარმოთქვა:

— დავლიოთ იმ სახლის სადიდებელი, „სოკრატეს საზროვნო“ რომ ეწოდა. ნურასოდეს დაშრეტილიყოს იმ სახლის ჭერქვეშ მხიარულების წყარო!

— ევოე! ევოე! ღმერთნი იყვნენ ჩვენი შემწენი! — ყველამ ერთხმად ასწია სასმისები.

მხიარულ დროსტარებაში სოკრატემ ვითომ სერიოზულად იკითხა:

— მაინც როგორ ჩნდებიან ღმერთნი?

ქსანდროსმა იმავე საქმიანი კილოთი მიუგო:

— ურანოსმა შვა კრონოსი, კრონოსმა — ზევსი.

კრიტონმა სოკრატეს გადახედა — თვალები ულიმოდა და ნახევრად კითხვის კილოთი წარმოთქვა:

— ყველაფერი რაღაცისგან ჩნდება, ყოველი — ვიღაცისგან..

— უცილობლად, — თავი დაუქნია ქსანდროსმა. — ეს როგორც უწყვეტი ჯაჭვი, ისეა. ზევსმა ჰერასთან და მრავალ სხვა მოკვდავ ქალთან გააჩინა ბევრი სჯულიერი და არასჯულიერი ღმერთი და ნახევარღმერთი, რომელნიც მფარველობას გვიწევენ დღიდან დაბადებისა ვიდრე სიკვდილამდე.

— როგორც უწყვეტი ჯაჭვი? — გაიმეორა სოკრატემ. — მაშ, აბა ისევ გრძელდება ახალ-ახალ ღმერთთა შობა? მაშინ ათენაზედ რას იტყვი, ძვირფასო ქსანდროს? ამბობენ, ზევსის თავიდან იშვა, მაგრამ ქალწულად დარჩაო. მაშ, იქნებ გათხოვდეს კიდეც და შვილებიც იყოლიოს?

— ეგ არ ვიცი.

— არც დიონისეს ამბავი იცი, ზევსმა ბარძაყით რომ ატარა? იქნებ იმასაც ყოლოს ნაშიერი? — გაიცინა სოკრატემ.

ქსანდროსმა აღიარა, არც ეგ ვიციო, მაგრამ ჩემი ვარაუდით, აღარავითარი ღმერთი აღარ გაჩნდებაო.

— მე კი გავიგე, რომ ახლო წარსულშიც დაბადებულა ახალი ღმერთი. გიამბობთ. იყო ერთი თრაკიელი მონა სახელად სამოლქსიდე. ამ პითაგორას საყვარელ მონას დიდი შესაძლებლობა ჰქონდა და იყენებდა კიდეც. ისწავლა წერა-კითხვა, ბევრი რამის ცოდნა გადმოიღო თავისი ბატონისგან. პითაგორა კუნძულ სამოსზედ ცხოვრობდა, იქ კი მაშინ ბატონობდა ტირანი პოლიკრატე, რომელსაც უნდოდა, რომ მტრის ფლოტთან საბრძოლველად პითაგორასთვის სამხედრო მანქანები დაემზადებინა. გესმით? დიდი პითაგორა რომ გულზვიადი ტირანის ბრძანებას ასრულებდეს? არასოდეს! ზედდატანებაზედ სამოსის ნავსადგურში ერთი გემი მდგარა, რომელიც იმღამით ღუზიდან უნდა ახსნილიყო და სამხრეთ იტალიის კროტონისკენ აელო გეზი. თუ სამოლქსიდე პითაგორას გაქცევაში დაეხმარებოდა, თავისუფლებასაც მიიღებდა და სართად ერთ ქისა ვერცხლსაც. სამოლქსიდე დაეხმარა პითაგორას, აიყვანა იმ გემზედ, თვითონ კი თავდახსნილი სამშობლოში დაბრუნდა. ოჯახს, რაღა თქმა უნდა, გაეხარდა, მაგრამ დიდ საგონებელშიც ჩავარდა: ისედაც გაჭირვებულთ კიდევ ერთი ზედმეტი პირი მიემატათ. რა ქნან? როგორ ამოვიდნენ ამ გაჭირვებიდან? და არ იკითხავთ, რა მოხდა? რა მოხდა, და, ერთხელაც მთელი სოფლის თვალწინ სამოლქსიდე უეცრად დაეცა. იყო ერთი ტირილი, წივილი. და, ბოლოს, იმ ადგილას მიაბარეს მიწას, თვითონ რომ ჰქონდა დანიშნული: ბაღში თავიანთი სახლის უკან. ცხოვრება თავისი გზით წავიდა. წლისთავზედ ხალხი ისევ შეიკრიბა იმის საფლავზედ და რასა ხედავენ? საფლავის ქვა გვერდზე გადაწეული, სამოლქსიდე კი კუბოდან წამომდგარა, ფერმკრთალია, მაგრამ საღსალამათია.

— ნუ ხუმრობ, სოკრატე, — საყვედურის კილოთი უთხრა სიმონმა. — რა სისულელეს ლაპარაკობ!

— ეგ შეუძლებელია! — დაემოწმა პისტიოსი.

— წყნარად, — შეაჩერა ისინი კრიტონმა, — ბოლომდე ათქმევინეთ.

— მთელი ამ ხნის განმავლობაში, — განაგრძობდა სოკრატე, — სამოლქსიდე საიდუმლოდ იმალებოდა მიწისქვეშ, სადაც ძმა უზიდავდა სასმელ-საჭმელს, და იქ აწყობდა ის თავის გეგმებს. თრაკიელნი მძიმედ განიცდიდნენ, რომ იმათი ლეგენდარული თანამემამულე და გმირი ორფევსი ზევსის მეხმა განგმირა, რაკი იმან გაუბედა და ღმერთთ კაცთა ვნებანი და მანკიერებანი მიასაკუთრა. თრაკიელთ ერთი სული ჰქონდათ, სანამ ჯავრს იყრიდნენ ზევსზე. ვინაც წაართვა ფრიად საყვარელი გმირი, ყოვლის უფრორე სახელგანთქმული მომღერალი, რომლის სიმღერაც ერთნაირად აჯადოებდა გინდა კაცი ყოფილიყო, გინდა მხეცი, თვით ხესა და ქვასაც კი ატყვევებდა. და აი სამარიდან წამომდგარი სამოლქსიდე თავისი საფლავის ქვაზედ შედგა და აძახდა: „თრაკიელნო! პატივცემულნო მოქალაქენო, სმენა იყოს და გაგონება! მოველ, რათა ახალი ღმერთი გამოგიცხადოთ!“ — „გამოგვიცხადე! — შესძახა გაშმაგებულმა ხალხმა. — ვინ არის?“ „ვინ არის და, მე ვარ“, — წართქვა სამოლქსიდემ. ხალხმა გაიოცა, მაგრამ სმენად იქცა. სამოლქსიდემ ყოველთ ჩააგონა, სხეულში უძველესი ღმერთი კრონოსი ჩამისახლდა და მკვდრეთით აღმადგინაო. მერე დადგა და მოჰყვა პითაგორას რიცხვთა მისტიკის განმარტებას: ერთიანი გონებაა, შვიდიანი, — ჯანმრთელობა, რვიანი — სიყვარული, ერთიანი — ბედსვიანობა, ნეტარებაცა და სარგებელიცაო. არწმუნებდა, ხმის სიმაღლე შეიძლება რომ მათემატიკურად გამოიხატოს ჩამოკრული სიმის სიგრძისდა შესატყვისადო. ამდაგვარი საიდუმლო სიტყვებით დარეტიანებული კაცნი პირდაღებულნი უსმენდნენ და ისმინეს, რომ სწორკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის კვადრატი უდრის კათეტთა ჯამის კვადრატს...

ჭაბუკნი სიცილით იგუდებოდნენ და სოკრატეს მხარზედ ხელს ურტყამდნენ, ეს რა გაიგონა ჩვენმა ყურებმაო. მაგრამ სოკრატემ ამბავი სხვა მხარეს შეაბრუნა:

— მისტიკისა და განსწავლულობის ამ ნაზავმა სამოლქსიდე ღვთაებრივი შარავანდედით შემოსა, ხალხის კეთილგანწყობილება კი იმით მოიპოვა, რომ პითაგორას ცოდნას იყენებდა და ბევრ სნეულსა და მოავადეს კურნავდა ანდა კეთილს რასმე ურჩევდა. აგრე და ამგვარად ცხოვრობდა ღმერთი სამოლქსიდე ყოვლად სვესვიანი და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა მთელს თრაკიაში.

ღმერთ სამოლქსიდეზედ სიცილით რომ იჯერეს გული, მეგობართ სოკრატეს ჰკითხეს, ვინ გიამბო ეგ სასწაულიო?

— ანაქსაგორამ, — მიუგო სოკრატემ, თან ხელისგული ტალღისებრ აამოძრავა ნიკაპიდან მკერდისკენ და ამით მეგობართ ფილოსოფოსის გრძელი წვერი დაუხატა.

სიმონმა ფიქრიანად მოიფხანა კეფა.

— შენ არცთუ უბრალო რამ გვიამბე, სოკრატე! ჩვენს სახარაზოში ბევრი ვინმე დადის და იმათგან ვიცი — ხალხი სულ ვიღაც მხსნელის მოლოდინშია თურმე...

კირებონმაც დაუმოწმა:

— მეც გამიგონია ეგ ამბავი ჩემი ხელოსნის ფურნეში. ბევრსა სწამს და სჯერა, ოდესმე მავანი და მავანი დაიბადება და ყველაფერს ისე მოაწყობს, ქვეყნად სიღარიბე აღარ იქნებაო.

იგივე დაადასტურა პისტიონმაც:

— მეც გამიგონია — ხალხი მართლა ელოდება ეგრეთ ღმერთს.

სოკრატე უსიტყვოდ უსმენდა. იმანაც იცოდა, რომ ხალხი ელოდა. მაგრამ რას? ვის? მხსნელს? სასწაულს? თვალებით გაიღიმა.

მატყუარა სამოლქსიდე ვერასოდეს ვერ გახდებოდა თრაკიელთა კერპი, ცოტაოდენ ხალხის ხვედრი რომ არ შეემსუბუქებინა. მაშასადამე, რატომ ელოდება ხალხი მხსნელს? იმიტომ რომ იმისგან შეწევნას ელის, შეწევნას ყველაფერში, შეწევნას რჩევით და საქმით. მაგრამ ლოდინი, სულ მუდამ ლოდინი განა სწორია?

და სოკრატემ ენა გამოაგო.

— სასწაული რამ არცროს მომხდარა და არც მოხდება. მაგრამ დროდადრო გამოჩნდება ხოლმე ვინმე, ვინც ცოტათი მაინც აუმჯობესებს ხალხის ცხოვრებას. გაიხსენეთ პერიკლე, რარიგ შეძრა ყველაფერი ზღვაზეც და ხმელეთზეც... ეს ჯერ კიდევ დასაწყისია! ხვალ მეტი იქნება!

ჩვენთა მეგობართ თუ სამოლქსიდე და პერიკლე ხიბლავდათ, ეგერსიდეს მხოლოდ სოკრატე აწუხებდა. იმის ყურამდე ხმამ მიაღწია. კორინა სოკრატესთან ერთად ქუდიში იყო. ამოიყორა ეგერსიდემ კუჭი ბოლლიწოთი და გაგულისებული გზას გაუდგა — სოკრატე მწიფე ინდის ხურმასავით უნდა გაეჭყლიტო.

ეგერსიდეს სხვისი ცემა და გაჭყლეტა მართლაც არ უნდა გასჭირვებოდა. ყველაფერი დიდი და ფართო ჰქონდა: პირი, ცხვირი, მხრები, მკერდი. მიდიოდა და იმისი სიმძიმისგან დედამიწა კვნესოდა. „გავსრეს! გავსრეს!" სოფრონისკეს პატარა ეზოში რომ შეაბიჯა და სოკრატე მეგობრებს შორის დაინახა, კიდევ უფრო მეტი გაბედულებით გაიმეორა თავისთვის: „გავსრეს!" და ბრძანების კილოთი გასძახა:

— ეეე! გამოდი აქეთ! უნდა მოგელაპარაკო!

სოკრატეს სახე და კილო სასიამოვნო გაკვირვებას გამოხატავდა.

— შენა ხარ, ეგერსიდე! შემოგვიერთდი! მაგისთანა რა საიდუმლო გაქვს? აქ ყველა ჩემი კეთილი მეგობარია, რომელთა შორის, რასაკვირველია, შენცა ხარ, შენ ჩემი ყველაზედ ძვირფასი მეგობარი ხარ, თუმცა მეგობარი კი არა თაყვანისმცემელი-მეთქი, უნდა მეთქვა. მე ჩინებულად ვიცი, ჩემო ძმობილო, რომ შენი ენა-პირი ჩემს სახელს უფრო ხშირად წარმოსთქვამს, ვიდრე ესენი! შენს ყოველ წინადადებაში სისინებს სახელი „სოკრატე", თითოეული სიტყვით მამკობ და მადიდებ, ჩემი ქება-დიდება მთელს ქვეყანაზედ მოგიფენია. შენი ნახვით დიდად გავიხარე!

— მეც მიხარია შენი ნახვა! — ყრუ ბურტყუნი გაისმა პასუხად.

— აი ხომ ვთქვი! — ცოცხლად აიტაცა სოკრატემ. — ეგერსიდე სამღებრო საქმის ნამდვილი ოსტატია. ეს, რასაკვირველია, არც მე მაკლებს საღებავს თავის აზრებსა თუ სიტყვებში და ჩინებულ ჭაბუკად მსახავს. მაგრამ დასანანია, რომ ჩემი ყურით ერთხელაც არ მომისმენია!

— ნუ ნანობ! შენ სახელი, როგორც თავად ბრძანებ, მართლაც სულ პირზედ მაკერია, ოღონდ ლანძღვა-გინებით, რადგან ქურდი ხარ — კორინას მოპარვა გინდა!

სიმონი შუაში ჩაუდგა ორ ყვინჩილას, ერთი რომ დაბოღმილი იყო, მეორე კი დასცინოდა.

— „მოპარვა" რას მიქვია? — შეუტია მან ეგერსიდეს. — სოკრატე ბავშვობიდან იცნობს ჩემს დას და უყვარს!

— უყვარს და უყვარდეს, კორინა მაინც ჩემი იქნება! — თავდაჯერებულად განაცხადა ეგერსიდემ.

თავისი სახელი რომ გაიგონა, კორინა ზეთისხილზე ალოცდა.

— ტყუილად ბაქიბუქობს, — წარმოთქვა სიმონმა და სოკრატეს მიუბრუნდა. — კორინასთან ამას არაფერი ესაქმება. თვითონვ აქვს კორინას ნათქვამი.

ახმახი მღებარი მოიღუშა.

— ჩემთვისაც უთქვამს რაღაც-რაღაცები. გულს კი უწყალებს ეს ქვის მთლელის შეგირდი, მაგრამ პატარძლის ჩასაწვენი ლოგინიც არა აქვს. ქვაზედ თუ დააწვენს.

— არც შენი საბან-გობანი და არც ჩემი ქვა არ განსაზღვრავს, ჩვენთაგან ვისი იქნება კორინა. ამას თვითონ გადაწყვეტს. — უთხრა სოკრატემ.

— ცდები, ჩემო კარგო, გადამწყვეტი წინ გიდგავარ, — აქ ეგერსიდემ ღრმად ჩაისუნთქა და მკერდი წინ წამოჯგიმა. — შენ ერთს ისეთს შეგიბერავ, წიწილასავით გაგაფრენ, და ამით მორჩება საქმე.

— უყურეთ ერთი, რა ხელად გადაწყვიტა ყველაფერი, — მშვიდად შენიშნა სოკრატემ. — მე რომ ჩამომიშორებ, აღგები მერე და კორინას ისე მოექცევი, ვითომც მაუდის ნაჭერი იყოს: საღებავიან კასრში ჩააგდებ, გაწურავ, გააშრობ ჩრდილში, და კორინაც ისეთი გახდება, შენ რომ გინდა: ვარდისფერი, მორჩილი, ტკბილი...

ზეთისხილი შეირხა, თითქოს ქარმა დაჰქროლაო.

— ვერ მოგართვეს! — გაცხარებით გამოესარჩლა დას სიმონი. — დაუცადე, სანამ საღებავიან კასრში თავი ჩააგდებინოს შენისთანა ტუტუცს!

ეგერსიდემ აღარ იცოდა, რომელს სცემოდა პირველად — სიმონს თუ სოკრატეს.

სიმონი კი განაგრძობდა:

— აბა შენ რა კორინას ღირსი ხარ! სად იმისი ჭკუა და სად შენი. ყოველდღე მეცნიერ ხალხში ტრიალებს.

— ვინ მეცნიერ ხალხში?

— აი ამ მეცნიერ ხალხში! — სიმონმა ხელი სოკრატესკენ და მეგობრებისკენ გაიშვირა. — მთელი გულისყურით გვისმენს, ვინ როდის რასაც ვმსჯელობთ.

კორინამ ფრთხილად გასწია ტოტები და პატარა ეზოში ჩამოიხედა.

— მაგალითად, — სოკრატემ ზეთისხილს ახედა. — ათენში ქალთა მდგომარეობაზედ...

— გასაგებია, — თქვა ეგერსიდემ. — თქვენზედ უკვე ათას რამეებს ლაპარაკობენ. სისულელეებს ყბედობთ და საქმე გგონიათ. თავად წამხდარნი კორინასაც გზა-კვალს უბნევთ. აბა, რა გასაკვირია, თუ თქვენი ნალაპარაკევით გონება გადაუტრიალდა!

— შენგან ვითომ უკეთეს რასმე მოისმენდა? — ჰკითხა სოკრატემ. — იმას ხომ არ უამბობდი, რამდენს იღებ მაუდის შეღებვაში? იქნებ სულაც არ გინდა, რომ შენს ოთხ მონას მეხუთეც მოუმატო? იცი რა, ეგერსიდე: თანასწორი მეტოქენი რომ გავხდეთ, ერთს გირჩევ. შენ ქსოვილებს ღებავ, მე ქანდაკებებს ვაფერადებ, ასე რომ ხელობაში ერთიმეორის წინაშე სატრაბახო არაფერი გვაქვს. მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, შენ სამყაროს შეცნობის სურვილი არა გაქვს. კორინას თვალში ეს ამბავი, ჩანს, ძალიან ბევრსა ნიშ-

ხავს. დამიჯერე, ეგერსიდე: მოდი ჩემთან! პატივს დაგდებ შენი მონაწილეობით!

— შენ რა უნდა მასწავლო? — დაცინვით დაიფრუტუნა ეგერსიდემ. — ეი, შე სულელო, შენა, ჭკუის სწავლება როგორ უნდა, გაჩვენებ! ლორს რომ გვერდები აეფხანება, იმ დღეში ხარ სწორედ! — და მღებავმა მუქარით გაიწია სოკრატესკენ. ისიც წამოდგა. დაძაბულ ლოდინში შეტოკდა ზეთისხილის ტოტი. მეგობრებმა სული განაბეს. სოკრატემ თავი მოიკატუნა, ვითომ შეეშინდა და ქვაყორისკენ დაიხია. ამით გათამამებულმა ეგერსიდემ ახლოს მივიდა, მუშტები მოუღერა.

და უცებ სოკრატემ მკაცრად წარმოთქვა:

— მეტისმეტად ხმამაღლა აზროვნებ. შენი სათქმელი გასაგებია: გინდა, რომ მუშტი ყბაში მითავაზო.. ოღონდ, ძვირფასო მღებავო... — აქ უეცრად ხელებში სწვდა ანაზდეულად, ზედ გვერდებზე მიაკრა. — რაკი ჩემთან სწავლას თაკილობ, დაშორება მოგვიხდება! ჰაირე!

უზარმაზარი ქაბუკი მსუბუქად ასწია და მაღალ ქვაყორეზედ გადაუშვა. ლობიოთი სავსე ტომარასავით გადააგდო ქუჩაში.

ბრაგვანის ხმა გაისმა. მერე ამას მოჰყვა ოხვრა და ლანძღვა.

პატარა ეზოში ხარხარებდნენ ზეთისხილიდან სიცილ-კისკისით ჩამოცურდი თეთრი ჩრდილი. ეგერსიდე კი ქვაყორის გადაღმა ჩაცუცქულიყო და თავის საფიქრალს ფიქრობდა. ძლიერად და გაძნელებულად ფიქრობდა. სამაგიეროდ საფუძვლიანად ვარაუდობდა: არა, ასე არ ივარგებს. დამაცა, გიჩვენებ სეირს! სულ ერთია, კორინას მაინც იმფრად შევღებავ, რაფრადაც მოვინდომებ!

11

დღეს საღამოს სელენე არც ისე ფერმკრთალი იყო, როგორც ჩვეულებრივ. მწველი და მომთენთავი სიყვითლე გადაჰკრავდა — თითქოს ამ სიყვითლეში ვიღაცას იმ კუმსი მტევნის სისხლივით წითელი ნაყური ჩაეწვეთებინა, რომელი მტევანიც მაშინ ჰუდის დიონისეს შეეწირა.

ჭრიჭინობელებს რაღა დაემართათ?.. ნუთუ ამათ სისხლშიაც მოხვდა იმ ღვინის წვეთი და იმიტომ არის, რომ გაგიჟებულებივით ჭრიჭინებენ თავიანთი სიყვარულის სიმღერას?

სოკრატე სმენადქცეული და თვალებდაჭყეტილი ელოდა. ზანტად მიიზლაზნებოდა ცხელი ღამე. როდისღა მოვა?! აგერ — თეთრმა ზოლმა გაიელვა. ეზო გამოირბინა. სოკრატეც შესახვედრად გავარდა.

კორინამ აკოცა.

— გიყვარვარ?

— მიყვარხარ.

— ჩემი გადღინწული ცხვირიც?

— ძალიანაც გიხდება. ყველა ათენელ ვაჟკაცს რომ ერთნაირი სწორი ცხვირი ჰქონოდა — არაფრად ივარგებდა. მე ყოველთვის მინდოდა რაღაც განსაკუთრებული. რაც მთავარია — მხიარული! შენ მხიარული სახე გაქვს, შენც მუდამ მხიარული ხარ და არც შენს ქანდაკებებს აკლია მხიარულება!

სოკრატე ეფერება და ხელს უსვამს ქალიშვილის თმას, სახეს, მხრებს...

— ბავშვობიდანვე ხელკალათიანი დავდევდი ხოლმე დედაჩემს, როცა კი

პელოპინის ხელის ასაპყრობლად წასული. რამდენი ჭუჭყი და შიმშილი მინახავს! რამდენი ცრემლი, მოთქმა, საკვირველია, როგორ გავუძელი... კაცს რაღაც ხომ უნდა გახარებდეს, სიცილიც ხომ უნდა იცოდე! ნუთუ ქვეყნად ათასი რომ საშინელება უნდა გამომეცადა?

ჰელენემ კორინა ყოველი მხრით შეათვალიერა და ერთგვარად ქალდისფეროქროსფრად აელვარდა.

სოკრატე აღტაცებული შეჰხაროდა ქალიშვილს.

— მადლობელი ვარ, შენი, ჰელენე! დიდებულად ანათებ. ავდგები და ჩემს გულისწორს მოქანდაკის თვალით შევხედავ.

— დაიცა! რას შვრები?

— ძირს პეპლოსი! ასე... მხრები მომრგვალო, მკერდს ნუღა იტყვი — თითქოს თორმეტი წლისა ხარ და არა ოცისა! — ხელისგულებით შეეხო პატარა ძუძუ-მკერდს. კორინა კი წყნარად იცინოდა, რაღაცას ტიტინებდა:

— გაჩერდი...

— პატარებია, თბილ მარმარილოსავით მაგრებია, მუცელიც ზომაზედ გამოგბურცვია, არც მეტად, არც ნაკლებად, სწორედაც ზომიერად... თეძოები მაღალი, საუცხოო, — კორინა მიაბრუნა. — გავა უნაკლოდ სრულყოფილი... ახლა კი კარგად გაიგონე, რასაც გეტყვი. პერიკლესთან რომ მიმიწვევს, ახალი პროპილეებისთვის ფრიზის არეში სამი მარმარილოს ქარიტის გამოქანდაკება დამავალეს. მარცხნივ აგლაია იქნება, მარჯვნივ თალია, შუაში — ევფროსინე. ყველა უნდა ცეკვავდეს.

კორინა მკერდში იკრავდა განძარცულ პეპლოსს, აღარ იცოდა, ეეჭვიანა თუ არა ხიბლის, სილამაზისა და სიხარულის ქალღმერთებზედ. მაგრამ ვიდრე ეჭვიანობის გამოსახატავად შესაფერის სიტყვებს იპოვიდა, სოკრატესგან შეესმა: ჯერ კიდევ ქუდიში ედევნებინა თვალი, ხეზედ რომ იყო აცოცებული და მერეც, როცა ცეკვავდა, ია მაშინ გადაწყვიტა, რომ ქარიტები კორინასგან გადმოელო.

ქალიშვილი სახტად დარჩა.

— ჩემგან? მე ვიქნები ერთ-ერთი ქარიტა?!

— არა, კორინა: შენ იქნები სამივე ქარიტა!

— მაგას როგორღა იზამ?

— აგლაიად მოცეკვავე ქალიშვილის პროფილით გამოგიყვან, თალიად — სამი მეოთხედი კუთხით, აი ასე — და შესაბამისად მიაბრუნა, — ხოლო ევფროსინედ — სახით. რას იტყვი, ჩემო სამერთარსებავ?

ქალიშვილი სოკრატეს თვალებდაჭყეტილი მიაშტერდა, ნათქვამის აზრი ერთბაშად ვერ გაეგო.

— სამივე — ჩემგან?

— დიახ! შენგან. ზოგიერთ რამეს ახლავ მოვხაზავ...

კორინამ სიხარულით წამოიკივლა — სოკრატემ პირზედ ხელისგული მიაფარა. ქალიშვილი მიჩუმდა და უკვე ხმადაბლა თქვა:

— პროპილეებზედ... სამსახოვნად! ოუჰ, როგორ გამივარდება სახელი! — და უეცრად სიტყვა გაუწყდა. — ჩვენები მიცნობენ! ო, ზევსის მეხო! მამაჩემი ცოცხალს არ გამიშვებს.

— ვერავინ ვერ გიცნობს, ნუ გეშინია. სულ სხვა ვარცხნილობით გამოგიყვან და ოდნავ ცხვირსაც დაგიგრძელებ, არავის — მხოლოდ მე და შენ

გვეცოდინება, რომ სამივე ქარიტა შენა ხარ. მშვენიერი ქარიტები ცეკვა-ცეკვით შეხვდებიან ყველას, ვინც აკროპოლისში შევა!

კორინა გულში ჩაეხუტა.

— ო, ძვირფასო! სილამაზე, ნეტარება, სიხარული — შენი კორინა ვარ! უფრო ძალიან მომეხვიე! სიცოცხლეს მირჩევნიხარ...

ჰკოცნის გატაცებით, დიდხანს და ეზოს ბოლოში მიაქანებს, იქ ოლეანდრის ბუჩქებქვეშ გულაღმა ეცემა და სოკრატესაც ზედ მიიწვევს.

ძარღვებში სისხლის მოზღვავება ჭრიჭინობელების ხმას ახშობს, ოლეანდრის ბუჩქები ალერსიანად არხევენ შტოებს...

— კარგია, რომ გეღირსა დაბრუნება, ქალიშვილო, — უთხრა მომემ თავის ნაცნობ არტემიდას.

— ცოტა გავისეირნ-გამოვისეირნე ამ ტრიალ ქვეყანაზედ, რომ აფროდიტესავით არ ჩამთვრჩე ცხოვრებას. ის, მართალია, სულ აქეთ-იქით დარბის, მაგრამ იმის გასაგებად კი არა, რა ხდება ქვეყნად ახალი, არამედ კაცებს დასდევს.

რო ისეირნე, რა ნახე?

— მთები, ველები, წყლები, ყვავილები და ბირკა ბალახი, სიმდიდრე და სილატაკე, სიხარული და მწუხარება... მაგრამ ყველაზედ კარგად თავს არკადიაში ვგრძნობ, შემდეგ აქ, მარმარილოს ლოდებს შორის, შენს მახლობლად, მომე...

— მადლობელი ვარ, ჩემო ტანკენარო მზეთუნახავო, ყურადღებისათვის. ახლა რას მეტყვი იმ შენს სამეურვეო ჰაბუკზედ დაბადებისთანავე რომ გაიცინა?

— რას გეტყვი და, მომწონს, მომე, პირდაპირ ცეცხლია.

— მერედა, იმ გოგოს რომ არ ეშვება?

— მერე რა, ღმერთმა შეარგოს! სიცოცხლე სიცოცხლეა... გესმის, რა ბედნიერები არიან, როგორ ფშვინავენ სიამისგან?

ეოსი ჯერ კიდევ თვალებს იფშვნეტდა ჰიმეტოსის მწვერვალის უკან, სახლიდან კი უკვე გაისმა ფენარეტეს ხმა:

— სოკრატე! ადექი, ბიჭო!

— ვდგები! — გამოეხმაურა სოკრატე, როგორც ყოველდღე; დედამ ვერც შენიშნა, რომ შვილის ხმა სულაც სახლიდან არ მოისმა.

კორინამ საჩქაროდ მოისხა პეპლოსი და სოკრატეს კისერზედ ჩამოეკიდა:

— ო, რა კარგი იყო!

დიდხანს კოცნა და გაიქცა.

სოკრატემ სახლს მიაშურა, მარმარილოს ლოდთან შეჩერდა. დღე — ოქროს წიწილა, უკვე იჩეკებოდა კვერცხიდან.

დედა ზღურბლზედ გამოვიდა:

— ამას რას ვხედავ! ადრე ამდგარხარ, შვილო! რა მოხდა ასეთი?

— რაღაც ხმამ დამიძახა, ალბათ ჩემი სათაყვანებელი არტემიდა იყო.

ქალღმერთს თაყვანი სცა და ისევ უძრავად გაჩერდა. დგას — აზრები კი ირევიან, რაზედ უნდა იფიქროს ყოვლის უფრორე მეტად? იმაზედ, თუ რანი არიან ვარსკვლავნი? საიდან გაჩნდნენ? რატომ ინთებიან? საით მიცურავს სე-

ლენე მთვარის ნავით? რისგან შედგება დედამიწა? სად არის ქვეყნის კიდე? რაშია სიყვარულის სიტკბოების საიდუმლო? რა იყო დასაბამიდან: სული თუ სხეული? მერე რა იქნება? ფიქრი არ ასვენებს...

— ბიჭო! რას გაშეშებულხარ? ღმერთნო, მიშველეთ! თხას მიხედე — წყალი დაალევინე! სახედარს აჭამე! შუშა დამიპე! წყალი მოიტანე! საჭრეთელნი დაულაგე მამაშენს!

სოკრატემ გაიცინა, დედასთან მიირბინა, აკოცა, ხელში აიყვანა:

— გავიგე, დედაჩემო. ყოველის უწინარეს რაზეც უნდა ვიფიქრო: თხაზედ, სახედარზედ, შენთვის შეშაზედ და წყალზედ, მამაჩემის ხელსაწყოებზედ, ხოლო მერმე უკვე ვარსკვლავებზედ!

12

მონამ მოირბინა, სულს ძლივს ითქვამდა:

— დიდი ფურნის მფლობელის ცოლს ევკოლიას მშობიარობა ეწყება და შემწედ ფენარეტეს უხმობს!

დედამ შვილს თან გაყოლა სთხოვა. გზადაგზა ფენარეტე გაჯავრებული ბუზღუნებდა:

— კიდევ ფეხშიშველა მოდის! მალე ეფებოსი გახდები, ათენის მოქალაქე, ფეხშიშველა კი დადიხარ, თითქოს ფეხსაცმლის ფული არა გვქონდეს!

— მე ჩემი საკუთარი ძირები მაქვს!

თვითონ ფენარეტეს ლამაზი ლაბადა ახხია, თმა ნასკვად შეუკრავს, უხდება, თუმცა აღარც ახალგაზრდაა. ფეხშიშველა შვილს კი იგივე ქიტონი მოსავს, დილიდანვე სამუშაოდ რომ ეცვა, და თითქოს არაფერი საერთო არა აქვს რა დედასთან. ფენარეტეს ყველგან გულთბილად ხვდებიან — ხალხი უფრო გარეთ, ქუჩებში ცხოვრობს, ვიდრე სახლებში, მზიდან ჩრდილებში გადააქვთ თავთავიანთი სკამები.

— შეხე, ფენარეტე! — ახალგაზრდა ქალი ბებიაქალს ყრმას უჩვენებს. — სამი თვის წინათ შენ გამაჩენინე, აი უკვე რამხელა გახდა.

— არტემიდა იყოს მაგისი მფარველი!

ბავშვებიც კარგად იცნობენ ფენარეტეს. მხიარულად უტრიალებენ გარშემო:

ფენარეტე, ფენარეტე,
შვილებს შვილი მიამატე,
კარგო ქალო, ტკბილო დედავ!
ირგვლივ სულ შენს შვილებს ხედავ!
ჰაირე, ჰაირე, ფენარეტე!

ათენის ვიწრო ქუჩაბანდებში ფენარეტე შვილთან ერთად მიაბიჯებს, უკან ათასი ხმა ასდევნებია:

— ხელი მოგემართოს! აქეთ რომ გამოივლი — შემოგვიარე!

მივიდნენ. სახლთუხუცესმა ქალმა სოკრატეს პერისტილში სავარძელი დაუდგა, მონას თაფლის კვერების, ყურძნისა და ლეღვის მოტანა უბრძანა, თვითონ კი ფენარეტეს საწოლ ოთახში შეუძღვა, საიდანაც მშობიარის კვნესა მოისმოდა.

კარგა ხანი გამოხდა, და ბოლოს ფენარეტემ ახალშობილი გამოიყვანა:

— ბიჭია! ნესვივით პუტკუნა ბიჭი!

გალეიბნილი ჩვილი რბილად ჩაფენილ კალათაში ჩააწვინა.

— თვალი გექიროს. — უბრძანა სოკრატეს და მელოგინე ქალთან შებრუნდა.

სოკრატემ მტირალ ყრმას თვალიერება დაუწყო. ეს კიდევ ერთი ჭიაყელა, წითელი, დანაოჭებული, უმწეო. შენ ჯერეთ მხოლოდ [illegible] ხარ, მეტი არცრა. სული ცარიელი გაქვს. ჯერხნობით არაფერი ჩაგვსახლებია შიგ, არც კარგი, არც ავი. თანდათან ჭკუა რომ მოგეცემა, თავიც კოჭობსავით აგიდუღდება... რაც ვიცი, იმას გეუბნები. ეგევე ამბავია ახლა ჩემს თავს. რა ამბავი და, აი რა უცაბედად გაჩნდი. მომავალი ათენელი მოქალაქე. როგორი მოქალაქეც მეც მალე გავხდები. ჯერჯერობით არც სტრატეგსა ჰგავხარ და არც ოლიმპიური ეტლის მწაფველს.. მაგრამ ვინ იცის, ხვალ ვინ იქნები!

ნეტავი, რა გატირებს! სსსუ. სსსუ... ცხოვრებისა ნუ გეშინია. შე ჭიაყელავ, შენა! ვიცი, უბრალო ამბავი არ არის,, — წუთისოფლის დავიდარაბაში გამოგიყვანეს, და არაფერი არ გაგიგება, ვერაფერში ვერ ერკვევი, ისიც კი არ გესმის, მაგ შენს საკუთარ თავს რა უნდა უყო. ჯერ უბრალოდ ერთი საცოდავი ნამცეცი ხარ, გარშემო რომ ადამიანები არიან და საგნებია, შენი ბედიღბალი ამათ ამარია... ბუზმა გაიბზუილა. სოკრატემ ხელი აუქნია, რომ ყრმას სახეზედ არ დასჯდომოდა. აი ბუზის გაქშევაც კი არ შეგიძლია...

ფენარეტეც გამოვიდა. ჯერ კიდევ კანკალებს მღელვარებისგან. მაგრამ კმაყოფილია. ყრმის დედა თავს კარგად გრძნობს. მშობიარობამ თავის რიგზედ ჩაიარა.

— ტირის არა? როგორც სუყველა... — ფენარეტემ ჩვილი ხელში აიყვანა და დაარწია დასაშოშმინებლად. — სუყველა ახალშობილი ტირის. მხოლოდ შენ იცინოდი!

— რაზედ ვიცინოდი, დედაჩემო? — ჰკითხა სოკრატემ.

— აბა, რა ვიცი? — გაიღიმა დედამ. — ალბათ გიხაროდა, რომ წუთისოფელს მოევლინე.

სოკრატე შეჰხაროდა დედას, რომელსაც ხელში ყრმა ეჭირა. რაღა თქმა უნდა, მეც ასე მინანავებდით. ფიქრობდა სოკრატე.

— მე, დედაჩემო, მართლაც მიხარია, რომ გავჩნდი ამქვეყნად. ხანდახან ერთი.... საკვირველი რამ გრძნობა შემიპყრობს ხოლმე: რაოდენ უცნაური შემთხვევითობაა, რომ იმდენ ხალხში, რომელიც ჩვენამდე ცხოვრობდა, და მომავალში იცხოვრებს, მეც გავჩნდი — ისიც მაინცდამაინც დედაჩემის და მამაჩემის შვილად და სწორედ ჩვენს ქვეყანაში! ნამდვილად სულელი ვიქნებოდი, რომ არ მესმოდეს, რა ბედნიერიცა ვარ ჩემი დაბადებით...

ფენარეტე ყრმას არწევდა, და ამ რწევა-რწევაში გრძელი პეპლოსი უფრიალებდა. სინაზეაღბეჭდილი მშვენიერი სახე ჰქონდა.

— ეხლა ერთს გულიანად გადაგკოცნიდი, დედაჩემო! — აღმოხდა სოკრატეს.

— აჰ, შე ოინბაზო შენა! — ღიმილით წართქვა ფენარეტემ. — ნახე, აღარა ტირის. ახლა კარგი ბიჭი ხარ! მალე მამაშენიც მოვა. მოგივლის. რაც თქვენს სახლში საკურთხევლებია, სუყველას მოგატარებს... თვალები შუქმა მოგჭრა არა? თანაც კალათაში თავი უპატრონო გეგონა...

— შენ, დედაჩემო, ყოველთვის იცი, რაც უნდა პატარას, რომელსაც ლაპარაკი არ შეუძლია...

— ასეთმა პატარებმა არც უნდა ილაპარაკონ, — უთხრა ფენარეტემ, — თან ბავშვისთვის თვალი არ მოუცილებია — ადვილი გამოსაცნობია, რაც ამათ უნდათ: ისეთი უბრალო და ბუნებრივი სურვილები აქვთ. ბევრი წყალი ჩაივლის, ვინემ ესენი ცხოვრებას ალღოს აუღებენ. ახალშობილი ყრმა ცარიელი იმედია, მეტი არაფერი. ზოგჯერ ბედი გაუმართლებს, სურვილს აუსრულებს, ზოგჯერაც ღუპავს...

— ბედი? — ნელა წარმოთქვა სოკრატემ

●

სოკრატე მამის ძველსა და ამასწინანდელ ნამუშევრებს ათვალიერებს. სულ ღმერთები, ქალღმერთები, გმირები და სახელოვანი ადამიანები არიან. აი ესქილეს ბიუსტი, დემეტრას თავთავების გვირგვინი ადგას...

რა უცნაური სამყაროს შვილია: დედამისი ცოცხალ ადამიანთ ეხმარება დაბადებაში, მამამისი — ქვისას. სულ ერთი ბეწო ადამიანის შვილი, რომელიც ფენარეტეს დღის სინათლეზედ გამოჰყავს, უძლური ვინმეა, ყველას და ყველაფრის ანაბარაა, ყვირის, ჩხავის, ძუძუს ეტანება. სხვა ჯერჯერობით არცრა შეუძლია.

მამა მოზრდილთ ქმნის, ადამიანსა და ღმერთს, მაგრამ მხოლოდ ერთ მოძრაობას, ერთ გამოხედვას, ერთ გამომეტყველებას ანიჭებს. დიახ, ეს სილამაზეა, ოღონდ უძრავი, გაშეშებული, უცვალებელი. თუნდაც ეს თვით ცეკვის მუზა ტერპსიქორე ანდა ბადროს მტყორცნელიც იყოს, მათგან ყოველთვის უძრაობის სიმშვიდე გეიმზერს, ისინი მოძრაობაში არიან გაყინულნი. ქანდაკება ცოცხალი ადამიანის სახეა — მაგრამ არა იმისი ცხოვრება. ისიც ერთ გარკვეულ გაელვებისას დაჭერილი სახე. გაქვავდა კაცი, მორჩა და გათავდა, ქვა ქვაა.

პაწაწა ადამიანისშვილი, რომელსაც დედამისი მელოგინეს აშობინებს, ისევე უმწეოა, როგორაც ეს მარმარილო. დედამისის ხელს ბავშვები გამოჰყავს — მამამისის ხელს ქვის ბუმბერაზები. რომლის საქმე უფრორე საჭიროა? ორივეხი! დედამისის შრომა სიკეთეა, მაგრამ სილამაზეც ხომ არის ბავშვის დაბადებაში! მამამისის შრომაში სილამაზეა, ჭეშმარიტი სილამაზე, მაგრამ სიკეთეც არის! თუმცა ერთსაც და მეორესაც რაღაც აკლია... აქ ახალშობილია — იქ ქვაა, და ამ მთრთოლვარე ნამცეცსა და ქვაში გაყინულ სახეს შორის მაინც რჩება ხარვეზი. მერედა, რა ავსებს ამ უზარმაზარ ხარვეზს? რა და, ადამიანის ზრდა-განვითარება! იმისი გრძნობები, ინსტინქტები, აზრები, რუდუნება, გარჯა... ყველაზედ უფრო მთავარი, ყველაზედ მნიშვნელოვანი!

ანაქსაგორა უარყოფს ღმერთებს... მაშინ, აბა, ოდენ ადამიანი რჩება. მაგრამ რა ქნას ადამიანმა, უკეთუ საყრდენი დაეკარგა, უკეთუ ზურგს უკან ღმერთები აღარ უდგანან, არ წარმართავენ იმის ყოველ ნაბიჯს დაბადებიდან აღსასრულამდე. რა უნდა ქნას კაცმა უკეთუ მარტოდმარტო თავისი თავის იმედით ყოფნა უწერია! ღმერთი ხომ რაღაც საყრდენია ადამიანისთვის. ანაქსაგორა ადამიანს ღმერთს კიართმევს, მაგრამ სამაგიეროს რაღას აძლევს?

მოსაღამოვდა. სოკრატე მაინც ფეხს არ იცვლის, ღრმა ფიქრში ჩანთქმულა. რა უყოს ამ პაწაწინა კაცის ნაშიერს! ამაზედ, მგონი, ღირს ფიქრი და თავის ტეხა...

— მართალი ხარ, სოკრატე.

ქაბუკი შეკრთა.

— რომელი ხარ? — მიიხედა. — შენა ხარ, ჩემო ქალღმერთო? ვხედავ — შენთა ბაგეთა ზედან ჯერ კიდევ თრთის ჩემი სახელის გამოძახილი... შენს სილამაზეს გაფიცებ, მითხარი: რის ქმნა შემიძლია ამ უმწეოსთვის?

ალერსიანმა სუნთქვამ გაუგრილა შუბლი და არტემიდამ კი არა, შინაგანმა ხმამ მიუგო: „ოდეს ძვალ-რბილში გაგიჯდება იმის ცოდნა, რომ სილამაზე სიკეთეა, ხოლო სიკეთე სილამაზეა, ოდეს შენს გულსა და ტვინში ერთიც და მეორეც ერთმანეთს შეერწყმის, კალოკაგათიად გექცევა, მაშინ მიხვდები, რაც რამ უნდა ქნა".

ლობეზედ სიმონმა გადმოიხედა.

— რაზედ დაფიქრებულხარ, სოკრატე?

— რაზედ და, ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი სიტყვა — კალოკაგათია აღმოვაჩინე და უნდა გაგიზიარო.

13

სოკრატეს თვრამეტი წელი შეუსრულდა და ათენის ალოპეკოსელ მოქალაქეთა სიაში ჩაწერეს, რომელ სიასაც მამამისიც ეკუთვნოდა. სოკრატე ეფებოსი გახდა.

მან სავალდებულო საზეიმო ფიცი დადო:

„არცროს არ შევარცხვენ წმინდა იარაღს და ამხანაგს ბრძოლაში არ დავაგდებ, მარტოც და სხვათა თანაც დავიცავ ყველაფერს, რაც რამ ჩვენთვის წმინდა და ძვირფასია. სამშობლოს სახელსა და ძლიერებას კი არ დავამცრობ, ყოველჟამს ვამრავლებ. ხალისით დავემორჩილები ხელისუფალთ და უკვე დადგენილ კანონთ, აგრეთვე იმ კანონსაც, კვალად რომ დაადგენს ხალხი. უკეთუ ვინმე მოიწადინებს ჩვენთა კანონთა შეცვლას ან დარღვევას, არცვის ამის ნებას არ მივცემ და მეც სხვათა თანა დავიცავ იმათ, ასევე დავიცავ წინაპართა სარწმუნოებას. დაე თავად ღმერთები მყავდნენ მოწმენი!"

დაიცვას ყველაფერი, რაც რამ წმინდა და ძვირფასია, კი არ დაამციროს, გაამრავლოს სამშობლოს სახელი და ძლიერება... ამიერიდან და ვიდრე სამოც წლამდე სოკრატე სამხედრო ვალდებული იქნება, მოვალეა და უნდა შეასრულოს ფიცი ესე, ხელი ხმალს იკრას, ოდეს სამშობლოს დაეჭირვება.

უამისობა კი არ იქნება: ათენის რესპუბლიკა დაუშრომელი მებრძოლია, თავს იცავს და უტევს. იმ დღეს, ოდეს სოკრატე დაიბადა, მან პამფილიაში, მდინარე ევრიმედონტთან დაამარცხა სპარსეთის ლაშქარი და კიდევ უფრო განადიდა ძალა და სახელი თვისი. ძალა და სახელი თვისი განადიდა აგრეთვე ბეოტიისა და ეგინას დაპყრობით, — მაშინ სოკრატე ცამეტი წლისა იყო. მაგრამ ათენის რესპუბლიკას სახელი და ძლიერება დაემცრო ეგვიპტესთან ომში, ოდეს ნილოსის ხეროვისში დაეღუპა ფლოტის უდიდესი ნაწილი. ეს დამარცხება სოკრატემ უკვე მძიმედ განიცადა: მაშინ თხუთმეტი წლისა იყო.

მაგრამ ათენელნი სულით არ დაცემულან, და პერიკლეს რჩევით ახალი სამხედრო გემები აიგეს, უფრორე ძლიერნი და მეტი ოდენობით. მტერი ყოველი მხრით ჩასაფრებოდა ათენს, აქეთ სპარტა, იქით სპარსეთი. თვითონ ათენის მოკავშირე ბერძნულ პოლისებშიც კი დროდადრო ჩნდებოდა იმის მცდელობა, რომ დემოკრატიული წყობილება დაემხოთ და აღედგინათ ოლიგარქოსთა მმართველობა.

ამ დამაბულობაში მთლად უდანაშაულო არც თვითონ ათენი იყო — საზღვაო კავშირის მოთავე, ამ კავშირის მტრისგან დამცველი, ამასთანავე ფრიად მოხერხებული დიასახლისი, რომელიც თავისი დამსახურების სანაცვლოდ ერთიანად აცარიელებდა საერთო ხაზინას. საზღვაო კავშირის წევრნი აღშფოთებული იყვნენ იმით, რომ ათენი მდიდრდებოდა, ძლიერდებოდა, უკეთესდებოდა. თავს თანასწორუფლებიან მოკავშირეებად აღარ თვლიდნენ. გაიძახოდნენ ისინი, ათენი თუ ზღვათა ამაყი დედოფალია, ჩვენ ამ დედოფლის მონები გამოვდივართო...

შინაურ და გარეშე — უკვე ცნობილ თუ ახლად გამოჩენილ მტერთა ესოდენი სიმრავლის მიზეზით ათენს არ შეეძლო არა მარტო იარაღის გვერდზედ გადადება, არამედ გუშინდელი იარაღით დაკმაყოფილება, როგორც ხმელეთზედ, ისე მით უმეტეს ზღვაზედ.

სამხედრო სამსახურს და ყველაფერს, რაც სამხედრო სამსახურთან იყო დაკავშირებული, — აქ სერიოზულად, მტკიცედ, დაუნდობლად ექცეოდნენ. მკაცრად — თვით სიკვდილითაც კი — სჯიდნენ სტრატეგს, რომელიც ბრძოლას წააგებდა.

სიმკაცრე თან ახლდა ეფებოსთა მხედრულ წვრთნასაც. ისინი მწყობრ რიგებად დაძრეს მუნიქიის ციხე-სიმაგრეზედ სალაშქროდ, რომელი ციხე-სიმაგრეც პირეოსის მახლობლად იყო. აქ ახალწვეულთ სამსახური უნდა მოეხადათ და სამხედრო საქმის საფუძველს დაეუფლებოდნენ.

სოკრატე ჩარიცხეს მძიმედ შეიარაღებულ მეომართა, ჰოპლიტთა რაზმში, რომელიც მთელი არმიის ბირთვს წარმოადგენდა და ძირითადად ხმელეთზედ მოქმედებდა, თუმცა ჰოპლიტებს ზღვაზედაც უხდებოდათ ბრძოლა, როცა გემები ერთიმეორის გვერდიგვერდ აღმოჩნდებოდნენ. მეომართა საფარი იყო მუზარადი, მამლის ბიბილოთი დამშვენებული, სპილენძის ჯავშანი, ხის ტყავგადაკრული ფარი, სპილენძის საბარკული. საიერიშო ბრძოლებისათვის ასწავლიდნენ შურდულის ტყორცნას, ორლესული მახვილისა და ხანჯლის ხმარებას.

სამხედრო სამსახურმა — მძიმე ბევრისთვის აუტანელმა ჯაფამ — სოკრატე გააკაჟა და გამოაწრთო. ყოველგვარ გაჭირვებას იოლად იტანდა, სიცხე და სიცივე არ აშინებდა, დიდხანს შეეძლო შიმშილი და უძილობა, ყველაფრით გამოირჩეოდა. ვინ იყო რაზმში პირველი ტანმოვარჯიშე? — სოკრატე. სირბილში, შუბის ტყორცნაში — სოკრატე. ჰოპლიტის ჰოპლიტთან სასწავლო შერკინებაში ისევ სოკრატე იმარჯვებდა. სოკრატეს მოსწონდა, როცა ისინი სიმღერითა და სამხედრო ბუკთა ქუხილით მიმოივლიდნენ ხოლმე ატიკას, თუმცა ხშირად მძიმე და მომქანცველი გზა ედოთ წინ. ბევრი ვერ უძლებდა, ეცემოდნენ. სოკრატე კი მაგრობდა, დაღლას არ იმჩნევდა და სულ იმის ფიქრში იყო, როდის გამოჩნდებოდა ეგილეა, ანაფლისტოსი, ბოლოს, სუნიონი — და ზღვა, უკიდეგანო ზღვა, იმის სამშობლოს მეგობრებთან თუ მტრებთან რომ აკავშირებდა წყლის გზებით, რომელ გზებსაც არც სათვალავი აქვთ და არც რამ ნიშანი, რამეთუ ზღვა ყოველი გემის კიჩოს უკან კვლავ ერთიანდება, ყოველგვარ კვალსა შლის, თვით ზღვა ერთობლივად შერწყმული ერთი უნაპირო გზაა...

მეორე წელს სოკრატე სასაზღვრო ციხე-სიმაგრე ფილეში გადაიყვანეს, ხოლო სამსახურის ვადა რომ დაესრულდა, ათენმა კვიპროსის ქალაქ სალამინ-

თან სპარსელებზედ გამარჯვება იზეიმა. ამ ბრძოლამ ცხადყო, რაოდენ მართალი იყო პერიკლე, როცა სამხედრო ფლოტის მშენებლობას მოითხოვდა...

— სოკრატე შინ რომ ბრუნდებოდა, ბერძენ-სპარსთა ომები დასრულებული იყო. დადგა მშვიდობის ბედნიერი ჟამი, როცა ათენს შეეძლო, რომ შემდგომ კიდევ უფრო გამდიდრებულიყო, გაძლიერებულიყო და შემკულიყო...

გახარებული მიიჩქაროდა სოკრატე, რომ რაც შეიძლება მალე ჩაჰხვეოდა მშობლებსა და კორინას. აი უკვე მიადგა ალოპეკოსის ქუჩებს, ადამიანები რაღაც თვალს არიდებენ... სალამს უგვიანებენ... რა ამბავია? თითქოს უცხო ქალაქში იყოს, შეშფოთებული სოკრატე სირბილით განაგრძობს გზას.

მძლავრად დაჰკრა სარაკუნი თავიანთ ჭიშკარს. დუმილია. არავინ მოდის კარის გასაღებად. სახლს შემოუარა და ყორეზედ გადავიდა. თხის კვიკინი და ჰერკონის ყროყინი შეესმა. შიშმა გაუარა. სახლს მივარდა, რაზა გადასწია: სახლიც ცარიელი იყო. გამობრუნდა, ზღურბლზედ ფეხი გადმოდგა — ეზოში მელისა დგას, მეზობელი მეწაღის ცოლი. ხელში ახალი მოწველილი რძით სავსე ქოთანი უჭირავს, რძე ჯერ კიდევ თბილია, ქაფქაფა.

— თქვენი თხისაა, — გაუწოდა ქოთანი.

— მეც ეგ მინდა! — გაიცინა სოკრატემ. — მოიტა. ტკბილი რძე მომენატრა, ეგებ უცებ ვიგრძნო მშობლიური სახლის გემო ორი წლის უნახავმა.

ქოთანი ერთბაშად გამოცალა. მელისა გადაეხვია და აქვითინდა. სოკრატეს გული შეეკუმშა: რაღაცა საშინელებაა მომხდარი... მელისას მხრებში ხელები ჩაჰკიდა:

— თქვი, მალე თქვი, მელისა!

— მუნიქიაში გამოგზავნილმა კაცმა არაფერი გითხრა?

— არა, მე შორს ვიყავი, ფილეში.

გულამომჯდარმა მელისამ თანდათან უამბო, რა უბედურებაც დაატყდა იმათ ოჯახს. სოფრონისკე და ფენარეტე ციებ-ცხელებას ემსხვერპლა.

სოკრატე გაშეშებული იდგა, აღარც მელისას სიტყვები ესმოდა და ვეღარც საკუთარი თავისა გაეგო რამე. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ რაღაც უაზრო კილოთი ჰკითხა:

— თქვენ როგორა ხართ?

მელისამ თავიანთ სახლისკენ გაიხედა, ყორის გადაღმა რომ ჩანდა, სადაც ზეთისხილი იდგა, და სწრაფად, თითქოს გულგრილადაც კი მიუგო: ყველანი კარგად ვართ. კორინა უკვე ერთი წელია, რაც ეგერსიდეს გაჰყვა და ბავშვიცა ჰყავსო.

დედა, მამა, კორინა. სოკრატე ეულად დარჩა.

14

ჭრილობა სტკივა, არ უცხრება. სამმაგი ტკივილი ჰკლავს — ყოველი დაკარგული სიყვარულის გამო განსაკუთრებული. როგორც თითქმის ყოველი ათენელი, სოკრატეც წარმოუდგენლად მგრძნობიარე იყო მწუხარების მიმართაც და სიხარულის მიმართაც.

რამდენადაც ბავშვურად ბედნიერი იყო მაშინ, ჰუდიში ზეთისხილს რომ კრეფდნენ, იმდენადვე უბედურია ახლა. ადგილს ვერ უპოვის. ხელიდან წასული კაცივით დაბორიალებს ხან წინ, ხან ეზოში, ფეხშიშველაა, ტანთ უკვე კარ-

გა ხნის გასარეცხი ქიტონი აცვია. წვერი გაბურძგნია. მელისას მიერ მოტანილი კერძი კვლავ ხელუხლებელი უდგას.

მელისა ისევ მოვიდა — რძე ამჟავებულიყო, კვერები თაგვებს შეეჭამათ. მეზობელმა ქალმა საშველად შვილს უხმო. ორივეს ერთი სული ჰქონდა. სანამ სოკრატეს ცხოვრებისკენ შემოაბრუნებდნენ. ის კი სივრცეს მიშტერებოდა... ვითომ უსმენს? არა? არა, პასუხს არ აძლევს, კრინტს არ ძრავს.

— კიდევ კარგი, მშობლები არ გიყურებენ! გულიც გაუსკდებოდათ სოკრატე! სიკვდილის შემდეგაც კი არ ასვენებ... ჭამე, ბოლოს და ბოლოს! ხმა მაინც ამოიღე! ზევსიმც დაგლახვრავს!... აჰ, არა, არ გასწიროთ, ღმერთებო! რა იყო? დამუნჯდი?

მეზობელი ქალი გაჯავრებული მიდის.

სიმონი რჩება.

— გუშინ ანაქსაგორამ მკითხა შენზედ, ილისოსზედ როდის გამოვაო. რა ვუთხრა?

დუმილი.

სიმონმა კვერი აიღო, მოკბიჩა, მერე მოტეხა, სოკრატეს ჩაუდო პირში. სოკრატემ პირი აალმაცუნა. უგონოდ ჭამდა თუ მართლა ჭამდა, სიმონს მაინც ესიამოვნა, რომ მდგომარეობიდან გამოიყვანა. იმ დღეს ხალისით კერავდა სანდლებს.

სოკრატე ეზოში დაბორიალებს, ქანდაკებებსა და მარმარილოს ლოდებს შორის. მამის ჩაქუჩს მოჰკრა თვალი, ძირს გდია, ბალახში. აიღო, დახედა და ანგარიშმიუცემლად წახეტიალდა შინ. ხელ-პირი არც დაუბანია, ისევე დაწვა, ძილ-ბურანში...

დილით დედის მაგივრად სიმონი გამოცხადდა, კვერი და რძე მოუტანა. ისევ ისე დაუწყო ჭმევა, როგორც გუშინ: ერთი ლუკმა მე და ერთი ლუკმა შენა... თან ლაპარაკობდა, ენად გაიკრიფა, და სულაც არ ცდილობდა იმის გაგებას, უსმენდა თუ არა სოკრატე.

— კორინას არ უნდოდა ეგერსიდეზედ გათხოვება, ტიროდა, ბებიასთან გაიქცა სოფელში. მამამ ძალით წამოიყვანა უკან... სულ იმას ამბობდა: „სოკრატე მიყვარსო..." ცოტა მოსვი რძე, ცოტა კიდევ! დაივიწყე რაც იყო. აი დედაჩემმა გარეცხილი ქიტონი გამოგიგზავნა, მე კი სანდლები შეგიკერე. ხომ შენი ზომაა? აბა, გაისინჯე!

სოკრატემ მხოლოდ ახლა გამოაგო ენა:

— ჩემს მდგომარეობაში აღარც არაფერი მინდა, ისედაც ადამიანს ძალიან ცოტა რამ სჭირდება, სულ უსანდლებოდაც ვიელი. მაგრამ მართლა კეთილი ვინმე ხარ, სიმონ...

— პერიკლესთან წახვალ? ხომ ამბობდი — როცა დავბრუნდებიო...

— არა, მოქანდაკეობა აღარ მინდა.

სიმონს შეეშინდა კიდეც.

— როგორ? რა თქვი? რატომ არ გინდა?

სოკრატე ჩაქუჩს მიაჩერდა, სკამზედ რომ იდო:

— აბა, უმამაჩემოდ რა უნდა ვიმუშაო? თან ამ ჩვენს ეზოში დაყრილ ქვებს რომ ვუყურებ, სულ ის მაგონდება...

— მაშ, რას იზამ?

— არ ვიცი.

ხანგრძლივი დუმილი.

სიმონი დაბნეული ინაცვლებს ფეხს.

— შენ რა, მეგობრებთან დალაპარაკება აღარ გინდა? ყოველდღე შენს ამბავს კითხულობენ...

სოკრატემ არაფერი უპასუხა. სიმონი წავიდა. ის კი თითქმის მთელი დღე ლოგინზედ იყო ჩამომჯდარი. ვახშამზე ისევ სიმონმა აჭამა. მერე უთხრა

— წამო, რაღაც უნდა გაჩვენო.

სოკრატე ეზოში გაიყვანა. გალავანზედ, როგორც მტრედები ლავგარდანზედ, სულ იმისი მეგობრები ჩამწკრივებულიყვნენ. არავინ ხმას არ იღებდა. მხოლოდ უყურებდნენ. სოკრატემ თვალი მოარიდა — მზერა დაენისლა.

სიმონმა წყნარად ჰკითხა:

— შენ რა, ტირი?

სოკრატემ მიუგო:

— სისულელეებს ნუ მელაპარაკები, სადგისო!

გაბრუნდა და შინ შევიდა.

მეორე დღეს დილით სიმონი და სოკრატე დიდხანს იდგნენ სოფრონისკეს და ფენარეტეს საერთო სამარესთან დუმდნენ.

— რამე დავდგა მშობლების სამარეზედ. მარმარილოსი... — წყნარად უთხრა სიმონმა.

— რა სასტიკი რამ არის ბედი, — გამოეხმიანა სოკრატე. — რა დააშავეს ამისთანა? მამაჩემი კეთილი და სამართლიანი კაცი იყო. მთელი სიცოცხლე პატიოსან შრომაში გაატარა. ახლაც ჩამესმის ყურში იმისი ჩაქუჩის ხმა. ახლა დედაჩემს არ იკითხავ?! ქვეყნად ყოვლის უფრორე ალერსიანი ქალი. ათასობით პატარის დედა. სიცოცხლის მიმნიჭებელი — და აი, თვითონ მოიცილა სიცოცხლით სავსე... რისთვის? რა ბოროტების გულისთვის?

საფლავზედ ნარგიზები ყვაოდნენ. ქორფა ყვავილები...

— ვინა რწყავს ამ ნარგიზებს?

— აბა, მე რა ვიცი? ვისთვისაც კი ერთხელ მუხლი მოუყრევინებია, ის ქალები სულყველანი დადიან. ყვავილებსაც ისინი უვლიან და ტაბლასაც იმათ მოაქვთ.

დედაჩემისა დარჩა ნათელი ხსოვნა, როგორც სიცოცხლის მიმნიჭებლისა. მამაჩემისა დარჩა ქანდაკებანი, ბარელიეფები, — მშვენიერების ნაწილაკები. ორივესგან დავრჩი მე, ორივემ ყველაფერი მისცა ათენს, რისი მიცემაც კი შეეძლოთ. მე რაღას მივცემ?

სასაფლაოდან დაბრუნებული სოკრატე გულდათუთქული მიეგდო ლოგინზე. ვიცი, რასაც ვიზამ. ჩავგმანავ ფანჯრებს, ავჭედავ კარს, ცოცხლად დავიმარხავ თავს!

— ეგ არა ქნა!

სოკრატე გაირინდა. შეშინებულმა მიმოიხედა. ვინ დაუძახა: „ეგ არა ქნაო?" მოესმა კი არა, გარკვევით გაიგონა!

— არა, ვიზამ! — გაკერპდა და გაშმაგდა სოკრატე. — არ გამოვალ აქედან! ჩავიკეტები! აქ დავილპები!

— ნუ იზამ მაგას! — უკვე ბრძანებით გაისმა იგივე ხმა.

სოკრატე საწოლზედ მოიკუნტა და დილამდე თვალი არ მოუხუჭავს.

მეგობრები კარებთან ელოდნენ, როდის დაგვიძახებსო.

— მას შემდეგ, რაც თავს უბედურება დაატყდა, აღარ შეიძლება მასთან ხმაურითა და აურზაურით შეჭრა, — თქვა კრიტონმა. — წინათ სხვა იყო, ლობე-ყორეზედ რომ გადმოვხტებოდით ხოლმე.

დაუჯერეს.

სიმონისაგან იცოდნენ, რომ სოკრატეს ხელი ჰქონდა ჩაქნეული, შინ და კედელ-ყურეში ლანდივით დაბორიალებდა, ამიტომ არ ელოდნენ, რომ იმის ნაბიჯის ხმას გაიგონებდნენ; — ხმას ელოდნენ იმისას.

ის უეცრად გამოჩნდა. ადრე შინაგანი შუქით გასხივოსნებულ სახეზედ ახლა რუხი ფერი გადაჰკროდა, გაუპარსავი იყო, კაეშნის ნაოჭები დასტყობოდა, ლოყები ჩასცვივნოდა, აღარც გამოხედვა ჰქონდა ძველებურად ალერსიანი, ძველებურად გამჭრიახი.

— შემოდით, — უთხრა წყნარად და სათითაოდ გადაკოცნა ყველანი.

მარმარილოს ლოდებზედ ჩამოსხდნენ, როგორც ორი წლის წინათ. ბევრი არაფერი შეცვლილიყო — მხოლოდ რამდენიმე ნაჭერი მარმარილო აკლდა და აღარც ის ნაპერწკლები იფრქვეოდა ძველებურად, უწინ ამ სახლში აღმაფრენის სულისკვეთებას რომ აღანთებდა, თუმცა იმ ნაპერწკალთ ვინც აფრქვევდა, ახლაც წინ უზით — არა სულით მტკიცე და ძლიერი, როგორც ადრე, არამედ მოშვებული, მოხრილი; წელან ქვებს შორის ამოსული ბალახი რომ მოწყვიტა, იმისი ღერო პირში ჩაუდვია. და ღეჭავს.

მეგობრებმა ახალ ამბებზედ ჩამოუგდეს სიტყვა. სოკრატე მარმარილოს ფილას მიშტერებოდა. ესმოდა, რასაც ამბობდნენ, მაგრამ ბუნდოვნად. თითქოს ღრუბელი უშლიდა ხელს, თავზედ რომ ჩამოსწოლოდა და არ იფანტებოდა. საყვედურის ღრუბელი, კაეშნის ღრუბელი, რომელიც ყველაფერს ნთქავდა, რაც კი რამ მასში სიცოცხლეს ესწრაფოდა...

ვითომ რატომ გავურბოდი მამაჩემს, როცა ერთად უნდა გვემუშავა?

რატომ სწორედ უკანასკნელ ხანს გავუჩინე ჩემს მშობლებს დარდი, ვაითუ უპირო და დაბნეულ კაცად გაგვეზარდოსო?

კრიტონი მხარზედ შეეხო:

— გვისმენ თუ არა, სოკრატე?

უსიტყვოდ დაუქნია თავი, მაგრამ ღრუბელი, რომელიც ყველაფერს ნთქავდა, რაც რამ ნათელი იყო მასში, არ იფანტებოდა. ამისთანა რა შიში ჩავუნერგე სულში, — შიში, რომ ჩემგან არაფერი გამოვიდოდა, რომ ტვირთად დავაწვებოდი, უსაქმური, უხეირო შვილი ვეყოლებოდი, — ის იყო, უნდა გაეშალა ფრთები გასაფრენად, და მიწაზედ მიჯაჭვული დავრჩი...

— რაც შენ გადაგხდა, საშინელებაა, შენთან ერთად განვიცდით ყველანი, — ეუბნებოდა კრიტონი.

— შენი მწუხარება ჩვენი მწუხარებაა, სოკრატე, — დაუმოწმა პისტიასმა.

— ყველა ჩვენგანისა, — დაასრულა კრიტობულმა.

— შენ მაინც არ გვისმენ! — უკვე უფრო მკაცრად უთხრა კრიტონმა.

...შეშფოთებულნი სულ იმას მეჩიჩინებოდნენ: იშრომე, ილვაწე, უსარგებლო რამეებზედ ნუ კარგავ დროსო... ახალგაზრდობის ქარაფშუტობისაც

თავისი საზღვარი აქვს! ვიცი, ვიცი, დედაჩემო, — ზომიერება, ზომიერება ყველაფერში, სოფროსინე...

— ეჰ, ვინ იცის, როგორ გჭირდებოდი, საწყალო მამაჩემო, როცა ძალ-ღონემ გიმტყუნა, მკლავში ძალა რომ გამოგელია! როგორ გჭირდებოდით ორივეს, ციებცხელებაშეყრილთ!

— მადლობა, სიმონ, მადლობა დედაშენს, — წყნარად წარმოთქვა სოკრატემ.

პირველად ეუბნებოდა მადლობას მეზობლებს — ამდენი რომ იზრუნეთ ჩემი დედ-მამისთვის! ჩვენი სახლისთვის, თვით ჩემთვისო...

მაგრამ სიმონის პასუხი აღარ გაუგონია. ისევ ისე იწამებდა თავს. რატომ ვერ შევძელი კორინასთვის იმის თქმა, რომ დამლოდებოდა! განა ჩემი ხელით არ გადავუხადე ეგერსიდეს საღებავიან კასრში?

კრიტონმა თავი ვეღარ შეიკავა და მრისხანე კილოთი უთხრა:

— შენი ტკივილი ჩვენი საკუთარი ტკივილია. ასე განვიცდით ყველანი, ვისაც აქ თავი მოგვიყრია. მაგრამ შენ ხომ ჩვენს შორის ყველაზედ ძლიერი ხარ! ნუთუ ეს შენა ხარ, სოკრატე? არა, სოკრატე არასოდეს არაფრის წინაშე ქედს არ იხრიდა! ერთს იტყოდა, ასე მინდაო, და ყველაფერი ისე ხდებოდა. ახლა, ჩანს, თავი აღარა გაქვს, რომ შენებურად შესძახო, მინდა, სიცოცხლე მინდაო. მწუხარებამ დაგჯაბნა და დაგკრუნჩხა. ეს არის შენი ზომიერება, ის სოფროსინე, რასაც ჩვენ ჩაგვაგონებდი?

სოკრატემ თვალი მოაცილა ქვას, გაოცებით მიაპყრო მზერა კრიტონს:

— ნუთუ მართლა?

— არა, ერთი შეხედეთ ამას! — შესძახა კრიტონმა. — მეკითხება კიდეც! ვითომ არ იცის, რასაც შვრებოდა! რატომ უარობ? ან იქნებ დღეს უკვე მნიშვნელობა აღარა აქვს იმას, რასაც გუშინ გვიხსნიდი?!

— ნუ მიჯავრდები, ძვირფასო კრიტონ, — მშვიდად უთხრა სოკრატემ. — ნამდვილად არ მახსოვს, რომ ვინმესთვის რამე ჩამეგონებინოს. ისე, მეც არ მაწყენდა სიკეთის ფესვის ჩანერგვა...

მეგობრები დიდად გაოცებულნი იყვნენ მისი ამ გამონათქვამით, მაგრამ სოკრატე განაგრძობდა:

— დედაჩემი ხშირად მაგონებდა ხოლმე, საჭიროა, რომ ადამიანი ზომიერებას იცავდესო. სოფროსინე... ამ სიტყვას ძალიან ლამაზად წარმოთქვამდა. და ალბათ ამიტომ თქვენც ჩაგაგონებდით ჩემებურად. მე კი ნაკლებად მივდევდი დედაჩემის ნათქვამს. ხომ არ დაგავიწყდა, კრიტონ, პირეოსის ბუნაგი?

კრიტონის ფაქიზ სახეზედ სიწითლემ გაიელვა.

— დამავიწყდა! და გახსენებაც არ მინდა. სამაგიეროდ, სოკრატე, შენ იმას ივიწყებ, რისი დავიწყებაც არ შეიძლება! რას დაჰპირდი პერიკლეს და ფიდიას?

— ქარიტები? — წარმოთქვა სოკრატემ ნელა, თითქოს შინაგანი ხედვის წინაშე სიხარულის ქალღმერთები კი არა, შურისმაძიებელი ერინიები დაუდგნენო.

— დიახ, ქარიტები! — კრიტონმა გაუღიმა მეგობარს. — მიხარია, რომ გაიხსენე.

და კრიტონმა უამბო სოკრატეს, იგერ უკვე წელიწადზედ მეტია ათენში ყველა მშენებლობას ფიდია უდგას სათავეში. აკროპოლისზედ ღლენიადაგ ეზიდებიან მარმარილოს, იქაურობა ჭიანჭველების ბუდესა ჰგავს, იმდენი ხე-

ლოსანი, ქვისმთლელი და მოქანდაკე ირევაო. ზოგი ათენელია, ზოგიც მოსულიაო... კრიტონმა სიტყვა „მოსული“ უსაკუთრესად, ანუ ხაზგასმით თქვა.

— ფიდიამ მამაჩემს უთხრა შენზედ: სოკრატე რაღაც არა ჩანსო, ეტყობა, ეს სამუშაო აღარ იზიდავსო.

— სწორი უთქვამს, აღარ მიზიდავს! — წარმოთქვა [illegible] კორინა მოაგონდა. — ახლა ვერც შევძლებ...

— რატომ? — ჰკითხა სიმონმა. — ის შენი ძველებური „მინდა“ რა უყავი? კრიტონი მართალია, შენ ის სოკრატე აღარა ხარ.

კრიტონმა ყველას მრავლისმთქმელი მზერა მოავლო, მხოლოდ სოკრატეს მოარიდა თვალი.

— ამას უკვე ვეღარავინ დაძრავს ადგილიდან, გაქვავებულია ამ მარმარილოსავით. ნეტავი გამაგებინა, კიდევ ათენელია თუ აღარ არის ათენელი?

— რაო, რა თქვი?! — აღშფოთებული წამოვარდა სოკრატე. — მე მეუბნები?! შენ მეუბნები, კრიტონ?

— თუ გეუბნები, სიმართლეს გეუბნები! — მაგრად უთხრა კრიტონმა და მეგობრებს მიუბრუნდა. — წავიდეთ. ხელს ნუ შევუშლით. რახან ასე უნდა, იყოს თავის სასოწარკვეთილებასა და მარტოობაში. წავიდეთ, მეგობრებო!

ერთად წამოიშალნენ, გაეცალნენ. მხოლოდ სიმონმა მიიხედა ერთხელ, მერე ისიც მეგობართ მიჰყვა.

სოკრატეც წამოდგა. დიდხანს იდგა ირგვლივ მიმოყრილი ლოდებით, ქანდაკებებით, ტორსებით, ქვის ხელებით, ფეხებით, თავებით გარშემორტყმული და თითქოს ამ მარმარილოს ნამსხვრევებითვე გზაშეკრული. ბინდდებოდა. სოკრატეს კი ეჩვენებოდა, შუქი მატულობსო. თეთრად ქათქათებდა მარმარილო, ცა ნათდებოდა ქალაქის მხარეს ქვა-ყორის თავზედ...

უეცრად სოკრატე ქვაზედ შეხტა, ლოდ-ლოდ გადაირბინა ეზო, ჭიშკარი გააღო და დაიყვირა:

— კრიტონ! სიმონ! კირებოს!

და თითქმის ადგილზედ გაქვავდა.

რამეთუ ყორის მიღმა დგანან ისინი ყველანი — კრიტონი, სიმონი, კირებოსი, პისტიოსი, ქსანდროსი, ლავროსი... გაოცებული შესცქერის სოკრატე. ვერანაირად ვერ გამორკვეულა მოულოდნელობისაგან. მერე შეამჩნია: კრიტონს თვალები უცინოდა — მაშინვე ყველაფერს მიხვდა. გაშმაგდა:

— მასხარებო! ჩემი გაპამპულავება მოინდომეთ! ცხვირი კატის კნუტივით ძალით ჩამაყოფინეთ რძეში არა? დამცინი ხომ, კრიტონ, რაკი დამთხვეულივით ვსლაშავ?

— ვითომ რა, ცუდად გამოგვივიდა? შენი „მინდასი“ არ იყოს, დღეს ჩვენ ყველამ ერთად ვთქვით, „გვინდაო“. დიახ, მართლა მოგვინდა! — უკვე მთელი ხმით იცინის კრიტონი, მეგობრებიც ყვერს უკრავენ.

სოკრატე თვალთაგან ელვას აფრქვევს:

— უსაქმურებო! ლაზღანდარებო! უხეიროებო! მაშ სოკრატე უკვე სოკრატე აღარ ვარ, არა? ათენელიც კი აღარა ვარ, არა? მაშ ორივე ყურით დაყრუებულვარ და ეს არის. ყრუს აბა როგორღა შესმის ღამ-ღამობით იმ ხმის ძახილი, აქ ცოცხლად თავის დასამარება რომ ამიკრძალა?...

სოკრატეს თვალები ელვიან, ლაწვებზედ სისხლი მოსწოლია. ხელი შეუმართავს. ახლა ხმას არ იკითხავთ? ისევ ის თავისი მელოდიური, ლამაზი,

ძლიერი ხმა აღუდგა, მკაფიო ხმა, მხურვალებითა და ქარით ზევსის მეხით შეზავებული.

— როგორც შეგირდს, ისე გინდათ რომ მიკარნახოთ, არა? ყველა დემონს ერთად ვფიცავ, ყველაზედ უკეთესად ვიცი, ვინც მეძახის! ჩემი ათენი მიხმობს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტონმა გაიცინა და უწყინარი უბრალოებით მიუგო:

— მაგიტომაც გელოდით, — ჩვენც შენთანა ვართ.

— მაშ, აქ რას ავტუზულვართ? წავედით, ბოლოს და ბოლოს უნდა მივესალმო ჩემს ათენს! — და უცებ გაიცინა სოკრატემ. — ისე, ეშმაკურად კი მომდევთ ანკესი — თანაც მე, ვისაც თავად მიყვარს ანკესის გადაგდება.

ყველა ერთად გაუდგა გზას.

— ჰეი, სოკრატე! —შეუძახა პისტიოსმა. — კარს არ ჩაკეტავ?

— რატომ უნდა ჩავკეტო? ქურდი ჩემთან არ შევა. დრო კი არ იცდის!

## პირველი ინტერმედია

„მეოთხედმა საუკუნემ განვლო. ორმოცდახუთი წლის სოკრატემ დაივიწყა კორინა და შეიყვარა ქსანთიპე, კერამეიკონელი მეთუნის ახალგაზრდა ასული"...

კარი ერთბაშად გაიღო, და ჩემს კაბინეტში სოკრატე შემოვიდა.

— გაუფრთხილებლად შემოვდივარ, რადგან შემოსასვლელში არ არის მონა, რომელიც ჩემს შემოსვლას გაცნობებდა, თანაც აღშფოთებული ვარ...

მე თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ უკანასკნელი სიტყვები არც გამეგონოს, და სრული გულმხურვალებით მივესალმე ძვირფას სტუმარს.

— მთელი ამ ჩავლილი საუკუნეების განმავლობაში ბევრ ვინმეზედ არ დაწერილა იმდენი, რამდენიც ჩემზედ. ერთი ტაშს მიკრავს, მეორე მისტვენს და ფეხებს მიბაკუნებს, როგორც უხეირო მიმოსს. ის მადიდებს, ეს მაგინებს... ძაღლსა ვფიცავ! ხომ ვერ გაერკვევი ყოველივე ამაში, თუ დამატებით იმასაც დავძენ, რომ თვითონ მე არაფერი დამიწერია?

— მაგიტომაც ვარ ასე გახარებული, სოკრატე, რომ მეწვიე...

— დაიცა! როცა გავიგე, რომ ჩემზედ რომანის დაწერას აპირებ, თანაც როცა ამიხსნეს, რაც არის რომანი, რომელშიაც თურმე ავტორს ყველაფრის თავის ნებაზედ აღწერა შეუძლია...

— არა, მთლად ეგრე არ არის, — ვცადე შეკამათება, მაგრამ სოკრატემ არ დამაცალა.

— ...ჩემს თავს ვუთხარი შენზედ: მიდი, მიხედე, გაესაუბრე-მეთქი...

— მერედა, ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარე.

— მაგრამ ჯერეთ უნდა გეჩხუბო! აღშფოთებული ვარ!

— რატომ, ძვირფასო სოკრატე?

— რატომ და, ჩემი ყურით გავიგონე, როგორ ელაპარაკებოდი საკუთარ თავს...

— ბოდიშს მოგიხდი: ცუდი ჩვეულება მაქვს...

— ეგ ჩვეულება მეცა მქონდა, — ხელი ჩაიქნია სოკრატემ, — მაგრამ საქმეზედ ვილაპარაკოთ. რაც რომ ჩემზედ იმ ამბამდე დაწერე, ოდეს ჩემმა ათენმა მიხმო და მეც მეგობართა თანხლებით აგორაზედ ავედი, თანახმა ვარ. მაგრამ მეორე ნაწილის იქავე დასაწყისში — რამ დაგაწერინა, ვითომც კორინა და-

შევიწყებინოს! საიდან რა აიღე მე ჰიპერბორეელო? არასოდეს! ის ხომ ჩემი პირველი სიყვარული იყო, პირველი სიყვარულის დავიწყება კი არ ეგების. მართალია, მან თვით ხელოვნებაც კი მომიწამლა... სიცოცხლის სიხარული მომაკლო, ის პირობა, რომ ათენის პროპილეები ქარიტების ქანდაკებებით უნდა შემემკო, გულს მიმძიმებდა, მაგრამ დრო ყოველ მახვილზე უკეთ კვეთს გორდიას კვანძს. მე ვგრძნობდი, რომ კორინა ახლაც კი უფრო ჩემი იყო, ვიდრე აყროლებული მღებრისა. ეგერსიდემ ის შრომის უღელში შეაბა, როგორც თავისი მეხუთე მონა, მე კი მასში ქალღმერთს ვხედავდი, ერთს კი არა — ერთბაშად სამ ქალღმერთს? თანაც ასეთი სწორედ მაშინ ვიხილე, — ოდეს ის ყოვლის უფრორე მშვენიერი იყო, — და ასეთად დარჩება ჩემში სამუდამოდ.

— პროპილეებზეც სწორედ აგრეთი ალამაღლე!

— კი — მაგრამ შენ არ იცი, რა შორს ვიყავი ამ ამბისაგან, როცა სამხედრო სამსახურიდან დავბრუნდი. ფიდიამ ნახატები შემიქო: კარგიაო, მითხრა. იმისი ქების მოსმენა ჩემთვის სასიამოვნო იყო, მე ხომ უმალ გულით ვხატავდი, ვიდრე ხელით, — მაგრამ იქვე განმიცხადა, ფრიზი მოიცდისო, და ისერიგად დამავიწყებინა რბენა, როგორც რომ მწევარმა მელას!

სოკრატე სავარძლიდან წამოდგა, კაბინეტში იხვივით აჯა-ბაჯა ნაბიჯით გაიარ-გამოიარა; შიშველ ფეხისგულებს მძიმედ ატყაპუნებდა პარკეტზე, სიარულში ლიბადა უფრიალებდა, მიმოდიოდა და თან მზესუმზირას აკნატუნებდა, ჩენჩოს პირიდან ფანჯრის რაფაზე ჩამწკრივებულ ყვავილების ქოთნებში ყრიდა, თავისი გადმოკარკლული თვალებით შემომხედა:

— ნეტავი გენახა, რა დღეში მაგდებდა ფიდია! მეუბნებოდა: მოქანდაკეობა თუ გინდა, ნამდვილი იყავიო! უბრალო ქვისმთლელი კი არა, ხელოვანი იყავიო. აი, ჯაფა ის იყო თუ იყო — უსასრულო ორთაბრძოლა ქვასთან... სამისოდ კი მაშინ ბევრი შესაძლებლობა გვქონდა — ათენის თავზედ მარმარილოს მტვრის ღრუბელი იდგა...

— რა შესაძლებლობაზედ ლაპარაკობ, ძვირფასო სოკრატე?

— ძალის გეფიცები! მარტო გაიხსენე: კვიპროსზედ, სალამინთან ჩვენი გამარჯვების შემდეგ უეცრად ზავი, სპარსეთის ომების დასასრული. შეგიძლია იმის წარმოდგენა, თუ რას ნიშნავდა ეს ათენისათვის? ბატონობა ზღვაზედ, კუნძულებზედ, ნავსადგურებზედ, საზღვაო ვაჭრობა, სიმდიდრე!

სოკრატეს გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე რთულ ამოცანას ვწყვეტდი: როგორ შევუწყებინა მკითხველისათვის ის ყოველივე, რაც ამ ორი ათეული წლის მანძილზედ მოხდა, რაც გარდახდა უწინარეს ყოვლისა თვითონ სოკრატეს, მერე ათენსა და მთელს ელადას. და აი თვითონ სოკრატე ამასვე მეკითხება! კაცმა რომ თქვას, ხომ შეიძლება, რომ ვისარგებლო შემთხვევით და იმ წლების ამბები მკითხველისათვის ვაამბობინო ყველაზედ უფრო სარწმუნო წყაროს: უშუალოდ თვითონ ჩემს გმირს!

მეც ავდექი და ვთხოვე სოკრატეს, გვიამბე-მეთქი, რაც ყველაზედ უფრო მნიშვნელოვან მოვლენად მიგაჩნია იმ შორეულ საუკუნეში, როდესაც შენ თვითონ ცხოვრობდი-მეთქი.

უზაკველ ფილოსოფოსს ბევრი არ უხვეწნინებია: მზესუმზირას კნატუნით მომითხრობდა, მეც ვიდექი და ისე გულმოდგინედ ვიწერდი, რომ ჩემს კალამქვეშ ქაღალდს ლამის ბოლი ავარდნოდა:

— პერიკლეს ბრძოლა თუკიდიდესთან, არისტოკრატთა ბელადთან, ოსტრაკიზმით დასრულდა — თუკიდიდე ათენიდან განდევნეს მთელი ათი წლით.

დემოკრატიამ გაიმარჯვა არისტოკრატიასთან ბრძოლაში. რა თქმა უნდა, ბეცოდინება, რომ დემოკრატიას საძირკველი სოლონმა ჩაუყარა. ჩვენი საუკუნისთვის ეს სასწაულის თანაბარი მოვლენა იყო. კლისთენემ ამ შენობის კედლები აღმართა, ხოლო პერიკლემ გააფართოვა და დაამშვენა.

— თავდაპირველად ალბათ მრავალთა წინააღმდეგობას წააწყდა — გავბედე სიტყვის ჩართვა.

— ოღონდაც! დღემდე ცოცხლად მახსოვს, როგორ დუღდა ყველაფერი ათენში. აბა მდიდართ რად მოეწონებოდათ, რომ პერიკლე იმათართმევდა, მდაბიოთ უმატებდა ობოლოსებსაც და ძალაუფლებასაც? არ მოეწონებოდათ — თავს მიქნევ და მართალიც ხარ.

სოკრატემ მიამბო, რომ პერიკლეს სურდა მდიდართა და უქონელთა შორის შეუწყნარებელი სხვაობის მოშლა. უქონელთა დაცვით ის ათენის ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ ძლიერებას ამაგრებდა.

თეატრებში უფასოდ შესვლის შემოღებით ხალხს საშუალება მისცა, რომ გაეფართოებინა თავისი ჰორიზონტი, აემაღლებინა განათლების დონე, გაეუმჯობესებინა ზნეობანი, გაძლვიძებოდა ათენის სიყვარული.

რაც მოწყალებად, ძღვნად, ქველმოქმედებად ჩანდა, სინამდვილეში სარგებლობა მოჰქონდა მთელი საზოგადოებისთვის, რასაც უბრალო სანახაობა ერქვა, ხალხის სულს ამაღლებდა.

— შენის ფიქრით, რა აცოფებდათ ყველაზედ მეტად არისტოკრატებს? — ფულის, ძალაუფლების თუ ავტორიტეტის დაკლება?

— ვფიქრობ, ერთიც, მეორეც და მესამეც, — მივუგე მე.

სოკრატეს გაეცინა:

— ერთნაირად? არა! ყველაზედ მეტად ისინი ბრაზობდნენ სახალხო კრებაზედ, ჩვენს ეკლესიაზედ. პერიკლემ ეკლესია უმაღლეს პოლიტიკურ ინსტიტუციად აქცია. თვეში ოთხჯერ იკრიბებოდა ეკლესია პნიქსის გორაკზედ და ხალხი კენჭისყრით წყვეტდა ყველა მნიშვნელოვან საქმეს. პნიქსი მდიდართა საფრთხობელა გახდა. იქ ხომ იმათი საქმეც წყდებოდა, რაც ზეგავლენას ახდენდა იმათ შემოსავალზედ, იმათ ოდინდელ ძლიერებაზედ. პერიკლეს ბევრი რამისა უნდა შინებოდა — არა მარტო იმ არისტოკრატებისა, რომელნიც აშკარად ეწინააღმდეგებოდნენ, არამედ უფრო საშიში იყო უჩინარი მტერი — ორგული ავისმდომი, დადიხარ ათენში და საეჭვო თითქოს არაფერია, სინამდვილეში კი ან აქ, ამ ვილაში, ან იქ, მეორეში, თავჩაღუნული ბჭობს ცხრა კაცი, თერთმეტი კაცი... არც არავინ იცოდა, რაერთი ასეთი შეთქმული, ჰეტერიებად სახელდებული პნიქსის მდიდარ ოლიგარქთა რაერთი ბრბო იყო ქალაქში, საიდუმლოდ რომ შეფიცულიყვნენ, რათა დაემხოთ დემოკრატია და ხელთ ეგდოთ ძალაუფლება...

— ნუთუ პერიკლეს არ ეშინოდა იმათი? — გამიკვირდა მე.

— ვერ გეტყვი. იქნებ ეშინოდა, იქნებ არა — ყოველ შემთხვევაში, უკან მიუხედავად მოქმედებდა, — სოკრატემ მელოტ თავზედ გადაისვა ხელი. — ერთი ახირებული ხასიათი ჰქონდა, თითქმის გატაცება: საფრთხე უყვარდა. ხოლო ხალხთან ერთად იმათ წინააღმდეგ ყოფნა, ვინც მაღლაა, საშინლად სახიფათოა.

— ის ათასობით ტალანტი, რაც მშენებლობაზედ დაიხარჯა? ეკლესიამ რა, ხმა მისცა ამას? ეს ხომ პოლისების — საზღვაო კავშირის წევრების წინააღმდეგ გადადგმული სახიფათო ნაბიჯი იყო: საერთო ხაზინა, საიდანაც

პერიკლე ფულს იღებდა, იმათი შესატანიდან ივსებოდა. ან იქნება ვცდები?

— არა, არა. არა ცდები, ეკლესიამაც გაიგო, რომ ეს სახიფათო თამაში იყო, მაგრამ არ დაგავიწყდეს — პერიკლე დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ცეცხლოვანი ორატორი გახლდათ. სახალხო კრება მიიმხრო არა იმის აღწერით, თუ რა მშვენიერი უნდა გამხდარიყო ათენი, არამედ იმ სარგებლობის აღნიშვნით, რასაც ამ მშენებლობიდან ათენელი ხალხი მიიღებდა. რაც უფრო იმატებს ათენის სილამაზე, მით უფრო ამაღლდება ხალხის კეთილდღეობა, ყოველი მოქალაქის ცხოვრების დონეო. აი რით მოიპოვა ხმები და თანაც აღტაცებული ხმები.

შემდეგ სოკრატემ — თვითონაც აღტაცებულმა — მომითხრო, თუ როგორ აღძრა, აამოძრავა პერიკლემ მთელი ათენი, მთელი ქვეყანა ზღვიან-კუნძულიანად. ყველაფერი ამოძრავდა! პერიკლე ზედიზედ ცხადდებოდა სახალხო კრებაზედ ახალ-ახალი წინადადებებით: აეგოთ გრძელი გალავანი, გაეფართოვებინათ პირეოსის ნავსადგური, გაეზარდათ ტრიერების რიცხვი და — ეშენებინათ, ეშენებინათ.... „ხახვისთავა ოლიმპიელს“, თქვა სოკრატემ, თუმცა ყველაზედ მეტად ხელოვნება და ფილოსოფია უყვარდა, მაგრამ სულაც არ იყო ფუჭი მეოცნებე. ორივე ფეხით მძლავრად იდგა მიწაზედ და ფიქრობდა ათენის, მთელი ატიკის ეკონომიკურ ძლიერებაზედ.

სოკრატე ისევ სავარძელში ჩაჯდა, ფეხები მოხერხებულად გაჭიმა და განაგრძო:

— მარტო წარმოიდგინე, რა გამოცოცხლება გამოიწვია ოდენ პართენონის მშენებლობამ! საჭირო იყო მარმარილოს მოპოვება პენტელიკონზედ, დატვირთვა, წამოღება, აკროპოლისზედ მიტანა, დამუშავება; ახლა ტყე — ძვირფასი ლიბანის კედარი, აფრიკული სპილოს ძვალი... პერიკლემ სამუშაო მისცა ხალხს ზღვაზედ და ხმელეთზედ. ყველა ხელოსანს: მთეგავთ, ქვისმთლელთ, მოქანდაკეთ, მხატვართ, ფეიქართ — განა ყველას ჩამოვთვლი? ვისაც სალი ხელ-ფეხი და რაღაცის უნარი ჰქონდა, პერიკლემ სუყველას საქმე გაუჩინა! მთელ ქვეყანაში აგროვებდა — და ისევ მთელ ქვეყანას უბრუნებდა. — სოკრატე წამოდგა, თავისი დიდი ძლიერი ხელები გამომიწოდა და მითხრა: — აი მეც ამ ხელებით ვედექი მხარში მთელი გატაცებით, ვმონაწილეობდი დიდებულ შრომაში. და ვამაყობ ამით. დაწერე მანდ შენს წიგნში!

მე განცვიფრებული ვიყავი იმ სურათით, ძველმა ფილოსოფოსმა რომ დამიყენა თვალწინ. და გაოცებულს აღმომხდა:

— უჩინებულესი კაცი იყო პერიკლე!

— დიახ, მაგრამ პატივმოყვარე და დიდების მაძიებელი გახლდათ, როგორც ალკმეონიდების წყეული გვარის ყოველნი კაცნი. სოფროსინე ავიწყდებოდა! — სოკრატემ თავისი საოცრად მხიარული სიცილით გაიცინა. —სოფროსინე დიადი სიბრძნეა კაცობრიობისა, მაგრამ რომელ ჩვენგანს არ დავიწყნია ხშირად? შენ რა, მაგალითად, არ დაგვიწყნია? მომიბრუნდა კითხვით.

— ცხადია, ძვირფასო სოკრატე! ყოველ ნაბიჯზე ვცოდავ სოფროსინეს წინააღმდეგ, თუმცა სიბერეში შევდივარ...

— სიბერეზედ ნურაფერს მეტყვი! — გადაიხარხარა სოკრატემ. — მე შენზედ ხნიერი ვარ ოცდაოთხი საუკუნით!

სიცილით გული რომ ვიჯერეთ, მან მიამბო, დროდადრო როგორ ეწვეოდა ხოლმე ასპასიას წრეს, სადაც სახელოვანი მხატვრები და ფილოსოფოსები დადიოდნენ, იქ გაიცნო ევრიპიდე, იქვე დაიწყო იმათი დიდი მეგობრობა. ანაქ-

საგორას სოკრატე მუდმივად ხვდებოდა. ფილოსოფოსმა უკვე დაწერა, რომ ოდესღაც ილისოსის ნაპირზედ სოკრატეს ღმერთებზედ ესაუბრებოდა. და იმისი ხელნაწერების ერთი ჩაწილი საიდუმლოდ გადადიოდა ხელიდან ხელში. ვრცელდებოდა ურწმუნოება, თუმცა იმავე დროს შენდებოდა ათენის დიდებული ტაძარი, პართენონი, ხოლო ურწმუნოებას კანონი წინანდებურად დევნიდა და ვისაც ღმერთი არა სწამდა, სიკვდილით ისჯებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი ქარიტები, მოძღვარო? — ჩემდაუნებურად „თქვენობით" მივმართე, და სოკრატემ მაშინვე შემაწყვეტინა:

— როგორ მელაპარაკები? რამდენი სოკრატე გიზის წინ? უცნაური ჩვეულება გაქვთ აქ ჩრდილოეთში! კარგი, კარგი! ნუ მებოდიშები. ქარიტებზედ მეკითხები? უკვე იმედსა ვკარგავდი, რომ ოდესმე გამოვაქანდაკებდი. კიდევ იმასა ვშიშობდი, ვაითუ ფიდიას წყრომა დავიტეხო-მეთქი თავს — იმას არ უყვარდა, სუყველას საუბარს რომ გავუბამდი ხოლმე და გულის შიგნიშიგან მიძინებულ მართალ აზრებს ვუღვიძებდი...

ერთხელ ასეთი შემთხვევა მქონდა: მოზაიკურ სამუშაოზედ ორი ძმა დააყენეს, და იმათ გასამრჯელო ვერა და ვერ გაიყვეს. უფროსი უყვიროდა: ქურდი ხარო! ყვირილით არც უმცროსი აკლებდა, ქურდი მე კი არა, შენა ხარო. ჰოდა შეიბნენ. ერთმა თითი მოიტეხა, მეორემ ცხვირი გაიტეხა. აბა, ამისთანა სისაზიზღრეს შეიძლება რომ კაცმა გულგრილად უცქიროს?

— გააჩნია, ვინ იქნება მაყურებელი, — ვუპასუხე მე. — თუ სოკრატეა, ვერ უყურებს!

— აჰა, მაშ უკვე მიცნობ, — გაიცინა. — მეც ავდექი და ჩავერიე. მოჩხუბარნი შევარიგე, თორემ ისეთ ღლეში ჩაჰყრილნენ ერთმანეთს, ვერც იმ ერთ ობოლოსს იშოვნიდნენ, რისთვისაც ჩხუბობდნენ. შემდეგ კი სულში ჩავუძვერი ჩემი შეკითხვებით, თანაც ისე ღრმად, როგორც ბებიაქალი შედის ხოლმე მშობიარის წიაღსა შიგან.

უფროს ძმას ვაღიარებინე, საერთოდ მოვალე ვარ, რომ უმცროს ძმას თანასწორად ვუყოფდე, მაგრამ ჩემს წილად მეტს ვიღებო. აღიარებით უმცროსმაც აღიარა, აბა რა მექნა, რაც ჩემს ძმას მეტი ჰქონდა აღებული, ნამდვილად მოვპარე, რომ თანაბარი შრომისთვის გასამრჯელო სწორად გამოგვსვლოდაო. უფროსი თავს იმით იმართლებდა, დიდი ოჯახი მაქვსო, უმცროსი კი იმით, ოჯახის შექმნა მინდაო.

ჩამოვუდექი და გავმართე ბჭობა ამ დახლართული საქმისა გამო, ირგვლივ კი მთელი ბრბო მოგროვდა — ქვისმთლელნი, მხატვარნი, მოზაიკის ოსტატნი, მონანი, ზედამხედველნი, თანაც თავთავიანთი ცოლებით... როგორც კი ყველაფერი სანახაობად გადავაქციე, ხოლო მოჭიშპე ძმები — ამ სახელდახელო სანახაობის მსახიობნი გავხადე, იმ კაი დედმამიშვილთ სამართლიანობაში შეჯიბრება დაიწყეს: ყოველნი კაცნი ერთიანი კეთილშობილებისა და სამაგალითო ძმური სიყვარულის მოწმენი გახდნენ! ადგა უფროსი ძმა და დაუბრუნა უმცროსს ფული, აჰა, ცოლი მოიყვანე, ოჯახს მოეკიდეო. უმცროსმა კი ისევ ძალით ჩაუდო ჯიბეში, შენზედ უფრო უპრიანია, ოჯახი გყავს სარჩენიო. ტრაგედიიდან, რომელიც შეიძლებოდა რომ ძმაკაცობით დამთავრებულიყო, გამოიჩეკა სალმრთო სანახაობა, და, ვისაც ყურებისა და მოსმენის უნარი ჰქონდა, ყოველთ ხარხარი ატეხეს იმისა გამო, რაც რამ ჩემგან მომხდარი ამბავი მოიხილეს. ზედდატანებით ფიდია მოვიდა: „რა იყოთ ბიჭებო, რატომ არ მუ-

შაობით", და თვალი რომ შემავლო, წარმოთქვა: „აი თურმე რა ხდება, ისევ სოკრატეა შუაში!".

მე კარგად ვერ ავუხსენი, აქ უჩემოდ დანაშაული მოხდებოდა-მეთქი. ძნელია სიკვდილზე ლაპარაკი...

ხშირად სულ იმის შიშში ვიყავი, რომ ფიდია ერთხელაც გამიწყრებოდა ამდაგვარი წარმოდგენებისთვის, როცა ხალხს ჩემს საშეანო ხელოვნებას ვუჩვენებდი ხოლმე, მაგრამ არ მაგდებდა. ქარიტებისათვის მიფრთხილდებოდა.

სოკრატემ ნერწყვი გადაყლაპა.

უკვე ოცდაათისაზე მეტისა ვიყავი, ოდეს პროპილეების აღმართვა დაიწყეს, და ფიდიამ მითხრა: „აჰა მარმარილოს სამი ნაჭერი, გამოძერწე ქალღმერთნიო!"

ქარიტები წარმატებით დავასრულე, და კიდეც მოათავსეს პროპილეების შესასვლელის თავზედ, შუაგულში. ფიდიამ პერიკლე იხმო — ნახეო. ისიც მოვიდა თავის მეგობართა და მრჩეველთა თანხლებით, მე კი სიმონის პირით კორინა დავიბარე. არ ვიცი, ისიც ერია თუ არა იმ ხალხში, სახელმწიფოს მმართველს უცებ რომ შემოეხვია, ვგონებ — არა: სიმონმა როგორღაც მითხრა, შენი ნახვა არ უნდაო, გასქელდა და ქალიშვილიც თითქმის ისევე მოზრდილი და ლამაზი ჰყავს, როგორიც ოდესღაც თვითონ იყოო. ასე რომ — არა ეგერსიდესი, არამედ ჩემი კორინა ამაღლდა პროპილეებზედ, რომელთა გავლით ათასობით ადამიანი შედის აკროპოლისში და შეჰხარის მოცეკვავე ქალღმერთებში განსხეულებულ პირველ სიყვარულს ჩემსას...

მერმე არცრაზედ ვამბობდი უარს, რაც რამ საქმე ჩნდებოდა, ოღონდ მე და ფიდიამ უფრო მოვუმატეთ დავას, და ჩემი ცხოვრება უფრორე მწვავედ იყოფოდა ორად — აქ თავისი სხივოსანი ღიმილით გაიღიმა. — რა თქმა უნდა, ხვდები, რად და რად!

— მესმის, — ვუპასუხე — ჩვენ, ჩეხებს, გვაქვს ერთი XIV საუკუნის პოემა, რომელსაც „სულისა და სხეულის დავა" ჰქვია.

— ძაღლსა ვფიცავ! კარგი რამ მითხარი! იმას, რაც ჩემში ხდებოდა, შეიძლება რომ „ქვისა და კაცის დავა" ეწოდოს, — გაეცინა. — გამოცანა გეკუთვნის, მეგობარო. აბა, მითხარი ერთი, განა შემეძლო, რომ იქ, მაღლა, აკროპოლისზედ ვმჯდარიყავი და მარმარილო მეთალა იმ დროს, როცა დაბლა, სტოა პოიკილეში, ანუ თქვენებურად ფრესკებით მოხატულ პორტიკში, სიტყვის წარმოსათქმელად მოვიდოდა რომელიმე სოფისტი — ვთქვათ, პროტაგორა ან გორგია? ისინი ხშირად ჩამოდიოდნენ ათენში. აბა შემეძლო, რომ არ მომესმინა იმათთვის? გახსოვს, ჯერეთ კიდევ მამაჩემი მეჩხუბებოდა ხოლმე: ან საჭრეთელი და მარმარილო — ან „ყვავების თვლაო", როგორც ის ეძახდა ჩემს სწრაფვას მეცნიერებისკენ! მაგრამ ახლა ყველაფერი უფრო გართულებული იყო. ახალი ფილოსოფია გაჩნდა! ყველაფერს გაფაციცებული ვუყურებდი და ყურებდაცქვეტილი ვისმენდი — ყურები კი მეც ისევე დიდი მქონდა, როგორც ჩემს ძველ მეგობარ პერკოსს, რომელიც შემდეგ მეზობელს ვაჩუქე, ჰუდის მკვიდრს. უმჯობესი იყო იმასთან ცხოვრება, ვიდრე ჩემთან დატანჯულიყო ათენში, სადაც ასე მოუვლელი მყავდა... ანაქსაგორას მსგავსად, ხსენებული ორი ფილოსოფოსი სოფისტიც, პროტაგორა და გორგია, ღმერთების არსებობას უარყოფდნენ. სწორედ ამან მიმიზიდა. თანაც რა ერქვათ ახლა: სიბრძნის მასწავლებელნი! მოვედით, რათა ვასწავლოთ, განვანათლოთ ყოველნი კაცნიო... გესმის? ყოველნი ათენელნიო! მეც ხომ, [illegible]

ვფიცავ, იგივე მსურდა, განსწავლისკენ მივისწრაფოდი! არა მარტო მატერიამ, სამყარომ და ატომებმა, ფილოსოფოსნი ადამიანმაც დააფიქრა. გულში ჩიტი მიფრთხიალებდა, და მთელი ჩემი გულმოდგინებით მზად ვიყავი, რომ თავი დამედო პროტაგორასთვის, რომელმაც წარმოთქვა: „ადამიანი ყოველი საგნის საზომიაო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოკრატემ გაიცინა.

— მართალია, მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ უმცროსი თაობის სოფისტნი ისწავლიდნენ თეთრის შავად შეღებვას, ისწავლიდნენ ნებისმიერი დებულების განსჯას როგორც კარგის, ისე ავის გაგებით და პროტაგორას ამ ბრწყინვალე ფორმულასაც უკუღმართად მოექცეოდნენ. მაგრამ ამაზედ კმარა, ახლა წარმოიდგინე: ჩემმა ბევრმა ძველმა და ახალმა მეგობარმა, ახალგაზრდებმა — ალკიბიადემ, ევკლიდემ, კრიტიამ — თავიანთ თავს „სოკრატეს მოწაფეები" უწოდეს, „სოკრატელები ვართო", ამბობდნენ და არაფრის გულისთვის ხელს არ იღებდნენ თავიანთ ნათქვამზედ. მოდიოდნენ ჩემთან, დამყვებოდნენ აგორაზედ, ბაზარში, იქ კი ყოველთვის მელოდა ხალხი, რომელსაც ჩემი რჩევა ესწირვებოდა. ის ხალხი პორტიკის კიბეებზედ ისხდა ხოლმე, სად ჩვეულებრივ ყოველნაირნი მაოცარნი იყრიდნენ თავს, სად ჟღერდა კითარები, და მოცეკვავე ასულნი წინ და უკან დარბოდნენ, როგორაც ასოები პაპირუსზედ, ოდეს დამწერს ხელები უკანკალებს. ის ასულნი საგანგებოდ შეერჩიათ საამისოდ, ყველანი მოხდენილნი და ოინბაზნი, ჩამდვილნი ჯადოქარნი იყვნენ. მაგრამ საკმარისი იყო ჩემი გამოჩენა — ხალხი მაშინვე მე შემომეხვეოდა ხოლმე და მაოცართ ისლა დარჩენოდათ, გუდა-ნაბადი აეკრათ. სოკრატე მოვიდაო, — ყვიროდნენ, სახილველს ახლა იხილავთო, გართობა ვისაც გინდათ, აქეთ მოგროვდითო.

სოკრატემ თვალი თვალში გამიყარა:

— რაღაც გაოცებული ჩანხარ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო. ალბათ ფიქრობ, სად სოკრატე, სად გართობაო, არა? გართობა იმათ უჩემოდაც არ აკლდათ, თუმცა მე იმათი გართობა სულაც არ მიფიქრია. მივადგებოდი რომელიმეს, ჩავაცივდებოდი და მანამ არ მოვეშვებოდი, სანამ ნიღაბს თვითონ არ ჩამოიგლეჯდა. ის ნიღაბი კი ბრძენს გამოსახავდა და ბრიყვსა ფარავდა. მაყურებელთ სწორედ ეს ნიღბის ჩამოგლეჯა მოსწონდათ მეტისმეტად, ვიდრე საქმე სხვებს ეხებოდა. აი ხომ ხედავთ, ძმებო, ყვიროდა ზოგიერთი, ვისაც რა გაქვთ ჯიგარში, სოკრატე, სულ ერთია, საყველას გადმოგაპირქვავებთო. გინდა ნებულოსს მიადგეს, გინდა ტუბულოსს, ოღონდ მე თავი გამანებოსო, იძახდა მავანი ქილიკი კაცი და თავი ისე მოჰქონდა, ვითომ ჩემგან რამე უნდა ესწავლა — სამაგიეროდ თუ თვითონ იმას მივდგებოდი, ახლა სხვები იცინოდნენ, ვინმე დოყლაპიები. წეღან უკვე გითხარი, რომ რჩევისთვის მომმართავდნენ სრულიად სხვადასხვანაირი ამბებისა გამო: ხან სავაჭრო, ხანაც სასამართლო და საოჯახო საკითხებზედ. მაგალითად, ზოგიერთი იმასაც კი მეკითხებოდა, როგორ უნდა შევარიგოთ ფიცხი ქმარი და კაპასი ცოლიო, და, ღმერთებმა უწყიან, კიდევ რას არ მეკითხებოდნენ. მეც ვიდექი და ვურჩევდი, როგორც შემეძლო, არც სერიოზულ რჩევას ვამადლიდი, არც მხიარულს, ოღონდ ყოველთვის უსასყიდლოდ... თუმცა არა! არა ყოველთვის! ვინ იცის, რამდენჯერ სილაც უჭმევიათ და წიხლიც დაუზელიათ! რა დასამალავია — ერთხელ ვიღაც დედაკაცმა ერთი ვედრო მკვდართევზნაყარი აყროლებული წყალი გადამასხა. ახლაც მაყრიალებს! მაგრამ სულ ცუდს ნუ იფიქრებ, კარგიც ბევრი

შემხვედრია: ზოგიერთი მაშინვე ვერ ხვდებოდა, კარგს რომ ვურჩევდი და ხან გამლანძღავდა ხოლმე, ცემასაც კი მპირებდა, მერე კი, გაეხედავდი, და თავის მხსრელად მსახავდა. მე სრული უფლებით შემიძლია იმის თქმა, რომ ხალხს ვუყვარდი, თუმცა ზოგჯერ სრულიად არასახარბიელო სახელსაც მეძახდნენ: ჭკუის კოლოფიო, ამბობდნენ ან სულაც ოინბაზობას სახელსა მდებდნენ. მაგრამ ზედ სიტყვა „ჩვენს" აყოლებდნენ: „ჩვენი ჭკუის კოლოფიო", „ჩვენი ოინბაზიო", ერთი ზეთისხილის გამყიდველი იმასაც მეუბნებოდა: უშენოდ ათენი ვერც წარმომიდგენიაო. აი სწორედ აქ იყო ლოდი შებრკოლებისა: მე მინდოდა ქვევით, აგორაზედ ვყოფილიყავი, ფიდიას კი უნდოდა, რომ მაღლა, აკროპოლისზედ ვენახე. ერთი სიტყვით, ქვებიდან ცოცხალი ადამიანებისკენ მიმიწევდა გული...

— ვიცი, — ჩავურთე სიტყვა, — შენი სახელი ყოველ წუთს იზრდებოდა, იზრდებოდა ხალხის სიყვარულიც. ყველგან ნანატრი სტუმარი იყავი — წარმოდგენილი მაქვს, როგორ ელოდა ხოლმე ხალხი შენს გამოჩენას...

— ...ახალი ხორციელი სახით, — ირონიულად ჩაიქირქილა სოკრატემ. — დიახ, უწინდელი მკვირცხლი ჭაბუკი კი აღარ ვიყავი, არამედ წვერებმოშვებული ლიპიანი, ბუკულა, ტუჩებგადმობრუნებული და მელოტი, ჰა-ჰა-ჰა!

— მაგრამ ყოველთვის მიმზიდველი და შეუპოვარი, მოუგერიებელი, — ასე დაგახასიათა ალკიბიადემ კალიკლოსის ცნობით!

— მშვენიერი დრო იყო... შთამომავალთ იმ დროს „ოქროს საუკუნე" უწოდეს, და, ვგონებ, მართალნიც არიან. დედამიწა მაშინ ყოველთვის უხვად მოგვანაყოფიერებდა: ზეთისხილსა და ქერს, ზუსტად ასევე — ხელოვნებას, ცოდნას, შემეცნების წყურვილს... ყველაფერი ნაყოფს იღებდა, თანაც დიდებულს, როგორიც ჰესპერიდების ბაღის ოქროს ვაშლებია. პერიკლემ განახორციელა თავისი ოცნება: ათენი ნელ-ნელა ხდებოდა ელადა ელადაში, მაშინდელი მსოფლიოს კულტურული ცენტრი. სასურველი სინამდვილედ იქცა.

სოკრატემ ამოიოხრა.

— მაგრამ თანდათან ამაღლების ამ ეპოქას რაღაც სიმყავემ დაუწყო ჭამა, რომელი სიმყავეც ოლიგარქიულ ჰეტერიათაგან ვრცელდებოდა. ვიდრე პერიკლე ჯანზედ იყო, ის სტრატეგნი ხელყოფას ვერ უბედავდნენ, მაგრამ როცა დაბერდა და დასუსტდა, იერიშზედ გადავიდნენ — ჯერეთ იმათ შეუტიეს, ვინაც იმისი ერთგული იყო, შემდეგ და შემდეგ კი თვითონ პერიკლესაც მიუხტნენ...

სოკრატე დადუმდა, კითხვებზედ პასუხს აღარ მაძლევდა, უძრავად იდგა, სივრცეს აშტერდებოდა. ამან შემაშფოთა, მაგრამ მომაგონდა, რომ ეს იმისი ძველი ჩვეულება იყო — თუნდაც რამდენიმე დღე და ღამე შეეძლო ფიქრებში წასულს ერთ ადგილას დგომა.

ახლა გონების თვალით ალბათ პერიკლეს ტრაგიკულ აღსასრულს უახლოვდება. ვინ იცის, იქნებ დილამდეც იდგეს ასე? მე კი სულაც არ მინდა, რომ დუმდეს: ჩვენ ხომ მხოლოდ ახლა შევეხეთ იმ მოვლენებს, რომელთაც ეგზომ დიდი მნიშვნელობა აქვს ათენისა და თვითონ სოკრატეს ბედ-იღბლისთვისაც...

მაგრამ მალე მობრუნდა ჩემკენ და შემომღიმა:

— ერთხელ როგორღაც ვზივარ პერიკლესთან — იქ მხოლოდ ასპასია იყო, სხვა არავინ... პერიკლე ჩემი თხოვნით მომითხრობდა პონტოს-ევქსინოსისკენ სამხედრო ხომალდების თანხლებით თავისი მოგზაურობის ამბავს.

უეცრად ჩვენთან ტირილით შემოვარდა ასე თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილი. სახე მოღრეცოდა, აჭრითლებული იყო, მოქარგული ქიტონიც კი ცრემლით დალტობოდა. პერიკლემ თხრობა შეწყვიტა და ზრუნვით ჰკითხა ბიჭს, რა ამბავია შენს თავსო. ის კი მაინც ქვითინებდა, და თანაც ისე ღრიალებდა, თითქოს ხორცებსა სჭრიანო.

— ვინ იყო? — ვკითხე მოუთმენლად.

— ალკიბიადე, წეღან თავად რომახსენე.

— პერიკლეს ძმისწული და ალკმეონიდების ახალი იმედი, —ჩურჩულით ვთქვი.

სოკრატემ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და პომხდარი ამბის თხრობა განაგრძო — შეშფოთებული პერიკლე და ასპასია ჩასძიებოდნენ ყმაწვილს, გაგვაგებინე, რა შეგემთხვა, რა მოგივიდაო, ის კი თურმე ისევ ღრიალებდა, ქვითინებდა, ფეხებს აბაკუნებდა და ვერანაირად ვერ მშვიდდებოდა. მაშინ სოკრატეს უკითხავს, იცი თუ არა, რომ მამაკაცისთვის ერთ-ერთი უდიდესი სათნოება სოფროსინეაო? ალკიბიადეს შეუღრენია: „ვიცი! შენ გინდა, რომ გავჩუმდე; აღარ ვიტირო, მაგრამ ნეტავი გაცოდინა, რა ლამაზია, რა საყვარელიაო! მიველ მოვეფერე; დრუნჩში ვაკოცე; იმან კი თავი ჩაჰკიდა და სევდიანი თვალები მომაპყროო“.

ასპასია მიმხვდარა, რომ ლაპარაკი იყო ალკიბიადეს საყვარელ კვიცზედ და შეწუხებულს უკითხავს: „ავად ხომ არ არის შენი ონიქსიო?“ „ავადა მყავს, ავადო!“ — ზლუქუნით უპასუხია ბიჭს. „ეგ ცუდი ამბავია, ჩემო კარგო ბიჭოო“, — თანაგრძნობით უთქვამს ასპასიას და წაწეულა, რომ ალიკბიადე გულში ჩაეკრა, მაგრამ იმას თავი აურიდებია და უფრო მწარედ ატირებულა.

— ხელი ხელში ჩავჰკიდე, — განაგრძო სოკრატემ, — მაგრად ჩავჰკიდე, რომ ვერ გამსხლტომოდა. „შენი ფიქრით კვიცს ვითომ ტირილით რამეს უშველი მეთქი?“ იმან ბრაზიანად დამიბრიალა თვალები, მაგრამ მომისმინა. „მეცა მყავდა ერთი საყვარელი ჩოკინა-მეთქი, — განვაგრძე, პერკონი ერქვა-მეთქი. ერთხელ ავად გამიხდა და მე თვითონ მოვარჩინე, ვნახოთ იქნებ შენი კვიციც მოვარჩინო-მეთქი“.

ამ შემთხვევამდე ალკიბიადე არაერთხელ შემხვედრია პერიკლეს სახლში, მაგრამ თითქოს არც მამჩნევდა, ახლა დამიჯერა, დაწყნარდა. ცრემლი რომ მოიწმინდა, გამოჩნდა, რაოდენ მშვენიერი ყმაწვილი იყო. არცრა ერთი ციცქნა ისეთი ხინჯიც კი არ ჰქონდა, სოლცარ სილამაზეს რომ დაურღვევდა, ავი თვალით არ ინახვოდა იმისი მომხიბლავი სახე გრუზა თმის ჩარჩოში. ვარსკვლავებივით მოციაგე თვალები, ტანი წერწეტი, ვითარცა ალვა, ელადაშიც კი, სადაც ამდენი ლამაზი ჭაბუკია, ალკიბიადე სასწაული იყო.

გამჭრიახი მზერით შემათვალიერა მელოტი თავიდან შიშველ ტერფებამდე, უეცრად თვალები გაუბრწყინდა, მომვარდა, დამიჩოქა, ფეხებზედ მომეხვია ყვირილით: „დიახ! შენ, სოკრატე, შენ, იხსნი ჩემს ონიქსს! მალე წამომყევი, შენი თვალით უნდა გაჩვენო!“ — „დაიცა ცოტა ხანს, ჯერ ერთი რამ უნდა გკითხო...“ „მკითხე, ოღონდ მალე!“ „ვინ გიჭმევს ონიქსს?“ — „მონა დურთა, თრაკიელი, მაგრამ იმას უყვარს ონიქსი!“ — „მეტი არავინ?“

ალკიბიადე დაიბნა. „ხანდახან მეც... გუშინ საღამოს, მაგალითად...“ — „მერე, მერე, რა მაგალითად?“ — „ცოტა ბოლოწო ვაჭამე... უყვარს! იცი, რამდენი ჭამა?“

„კმარა, — გავუღიმე ყმაწვილს. — საკმარისია. შიში ნუ გაქვს, არ დაი-

ლუპება შენი ონიქსი. შინ რომ წავალ, პერიკლე თავაზიანობას გამოიჩენს, მონას გამაყოლებს, მე იმას ფესვებს გამოვატან, — აქ ასპასიას მივუბრუნდი. — ერთი მწიკვი ერთ ქვაბ მდუღარეში უნდა ჩაიყაროს, გაცივდეს და ჩაისხას როფში, საიდანაც კვიცი წყალსა სვამს. — მერე ისევ ყმაწვილს ვეუბნები: — სამჯერ დღეში და ასე ზედიზედ სამი დღე ამ ჩნის განმავლობაში სხვა არაფერი აჭამოთ, ნახავ, როგორ გამოკეთდება".

ამ ეპიზოდს რომ იგონებდა, სოკრატეს დიდხანს ტუჩებში ეცინებოდა, ხოლო ჩემს წარმოდგენაში ასეთი სურათი დამეხატა: სილენეს ფერხთით დაჩოქილა ლამაზი, განებივრებული, ჰირვეული ბიჭი; თავდაუჭერელი, აზირებული ბიჭია, სოკრატეს მუხლებს უკოცნის, ორივეს გული ერთიმეორისკენ მიუწევს, თუმცა — ყველაფრით ერთიმეორის საწინააღმდეგო ხასიათისანი არიან, მხოლოდ ჯადოსნური მეტყველებითა და ხმით ჰგვანან ერთმანეთს, და იმათ შორის, მიუხედავად ბედის ყველა უკუღმართობისა, საოცრად მშვენიერი, მტკიცე მეგობრული ურთიერთობა მყარდება...

და მივხვდი, რაც მოხდა იმ წუთას.

პერიკლე ყურადღებით ადევნებდა თვალს ორივეს, განსაკუთრებით ალკიბიადეს უეცრად მოზღვავებულ სიყვარულს სოკრატეს მიმართ. ის მაშინვე მიხვდა, რომ აქ ისეთი ერთგულება მყარდებოდა, რომელსაც უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა, ვიდრე კვიცის განკურნებისთვის მადლობის თქმა არის,

პერიკლემ იცოდა, რარიგ აფასებდა ანაქსაგორა სოკრატეს, რარიგ უყვარდა ის ათენის უბრალო ხალხს, და იფიქრა, სოკრატეს ის თვისებები აქვს, ალკიბიადეს რომ აკლია, თავმდაბლობა, სიფხიზლე, დაჟინება. სოკრატე თავისი ზომიერებით ალბათ ერთადერთია, ვინც ამ ეშმაკის ფეხს მოათვინიერებსო, გაივლო პერიკლემ გულში.

სოკრატე კი ღიმილით განაგრძობდა თხრობას:

— ანაზდად პერიკლე მომიბრუნდა: „ძვირფასო სოკრატე, ხომ არ გინდა, რომ ალკიბიადე დაიმოწაფო?" უკიდურესად გაოცებულმა ვუპასუხე: „მერედა, მე რა უნდა ვასწავლო? ვერც გავბედავ, მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი... იქნებ ანაქსაგორამ..." — „ანაქსაგორა მოხუცდა, შემედავა პერიკლე, ამ ბიჭის თავი არა აქვს. არაფერი ვიცით" ტყუილია, თავს იკატუნებ. ცოტას დაგითმობ, სხვანაირად გეტყვი: ალკიბიადეს მეგობრობა გინდა?"

უყოყმანოდ ვუპასუხე: „მეგობრობა — სიამოვნებით". ყმაწვილი შეხტა და შემოტრიალდა: „კი, კი!" და გადამეხვია, სულითა და გულით გახარებული: „მეც მინდა შენთან მეგობრობა!" მართლაც, იმ დღიდან ალკიბიადე სულ ჩემთან იყო, მეძახდა, ერთად ვჭამდით, ვსაუბრობდით, ნაბიჯის გადადგმაც არა სურდა უჩემოდ. ხშირად მეუბნებოდა, როცა შენ ჩემთან ხარ, მე კარგი ვარ, უშენოდ კი მაშინვე ბოროტი დემონები მეუფლებიანო...

სოკრატე შორს, საუკუნეების მიღმა იღიმებოდა, უთუოდ ხედავდა შინაგანი ხედვით იმ დღეს, ოდეს მან, ადამიანის სულის სულ უფრო ამაღლების ჟინით შეპყრობილმა, უმალ მოიპოვა ამ ლამაზი ამპარტავანი ბიჭის სიყვარული.

— რაც უფრო იზრდებოდა ალკიბიადე, — განაგრძობდა ძველი ფილოსოფოსი, — მით უფრო ხიბლავდა ადამიანებს თავისი სახით... და თავისი სიგიჟით. მრავალი მამაკაცი და ჭაბუკი ოცნებობდა იმასთან დაახლოებას, ეპირფერებოდნენ, ეტმასნებოდნენ, ისეთი მლიქვნელებიც კი გამოჩნდნენ, რომლებიც ჩააგონებდნენ, სახელითა და დიდებით პერიკლესაც კი დაჩრდილავო.

მაგრამ ალკიბიადე ყველას იშორებდა. ასე ჩამოიცილა ერთხელ ანიტე, მდიდარი მეტყავე, რომელიც შემდგომ ათენის სათავეში აღმოჩნდა.

ჩემთან კი, პირიქით ალკიბიადეს განუყრელად უნდოდა ყოფნა. ჩემგან იმითაც კმაყოფილი იყო, რომ სულაც არ ვაქებ-ვადიდებდი, ღირსებებს არ ვუზვიადებდი, ხან ვლანძღავდი კიდეც მანკიერებისთვის. ხშირად მეუბნებოდა: „შენ, ჩემო საყვარელო სოკრატე, ყველაზედ უფრო [illegible] მიკეთებ. მოთმინებით მიქექავ ნაკლოვანებებს, ვითომც რწყილიანი ძაღლი ვიყვე და ბალნიდან რწყილს მაყრევინებდე. ნუ გიკვირს, რომ აგრე როგად გეტმასნები და გებღაუჭები. სხვა გზა არა მაქვს — ეს რწყილები მწარედ მკბენენ!" სავარცხელი კი ძალიან წმინდაკბილა მქონდა.

ამ ამბავს რომ იგონებდა, სოკრატე თან იცინოდა.

— ამბობენ, ალკიბიადესთან მეგობრობის დროს თითქოს შენი სახელდიდების ნაწილს იმას უთმობდი, — შევნიშნე მე.

სოკრატე მოიღუშა.

— არ მიყვარს საგნების ცალმხრივად განსჯა! მეც მეცემოდა ალკიბიადეს დიდების სხივი, მეც მონაწილე ვხდებოდი იმისი ძველი გვარის დიდებისა, იმისი დამატყვევებელი უშუალობისა და თავაწყვეტილობისა.

უცებ ისევ გაეხსნა შუბლი, გაიცინა:

— აბა, როგორ ფიქრობ! ათენელთა თვალში მეც არანაკლებ ახირებული კაცი ვიყავი, ფეხშიშველა წვეროსანი, მუდამ ერთსა და იმავე ტილოს ქიტონში გამოხვეული, ჰიმატიონწამოსხმული, რომელსაც იმდენად ცოტა რამ მოთხოვნილება მქონდა, რომ გლახაკიც ვერ შემედრებოდა, — და აი ვიდექი ეს ახირებული კაცი და ყველასთვის სიკეთე მსურდა — ბაზრის მდაბიო ხალხით დაწყებული ვიდრე მდიდართა გაყვინიზებულ შვილებამდე, რომელთაც თავი პირველ სტრატეგებად წარმოედგინათ... შენთან ისევე გულახდილი ვიქნები, როგორაც ჩემიანებთან ვიყავი, უცხოელო.

— ძალიან გთხოვ მაგ გულახდილობას.

— მაშ, მომისმინე, ალკიბიადეს ნდობა, რაც შემდეგ გულითად სიყვარულში გადაიზარდა, ჩემთვის იმხანად პატივი და დიდი სიხარული იყო, მაგრამ იმისგან უარყოფილნი თაყვანისმცემელნი, იმისი სიყვარულით ჭკუას რომ კარგავდნენ, მოსისხლე მტრები გამიხდნენ და უსაზღვროდ შემიძულეს ამ სიყვარულისთვის.

— როგორც ანიტემ, — ჩავურთე, — ის ხომ, ძვირფასო სოკრატე, შენი დაუძინებელი მტერი იყო სიცოცხლის ბოლომდე...

— ჩემი და თავისი სიცოცხლის ბოლომდე, — შემაწყვეტინა სოკრატემ. — მაგრამ ახლა არ მინდა ამ ამბის გახსენება...

— კიდევ მიამბე ალკიბიადეზედ, ძვირფასო სტუმარო! გაიხსენე თქვენი აგრე როგად სულ სხვადასხვა და მაინც ერთიანად მიმზიდველი ორი პიროვნების სიყვარულის ამბავი, თქვენი, რომელთაც ათენის ისტორიაში ესოდენ დიდი კვალი დატოვეთ.

სოკრატემ განაგრძო:

— სოფროსინე? გაგიგონია! ალკიბიადე სოფროსინეს არაფერში არ მისდევდა, თუმცა კი ცდილობდა. ასევე იყო ჩემდამი მისი სიყვარულის ამბავი. პოტიდეაში უიღბლო ლაშქრობის ჟამს თავი მოიკლა, გინდა თუ არა ერთ კარავში უნდა ვიცხოვროთ და გვერდიგვერდ უნდა ვიბრძოლოთო. ბევრს უკვირდა, ამხანაგად რატომ უფრო კეთილშობილი გვარის კაცი არ აირჩიაო, მაგრამ

ალმოჩნდა, რომ ურიგო არჩევანი არ მოეხდინა. ხელჩართულ ბრძოლაში რომ ჩავებით, ალკიბიადე ლომივით იბრძოდა, ვიდრე დაჭრილი არ დაეცა, — სოკრატე სწრაფად ალაპარაკდა. — მე გავიქეცი, რომ ჩემი სხეულით დამეფარა და ფიცხელი ბრძოლა გავუმართე ურიცხვ მომხდურთ, ოდენ ხმალთა წკრიალი ისმოდა...

— წერენ, რომ შენ მოახერხე დაჭრილი სარდლის გამოყვანა ბრძოლის ველიდან.

— აბა ხომ არ მივატოვებდი იმ ქლეტაში, ხომ არ მოვაკვლევინებდი? — მკაცრად იკითხა სოკრატემ.

— და თითქოს შენ უარი გეთქვას სიმამაცით მოპოვებულ ჯილდოზედ, და უარი გეთქვას იმის სასარგებლოდ? — ვცადე ამ ცნობის შემოწმება.

— ან რატომ არ უნდა მეთქვა უარი? — გაიოცა ჩემი კითხვა. — მე ჯილდო არა მჭირდებოდა. რად მინდოდა? სამაგიეროდ ალკიბიადეს, რომლისაგანაც ათენის მეორე პერიკლე უნდა გამომეყვანა, ეს დიდების გვირგვინი უხდებოდა კიდეც. და ბევრსაც ავალებდა...

გაჩუმდა...

შევხედე. სოკრატეს ფერი წაუვიდა, შუბლზედ ნაოჭები გაუჩნდა, რაღაც ერთიანად მოიკუნტა. შეშფოთებული წამოვიჭერი.

—ცუდად ხომ არა ხარ?

— აჰ, არა... უბრალო ამბავია. ვიგონებ და მიკვირს... რატომ მიჯდებოდა ყოველი კეთილი საქმე ძვირად... ზოგჯერ მაშინვე, ზოგჯერაც შემდეგ, ღრმა სიბერეშიც კი... ვითომ ყველგან ასე ხდება თუ მხოლოდ ათენი იყო ეგზომ უმადური ქალაქი?

— მგონი, მარტო ათენში არ ხდებოდა ეგრე... — ვცადე ახსნა. მაგრამ აღარ ისურვა მოსმენა. ის თავის ათენში დარჩა, და — თითქოს რაიმეს შეცვლა შემძლებოდა — გზნებით შესძახა:

— აბა, რა ვიცოდი, ვინ გამომყავდა მაშინ ბრძოლის ველიდან... ვინ გამომყავდა ათენისთვის და თვითონ ჩემთვის?! აბა, რა ვიცოდი?! ო, ჩემო ახალო მეგობარო, ჩვენს წინაპრებზედ და ღმერთებზედ ათასგვარ ლეგენდებს მოგვითხრობენ, სასწაულებით სავსეს. მაგრამ მაშინ, პერიკლეს „ოქროს საუკუნეში“ და რამდენიმე ხნის შემდეგაც, ჩვენ თვითონვე ვცხოვრობდით სასწაულებით სავსე ლეგენდებში...

უცებ მოუსვენრობა დაეუფლა, წამოდგა.

— მგონი, უკვე ძალიან გვიან არის...

— დიახ, — საათს დავხედე, — საცაა გათენდება.

— უნდა წავიდე, მზეს მივემშვიდობო, — მითხრა, ალერსით დამიქნია თავი და გავიდა.

## ნაწილი მეორე

პერიკლეს „ოქროს საუკუნეა“ — ხოლო ათენის გარშემო — შური, ეჭვი, სიძულვილი, ამბოხებანი...

როგორც კი რომელიმე მოკავშირე პოლისიდან ვინმე პართენონში შევა და დაინახავს ფიდიას ათენას სასწაულ სილამაზეს — ოქროს, სპილოს ძვალს,

სპეკალის, — უმალ სული შეეხუთება, და ჟიუტად აკაკუნდება თავში ანგარებიანი კითხვა: რატომ ჩვენ არა გვაქვს ასეთი პართენონი? რატომ ჩვენ არა გვყავს ასეთი ღვთაება, თავიდან ტერფამდე ოქრო რომ ჩამოსდინებოდა? ჩვენც გვინდა მსგავსი საოცრება ქვეყნიერებისა.

საიდან იღებს პერიკლე ამოდენა თეთრს ამგვარი ბრწყინვალებისთვის? საიდან და, ჩვენი ფულიდან! მოკავშირეთა ხაზინიდან! ანგარიშს კი არ გვიჩვენებს. ვითომ რა, ათენი გვიცავს? ჰა! დასაცავი არცრა გვჭირს, ჩვენში მშვიდობაა, სპარსელთ უკვე წამოდგომის თავი აღარა აქვთ; სპარტასთანაც ოცდაათწლიანი საზავო ხელშეკრულება გვაქვს დადებული, თანაც, ხმები დადის, ამ ზავის გასამაგრებლად სპარტელთ პერიკლე ყოველწლიურად საიდუმლოდ ათ ტალანტ ვერცხლს უგზავნისო.

დიახ, მართლაც განსაცვიფრებელი სანახავია, როცა პირეოსის ნავთსაყუდლიდან ზღვაში ათენის ფლოტი გადის, ასობით ბრწყინვალე ტრიერი ირწევა ტალღებზედ, და იმათი აფრები უფრო ამპარტავნობით დაბერილია, ვიდრე ქარით. მერედა, ჩვენ რა? რა და, ცოტაა, შიშით მიწას თუ გაგვაკრავენ ანდა სასტიკად თუ დაგვსჯიან მბრძანებელი ათენისგან განდგომის ყოველი ცდისთვის?! კარგად გვახსოვს, რაც პერიკლემ უყო აჯანყებულ სამოსს...

ანდა იმით რა ხეირში ვართ, ათენი თუ ელადა გახდა ელადაში? კიდევ უფრო შედედდა ჩრდილი, რომელშიც ძალისძალად გვთოშავენ, თვითონ ათენი კი ამ დროს მზეში იფურჩქნება!

ასეთ აზრებს ინახავდნენ გულში ათენის მოკავშირენი, და ასე ლაპარაკობდნენ.

და არც ერთ იმათგანს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მარტო ფულით ასეთი მშვენიერება არ შეიქმნებოდა: რომ საამისოდ საჭირო იყო ადამიანის სული, ადამიანის გონება და ათენის მგზნებარე სიყვარული. ხოლო სხვა პოლისებიდან ყოველ ოდნავ უნარიან კაცსაც გული ათენისკენ თუ მიუწევდა, არც ეს ახარებდა იმათ.

შეუძლებელი იყო ამ მოძრაობის შეჩერება. მატერიაზედ ერთ გამარჯვებას მეორე მოსდევდა. შენობას შენობა ემატებოდა, ქანდაკებას — ქანდაკება, მოხატულობას — მოხატულობა... ამ ნაკადმა მოიცვა ათენი. ერთი სამუშაო ბადებდა მომდევნოს, ყოველი ახალი მშენებლობა თავისთავად ითხოვდა შემდგომს, ახალს. აღარ შეიძლებოდა, რომ პართენონის გარშემო პირდაღებული ნანგრევები ყოფილიყო — აკროპოლისზედ ხუროთმოძღვრების შედევრები გაგრძელებას ითხოვდა.

უკვე ატიკის დანარჩენი ქალაქებიც ლამაზდებოდა — და სხვათა და სხვათა პოლისთა, ათენის საზღვაო კავშირის წევრთა შურიცა და ეჭვიანობაც მატულობდა, მსგავსად იმ ნაკადისა, რომლის შეჩერებაც აღარ შეიძლებოდა.

პერიკლე სამოცდაათს მიუახლოვდა, უკვე ცუდად ხედავდა, რაც გარშემო ხდებოდა, ცუდად ესმოდა, რას ამბობდნენ. მოქნილობას კარგავდა. და დროზედ ვერ შეამჩნია, რომ ეს ნაკადი იმასაც მიაქანებდა, რომ ათენისა და ატიკისთვის მართლაც სულ უფრო და უფრო მეტი გამოჰქონდა მოკავშირეთა ხაზინიდან, ვიდრე საზღვაო კავშირის მეთაურს უნდა გამოეტანა.

უკმაყოფილებასა და ამბოხებებს, ხან აქ, ხან იქ რომ იფეთქებდა ხოლმე, პერიკლე ძალით ახშობდა. ვაჭრობა იფურჩქნებოდა, ზღვებს ამაყი ფლოტი სერავდა. ათენი მშვიდდებოდა — მაშ რაღად უნდა წუხდეს? თავის სიცოცხლეში რა, საკმარისი არა ქნა? განა ათენი ყოვლის უფრო მოისხანე ძალად

არ აქცია? ნუთუ პერიკლეს მოკავშირეთა დრტვინვა უნდა აშინებდეს?

შუღლი არისტოკრატულ სპარტასა და ათენის დემოკრატიას შორის უკვე წლობით გრძელდება. პერიკლე შეეჩვია ამას, მით უფრო იოლად შეეჩვია, რომ სახალხო ხელისუფლების წყალობით ათენი განუწყვეტლივ ეფურჩქნებოდა, არისტოკრატიული სპარტა კი ყველაფერში ჩამორჩა, გარდა [illegible] მკაცრი, სასტიკი სისტემისა, სპარტელთ ყრმობიდანვე მეომრებად რომ აყალიბებდა.

მაგრამ სხვა არა მინდა რა, ერთი სცადონ ცხვირის შემოყოფა! ჩვენი ფლოტი უმალ იმათ ნავსადგურებში გაჩნდება, და რა გაუძლებს ჩვენს ჰოპლიტებს...

პერიკლეს ოცნებები ფრთებს ისხამდა, სინამდვილე ხდებოდა. სინამდვილე კი სულ ახალ ოცნებებს უჩენდა, რომელი ოცნებებიც მაღლა და მაღლა ეწეოდა პერიკლეს.

ათენის მტრებმა, პერიკლეს მტრებმა, დემოკრატიის მტრებმა დაყნოსეს, რომ დასარტყმელად ხელსაყრელი დრო დაუდგათ, და დაარტყეს კიდეც.

რა საჭირო იყო პირდაპირ ომი? ომი სად წაუვიდოდათ. ჯერ შიგნიდან უნდა მოერყიათ!

სპარტელი არისტოკრატნი კავშირ-ურთიერთობას განამტკიცებდნენ ათენის მთელი საზღვაო კავშირის არისტოკრატებთან და ოლიგარქებთან, თვითგამორკვევისკენ აქეზებდნენ კავშირის წევრებს — თქვენთვის უფრო ხელსაყრელია, რომ ათენს კი არ ემორჩილებოდეთ, არამედ თქვენ-თქვენს პოლისებს სათავეში საკუთარი არისტოკრატია ჩაუყენოთო...

სპარტელთ თვითონ ათენშიც მონახეს მოკავშირენი ადგილობრივ ოლიგარქებსა და იმათ დამქაშებს შორის, ეკლესიის ერთი ნაწილიც კი შეარყიეს, მაგრამ, ჯერჯერობით რამდენადაც არ შეიძლებოდა, რომ უშუალოდ პერიკლესთვის და მით უფრო თვით დემოკრატიისთვის დაეცხოთ, მოტყუებული ეკლესიის საშუალებით პერიკლეს ახლობელ ხალხს შეუტიეს.

პერიკლე ბერდება, სუსტდება. თუკი მრჩეველთ და მახლობელთ ჩამოაშორებენ, ცხადია, თვითონ იმასაც უფრო ადვილად დაამარცხებენ, ასე მსჯელობდნენ ორგულნი და — დაიწყეს კიდეც მოქმედება.

ასპასიას მაჭანკლობასა და ულმერთობაში დასდეს ბრალი, ფიდიას ოქროს მოპარვა დააბრალეს, სამუშაოდ მიცემული ოქრო გაანიავაო, ანაქსაგორას — თავის წიგნში ღმერთების არსებობას უარყოფსო, მთელს ათენში, ატიკასა და ელადაში ურწმუნოებას თესავსო.

დარტყმას დარტყმა მოსდევდა.

ყოვლის უფრო მძიმე ის იყო, რაც ანაქსაგორას დაატყდა. დანარჩენი ბრალდებები ოდენ მითქმა-მოთქმაზედ, ჭორებზედ, სიკოფანტებისა და ცრუმოწმეების ჩვენებებზედ იყო აგებული, აქ კი ხელშესახები მტკიცება მონახეს: თვით წიგნი.

ღამე იყო. ჭიშკარზედ მძლავრად დააბრახუნეს. სოკრატე სახლიდან გამოვარდა, ქვაზედ შედგა, ყორეზედ გადაიხედა და პერიკლეს მონა დაინახა, რომელსაც კარგად იცნობდა. მონამ ჩურჩულით აუწყა:

— შორი გზის გასავლელად მოემზადე და ახლავე პერიკლესთან გაიქეცი.

პერიკლე უკვე ელოდა. სოკრატე ანაქსაგორას ოთახში გაიყვანა. ფილოსოფოსი გრძელ სამგზავრო მოსასხამში გახვეულიყო და ისე იჯდა. იქ იყო

ასპასიაც. ბაზმა მკრთალ, მოციაგე შუქს ღვრიდა. ფილოსოფოსის ზურგს უკან ალკიბიადე იდგა. პერიკლეს სუნთქვა უჭირდა, ძლივს ამოთქვა:

— დღეს ჩვენს ძვირფას ანაქსაგორას ბრალი დასდეს [illegible] ურწმუნოებაში. ბევრი სიტყვა და ცრემლი დამჭირდა. ასპასია [illegible] მაგრამ ამჯერად ამაო გამოდგა ჩემი გულმოდგინება. ხვალ ანაქსაგორა ჰელიეას სამსჯავროს წინაშე უნდა წარსდგეს... დაუყოვნებლივ [illegible] თავს. მინდა, რომ შენ...

სოკრატემ სათქმელი არ დაამთავრებინა:

— გემამდე მივაცილებ!

— გმადლობ! ალკიბიადე გამოგყვებათ.

— კარგი. წავედით!

დაემშვიდობნენ. ანაქსაგორა ვირზედ შესვეს, მონამ სადავე დაუჭირა. ალკიბიადემ ქინქლილი აანთო. დამგზავრდნენ.

მთავარი იყო ქალაქიდან გაღწევა. ჭიშკარში გუშაგთ გააჩერეს. ბუდრუგანიდან კიდევ ორნი გამოვიდნენ. ალკიბიადემ უთხრა, სოფელში ჩნეული პაპა მიმყავსო. ათენში გული არ უდგებაო. სოკრატემ — მცველად მივყვებიო. ალკიბიადემ გუშაგთ თავდაცობილი — და ძალიან ძვირფასი — ღვინით სავსე ამფორა მიაწოდა. გუშაგნი გამხიარულდნენ, მაგრამ ერთი სულ იმის ცდაში იყო, ანაქსაგორა კარგად დაენახა. ფილოსოფოსი გრაგნილებიან ყუთზედ იჯდა, რომელსაც ასალ-ყაჯარი ეფარა. გრაგნილთ თუ უპოვნიდნენ, ცხადი გახდებოდა, ვინც იჯდა ვირზედ. ყველაფერი გამოაშკარავდებოდა. გუშაგთ ხელში ჩაუვარდებოდათ ანაქსაგორას გაქცევის, მაშასადამე, დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთი. სოკრატემ სასწორზედ დადო თავისი პოპულარობაც და ხალხის სიყვარულიც: ქინქლილის შუქზედ წინ გამოვიდა.

— ძალლს გეფიცებით, ათენელნო მეგობარნო! მე რა, არა მცნობთ?

— სოკრატე! — შესძახა გუშაგთუხუცესმა, — გაიარეთ, პატივცემულნო!

— ხოლო, ოდეს მაგ გადასარევი ქიოსურით ჩვენს სადღეგრძელოს [illegible]ვამთ, — სიტყვა ჩამოართვა ალკიბიადემ, განზრახ უბირთა ენაზედ მეტყველმა, — პაპასაც შინ მშვიდობით მისვლა უსურვეთ! ისეთი ჭკვიანი, ღვთისნიერი ბერიკაცია, როგორ გითხრათ... აი დაბრუნდება თავის პატარა მამულში და თქვენს სახელზედ მთელს ხარს შესწირავს თორმეტივე მთავარი ღვთის სამსხვერპლოს!

და ალკიბიადემ დიოქარეს ჭიშკარში თავისი მოხდენილი, მოცეკვავე ნაბიჯით გაიარა. მგზავრნი რომ გაიცილეს, გუშაგნი შეუზავებელ ქიოსურს მიუბრუნდნენ და იმათი მხიარული ჟრიამული დიდხანს ესმოდათ მგზავრთ ბნელში.

პირეოსში ანაქსაგორა თავის გრაგნილებიანად ჯერ ნავში ჩასვეს [illegible] დასაძვრელად გამზადებულ გემში, და დიდხანს გასცქეროდნენ უკვე [illegible] გასულს, ვინემ გემი ნისლიანი დილის იალქანში თვალს არ მიეფარა.

ამის შემდეგ ანაქსაგორას ბევრი აღარ უცოცხლია — ლამფსაკოსში [illegible]სრულა. საფლავზედ წარწერიანი ქვა დაადეს: „აქა განისვენებს დიდი ანაქსაგორა, რომლისა სულიც უმაღლეს ჭეშმარიტებათ სწვდებოდა".

ხოლო სოკრატე და ალკიბიადე ათენში დაბრუნდნენ — [illegible] მეორე — სუნიის ჭიშკრით. ქალაქში ხმაურიანი გამოცოცხლება სუფევდა, ხალხი აგორაზედ გარბოდა.

მოკირწყლული მოედნის შუაგულში შეშის ხორა დაედგათ კოცონისთვის. გარშემო შეიარაღებული სკვითები ჩამწკრივებულიყვნენ. მონებმა ორი იღლია გრაგნილი გამოიტანეს და შეშის ზვინზედ დაყარეს.

— რა არის, რასა სწვავენ, მოქალაქენო? — კითხულობდა ხალხი.

— ანაქსაგორას წიგნებია, ღმერთებზედ დაწერილი, — იყო პასუხი. — თვითონ გაიქცა, ნაწერებს კი საჯაროდ უწვავენ...

ტანში ჟრუანტელმა დაუარა ალკიბიადესა და სოკრატეს ოდეს ალი ავარდა და მძაფრი კვამლის სუნი მოედო აგორას. გაგონილა აზრის ჩაკვლა! გონების დაწვა!

და სოკრატეს ენას ის სიტყვა მოსწყდა, რომელ სიტყვასაც ელინნი უცხო, ჩამორჩენილ ხალხებზედ ამბობდნენ:

— ბარბაროსნო! შეჩერდით!...

გუშაგთ ვერ შეამჩნიეს, ვინ წამოიძახა.

მოედანზედ დუმილი იდგა, მხოლოდ ცეცხლი შიშინებდა, ანაქსაგორას სულსა სწვავდა.

მაშინ ოპტიმისტმა სოკრატემ პირველად მოიხილა ათენის მომავალი შავ ღრუბლებში.

2

სათელ ღამეებში, ოდეს მხოლოდ ღამის გუშაგნი და მემთვრალენი დაეხეტებოდნენ ათენის ქუჩებში; ცხელ ღამეებში, ოდეს კაცნი ბანებზედ ასულიყვნენ და იქ იწვნენ, რათა ზღვიდან მონაბერ სიოს ცოტაოდენ მაინც გაეგრილებინა ისინი; დახუთულ ღამეებში, ოდეს პელოპონესიდან შავი ღრუბლები მოიგრაგნებოდნენ და ჰექა-ქუხილს თან კოკისპირული წვიმა სდევდა; შავ ღამეებში, ოდეს მთვარე და ვარსკვლავნი ივიწყებდნენ დედამიწას და ბნელში მხოლოდ ცეცხლი ენთო პართენონის წინ, პერიკლე თავისი სახლის პერისტილში იჯდა ხოლმე, მარტოდმარტო.

ასპასია დასაძინებლად მიდიოდა, და პერიკლეს მარტოობის ტვირთი ამძიმებდა. როგორც ვირთხები სოროებიდან, ისე გამოდიოდნენ ორგულნი, სახეებს ზარადებით ფარავდნენ, და საკბენად ეტანებოდნენ...

— რატომ მესხმიან ეგრე რიგად თავს? — ჰკითხა ერთხელ სოკრატეს.

— ვინც მოწინააღმდეგეს აღემატება, მუდამ ესხმიან, ძვირფასო პერიკლე, — მიუგო ფილოსოფოსმა.

— იქნებ ის მეთვლება დანაშაულად, რომ მთელი სიცოცხლე ხალხის კეთილდღეობისთვის ვილეწოდი?

— დანაშაული უკვე ის არის, სხვაზედ მეტი თუ იცი, და მით უფრო სხვაზედ მეტს თუ აკეთებ.

— ნუთუ ეგრე უნდა ვწყავდეთ და ვზომავდეთ, სოკრატე?

— დიახ, ძვირფასო პერიკლე: ჯერეთ ესდენ გულხამცეცნი ვართ.

პერიკლე ვერ შერიგებოდა ანაქსაგორას დაკარგვას, ასპასიას დამცირებას და პირშავად გამოყვანას. თავლაფის დამსხმელ კედლის წარწერებსა და კომედიებში ასპასიას ყოფილ მილეტელ ჰეტერას უწოდებდნენ, ვითომც დღემდე რომ მაჭანკლობდა და ყოველი ნადიმის შემდეგ პერიკლეს მეგობართ პატარა გოგოებთან ანეტარებდა. პერიკლე მტკივნეულად განიცდიდა ფიდიასთვის ქურდობის დაბრალებასაც.

სტრატეგი თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზედ ფიქრობდა. ვიცი,

რაც მოგპრიანებიათ, თვალცხადლივ გხედავთ, მავნებელნო! უწინარესად ჩემი დამცველი კედლის დაქცევას ცდილობთ — გინდათ, რომ ჩემი ძლიერი მეგობრები ჩამომაშოროთ, მერმე კი, სპარტასთან პირშეკრულთ, ათენის კედლებიც დამინგრიოთ...

ამ უსიხარულო ფიქრებში პერიკლეს სულ უფრო ხშირად ეცხადებოდა დემოკრატთა ერთ-ერთი ბელადის, მდიდარი მეტყავის კლეონის სახე. თვითონ პერიკლემ არცრა იცოდა — თავისიანთაგან შეიტყო, ხალხი თურმე სულ უფრო და უფრო კლეონის მხარეზედ იხრება. ბევრი პირდაპირ აცხადებს, რომ ათენს ახლა ეჭირვება არა ყოფილი ბრწყინვალე სტრატეგი, არამედ ისევ ბრწყინვალე სტრატეგი, ოღონდ ახალი. კლეონსაც თავი ისე უჭირავს და ისე ლაპარაკობს, თითქოს თავად იყოს ესევგვარი სტრატეგი...

მოხუცმა პერიკლემ უფრო მჭიდროდ შემოიხვია ჰიმატიონი და შეკრთა — შურისმგებელი ერინიების ფრთების ფართქუნი შეესმა. ძველისძველი, სხვათა დანაშაულისთვის?..

თუმცა ვერც ასეთი დაღვრემილობის ჟამი უცხრობდა ბრძოლის ჟინს. პირიქით, უფრო აღაგზნებდა.

პატივმოყვარეობა და დიდებისკენ სწრაფვა კი ცეცხლზედ ზეთს უსხამდა.

პერიკლე განამტკიცებდა ათენის საზღვაო ძლიერებას. შიშს უნერგავდა მოწინააღმდეგეთ; განავრცობდა ათენის ზეგავლენას, იპყრობდა ელადის ახალ-ახალ ქალაქთ, ახალ კოლონიებს, ამყარებდა იქ ხალხის გამგებლობას, სასტიკად და დაუნდობლად უსწორდებოდა ოლიგარქთ.

სოკრატე შიშით ადევნებდა თვალს პერიკლეს აზრთა მიმდინარეობას, სპარტა — პერიკლეს საქმეებს. ორი სახელმწიფო, ორივე ბერძენთა, და მაინც მოსისხლე მტრები! რამეთუ ათენში ძალაუფლებას დემოკრატები უდგნენ, სპარტაში ორი სამეფო გვარის ორი წარმომადგენელი იყოფდა ერთმანეთში ტახტს.

სპარტელთა შურმა და მძულვარებამ უკვე გადააჭარბა იმ მრავალტალანტიანი ქრთამის საჭყაულს, რომელსაც პერიკლე წლიდან წლამდე თავდაუსხმელობისთვის ფარულად უგზავნიდა სპარტას.

ათენის საზღვაო კავშირის ოლიგარქიულ პოლისთა მხარდაჭერით, სადაც ათენის მიმართ ადრევე გაეღვივებინათ მტრობა, სპარტა ომით იმუქრებოდა.

ათენის სახალხო კრება ბობოქრობდა. სჭარბობდა ომის მოწინააღმდეგეთა რიცხვი. მაგრამ პერიკლეს სჯეროდა ათენის ძლიერება:

— განა სპარტას ისეთი მდიდარი ხაზინა აქვს, როგორიც ჩვენია? რომელია საზღვაო სახელმწიფო — სპარტა თუ ჩვენ? ვის განკარგულებაშია ყოველი დიდი სავაჭრო ნავსადგური — სპარტისაში თუ ჩვენსაში?

და პერიკლე ყურს არ უგდებდა მეგობრების ტუტუნს: მერედა, განა სპარტასაც ჩვენისთანა დაუცველი და ადვილმისადგომი ზურგი აქვს? თავისი სიამაყის კარნახით პერიკლე მიესალმებოდა კიდეც მოვარდნილ ნაპერწკალს, რომელმაც ომის ცეცხლი ააგიზგიზა.

დიდხანს არ გაგრძელებულა ათენის ზეიმი თავისი ზეგავლენის გაფართოებისა გამო. კორინთოელთ ათენელი მტაცებლის წინააღმდეგ წააქეზეს სპარტელნი. სპარტა პერიკლეს ომით დაემუქრა, თანაც კიდევ ზავიც შესთავაზა. ორი პირობით.

პირველი: ათენი ატიკიდან ყველა ალკმეონიდს განდევნიდა, არ დაინდობ-

და თვითონ პერიკლესაც, რადგან ამ დაწყევლილ მოდგმას მთელი ელადისათვის უბედურება მოჰქონდა.

მეორე: ათენი სრულ თავისუფლებას მიანიჭებდა თავისი საზღვაო კავშირის ყველა წევრს.

ეკლესიამ, მრავალათასიანმა ბრბომ, პნიქსის გორაკზედ, თავმოყრილმა, ჰომეროსული ხარხარი ატეხა: სპარტა იმასაც ხომ არ ინებებს, რომ თავაზიანი წინადადებისთვის აკროპოლისიც მივართვათ მთელი თავისი საგანძურით?!

მაგრამ მთელი ეკლესია როდი იცინოდა. არ იცინოდნენ ატიკელი გლეხები, რომელთაც მშვიდობა სურდათ, არც ათენის მრავალი მოქალაქე იყო სიცილის გუნებაზედ, რამეთუ ორივე მოთხოვნის მკვახე სისასტიკემ შიში მოჰგვარა.

და ისევ ჩამოწვა შავი ღამე, ცხელი და შეხუთული — სუნთქვა ჭირდა. პერიკლემ ასპასია იხმო, ცახცახით იკრავდა გულში და შიშით იმეორებდა იმ საძაგელ სიტყვებს, სახალხო კრების შემდეგ ჩვეულებრივ ფეხით მომავალმა ერთ-ერთ კედელზედ რომ ამოიკითხა:

— „პერიკლე, შენ უფრო ვნებ ათენს, ვიდრე სარგებლობა მოგაქვს!"

ვითომ მიიღებს ეკლესია სპარტის პირობებს? ვითომ განდევნის პერიკლეს ქვეყნიდან? ვითომ დაუშვებს საზღვაო კავშირის დარღვევას? ამით ხომ დემოკრატია დასუსტდება. და ალბათ დაღუპვის პირას მივა?

ეკლესია ბობოქრობდა, დუღდა, ვითარცა წიაღვარი კრატერში, მაგრამ ბოლოს და ბოლოს უარყო ულირსი პირობები.

პასუხი ელვისებური იყო: ომმა იფეთქა.

ათენის ფლოტმა პელოპონესის ნავმისადგომები ჩაკეტა, ქვა და ცეცხლი დაუშინა კატაპულტებიდან. სპარტის მეფე არქიდამე ორჯერ შეიჭრა ატიკაში თავისი მძიმედ შეიარაღებული რაზმებით. მან ხეხილის ბაღებისა და ათენის სიამაყის — უზარმაზარი ზეთისხილის ჭალების გაჩეხა ბრძანა. ძარცვავდა და ბუგავდა სადაც ერთი კარ-მიდამო იყო და სადაც გლეხკაცის სახლ-კარს დაინახავდა.

სოფლის ხალხი, დიდიან-პატარიანად, მონებითა და სარჩო საბადებლით აიყარა და ათენის კედლებს მიაშურა, რომ იავარმქმნელთაგან, მძარცველთაგან და მკვლელთაგან ეხსნა თავი. კედლები იცავდნენ შუბისგან, მახვილისა და ცეცხლისგან, მაგრამ ლტოლვილებით სავსე ათენსა და პირეოსში — როგორ გააბედვინე მტერს ამდენი, ო ათენა, შენი ხალხის მფარველო ღმერთქალო! — გაჩნდა ახალი მტერი, რომლის წინაშეც უძლურია კედელიც, სიმაგრეც, იარაღიც — ჟამიანობამ, შავმა ჭირმა იწყო მძვინვარება.

ათენი ჭიანჭველების აფორიაქებულ ბუდეს დაემსგავსა. დღისით თუ ღამით რბოდნენ, ცვივოდნენ, იკრუნჩხებოდნენ, კვნესოდნენ, წიოკობდნენ ტანჯული ადამიანები...

ათენის ფლოტი იძულებული გახდა და გამობრუნდა ქალკიდიკედან — მეზღვაურთა შორისაც იფეთქა ჭირმა. მხოლოდ პოტიდეასთან დარჩა სახმელეთო ჯარი. სოკრატემ ათენს წამოიყვანა დაჭრილი ალკიბიადე.

ის შინ რომ მიიყვანა, თვითონ თავისი სახლისკენ გასწია. ჭიშკარი ყურთამდე ღია დახვდა, ეზოში უცნობი ხალხი იყო. დუმილით, კუშტად უცქერდნენ დამხდურნი თავის სახლში მოსულს, სალამზეც კი არ გასცეს პასუხი. სოკრატე შინ შევიდა. იქაურობაც უცხო ხალხით იყო სავსე.

— რა გინდა? — უხეშად ჰკითხა ბანჯგვლიანმა გამხდარმა ახმახმა.

სოკრატეს გაეცინა.

— ეგ მე უნდა გკითხოთ პატივცემულნო! მე ჩემს ოჯახში ვარ, ეს ჩემი სახლია.

— მაშ, შენ სოკრატე ხარ? — უკვე მომბალი ხმით ჰკითხა უცნობმა. — ჩვენები გახსენებდნენ. რა ვქნათ, ჰერი აღარსადა გვაქვს!

ეს არც თხოვნა იყო, არც თავხედობა — უბრალოდ ტანჯვის ნამცეცი იყო. სოკრატემ თვალი შეავლო უცნობთ, დაუპატიჟებელ სტუმართ. ორი ოჯახი ჩანდა, თავიანთი ხათუსავებითა და შვილებით. მთელი სახლი დაიარა.

— ჭერხო გამითავისუფლეთ. იქ მე ვიცხოვრებ, დანარჩენი თქვენთვის დამითმია. — მორჩილებით ეუბნებოდნენ მადლობას, თავს უკრავდნენ. — ავადმყოფნი თუ გყავთ?

— ჯერეთ არავინ...

— ეზოში რა ხალხია?

— ისინი ფარდულში და სათხებოში მოეწყვნენ. იმითაც კმაყოფილნი არიან...

„კმაყოფილნი!“ — თავისთვის ჩაილაპარაკა სოკრატემ და ჟრუანტელმა დაუარა.

ზემოთ რომ ავიდა, ჰოპლიტის სრული აღჭურვილობა მოიხსნა, მოძებნა დაგულებულ ადგილას თავისი ძველი გაცვეთილი ქიტონი და ჰიმატიონი. უყურეთ ერთი, ჯერჯერობით ქურდობა არ დაუწყიათ...

მერმე ქალაქში გავიდა. თეთრად მოციმციმე დიდებული აკროპოლისის ძირას ქალაქი მტვერდახვეული მძორივით გდია. ყოველ ნაბიჯზე ლტოლვილთა ბავშვებიანი ოჯახებია. შეჰფარებიან ტაძრებს, პორტიკებს, კიბეებს, პარკებს, სანაგვეებს — ყველგან არიან, ყველგან! — და მრავალნი ჭირშეყრილნი სიცხით გათანგულნი ბოდავენ, კალიროეს წყაროსთან ერთი სურა წყლისთვის ხელჩართული ჩხუბია, იქავ ჭირით სნეულნი დახოხავენ — სველი ქვა მაინც გაგვილოკინეთო... თეთრი ქალაქის ფილაქანზე გაშავებული გვამები ყრია. გატანას და დაწვას ვერ ასწრებენ. მრავალთ ვერა და ვერ დაუძლევიათ იმისი შიში, რომ ჭირი თვითონაც შეეყრებათ და ისინიც შავ გვამებად იქცევიან. მიცვალებულნი სიცხეში სწრაფად იხრწნებიან. დაფნისა და კვიპაროსის სურნელს სიმყრალის სუნი ახშობს, ყოველი მხრიდან რომ მოდის.

იმათ, ვინც ჯერ კიდევ ჯანმრთელია და იმათაც, ვინც სენს შეუპყრია, სიკვდილის შიშმა სიცოცხლის წარმოუდგენლად დიდი წყურვილი გაუჩინა, და ყველა იმის ცდაშია, საბოლოოდ იქნებ ერთხელ კიდევ გავმხიარულდეთ, ცხოვრებას იქნებ მცირეოდენი სიამე რამ გამოვგლიჯოთო... ღამე კი ვარსკვლავების ციაგით არის სავსე...

სოკრატე დგას, ფიქრს მოუცავს. ხედავს ხილაბანდებით ცხვირ-პირაკრულ სახელმწიფო მონებს როგორ გამოაქვთ მავანი და მავანი მდიდრის სახლიდან გვამები, იქავ კი ვიღაც-ვიღაცები ჩასაფრებულან, ელოდებიან, სახლი როდის დაცარიელდებაო. სულ ბოლოს ოქსინოგადაფარებული ნეშტი გამოაქვთ.

და იმავე წამს იმ სახლში პირველი მტაცებელნი შერბიან. შიგნიდან ყვირილი მოისმის. ვინ არის? კაცია? თუ ქალი? კლავენ ვინმეს? თუ აუპატიურებენ? ან იქნებ ვინმე სულაც სიკვდილის წინ გოდებს? მერმე ისევ დუმილია; კაცისსახიანი აფთარნი დარევიან სახლს და ძარცვავენ, არბევენ, იკლებენ... გამძვინვარებულნი წივილითა და კივილით იყოფენ ნადავლს...

გუშაგნი? გუშაგნი სადღა არიან? არიან კი საერთოდ გუშაგნი მომაკვდავ ქალაქში? ისინიც აფთრებად ხომ არ ქცეულან?

სოკრატეს ფეხებთან რამდენიმე სულთმობრძავი შავდება. ისინი ღმერთებს აღარ ევედრებიან — პერიკლეს წყევლიან, სჯერათ, რომ უბედურება ატიკასა და დედაქალაქს მან დაატეხა.

ჰიმეტოსის თავზედ შუქი აციმციმდა. მზე ამოდის. სოკრატე ჩვეულებისამებრ მოიკითხავს.

— სალამი შენდა, მოკაშკაშევ, კეთილო! შეეწიე ათენს, რამეთუ ათასნი იგრიხებიან აქ ტკივილისაგან და თანატე მრავლად ამწყვდევს იმათ თავის ბადეში... დაწვი შენი ალით შავი ბოროტება!

ყოველი მხრიდან მოძვრებიან პერიკლეს მტრები; ციებ-ცხელებიანი, ანთებიანი ქვეყანა ერთიანად დასნეულებულა უდარდელი სიხარულიდან მომაკვდინებელი საფრთხისკენ უეცარი ნახტომისა გამო.

ასპასია, თუმცა ურწმუნოა, მაგრამ ფარულად მსხვერპლსა სწირავს ოჯახის ზევსის საკურთხეველს.

— შეგვიწყალე, მეხთამტყორცნელო! ნუ ინებებ, რომ პერიკლემაც აგოს პასუხი ალკმეონიდეშის წყეული მოდგმისთვის!..

ასპასია მიწას შუბლს ურტყამს, მოთქვამს. მსხვერპლშეწირვის შემდეგ პერიკლესთან მიდის. ეხვეწება, ვიდრე გვიან არ არის, ათენიდან წავიდეთო, შავ ჭირს გავერიდოთო.

პერიკლემ ხანგრძლივი მზერა მიაპყრო.

— წაიყვანე მხევალნი და წადი ჩვენს მამულში. მე ათენს ვერ მივატოვებ.

იმავე დღეს ასპასიამ დატოვა პერიკლეს სახლი.

თვით შავი ჭირი დადგა პერიკლეს მტრების მხარეზედ.

მოუცელა ორივ შვილი და და. მეორე შვილს რომ მარხავდა, პერიკლე უკვე თავადაც ავად იყო. არგანს დაყრდნობილი იდგა და სამძიმარზედ მოსულთ მიახლოების ნებას არ აძლევდა, რომ ჭირი არ გადასდებოდათ. თვალდახუჭული უსმენდა მოზარეთა გოდებას, ლაწვებზედ — ალბათ პირველად სიცოცხლეში — ცრემლი ჩამოუწანწკარდა. საკაცით წაიყვანეს, და შინ ჩაწვა. იწვა, მოუსვენრად ტრიალებდა, მოლანდებანი არ ასვენებდნენ, განუწყვეტლივ ესმოდა მოზარეთა ხმით ნატირალი და ეჩვენებოდა, რომ საკუთარი გული ჰვითინებდა.

სახლთუხუცესი ევანგელე, აზატი, რომელიც მრავალი წელი ემსახურებოდა, ახლაც აქ იყო, არ მიუტოვებია სნეული. ევანგელე ამაოდ დაეხეტებოდა ექიმთა ძებნაში — ხშირად ყოფილან ისინი პერიკლესთან სტუმრად, ახლა კი რახანია ათენიდან გადახვეწილიყვნენ...

ევანგელე მარტო უვლიდა პერიკლეს. მკერდზედ სველ ტილოს აფენდა, საძინებელს უხრჩოლებდა.

ევანგელე თითქმის არ იძინებდა. პერიკლეს ოთახის კუთხეში ფხიზლობდა და წყნარად ელაპარაკებოდა ღმერთებს, მშვიდად ლოცულობდა, იმდენად ერთგული იყო, რომ თანატეს პერიკლეს ნაცვლად თავის თავს სთავაზობდა.

ციებ-ცხელების ტალღა დროებით ჩაცხრა. პერიკლეს თვალთაგან თითქოს საბურველი ჩამოეხსნა, ევანგელე დაინახა. თავს ძალა დაატანა, ძლივს აქცია სიტყვებად აზრი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ კიდევ არის ვინმე?

— არა, მეუფეო, მე და შენა ვართ, სხვა არავინ.

— რატომ არ წახველ სხვებთან ერთად?

დუმილი.

— თქვე!

— შენ გამაახალე. თავისუფლება მომეცი.

— შენ კი არ ისარგებლე თავისუფლებით, — ძლივს, საყვედურით უთხრა პერიკლემ. — არ წახვედი...

ევანგელე ღრმა მღელვარებას ებრძოდა. ბატონის ხმა ცხელი სიოს სუნთქვასავით ელამუნებოდა.

— მე შენთან ყოფნა მთხივს, — უთხრა ევანგელემ.

— აი მადლიერება, — მწარედ წარმოთქვა პერიკლემ. — აზატის მადლიერება... ათენელთ? ვითომ კიდევ ვუყვარვარ შავჭირშეყრილთ?

„სიკვდილშეყრილთ, — გუნებაში გაუსწორა ევანგელემ, — მიცვალებულთ კი უკვე აღარც სიყვარული იციან, აღარც სიძულვილი".

— სნეულნი უკვე ისე მრავლად აღარ არიან, — ხმამაღლა წარმოთქვა ევანგელემ. — შენ, ადამიანთა შორის ერთ-ერთი უდიდესი, უკანასკნელთაგანი ხარ. ჭირი გადის.

სიცხისგან გათანგული, ფერწასული ბაგე-ტუჩი ღიმილმა ოდნავ შეარხია.

— ნება მიბოძე, ტილოს გამოგიცვლი, — ევანგელე სარეცელზედ დაიხარა.

— არა, მეგობარო, არ მომეკარო. ნუღარ უწევ წინააღმდეგობას ჩემზედ მომდგარ ჭირს. დაე, თავისი ქნას, გაასრულებინე საქმე.

ევანგელე არ ეშვებოდა.

— შენ დიდხანს გაუძელი, როგორც სხვამ ვერავინ. ცოტაც მოითმინე, გამოკეთდები...

— რისთვის? ვისთვის? — პერიკლეს ხმა უსუსტდებოდა, უწყდებოდა. — ათენისთვის მე უკვე მკვდარი ვარ. რის მიცემაც შემეძლო სახელმწიფოსთვის, უკვე მივეცი. ცოცხალ პერიკლეს ამისთვის არავინ არ აღიარებს. დაცდა მოგიწევს, ვიდრე არ აღესრულება... ცოტა წყალს მომაწვდი?

პერიკლემ ცნობა დაკარგა და ისე მიიცვალა.

3

„ფოკიონსა და იმის მეუღლეს ლეონიდას — მოკითხვა ბიძია ლებტინესგან ათენიდან!

შენმა ბარათმა გამახარა, ჯანმრთელად და ყველაფრით კარგად ყოფილხართ. ვისაც ჩვენთან საჭმელები გამოატანე, იმან სიტყვიერად ყველაფერი გადმომცა, რაც დაგიბარებია.

ხუთი წლის წინათ რომ ფული გასესხე, იმის დაბრუნებაზედ თავს ნუ იწუხებ. მევახშე კი არა ვარ, შენი ღვიძლი ბიძა ვარ, და სრულიად საკმარისია ის ნამატი, რასაც ფქვილითა და ზეთით მიხდი.

სესხით ისე გისარგებლია, როგორც კარგ მეოჯახეს შეეფერება. ვიცი, რამდენი ოფლი ღვარე, ვიდრე სახლს მოაწესრიგებდი. შეაკეთებდი იმ ავაზაკი სპარტელების წაშავების შემდეგ და ბაღსა და მინდორსაც მიხედავდი, რათა კარგი მოსავალი მიგეღო.

ფულის გადახდას არ გაჩქარი. ილოდე, ომი ყველა ხელოსნისთვის სასარგებლოა. ჩვენთვისაც. ხარაზებისთვისაც. სულ ცოტა, ათ წყვილ ხელს ვისურვებდი დამხმარედ. თვით ბევრი აღარაფერი შემიძლია, სამაგიეროდ სიმონი ბეჯითობს, მართალია, უწინდებურად პეიტრობს, მუშაობს დორონი კი სულ რაღაცებს იწერს, მაგრამ საქმე იცის და აბა რა ვუსაყვედურო?

საერთოდ ხნიერი მამები ტუქსავენ და ასწავლიან ორმოცი წლის შვილებსაც კი. ჩვენთან პირიქით არის, სიმონი აქეთ მასწავლის ბერიკაცს. ჩვენი მეზობელი სოკრატესგან ისწავლა სიბრძნეები, იმაზედ მერმე მოგწერ.

არ დაიჯერებ, რამდენი სოფლელი გაიხიზნა ათენში. ბევრმა აღარ ისურვა თავის დაქცეულ ოჯახში დაბრუნება. სიმართლე გითხრა, არც ვამტყუნებ, შენ, კეთილო ფოკიონ, აქედან შორსა ცხოვრობ, ხოლო ათენის გარეუბნებში კაცმა არ იცის, რა იქნება ხვალ. ან იქნება კი თვითონ ხვალ ცოცხალი თუ არა. გავიხედოთ და, ისევ მოცვივდნენ ლაკედემონელნი ჰოპლიტნი? დაიწყებენ იარაღის ჟღარუნს, გლეხს კი რა აქვს თავის დასაცავად? ზეთისხილის ეტი და ცხვრის ფარა? ეს ყველაფერი მხოლოდ იზიდავს მძარცველთ, და მაშინ სისხლის ნიაღვარად დის. ბევრი მიწის მუშა და მონა ომის დაწყებისას აქ რომ მოვიდა, აქვე დარჩა. ძაღლუმადურად ცხოვრობენ, სამაგიეროდ კედელს აქეთ არიან და ეს კედელი უკვე გალიად რომ ექცათ, ამაზედ აღარც ფიქრობენ.

ზოგჯერ ვმარჩიელობ — იქნება სულაც ჩემი უსამართლობის ბრალია, რომ ტილებსავით გაზარმაცდნენ, განებივრდნენ და გლეხურ შრომაზედ უკვე ცხვირსაც იბზუებენ. ცხადია, ნამდვილი კატორღაა ცხოვრების ცარიელ-ტარიელ ადგილზედ დაწყება, სამაგიეროდ, შენი არ იყოს და კიდევ ბევრი სხვისა, ყველაფერი ორმაგად აუნაზღაურდებოდათ.

ახლა სოკრატეზედ, შენი მოკითხვა ისევ გადავეცი და, თვითონაც სუყველა მოგიკითხათ. შენ მადლიერებით იხსენებ, რარიგ კეთილი იყო თქვენდამი, ოდეს სპარტელთაგან ათენს გამოქცეულნი ამათ სახლში დაბინავდით.

მართალი ხარ, არსებითად მართლაც კარგი, კეთილი კაცია, მაგრამ რაც დრო გადის, სულ უფრო ახირებული ხდება, თავის თავს სულ არ უვლის. შინაც და ქუჩაშიც ფეხშიშველა დადის, ცოლი კიდევ არ შეურთავს, თუმცა, ამბობენ, ერთ ვიღაც კერამიკით მოვაჭრე ლამაზ ქალს ეკურკურება, ბევრად უფრო ახალგაზრდასო. ცოლის გარდა სხვა ყველაფერი ახსოვს, ადრე მხოლოდ ახალგაზრდობას უქადავდა ყურებს, სიმონიც თანა სდევდა, ახლა კი თითქმის მთელს ათენს უქადავს, საერთოდ ყველასთვის სიკეთე უნდა, მაგრამ სუყოველ კაცს არა სიამოვნებს, მარწუხით რომ აძრობს ყველაფერს, რაც რამ სულის სიღრმეში აქვს დაფარული, მანკსაც კი, რასაც ბევრი გარეშე პირთ უმალავს, ჰოდა, ისე მოუმრავლდნენ მტრებიცა და მეგობრებიც, როგორც სოკომ იცის ნაწვიმარ ველზედ მომრავლება.

შენმა გამოგზავნილმა კაცმა ისიც მითხრა, რარიგ მოგწყურებია მშვიდობა, რარიგ მოჰყირჭებია მანდ სუყველას ომი, და მითვლი, გამაგებინე, ყველაფერ ამას ბოლო როდის მოეღებაო, ვითომ რაკი აქა ვარ, ხელისუფლებასთან ახლოს ვიდგე და შენზედ მეტი ვიცოდე.

გეშლება, ძვირფასო ძმისწულო, შენ უფრო ახლოს ხარ დელფოს ორაკულთან! აქ ომის დასასრულზედ არა ვიცით რა.

ზოგჯერ მე და სიმონი დიდ განსჯაში ვართ, გაგება გვინდა, რა ხდება ჩვენს თავს. პერიკლეს სიკვდილთან ერთად თითქოს ყველაფერმა კვდომა იწყო, ვიცი, შენ უფრო იმის დარდი გაქვს, წელიწადში რამდენ კალათ ზეთის-

ხილს ჩამოკრეფ და ცხვარს რამდენ მატყლს ჩამოპარსავ, მაგრამ რასაც ახლა გწერ, პასუხია შენს წუხილზე — მშვიდობიან დროს როდისღა მოვესწრებითო. არ ვიცი, შეიძლებს თუ ვერა კლეონი მშვიდობის ჩამოგდებას. გაიხსენე, რა ქნა, ოდეს ლესბოსის მიტილენე ათენის საზღვაო კავშირს ჩამოშორდა. ყოველთა მიტილენეელთა გაჟლეტა დაუპირა! ამოვწყვიტოთო! მოვსპოთო! იქაურ არისტოკრატებსაც და დემოკრატებსაც მოსრვით დაემუქრნენ. ამას, მართალია, ვერ მიაღწია, მაგრამ ათასობით კაცის სიკვდილი, მიტილენეს გალავნის დანგრევა და ფლოტის განადგურება თავისთავად განა ცოტას მოქმედია? იქნება უცნაურადაც გეჩვენება რომ პერიკლეს შემდეგ კლეონი ავირჩიეთ. გვიჭირდა ჭირის შემდეგ, თავადაც უწყი. ვინ გვიხსნის ამ მდგომარეობიდანო? — ვამბობდით. ვინ და, კლეონიო! ერთი მოგესმინა რარიგ მეტყველებდა ეკლესიაში! კი არ მეტყველებდა, ღმუოდა. ძალიან გვიჭირდა, და მხსნელად დავსახეთ. ბევრმა ჩაუგდო კენჭი. მერე კი იცოცხლე, სეირი გვიჩვენა!

დემაგოგია! ძალაუფლება თავში აუვარდა. ერთი პირობა სპარტამ ზავი რომ შემოგვთავაზა, — ომს როცა აგებდა — მაშინვე უარყო. ბაქიობდა, ომს არ შევწყვეტ, ვიდრე სპარტას არ დავაჩოქებ და არ გადავთელავო. აწი კი, როცა სპარტამ ფეხი დაგვაჭირა, ყველაფერს ათენელთ აბრალებს: სუსტი ხალხია, მეომრად არვარგაო. დიდი ეშმაკის ფეხია!

ახლა კლეონს არისტოფანეს დაცინვაც ეყოფა. თავის კომედიაში — „მხედრებში" ისეთნაირად დახატა, ამის ძვალს ძაღლი პირსაც არ დაადებს. პერიკლესგან სიტყვის ასეთი თავისუფლება რომ არ შემოგვრჩენოდა, კლეონის ბრძანებით არისტოფანეს თავს წააცლიდნენ თავის გესლიან ენიანად.

წარმოდგენა რომ გქონდეს, რა შორს მიდის ეს არისტოფანე, ორ ნიმუშს გიგზავნი ხსენებული კომედიიდან:

„ჩვენი პატრონია პნიქსელი დემოსი. ბუზღუნა, ყრუ ბერიკაცია, ჭირვეული, უხეში და ცერცვის გიჟი... ამ თვეში მონა იყიდა, მეტყავე, ჩამომავლობით პაფლაგონიელი, გაიძვერაზედ გაიძვერა, ახლა როგორი ჭორხაბარა!" (მეტყავეო, კლეონზედ ამბობს, გაიგე?!), შემდეგ, ნახე, გასულელდები!

„ო, საძულველო ღოღრიალავ! დედამიწას გულზედ დაადგა შენი უტიფრობა. ყველგან მხოლოდ ის უტიფრობა გამეფებულა. სასამართლო, ხაზინა, ხალხის თავყრილობა, არქივენი სავსეა მხოლოდ ამ უტიფრობით. ფეხებს ტალახში დაატყაპუნებ, მთელი ქალაქი არივ-დარივ, ათენი ღრიალით გააყრუე, ხარკის აკრეფას კი ისე ადევნებ თვალს კლდიდან, როგორაც ზღვაში მეთევზენი თინუსთ".

ეს კი, ჩემო კეთილო ფოკიონ, მგონი, საკმარისია, და შენც გამიგებ, რომ არ შემიძლია იმის თქმა, როგორ იქნება ომის საქმე. აბა ვინ იცის, სადამდე მიგვიყვანს კლეონი?

გისურვებთ ბედნიერ ცხოვრებას შენ, ლეონიდას და ბავშვებს. დაე დემეტრა იყოს თქვენი მფარველი, და დაე კეთილი ღმერთი პანი კარგად იცავდეს თქვენს სახლსა და ნახირს".

4

— გლავკე, ჰეი, გლავკე! გეყურება?

— როგორ არა! შენა, სოკრატე, აქ კი არა, სუნიონზედ გააგონებ კაცს! მოვდივარ! — გლავკე ძველებურად წარმოსადეგი და ჯანმაგარია. — კარგია.

ისევ შემოგვხედე! მთელი ჰუდი მოგემშვიდობება, და უწინარესად — შენი ადგილ-მამული!

ორივე გაალცინა სიტყვა „ადგილ-მამულმა“, ერთმანეთს მეგობრულად დაჰკრეს ხელები მხრებზედ.

—გინდა რძე და კვერები?

— არა, გმადლობ, — უთხრა სოკრატემ. — მზე რომ კეოსზედ ამოიწვერება მერე ვჭამოთ.

მაშინვე ავიდნენ გორაკზედ, ვენახში.

— რა ლაღად სუნთქავს აქ ადამიანი — ჰაერი მთელი მკერდით ჩაისუნთქა სოკრატემ. — ქალაქში ჭუჭყსა და ნარცხს ვსუნთქავთ...

— და კლეონის სატირიმლავის სიმყრალეს, არა?

— ძაღლსა ვფიცავ, პირდაპირ ვიხრჩობით! — გული იჯერა სოკრატემ. თოხები აიღეს და ვაზის ძირებს გამოთოხნა დაუწყეს.

სოკრატეს ბედმა გაუღიმა — გლავკეს სახით კეთილსინდისიერი მოზიარე იშოვა: ის გლავკეს მოსავლის ნაწილს აძლევს, გლავკე კი თავისი შვილების დახმარებით სოკრატეს ბაღ-ვენახს უვლის, არ აკლებს სოკრატეს არც ზეითუნს, არც დამარილებულ ზეთისხილს, არც ღვინოს, ის კი არა, თუ რამ მოსავლის ნამეტით დრაქმები მოიშოვა, იმ დრაქმებსაც ძმურად უყოფს.

ფილოსოფოსიც ხანდახან ჩამოდის ჰუდიში, — გლავკეს ვენახში ხელს წაამველებს ხოლმე, უფრო სიამოვნებისთვის.

— ანტეოსივითა ვარ, — ამბობს სოკრატე. — ხელ-ფეხით დედამიწას ვეჭიდები, რომ ძალა არ დავკარგო!

მიწას დასწვდა, პეშვით აიღო, დაფშვნა და თითებში გაცრა.

— აქ ყოველთვის შევხარი სიცოცხლეს, თუმცა ხან ეკლის გვირგვინივით იჩხვლიტება, — უთხრა სოკრატემ გლავკეს. — აქ აღარ მახსოვს, რარიგ დაცემულია ზნეობა ათენში. დილიდანვე თოხი მიჭირავს, მთელი დღე მზის გულზედ ვარ, ათენის ქუჩაბანდებში კი მზე სანატრელია. აქ, კარგი მუშაობით დაღლილი, შენთან და შენთა შვილთა თანა ერთ სამწდეურ ცივ ღვინოს დავლევ და სისხლი უფრო ამოჩქრიალდება ძარღვებში, სუყველა შავ აზრს და ზაფრას მთის ქარს გავატან და ისევ ისე შემიყვარდება სიცოცხლე როგორაც გაჩენის დღეს მყვარებია. სიცილით რომ დავბადებულვარ!

მერმე გლავკე-უმცროსმა ვირი ღრიჭინაში შეაბა, დაუდო სოკრატესთვის რაერთი ტიკი ღვინო, დამარილებული ზეთისხილი, და ათენისკენ გასწიეს. ფილოსოფოსი მხიარულად მიაბიჯებდა ღრიჭინის გვერდით და მღეროდა:

მაღალ ბაღახში ვეგდე, ვმღეროდი,
ეხედავ — მოფრინდა ოქროს ეროტი,
ვერცხლის ფრთით ჩამკრა მახინჯ სახეში
და ჩამომძახა: ტრფიალს მოეშვი!
ფუჭია შენი ოცნება მესხი —
შენ სიყვარულის არა ხარ ღირსი!

ამაობაში სოკრატეანთ ეზოში მაგიდის გარშემო, როგორც ყოველთვის, თავი მოიყარეს სოკრატეს მეგობრებმა, მოწაფეებმა: სიმონმა, კრიტონმა, კრიტიამ, ახალგაზრდებმა — ანტისთენემ და ევტიდემოსმა.

უცდიდნენ ალკიბიადეს — როგორც პოლიტიკურ სარბიელზედ მოსაქმეს,

საბჭოდან თავი ვერ დააღწია, — და სოკრატეს, რომელიც ჰუდიდან უნდა დაბრუნებულიყო. სიმონმა საჭმელი თანაბრად გაანაწილა — ჩვეულების თანახმად, ვისაც რისი თავი ჰქონდა, ის მოეტანა. მხოლოდ კრიტონს მოაქვს ყოველთვის იმდენი რამ, რომ სოკრატეს ვახშმადაც რჩება და მთელ მეორე დღესაც ჰყოფნის ხოლმე.

— დარიონ, პოჰ! — მოისმა ქუჩიდან წკრიალა ხმა, და ეზოში ბაწრით ხეზე მიბმული ძაღლი ქვაყორეს წამსვე ისარივით გადმოევლო. ეზოში თავმოყრილ კარგად ნაცნობ კაცთ კუდის ქიცინით მიუახლოვდა. ყველანი მეგობრულად დაყნოსა. ჭიშკარში ალკიბიადე გამოჩნდა, ტანთ ლაჟვარდისფერი ქიტონი და ლოტოსის ოქროს ყვავილებამოქარგული ქლამიდი ემოსა. ყველას სუნთქვა შეეკრა ამ მშვენიერი პიროვნების ხილვაზედ — მხოლოდ ერთი კრიტია მოიბღუნძა შურით და თავი ძალით მოიგულგრილა.

კრიტიას სული სავსეა ღვარძლით: რაც უნდა ჩაძდინოს ამ წარმოსადეგმა ჭაბუკმა, მაინც ალტაცების ხარკს აგროვებს! სოკრატეც კარგი კოხტაპრუწა მაწანწალაა. მართლაც, რა სასეირო სანახავია ათენელთათვის ეს წყვილი! მაგრამ მე ხომ ვიცი, რატომაც უყვარს ალკიბიადეს სოკრატეს საზოგადოებაში გამოჩენა. ვითომ ქარაფშუტა და თავაშვებული ბედოველათი კი არა, თავმდაბლობის ნიმუში, სამართლიანობისა და სიბრძნის განსახიერება ვარო, და ათენელთათვის იმის ჩაგონებას ცდილობს, რომ იგი, პერიკლეს ძმისწული და სტრატეგიის თანამდებობაზედ იმისი შესაძლებელი მემკვიდრე (რისთვისაც ეკლესიაში ხმების უმრავლესობის მოგროვება სჭირდება), მშობელ მამასავით ანდა უფროს ძმასავით აფასებს ფილოსოფოს სოკრატეს. მიყურეთ, ათენელნო, და სახედველნი დაგიბრმავდეთო! შეხედულებით ქარიფანტია ვარ, მაგრამ სულით ისეთივე მართალი გახლავართ, როგორიც ჩემი მასწავლებელიაო, და ასეთივე ვიქნები მაშინაც, თქვენი ბელადი რომ გავხდებიო... და ისე მოხდენილად ასწევს ხელს — ამის არისტოკრატობასთან შედარებით მე, კრიტია, რუხ თაგვად ვჩანვარ...

— სოკრატე სად არის? — იკითხა მოსულმა.

— ჰუდიში, — იქედნურად მიუგო კრიტიამ. — ვენახს აფხვიერებს. ცუდი არ იქნებოდა, შენც რომ წამოჰყოლოდი. ცოტას მიეშველებოდი.

— ურიგო იდეა როდია! — გაიღიმა მშვენიერმა ჭაბუკმა. — ალკიბიადე ვენახში, თოხით! მომიხდებოდა არა?

— შენ რაღა არ გიხდება, ამპარტავანო სულო? — გაიღრიჯა კრიტია; და შეამჩნია — ახალგაზრდა ევთიდემე ფეხის კოჭზედ მიეფერა ალკიბიადეს, რომლის სილამაზით მოხიბლული იყო. ალკიბიადემ მსუბუქად მოიცილა ევთიდემე და მოულოდნელად დაიწყო ეზოში წინ და უკან სიარული.

— ვერ მომითმენია, უნდა მალე გავიგო სოკრატეს აზრი არისტოფანეს „მხედრებზედ". თეატრში იმდენი ხალხი მიაწყდა, ვერ დაველაპარაკე.

ალკიბიადესგან უკუგდებული ევთიდემე აშკარად ცუდ გუნებაზედ დადგა. ის უმალვე კრიტიამ შეიფარა. გვერდით დაისვა, მოეფერა, თავზედ და სახეზედ ხელი მოუსვა...

სწორედ მაშინ გაუჩნდა კრიტიას მგზნებარე სურვილი...

ქუჩიდან სიმღერის ხმა მოისმა, რომელსაც ღრიჭინის ხმაური ახშობდა.

— სოკრატე!

ჭიშკარი სიმონმა გაუღო. გლავკე-უმცროსმა, სოკრატეს რომ მოჰყვებოდა, ღრიჭინა ეზოში შემოიყვანა.

მხურვალე მისალმების შემდეგ მყისვე საქმეს მიხედეს — ჭურიდან ჩამოტანილისთვის თავისი ადგილი უნდა მიეჩინათ, თანაც ერთი ტიკი დღევანდელი ვახშმისთვის უნდა გაეხსნათ.

სოკრატეს და გლავკეს სიმონი და ანტისთენე ეხმარებოდნენ, ჭიდან წყალი ამოიღეს, ღვინისა და წყლის შესაზავებლად კრატერი მოიტანეს, ხაპით ჩამოასხეს ჯამებში. გლავკემ მაშინვე შინ გასწია.

— ამრიგად, მეგობარნო! ასწია სოკრატემ ჯამი, როცა ყველანი სუფრას მიუსხდნენ. — მიწა, ჩვენი ბერდედა, ჰუდიდან მოკითხვას გითვლით! — ალკიბიადეს გადახედა, — რა იყო, ძვირფასო? რატომ გაქვს ეგრე ნაღვლიანი სახე? რამ შეგაშფოთა?

— დიახ, სოკრატე, ნამდვილად ზუსტი სიტყვა მონახე: შეშფოთებული ვარ. კლეონზედ არისტოფანეს თავდასხმებმა შემაშფოთა. თავდასხმებში მე დემოკრატიის განქიქებასაც ვხედავ. იმისი ბოროტი ენა არაფრის წინაშე არ ჩერდება. გავიგე, თურმე შენზეც წერს კომედიას.

— ნუთუ, იმისი აზრით, მე ამდენის ღირსი ვარ? — გაიცინა სოკრატემ. — არა მგონია. ისე მაინც რით მოხიბლეს „მხედრებმა" მაყურებელი და მსაჯულებიც კი, რომ პირველი ჯილდო მიუციათ. რას ფიქრობთ ამაზედ?

— კლეონს ბევრი რამ უნდა, — თქვა ისევ ალკიბიადემ. — მაგრამ მან ძალიან ცოტა რამ იცის და ცოტას თავი აქვს. მზად არის, რომ სიამოვნებით გასრისოს მთელი პელოპონესი, მაგრამ სამხედრო საქმეში მხოლოდ ლაქლაქი იცის თავისი მოთრიმლული ენით. ამავე დროს ის ახლა არა მარტო თავისი მოთრიმლული ენისა და მონების პატრონია, არამედ მთელი ათენის საზღვაო კავშირის მფლობელიც არის! კავშირი კი ირღვევა, თანაც სპარტასთან ჩვენს მცირე შეტაკებებს ვაითუ ისევ დიდი და სასტიკი ომი მოჰყვეს. მაგრამ კლეონს, ამ უხეირო სტრატეგს, სრულებითაც არ აწუხებს ომში ერთ-ერთი ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი რამ — ზურგი.

— რომელი ზურგი?

— ეკონომიკური და ეთიკური.

სოკრატემ მოწონების ნიშნად გაუღიმა.

— ჩინებულია! მოხარული ვარ, რომ აჟღერდა ეს სიტყვა — ეთიკა. როგორ არის ეთიკის საქმე ახლანდელ ათენში?

ანტისთენემ, პირქუში ხასიათის ჭაბუკმა, აღშფოთებით მიუგო:

— ეთიკა... საწყალი გლახაკია! თითქმის აღარც ამჩნევენ. ხალხი ერთმანეთს ჭამს, წვრილმანებზედ დავობს, ზნეობა ერთიანად დაცემულია, თუმცა შავი ჭირის შემდგომ უკვე ხუთი წელიწადია გასული, ათენის დიადი სული, ლაღად რომ ქროდა აკროპოლისიდან, უნუგეშოდ გაუკრავს მიწაზედ სიხარბესა და გარყვნილებას...

კრიტონმა ანტისთენეს ხელი მხარზედ დაადო:

რა კუშტად უცქერ ცხოვრებას! იქნებ იმის გამო, რომ უჟმურ დროს ხარ დაბადებული. ვისაც უკეთესი დროები გვინახავს, გვწამს, რომ ის ისევ

დაბრუნდება. ჩვენთვის აუცილებელია მშვიდობიანობა! ომი ადამიანთ აარამზადებს.

ალკიბიადე აენთო, მაგიდას ხელი დაჰკრა:

— არა ყოველგვარი ომი, კრიტონ, არამედ ავად მიმდინარე და უსასრულოდ გაჭიანურებული. ამაში კი კლეონია დამნაშავე!

ჭადრის ქვეშ დაძაბული დუმილი ჩამოვარდა.

პირველად[illegible]ის სოკრატემ დაარღვია:

— ათენელი ხალხი უკეთესი ბელადის ღირსია, და არისტოფანეს „მხედრებს" რომ ტაშს უკრავს, ამით ახალ მმართველს, გონიერ პატრონსა და სტრატეგს ითხოვს.

სიმონმა, რომელიც, როგორც ყოველთვის, სუფრას ემსახურებოდა, სუროგადავლილ მარმარილოს ფილასთან რაღაც საგანს წამოჰკრა ფეხი. დაიხარა, აიღო და ხელთ მოქანდაკის დაჟანგული საჭრეთელი შერჩა. საჭრეთელი რომ იცნო, სიმონმა დამალვა სცადა, მაგრამ სოკრატემ უკვე შეამჩნია.

— რა იპოვე, სიმონ?

— არაფერი... საჭრეთელია... სულ ჩაჟანგულა... მამაშენის საჭრეთელია.

— დაიცა, მაჩვენე...

ყველანი გაოცებით შესცქეროდნენ სიმონს — რატომ გაუხდა ასეთი შეშინებული სახე? ის კი ლუღლუღებდა:

— გეუბნები, დაჟანგულია... არაფრად არ ვარგა-მეთქი...

— მომე!

სიმონმა უხალისოდ გაუწოდა. სოკრატემ ყურადღებით შეათვალიერა ხელსაწყო.

— რატომ ტყუი, სიმონ? ჩემს ნიშანს ვერა ხედავ? ძალიან კარგად იცი, რომ ჩემი საჭრეთელია.

სოკრატემ ხელსაწყო ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და შორს, კედელთან მოგროვილ ნაგავში გადაისროლა.

ხმა ამოიღო ანტისთენემ:

— შენ, კრიტონ, ცხოვრებაზედ კუშტი შეხედულება მისაყვედურე. ჩვენ, უფროსთ, უკეთესი დროების დაბრუნება გვჯერაო, ამბობ. აი სოკრატეს, რომელმაც იმ კარგ წლებში ჩვენზედ მეტი იცხოვრა, ძველი დროის დაბრუნება არა სჯერა.

— მე არა მჯერა? — გაიკვირვა სოკრატემ. — მე?!

— ცხადია, — უპასუხა ანტისთენემ, — არა გჯერა, რომ კიდევ როდისმე დაიწყებენ ახალი პროპილეების შენებას, არა გჯერა, რომ შენი საჭრეთელი ოდესმე კიდევ დაგჭირდება ახალი ქარიტებისთვის.

— მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც სუფრასთან ვსხედვართ, — წარმოთქვა სოკრატემ, — მე კი არ გასწავლით, თქვენ მასწავლით. და ვხედავ, მარტო ანტისთენე კი არა, ყველანი გაკვირვებულნი ხართ, რომ საჭრეთელი უსარგებლო რამ ნივთსავით გადავაგდე. კლეონზედ ლაპარაკობდით, ისიცა თქვით, ომი ადამიანთ აარამზადებსო. მერედა, რა ხერხით ეპირება ამ პრობლემის გადაჭრას კლეონი? თქვენა გგონიათ, ვერა ხედავს, რაც ათენში ხდება და რარიგ არის მოკავშირეთა საქმე? ხედავს, მაგრამ არ იცის, როგორ გაარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვას თავი. ამიტომაც ყვირის! ამიტომ უნდა ყველა ამ უბედურების ყვირილით დაფარვა. ის მხოლოდ ერთ ხერხსა ხედავს — ძალადობას. რაც რამე იმას ეწინააღმდეგება, ყველაფერი უნდა მოისრას, განადგურდეს, აღგავოს პირისაგან მიწისა. ყველაფრისთვის ერთი წამალი ეგულება — ომი. მაგრამ ომი ვერ განკურნავს ხალხის სატკივართ, ვერაფერს წაადგება, ვერაფერს გამოასწორებს. წელან თქვით, ომი ადამიანთ აარამზადებსო. აბა დაუფიქრდით: განა ის გაარამზადებულნი ისევ არ უნდა გავაადამიანოთ?

ქადრის ტოტს ქიანაჭამი ფოთოლი მოსწყდა.

— მორჩა, გადავაგდე საჭრეთელი! უკვე კარგა ხანია, რაც აღარაფერს ვაქანდაკებ! ახალი პროპილეების შენებას ახლა აღარავინ დაიწყებს, ნაღდი ამბავია. მაშ, რა გინდათ? დავდგე და მიცვალებულთათვის საფლავის ქვები ვთალო? არა, არა, ცოცხლებისთვის უნდა ვიზრუნო.

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# იან პარანდოვსკი

გერმანულიდან
თარგმნა ანდუყაფარ ჭეიშვილმა

## სიტყვის ალქიმია

ჩემს მეუღლეს, უერთგულეს თანაშემწეს, რომლის გულის, გონებისა და ხასიათის კარნახით იქმნება ჩემი ნაშრომები, სიყვარულით ვუძღვნი ამ წიგნს ქორწინების ოცდახუთი წლის თავზე.

### შესავალი

ჩემს არც ერთ წიგნს არ გადახდენია თავს ამდენი ფათერაკი და არც ესოდენ ხანგრძლივი ისტორია ჰქონია რომელიმე მათგანს. ყველაფერი ერთი მოკრძალებული ლექციით დაიწყო ამ ოცდახუთიოდე წლის წინ. მე ვილნოში მიმიწვიეს ერთ-ერთ ლიტერატურულ ხუთშაბათობაზე. წასვლა გადავწყვიტე, მაგრამ საქმე ის იყო, რომ წასაკითხად არაფერი მქონდა მზად, რადგან იმ ხანებში მთელი დრო „პამეტნიკა ვარშავსკოეს" რედაქტორობაზე მეხარჯებოდა, ანაზდად ერთმა კარგმა აზრმა გამინათა გონება: ამ ლიტერატურულ საღამოს დამსწრეებთან მწერლის შრომაზე მესაუბრა.

ეს მართლაც გონების მეყსეული განათება გახლდათ: შესანიშნავად მახსოვს შემოდგომის ის ცისფერი დღე, როცა ამ აზრმა მთლიანად მოიცვა ჩემი არსება და მეც აღფრთოვანებით მივყავ ხელი ცალ-ცალკე ბარათებზე ლექციის გეგმისა და მისი ცალკეული დეტალების ჩამოწერას. მეორე დღესვე ვილნოში შევუთვალე, თანახმა ვარ ლექცია წავიკითხო-მეთქი და ლექციის სახელწოდებაც შევატყობინე.

ამ ქალაქში მხოლოდ ნოემბერში მოვხვდი. ზამთარი კარს იყო მომდგარი და ოსტრობრამსკის ჭიშკართან აღმართულ ბაზილიანელთა მონასტრის ფანჯრებთან ქარი ზუზუნებდა. ალბათ ამგვარივე ზუზუნი ესმოდა მიცკევიჩს, როცა ციხის საკანში იჯდა. მეც გავათიე ერთი ღამე ამ მოგონებებითა და აჩრდილებით სავსე საკანში. მეც მხოლოდ სანთელი მენთო სიბნელის გასაფანტავად, ის „უკეთური სანთელი" და ისიც, მაშინვე, როგორც კი „იმპროვიზაციის" ორიოდე სტრიქონი წარმოვთქვი, ჩაქრა.

ლექციის შემდეგ გამართულმა პაექრობამ დამარწმუნა, რომ კარგი თემა შემერჩია. მსმენელებმა უამრავი შეკითხვა მომცეს. მათ მწერლის შემოქმედებითი საქმიანობის მრავალი საკითხი აინტერესებდათ, მაგრამ იმჟამად საკმაო მასალები არ გამაჩნდა და ყველას ცნობისწადილი ვერ დავაკმაყოფილე. ამ შეკითხვებმა მაიძულა გამეფართოებინა ზოგი თემა და ლექცია ახალი საკითხებით შემევსო. ასე ხდებოდა ყოველი ლექციის წაკითხვის შემდეგ. ტექსტის უკანა გვერდები ივსებოდა შენიშვნებითა და მსმენელებთან საუბრის ჩანაწერებით. მალე გამიჩნდა აზრი, უფრო ფართოდ გამეშუქებინა ეს თემა, რადგან იგი ბევრს აინტერესებდა, მაგრამ სხვა სამუშაომ მომძალა და ამ განზრახვაზე ხელი ამაღებინა. მე ჯერ „ოლიმპიურ ბადროზე" დავიწყე მუშაობა, შემდეგ მეორე რომანმა, „ცეცხლმოდებულმა ცამ" გამიტაცა და თითქოს სრულიად მივიწყდა ჩემი ლექცია.

---

იბეჭდება ნაწყვეტი

მალე შევნიშნე, რომ წიგნის კითხვის დროს ამონაწერებს ვაკეთებდი, ან საკუთარი დაკვირვებები და მოსაზრებები ქაღალდზე გადამქონდა. ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს ერთად მოვუყარე თავი — ყველა ამ ცალ-ცალკე ფურცელზე, ძველ კონვერტზე თუ ქვითრის ნაგლეჯზე ამოწერილ ნაიზრევსა და შენიშვნას და ცალკე საქაღალდეში მივუჩინე ბინა. საქაღალდეს დროდადრო ვავსებდი და მალე ისე გაიბერა, რომ ძლივსღა იკვრებოდა. ცოტა ხანში ომიც დაიწყო და 1939 წლის სექტემბერში ბინასაც გამოვეთხოვე და საქაღალდესაც. გასაკვირია, რომ იმ წუთებში საქაღალდეზე ფიქრის თავი არა მქონდა! დაწყებული 1941 წლიდან, ერთი საერთო რვეული ავიღე და ნელ-ნელა დავიწყე დაგროვილი მასალის ჩაწერა და დამუშავება. ამ დროს უკვე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი წიგნის დაწერა. ზუსტად არ ვიცოდი რა მოცულობისა გამოვიდოდა, მაგრამ ას, ას ორმოცდაათ გვერდზე მეტს არ ვვარაუდობდი. პირველ რვეულს მეორეც მოჰყვა და ამის შემდეგ ორივე ჩემი განუყრელი თანამგზავრი გახდა. ოკუპაციის წლებში მათ ჩემთან ერთად მოიარეს მრავალი ქვეყანა. არადა, ვარშავაში რომ დამეტოვებინა, ჩემი წიგნებისა და ხელნაწერების ბედს გაიზიარებდნენ.

ომის შემდეგ „სიტყვის ალქიმიამ" ჩემთან ერთად იმოგზაურა შვეციაში, ნორვეგიასა და საფრანგეთში და მრავალი საათი დაჰყო სტოკჰოლმის სამეფო და პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკებში. იგი თვალდახელშუა იზრდებოდა. პოლონეთში დაბრუნების შემდეგ ეს ჩანაწერები საფუძვლად დაუდე უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებს. ეს მომავალი წიგნის თავისებური გამოცდა იყო. ჩანაწერებში საკითხები მოკლედ იყო გადმოცემული, ზოგჯერ სულ რამდენიმე სიტყვით, ლექციაში კი ხორცს ისხამდა, დეტალებითა და დაწვრილებითი ცნობებით ივსებოდა და ახალ კითხვებს ბადებდა. ჩემთვის უკვე აშკარა და გასაგები ხდებოდა, თუ რისთვის მიმექცია მეტი ყურადღება, ზოგ პრობლემას ხელახლა ვუბრუნდებოდი დისკუსიებსა და სემინარებზე.

შავ ჩანაწერებს კარგა ხნის წინათ გამოვეთხოვე. ნაშრომი უკვე გადაბეჭდილი იყო. ყოველი თავი სხვადასხვა ფორმატისა და ხარისხის ქაღალდზე და სხვადასხვა შრიფტით იყო დაბეჭდილი. ისინი იმ ქვეყნებს, ქალაქებსა და ქუჩებს მახსენებდნენ, სადაც წინა წლებში ვცხოვრობდი: ხან ნაძვისა და ლავანდის სურნელით გაჟღენთილი ვიგბიუპოლი წარმომიდგებოდა თვალწინ, ხან სენ-მიშელი და ლუქსემბურგის პარკის ფოთლებშემოძარცული ხეები, ხან კი წყნარი, დათოვლილი ლუბლინი.

მოულოდნელად ეს ფურცლები გაზაფხულის ქარმა აიტაცა. სხვადასხვა ჟურნალის თხოვნით ცალკეულ ფრაგმენტებს რედაქციას ვუკეთებდი, ვასათაურებდი და ერთიმეორის მიყოლებით ვაქვეყნებდი. ერთი წლის შემდეგ უკვე ველარ ვცნობდი ჩემს წიგნს. არც ერთ თავს აღარ ჰქონდა ძველი კომპოზიცია: ზოგი მათგანი მეორეს ერწყმოდა, ხანდახან რომელიმე ღორმუცელა ნაწილი ნთქავდა იმ ადგილებს, რომელიც მასთან არ იყო დაკავშირებული; გაჩნდა ისეთი ახალი საკითხები და თავები, რომლებიც თავდაპირველი გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

აღარ ვიცოდი რა მექნა. ერთი სული მქონდა ძველებურად მოვქცეულიყავი — დავმჯდარიყავი და თავიდან გადამეწერა მთელი წიგნი, მაგრამ ფუფუნების უფლება არ მქონდა — წიგნი ორი თვის შემდეგ სტამბაში უნდა ყოფილიყო.

უკვე ზაფხული იყო, არდადეგები დაიწყო და დასასვენებლად პატარა მელანქოლიურ ქალაქში, უსტკაში, გავემგზავრე და თან მთელი დასტა ქაღალდები წავიღე — მეტწილად გაზეთებში გამოქვეყნებული ნაწილების ამონაჭრები, რომლებიც უსტკაში წიგნად ავკინძე. აქ დავამთავრე. „სიტყვის ალქიმიის" ხანგრძლივი თავგადასავალი და რამდენიმე თვის შემდეგ დაისტამბა კიდეც.

წიგნს ახალი ფათერაკები ელოდა. იგი მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად, ერთგვარ „უნიკუმად" იქცა, თუ შეიძლება ეს ტიტული მიეკუთვნოს ისეთ წიგნს, რომლის ასაკი საუკუნეებით კი არა, სულ რამდენიმე თვით განისაზღვრებოდა. მის შესახებ ისეთ ანეკდოტებს ჰყვებოდნენ, რომლებიც ყოველგვარი ავტორის პატივმოყვარეობის წყურვილს დააკმაყოფილებდა. წიგნი დღითი დღე ძვირდებოდა და სულ უფრო და უფრო ძნელი საშოვნელი ხდებოდა. ზოგჯერ მე თვითონ ვეძებდი ხოლმე ერთადერთ ცალს, როცა ვინმესთვის უნდა მეჩუქებინა — ყველა არ იჯერებდა, რომ ძუნწი არა ვარ და საავტორო ეგზემპლიარების შეკვრას არ ვმალავ.

მწერალი, რომელიც სიცოცხლეშივე ხდება ბიბლიოგრაფიული იშვიათობის ავტორი, ორჭოფულსა და უხერხულ მდგომარეობაშია. მე გვერდს ვუვლიდი წიგნის იმ მაღაზიებს, რომლის გამყიდველებიც მიცნობდნენ. რომ შევსულიყავი, აუცილებლად მკითხავდნენ როდის დაისტამბება „სიტყვის ალქიმიის" ახალი გამოცემით. ასევე ვიტანჯებოდი, როცა წარმოვიდგენდი, თუ რა მელოდა საავტორო საღამოს დასასრულს — მკითხველთა ყვირილის მოგვრიება არ გიხდება?!

ათას რამეს ვიმიზეზებდი; მოუცლელი ვარ, სხვა საქმეები მაქვს. როგორც კი დაწყებულ სამუშაოებს მოვრჩები „ალქიმიას" მოვკიდებ ხელს-მეთქი. მაგრამ არავინ მიჯერებდა.

განა ვიტყუებოდი? „ოდისეა", „მზის საათი" და „პეტრარკა" ერთიმეორის მიყოლებით მიკეტავდნენ „ალქიმიასთან" მისასვლელ გზას. თვითონ „ალქიმიაც" დაჟინებით მახსენდა, ყურადღებას მთხოვდა და ხელს მიშლიდა სხვა ნაწარმოებთა დასრულებაში. დროდადრო „ალქიმიის" ფურცლებს შორის შენიშვნებიან ფურცლებს ვდებდი, ან აშიებზე მივაწერდი ხოლმე საჭირო დამატებას. ერთიც და მეორეც იმდენი დაგროვდა, რომ წიგნის ამნაირი სახით სტამბაში გაგზავნა არაფრით არ შეიძლებოდა. ყველაფერი წესრიგში უნდა მომეყვანა და გადამებეჭდვინებინა, ამის შესაძლებლობა მხოლოდ ამ ზაფხულს „პეტრარკას" დამთავრების შემდეგ მომეცა.

„სიტყვის ალქიმია" კვლავ გაიბერა. თავი არ დარჩა, რომ რამდენიმე გვერდი არ დამატებოდა, გაჩნდა სრულიად ახალი ნაწილებიც. მიუხედავად ამისა, არა მგონია, წიგნმა იმ სიმანს მიაღწია, რომლის შემდეგ მშვიდი ცხოვრება იწყება. ხელახალი გამოცემის დროს, ან უფრო ადრეც — კორექტურაში — არაერთი ადგილი მეგულება, სადაც წინადადებათა მწყობრ მწკრივს ახალი ჩამატებები დაარღვევს. ისინი უკვე ჩასაფრებულნი არიან ჩემს უბის წიგნაკში.

კაცმა რომ თქვას, ამგვარ წიგნებს არასოდეს უსვამენ წერტილს. ყოველთვის შეაქვთ ახალი დაკვირვებები და მოსაზრებები, მათ ფართო აშიაზე ყოველთვის გინდა ახალი ფაქტი და ახალი აზრი მიაწერო, მით უმეტეს, როცა ლაპარაკია ისეთ თემაზე, რომელიც, თუ ავტორი თავისი საქმის ერთგულია და ყოველდღიურად ემატება გამოცდილება, სულ უფრო და უფრო ფართოვდება. არიან ავტორები, რომელთაც არ უყვართ საუბარი თავიანთ საქმიანობაზე, ვერ იტანენ თანამოკალმეთა საზოგადოებას და წიგნებსაც კი არ კითხულობენ, მაგრამ მწერალთა უმეტესობა არც კოლეგებზე მსჯელობას ერიდება და არც აღსარებას. ზოგი საკუთარი ნაწარმოების წინასიტყვაობაში ან მემუარებში გამოთქვამს თავის თვალსაზრისს, ზოგი ესეებსა და ფელეტონებში, სადაც ეძლევათ საშუალება წამოჭრან და კონკრეტული მაგალითების მოშველიებით გადაწყვიტონ მწერლური ხელოვნების პრობლემები. შეიძლება ყველაზე თავშეკავებულ მწერლებსაც გამოსტყუო რაიმე წერილი ან ინტერვიუ, რომლებშიც ისინი ნებსით, თუ უნებლიეთ აღსარებას გვეუბნებიან, ან რაიმე სასარგებლო რჩევას იძლევიან.

ზოგიერთ მკითხველს ჰგონია, რომ „სიტყვის ალქიმია" ავტორის აღსარებაა და, გარდა ამისა, ამ წიგნის დახმარებით ლიტერატურული ხელობის საიდუმლოებებს ეზიარება. მე ოდესღაც მართლაც მქონდა ამგვარი განზრახვა, მაგრამ მის განხორციელებას სულ სხვა საშუალებით ვაპირებდი: მინდოდა შემექმნა ინსტიტუტი, რომლის სახელწოდება იქნებოდა „სამწერლო ხელოვნების სკოლა". ამ პროექტმა დიდი გაოცება გამოიწვია საზოგადოებაში. მაშინვე თავს დამესხნენ და ბრალი დამდეს, „გენიოსი ლიტერატორობის მოსამზადებელი დაწყებითი სკოლა უნდა დააარსოსო. ის კი არავინ გაიხსენა, რომ სამწერლო ხელოვნების საფუძვლების შესწავლა მომავალი გენიოსების გარდა იმათაც სჭირდება, ვინც მწერალი არასოდეს გახდება, მაგრამ თავიანთი პროფესიის გამო სიტყვასთან უხდება ურთიერთობა. მე ხომ ახალი არაფერი მომიგონია? ის, რაც ლიტერატურის წინსვლისათვის შევთავაზე საზოგადოებას, დიდი ხანი არსებობს ხელოვნების სხვა დარგებში. მუსიკოსთვის — კონსერვატორია, მხატვრობისა და ქანდაკებისათვის — გამომსახველობითი ხელოვნების სკოლები და არავის აზრად არ მოუვა სასაცილოდ აიგდოს ეს სასწავლო დაწესებულებები.

„სიტყვის ალქიმიას" არავითარი კავშირი არა აქვს იმ დიდი ხნის დავიწყებულ პროექტთან. ის არც შენიღბული დღიურია და არც სამწერლო ოსტატობის სახელმძღვანელო. ამ წიგნის მიზანია, გააცნოს იმ ხალხს, ვისაც წიგნთან აქვს საქმე, წიგნის შექმნის პროცესი, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა მხარე, რომლებზედაც, შესაძლებელია, არავინ დაიწყებს ფიქრს, როცა ამ მწერლის ქმნილებას აიღებს ხელში. ზოგჯერ კი, რასაკვირველია, ისეთ მოვლენებზეც ვლაპარაკობ, რომლებთანაც პირადად მე კავშირი არა მაქვს, მაგრამ მაშინაც სულსა და გულს ვაქსოვ განსახილველ საგანში. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ყველაფერი, რაც ლიტერატურას შეეხება, ძვირფასია ჩემთვის, რადგან მთელი ჩემი სიცოცხლე, ყველა ოცნება და თავისუფალი დრო ლიტერატურის საკურთხეველზე მივიტანე მსხვერპლად.

**ვარშავა, 1955 წლის დეკემბერი.**

## მოწოდება

ლიტერატურას, ისევე როგორც მიწათმოქმედებას, ზღვაოსნობას, ვაჭრობას, მედიცინას, ყოველ გამოგონებას, ხელოვნებასა და ხელოვნების ყოველ დარგს თავისი მითოლოგია აქვს. ეს მითოლოგია გვამცნობს ამა თუ იმ მოვლენის ჩასახვასა და წარმოშობას, რადგან კაცობრიობას ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა ზებუნებრივი ძალების დახმარების გარეშე შექმნილიყო რაიმე. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლიტერატურა თავის აკვანს ღმერთებისა და ტიტანების სამყაროში ეძებდა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ შემოქმედებითი ნიჭი თავისთავად უჩვეულო და თავისებური მოვლენა იყო და სიტყვიერი ხელოვნების საიდუმლოებას უხსოვარ წარსულში ჰქონდა გადგმული ფესვები, ღმერთებმა განუხვნეს ბაგენი თავიანთ რჩეულთ. წინასწარმეტყველნი „ცეცხლოვან ქვას" უმადლოდნენ თავიანთ მჭევრმეტყველებას. ხოლო ჰეზიოდე მოგვითხრობდა, თუ როგორ ასწავლიდნენ მუზები სიმღერას, როცა მამამისის ცხვარს მწყემსავდა ჰელიკონის მთის კალთებზე. რამდენიმე ეპიგრამაში ვკითხულობდით, რომ ფუტკრები (ღვთიური მელისები) მძინარე პლატონს ბაგეებზე თაფლს უსვამდნენ. შემდგომში მუზები და ღვთიური მელისები სხვა ცნებებმა — ღვთის მიერ მომადლებულმა თანდაყოლილმა ნიჭმა და მოწოდებამ შეცვალა.

ღვთით ზეშთაგონებულნი წინასწარმეტყველები და მოციქულები ხდებიან. ძველი აღთქმის წიგნები სიტყვიერი ხელოვნების უბრწყინვალესი ნიმუშებია, მაგრამ არავინ დაიწყებს მტკიცებას, რომ ესაია და იერემია წინასწარ სწონიდნენ თითოეულ სიტყვას, წინასწარ ფიქრობდნენ, თუ რა ფორმა და რომელი სამწერლო ხერხი გამოეყენებინათ ამა თუ იმ აზრის გადმოსაცემად და წინასწარ წუხდნენ იმაზე, რა ადგილს დაუმკვიდრებდა მათ ესა თუ ის ფორმა ლიტერატურაში. ასეთივე სულშიჩამწვდომი სტილით არის დაწერილი პავლე მოციქულის ეპისტოლენი, ისინი არღვევენ ბერძნული ლიტერატურის ტრადიციებს და ასახავენ აზრის დაუნდობელ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას სიტყვასთან, აზრისა, რომელიც იძულებულია სიტყვით გამოიხატოს, თუნდაც გრამატიკის ძირითადი კანონების დარღვევის ფასად. სწორედ ეს იძულება, რომელიც ისე ძლიერია, რომ მისი არსებობა მხოლოდ ზეშთაგონებით თუ შეიძლება აიხსნას, არის შემოქმედების ჭეშმარიტი წყარო, თვითონ შემოქმედება კი — მხოლოდ დიადი სულის გამოხსნება. წარმოიდგინეთ, რა ძლიერი შემოქმედების უნარი ექნებოდა ასეთი ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას თანამედროვეებზე, როცა ისინი უშუალოდ შეიგრძნობდნენ მის სულში აგზნებული შემოქმედების ალის მხურვალებას.

ასევე სულის შემძვრელია მისტიკოსთა ნაწარმოებები, რომლებშიაც სიტყვას იმის გამოთქმა ევალება, რაც შეუძლებელია, რადგან იგი არ არის იმისათვის შექმნილი, რომ მისტიკოსთა გულისნადები გადმოსცეს. და თუ მისტიკოსები მაინც ცდილობენ, სიტყვა თავიანთ ერთგულ მსახურად აქციონ, მით მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ადამიანის ბუნება სრულყოფილი არ არის — მას არ შეუძლია გაძლება მსმენელთა და თანამგზავრთა გარეშე. ექსტაზის, აღფრთოვანებისა და ხილვების ხიბლი სიტყვებში ნივთდება, მაგრამ მათში სულის სიმხურვალე უკვე აღარ იგრძნობა. მინავლული ცეცხლის აგზნება მხოლოდ ისევ სულიერ გარემოსთან კავშირით, სხვანაირად რომ ვთქვათ, სხვა მისტიკურ სულთან კავშირით შეიძლება, მაგრამ ორი ასეთი სულის შეხვედრა ისე იშვიათია, როგორც ორი ვარსკვლავის შეხვედრა უსასრულო სამყაროში. ყოველდღიურ სინამდვილეში კი მარტო კომენტატორებს ვხედავთ, რომლებიც გაცივებულ ფერფლში იქექებიან.

რელიგიას, კაცობრიობას, ხალხს, საზოგადოებას, იდეებს, იდეალებს თავიანთი საკუთარი მოციქულები ჰყავთ, რომლებიც სიცოცხლეს არ იშურებენ თავიანთი სათაყვანო საგნის დასაცავად და განადმერთებლად.

მიზნის მისაღწევად, რა თქმა უნდა, მოქმედებაა საჭირო. სიტყვა მოქმედების შემცვლელის როლს ასრულებს, ხშირად კი მოქმედებაზე უარის თქმის შედეგია. თუ მოციქულს ვითარება ხელს არ უწყობს და ამიტომ ეკლესიის რელიგიური სექტის, ხალხის, ან რაიმე გაერთიანების, მაგალითად პოლიტიკური პარტიის სათავეში ჩადგომას ვერ ახერხებს, იძულებულია სიტყვა მოიხმოს შემწედ. შეიძლება ეს ამ საპატიო ტერმინის ბოროტად გამოყენებაა, მაგრამ „მოციქულობა", ყველაზე კარგად განსაზღვრავს მწერლური საქმიანობის ამ სახეობას. ამ ხელმოცარული ენერგიული ხალხის ბოლო რიგში ყოველი სახელმწიფო მოღვაწეები და გადამდგარი გენერლები არიან. ისინი მემუარებს, ბროშურებსა და პამფლეტებს წერენ და ზოგჯერ ამ ნაწარმოებებს ავტორთა ნამოქმედარზე მეტი ხნის სიცოცხლე უწერიათ.

იმას, ვინც ამტკიცებს, რომ ადამიანს დაბადებიდან უნდა დაჰყვეს მწერლობის ნიჭი, ზემოხსენებული ჟანრის ავტორების მაგალითი საბუთად არ გამოადგება. წინასწარმეტყველს, მო-

ციჭურს, პოლიტიკურ მოღვაწეს თუ ბელადს მწერლობა არც თავიანთ მთავარ მიზნად მიაჩნიათ, არც ჭეშმარიტ მოწოდებად: მწერლობა მათი მოღვაწეობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც ყოველთვის არც კი მოაქვს მათთვის სარგებლობა და ხშირად სახელსაც უტეხს ხოლმე. ამგვარი ხალხის მოწოდება თავიდან სულ სხვა იყო. როცა ხელი მოეცარათ, მწერლობა დაიწყეს და იგი იდეის, საზოგადოების კეთილდღეობის ან მეცნიერების სამსახურში ჩააყენეს. ზოგჯერ ისეც მომხდარა, რომ კალამი, რომელსაც გარკვეული იდეის განმტკიცებისათვის უნდა შეეწყო ხელი, მხოლოდ თავისთვის იხვეჭდა დაფნის გვირგვინს.

აი, ჟან ჟაკ რუსოს მაგალითი: „აღსარებაში" მწერალი მოგვითხრობს, რომ იგი ხშირად მიდიოდა პარიზიდან ვენსენში და გზად მცირე ხნით შეისვენებდა ხოლმე. თან ყოველთვის რაიმე მიჰქონდა წასაკითხავად. „ერთხელ „მერკიურ დე ფრანსის" ნომერი გავიყოლე და გზადაგზა თვალიერება რომ დავიწყე, საკონკურსო დავალებას წავაწყდი: დიჟონის აკადემია, გაზეთის მკითხველებს სთხოვდა ეპასუხათ: მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებამ ზნეობის ამაღლება გამოიწვია თუ დაცემაო. ამის წაკითხვისთანავე ქვეყანას სულ სხვა თვალით შევხედე და სხვა ადამიანად ვიქეცი. ვენსენში რომ ჩავედი, ისე ვიყავი აგზნებული, რომ გაგიჟებას აღარაფერი მიკლდა. დიდრომ შემატყო, რომ აღელვებული ვიყავი და მიზეზი მკითხა. როცა ვუთხარი, დამიჟინა, შენი აზრები ქაღალდზე გადაიტანე და გაზეთში გააგზავნეო". იმავე ნაწარმოებში, სხვა ადგილას, რუსო რამდენიმე დეტალს უმატებს: „თუ ოდესმე არსებობდა მოულოდნელი შთაგონების მსგავსი რამ, ეს სწორედ ის განწყობა იყო, რომელიც დამეუფლა ამ ცნობის წაკითხვის შემდეგ". რუსო გვიამბობს, რომ გული აუჩქარდა, თვალები დაუბნელდა და თავბრუ დაესხა. იგი გზის განაპირას მდგომ ხის ქვეშ დაეცა, ნახევარ საათს იწვა საოცრად აღელვებული და სულით ხორცამდე შეძრული და, როცა წამოდგა, მთელი ჟილეტი სველი ჰქონდა ცრემლებისაგან. დიდრო და მარმონტელი კი სხვანაირად გადმოგვცემენ ამ ამბავს. დიდრო ინიციატივას, იმპულსს, რომელმაც რუსო შეამზოხე მოაზროვნის გზაზე დააყენა, თავის დამსახურებად თვლის. დიდროს მონათხრობში საკმაოდ იგრძნობა ღვარძლი და ბოღმა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსოს შთაგონება ეწვია და საკუთარი გზა დაანახა.

ეჭვი არ არის, რომ ეს მოწოდების აქტი იყო.

თუმცა რუსოს აზრმა მოუწოდა და არა ხელოვნებამ, მაგრამ ამის შემდეგ მწერალი გახდა. იგი თემიდან თემაზე გადადიოდა, სიყვარულის ისტორიას გადმოსცემდა, ბუნებას აღწერდა და მელოდიური პროზით ამცნობდა მკითხველებს საკუთარი გულის ხვაშიადს. განა ეს იმას ნიშნავს, რომ საკონკურსო თემის [illegible] მოულოდნელი შემთხვევითობა ან უბრალო დამთხვევა იყო? არა და არა! ეს ის მარცვალი გახლდათ, რომელიც წლების განმავლობაში ოცნებისა და გაუბედავი ცდების [illegible] ნიადაგზე დაეცა. მართალია, ამ შემთხვევამდე რუსო კომპოზიტორობაზე ოცნებობდა, მაგრამ საქაღალდეში უკვე ედო „ნარცისი" — მარივოს სტილით დაწერილი პატარა კომედია პროზად, ტრაგედია — „ახალი ქვეყნის აღმოჩენა" და რამდენიმე ლექსად დაწერილი მინიატურა. ასეთ მასალას მწერლები არ აქვეყნებენ. პოლიტიკოსები და ბელადები კი ხორცს ვერ ასხამენ. „ანაბასისი" ლაშქრობის დღიურია, მაგრამ ქსენოფონტეს სხვაგვარი ნაწარმოებებიც აქვს: პედაგოგიური რომანი (რუსოს „ემილის" პროტოტიპი), მოგონებები სოკრატეზე და ისტორიული შენიშვნები. ნაპოლეონი, სანამ თავის კალამს უკვდავებას აზიარებდა პროკლამაციებითა და საკუთარი ლაშქრობების აღწერით, წმინდა ლიტერატურული ნაწარმოებების თხზვაში ცდიდა ხელს. იულიუს კეისარი „კომენტარების" შექმნამდე სტილისტიკის პრობლემებს ამუშავებდა.

საკუთარ თავში მწერლობის სურვილისა და ტალანტის უეცარი აღმოჩენა ადამიანისათვის მოულოდნელია და მაშინვე არ კიდებს კალამს ხელს. ერთმა და იმავე საზოგადოებრივმა, პოლიტიკურმა და რელიგიურმა ვნებებმა შეიძლება ათასობით კაცი აღაფრთოვანოს, მაგრამ მხოლოდ ერთმა ანდოს ქაღალდს თავისი აზრები და სურვილები. ასე მოიქცა სტანისლავ ორჟეხოვსკი — იგი არ დაკმაყოფილდა სხვადასხვა სეიმებზე ყვირილითა და ქოთქოთით და თავისი სიძულვილი, მისწრაფებანი, საზრუნავი და იმედები ბრწყინვალე, ოქროჭედური პროზით გამოთქვა.

უეჭველია, იგი ინტელექტითა და ნიჭით სხვებზე მაღლა იდგა, თანაც ყველაზე კარგად გრძნობდა, რომ სიტყვაში დიდი ძალაა დავანებული და იცოდა, როგორ გაეთავისუფლებინა ეს ძალა.

ზოგს რაიმე იდეა აძლევინებს კალამს ხელში, ზოგისთვის კი მწერლობა სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. პირველი სხვადასხვა იარაღებიდან კალამს ირჩევს თავისი მიზნის განსახორციელებლად და როგორც კი ჩანაფიქრს განახორციელებს, წერას თავს ანებებს. მეორისათვის შემოქმედება სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. ამ უკანასკნელს კარგად ესადაგება პეტრარკას სიტყვები: „წერას მაშინ დავამთავრებ, როცა მოვკვდები". ამას ზოგჯერ საზოგადოებასთან შეტაკება მოსდევს, ზოგჯერ საშინელი დაბნეულობა და იმედის გაცრუება, ზოგჯერ ტრაგედია და ნაღვლიანი ფარსები, თუ წარსულში სახელგანთქმული პოეტი იოლი წარმატების მისაღწევად პიესების

წერას დაიწყებს. საკუთარი შესაძლებლობები სწორად შეაფასა ულტერ სკოტმა. იგი წერდა: „უკვე კარგა ხანია ლექსების წერას თავი დავანებე. ოდესღაც პოეზიაშიც წარმატებას ვაღწევდი. მაგრამ მივხვდი, რომ ადრე თუ გვიან სხვები მაჯობებდნენ. გონებამ მიკარნახა ბაირონის ტალანტის უპირატესობა მეღიარებინა და აფრები დამეშვა". ამის შემდეგ მან შემოქმედების სხვა სფეროში გადაინაცვლა — ისტორიული რომანების წერა დაიწყო, სადაც მეტოქე არა ჰყავდა.

გათავებულია იმ მწერლის საქმე, რომელზეც ატყვიან, გამოიფიტა და ველარაფერს ქმნისო. როგორც კი ეს ულმობელი ფრაზა ითქმება, მწერალი აკანკალებული ხელით იწყებს თავისი ძველი დიდების სასახლის ნგრევას. მიცკევიჩი სულ რამდენიმე წლის განმავლობაში იყო პოეტი და ამ წლებში შექმნა ყველაფერი — ბალადებიდან დაწყებული, „პან თადეუშით" დამთავრებული. ამის შემდეგ იგი ხან პოლიტიკოსი იყო, ხან პუბლიცისტი, ხან უნივერსიტეტის ლექტორი, ხან მოციქული და ბოლოს ცხოვრება ჯარისკაცად დაამთავრა, მაგრამ რა საქმისათვის არ უნდა მოეკიდა ხელი, ყოველთვის პოეტად რჩებოდა, რადგან ჭეშმარიტი პოეტობა მარტო ლექსების თხზვა არ არის — ჭეშმარიტი პოეტისათვის მთელი სიცოცხლე შემოქმედებაა. ოღონდ უფრო ხშირად ისე ხდება, რომ მწერალს არ ძალუძს, დროულად აიღოს ხელი შემოქმედებაზე და თავს იტყუებს, შეძენილი ოსტატობა იმპულსებსა და წარმოდგენებს გამიცხოველებსო. „მე ლექსებს აღარა ვწერ, მაგრამ როცა ვინმე ახალ ლექსს მომთხოვს, საწერი მაგიდის უჯრას გამოვწევ, ხელში მოხვედრილ პირველსავე ნაწყვეტს ვიღებ და მაშინვე ძარღვებში კვლავ ახალგაზრდულად ამიჩქროლდება სისხლი, გული კვლავ ძველებური ცეცხლით მითბება, კვლავ ამოჩუხჩუხდება დაშრობის პირას მიმდგარი წყარო", — წერდა მოხუცი სიული პრიუდომი.

იყო დღე, როცა ამ წყარომ პირველად ამოხეთქა. ეს უბედნიერესი დღე არის ყოველი პოეტის ცხოვრებაში და ამ თარიღის გახსენება ყველას უძნელდება. იშვიათად თუ შეძლებს ვინმე, ზუსტად აღადგინოს გონებაში ის ვითარება, როცა ზენამ პოეტად აკურთხა, მწერლის დაბადება კი უდიდესი და გასაოცარი მოვლენაა. უძლიერესი განცდები, ისეთივე, როგორიც პირველი სიყვარულის დროს გვეუფლება, მთლიანად შეძრავს ხოლმე ჩვენს სულსა და გულს. ხშირად მწერლის, განსაკუთრებით პოეტის დაბადება სწორედ პირველი სიყვარულის გაცნობიერების დროს ხდება. პოეზია გაზაფხულივით შემოდის გულში, სამყარო ცისფერი და განახლებული გვეჩვენება. პოეტები ადრე იფურჩქნებიან და ზოგჯერ 30 წლის ასაკში უკვე მოათავებენ ხოლმე თავიანთ სათქმელს. მაგალითად შეიძლება შელი გამოგვადგეს, ან ბაირონი, რომელმაც შელიზე ორიოდე წლით მეტი იცოცხლა. რემბომ სიჭაბუკის მერე აღარაფერი შეუქმნია. ქლექით დაავადებული ნოვალისის უზარმაზარი მემკვიდრეობა სულ ორმოც-წლიან სიცოცხლეში ჩაეტია. 40 წელს ვერ გადააბიჯა ლუკრეციუსმაც, რომელიც იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ თავისი შმაგად გატარებული ახალგაზრდობის შთაბეჭდილებებით გაჯერებული ფილოსოფიური პოემა შექმნა. ახალგაზრდობაშივე ჩაქრა კანიცკისა და ხემპ-შაინსკის ცხოვრების სანთელი; კიორნერი 22 წლისა დაეცა ბრძოლის ველზე, ლერმონტოვი 27 წლისა დაიღუპა დუელში და კიდევ ასეულობით პოეტი შეგვიძლია გავიხსენოთ, რომელთა სულიც პოეზიის კაშკაშა ალში ჩაიფერფლა.

პოეტობას მაშინ იწყებენ, როცა გრძნობები ნორჩია, სამყაროს სიბლი ძლიერად არის გამჯდარი სულსა და გულში, როცა ყველაფერი ახლად და უჩვეულოდ ეჩვენებათ. ახალგაზრდობა ლირიკული და სუბიექტურია, იგი უგულებელყოფს სხვა ინდივიდების არსებობას, სამყარო კი საკუთარ სამფლობელოდ მიაჩნია. პროზა კი სულ სხვა რამ არის: იგი მოწიფული ადამიანის საქმეა, პროზისათვის არ არის საკმარისი ოხვრა-კვნესა, აღტაცების შეძახილები და მეტაფორები. საჭიროა ცხოვრებაში ჩაწვდომა, მრავალი რამის, პირველ რიგში, პროზაული ნაწარმოების შექმნის ხელოვნების შესწავლა.

ჰერდერის რამდენიმე გულუბრყვილო კონცეფციას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, არ არსებობს არც ერთი ოდნავ მაინც სერიოზული ჰიპოთეზა, რომ კაცობრიობამ ლექსად ამოიდგა ენა. მიუხედავად ამისა, ყოველი ხალხის ლიტერატურა პროზით კი არა, პოეზიით იწყება, რადგანაც პირველად სწორედ ლექსმა მოიშორა ყოველდღიური სალაპარაკო ენის ხუნდები და ბევრგან, მხატვრული პროზის პირველი გაუბედავი ფრაზების დაბადებამდე, სრულყოფის საფეხურს მიაღწია. პროზის ფაქიზი მექანიზმი ძალზე ნელა იქმნება და მომწიფების პროცესი ყველა მწერალთან მეტ-ნაკლებად ერთგვაროვნად მიმდინარეობს, თითქმის ყველა, თითქოსდა ევოლუციის კანონების დასადასტურებლად, ლექსებით იწყებს შემოქმედებას; ზოგჯერ დიდხანს ვერ გაიაზრებენ თავიანთ პირდაპირ მოწოდებას, —სანამ მთლიანად პროზაზე გადავიდოდნენ, ლექსების ტომეულების გამოქვეყნებას ასწრებენ. შემდეგ კი რცხვენიათ, რომ ამ ტომებს მათი სახელი აწერია ყდაზე. მაგრამ აქაც, როგორც ყველგან, გასაოცარი გამონაკლისები გვხვდება. ანატოლ ფრანსი ამაყობდა კიდეც იმით, რომ ახალგაზრდობა პარნასზე გაატარა. ზოგიერთი ერთნაირად ემსახურე-

ბა პოეზიასაც და პროზასაც, მაგალითად, პოლ ვალერი და ნაწილობრივ ჟიულ რომენი, რომელიც დროდადრო ლექსით შეგვახსენებს ხოლმე თავს. ჩვენთან, პოლონეთში კი — ივაშკევიჩი.

როცა პოეზიას ცხოვრების გაზაფხულის საჩუქარს ვუწოდებთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს აგრეთვე პოეზია, რომელიც მოწიფული ასაკის პირმშოა. მოწიფული ასაკი ფილოსოფიური ლირიკის, დრამისა და ეპოსის ჟამია. ეს უკანასკნელი, ანუ ეპოსი, ძალზე იშვიათად არის ახალგაზრდული წლების შემოქმედების ნაყოფი. დანტე თავის „ღვთაებრივ კომედიას" კანცონებისა და სონეტების შექმნის პერიოდში ვერ დაწერდა, არ შეიძლებოდა „პან თადეუში" ბალადების პერიოდში შექმნილიყო. ასეთ პოემებს მთელი სიცოცხლე, სამყაროს ცოდნა, განსჯა, დაფიქრება, მოწიფული და მყარი ინტელექტი სჭირდება. ასევე, ცხოვრებისეული გამოცდილების მიღების შემდეგ, თანდათანობით პოულობენ თავიანთ ჭეშმარიტ გზას პროზის ოსტატები. სტენდალმა თავისი პირველი წიგნი — ჰაიდნზე დაწერილი უსუსური პლაგიატი — მაშინ გამოაქვეყნა, როცა ოცდაათ წელს იყო გადაცილებული, ჯოზეფ კონრადმა ოცდათვრამეტი წლის ასაკში დაიწყო წერა, ბერნარდ შოუმ მხოლოდ ორმოცი წლისამ გაბედა თავისი პირველი კომედიის შექმნა. კნუტ ჰამსუნს ათასნაირი ჯარ-ვარამი გადახდა, ვიდრე მისი „შიმშილი" ლუკმა-პურს გაუჩენდა. მხოლოდ თომას მანი იყო იშვიათი გამონაკლისი — ოცდახუთი წლისამ დაწერა „ბუდენბროკები".

ჟერომსკი თავის „დღიურში" ამაღელვებლად მოგვითხრობს, თუ როგორ გაუღვივდა გულში შემოქმედების დვრიტა. როცა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა კაცი იყო და უმძიმესი პირობების, შიმშილის, სიცივის და გულგატეხილობის მიუხედავად, მწერლად ჩამოყალიბა. მართლაცდა, ძნელია ლიტერატურაში მეორე ისეთი მაგალითი დაიძებნოს, სადაც ასეთი სისრულით და გულწრფელობით იქნება აღბეჭდილი დღიურის ავტორის მიერ განვლილი დღეები და საათები. ვერსად ვერ ნახავთ ამგვარ აღწერილობას იმ მედგარი, თავგანწირული ბრძოლისა, რომელსაც ეწეოდა შემოქმედების დაუძლეველი სურვილით შეპყრობილი ახალგაზრდა კაცი ყველას და ყველაფრის წინააღმდეგ. იგი მხოლოდ თავის გმირებზე ფიქრობდა, დიდებაზე ოცნებობდა, საკუთარ სამყაროს ქმნიდა და საჭირო ცოდნის შესაძენად სადილზე უარს ამბობდა, რომ თეატრში ან ნახატების გამოფენაზე წასულიყო, რომელთაც შემდგომში თავის გაყინულ სენაკში აღწერდა სიცივისაგან გაყინხებული თითებით. დიახ, მისთვის ხელოვნება პურზე მნიშვნელოვანი იყო.

მართლაც რა არის ის ძალა, რა არის ის დაუძლეველი იმპულსი, რომელიც ადამიანს მწერლის პროფესიას აზიარებს? ამგვარი იმპულსის ძიებისას საჭიროა, ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი ერთი ნიშან-თვისება გავითვალისწინოთ. შემოქმედი, სიტყვის ხელოვნების მფლობელი, არ უნდა გამოვყოთ საერთო მასიდან, არ უნდა მივაკუთვნოთ მას იშვიათი ფენომენის, ფსიქოლოგიურად გამოუცნობი პიროვნების, განსაკუთრებული მოვლენის სტატუსი.

ამგვარი ნიშან-თვისება ყველა ადამიანს აქვს, ეს გახლავთ ცხოვრების ყოველგვარი მოვლენის სიტყვით გამოხატვის და ამის საშუალებით საკუთარი პიროვნების წარმოჩენის მოთხოვნილება. ეს თითქმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა და მისი შესუსტება, ან სრული გაქრობა, რაც ძალზე იშვიათად შეინიშნება, ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაა. სიტყვაძუნწი ან უენო ადამიანები ხალხში შეშფოთებას ან სიცილს იწვევენ, ეს სიცილი შეშფოთების გამომხატველია და თავდასაცავად არის გამიზნული. საერთოდ ადამიანები ბუნებით ყბედები არიან. ისინი გამუდმებით ლაპარაკობენ თავიანთ სამუშაოზე, ქვეყნის ამბებზე, თავიანთ მახლობლებზე და ყველაზე მეტს — საკუთარ თავზე. როცა [illegible] შეხვდებ უცნობ ვინმეს, თითქოს საკუთარი ნაჭუჭიდან გამოდიხარ, თითქოს დროის მოკლე მონაკვეთის განმავლობაში მაინც ახერხებ იმ ბადის თოკების დაწყვეტას, რომელშიც შენი ყოფიერებაა გახვეული, თითქოს განერიდები იმ მტანჯველ მარტოობას, რომელიც ჩვენი განუყრელი თანამგზავრია აკვნიდან კუბოს კარამდე. თავს ითავისუფლებ აღქმების, აზრების, სიზმრების, ტანჯვა-წამების, სიხარულის, შიშის, იმედების ალყისაგან და ბოლოს და ბოლოს ახერხებ სხვებსაც შეაგნებინო, რომ საოცარი და ყველასაგან განსხვავებული პიროვნება ხარ.

დიახ, ყველა ადამიანი საოცარი და თავისებურია. ყველას უჩვეულო ფათერაკები ემართება, ყოველი ადამიანის სულში სამყარო ცისარტყელის ათასნაირ ჯადოსნურ ფერად ირეკლება, თითოეული მათგანი, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ მომენტებში, ხვდება ამას, მაგრამ უმეტესობას გამბედაობა არა ჰყოფნის, რომ თუნდაც საკუთარ თავს გაუტყდეს. ადამიანთა უმეტესობა მოკრძალებულია. ზოგჯერ ძალზე ძლიერი სიხარულის ან მწუხარების განცდაა საჭირო, რომ ბაგეებიდან მდუმარების ბეჭედი აიხსნას. მაშინ კი თვით ყველაზე უენო და გულჩახვეული პიროვნებები დაუფარავად და შეულამაზებლად გვამცნობენ აქამდე ცხრაკლიტულში ჩაკეტილ საიდუმლოს. ეს, ჩვეულებრივ, აღსარების, აღიარების ან ბუნდოვანი საუბრის, უფრო იშვიათად კი დღიურების ან მემუარების ფორმით ხორციელდება. უნდა შევნიშნოთ, რომ დღიურები და მემუარები სუსტი საშუალებაა ავტორის ხვაშიადის გადმოსაცემად.

რადგან მათ, უფრო ხშირად, არაპროფესიონალები წერენ და თუ შემოქმედი არა ხარ, სიტყვა, ქაღალდზე გადატანისას კარგავს უშუალობას, ხოლო ლიტერატურული შაბლონი ხშირად სულ მთლად აუფასურებს მას. მაგრამ ეს პირადი ჩანაწერები უკვე წარმოადგენს ლიტერატურული ნაწარმოების ჩანასახოვან ფორმას და შეიძლება ავტორები იმედოვნებდნენ, რომ მათ ჩანაწერებს ოდესმე მკითხველი გამოუჩნდებოდა, თუნდაც მისი მტერი და ავის მოსურნე. მწერალს ყოველთვის აქვს მკითხველის გამოჩენის იმედი.

ომამდე გამოქვეყნებულმა გლეხების, მუშების, ემიგრანტების მოგონებებმა პირდაპირ სენსაციური მასალა გამოამზეურა და დაგვანახა, თუ როგორი დარდი და წუხილი, დაუკმაყოფილებელი მისწრაფებები და შესანიშნავი შემოქმედებითი უნარი თვლემს უბრალო ხალხის წიაღში. ამ აზრების, გრძნობებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების საგანძურის კარი დიდხანს იყო დახშული, რადგან ცხოვრება მდორედ და ერთფეროვნად მიედინებოდა, მაგრამ როგორც კი ქვეყანა პირველი მრისხანე მოვლენების ქარიშხალმა შეაზანზარა, შემოქმედების იმპულსიც გაჩნდა. ასევე მოხდა ომის შემდგომ წლებშიც: ომის სიმკაცრემ და გადატანილმა საშინელებებმა ადამიანებს ბევრ ქვეყანაში აალებინა ხელში კალამი. მას, ვინც ის ჯოჯოხეთი გამოიარა, დუმილის ძალა აღარ შესწევდა. ბავშვებმაც კი ამოიღეს ხმა — თოთხმეტი წლის ანა ფრანკის დღიური, რომელშიც აღწერილია ჰოლანდიაში ომის წლებში დატრიალებული შემზარავი ამბები, მრავალ ენაზე ითარგმნა და მთელი მსოფლიო შემოიარა. ეს დღიური, ამავე დროს, გოგონას დიდი შემოქმედებითი ნიჭის მაჩვენებელიცაა. ჩვენში, პოლონეთში, ის უბრალო რვეულები, რომლებშიც პატარა დავით რუბინოვიჩი დიდი სიზუსტით წერდა ოკუპაციის საზარელი დღეების ქრონიკას, ფაშისტთა მხეცობის უტყუარ საბუთად და იმ მილიონობით ადამიანთა ხმად იქცა, რომლებმაც უხმოდ დალიეს სული.

მწერალი საკუთარ მისწრაფებებს ახორციელებს და თავისი თავი და საკუთარი სამყარო გამოაქვს სამზეოზე, ამ დროს იგი ემორჩილება ადამიანის ბუნების თანდაყოლილ იმპულსს და, ამასთან ერთად, თითქოს იმათი რუპორი ხდება, ვისაც არ შეუძლია და არ ეხერხება საკუთარი აზრების საჯაროდ გამოთქმა, ვინც ბევრი რამ გადაიტანა და განიცადა. თანამედროვე პოპულარული ამერიკელი მწერლის ერსკინ კოლდუელის სიტყვებს გაიმეორებს: „მე იმიტომ ვწერ, რომ მინდა გიამბოთ ადამიანებზე, რომელთაც ცხოვრებაში შევხვედრივარ, მოვლენებზე, რომელთა მოწმე ვყოფილვარ. ვთვლი, რომ ვალდებული ვარ გიამბოთ". მილიონობით მკითხველმა განუმტკიცა მწერალს ეს რწმენა, მომავალი თაობის მკითხველები შესაძლებელია არ დაეთანხმონ მწერლის ამგვარ თვალსაზრისს, მაგრამ აღტაცებისა და აღფრთოვანებისაგან გამოწვეული თრთოლვა, რომელიც ლიტერატურის მთელი ისტორიის მანძილზე შეინიშნება, იმის დასტურია, რომ იმ განსაკუთრებულ წუთებში მკითხველი ნაწარმოებში საკუთარ თავს ცნობს, მწერლის ნათქვამში — თავის საკუთარ აზრებს, რომელთა გამოთქმას თვითონ ვერ შეძლებდა. ეს მეტნაკლებად ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებს შეეხება, თვით გაზეთის საკვირაო ნომერში დაბეჭდილ უხეირო ლექსსაც კი.

ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მთელი მსოფლიო უჭერს მხარს მწერლის მოწოდებას, იმ სიტყვების თქმას ევედრება, რომელიც საგნებსა და ადამიანებს მარადისობას მიანიჭებს. ლიტერატურას ნიადაგ მსრბოლავი ჟამის შეჩერება ადევს ვალად. მან უნდა მიაკუთვნოს მუდმივი აწმყოს ნიშან-თვისება ყოველივეს, რაც ოდესმე მომხდარა. თადეუში ახლაც მისჩერებია ბაღის კარს, რომელიც ეს-ეს არის გაიღო და ჯერ კიდევ აქეთ-იქით ქანაობს; გოეთეს ლექსში ახლაც საღამოს წყნარი სიჩუმე დგას; რუანის ქუჩებში ჩანამ არ მიწყდება იმ კარეტის თვლების ხმაური, რომელშიც მადამ ბოვარი ზის, სანამ ფლობერის ნაწარმოებები იარსებებს. ამგვარადვე შეასრულებს თავის დანიშნულებას ის უბრალო საგნები, რომლებიც ახლა არც ერთ მუზეუმში არ მოიპოვება. მაგალითად, კლიტეები და საგდულები, ისეთი შთაგონებული სიზუსტით რომ არის აღწერილი „ოდისეაში", თითქოს პოეტი თავს ვალდებულად თვლიდა უკვდავება მიენიჭებინა მათთვის.

საკუთარი აზრებისა და განცდების გამოთქმის სურვილი დამახასიათებელია ყველა ადამიანისათვის, მაგრამ ყველაზე ძლიერად მწერალს ეუფლება ხოლმე და მისი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად იქცევა. ლტოლვა მოვლენისათვის მარადიულობის მისანიჭებლად რომელიღაც მომენტში საოცარი ტრიუმფით მთავრდება — იქმნება ახალი ფასეულობანი. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს ახალი ფილოსოფიური კონცეფცია, ძვირფასი მეცნიერული აღმოჩენა ან რაიმე სახელმძღვანელო იდეა იყოს. ეს ფასეულობა შეიძლება ლექსის ერთი სტრიქონი ან პროზის რომელიმე ფრაზა გახლდეთ, რომელიც სინამდვილის ნებისმიერ, თუნდაც უმცირეს ნამსხვრევს ასახავს. ეს უფრო მდიდრული და ნათელი ფანტაზიით შექმნილ ნაწარმოებში ვლინდება, რადგან მათში სამყარო გადასხვაფერებულია და სხვა კანონებს ემორჩილება, კანონებს, რომლებიც მას იმ ჰარმონიულობას უახლოვებს, რომელზედაც კაცობრიობა ოცნებობს. ზოგჯერ კი ეს ახალი ფასეულობანი გადმოცემულია სახეებით: ადამიანის ყოფის ჭეშმარიტ აზრს და მის

ჭეშმარიტ ფორმას რომ გამოხატავს, მაგრამ ცხოვრების ორომტრიალში შეუნიშნავი და გაუაზრებელი დაგვრჩა. შემოქმედის სწორედ ეს თვისება აძლევდა ბევრ მწერალს საბაბს კანონიერი სიამაყისათვის — „მხოლოდ პოეტი არის ნამდვილი ადამიანი", წერდა შილერი. ამიტომ იყო, რომ XV საუკუნის ჰუმანისტებს მწერლობა წმიდათაწმიდა საქმიანობად მიაჩნდათ. მწერალი ადამიანის სულს ფანტაზიის უკიდეგანო სამყაროს უნივთებს, ადამიანთა ყოფას ყოველდღიურობის მტვერს აცილებს და ამით კაცობრიობა ადამიანურობის უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს.

მწერალს, ისევე, როგორც ყველა ადამიანს, მოთხოვნილება აქვს თავისი სათქმელი ხმამაღლა გამოთქვას. მაგრამ სხვებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ თავისი შემოქმედებით შეუძლია უდიდესი წვალებისაგან და ყველაზე მტანჯველი აზრებისაგან დაიხსნას თავი.

„მე მივეჩვიე, ყოველივე, რაც მახარებს, მანაღვლიანებს და მტანჯავს, სახეებად, პოეზიად გარდავქმნა. ყველა ჩემი ნაწარმოები, ერთი დიდი აღსარების ფრაგმენტებია", — აღიარებს გოეთე. უეჭველია, გოეთეს საკუთარი თავი გამონაკლისად არ მიაჩნდა. მისი მაგალითი ილუსტრაციაა მუდმივი საერთო წესისა: ძნელია დაიძებნოს ხელოვნების ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ავტორი გულს არ უხსნიდეს მკითხველს. იმისათვის, რომ საკუთარ თავზე ილაპარაკოს, მწერალს სულ არ სჭირდება თავის ნაწარმოებს აღსარების ან დღიურის ფორმა მისცეს. ამას იგი გამოგონილი პერსონაჟის საშუალებით ახერხებს. ეს პერსონაჟი ზოგჯერ იმდენად განსხვავებულია მისგან, რომ შეიძლება ჩვეულებრივმა მკითხველმა კი არა, ავტორის ბიოგრაფიის ზედმიწევნით მცოდნე მკვლევარმაც კი ვერ იცნოს. გონზაგ ტრუცის დიდი მიხვედრილობა რომ არა, ძნელი იქნებოდა იმის დამტკიცება, რასინის ტრაგედიები ავტორის შინაგანი ცხოვრების ერთი დიდი ტრაგედიის სხვადასხვა მოქმედებებს რომ წარმოადგენს.

როგორც ყოველგვარი აღსარება, ლიტერატურული აღსარებაც გულს უმსუბუქებს ადამიანს, ათავისუფლებს აკვიატებული გრძნობებისა და აზრებისაგან. სიყვარულში ხელმოცარული გოეთე მძიმე დეპრესიაში ჩავარდა და თავის მოკვლა დააპირა. „მე დავძლიე ეს საშინელი განწყობილება და გადავწყვიტე, მეცოცხლა. მაგრამ იმისათვის, რომ მშვიდად მეცხოვრა, ისეთი ნაწარმოები უნდა დამეწერა, რომელშიც ჩემი ცხოვრების იმ მნიშვნელოვანი პერიოდის ყველა გრძნობას, ოცნებასა და აზრს გამოვხატავდი". ასე შეიქმნა ვერთერი. როცა გულზე ლოდივით დაწოლილ კაეშანს, სინანულს, შეშფოთებას თუ რისხვას სიტყვას მიანდობ, თითქოს შინაგანად იწმინდები. ზოგჯერ ეს ერთადერთი ხსნაა სიკვდილის ან გაჭირვებისაგან.

ოცნების ღვიძლი ძმა — სიტყვა იმ ჭიშკარს აღებს, რომლის გავლის შემდეგ უკვე თავისუფალ სამყაროში აღმოჩნდები. რა იდეალია, გაექცე მოსაწყენ ყოფიერებას, ულამაზო პეიზაჟს, ცხოვრების აუტანელ პირობებს და ბოლოს საკუთარ თავს — [illegible], მოუშორებელ არსებას, რომელთანაც სიკვდილამდე უნდა ვიყოთ მიჯაჭვული. გავიხსენოთ რიუკერტის ლექსი, რომელიც შუმანის ნაწარმოებში კიდევ უფრო შთამბეჭდავად ჟღერს: „მომეცით ფრთები, რომ ავცილდე მთებსა და ველებს, სიცოცხლეს, სიკვდილს და ყველაფერს, ქვეყნად არსებულს!"...

ლიტერატურულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილის შექმნის მიზეზად შეიძლება „გაქცევის სულისკვეთება" მივიჩნიოთ. ის შორეულ ეგზოტიკურ ქვეყნებში არა მარტო სათავგადასავლო რომანების ავტორებს იტყუებს, არამედ პოეტებსაც, რომლებიც უცებ იხიბლებიან აღმოსავლეთით. ასე მოხდა, მაგალითად რომანტიზმის ეპოქაში. იგივე „სულისკვეთება" აძლევს მიმართულებას ისტორიულ ნაწარმოებებს. შევყავართ ეპოსში, სადაც მეოცნებე მოხეტიალეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუძლია თავშესაფარი ჰქონდეს. მიცკევიჩი „პან თადეუშის" ეპილოგში პირდაპირ ამბობს, რომ გაურბის გარემოს, რომელიც სულს უხუთავს. უფრო გულახდილია პირანდელო: „მე ვწერ, რათა ცხოვრებისაგან გავთავისუფლდე. თუ პიესის ან რომანის მონახაზი არა მაქვს, ისე ცუდადა ვარ, თითქოს თვით უფალმა ღმერთმა აიღო ხელი". ამგვარი და კიდევ უფრო მჭევრმეტყველური აღსარებანი შეიძლება კიდევ ბევრი მწერლის ნაწარმოებში შეგვხვდეს. თუ ვინმეს ამგვარი რამ არ უთქვამს, იმას როდი ნიშნავს, რომ სხვა აზრისა იყო. ის რა მწერალია, რომელსაც არ განუცდია საკუთარი თავიდან განთავისუფლებითა და თავისი ფანტაზიით შექმნილი ცხოვრებით ტკბობა?

რაღაც უცხოს, შორეულის, სხვა დროისა და სივრცეში, სხვა გარემოში არსებულის, სხვა ჩვეულებებისა, რწმენისა და გრძნობების მქონე სამყაროს ხილვა ზოგჯერ მთელი ეპოქების დაუძლეველ მოთხოვნილებად იქცეოდა. „ლტოლვის სულისკვეთება" არა ერთ თაობას შეუჯდებოდა გულში და ახალ ქვეყნებში აგზავნიდა ყარიბად. ეს „ლტოლვა" არ გულისხმობდა აუცილებლად რაიმე ძვირფასის, დახვეწილის, ბრწყინვალისაკენ სწრაფვას. მწერალს შეიძლებოდა სულ სხვა მიმართულება აერჩია. მათ, ვინც მეტისმეტ ფუფუნებაში ცხოვრობდა და მდიდრულ სალონებში ათენებდა და აღამებდა, ხშირად უხეში და უბრალო ნივთებისა და ხალხის აღწერის სურვილი უჩნდებოდათ. პეტრონიუსის „სატირიკონი" ამის ყველაზე ძველი

თუ არა, ქვეყანაზე ცნობილი მაგალითია ანტიკური ლიტერატურიდან — მასში გამოყვანილი არიან თავბედი ბედის მაძიებლები, თაღლითები და მაწანწალები. XVIII საუკუნის გადაპრანჭული ეტიკეტითა და მანერებით თავმობეზრებული მწერლები კი თავიანთ მიერ გამოგონილ ქვეყნებში მიდიოდნენ სამოგზაუროდ, რომ ენახათ „bon sauvage“ — კეთილი და გულუბრყვილო ველური. ქალაქით გულმოყირჭებულნი ზოგჯერ სოფლისაკენ მიისწრაფოდნენ და სოფლურ იდილიაში ეძებდნენ შვებას.

ასეთივე მოვლენა შეინიშნება ხელოვნების სხვა დარგებშიც. ერთხელ ამერიკული მხატვრობის ძალზე უცნაური გამოფენის დათვალიერება მომიხდა: გაშლილ ველზე დადგმული ქარის წისქვილები, სიძველისაგან გვერდზე გადახრილი ქოხები, ტყეში ნაკადულებზე გადებული ბოგირები, მეთევზეები, მდინარეში ანკესი რომ ჩაეგდოთ და ღრმად ჩაფიქრებულიყვნენ. ამ სურათების შემხედვარე ვერაფრით ვერ წარმოიდგენდით, რომ ისინი ცათამბჯენების, უზარმაზარი ფაბრიკებისა და გიგანტური ხიდების ქვეყნიდან იყო ჩამოტანილი.

„ლტოლვის სულისკვეთებასთან“ მჭიდროდ არის დაკავშირებული საკუთარი არასრულფასოვნების გრძნობა, ვოვენარგს ეს შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ, ან თითქმის ერთადერთ სტიმულად მიაჩნია. რამდენადაც ვიცი, არც ერთი მწერალი, რომელიც აღიარებს საკუთარი არასრულფასოვნების გრძნობის არსებობას, ვოვენარგს არ იმოწმებს და სწორადაც იქცევა, რადგან ამ მწერლის მიერ მოცემული განსაზღვრება არასრულფასოვნების ფროიდისეულ განსაზღვრებაზე უფრო ფართოა: თავს ამ ფრანგი მოაზროვნისაგან დამოუკიდებლად არც ისინი თვლიან, ვინც შემოქმედებაში მხოლოდ კომპენსაციის აუცილებლობას ხედავდნენ. არადა, ვოვენარგის აზრი სწორედ ასე უნდა გადათარგმნოს თანამედროვე ენაზე.

მაშასადამე, შემოქმედებაში მდაბიო წარმოშობის, ბედის უკუღმართობისა და ქონებრივი ხელმოკლეობის კომპენსაცია უნდა მოიძებნოს. იქმნება გამოგონილი სამყარო, რადგან ნამდვილმა სამყარომ ადამიანი საცოდავ და იმედგაცრუებულ არსებად აქცია და მართლაც ლიტერატურა სავსეა ტირტერიკებით, რომლებიც ფიზიკურ ნაკლს გმირული სიმღერისთვის ჯილდოდ მიღებული დაფნის გვირგვინით ფარავენ, სავსეა აგრეთვე უპოვრებით, მანსარდებში სიცივით რომ კანკალებდნენ და თან სიტყვებისაგან სასახლეებსა და ცაზე-სიმაგრეებს აგებდნენ; სამწუხაროდ, მათ შორის მრავალი სნობიც არის და მათ რცხვენიათ თავიანთი პატიოსანი პლებეური წარმოშობისა. რადგან წიგნებში უამრავი გრაფი და მარკიზი ჰყავთ გამოყვანილი. ნიცშემ თავისი უბადრუკი პიროვნება ზეკაცში განასხეულა.

ლიტერატურა ბევრ გამოჩენილ წარმომადგენელს დაკარგავდა, მათ მხედართმთავრობის, პოლიტიკოსების ან თუნდაც მაღალი საზოგადოების წევრობის შესაძლებლობა რომ მისცემოდათ. ჰერცოგი დე სენ-სიმონი, რომელმაც თავისი მემუარებით გაითქვა სახელი, იმ ადამიანის შესანიშნავი მაგალითია, რომელიც სამართლიანობასა და ძალაუფლებას სიტყვაში ეძებდა. აუდიენციიდან რომ დაბრუნდებოდა, გალიზიანებული და გაბოროტებული, მხნეილი გაკრული ხელით დიდ ფურცლებზე მთლად შეფიცავით ასამართლებდა მინისტრებს და ელჩებს, მზის სინათლეზე გამოჰქონდა მათი მოქმედების მდაბალი მოტივები, ფარდას ხდიდა სასახლის ინტრიგებს; წინასწარმეტყველებდა დიდებულთა მარცხსა და დაცემას, შურს იძიებდა მოღალატეებზე, ასაჩუქრებდა ერთგულებს, შემდეგ კალამს გვერდზე გადადებდა თუ არა, კვლავ ერთგული ქვეშევრდომის ნიღაბს აიფარებდა და მორჩილი ღიმილით ითმენდა ლუდოვიკო XIV მედიდურობას, ბასტარდების თავხედობას და მათი კლევრეტების უსინდისობას. ლამარტინი გულდაწყვეტით ამბობს თავის მემუარებში, სახელმწიფო მოღვაწედ ვარ დაბადებული, ბედმა კი პოეტობა მარგუნაო.

ამისთანები უთვალავნი არიან. რადგან მოქმედების შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ, ოცნებას ეძლეოდნენ, ფილოსოფიურ სისტემებს ან უტოპიებს ქმნიდნენ. ზუსტად ასევე — როცა იმის მონაცემები არა აქვთ, რომ სიყვარულში წარმატება მოიპოვონ, თავიანთი გამოგონილი გმირების მეშვეობით ხიბლავენ და ასაკუთრებენ ლამაზ ქალებს ლექსებსა და პროზაში. „შემოქმედებაში ჩემს თავს უხვად ვასაჩუქრებდი ყველაფრით, რაც ცხოვრებაში მაკლდა“, — იშვიათი გულწრფელობით აღიარებდა შატობრიანი, რომელსაც სინამდვილეში არაფერი აკლდა. სტენდალი კი შესანიშნავი მაგალითია ამგვარი „რევანშისა“. მატილდამ მოატყუა, მაგრამ სამაგიეროდ ლუსიენ ლევენი მადამ შატელს ირთავს ცოლად; მადამ პიეტრაგრუამ უღალატა, სამაგიეროდ ჰერცოგინია სანსევერინას გაგიჟებით უყვარს ფაბრიციო. სტენდალის რომანებში სიყვარულის უხვი რევანშია — ეს იმ მოუსავლიანობის საზღაურია, რომელიც მწერალს მთელი სიცოცხლის განმავლობაში აწამებდა.

სენკევიჩს, მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, მეომრისა და მონადირის გული ჰქონდა და იგი ყოველთვის შენატროდა ვაჟკაცებს, რო-

შელთაც შეღავეც მოხდევდათ და ხმალსაც მარჯვედ ხმარობდნენ. ამიტომ დიდ ნეტარებას განიცდიდა, როცა თავის გმირებს იმ თვისებებს ანიჭებდა, რომლებიც თვითონ არა ჰქონდა და რომელთაც ნატრობდა თავის ოთხ პირკუშ კედელში გამოკეტილი! ამიტომ არის, რომ ზბიშკო ხან ახალმოტეხილ ტოტს ხელს მოუჭერს და წვენს გამოადენს, სკშეტუსკი ჩაპლინსკების კარს ნაფოტ-ნაფოტად ამტვრევს, ტაჩეველი პოვალა ჩელთა ხმალს მილიევით დაახვევს და განებივრებული პეტრონიუსიც კი შეძლებს ცალი ხელით მაგრად დაუჭიროს ორივე ხელი ვინიცის. სწორედ სენკევიჩის, ამ წვერიანი ბატონის მაგიერად იბრძოდა ასე თავგამეტებით კმიციცი, მასვე განასახიერებდა პან ვოლოდიევსკი, რომელიც, თუ იაცეკ მალჩევსკის ნახატით ვიმსჯელებთ, სენკევიჩზე მაღალი არ იყო.

გამოგონილ სამყაროში გადასახლება, საკუთარი საცოდავი სხეულის სრულყოფილ მშვენებად და მოსაწყენი ოჯახური ურთიერთობის სასიამოვნო და მხიარულ ცხოვრებად გარდაქმნა, თავისი დადებითი თვისებების უმაღლეს მწვერვალზე აყვანა, ხოლო უარყოფითი პერსონაჟებისათვის, რომელთაც წარუმატებლობა სდევს, თავისი უარყოფითი თვისებების მიკუთვნება, ან პირიქით, ამ ნაკლოვანებებისათვის კეთილშობილური ან თუნდაც საბედისწერო ელფერების მინიჭება — ყველა ამგვარი ხრიკი, რომელიც ათასნაირ ვარიანტად გვხვდება, იქითკენ არის მიმართული, რომ ბედსა და წერას, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ განგვისაზღვრა ცხოვრების გზა და წესი, ცოტათი მაინც წავუწყოთ წინააღმდეგობა და ცოტაოდენი დამოუკიდებლობა მაინც მოვიპოვოთ. ეს უდიდესი სტიმული თავისი ძალით სხვა ვნებებს არ ჩამოუვარდება და ზოგჯერ ამეტებს კიდეც მათ.

ორივე სტიმული — ლტოლვა და კომპენსაცია — უფრო ღრმად შეიძლება იქნას გააზრებული და დასაბუთებული, თუ გავიხსენებთ, რას წერდა დამოუკიდებლობაზე ბეკონ ვერულამელი, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა ადამიანის ბუნების ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური თვისებაა, იგი ნაპერწკალია, რომელიც რევოლუციის კოცონს ანთებს, ჩირაღდანია, რომელიც კაცობრიობას პროგრესისა და თავისუფლების გზას უნათებს. დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა აიძულებს ადამიანს დაარღვიოს მოვლენათა ჩვეულებრივი მდინარება, წინასწარ განსაზღვრავს ძლიერ პიროვნებათა ბედს, წარმოშობს ავანტიურისტებსა და პიონერებს და ამკვიდრებს მათ ყველა კონტინენტის უკაცრიელ და აუთვისებელ მიწებზე. ხელოვნება შემოქმედებას ისეთ ძალაუფლებას ანიჭებს, რომელიც მსოფლიოს ყველა მბრძანებელს შეშურდებოდა. კალამი ჯადოსნურ ჯოხად იქცევა და სინამდვილის მოვლენათა ქაოსიდან ახალ, აქამდე უცნობ სამყაროს ქმნის. ამავე დროს კალამი ის კვერთხიც არის, რომელსაც ეს გამოგონილი სამყარო უსიტყვოდ ემორჩილება.

მარტო ჰომეროსი კი როდი „[illegible] მეფესავით" გადმოჰყავდა მდინარე სკამანდროსის ნაპირას აქაველთა და ტროელთა ჯარები, ან დანტე, რომელიც თავისი საიქიო ქვეყნის შექმნის დროს ისაკუთრებდა მიცვალებულთა სულების ბედის გადაწყვეტის უფლებას, არამედ ყოველი რიგითი რეალისტი რომანისტი ან დრამატურგი, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მიზნად მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრების რაიმე მომენტის ზუსტად გადმოხატვა ჰქონდა დასახული, შეგნებულად თუ ნება-უნებურად,- მეტად ან ნაკლებად ტკბება ძალაუფლებით — იგი ადამიანებისა და ბუნების შეუზღუდველი მბრძანებელია. ამიტომ სასაცილოდ არ უნდა ავიგდოთ იმ მკითხველთა გულუბრყვილობა, რომლებიც წერილს უგზავნიან ავტორებს და ევედრებიან, ამა და ამ გმირს ნუ გასწირავთ, სიცოცხლე შეუნარჩუნეთ, (ეს მაშინ ხდება, როცა ნაწარმოები გაგრძელებებით იბეჭდება გაზეთში ან ჟურნალში და ავტორი მკითხველს მიანიშნებს, ამ პერსონაჟს დაღუპვა ემუქრებაო). სწორედ ასეთი მკითხველების წერილები უმტკიცებს მწერალს საკუთარი ძალაუფლების რწმენას, რომელიც ჩვენ შემოქმედების ერთერთ უმთავრეს სტიმულად მიგვაჩნია.

თავის ნაწარმოებში ავტორი სავსებით თავისუფალი ქვეყნის მფლობელი ხდება. ზოგიერთ ეპოქაში ეს ქვეყანა მსოფლიოში ერთადერთია. რომელი მონარქი შეედრება შექსპირს? სად იპოვით იმაზე ძლიერ ხელმწიფეს, როგორიც სტრატფორდის ამ უბრალო მოქალაქემ შექმნა? განა ბალზაკმაც საკუთარი სახელმწიფო არ დააარსა? მინისტრები, ყველა რანგისა და კატეგორიის მოხელეები, გენერლები, ევროპის ფინანსების გამგებელი ბანკირები, კომერსანტები, მსხვილ საბითუმო ვაჭრობას რომ ეწევიან, მეწვრილმანეები, კულტის მსახურნი, ექიმები, მაღალი საზოგადოების დარდიმანდი ახალგაზრდები, ფრანტები, მხატვრები, მოქანდაკეები, პოეტები, საკუთარი პრესა, რომელსაც მარჯვე ჟურნალისტები ემსახურებიან, ძირძველი და ახალი არისტოკრატია, მდაბიონი, გლეხები, პატიოსანი და გაიძვერა ადამიანები, კდემამოსილი ქალბატონები და მეძავები — აი, ეს გახლავთ ბალზაკის სახელმწიფო, რომელსაც იგი ერთპიროვნულად მართავდა, ნიშნავდა და ხსნიდა ჩინოვნიკებს, აგროვებდა ქონებას, აარსებდა საზოგადოებებს, აღრიცხავდა შობადობას

და სიკვდილიანობას; აქრობინებდა ხალხს, ცვლიდა ლანდშაფტს, აშენებდა სახლებს, გაჰყავდა ახალი ქუჩები, აგებდა ხიდებს, რგავდა ხეხილს და ამ მის მიერ შექმნილ სახელმწიფოში უფრო მჩქეფარე სიცოცხლე დუღდა, ვიდრე ლუი ფილიპეს დროინდელ საფრანგეთში.

იმ მწერლებს, რომლებიც მასალას ისტორიიდან იღებენ, ერთი უჩვეულო უნარი აქვთ: ნაწარმოებში ნამდვილ ისტორიულ პირებთან ერთად შემოჰყავთ გამოგონილი გმირები. შემოჰყავთ და მკითხველებს აჯერებენ, რომ ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენები სწორედ ავტორის ფანტაზიით შექმნილ სახეთაგან მოხულთა მეშვეობით ხდებოდა. მწერლის კალამი თვითონ ისტორიულ პირებსაც მთლიანად გადაასხვაფერებს ხოლმე და ხშირად ისინი სამუდამოდ [illegible] რჩებიან მკითხველის გონებაში. ასე [illegible] შექსპირმა წესიერი და ღვთისმოსავი ხელმწიფე მაკბეტი, რომელმაც რომი მოილოცა და უხვი სამოწყალო უწყალობა ღარიბებს.

კალამი მბრძანებლის კვერთხია და ვინაც ამ კვერთხის მფლობელად უწერია გახდომა, ყრმობიდანვე აქვს გულში ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი, მთვლემარე გრძნობა, რომ სიტყვის სამყაროს ხელმწიფედ არის მოწოდებული. აი, თოთხმეტი წლის ფლობერის ბავშვური პათოსით ნათქვამი სიტყვები: „გაუყვეთ ხელოვნებას, რადგან იგი ხალხებზე, მეფეებზე და გვირგვინებზე უფრო დიდია და აღფრთოვანებულ გულში ღვთიური დიადემით დამშვენებული გვიზის ხელმწიფედ!"

შეიძლება უცნაურად და შეუსაბამოდაც მოგვეჩვენოთ, რომ ლიტერატურული შემოქმედების [illegible]ებზე გულაპარაკობენ და ის ზრახვები და [illegible] ლოზუნგები არ მოჰყავთ, რომლებითაც ასე ამაყობენ ყველა დროის მწერლები. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ რელიგიური, ეროვნული და საზოგადოებრივი იდეალები მხოლოდ იმ მწერალთა შემოქმედებაში ღვივის, რომელთაც „მოციქულებს" უწოდებენ და სიტყვის ნამდვილ ოსტატთა შემოქმედებითი ამბოხების საკითხის გადაწყვეტისას ისინი მხედველობაში არ მიიღება. სიტყვის ნამდვილი ოსტატებიც შეიძლება ემსახურონ სხვადასხვა იდეალებს და ადამიანთა სულზე ბატონობის პრეტენზიაც იქონიონ, მაგრამ უპირველესად ეს მათი შემოქმედებითი გზის დასაწყისში კი არა, გაცილებით მოგვიანებით ხდება. მიცკევიჩის პირველ ნაწარმოებებში არ გვხვდება პატრიოტული ლექსები — არც „ახალგაზრდობის ხოტბა" და არც „ფილარეტთა სიმღერა", სამაგიეროდ არის „ქალაქური ზამთარი" — ლიტერატურული მარადენის ხელოვნური კრებული, რომლითაც ავტორი ერთადერთ მიზანს ისახავდა — სიტყვების საშუალებით გამოეხატა სახეები და გამოეფინა თავისი ქაბუკური ვირტუოზობა. ხელოვნად დაბადებული მიცკევიჩი გამოკვეთით ჩაღხავდა სონეტის თითოეულ სტრიქონს და იმ დროის ყველაზე მოხდენილ [illegible] დროთა განმავლობაში [illegible] პოეტი დაუწუნებდა. იგივე შეიძლება ითქვას სენკევიჩზე: ახალგაზრდობაში იგი ნოველებს, ეტიუდებს და სენტიმენტალურ მოგონებებს წერდა, ხოლო როცა მიხვდა, რომ დიად იდეათა ზარის ჩამორეკვის ჟამი დადგა, მანამდე დაწერილ ყველა ნაწარმოებს ხაზი გადაუსვა.

ამათ გარდა, ჩვენც თავს იმ მიმდინარეობის მომხრედ თვლის, რომელსაც თავის დროშაზე აწერია „ხელოვნება ხელოვნებისათვის" (თუმცა ახლა სახალხოდ არავინ აღიარებს თავს ამ ლოზუნგის მომხრედ), ყველა მწერალი თვლის, რომ დაბადებიდან რაღაც მისია აკისრია, ზოგჯერ კი საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით მორჩილად კისრულობს რაიმე მისიის შესრულებას, რადგან ლიტერატურის ძალიან იშვიათად ეძლევა ალსარებს, მორალისა და მეცნიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობის საშუალება. მწერლებს სწამდათ და პოსტულატად მიაჩნდათ, რომ მათ სწორედ ასეთი მისია ევალებათ. „მე მთელ ჩემს მახვილგონიერებას, მთელ იუმორს მოვუხმობ, რათა ამ რომანში დავმცინო ადამიანთა უგუნურებისა და სისუსტისათვის და ამით დავეხმარებოდე მათ გამოესწორებინათ ეს ნაკლოვანებანი." — წერს ფილდინგი „ტომ ჯონსის" წინასიტყვაობაში და მსგავსი განცხადებები ძალიან ხშირად მეორდება ლიტერატურის ყველა პერიოდში, როცა ეს ლიტერატურა არ მისდევს დევიზს „ხელოვნება ხელოვნებისათვის". შემოქმედებითი ძალების ბუნებრივი განვითარება, თანდათან შეძენილი ცხოვრებისეული გამოცდილება, ინტელექტუალური ინტერესების სფეროს გაფართოება და გრძნობათა მომწიფება მწერლად ჩამოყალიბების ხელშემწყობი ფაქტორებია და ეს ფაქტორები ადრე თუ გვიან აიძულებს შემოქმედს ყურადღება მიაქციოს იმ პრობლემებს, რომელთა შეჭიდებას არც კი აპირებდა თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისში.

მწერალზე გავლენას ახდენს სხვადასხვაგვარი სწრაფვა, მაგალითად, ისეთი ამაღლებული, როგორიც არის სამშობლოს ძლიერი სიყვარული, ან ისეთი მდაბალი, მაგრამ არანაკლებ ძლიერი, როგორიც არის რისხვა, სიძულვილი ან შურისძიება — მათ ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები ლიტერატურაში, თანაც მარტო შუა კი არა, მეწინავე რიგებშიც. „ჩემი აპოლონი რისხვაა", — გულწრფელად ამბობს ჟან

ჟაკ-რუსო. ასევე, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ტაციტუსს თავისი „ანალები" შურისძიების სურვილმა დააწერინა — უნდოდა სამაგიერო გადაეხადა დესპოტიზმისათვის, რომელმაც ოთხნაირად დაამცირა და მაინც მან თავის ნაწარმოებს წინ წაუმძღვარა ცნობილი სიტყვები „Sineira et studio", რომლებითაც ბევრი მკითხველი შეიყვანა შეცდომაში: მათ ირწმუნეს, რომ ავტორი მართლა გაგულისების და მიკერძოების გარეშე წერდა.

უფრო ძლიერად და უფრო ხშირად მწერალზე გავლენას ახდენს ჯიბრი, პატივმოყვარეობა, სურვილი, უფრო საპატიო ადგილი დაიკავოს სიტყვის ოსტატთა რიგებში ან მოიშოროს ერთხელ და სამუდამოდ მიკრული იარლიყი. ასე დაემართა კონრადს, რომელიც ცოფდებოდა „ზღვის მომღერლად" რომ მოიხსენიებდნენ, ამიტომ იგი გამუდმებით ცდილობდა გაერღვია თავისი შთაგონების მოჯადოებული წრის გარეთ. რეიმონტმა სენკევიჩის ტრილოგიის შთაბეჭდილებით დაიწყო წერა და შესაძლებელია სწორედ ამ დროს იპოვა თემა თავისი ნაწარმოებისათვის, რომელიც „გლეხების" სათაურით გამოქვეყნდა. და თუ დიდი მწერლები ამგვარ მეტოქეობას, ჩვეულებრივ, ტრიუმფამდე მიჰყავს და მანამდე მთვლემარე შესაძლებლობების გამოფხიზლებაში ეხმარება, უფრო მოკრძალებული ნიჭის პატრონები ხშირად მწარე დამარცხებას იწვნევენ იმ თემასთან ჭიდილში, რომლის დამუშავება მათ შესაძლებლობებს აღემატება.

სათანადოდ უნდა შევაფასოთ ისეთი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო გრძნობა, როგორიც არის სიამოვნება. ეს გრძნობა განსაზღვრავს არა მარტო შემოქმედების იმ ადრეულ პერიოდს, როდესაც მწერალი თავისი პირველი ნაწარმოების შექმნას იწყებს და სიტყვებით თვრება. სწორედ იგივე გრძნობა ალესინებს მას ხელში კალამს გვიანაც და ეს პროცესი უფრო ხშირად მეორდება, ვიდრე ჩვენა გვგონია. ძალიან ხშირად ხდება, რომ სიხარული და მოჭარბებული სასიცოცხლო ძალები სიტყვებად ამღერდებიან და მეტწილად ლექსებად გადმოიღვრებიან ხოლმე.

და ბოლოს არ შეიძლება არაფერი ვთქვათ გარეგან სტიმულებზე, რომლებიც შესაძლებელია მწერლად ვერ გახდის ადამიანს, მაგრამ ნამდვილად გაალვივებენ შემოქმედების მბჟუტავ ნაპერწკალს. ზოგ ეპოქაში ამას ხელს უწყობდა მოდა — იგი აიძულებდა გარკვეული კლასის წარმომადგენლებს ან გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე პიროვნებებს ლიტერატურული საქმიანობისათვის მოეკიდა ხელი. აქ შეიძლება ისეთივე სრულყოფისათვის მიეღწიათ, როგორსაც საზოგადოებაში არსებულ სხვა ასპარეზებზე აღწევდნენ ხოლმე. ან, თუ დიდ ნიჭს გამოიჩენდნენ, მოდის საზღვრებიც კი გადაელახათ. სხვა სახის სტიმული წარმოშვა კომერციამ, რომელიც XIX საუკუნეში შემოიჭრა ლიტერატურაში. მდიდარ საზოგადოებაში ზოგი მწერალი დიდძალ ქონებას იხვეჭდა, რაც არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენოდა მარჯვე და მოხერხებულ ხალხს. სიმართლე უნდა ითქვას, არ ყოფილა იმის მაგალითი, რომ ამ გზით ლიტერატურას დიდი მწერალი შეეძინოს, მაგრამ მკითხველთა ფართო საზოგადოება სიტყვის ამ მოხერხებულ ვაჭრებს ხშირად უცხადებს ნდობას, რომელსაც ისინი არაფრით არ იმსახურებენ. არსებობს ლიტერატურული ხელობის ბირჟებიც, მაგალითად ამერიკული ჟურნალის განცხადებების განყოფილებაში, სადაც იბეჭდება მოთხოვნები ნოველებზე, რომანებზე, დრამებზე, იდილიებზე, სონატებზე, რითმიან და თეთრ ლექსებზე, ითხოვენ და სთავაზობენ ყველანაირ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს — გაზაფხულის ღრუბლებზე თუ ფაბრიკა-ქარხნების პროდუქციის ნარჩენებზე, სადიზმზე და წმინდანობაზე. ყველაზე ალმაშფოთებელი ამ ჟურნალში მისი სახელწოდებაა.

სიტყვა „მწერალს" ჩვენს დროში ძალზე უადგილოდ ხმარობენ. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ დიდ წინდახედულობას იჩენდნენ და ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ მწერალსა და ლიტერატორს, პირველი ნაკურთხი რაინდი იყო, მეორე მხოლოდ საჭურველთმტვირთველი. ლიტერატორს უფლება ეძლეოდა იმის იმედი ჰქონოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს თვითონაც დაიმსახურებდა მწერლის საპატიო სახელს, რომელსაც შემდგომში დაემატებოდა ზედსართავები: ცნობილი, პოპულარული, გამოჩენილი და დიდი. წინათ იმ ადამიანს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, რომელიც იტყოდა, მწერალი ვარო, ბაქიად თვლიდნენ, რადგან ამით თითქოს აცხადებდა, რომ უკვე მყარად დამკვიდრდა ლიტერატურაში. ამიტომ გაცილებით კეთილშობილურ საქციელად ითვლებოდა საკუთარი თავის ლიტერატორის წოდებით მოხსენიება — ეს წოდება ხომ მხოლოდ პროფესიას განსაზღვრავდა და იმის განცხადება, ამა და ამ ხელობის კაცი ვარო, არავის ეძრახებოდა. დღეს კი, ვინც წერს, სამწუხაროდ, ამგვარ თავმდაბლობას არ იჩენს.

ყველა, ვინც წერს და თავის ნაწერს აქვეყნებს, მწერალი არ არის. გრაფომანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საკმაოდ სახარგებლო წიგნების, პოემების, დრამების, რომანების ბევრი ავტორი ვერ შემორჩება ლიტერატურას. მხო-

ლოდ დამწერლობის დასაწყისი სტადიების მიმართ ვიჩენთ ისეთ ლიბერალობას, რომ ყველას, მოკრძალებულ მუშაკებსაც კი, ვალებთ მწერალთა რიგებში; იმდროინდელ რითმის ხუჭუთ თხზულებასაც. თუკი მისი ხმა უტყვი საუკუნის მდუმარებას არღვევს. ისეთივე შესაძლებლობა აქვს უკვდავების ბინადარი გახდეს, როგორიც ჭეშმარიტ პოეტს. რაც დრო გადიოდა, უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენდნენ. ეს ვითარება ძალიან კარგად გამოხატა ვოლტერმა თავის „ლექსიკონში'': „ვისაც რომანების გარდა არაფერი წაუკითხავს და დაუწერია, ვინც როგორღაც შეთხზა ორიოდე უხეირო პიესა, ყველა, ვინც შეაკოწიწა რამდენიმე ქადაგება, ისე რომ სამისო ცოდნა არ გააჩნდა, ლიტერატურაში ვერ შევა'', ვოლტერმა გამოიყენა გამოთქმა'' ლიტერატურის ხალხი'' ანუ ლიტერატორები. ჩვენს დროში ამ განსაზღვრების პროცესის მნიშვნელობა მიეკუთვნა. ვოლტერის პოსტულატი ლიტერატორთა საზოგადოების სტატუსად რომ გავხადოთ, ეს საპატიო ორგანიზაცია მაშინვე დაკარგავდა თავისი წევრების უმრავლესობას.

სიტყვა „ავტორი'' დღეს სრულიად ჩვეულებრივ, ყოველდღიურად სახმარ სიტყვად იქცა და არავის ახსენდება, რომ იგი მწერლის ყველაზე საპატიო ტიტულია. ლათინური სიტყვა auctor-ი მომდინარეობს ზმნა auger-იდან. იგი ნიშნავს „გამზრდელს'', გამრავლებელს'', ამ ტიტულით აჯილდოვებდნენ გამარჯვებულ მხედართმთავრებს, იმათ ვინც სახელმწიფოს საზღვრებს აფართოებდა, ახალი ქვეყნების დაპყრობის მეშვეობით. ამგვარად, ავტორის წოდება მხოლოდ იმ მწერალს უნდა მიეკუთვნოს, ვინც ნაყოფიერად ზრდის ხალხის სულიერ სიმდიდრეს, ახალ ქვეყნებს იპყრობს და მშვენიერების სამყაროს უერთებს. ასე უნდა იყოს, მაგრამ უკვე ძველთაგანვე სიზმრის ახსნის წიგნების შემდგენელთაც ამ გაცვეთილი ტერმინით იხსენიებდნენ.

რომაელები „სიტყვის ოსტატებს'' ოთხ რიგად ჰყოფდნენ: ორატორებად, პოეტებად, ფილოსოფოსებად და ისტორიკოსებად. ასეთმა დაყოფამ საუკუნეებს გაუძლო და მხოლოდ უკანასკნელ თაობებში შემოიფარგლა უფრო ვიწროდ ლიტერატურის დარგი და ის გაგება მიიღო, რასაც ინგლისელები „გამონაგონს'' უწოდებენ, ლიტერატურის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებში ჩვეულებრივ პოეზიაზე, დრამაზე და რომანზეა ლაპარაკი, არაბელეტრისტული ხასიათის პროზაზე ძალზე მწირ ცნობებს იძლევიან, ხოლო ლიტერატურის სახელმძღვანელოებში სულ არ იხსენიებენ ხოლმე, რეცენზენტები მზად არიან პიესაზე ან რომანზე დაწერილ ყოველგვარ სისულელეებს და აბდაუბდას უვრცელესი კრიტიკული სტატია უძღვნან, ამავე დროს იმ ფილოსოფოსების, ისტორიკოსებისა და ესეების ავტორთა სახელებსაც კი ივიწყებენ, რომელთაც თავიანთი გონების, ერუდიციისა და სტილის წყალობით საპატიო ადგილი უნდა დაეკავებინათ ლიტერატურის ისტორიაში.

ამ წიგნში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ორატორული ხელოვნება ამაყობს დემოსთენესა და ციცერონის, ბოსიუესა და ბურკის სახელებით, რომ ორატორულ ხელოვნებაში კრისტალდებოდა სიტყვის კულტი, რომ პირველად და საფუძვლიანად სწორედ ამ ხელოვნებამ მოჰკიდა ხელი სიტყვის დახვეწისა და გამშვენიერების საქმეს, გამოიმუშავა, როგორც სტილის ზოგადი პრინციპები, ასევე მისი განსაკუთრებული ნიშნები. მხატვრული პროზა მხოლოდ და მხოლოდ ორატორულ ხელოვნებას უნდა უმადლოდეს თავის სილამაზეს, ფრაზეოლოგიის, გამოთქმების, კონცეპტების, შედარებების ულევ და მრავალფეროვან მარაგს, რომელიც მემკვიდრეობით გადმოეცა უძველესი დროიდან; ორატორული ხელოვნების დამსახურებაა აგრეთვე ჩანაფიქრების, სიტუაციებისა და მოტივების არსებობა, რომელთაც დაუღალავად ამუშავებენ დრამატურგები და ბოლოს თვით პოეზია — პოეზიის უწმინდესი ხელოვნება თავისი ღვიძლი დის — მჭევრმეტყველობის შეწევნითა და დახმარებით განვითარდა.

ჰარმონიის კანონების წყალობით ნატიფი მჭევრმეტყველების ნიშნები ლექსებზე ადრე დაიყო მარცვალთა თანაბარი რაოდენობის სტრიქონებად და რითმებად გაიფურჩქნა, თუმცა ეს, თანამედროვე ორატორებს რომ უსმენ, ძნელი დასაჯერებელია.

ფილოსოფია და ისტორია გამოეყო მხატვრული ლიტერატურის სფეროს, მათ სხვა საზღვრები: ზუსტ მეცნიერებებს მიბაძეს და ჩათვალეს, რომ საკმარისია აზრი ნათლად და მკაფიოდ გამოთქვან. ყველასთვის გასაგები გახდეს, ანუ, როგორც შუა საუკუნეებში ამბობდნენ; ნათლად და გარკვეულად წერა. ამგვარად წერა დღეს ბევრი ისტორიკოსისა და ფილოსოფოსისათვის მიუღწეველ იდეალს წარმოადგენს. მაგრამ იყო დრო, როდესაც ფილოსოფოსები ჰომეროსის მეტრით წერდნენ თავიანთ თხზულებებს და ამ სალექსო ზომას გამარჯვებულის კვარცხლბეკზე აუყვანია ქსენოფანე და ემპედოკლე, ლუკრეციუსიც უნდოდა, თითქოს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული სალექსო სტრიქონებით გადმოეცა ეპიკურეს მოძღვრება. პლატონი დიალოგისა და ბერძნული პროზის გამოჩენილი ოსტატი გახდა. ბეკონ ვერულამელს, დეკარტს, ლაიბნიცს, შოპენჰაუერს და

ბერგსონს ქარაგმულობას არავინ უკიჟინებდა იმისათვის, რომ ფრაზის კომპოზიციას იმაზე ნაკლებ დროს არ უთმობდნენ, რაც მათი ფილოსოფიური სისტემის შექმნისათვის იყო საჭირო.

მეცნიერმა ლ. პ. კუშუმ შეისწავლა და დაამუშავა პასკალის ხელნაწერები და აღწერა, თუ როგორ ებრძოდა ფილოსოფოსის კალამი სიტყვებს, როგორ აშორებდა თავიდან სუსტსა და ბანალურ გამოთქმებს, პოულობდა ეფერადსა და გაუცვეთავს. პასკალი თითოეულ აზრს რანდავდა, აშორებდა ნიწვებსა და კოჟრებს და მკაფიოდ, მოკლედ და შეუფერადებლად წარუდგენდა მკითხველს.

ლიტერატურა თავმომწონედ წარმოთქვამს ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, სალუსტიუსის, ტაციტუსის სახელებს. ციცერონმა ისტორიას ორატორული ხელოვნების უმაღლესი სახეობა უწოდა. ასევე ესმოდათ ეს მეცნიერება ანტიკურ პერიოდში, შუა საუკუნეებში და ჰუმანიზმის ეპოქაში. ჩვენი ანონიმი გალი ლექსივით თხზავდა და ლამის ამღერებდა თავისი ქრონიკის ყოველ ფრაზას, კადლუბეკი ცოტათი მანერულია თავისი სტილური სამკაულების პრეტენზიულობის გამო, მაგრამ, მიუხედავად ამისა თავისი დროისათვის შესანიშნავ მწერლად შეიძლება ჩაითვალოს. დლუგოშმა კი გაუძლო დროის გამოცდას და მომდევნო ეპოქაშიც შეინარჩუნა გამოჩენილი შემოქმედის სახელი. სტილის ბრწყინვალე ოსტატები, სიტყვის ჭეშმარიტი ჯადოქრები იყვნენ მე-19 საუკუნის ისტორიკოსები: მაკოლეი, რენანი, შაინოხა, კუბალი. მათმა მაღალმა ხელოვნებამ გავლენა იქონია ისტორიული რომანის მხატვრულ დონეზე. მომხიბვლელი სტილით, რომ არ ყოფილიყო დაწერილი, იპოლიტ ტენის თხზულებანი ავტორის თეორიასთან ერთად დასამარდებოდა. ეს თეორია დღეს აღარაფრად გვიღირს, მაგრამ არ შეიძლება აღფრთოვანება არ მოგვგვაროს იმ სურათების სილამაზემ, რომელთაც ტენი გვიხატავს თავის მოგზაურობათა აღწერილობებში და ხელოვნებაზე დაწერილ ნარკვევებში. დღეს კი, სამწუხაროდ, ისტორიკოსი, რომელიც სტილზე ზრუნავს, შეიძლება დაზარალდეს — თავისი მეცნიერული ავტორიტეტი ეჭვქვეშ დააყენოს. თუმცა ეს დროებითი მოვლენაა: დადგება დღე, როცა სიტყვის გაწაფული ოსტატები კვლავ აღადგენენ მკვდრეთით ისტორიულ გამოკვლევათა ნატიფსა და მომხიბვლელ სტილს.

წინათ ფილოსოფია მოიცავდა ყველა მათემატიკურ, საბუნებისმეტყველო და ზოგიერთ ჰუმანიტარულ მეცნიერებას. ნიუტონიც კი ფილოსოფოსად თვლიდა თავს, პირველი თერმომეტრიც ფილოსოფიურ ინსტრუმენტად იწოდებოდა. მე-19 საუკუნემ დაანაწევრა მეცნიერებები, ამის შემდეგ თითოეული მეცნიერება საკუთარი მეთოდით მუშაობს, ზოგიერთმა მათგანმა საკუთარი ტერმინოლოგია შექმნა და არც ერთს არა სურს რაიმე საერთო ჰქონდეს ლიტერატურასთან. მხოლოდ ფილოსოფიას აძლევს მეცნიერება მასალას ლიტერატურას (გავიხსენოთ, მაგალითად, მეტერლინკის „ფუტკართა ცხოვრება", „ლირადი ფერია" და ა. შ.), რაც ხელს არ უშლის მას ზევიდან მეთოდურად გადახედოს ამ „ამოსაზღვრე სფეროდან" შემოჭრილ ნაწარმოებებს. და მაინც ზოგჯერ მეცნიერებიც ესტუმრებიან ხოლმე მხატვრული სიტყვის საუფლოს. მაგალითად ფლამარიონი, ბიოლში და ჩელდეცკი შეიძლება მოვიტანოთ და დავსძინოთ: არ არის გამორიცხული, რომ მეცნიერებმა მხატვრული ლიტერატურის შედევრი შექმნან.

ბიუფონი სტილის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე ადრე დაწერილი ნაწარმოების ავტორია. მის მიერ აკადემიაში წარმოთქმული ცნობილი სიტყვა „სტილის შესახებ" მხატვრული სიტყვის მანიფესტად უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო აფორიზმი „სტილი თვითონ ადამიანია" უამრავი კრიტიკული ნაშრომის დევიზად იქცა. ბიუფონმა საკუთარი შემოქმედებით გასცა პასუხი კითხვას: როდის შეიძლება, მეცნიერს მწერალი ეწოდოს. ფლურანსმა თავის გამოკვლევაში „ბიუფონის ხელნაწერები"-თ ამოხსნა ბიუფონის ოსტატობის საიდუმლო: თურმე მეცნიერი მრავალჯერ გადაწერდა, ან ხელახლა კარნახობდა ხოლმე თავისი „ბუნების პერიოდების" ყოველ თავს და ცდილობდა ერთდროულად სამყაროს მეცნიერული აღწერაც შექმნა და ხელოვნების ნაწარმოებიც. მან სამართლიანად დაიმკვიდრა ადგილი ფრანგული პროზის კლასიკოსთა რიგებში.

სამწერლო ოსტატების საზღვრების დადგენა შეუძლებელია ლიტერატურული ჟანრების და მით უმეტეს, თემატიკის მიხედვით, თუ ზოგჯერ ამით ადგენენ ამ საზღვრებს, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ეპოქის ცრურწმენების ტყვეობაში ექცევიან. მე-18 საუკუნეში და მე-19 საუკუნის დასაწყისშიაც რომანი ხელოვნების ნაწარმოებად არ ითვლებოდა; ჩვენს თვალში კი მან პროზის სხვა დარგები, მაგალითად, ესე და დიალოგი დაჩრდილა და გააუფასურა.

იყო ეპოქები, როდესაც პოეზია ჯაბნიდა პროზას, თუმცა აშკარად ჩამოუვარდებოდა ხარისხით ამ უკანასკნელს. დღესაც რითმიანი თუ ურითმო ლექსების არათანაბარი სტრიქონები უფრო ამაღლებულად მიგვაჩნია, ვიდრე პოეტური, მაგრამ გაბმული სტრიქონებით

ბოლომდე შევსებული პროზაული ნაწარმოების გვერდი.

მე ლიტერატურის მხოლოდ ერთი ისტორია ვიცი, რომლის შემდგენლებიც არ დაკმაყოფილდნენ იმით, რასაც, ჩვეულებრივ, ლიტერატურას უწოდებენ. ეს გახლავთ „ევროპის ლიტერატურის ისტორია" თოთხმეტ ტომად, გამოცემული კემბრიჯში 1907-1916 წლებში. აქ საკუთრივ ლიტერატურის გარდა არის ფილოსოფია, პოლიტიკა, ეკონომიკა, პარლამენტური მჭევრმეტყველობა, რელიგიური ბროშურები, გაზეთები და ჟურნალები, კერძო ხასიათის მიმოწერა, ქუჩური სიმღერები, მოგზაურობათა ანგარიშები, სპორტი, საშინაო ჩანაწერები, კულინარული რეცეპტები და ქცევის წესები. მასალის ამგვარად შერჩევა ერთი შეხედვით შეიძლება უმართებულოდ მოგვეჩვენოს, მაგრამ ჩემი აზრით სრულიად გამართლებულია, რადგან ძალზე ვრცლად და ნათლად არის მოცემული ყოველი ეპოქის ლიტერატურული პანორამა. ჩვენ კი ამ წიგნში კემბრიჯელებისათვის რომ მიგვებაძა, თვითონ „მწერლის" ცნება აღმოჩნდებოდა დახამარებული. არ შეიძლება ამ სახელით მოვნათლოთ ყველა, ვინც კალამს აიღებს ხელში. მწერლის, როგორც სიტყვის ხელოვანის დამახასიათებელი ნიშნები უნდა ვეძებოთ მის ფანტაზიაში, შთაგონებაში, სამყაროს ღრმა ადამიანურ გაგებაში, იმ მხატვრულ საშუალებათა შერჩევაზე ზრუნვაში, რომლებითაც ყველაზე უფრო სრულად შეიძლება გამოიხატოს მის მიერ ჩაფიქრებული შთაბეჭდილებები — ესთეტიკური, ემოციური თუ ინტელექტუალური ეფექტები და ბოლოს, ეს ნიშნები უპირველეს ყოვლისა მწერლის საკუთარ სტილშია საძიებელი.

## ცხოვრება

ხელოვნების არც ერთ დარგში არ არის ადამიანთა ტიპებისა და პროფესიების ისეთი ნაირგვარობა, როგორც ლიტერატურაშია. აქ არიან წმინდანები, პაპები, იმპერატორები, მეფეები, ბელადები, სახელმწიფო მოღვაწეები, დამპყრობლები, ავანტიურისტები, ჯარისკაცები, სწავლულები, მსახიობები — საზოგადოების სხვადასხვა ფენის. ნებისმიერ პროფესიას ჰყავს თავისი წარმომადგენლები ლიტერატურაში. კალამი ფუნჯზე, საჭრეთელზე ან მუსიკალურ საკრავებზე ნაკლებად უტევს სახელს ადამიანს. ამიტომ იყო, რომ მეფეები, რაინდები და თავადები არ კადრულობდნენ მოქანდაკეობას, მხატვრობასა და მუსიკოსობას, მწერლობაზე კი უარს არ ამბობდნენ. ლიტერატურული შრომა არც ერთი კლასისა და ფენის წარმომადგენელს არ ესირცხვილებოდა და ამის გამო სიტყვის ხელოვნების მუშაკთა მრავალი, ერთმანეთისაგან ერთობ განსხვავებული ფსიქოლოგიური ტიპი არსებობს — მაღალი საზოგადოების წევრები და პატიმრები, ასკეტები, [illegible], ცხვარივით თვინიერნი და [illegible] გმირები, გიჟები, დამნაშავეები. ლიტერატორებში ყოველნაირი ხასიათისა და თვისების მქონე ადამიანი შეიძლება შეგვხვდეს. კაცობრიობამ ლიტერატურა თითქოსდა თავის „წარმომადგენელთა პალატად" აქცია და ამიტომ მასში სხვებისაგან გამორჩეულ, არაჩვეულებრივ პიროვნებათა გვერდით საკმაო რაოდენობით ვხვდებით მშვიდ, კეთილგონიერ ინდივიდებს, რომლებიც არაფრით არ განსხვავდებიან ჩვეულებრივი ადამიანებისაგან.

მაგრამ მწერალს იშვიათად აქვს ერთგვაროვანი ხასიათი. წარმოდგენის, წვდომისა და გარდასახვის ნიჭის მეოხებით იგი რამდენიმე სახის ინდივიდის თვისებებს გაითავისებს, ანდა იმ პიროვნებათა კონტურებს მაინც მოხაზავს, რომელთა ცხოვრება საკუთარს არ ემთხვევა. ის, რასაც ონორე დე ბალზაკი ეწოდებოდა (ეს „უკვე წარმოსახვის ნაყოფია), შედგენილი იყო უამრავი ადამიანის სხვადასხვა ხასიათებისა და თვისებებისაგან და ყოველ მათგანს ცხოვრებაში საკუთარი გზა ექნებოდა — ან დიდებას მოიპოვებდა, ან გამდიდრდებოდა, ან სილატაკეში გალევდა წუთისოფელს, ან ციხეში ამოხდებოდა სული, ამ ადამიანთა შორის იყვნენ ფინანსისტი და ანტიკვარი, მისტიკოსი და შარლატანი, პოლიციის უფროსი და დამნაშავე. ის კაცი, რომელიც აბისინიაში ვაჭარ არტურ რემბოს შეხვდა, ვერ წარმოიდგენდა, რომ მის წინაშე პოეტი და „სეზონი ჯოჯოხეთში" ავტორი იდგა. შექსპირის ცხოვრება საკმაოდ მღელვარედ მოედინებოდა და ფათერაკები და თავგადასავლებიც არ აკლდა. მაგრამ მეფეებთან ხელკავით არ უსეირნია. მიუხედავად ამისა, ის კარგად იცნობდა მათ, ამას თვითონ მეფეები აღიარებდნენ). შექსპირს რომ უდავოდ თვითონ უნდა ჰქონოდა ბუნებაში მეფური თვისებები. ამას ვერასოდეს მიხვდებიან ის კრიტიკოსები, რომლებიც ელისაბედის ეპოქის სასახლეების ზინადართა შორის ეძებენ ამ ტრაგედიების ავტორს.

გარკვეულ ეპოქებში ლიტერატურას ერთი საზოგადოებრივი ფენის, მაგალითად, თავადაზნაურთა ან ერთი საზოგადოებრივი კასტის — სასულიეროთა წარმომადგენლები ქმნიდნენ, მათ ცხოვრების წესი, აღზრდა, მიდრეკილებები ერთნაირი ჰქონდათ და ეს მსგავსება ნაწარმოებშიც ისახებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორები ხასიათით ერთმანეთს არა ჰგავანდნენ, ზოგ ეპოქაში ლიტერატურაში შემოდი-

ოდნენ, უფრო სწორად, პირდაპირ ფორუმიდან ან სამხედრო ბანაკიდან შემოიჭრებოდნენ ხოლმე პოლიტიკური ცხოვრების ბინადარნი და, როდესაც საკუთარი, ლიტერატურაზე გაცილებით სერიოზული საქმისაგან მოიცლიდნენ, კალმით ერთობოდნენ, რომელ მონას ან აზატს შეეძლო შეჯიბრებებისა და თამაშობების ყურებაში დაეხარჯა თავისუფალი დრო, მოქალაქეს კი სხვა მოვალეობები ჰქონდა დაკისრებული და ციცერონი, ეს სულით ხორცამდე ლიტერატორი ხარკს უხდიდა საყოველთაოდ მიღებულ თვალსაზრისს, როცა ლიტერატურას ყველაზე უმნიშვნელო გონებრივ მუშაობას, მცირე ზომის ხელოვნებას უწოდებდა. მხოლოდ რაიმე ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანს, რომელიც ხალხს თვალწუნებული ჰყავდა, შეეძლო მთლიანად მთელი ცხოვრება ლიტერატურისათვის მიეძღვნა; ბევრ ეპოქაში კი სამხედროები, პოლიტიკოსები და ჯარისკაცები ლიტერატურისთვის მხოლოდ მაშინ მოიცლიდნენ, როცა იძულებულნი ხდებოდნენ დროებით ან მუდმივად ჩამოშორებოდნენ.

და თუ ყურადღებით დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ლიტერატურის ისტორიაში გაცილებით მეტია ისეთი მწერალი, რომელთაც ცხოვრების ქარიშხლიანი, თავგადასავლებითა და ფათერაკებით აღსავსე გზა განვლეს, მრავალი ხელობა გამოიცვალეს და ბედ-იღბლის ცვალებადობა განიცადეს, ვიდრე მწერლები, რომელთაც მშვიდ ცხოვრებას მხოლოდ საკუთარი შემოქმედების სრულყოფილებაში დაეჭვება უწამლავდა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ლიტერატორები არ იყვნენ მატერიალურად უზრუნველყოფილნი. მწერალს იშვიათად ჰქონდა დალხინებული ცხოვრება თავისი კარიერის დასაწყისში, ხშირად კი ლიტერატურული საქმიანობა არავითარ შემოსავალს არ აძლევდა.

„არ ვიცი, რატომ ხდება ასე, რომ გაჭირვება ტალანტის მეგობარია", — ამბობდა პეტრონიუსი, მაგრამ თვითონ ფაქტი პეტრონიუსის ეპოქაზე გაცილებით უფრო ძველია. მათხოვარ ლიტერატორთა გრძელი რიგის დასაწყისში, ბერძნული ლირიკის გარიჟრაჟზე, მოწყალებისათვის ხელგაწვდილი არქილოქე დგას, უკან კი მშიერთა და ტანჯულთა მთელი ბრბო მოჩანს; მრავალ დავიწყებულთა, მაგალითად, პლატონიუსის გვერდით, ისეთი ბრწყინვალე სახელის მქონე მწერლებს ვხვდებით, როგორიც იყვნენ მარციალი, კამოენსი, ვიიონი, ტორკვატო ტასო, ვილე დე ლილ-ადანი, ნორვიდი... განა ძალმიძს ყველას ჩამოთვლა? ზოგი მათგანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეწეოდა შემოქმედებით საქმიანობას, ზოგი გაიელვებდა, ჩაქრებოდა და დავიწყების მტვრით იფარებოდა. თუ მწერალს თავიდანვე არ ჰქონდა ცხოვრების სახსარი, არც კი უნდა ელოდეს, რომ ლიტერატურული შრომით გაიტანს თავს.

ლიტერატურის ფინანსური ისტორია ჯერ არ დაწერილა და თუ ოდესმე დაიწერება, მასში ალბათ აისახება შემოქმედთა მატერიალური ყოფის დეტალური მონაცემები, მათი შრომის ფულადი ანაზღაურების ნიხრები და გაირკვევა, თუ რომელ ეპოქაში როგორ ასრულებდა საზოგადოება თავის მოვალეობას მწერალთა წინაშე. ამ ეკონომიკური მიმოხილვის პირველივე თავებში გაგვახსენებენ „ოდისეას" სიტყვებს: „ვინ დაუწყებდა მთელ ქვეყანაზე ძებნას უცხოელებს თავის სამშობლოში ჩამოსაყვანად, თუ ისინი მშობლიურ მიწას არ გამოადგებოდნენ? — ეუბნება ევმეოსი ანტინოეს, — მხოლოდ წინასწარმეტყველი, მკურნალი, დურგალი ან ზეგარდმო ნიჭით შთაგონებული მგოსანი უნდა ჩამოეყვანათ, რომ გული სიმღერით დაეტკბოთ. ასეთებს ყველგან, ყველა მხარეში სიამოვნებით მასპინძლობენ..."

თუ ამ ნაწყვეტს ვირწმუნებთ, გამოდის, რომ პოეტობა იშვიათი და დაფასებული ხელობა ყოფილა და ვინაც ამის ნიჭი ჰქონდა მომადლებული, ყველგან გულთბილად ხვდებოდნენ და გულუხვად ასაჩუქრებდნენ. ეს ის აედებია, „ოდისეაში" მეფეთა კარზე რომ ვხედავთ. ისინი აქ ისეთი პატივისცემით სარგებლობდნენ, რომ უნებლიეთ ეჭვი გვეპარება, ომეროსმა მწარე სინამდვილის ნაცვლად თავისი იდეალი ან პოსტულატი ხომ არ შემოგვთავაზა. სწორედ ეს აედები უვლიდნენ მთელ საბერძნეთს კიდევ ორიოდე საუკუნის განმავლობაში და, როგორც ჩანს, არცთუ ძალზე დალხინებულად გრძნობდნენ თავს, რადგან ერთ-ერთი მათგანი — „დემეტრას საგალობლის" ავტორი ქალწულებს თხოვს სიმღერის ჯილდოდ სახლამდე გამოუგზავნონ პური.

ამგვარი ეკონომიკური მიმოხილვის შემდეგი გვერდები მიეძღვნებოდა იმ ჯილდოების ჩამოთვლას, რომლებსაც პოეტები — ტრაგიკოსები და კომედიოგრაფები იღებდნენ დიონისეს კონკურსებში მონაწილეობის საფასურად. აქვე დასახელებული იქნებოდა სამეფო დოტაციების თანხები, მაგალითად, თანხა, რომელიც ჰეროდოტემ მიიღო ათენის მმართველისაგან. არ ვიცი, მოხერხდებოდა თუ არა იმ შემოსავლის რაოდენობის დადგენა, პინდაროსმ რომ მიიღო სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა ხოტბისათვის, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს შემოსავალი მცირე არ იქნებოდა, რად-

გან ოდეს შეფები, ტიტულოვანი დიდგვაროვნები, ან ის ძლიერი ქალაქები უკვდავყვნენ, რომელნიც თავიანთ მოქალაქეების განდიდებით ცდილობდნენ სახელის მოხვეჭას.

შემდეგი თავებიდან გავიგებთ, რომ III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე რომის სენატმა „სკრიბებს" (მწერლებს) და „ჰისტრიონებს" (მსახიობებს) ავენტინუსის ბორცვზე აგებულ მინერვას ტაძარში თავშეყრისა და ღვთისმსახურების უფლება უწყალობა. ამ ფაქტს შეიძლება ლიტერატორთა პირველი პროფკავშირის შექმნა ვუწოდოთ. როგორც ჩანს, ლიტერატორებს დიდი პატივისცემით არ ეპყრობოდნენ, რადგან ისინი აშკარად დამცირებულ აქტორს — ჰისტრიონებს შეუერთეს. ეს მშიერ-მწყურვალი ლიტერატორები ლუკმა-პურის საშოვნელად სახალხო ზეიმებისათვის ტექსტებს თხზავდნენ, დიდგვაროვან მოქალაქეებს ეპიტაფიებს და ეპითალამებს უწერდნენ, მდივნად უდგებოდნენ სახელმწიფო მოღვაწეებს და სხვა მრავალნაირ სახსარს ეძიებდნენ თავის გასატანად. ასევე იქცეოდნენ მომდევნო საუკუნეების მწერლები და დღესაც მათი შთამომავლები თავიანთი წინაპრებისაგან იღებენ მაგალითს.

საზოგადოება ძალზე ძნელად ივიწყებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ლიტერატურა დახმარებისა და მხარში ამოდგომის ღირსია: ენთუზიაზმი, რომლითაც ზოგიერთ ლიტერატურულ ნაწარმოებს იღებენ, და პატივისცემა, რომელიც ზოგიერთ ავტორის ხვედრი წილია, საქმეს არ შველის. სოფოკლეს პატივსაცემად საკურთხევლებს აგებდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ მისი პოეზია ზეგარდმო ნიჭით იყო ცხებული. მაგრამ არავინ ზრუნავდა ავტორის კეთილდღეობაზე და არც თვითონ ცდილობდა შემწეობას თანამოქალაქეებისაგან. პტოლემეს მმართველობის დროს და იმპერიის პერიოდში შეეცადნენ მეურვეობა გაეწიათ ლიტერატურისათვის. მაგრამ დახმარება და მხარში ამოდგომა ან ხელმწიფის მიერ დროდადრო გაცემული წყალობით გამოიხატებოდა ან ჯამაგირით, რომელიც ლიტერატურული შრომისათვის კი არ ეძლეოდათ მწერლებს, არამედ იმ სამუშაოებისათვის, რომლებსაც პარალელურად ასრულებდნენ სახელმწიფო დაწესებულებებში: მწერლებს ნიშნავდნენ, მაგალითად, ბიბლიოთეკის გამგედ, მეფისწულების მასწავლებლად, ან სხვა მსგავს თანამდებობაზე და მუდმივ ხელფასს უნიშნავდნენ. ამგვარი მხარდაჭერით მხოლოდ დაწინაურებული მწერლები სარგებლობდნენ, ახალგაზრდა, იმედისმომცემი შემოქმედნი კი ბედის ანაბარა იყვნენ მიგდებული და თვითონვე უნდა ეძიათ ლუკმა-პურის მოსაპოვებლად.

„ოდისეას" ლამაზი სიტყვები სიმღერის შესახებ, რომელიც „გულს ჰგვრის ტკბობას", შეიძლებოდა ბევრ სხვა ეპოქაშიც გაემეორებინათ, მაგალითად, შუა საუკუნეებში, როცა ტრუბადურს იმისათვის უხდიდნენ ფულს, რომ მსმენელებისათვის სიამოვნება მიენიჭებინა, თუმცა უფრო ხშირად ხოტბისა და ქება-დიდებისათვის იმეტებდნენ საჩუქარს. მეფეები და სარდლები ლაშქრობის დროს გვერდიდან არ იშორებდნენ ისტორიკოსებსა და პოეტებს. მათ უნდა აღეწერათ და შეექოთ პატრონის გამარჯვებები. წარსულის მაგალითს მომდევნო თაობების მბრძანებლებიც ბაძავდნენ — ცდილობდნენ მწერლების მეშვეობით თავიანთთვისაც დაედგათ ძეგლი და სამისოდ თანხებს არ იშურებდნენ.

პროპაგანდა უძველეს ხანაში წარმოიშვა და იმთავითვე მყარად დადგა ფეხზე. ავგუსტუსმა მოახერხა თავისი პოლიტიკის სასარგებლოდ აემუშავებინა მეოცნებე ვერგილიუსიც — („ღმერთმა გვიწყალობა ეს ნეტარება", — წერდა იგი პირველ ეკლოგაში) და ჭიუტი ჰორაციუსიც, ავგუსტუსი სხვა მრავალი პოეტის სამსახურითაც სარგებლობდა, რომელთა ხმები ახლა საუკუნეთა მიღმიდან, ოდნავ გასაგონადღა ისმის. ჩვენ ვიცით, რომ იგი გულუხვი იმპერატორი იყო, ცნობილია აგრეთვე, თუ მისი ბიუჯეტის რომელი მუხლებიდან უხდიდნენ ფულს ლიტერატორებს, მაგრამ თვითონ ამაზე არ ლაპარაკობდა. ეტყობა, ამაზე ლაპარაკი ეუხერხულებოდა.

თუმცა მრავალი ისტორიკოსი ეჭიდრებოდა ერთმანეთს ავგუსტუსის ქებაში, მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მას არც გული ჰქონდა, არც სინდისი და არც წარმოსახვის უნარი. თავისი პოლიტიკური კარიერის დასაწყისში იგი უმძიმესი დანაშაულის — ციცერონის მოკვლის თანამონაწილე იყო. ავგუსტუსი კი ციცერონისაგან დიდად იყო დავალებული. უფრო მოგვიანებით კორნელიუს გალიუსი მოაკვლევინა. ამ უკანასკნელს ვერც პოეტობამ უშველა და ვერც იმან, რომ გამძვინვარებული ტირანის სკოლის ამხანაგი იყო. მისი მმართველობის დროს კიდევ უფრო სამარცხვინო საქმე მოხდა — ოვიდიუსი სამშობლოდან გააძევეს. ავგუსტუსი ისე მოკვდა, რომ გული არ მოუბრუნებია პოეტზე. მან ელემენტარული ადამიანური გრძნობაც არ გამოიჩინა: ჭიუტად ეუბნებოდა უარს ყველას, ვინც კი სთხოვდა, განდევნილს ცხოვრების პირობები გაუუმჯობესეთ, და არც კი უფიქრდებოდა, თუ რა დიდებული ადამიანი განწირა დასაღუპავად. ამგვარი შემთხვევები ბევრი იყო მისი მმართველობის დროს, მაგალითად, გამოჩენილი ორატორი კასიუს სევერუსი საბერძნეთის ერთ-ერთ კუნძულზე იქ-

ნა გადასახლებული და იქ სიღატაკეში ამოხდა სული. ავგუსტუსის ბრძანებით დაფერფლილი ლაბიენის წიგნების ნამწვის სუნი ისტორიკოსების მიერ იმპერატორის სადიდებლად ნაკმევი გუნდრუკის სურნელშიც იგრძნობა.

საბედნიეროდ, იმ დროს ავგუსტუსზე გაცილებით კულტურული ადამიანი, მეცენატი, ცხოვრობდა. ის ეხმარებოდა იმპერატორს ისეთ დელიკატურ საქმეში, როგორიც მწერალთან ურთიერთობაა. მისივე შემწეობით ახერხებდა ავგუსტუსი გავლენის მოხდენას ლიტერატორთა შემოქმედებაზე. მეცენატის პიროვნებაში თავი მოიყარა თვისებებმა, რომლებიც შემდგომ ყოველი ეპოქის ლიტერატურის მეოხეებში შეინიშნება ამა თუ იმ სახეცვლილებით. ამ დიდგვაროვანმა, მდიდარმა ლიტერატორ-დილეტანტმა ვერ მოახერხა მწერალთა კოჰორტაში შესვლა და საბოლოოდ ხელი აიღო თავის პატივმოყვარულ ოცნებებზე, მაგრამ თანდაყოლილმა ტაქტმა და ხელოვნების ჭეშმარიტმა სიყვარულმა უფლება არ მისცა სნობად ან გრაფომანად ქცეულიყო. მას ეყო გემოვნება, რომ სხვისი დიდი პოეტური ნიჭი საკუთარზე მაღლა დაეყენებინა. თუმცა მეცენატი მოკლებული არ იყო პატივმოყვარეობის გრძნობას — პოეტებისაგან ელოდა და იქნებ მოითხოვდა კიდეც, მისი სახელი მოხსენიებული ყოფილიყო ლექსებში, რომ ამ ლექსების სტრიქონებთან ერთად უკვდავება მოეპოვებინა. მწერლებზე დახარჯული სახსრები მეცენატს დიდი მოგებით დაუბრუნდა: ჰორაციუსმა პატარა სახლისა და კარმიდამოს საფასურად მისი სახელი მეოცე საუკუნემდე მოიტანა და იგი ლოზუნგად და სიმბოლოდ აქცია.

ნეტავ ავგუსტი ღმერთთა ნებით
დაგვბრუნებოდეს,
ნეტავი, რომ, მეცენატი კვლავ შენთან იყოს!

ოხრავდა ასი წლის შემდეგ სხვაზე ღატაკი მარციალი, რომელიც პირმოთნეობით ვაჭრობდა და მცირე საზღაურის ფასად მზად იყო, ნებისმიერი მდიდრისათვის ეკმია გუნდრუკი. იგი ორიოდე სესტერციის ფასად სირბილით მიდიოდა იქ, სადაც ჰორაციუსს ოქროთი სავსე ქისითაც ვერ მიიტყუებდნენ. მარციალი იმ მრავალრიცხოვანი კლანის წინაპარია, რომელიც ლიტერატურული მათხოვრებისაგან — დიდი ნიჭითა და ბეჯითი დაჯილდოებული მწერლებისაგან შედგება. ამ მწერლებმა იციან საკუთარი თავის ფასი, მაგრამ იძულებულნი არიან, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სხვისი ნასუფრალით იცხოვრონ. მათ ტალანტს არავინ უარყოფს, მიუხედავად ამისა, სიცოცხლეში ძალიან არავინ აფასებს, გარდაცვალების შემდეგ დაწერილ მოგონებებში კი ამცირებენ და [illegible] და მლიქვნელობას უკიჟინებენ.

არ შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურა დიდად არის დავალებული მეცენატებისაგან. მწერლები ხომ ყველა დროში გაჭირვებულად ცხოვრობდნენ და მათში იშვიათად მოიძებნებოდა სიმდიდრისა და ქონების პატრონი. ჩვენი იანიცკის ცხოვრება უკვალოდ ჩათავდებოდა ეინინსკის ჭაობებში, ჯერ კმიცკი რომ არ ამოსდგომოდა მხარში, შემდეგ კი კმიტა. ამასთან, ეს უკანასკნელი იანიცკის ბატონი იყო და არც დიდად ეფოფინებოდა მწერალს და არც ხშირად უხსნიდა ქისას თავს. ჰუმანიზმის ეპოქა მეცენატობის ოქროს საუკუნე იყო, ძლიერნი ამა ქვეყნისანი უფრო ბეჯითად ცდილობდნენ მწერლების ყურადღების მიპყრობას, ვიდრე მწერლები მათი წყალობის მოპოვებას. პეტრარკა თავს არიდებდა მეცენატებს, რათა თავისუფლება შეენარჩუნებინა. ბენეფიციუმები კი წყალობად მდინარესავით მოედინებოდა მისკენ ყოველი მხრიდან; მას კანონიკოსის თანამდებობა უბოძეს ლომბეზში, პარმაში, პადუასა და კარპანტრაში; პაპები და მეფეები უხვად ასაჩუქრებდნენ. ფლორენციაში რომ ჩავიდა ბედის საძიებლად, პოჯო ბრაჩოლინის ჯიბეში მხოლოდ ხუთი ლირა ედო, მან ცხოვრების მშფოთვარე გზა განვლო, შეუსვენებლად იშრომა და ბოლოს შესანიშნავი ვილისა და ბაღის მფლობელი გახდა. ბრაჩოლინის მეტი ქონების შეძენაც შეეძლო, მაგრამ მომთაბარე ბოშას ბუნება ჰქონდა და ცოტათიც კმაყოფილი იყო.

მისი მეტოქე ფილელფო კი სულ სხვანაირად იქცეოდა — დიდებულთაგან მათი შემოსავლის კვალობაზე იღებდა ხარკს: ლოდოვიკო მოროსაგან ორას ორმოცდაათ დუკატს, პიეტრო მედიჩისაგან ასს, ბორსო დ'ესტესა და მანტუის ეპისკოპოსისაგან ორმოცდაათ — ორმოცდაათს. სფორცების საგვარეულოს კი პირდაპირ შანტაჟს უწევდა პოემა სფორციადის მეშვეობით — თუ ცოტათაც დაუგვიანებდნენ, წერას შეწყვეტდა ხოლმე: სფორცას ისე ეშინოდა, ერთ მშვენიერ დღეს სულ არ აეღოს ხელი პოემის წერაზე, რომ თავის ხაზინადარს არიგებდა: „მისი დაკარგვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ღმერთმა ნუ ქნას, გაიგოს, რომ ვატყუებთ. მაშინ თავს დაანებებს ამ დიდებული ნაწარმოების წერას, რომელმაც დიდება უნდა მოუხვეჭოს ჩვენს გვარს, ეს საშინელება იქნება".

ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი პერიოდი, როდესაც ლიტერატურულ შრომას ყველა პატივს

1. ლექსები თარგმნა გივი შაჩნაზარმა

ხცემდა, 1414 წელს, როცა ლეონარდო ბრუნიმ ფლორენციას თავისი „ისტორიის" I ტომი წარუდგინა, ქალაქმა თვითონ და მისი შთამომავლები გადასახადებისაგან გაათავისუფლა, რათა, როგორც დეკრეტში ეწერა, „ხალხს ღირსეული მადლობა გადაეხადა რესპუბლიკის სახელის უკვდავყოფისათვის". იმ დროს მეფეებიც ცდილობდნენ ხელუხვით მოეწონებინათ თავი ხელოვანთათვის. ალფონსო არაგონელმა თავის სამშობლო ნეაპოლში, დიდი ჯამაგირი დაუნიშნა ანტონიო ბეკადელის; აჩუქა ორი სასახლე და ვილა; ჯანოცო მანეტის წლიურად 800 დუკატი ჯამაგირის გარდა ჰქონდა შემოსავალი მარილით ვაჭრობისაგან. ალფონსო არაგონელმა დამატებით არა ნაკლები ღირებულების საჩუქარიც უბოძა: „მესირ ჯანოცო, თქვენ ამ სიგელით თავისუფლდებით სასახლის ასამბლეებზე დასწრებისაგან. ამიერიდან მხოლოდ ლიტერატურულ შრომას მოახმარეთ მთელი დრო, რამეთუ ჩვენთვის მარტო ისიც საკმარისი პატივია, რომ ჩვენს ქალაქში იმყოფებით".

საფრანგეთის მეფეები ამ სტილით არ მიმართავდნენ თავიანთ მწერლებს. ისინი მსახურის ან შპალერის გამკვრელის თანამდებობაზე ჰყავდნენ გაფორმებული და იმათ ჯამაგირს იღებდნენ, მაგალითად შეიძლება კლემან მარო და მოლიერი მოვიტანოთ. მხოლოდ რასინი ატარებდა „ისტორიოგრაფის" საპატიო ტიტულს, მაგრამ ამის სანაცვლოდ ვალდებული იყო სამხედრო ლაშქრობებში მიეღო მონაწილეობა. პოლონეთის მეფეები უფრო მეტ დიდსულოვნებას იჩენდნენ — გულუხვად აჩუქებდნენ მიკოლაი რეის, თუმცა ეს უკანასკნელი გულს უწყრებოდა მათ თავისი კალვინიზმით. შიმონოვიჩი „მისი მეფური უდიდებულესობის პოეტად" დანიშნეს და ამით პოეტს სხვადასხვაგვარი ბენეფიციუმის მიღების საშუალება მიეცა. ასეთივე თანამდებობა „პოეტი ლაურეატის" სახელწოდებით დღესაც არსებობს ინგლისის მეფის კარზე.

მე-19 საუკუნეში სამმა მხატვარმა — ენგრმა, ჟერომმა და ვიტერმა დახატეს გულის ამაჩუყებელი სცენა, სადაც მოლიერი და ლუდოვიკო XIV ერთ სუფრასთან სხედან. ამ ნახატმა სასახლის გაოცება და გულისწყრომა გამოიწვია. ამ სცენის შექმნის იდეა მხატვრებს მარია-ანტუანეტას მოახლის დღიურიდან ამოკითხულმა ანეკდოტმა მისცა. მხატვრებმა უეჭველად იცოდნენ მოახლის მონათხრობი, სინამდვილეში კი ამისთანა რამ შეუძლებელი იყო მომხდარიყო, რადგან იმ ეპოქაში გენიოსს შეიძლებოდა სასახლის ცერემონიების ინტაკა ეწმინდა, მაგრამ თუ ტიტული არ ჰქონდა, მეფესთან მიახლოებასაც ვერ გაბედავდა.

ხსენებულმა მხატვრებმა იმ საუკუნის თვალსაწიერიდან შეასწორეს ისტორია, რომლის დასაწყისში ნაპოლეონმა თქვა: „კორნელი ცოცხალი რომ იყოს მინისტრობას მივცემდი", მაგრამ ნაპოლეონი თავისი მმართველობის დროს პოეტებს კი არა, გენერლებს აძლევდა ტიტულებს, ხოლო პოეტებს — უფრო ნაკლებ ჯამაგირს უნიშნავდა ვიდრე ლუდოვიკო XIV. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნაპოლეონის დროს კორნელის ბადალი პოეტები არ არსებობდნენ. ერთხელ გაბრაზებულ იმპერატორს ასეთი სიტყვებიც კი წამოსცდა: „ამბობენ, საფრანგეთში პოეტები არ არიანო, რას იტყვის ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრი?" ლიტერატურის ისტორიამ მხოლოდ რამდენიმე შემოქმედი იცის, რომელთაც კალმის წყალობით მაღალი ტიტული მიენიჭათ: პეტრარკა სასახლის კომესი გახდა, ტენისონი — ლორდი, დ'ანუნციო მონტენევეზოს მთავარი, მეტერლინკი — გრაფი.

მეცენატობის ისტორიაში უხვად მოიპოვება მწერლის თავმოყვარეობის შელახვის მაგალითები. მეცენატმა კარგად იცოდა, რომ მწერალი სულიერ ფასეულობათა მფლობელი იყო და ამ ფასეულობებს თვითონ გვარიშვილობით, ძალაუფლებითა და სიმდიდრით ვერ შეიძენდა. ამიტომ მეცენატი მწერალს თავისი სიმდიდრით ჩაგრავდა, იმორჩილებდა და უდიდეს კმაყოფილებას გრძნობდა, რომ სულიერად მასზე მდიდარ ადამიანზე ბატონობდა. ზოგჯერ გაუცნობიერებლად, ინსტინქტურად იქცეოდა ასე, როგორც, მაგალითად პატივცემული იდიოტი მადამ დე საბლიერი, რომელიც ლაფონტენს ინახავდა. იგი ერთ ბარათში წერდა: „მე სახლის ყველა ბინადარი გავუშვი, დავიტოვე მხოლოდ ძაღლი, კატა და ლაფონტენი". მაგრამ განა შეიძლება ამ სიტყვაზე აღშფოთდეს ადამიანი, როცა მალერბი, თავად პოეტი, ამბობდა, პოეტებს საზოგადოებისათვის კეგლის მოთამაშეებზე ბევრად მეტი სარგებლობა როდი მოაქვთო.

ისევე, როგორც თანამედროვე მილიონერები უხდიდნენ ბიორდს ფულს იმისათვის, რომ მათი სახელი ეწოდებინა ჩრდილოეთ პოლუსის ახლად დაპყრობილი მთებისათვის, შორეულ წარსულშიაც მწერლებს აჩუქებდნენ ნაწარმოების მიძღვნისათვის, წინასიტყვაობაში მოხსენიებისათვის და პატივისცემისა და ქედმოხრის სხვაგვარი გამოხატვისათვის, იქნებოდა ეს დაბადების დღის ან ქორწილის აღსანიშნავი სიმღერა თუ ეპიტაფია. ვინც უფრო მოხერხებული და უსინდისო იყო, ქებითაც აკეთებდა ფულს და ლანძღვითაც. მეფეები არეტინოს მხოლოდ დუმილისთვის უხდიდნენ საზღაურს. ვოლტერიც მრავალნაირი ხრიკით სტყუებდა ფულსა და საჩუქრებს სხვადასხვა ქვეყნის მონარქებს. ნაპო-

ლიონი ბევრს ეცადა, გოეთეს რაიმე ნაწარმოები მიეძღვნა მეფე ალექსანდრესათვის, მაგრამ ვერას გახდა. „სირ, — მიუგო პოეტმა, — მე ასეთი რამ არ მჩვევია. წიგნს არავის ვუძღვნი, რათა შემდეგ სანანებლად არ გამიხდეს საქმე". ნაპოლეონმა შეახსენა: „ლუდოვიკო XIV დროინდელი დიდი მწერლები სხვანაირად იქცეოდნენ". „მართალია, თქვენო უდიდებულესობავ, — დაეთანხმა გოეთე, — მაგრამ ხომ არ უარყოფთ, რომ მათ შემდგომში არა ერთხელ სანანებლად გახდომიათ თავიანთი ნამოქმედარი".

გოეთემ იცოდა, რასაც ამბობდა, რადგან საკუთარ ზურგზე ჰქონდა ნაწვნევი განათლებულ დიდგვაროვანთა ინადობა — იძულებული იყო, მრავალი წლის განმავლობაში ეტანა ვაიმარის ჰერცოგის ჭირვეულობა, რადგან მისი კეთილდღეობა ამ უკანასკნელზე გახლდათ დამოკიდებული. ჰერცოგი ფრანგული დრამით იყო გატაცებული. გოეთესა და შილერს აიძულებდა ვოლტერი ეთარგმნათ და ხშირად ერეოდა მათ შემოქმედებაში, ჰერცოგს არ უნდოდა დადგმულიყო „ორლეანელი ქალწული", რადგან ეს პიესა არ მოეწონა მის საყვარელს. ერთი სიტყვით, ვაიმარის ჰერცოგი ნამდვილი სნობი იყო და მსახიობი ქალების მიერ დადგმული ინტრიგების ბადეში გახვეულ თეატრის დირექტორივით იქცეოდა.

ლიტერატურის ყველა პერიოდის უმძიმესი სენი ის იყო, რომ არ არსებობდა საავტორო უფლება.

გოთურ თოვლიან შორეულში, მკაცრ
მარსქვეშ, მთებზე,
ცენტურიონი ჩემი წიგნის კითხვით კლავს
ღამეს;
თურმე შორეულ ბრიტანეთშიც მღერიან
ჩემს ლექსებს, —
მაგრამ რა, ამით ემატება ჩემს ჯიბეს რამე?!

მარციალის ეს ლექსი შეიძლებოდა ეპიგრაფად წაგვემძღვარებინა მწერალთა ექსპლუატაციის ისტორიისათვის.

გამომცემლები პირატებივით იქცეოდნენ — იტყუებოდნენ, ყველანაირი ხრიკით ცდილობდნენ, არ გადაეხადათ კუთვნილი ჰონორარი და მათ ამისათვის არავინ სჯიდა. რომაული კანონებით წიგნის ფასი დახარჯული მასალის ღირებულებისა და გადამწერისთვის მიცემული გასამრჯელოს ჯამისაგან შედგებოდა, ხიულბეც კი არ იხჯებოდა — შეიძლებოდა ცნობილი მწერლის სახელი დაეწერა საკუთარ წიგნზე. მომდევნო საუკუნეებში ავტორი მფარველობას „მეფის პრივილეგიებში" და ათასნაირ დახლართულ კანონებში ეძებდა. იგი ხელშეკრულებას სდებდა გამომცემლებთან და ზოგჯერ თვითონვე ყიდდა საკუთარ წიგნებს, ვიდრე ყელში არ ამოუვიდოდა ეს წვრილმანი ვაჭრობა. აი, როგორ გამოხატავდა იან კოხანოვსკი „სიმღერების" სატიტულო ფურცელზე დაბეჭდილი ლექსით თავის იმედებს [illegible].

მრავალს ან არვის (სხვა საყალბე რად
დაგიბატოთ!)
ჩემს შთაგონებას მუქთად ვაძლევ
(შეიხზულ-გაგონილს...)
გამომცემელმა რამე უნდა გადამიხადოს. —
ჩემი პოემით ისე ვაჭრობს, როგორც
საქონლით.

დრამატურგსაც კი არ უნდა ჰქონოდა იმის იმედი, რომ პატიოსნად გადაუხდიდნენ საფასურს. შექსპირის დროს თეატრის მეპატრონე საგანგებოდ ქირაობდა კარგი მეხსიერების მქონე ხალხს, რომლებიც ერთი-ორჯერ მოისმენდნენ კონკურენტი თეატრის მიერ დადგმულ პიესას, იმახსოვრებდნენ და შემდეგ ეს პიესა მცირეოდენი შესწორებებით იდგმებოდა თეატრში ავტორის ნებართვის გარეშე და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ. ჯერ კიდევ ნაპოლეონის დროის თეატრის დირექტორი, თუ ცუდ გუნებაზე არ იყო, ავტორს სპექტაკლის შემდეგ ერთ ლუიდორს აძლევდა. პიესის უდიდესი წარმატებაც კი არ აძლევდა დრამატურგს სიღატაკისაგან თავის დახსნის საშუალებას. ინგლისში პირველი პოეტი, რომელმაც კალმით ცხოვრების სახსარი იშოვა, ალექსანდრე პოპი იყო. ჰომეროსის თარგმანმა მას 9000 გირვანქა სტერლინგი მისცა, რაც იმდროინდელი კურსით დიდი თანხა იყო. „ჰომეროსის წყალობით შემიძლია ისე ვიცხოვრო, რომ არც ერთი მეფისწულისა და დიდებულის მოვალე არ ვიყო", — წერდა პოპი ერთ-ერთ ლექსში.

ორიოდე ათწლეულის შემდეგ პოპი უკვე ალარ წარმოადგენდა გამონაკლისს. მე-19 საუკუნის მრავალ გასაოცარ სიახლეთა შორის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი სიახლე ლიტერატურული შრომის ანაზღაურებაში მომხდარი გადატრიალება გახლდათ. გაიზარდა ტირაჟი, დაკანონდა საავტორო უფლების დაცვა, მწერალს უკვე შეეძლო მდიდრულად ეცხოვრა ჰონორარით და მომავლის შიშიც არ ჰქონოდა. თავდაპირველად ეს ისეთი უჩვეულო რამ იყო, რომ ბაირონმა ზიზღით შენიშნა, უოლტერ სკოტი პოეზიით ვაჭრობსო. კვლავ გაისმა ის შეურაცხმყოფელი საყვედურები, რომლებითაც ჯერ კიდევ პლატონი კილავდა სოფისტებს, მაგრამ უკვე რამდენიმე წლის შემდეგ თვითონ ბაირო-

ნიც სხვებზე ნაკლებად არ ევაჭრებოდა გამომცემლებს. პოეტებს ადრე არასოდეს ჰქონდათ ასეთი შემოსავალი. მურმა „ლალა რუკში" 300 გირვანქა სტერლინგი აიღო; უოლტერ სკოტის „უკანასკნელი მენესტრელის სიმღერის" 30 000 ეგზემპლარი გაიყიდა და ერთბაშად გაამდიდრა ავტორი. პროზა კიდევ უფრო მეტად ფასობდა. უოლტერ სკოტს ჭეშმარიტად მეფური შემოსავალი ჰქონდა; ბალზაკი ოქროს მდინარეში ურევდა ხელს, მაგრამ ვაი რომ ხელში არაფერი რჩებოდა. ვიქტორ ჰიუგომ მილიონის ქონება დატოვა სიკვდილის შემდეგ.

XX საუკუნეში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა. საავტორო უფლება უზრუნველყოფდა მწერლის ქონების დაცვას და გამორიცხავდა კანონის დარღვევის უმცირეს შესაძლებლობებს. გარდა ამისა, საერთაშორისო ხელშეკრულებების წყალობით მწერალს საშუალება ეძლეოდა ჰონორარი მიეღო თავისი ნაწარმოებების უცხოური თარგმანებიდან. ყველაზე მეტად ის ავტორები რჩებოდნენ მოგებულნი, რომლებიც მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებულ ენებზე წერდნენ. ეს ენები ინგლისური, ფრანგული და გერმანული იყო, მაგრამ თარგმანისა და სცენის მეშვეობით ხანდახან პატარა ქვეყნების მწერლებიც იპყრობდნენ მსოფლიო მკითხველის ყურადღებას. ამის დასადასტურებლად საკმარისია, სკანდინაველი მწერლების წარმატებები გავიხსენოთ.

ზოგჯერ, განსაკუთრებით რომანს ან დრამას, საოცარი წარმატება ხვდებოდა წილად. არნოლდ ბენეტის ერთ-ერთი პიესა რამდენიმე წლის განმავლობაში იდგმებოდა სცენაზე და ისეთი შემოსავალი მისცა ავტორს, რომ ამ უპრეტენზიო და მოკრძალებულმა კაცმა აღარ იცოდა, რაში მოეხმარა ამდენი ფული. კინომ დამატებითი სახსარი გაუჩინა მწერლებს. მისი რაოდენობა ხშირად მილიონს აღწევს. ეს ოქროს წვიმა ყველას ერთნაირად დასდის თავზე: მარტო დიდი და სახელგანთქმული კი არა, საშუალო მწერლებიც მდიდრდებიან. ამასთან, ეს უკანასკნელები უფრო ადვილად იხვეჭდნენ ქონებას. მაგალითად, სენტიმენტალურმა რომანმა ინგლისში, ხოლო კრიმინალურმა ამერიკაში შეიძლება ერთ თვეში გაამდიდროს ავტორი, მაგრამ ამით იგი არც აღიარებული მწერალი გახდება და არც ცნობილი. წლის ბოლოს უკვე აღარავის ემახსოვრება მისი გვარი. სპეკულიანტ და გაქნილ მწერლებს აქამდე არასოდეს ჰქონიათ ასეთი ფართო სამოქმედო ასპარეზი.

ამას კიდევ უფრო უწყობს ხელს ის გარემოება, რომ წიგნიდან დამატებითი შემოსავლის მიღების საშუალებაც გაჩნდა. ამერიკაში, მაგალითად, ავტორი და, უფრო მეტად, გამომცემელი ხელნაწერს მარტო ისე კი არ აფასებენ, როგორც რომანს, ისტორიული იქნება ის თუ ბიოგრაფიული, არამედ როგორც კინოფილმის, ტელე ან რადიოდადგმის პოტენციურ სცენარს, უპირატესობა ეძლევა ისეთ მასალას, რომელიც ჟურნალისათვის, ან ეგრეთწოდებული დაიჯესტებისთვის გამოდგება. ასეთ ნაწარმოებში ავტორს ძალიან დიდ ჰონორარს უხდიან.

ლიტერატურის ისტორიაში მწერალმა პირველად მოიპოვა მატერიალური დამოუკიდებლობა. ახლა უკვე აღარ სჭირდებოდა მეცენატების წინაშე თავის დამცირება ფულის სათხოვნელად და მათი კაპრიზების შესრულება, იგი მდიდრების კართან აღარ იყო ატუზული, რადგან თვითონაც გამდიდრდა. ამიერიდან, თითქოსდა, თავისუფლად, მხოლოდ საკუთარი შთაგონების კარნახით, უნდა ეწერა, მაგრამ ამას წინ აღუდგა ადამიანის ბუნების მანკიერება, თანდათან ბევრი მწერალი მდიდარი მფარველის ნაცვლად მკითხველთა უსახელო მასას დაემონა. წიგნის მყიდველებს, რომელთა რაოდენობის ზუსტი აღრიცხვა არავის ძალუძს ამ ახალ მბრძანებელს ისეთივე პატივს მიაგებენ და ისევე ლიქნიან, როგორც ძველ ბატონს, ისევე ესწრაფვიან მისი წყალობის მოპოვებას და გაფაციცებული ცდილობენ მაშინვე შეიტყონ გუნების ცვალებადობა. მკითხველთა აღიარებამ შეცვალა წინანდელი დიდება, რომელიც ელიტის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული და ყოველ წუთს შეიძლებოდა განქარებულიყო. ამ უხვი შემოსავლის მომტანი აღიარების მოსაპოვებლად მწერლებმა ფეხი აუწყვეს მკითხველთა ფართო მასის გემოვნებას. ამან ბევრ მწერალს გაუტეხა სახელი და ბევრი ტალანტი დაღუპა. ამით შეგვიძლია ავხსნათ, რომ XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის პირველ ნახევარში, ასე ხშირად ისმოდა დრტვინვა და სამდურავი ლიტერატურის მერკანტილიზაციის გამო. ეს იმათი ხმები იყო, ვინც ყურადღებით ადევნებდა თვალს ახალ ვითარებას ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ავტორთან ერთად გამომცემელიც აყვავდა. ძველად იგი პატარა ფიგურა იყო — მხოლოდ გადამწერების უფროსად ითვლებოდა, შემდგომში თვითონ ბეჭდავდა წიგნებს და თვითონვე ასაღებდა. მას სხვისი შრომით მიღებული მოგების რაოდენობას არავინ უკონტროლებდა, ამიტომ, როცა წიგნის გამოცემის საქმეში ახალი წესები შემოიღეს, ძალზე შეშფოთდა. შეეცადა, როგორმე გვერდი აევლო ახალი კანონებისათვის და თაღლითობასაც არ დაერიდა. მაგრამ მალე მიხვდა, რომ კანონთან დამეგობრებით მეტ სარგებს მიიღებდა: კანონი ეხმარებოდა კონკურენტებთან ბრძოლაში, კრძალავდა

ყოველგვარ გადაბეჭდვას, გადაკეთებას და სხვაგვარ მაქინაციებს.

საგამომცემლო ფირმების მნიშვნელობა და ძალმოსილება განუზომლად გაიზარდა. ავტორები ღრმა პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალნენ მათ მიმართ და ბევრმა მათგანმა წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა: ახალგაზრდობაში ხელშეკრულება დასდო თავის პირველი წიგნის გამომცემელთან, რომ ყველა ნაწარმოებს მხოლოდ მასთან გამოაქვეყნებდა. მწერლისა და გამომცემლის ურთიერთობის ამგვარი ფორმა დღემდე გვხვდება ზოგიერთ სახელმწიფოში. პოლონეთში კი ამ ოციოდე წლის წინათ მიღებულმა ავტორის უფლებათა დაცვის ახალმა კანონმა საბოლოოდ მოუღო ბოლო ამგვარ ვითარებას.

ძალიან ხშირად მომხდარა, რომ წიგნის დიდ წარმატებას მხოლოდ გამომცემლისათვის მოუტანია შემოსავალი, რადგან ეს წიგნი გამოქვეყნებამდე იაფად შეუძენიათ „სრულ საკუთრებად", გამომცემლები ძველი დროის მეცენატების მსგავსად ჯამაგირს აძლევდნენ მწერლებს, რომლებიც ამის სანაცვლოდ ვალდებულებას კისრულობდნენ განსაზღვრული მოცულობის ლიტერატურული პროდუქცია ჩაებარებინათ. ასე რომ, ეს ჯამაგირი მათ დიდი წვალების ფასად უჯდებოდათ, თუმცა ისიც ხდებოდა, რომ გამომცემელი რომელიმე ნაკლებად პოპულარულ, უსახელო მწერალზე ჩავიდოდა ფსონს და წლების განმავლობაში არჩენდა იმედით, იქნებ მომავალში წარმატება მოიპოვოსო. წიგნის გამოცემის ისტორიას, რომელშიც აღნუსხულია მწერლების გაჭირვებაც და დალხინებაც, ათასი ამგვარი შემთხვევა ახსოვს. მწერლებისა და გამომცემლების ურთიერთობას მუდამ თან ახლდა უნდობლობა, ეჭვიანობა, სიძულვილი და აგრეთვე ნდობა, სიმპათია და მეგობრობა.

ბალზაკი ფულის გიჟი იყო. ამით იგი ნამდვილად თავისი ერის შვილი გახლდათ (ყოველი ფრანგი ხომ მეტ-ნაკლებად ჰარპაგონს ჰგავს), თანაც იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც ოქროს კერპს ეთაყვანებოდა და ყოველნაირად ცდილობდა გამდიდრებულიყო. ამიტომ იყო, რომ თავის წიგნებში უზარმაზარ თანხებს ატრიალებდა და ყოველი პერსონაჟის ჯიბეში ითვლიდა. ცხოვრებაში კი თავბრუდამხვევი ფინანსური პროექტებით იყო გატაცებული და გამდიდრებაზე ოცნებობდა, მაგრამ როდესაც ერთ-ერთი მათგანის განხორციელება მოინდომა, ყელამდე ჩაეფლო ვალებში. მხოლოდ მაშინ დარწმუნდა მწერალი, რომ მისი ერთადერთი ოქროს საბადო საკუთარი შემოქმედება იყო, დარწმუნდა, მაგრამ უკვე გვიან იყო — ვალებიდან ვეღარ ამოვიდა, თუმცა მთელი დარჩენილი სიცოცხლე კრედიტორების გასასტუმრებლად იმუშავა, რომლებიც უმოწყალოდ, ქანცის გაწყვეტამდე აჩქარებდნენ. ბალზაკი ღრმა მოხუცებულობამდე იცხოვრებდა, მაგრამ აუტანელმა ჯაფამ უკვე ორმოცდაათი წლის ასაკში მთლიანად გამოფიტა. ამ [illegible] ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალები [illegible] უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ ბალზაკი გახლდათ ავტორის უფლებების ყველაზე მხურვალე დამცველი. ის წერილში „XIX საუკუნის ფრანგი მწერლები", რომელიც „პარიზული მიმომხილვის" 1834 წლის ნოემბერში დაიბეჭდა, ბალზაკს არამარტო [illegible] გამოაქვს ყველა მანკიერება კანონებისა, რომლებიც მწერლის უფლებების დასაცავად იყო გამოსული, არამედ გამოთქვამს აზრს, რომ აუცილებელია ლიტერატორთა საზოგადოების ჩამოყალიბება. ამ საზოგადოების ერთ-ერთი პირველი თავმჯდომარე თავად ბალზაკი გახლდათ, რომელმაც თანამედროვე და მომავალი თაობის მწერლებზე იზრუნა, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერი უშველა.

ფულის მეორე მსხვერპლი უოლტერ სკოტი იყო. ადრე მოხვეჭილმა დიდებამ უამრავი შემოსავალი მოუტანა და იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაემტკიცებინა თავისი ფინანსური დამოუკიდებლობა, კომპანიონად შევიდა იმ საგამომცემლო ფირმაში, რომელიც მის წიგნებს აქვეყნებდა. 1826 წელს ფირმა გაკოტრდა და უოლტერ სკოტს 117 ათასი გირვანქა სტერლინგი ვალი დაეკისრა. ამაყმა და პუნქტუალურმა მწერალმა უარი თქვა სამეფო ბანკის მიერ შეთავაზებულ დახმარებაზე და რამდენიმე ათასი გირვანქა სტერლინგზე, რომელიც ისე შემოსწირეს მკითხველებმა, რომ თავიანთი გვარიც არ დაუსახელებიათ. ამიერიდან იგი გულისწასვლამდე მუშაობდა და შედიშედ წერდა ერთიმეორეზე უარეს რომანებს. ასეთ ჯაფას დიდხანს ვეღარ გაუძლო — ხუთ წელიწადში მთლად დაძაბუნდა, გამოიფიტა და გარდაიცვალა.

ფული ცუდი მრჩეველია: როდესაც შემოქმედებით მუშაობაში შეიპარება, თან თავის დამანგრეველ დინამიზმს შეიყოლიებს და ცდილობს ეს მწერალი კონვეიერულ სისტემაზე გადაიყვანოს, სიძნელეებისათვის გვერდი აავლებინოს, აიძულოს, თავი აარიდოს სილამაზის სამსახურს და იოლსა და გატკეპნილ გზას დაადგეს. მწერალს ყველაფერზე უფრო [illegible] და მოულოდნელი დიდება ვნებს. იგი ხვდება, თუ რა მოსწონს მის ნაწარმოებში მკითხველს, ბრმავდება დიდების ნექტარით, ტკბება ახალშეძენილი სიმდიდრით, რომელიც, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო იზრდება და იმის შიშით, ეს ბედნიერება ხელიდან არ გამომეცალოსო, ხელს

ილებს ძველ მიზეზებსა და განზრახვებზე. არადა, თავისი მიზნისაკენ მიმავალ გზას რომ დასდგომოდა, მხოლოდ იმ ხმისათვის დაეგდო ყური, ნამდვილი ხელოვნების საიდუმლოებათა გაცნობას რომ უქადდა, სულ სხვანაირი შემოქმედი დადგებოდა. როგორც ბევრ სხვა სფეროში, ლიტერატურაშიც უფრო ხშირად მარცხის კი არა წარმატების დროს მჟღავნდებოდა პიროვნების ხასიათის სიძლიერე.

ზოგი მწერალი, მაგალითად პეგი, გადაჭრით გმობს მატერიალურ კეთილდღეობას. პეგი მუშის ოჯახში გაიზარდა, სიღატაკესა და გაჭირვებაში, და სწორედ ამას უმადლოდა თავის ნაყოფიერებას, ენერგიასა და შეუპოვრობას. მისი აზრით, გაჭირვება მოდუნების, გაზარმაცებისა და თვლემის უფლებას არ აძლევს შემოქმედს, უწრთობს ხასიათს, აიძულებს, რომ მუდამ დაიცვას თავისი ადამიანური ღირსება და არავის გაეგოს ფეხქვეშ.

ამ თვალსაზრისს ყველა მწერალი არ ეთანხმება, მაგრამ ყოველი მათგანი, სხვა შემოქმედთა — ფილოსოფოსთა, მეცნიერთა, მხატვართა მსგავსად მზად არის საყვარელი საქმიანობის გულისთვის ისეთი გაჭირვება აიტანოს მთელი ცხოვრების განმავლობაში, რასაც სხვა პროფესიის ადამიანი ერთ დღესაც ვერ გაუძლებდა. ასეთი გმირობის მიზეზი ის გახლავთ, რომ მხოლოდ შემოქმედს აქვს ის მძლავრი სტიმული, რომელიც აიძულებს მას არარად ჩააგდოს სიძნელეები და სიღარიბე და ბოლომდე თავისი მიზნის ერთგული დარჩეს. ვილიე დე ლილ-ადანისა და ნორვიდის გმირობა და თავგანწირვა წმინდანთა და წამებულთა ცხოვრებას გვაგონებს, მაგრამ რამდენიც არ უნდა აქონ და ადიდონ სიღარიბე, რამდენი მაგალითიც არ უნდა მოგვიტანონ გენიოსი მარტოსულების გმირულ შერკინებაზე სიღატაკესა და გაჭირვებასთან, მაინც არა მგონია, რომ შიმშილით სიკვდილის პირას მისვლა საუკეთესო საშუალება იყოს შემოქმედის ტალანტის განვითარებისად. როგორც წესი, გაჭირვება ღუპავს ტალანტს, ამცირებს და სასოწარკვეთილებაში აგდებს მწერალს და ამის დამადასტურებელი ფაქტები ათასობით დაიძებნება.

ამგვარი კატასტროფის მიზეზი სხვადასხვაგვარია: ავადმყოფობა ან ტრამვა, დაუძლეველი მიდრეკილება რაიმე დამღუპველი მანკიერებისადმი, სისუსტე... ამ მიზეზებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შემოსავლისათვის მუშაობის სიძულვილს, სიამაყეს, რომელიც აიძულებს შემოქმედს არავითარ კომპრომისზე არ წავიდეს საზოგადოების წინაშე: მას ძველი გზით ურჩევნია სიარული — სურს მხოლოდ თავისი შემოქმედებით მოიპოვოს ლუკმა-პურის საფასური. მეორე პროფესიის შეძენა ყველას ეზარება. თუ დიდი გაჭირვება არ დაადგა, არავინ მოწყდება საყვარელ საქმიანობას და ძვირფას დროს არ შესწირავს უინტერესო, ანდა სულაც საძულველ ხელობას, რასაკვირველია. შეიძლება ადამიანი მიეჩვიოს ამ ახალ საქმეს. სამუშაოს გონივრული დაგეგმვით ცოტაოდენი დროც კი დარჩეს შემოქმედებისათვის, შეიძლება ერთგვარ სულიერ წონასწორობასაც მიაღწიოს, მაგრამ ყოველთვის იქნება სინანულის გრძნობა, რადგან ხშირად მოუხდება კალმის გვერდზე გადადება და ფანტაზიის დათრგუნვა. მან ხომ იცის, რომ ამგვარი მომენტი აღარასოდეს განმეორდება, იგი სამუდამოდ დაკარგულია.

არავითარი აზრი არა აქვს ბედის მიერ მწერლისათვის შერჩეული პროფესიების შეფასებას, ვერ ვიტყვით, რომელია კარგი და რომელი ცუდი. მწერალს ვერ ვურჩევთ, კანცელარიაში, სკოლაში ან გაზეთში მუშაობას ექიმობა, მეზღვაურობა ან დიპლომატობა გიჯობსთ. ერთი რამ კი აშკარაა: ვინც იძულებულია, თავისი შემოქმედებითი მიზნები და იმედები ცხოვრების სახსრის მოპოვებას შესწიროს, ვისაც თავის საყვარელ საქმეს მხოლოდ კვირა დღეს, ან დაძაბული სამუშაოს დღის დამთავრების შემდეგ შეუძლია მოჰკიდოს ხელი, ვისაც ყოველდღიური ჯაფა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მის სულიერ სამყაროსთან, ტვინს უნაგვიანებს, ბედნიერი ვერ იქნება, რადგან წლის ბოლოს, როცა ყველაფერს შეაჯამებს, თავზარი დაეცემა. მას ხომ ათასობით საათი აქვს დაკარგული ამ ერთ წელიწადში. თვითონ, როგორც პიროვნება ცხოვრების მსხვერპლად იქცევა, საზოგადოება კი მისგან ვერ იღებს იმ სარგებლობას, რომლის მიცემაც შეეძლო, მთლიანად რომ მოეხმარებინა მთელი ნიჭი და ენერგია თავისი მოწოდებისათვის.

არადა, მწერლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სულ იოლად შეიძლება! შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს ოსკარ უაილდის უზარმაზარმა ჰონორარებმა, მოპასანის იახტებმა, მეტერლინკის, დ'ანუნციოსა და იბანიესის ციხე-კოშკებმა და სასახლეებმა. ეს იშვიათი შემთხვევებია — სნობი მოულოდნელად მდიდრდება და შესაძლებლობა ეძლევა ყოველგვარი სურვილი დაიკმაყოფილოს, ამასთანავე, მეტწილად ისე ხდება, რომ მისი შემოქმედებითი პოტენციალი კნინდება, ან სულაც ქრება. ერთმა მკვლევარმა იკისრა განესაზღვრა მწერლის მოთხოვნილებათა საშუალო დონე: მას აკმაყოფილებს კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინა დიდ ქალაქში, ვილა ან პატარა სოფლური სახლი ქალაქგარეთ, მამული სულ არ უნდა.

ღმერთმა დაიფაროს! მამულის ფაროშობის თავი არა აქვს. ფულიც ზუსტად იმდენი სჭირდება, რომ წესიერად იცხოვროს; წიგნები შეიძინოს, თავისი კოლექცია შეავსოს (ყველა მწერალი რაღაცას აგროვებს), და ბოლოს, იმოგზაუროს. ეს მოკრძალებული იდეალი ყველა ტიპის მწერალს დააკმაყოფილებს. მეტს არავინ მოინდომებს, თუნდაც წარმომავლობის წყალობით ან ბედის ახირებით აურაცხელი სიმდიდრის პატრონი იყოს.

პროფესიონალ მწერლად, საზოგადოდ, ის ლიტერატორი ითვლება, რომელიც თავისი კალმით ცხოვრობს. მაგრამ ეს განსაზღვრება შეიძლება გავავრცელოთ ყველა იმ მწერალზე, რომელსაც ერთადერთ თუ არა, მთავარ მიზნად აქვს დასახული შემოქმედება. ფლობერი თავის ნაწარმოებების შემოსავლით არ ცხოვრობდა, კი არა, ზოგჯერ ფულსაც ხარჯავდა, რომ გამოეცა. მაგალითად, „მადამ ბოვარიმ" გამომცემელს დიდი მოგება მოუტანა, ავტორს კი სასამართლო ხარჯების დაფარვა მოუხდა. ფლობერს საკუთარი კაპიტალი ჰქონდა და, სიბერეში, როცა გაუთავდა, იძულებული გახდა, სამსახური დაეწყო. წიგნებმა სახელი გაუთქვა, მაგრამ შემოსავალი არ მიუცია. იგი საკუთარი უნიათობისა და გამომცემელთა ყაჩაღობის მსხვერპლი გახდა. მიუხედავად ამისა, ფლობერზე მეტად არავინ იმსახურებს პროფესიონალი მწერლის სახელს, იგი მხოლოდ შემოქმედებით შრომას ეწეოდა და სხვა საქმიანობას უმცირესი ყურადღების ღირსადაც არ თვლიდა. მსგავსი შემოქმედნი მრავლად იყვნენ სხვადასხვა ეპოქაში. გამონაკლისია ანტიკური პერიოდი, როდესაც განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობდა პოლიტიკური ცხოვრება. თავიანთი საქმიანობის სიყვარულით მწერლები ფილოსოფოსებს, მეცნიერებს, მხატვრებსა და გამომგონებლებს ჰგვანან. იმათსავით მთელი არსებით არიან გატაცებულნი რაიმე იდეით და მზად არიან მისი გულისათვის უარი თქვან ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე.

ეს მოვლენა ჯერ კიდევ ძველი ბერძნების განსჯის საგანი იყო. ისინი ორი სახის ცხოვრებას ანსხვავებენ — თეორიულსა და პრაქტიკულს. რომაელმა მორალისტებმა ეს ცნებები შემდეგნაირად გადათარგმნეს: — მჭვრეტელობითი ცხოვრება და — აქტიური ცხოვრება. მიქელანჯელომ პაპ იულიუს II აკლდამაზე ეს ორი აბსტრაქცია რაჰილისა და ლეას მომხიბვლელი სახეებით გამოხატა. ძეგლზე მათ ზავი აქვთ დადებული, მაგრამ ცხოვრებაში მრავალი საუკუნის განმავლობაში სასტიკად ეშუღლებოდნენ ერთმანეთს. თუ მჭვრეტელობითი ცხოვრების მიმდევრები მონასტრებს და სავანეებს აგებდნენ და უდაბნოში მიდიოდნენ განდეგილებად, აქტიური ცხოვრების მომხრეები ბობოქარი ცხოვრების ფერხულში იყვნენ ჩაბმულნი და წამიც არ რჩებოდათ ფიქრისა და შემოქმედებისათვის. მჭვრეტელობითი ცხოვრების მრავალ სიმბოლოთაგან ერთ-ერთი სპილოს ძვლის კოშკია, რომელსაც მარადაც ღრიანცელით ეკრიბება „აქტიური ხალხი", რათა მუშტები მოუქნიონ კოშკში განმარტოებულ მეოცნებეებს და საყვედურებით აავსონ ისინი, მაგრამ ამ უკანასკნელთ არასოდეს დაკლებიათ დამცველები და მხარდამჭერები — მათ ხან იდეალების ერთგულებს უწოდებდნენ, ხან აზრისა და ხელოვნების სიწმინდის სადარაჯოზე მდგომთ. ჩვენს დროში, როცა ყველაფერი უტილიტარული კატეგორიებით ფასდება, ლეონ ხვისტეკმა, სრულიად რეალისტური შეხედულებების ადამიანმა, თავის წიგნში „სულიერი ცხოვრების პრობლემები პოლონეთში" შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „იმისათვის, რომ სრული სარგებლობა მივიღოთ ცხოვრებისაგან, ხალხის გარკვეული ნაწილი განზე უნდა გაუდგეს აქტიურ ცხოვრებას და ოცნებათა და აბსტრაქციათა სამყაროში დაიდოს ბინა; რადგან ნამდვილი ცხოვრებისათვის აუცილებელია მეოცნებენი და მოაზროვნენი".

ის, ვინც ფილოსოფიის, მეცნიერების, ხელოვნებისა და ტექნიკის ისტორიას იცნობს, უდავო ჭეშმარიტებად მიიჩნევს ამ დებულებას.

„განზე უნდა გაუდგეთ აქტიურ ცხოვრებას", — ამტკიცებს ლეონ ხვისტეკი, რადგან ასეთი ცხოვრება გულისხმობს ოჯახურსა და საზოგადოებრივ მოვალეობას, შრომის დახარჯვას სხვისი კეთილდღეობისათვის, ამას კი უამრავი დრო, სიმშვიდე და ძალები ეწირება მსხვერპლად. ფლობერის ტიპის მწერლები ყოველთვის გაურბოდნენ სამოქალაქო მოვალეობათა ტვირთებს — თავს არიდებდნენ სამხედრო სამსახურს, არ ებმებოდნენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, არ ცდილობდნენ თანამდებობის მოპოვებას და მოწიფულობის კარიბჭეს რომ მიადგებოდნენ, დილემის წინაშე აღმოჩნდებოდნენ: დაოჯახება ჯობს თუ მარტოხელობა?

არ ვიცი, რითი დაგვეხმარება სტატისტიკა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეს დილემა დღესაც გადაუწყვეტელია და მწერლები დღესაც ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი. მარტოხელთა რიგებს მეტწილად სასულიერო წოდების წარმომადგენლები ავსებდნენ, განსაკუთრებით იმ დროს, როცა მწერლობა ამ წოდების პრივილეგია იყო. იმას, ვინც ფიქრობს, რომ მწერალმა ოჯახით არ უნდა შეიბოჭოს თავი, მოწინააღმდეგენი გამოჩენილი მწერლების ცხოვრებიდან მოტანილ ფაქტებს აჩვენებენ და ეუბნებიან,

ამ მწერლებისათვის ოჯახს ხელი არ შეუშლია. მაგრამ ქორწინების მოწინააღმდეგენი არ ნებდებიან: ოვიდიუსს უცოლო ვერგილიუსსა და ჰორაციუსს უპირისპირებენ და ნიშნის მოგებით უხსენებენ ტერენციას, რომელმაც მხოლოდ იმიტომ ვერ მოახერხა ციცერონის გაღატაკება, რომ ის უკანასკნელი ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ ყოველთვის უსინდისოდ ყვლეფდა ქმარს და ბოლოს იძულებული გახდა ოჯახი დაენგრია. ისინი მუქი ფერებით დაგვიხატავენ მიცკევიჩის წვალებათა და გაჭირვებებით აღვსილ ოჯახური ცხოვრების სურათს და იმასაც დასძენენ, რომ ამ პერიოდში პოეტს აღარაფერი შეუქმნია. მიუთითებენ ცოლიანი პოეტების მალთუსიანობაზე და დაგვიწყებენ მტკიცებას, რომ აუცილებლად ისეთი მდიდარ გრაფად უნდა დაიბადო, როგორიც ტოლსტოი იყო, რომ უამრავი შვილიც იყოლიო და ბევრი ნაწარმოებიც შექმნა. ბოლოს პირობით კილოს მოიშველიებენ და იტყვიან, ოჯახის ყველა მამა და მარჩენალი უფრო მეტს გააკეთებდა უცხო კაცის თავისუფალი ცხოვრება რომ ჰქონოდაო.

ქორწინების მოწინააღმდეგეთ შეიძლება შევახსენოთ, თუ რამდენი ნიჭიერი ადამიანი დაღუპა გარყვნილებამ, ცხოვრების მოუწესრიგებელმა პირობებმა, მაწანწალობამ და ჩამოვუთვალოთ იმ შემოქმედთა სახელები, რომელთაც პატრიარქალური ოჯახი ჰქონდათ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, სრული სულიერი ჰარმონიისათვის მიეღწიათ. ოჯახური ცხოვრება დიდი ეთიკური ღირებულებების მქონეა და ხელს უწყობს მწერლის ხასიათის ჩამოყალიბებას. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგ მწერალს კარგად აქვს გათვითცნობიერებული თავისი მოწოდების სიძნელე: თუ აპირებს თავის ერთადერთ პროფესიად სიტყვის სამსახური გაიხადოს, ძალზე უხალისოდ დგამს იმ ნაბიჯს, რომელიც უამრავ მოვალეობას აკისრებს და ძალზე უზღუდავს თავისუფლებას.

დღეს ამ თემაზე ისე ცხარედ აღარ კამათობენ, როგორც ჰუმანიზმის აყვავების პერიოდში. ბოკაჩო დანტეს ბიოგრაფიაში პოეტს მწარედ საყვედურობს დაოჯახებას, კიცხავს, რომ ბერძნული და მარად ახალგაზრდა ფილოსოფიის კაბას ქალზე გაცვლიდა, რომელსაც ბუნების კანონით დაბერება არ ასცდება. თვითონ ბოკაჩოს არ ჩაუდენია ასეთი შეცდომა. მან პეტრარკას, ამ უკანასკნელმა კი ძველ ფილოსოფოსებს, უფრო ხშირად ბერებს მიბაძა. პეტრარკა ყოველთვის ქება-დიდებას ასხამდა განმარტოებულ ყოფას. ამავე შეხედულებისა იყო ფლობერი, რომელიც ამბობდა, ბერების ცხოვრებისა მშურსო (საერთოდ, ამ ორი მწერლის გემოვნება ბევრ საკითხში ერთმანეთს ემთხვეოდა).

ფლობერმა კრუასეში რაღაც სავანის მსგავსი საცხოვრებელი მოაწყო, რომელშიც მეგობრებსაც კი იშვიათად უშვებდა. მან საყვარელსაც აუკრძალა მოსვლა და ერთხელ, როცა იგი მოულოდნელად ესტუმრა, გარეთ გააგდო.

პეტრარკა წერილში მთავარეპისკოპოსს თავს იქებს: ორმოცი წელს რომ გადავცდი, ქალებს აღარ ვეკარებოდი, თუმცა საამისო სურვილიც მქონდა და შეძლებაცო. ფლობერი მწერლებს მოუწოდებდა, თავი შეეკავებინათ სქესობრივი ურთიერთობისაგან. მწერლის ამგვარი მოწოდება ძალზე აბრაზებდა ჟორჟ სანდს. დიუმა-შვილი გვამცნობს თვალსაზრისს, რომელიც ბალზაკს გამოუთქვამს ამ საკითხზე მასთან პალე როიალის თაღებქვეშ სეირნობის დროს, „ადამიანური კომედიის" შემქმნელს უთქვამს: „მე გამოვითვალე, რა ჯდება ერთი ღამის სიყვარული: კარგად მოისმინე, ჭაბუკო — ზუსტად ნახევარი ტომი! ქვეყნად კი არ არსებობს ქალი, რომელიც წელიწადში თუნდაც ორი ტომი ღირდეს". ამ დროს ბალზაკი 33 წლისა იყო.

ეს პრობლემა დღესაც მწვავედ დგას, ერთი მწერალი, გვარს არ დავასახელებ, თვლიდა, რომ ლიტერატორებმა მამაკაცური ძალის დახარჯვის ნაცვლად იმ მეთოდს უნდა მიმართონ, რომელსაც „ინფიბულაცია" ეწოდება. მას ძველი სამყაროს ათლეტები იყენებდნენ და მისი არსი თვალნათლივ არის გამოხატული რომის დელე ტერმეს მუზეუმში დაცულ ცნობილ ბრინჯაოს ქანდაკებაში, რომელსაც „მოკრივე" ეწოდება.

ამ წიგნის ფურცლებზე ცოტა არ იყოს, მეუხერხულება „ინფიბულაციის" დეტალური აღწერა.

მწერლის ინტელექტუალურ ცხოვრებაში განხეთქილების შეტანის მიზეზად ყოველთვის ქალს მიიჩნევდნენ. იმ შეურაცხმყოფელი გამოთქმებისაგან, რომელთაც ფილოსოფოსები, მეცნიერები, მწერლები და მხატვრები „ამკობდნენ" ქალებს, მთელი ანთოლოგია შეიძლებოდა შექმნილიყო და წინათ მართლაც არსებობდა ასეთი ანთოლოგიები. მაგრამ რა ძალა აქვს ამ მცირერიცხოვან სალანძღავ და დამცინავ გამოთქმებს, ამ თავისებურ ნეგატიური ფორმით გამოთქმულ ქებას იმ უსასრულო ხოტბა-დიდების სიმდიდრესთან შედარებით, რომლებსაც ყოველი ლიტერატურული თაობა და თითქმის ყოველი მწერალი სულ ახალ-ახალ სტრიქონებს უმატებს? ლიტერატურის ძირითად თემაზე — სიყვარულზე და სიყვარულის აუცილებელ თანამგზავრებზე — ტანჯვა-ვნებაზე, ეჭვებსა და იმედების გაცრუებაზე, ვრცლად და დაწვრილებით არის საუბარი მონოგრაფიებში, გამოკვლევებში და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში. ევროპის ოცსაუკუნოვანი ლიტერატურიდან ყოველივე ის რომ ამოვიღოთ, რაც იღბლიან თუ უიღბლო

სიყვარულზეა დაწერილი, თითქმის აღარაფერი შეგვრჩება ხელში, ასობით შედევრის გარდა უნდა გადავეწერა ათასობით ნაწარმოები, რომლებიც ბრწყინვალე მხატვრული ღირსებებით არ გამოირჩევიან, მაგრამ საკმაო სიამოვნებას ანიჭებდნენ თავიანთი ეპოქის მკითხველებს. საბედნიეროდ, ამის გაკეთება ახლა უკვე შეუძლებელია. დაე, მომავალი ეპოქების მწერლებიც ნუღარ დაემონებიან სიყვარულს, ან ნუღარ ილაპარაკებენ თავიანთ სიყვარულზე, მაგრამ გარდასულ ჟამთა ლიტერატურას ვეღარავინ შეცვლის. ამ ლიტერატურის ერთადერთი მბრძანებელი კი ქალია — ცდუნებისა და სიხარულის წყარო, დაღუპვისა და განადგურების მიზეზი, შთაგონებისა და აღმაფრენის მომნიჭებელი.

ამ ბრწყინვალე სატრფოთა გვერდით, რომელთაც მწერალი, ხანამ პირში სული ედგა, აღმერთებდა და, მუდმივ ქვეყანაში დამკვიდრების შემდეგაც, თავისი უკვდავების მოზიარედ ხდიდა, არსებობდა ქალის ტიპი, რომელიც დავიწყებისათვის იყო განწირული. მათ მწერლის ბიოგრაფიები დუმილით უვლიან გვერდს, ან სადმე სქოლიოში მოიხსენიებენ. ყველაზე მკაცრ განაჩენს კი იმ ქალებს გამოუტანენ ხოლმე, რომელთაც, ბიოგრაფების აზრით, ვერაფერი მისცეს თავიანთ დიად მეუღლეებს, რადგან მათი დონისანი არ იყვნენ. რამდენი უსამართლო ბრალდება წამოუყენებიათ საწყალი ტერეზასათვის — ჟან-ჟაკ რუსოს მეუღლისათვის და კიდევ რამდენს წამოუყენებენ. ტერეზას ბედს იზიარებს ჯამბატისტა ვიკოს მეუღლეც, რომელმაც ქორწინების კონტრაქტზე ხელის მოწერა ვერ შეძლო! სულიერ სიღარიბეს უკიჟინებენ ქრისტინა ვულფიუსსაც. მაგრამ იგი არც ისეთი უჭკუო იყო, როგორც ვაიმარელები ჭორაობდნენ. ხანამ მსჯავრს დავდებდეთ, გოეთეს მიერ იმ პერიოდში დაწერილი ბალადები, ეპიგრამები, ელეგიები და სხვა ნაწარმოებები უნდა წავიკითხოთ, რათა ვიგრძნოთ რა სითბო და ბედნიერება მოუტანა ამ ქალმა მწერალს. სიკეთე, მზრუნველობა და ერთგულება, იგი უდავოდ ფასობს, რომ ადამიანი, რომელიც გულით ქარიშხალს ატარებს და მყუდრო საყუდელის ნატრულია, ხშირად ირჩევს მეგობრად თვინიერსა და ინტელექტუალურად თავისაზე უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ არსებას! ასეთი მეგობარი ჩვეულებრივ მორჩილია და სატრფო ღმერთად მიაჩნია. ამგვარი ეგოისტური არჩევანი შეიძლება გაუცნობიერებლადაც მოახდინოს ადამიანმა, მაგრამ მეტწილად კარგად მოფიქრებული და აწონ-დაწონილია. ვისაც დიდი ადამიანების ცხოვრების აღწერილობა წაუკითხავს, ეს არ გაუკვირდება. მათში იშვიათად გამოერევიან ალტრუისტები: დიდად არც ცოლებს ემადლიერებიან. ქსანთიპა სინამდვილეში არც არსებობდა, მაგრამ იგი ცოლის სიმბოლოდ იქცა და მრავალი საუკუნის წინ გაუტეხა ცოლებს სახელი. ცოლები თავის დაცვას ვერ ახერხებდნენ და, კიდეც რომ შეძლებოდათ, ვერ გაბედავდნენ. მათ მხოლოდ ჩვენს საუკუნეში ამოიღეს ხმა და რა კარგი იქნებოდა, რომ ზოგიერთი მათგანი კვლავ ჩუმად ყოფილიყო, მაგალითად, გამოჩენილი მწერლის მეუღლე ჯესი კონრადი, რომელმაც მოგონებათა სქელ ტომში აღწერა თავისი ოჯახური ცხოვრება. თავს დიდი ძალა უნდა დაატანო, რომ ბოლომდე წაიკითხო ამ საშუალო ნიჭის დედაკაცის ნაყბედი. რასაც ქვრივები ახლობელთა წრეში ლაპარაკობენ, ჯესი კონრადმა მკითხველთა მრავალათასიან მასას მოახსენა. მან დაამცირა თავისი განსვენებული მეუღლე, დაგვიხატა კარიკატურული პორტრეტი ნერვიული, გაწბილებული, ეგოისტი, მუდამ რამე სენით შეპყრობილი მწერლისა. დიდი პიროვნება ჩრდილში მოექცა, წინა პლანზე კი ის ფინჯნები მოჩანს, რომლებიც ხელმარცხიანმა ადამიანმა დაამტვრია, ან ბალიშები, რომლებიც თავისი გაუფრთხილებლობის გამო პაპიროსით ჰკოდა, კონრადის შინაგან სამყაროზე, მის საქმიანობაზე კი, ან არაფერს მოგვითხრობს, ან ისეთ უმნიშვნელო წვრილმანებს გვამცნობს. ბედნიერებაა, მეუღლე ახლოს არ აკარებდა თავის სამუშაოსთან. ხანამ [illegible], მწერალი ხშირად აძლევდა გადასათეთრებლად ხელნაწერებს და თავის შემოქმედებით ჩანაფიქრებსაც უზიარებდა. ჯესი სანიმუშო, ბრწყინვალე დიასახლისი იყო. შესანიშნავი მზარეული და კულინარიის სახელმძღვანელოს ავტორი (კონრადი, თითქმის ყველა მწერლის მსგავსად, გემრიელი კერძების ტრფიალი იყო). იგი იდეალური მეუღლე იქნებოდა, უამრავი ოპერაცია რომ არ გადაეტანა. მეტწილად კლინიკებში იწვა და, როცა შინ ბრუნდებოდა, მოსამსახურე უვლიდა. კონრადმა მასთან ოცდაათი წელი იცხოვრა და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ უკეთესი მეგობრის შოვნა შეეძლო. „კონრადს შვილივით მივჩნდი, — წერს ჯესი, — პატარა ბავშვივით სჭირდებოდა მოვლა და ბელის შეწყობა. ამასთან, როცა ვფიქრობდი, როგორ იქმნებოდა მისი შესანიშნავი ნაწარმოებები, ძალიან მეამაყებოდა, რომ ჩემი ქმარი იყო. მე აღტაცებაში მოვყავდი მისი მუშაობის უზარმაზარ მასშტაბებს". რა თქმა უნდა, ეს მართლაც ასე იყო და, მეუღლის საქმიანობის ამგვარი დახასიათების წყალობით, ჯესი კონრადის ნაკლოვანებებს ისე მკაცრი თვალით აღარ ვუყურებთ.

სხვაგვარი ტონით არის დაწერილი „ალფონს დოდეს ცოლის მოგონებები" — თავშეკავებით და მოკრძალებით. ეს მოგონებები სინაზით არის

განსხვავებული. ავტორს წერის ნიჭი ჰქონდა, ოღონდ საშუალო, საერთოდ, თითქმის არასოდეს გვხვდება ერთნაირი ტალანტის მქონე ცოლ-ქმარი. ხრუშინსკის მეუღლე გამონაკლისად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, მართლაც ქმრის ტოლი რომ ყოფილიყო ნიჭით. ორი ერთნაირად ძლიერი პიროვნება, რომლებიც ხელოვნების ერთსა და იმავე დარგში მუშაობს, ერთად ვერ იცხოვრებს. თუ სულით ენათესავებიან ერთმანეთს, შეიძლება თანაავტორობაზე შეთანხმდნენ (ეს ძმები გონკურების ახლებური ვარიანტი იქნება). ხოლო თუ სხვადასხვა ბუნებისანი იქნებიან, მალე გაიყრებიან და შეიძლება თვალის დასანახავად შესძულდეთ ერთიმეორე. ფლობერი ღრმა სიმპატიით იყო განწყობილი ჟორჟ სანდის მიმართ, მაგრამ საშინელი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა, ცოლად რომ შეერთო. ჟორჟ სანდს მიუსეთთან, მართალია, მოკლე ხნით, მაგრამ მაინც გამოუვიდა ოჯახური ცხოვრება, რადგან მათი შემოქმედების გზები ერთმანეთს არ კვეთდა: ცოლი აღტაცებული იყო ქმრის ლექსებით, ქმარი — ცოლის მელოდიური პროზით და ორივეს ეგონა, რომ ჰარმონიულად ავსებდნენ ერთიმეორეს. შემდგომში კი, როცა განქორწინდნენ, მასხარად იგდებდნენ ერთმანეთს. სამაგიეროდ ფლობერი რამდენიმე წლის განმავლობაში ბედნიერად თვლიდა თავს გრაფომან ლუიზა კოლეს გვერდით. დროდადრო წერას ასწავლიდა და დაახლოებით ისე გამოდიოდა, არწივს რომ ქათმისათვის ესწავლებინა ცაში ნავარდი.

ხანდახან ისეც ხდება, რომ მწერლის ცხოვრებაში ჩნდება ქალი, რომელიც თითქოს გამოაქმნის მას, უღვიძებს მთვლემარე ნიჭს. საყოველთაოდ ცნობილია ანატოლ ფრანსისა და მადამ დე კაიავეს ხანგრძლივი მეგობრობა. ამ ქალმა მაშინ გაიცნო ანატოლ ფრანსი, როცა იგი გაუბედავი, დამწყები მწერალი იყო და ლიტერატურული მიბაძვებით ირჩენდა თავს. მადამ დე კაიავემ ასწავლა ანატოლ ფრანსს როგორ უნდა ემუშავა, დაარწმუნა, ხელი მოეკიდა დრეიფუსის საქმისათვის. აქცია გამოჩენილ მწერლად, მაგრამ ამ ქალს მბრძანებლობა სურდა, თანაც კარგად იცოდა, თუ რა წვლილი მიუძღოდა ანატოლ ფრანსის მწერლად ჩამოყალიბების საქმეში და ბოლოს და ბოლოს აუტანელი გახდა. ამიტომ მწერალი იძულებული შეიქნა დაშორებოდა მადამ დე კაიავეს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და შეუძლებელია არ შევიცოდოთ ის ქალები, რომლებმაც საკუთარი თავი თავიანთი სატრფოს სახელისა და დიდების სამსხვერპლოზე მიიტანეს და მისგან ჯილდოდ მხოლოდ განშორება მიიღეს.

ჟორჟეტ ლებლანი თავის „მოგონებებში“ გვიხატავს ამგვარი სიყვარულის ფრიად პათეტიკურ სურათს. იგი მრავალი წლის მანძილზე ბატონობდა მეტერლინკის სახლში, იცოდა მწერლის ყოველი ჩანაფიქრი, თავდადებულად უფრთხილდებოდა შემოქმედებისათვის განკუთვნილ ყოველ წამს და [illegible] ხმაურს, რომელსაც შეეძლო — [illegible] მწერლის ფიქრთა მდინარება. მეტერლინკმა ასეთი წარწერით მიუძღვნა მას თავისი წიგნი „სიბრძნე და ბედი“: „მადამ ჟორჟეტ ლებლანს: თქვენ გიძღვნით ამ წიგნს, რომელიც მნიშვნელოვან წილად თქვენი შემოქმედების ნაყოფია. არსებობს თანამშრომლობა უფრო ამაღლებული და უფრო რეალური, ვიდრე ორი კალმის თანამშრომლობა, სხვადასხვა აზრისა და მაგალითის თანამშრომლობა. მე არ გამიჭირდება იმის გარკვევა, თუ როგორ მემოქმედა, რომ სიბრძნის იდეალს არ დავშორებოდი, არ მიძებნია საკუთარ გულში დამადასტურებელი სახეები ამ ლამაზი ოცნებისა, რომელიც ყოველთვის ცოტათი ბუნდოვანია; საკმარისი იყო, თქვენთვის მომესმინა, საკმარისი იყო, ყურადღებით დაგკვირვებოდით და მაშინვე ვხედავდი მოძრაობას, ჟესტებსა და ქცევებს, რომლებიც სიბრძნის განსახიერება იყო“. მადამ ლებლანმა, ალბათ, დიდი შრომა დახარჯა, რომ მეტერლინკს ამგვარი უცნაური აღსარება დაეწერა და ძალიან დამწუხრებული დარჩა, როცა მათი განშორების შემდეგ ეს მიძღვნა ვეღარ იხილა წიგნის ახალი გამოცემის პირველ გვერდზე. რა თქმა უნდა, მეტერლინკმა ამით თავისი სულმოკლეობა გამოამჟღავნა. მაგრამ ეს გრძნობა უცხო არ არის სხვა მწერლებისთვისაც. ამგვარი წვრილმანობის ამაზრზენი მაგალითი გვხვდება სტანისლავ პშიბიშევსკის „დღიურებშიც“.

თუმცაღა, არსებობს უფრო მტკიცე კავშირიც. ეს მაშინ ხდება, როცა ორი სული ერთიმეორისთვის არის განკუთვნილი. მათთვის არ არის საჭირო ინტერესთა ერთიანობა, კულტურის თანაბარი დონე, ან ერთნაირი განათლება. ყველა ამას ცვლის გულის გონება, რომელიც ყველა განძზე ძვირფასია. ქალები უკეთ გვიცნობენ, უფრო კარგად, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ საკუთარ თავს. იციან ჩვენი სისუსტეები და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ჯადოსნური ალღოთი ახერხებენ ამ სისუსტეების სიძლიერედ გადაქცევას ან, უკიდურეს შემთხვევაში, იმას, რომ მათ ნაკლები ვნება მოიტანონ.

მალული გაოცებით ადევნებს თვალს ცოლი ქმრის მუშაობას, უხმოდ საყვედურობს, როცა გრძნობს, რომ შემოქმედებით აღმაფრენას პასიურობა და მოდუნება ენაცვლება, ალერსიანად ცდილობს გაუიოლოს წარუმატებლობით გამოწვეული დარდი და წუხილი და ყოველივე

ეს აძლევს საშუალებას, მუდამ იყოს მწერლის საქმიანობის შუაგულში, მისი წარმატებებით იცხოვროს, მოუთმენლად ელოდოს ყოველ ფურცლის შევსებას, მაგრამ თან ეცადოს, მწერალს არ შეამჩნევინოს თავისი მოლოდინი და ეს ისეთ სტიმულს აძლევს შემოქმედს, უამისოდ შეიძლება სტრიქონიც ვერარ დაწეროს. ისტორია ძუნწ ცნობებს გვაწვდის ამგვარი ქალების შესახებ. ლიტერატურის მკვლევარი დიდ მნიშვნელობას არც წიგნებზე წარწერილ მიძღვნის სტრიქონებს ანიჭებს და არც ბარათების დასტებს. ეს ბარათების მოკრძალებულ სინაზეს იგი ერთმანეთის მოყვარული ცოლ-ქმრის მიმოწერის მეუღლებრივ ტრაფარეტად მიიჩნევს, ხოლო ფურცლებს შუა ჩარჩენილ დამჭკნარ ყვავილებს არც კი მიაქცევს ყურადღებას.

თვითონ მწერლების აღსარებასაც უნდობლობითა და ირონიული ღიმილით ხვდებიან, მაგალითად, პლინიუს უმცროსის ნათქვამს, რომლითაც იგი ადიდებს თავისი მეუღლის, კალპურნიას ერთგულებას: „როგორ ღელავს, როდესაც სიტყვით უნდა გამოვიდე, როგორი სიხარულით მხვდება, როცა სასამართლოდან გამოვბრუნდები! ყველაფერს, რასაც კი ვწერ, რამდენჯერმე კითხულობს და ზეპირად იცის. თუ ჩემს გამოსვლებზე მოხვდება, ხვეტს ამოეფარება და ხარბად ისმენს ჩემს თითოეულ სიტყვას. როცა ლექსებს ვთხზავ, კითარაზე მღერისას უსმენს, თუმცა მუსიკა არავისგან უსწავლია — მისი ერთადერთი მასწავლებელი სიყვარული იყო". ყველა ეპოქის მწერალთა ათასობით მეუღლე სრულიად მიამსგავსებს თავის თავს პლინიუს უმცროსის მიერ დახატულ პორტრეტს.

სხვა ტიპის მწერლებიც არსებობენ — ისინი თავს იწონებენ საკუთარი გამჭრიახობით, სჯერათ, რომ ადამიანის გულის მესაიდუმლეები არიან და სულ ვერა ხვდებიან, თუ როგორ არიან დავალებულნი თავიანთი ცხოვრების თანამგზავრებისაგან. ამის მიზეზი ის იყო, რომ ეს მწერლები არ იწუხებდნენ თავს იმის გარკვევით, რამდენ სარგებლობას აძლევდათ ახლობელი და, ამავე დროს, მათგან ესოდენ განსხვავებულ არსებათა აზრების, გრძნობების, სურვილებისა და ქცევების ატმოსფეროში გატარებული საათები. მწერლები თავიანთ სამუშაო ოთახში მთლად გადასხვაფერებულნი ბრუნდებოდნენ, რადგან უკვე სხვა სამყაროს მკვიდრი ჰქონდათ ნანახი. ამ სამყაროს კი საკუთარი, მისთვის უცხო მამაკაცების წინააღმდეგ ქალთა მრავალი თაობის მიერ წარმოებულ ბრძოლებში შემუშავებული პრინციპები ედო საფუძვლად.

ალფონს დოდეს ცოლი ამბობდა, რომ მწერლისა, რომელიც ოჯახურ ცხოვრებას თავს არიდებს, არაფერი მესმის. მოგვიანებით მისმა შვილმა ლეონმა მისთვის დამახასიათებელი სიმძაფრითა და პირდაპირობით გამოთქვა ეს თვალსაზრისი „სულელური XIX საუკუნის" ფურცლებზე. [illegible] დოდემ თავისი აზრის განსამტკიცებლად შეურყეველი საბუთი მოიშველია — ვიქტორ ჰიუგოს ცხოვრება მოიტანა მაგალითად. ხანდაზმულობაში, ჰიუგოს საყვარელიც ჰყავდა და დროდადრო მოახლესაც არ იწუნებდა. მაგრამ დიდ ჰიუგოზე, რა თქმა უნდა, მისი ლექსებით მსჯელობდა, რომლებშიც პოეტი წერდა, გული მიჩუყდება, როცა კაბინეტში ბავშვის ტიტინი შემომესმება, მაგრამ ეს ქალბატონი უდავოდ მართალი იყო, თუ მხედველობაში ის მწერლები ჰყავდა, რომლებიც შეგნებულად მიაქვთ ოჯახური ცხოვრების სიამე ლიტერატურის სამსხვერპლოზე. ფლობერის დედამ მკაცრად გაკიცხა ასეთი ასკეტიზმი. მან ასე მიწერა შვილს: „ფრაზების ციებ-ცხელებამ გული გამოგიფიტა". და მართლაც, ფლობერზე მეტად გონკურებმა გადადეს თავი. ისინი, მეცნიერის ენას რომ მივბაძოთ, „ლიტერატურით" იყვნენ დაავადებულნი. ედმონ დე გონკური ამბობდა: „ადამიანს რომელმაც მთლიანად შესწირა თავი ლიტერატურას, არ სჭირდება ქალები, ბავშვები, გული..., მას მხოლოდ ტვინი უნდა ჰქონდეს". მერე ძმები აცხადებდნენ: „ჩვენ სიამოვნებით დავდებდით ეშმაკთან ხელშეკრულებას, რომ მან მხოლოდ ტვინი დაგვიტოვოს ნაწარმოების შესაქმნელად, თვალები — სამზერად და ხელი — კალმის დასაჭერად. სხვა დანარჩენი — გრძნობები და ჩვენი ხრწნადი სხეული დაე თავად წაიღოს, ჩვენ კი ამქვეყნად ვიცოცხლებთ, რომ დავტკბეთ ადამიანთა ხასიათების შესწავლით და ხელოვნების სიყვარულით". ასე გულწრფელად არავის გამოუხატავს თავისი სურვილები, მაგრამ ასე მრავალი ფიქრობს. არაერთ მწერალში ჩაკლა შემოქმედმა ადამიანი, ქალს რომ უმზერდნენ, მის ნაცვლად ლექსების ან რომანის ტომს ხედავდნენ, კოცნისას ნოველა ელანდებოდათ, საყვარელისაგან კი შედევრის დაბადებას ელოდებოდნენ. ზოგი შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ ორაგულის ვარდისფერი ხორცის დანახვისას შედარებებისა და მეტაფორების თხზვა დაიწყოს, ღვინის სურნელის შეგრძნებისას ლიტერატურული თავსატეხების შედგენის სურვილი გაუჩნდეს.

მარტო მწერლად ყოფნა, ყველგან და ყოველთვის, წლობით, თვეობით, დღისა და ღამის ყოველ წუთსა და წამს, ძალზე მოსაწყენი რამ არის. მე მწერლის უფრო სრულყოფილ ტიპად ის მიმაჩნია, ვინც დროის გარკვეულ რაოდენობას ხარჯავს შემოქმედებაზე, მხოლოდ

ხაფხრის, ჩონჩხების, ან ლექციების ჯურის ამოხეთქილი უცნაური ფრჩხილებით კბილებით, რომ მის ბაღში ბუდეები უნდათ, ამგვარი მწერლები არაბულის გაურბიან ცხოვრების.

ეს ხატებები რომ დავწეროთ, ევროპის თუ აღმოსავლეთ-ევროპული ლიტერატურის ბევრი გამოჩენილი წარმომადგენლის სახელი ასოცირდება მეზღაპრეების ზღაპრებზე. ეს გრძელი სია რომ მოგეტანათ, დასაწყისში ვიხსენებ: ლუის კეროლის, დეფოს, სერვანტესის, რაბლეს, გოეთეს, მოცარტის, ტოლსტოის მამუკებისა და შარლ ... ლის მწერლები მოგვაგონდებიან, ქვეყნის კი ლიტერატურის სახელმძღვანელოებს თუ დავეყრდნობით, უფრო ნაკლებს წერენ მეზღაპრეები, მაგრამ, ხონობილებში ისინი დიდად არ ჩამორჩებიან გენიოსებს ოსტატობით და მოძიებული თარიღებით ამ გენიოსებზე ნაკლები ჩანან როცა მოვუსმინეთ. ყველაზე მაღალი ცხოვრების მუდამ ტრადიციები, ...

ხშირად კი დიდად არ ჩამოუვარდებიან თავისი მოვალეობის შესრულებას. მათ შორის თვალსაჩინოა და წარმატებისთვისაც მოუწოდებენ, ქმრებიც ყოფილან, მამებიც, ხელოსნებიც, ... ბუნდოვანი უწყვეტი თავიანთი საქმიანობის ქვეყანა, ... არ ჰქონიათ შემოქმედებითი სივრცე და თანამედროვეობაზე, მაგ ...

ხაზოვანების ხშირად ახსენებენ უზღაპრო მოღვაწეობას ... მწერლების წარმოსახვის ... არ ივიწყებდნენ საკუთარ ქვეყანას, ზოგჯერ წლობით განაგრძობდნენ ხელში ... და კეთილშობილურად აპრობირებდნენ იმ ნაშრომს, რომელსაც მათგან შექმნილი ფანტაზია მოითხოვდა.

ხაზოვანების ხშირად ახსენებენ უზღაპრო მაღლობის გაწყვეტილი სამსახურისთვის, ზოგჯერ მადლ ტრადიციებს უბრძოდნენ, ზოგჯერ კი ხასიათის გამოსაწვევად. ხაზოვანების მადლიერების ჭეშმარიტი მწერლის სიცოცხლეში უმეტესობა უცხოა. მომდევნო თაობას კი ხელი აქვს ინტერესებზე მისი ნამოქმედარი დამსახურებისა, უკვე მხოლოდ და მხოლოდ შემოქმედებითი მემკვიდრეობა ინარჩუნებს. ხშირად ... ინტელექტის მხოლოდ იქცევა, განა უფრო მიაკვლევენ ... ჩვენთვის რომ ეთქვათ, პოეტს თუ სამოქალაქო ხმების არც ერთი ხმა არ გაუცემია? ... მხოლოდ ... მის შემოქმედების. ამის გამო, რომ ზოგი მისი ნაწარმოები ხანგრძლივადაც კი ბეჭდავენ. დიდ ნაწარმოებს გარდა ვინ გამოიცნობს, როგორ უძლებენ გრძელ ჯაჭვს ტრადიციის საზოგადოების მოვლინების მეთაურის თანამედროვეობაზე ყოფნისას, თუკი ის თეატრიც დიდად არ გვეჩვენება, რომელსაც პოეტი მრავალ

წლის განმავლობაში ნებაყოფლობით და უამრავ დროსა და ენერგიას სწირავდა.

თვითონ მწერლები მიუხედავად მწარე ხასიათისა ... ცხოვრების ამ ... რომლებიც ... მოღვაწეობით, უმნიშვნელო და წარმავალ საქმეებზე დახარჯეს. ეს მართლაც დასანანია, მაგრამ იმაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ცხოვრებაც ბაღში არ აქვს მათ, იგი უცნაურობით სავსეა, უამრავ შეუცნობელს, უბედურ ბედს, უსიამოვნო გარემოს, ... ..., არ ... ... უბედურებები გამოცდილებას, აცნობს სამყაროს და ადამიანებს.

ჯერ ადამიანი უნდა იყო, შემდეგ კი შემოქმედი. ერთნი ხმამაღლა აცხადებენ ამ ლოზუნგს, მეორენი საკუთარი ცხოვრებით ამტკიცებენ მის უდავო ჭეშმარიტებას. დოსტოევსკი, ... რემბრანდტი, კონრადი, გორკი ცხოვრების მძიმე გზა გაიარეს. მაგრამ ხანგრძლივ ძნელბედობა მათ მოაპოვეს და ეს მასალა თავიანთი ნაწარმოებებისთვის გამოიყენეს. თითქმის მთელი ევროპული ლიტერატურა, უკეთესი ნაწილი დაწერილი დიდი სახელის მწერლებით დამთავრებული, შექმნილია იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებთან ხელ ხელჩაკიდებული გზებით მიდიოდნენ. ისინი საკუთარი გამოცდილებით გადიან იმათ მოგზაურებს და ყოფაქცევებს, რომლებზეც ხშირად ქვეყნების მწერალთა უმეტესობას წარმოდგენაც კი არა აქონდათ. ამერიკელი მწერლები საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით მიაღწიეს ნიადაგს თავიანთი ნაწარმოებების შესაქმნელად.

ამის მიზეზების, როგორც მწერლითა ერთი ნაწილი ხშირ ამბობდა, მეორე ნაწილი თვითონ ცდილობდა როგორმე შეეგუებინა, რომ საკუთარი მასალა საკმარისი არ იყო. მთელი მსოფლიოს უკვდავებს მის შესაქმნელად ... დაეძებდნენ შთაგონების, გამოცდებს, თემებს, ფანტაზიას და საზოგადო სახასიათო ... დიდი ... და მაგრამ ... კომედიების ... მაინც კი იქცა. ამის შემდეგ კი, რაც ... ... და ... ... ... ... ლიტერატურის ... ... მის ... ... ... და ... ... ... და ... ... რომელიც ... ... ... ... მაგრამ, ... ... ... ... — ... ... ... ...

ლეხულ ჩვეულებას ხანგრძლივი ამბებით ავსებენ და შინ დაბრუნების შემდეგაც ხვდებიან, რომ ამაოდ დაშვრილან: თურმე მათ არყოფნაში ცოცხალი, ახლებური ნაწარმოები ისეთ მწერალს შეუქმნია, რომელსაც წარმოდგენაც კი არა აქვს, როგორ იმოგზაურო დილიდან კალძუმამდე. აქ მე რემბრანდტის მოწოდება მახსენდება: „დარჩით შინ, — არწმუნებდა იგი ახალგაზრდა მხატვარს, რომელიც სამოგზაუროდ ემზადებოდა წასვლას, — შინ იყავით! მთელი სიცოცხლეც კი არ გეყოფათ იმ საოცრებათა შესაცნობად, რომლებიც აქ არის დაუნჯებული".

მწერლები ყველას აოცებენ იმით, რომ ყოველდღიურ სინამდვილეში ცუდად ერკვევიან, ფსიქოლოგები არიან, ადამიანის გულის მეხაიდუმლენი, მაგრამ ხალხს არ იცნობენ და მუდამ ვერაგობისა და სიცრუის ანკესზე ეგებიან. ეს იმიტომ ხდება, რომ მწერლები თავიანთი მახლობლების ინტრიგებსა და გრიმასებზე დაკვირვებით კი არა სწავლობენ ადამიანებს, არამედ ადამიანის იდეასთან ურთიერთობით, ეს იდეა კი მწერალთა საკუთარ სულშია დავანებული. ადამიანთა ყოველნაირი შემეცნების წყარო თვითონ მწერალშია და ყოველ გარედან მიღებულ შთაბეჭდილებას აღმქმელის გონება თავისი საზომით ზომავს და თავის ფასს ადებს. ჩვეულებრივი ადამიანის გონება სარკესავით ზუსტად და ზედაპირულად ირეკლავს გარედან მიღებულ შთაბეჭდილებას, შემოქმედისა კი გარდაქმნის, აფართოებს, აღრმავებს, მცირესა და უმნიშვნელოს დიადად და საშინლად აქცევს. ვისპიანსკიმ ჩვეულებრივი სოფლური ქორწილის შთაბეჭდილებებიდან ხალხური პოემა შექმნა. იმ ქორწილში მის გარდა კიდევ ორი პოეტი და რამდენიმე უფრო დაბალი რანგის ლიტერატორი იყო, მაგრამ არც ერთ მათგანს თავში არ მოსვლია, რომ ხედავს და ისმენს ამ მდუმარე ამაქვრეტს.

დები ბრონტეების შემოქმედება შემოთქმულის ჩინებული მაგალითია. ისინი განდეგილებივით ცხოვრობდნენ მიყრუებული იორკშირის ერთ პატარა სოფელში, ჰოუორტში და არ ჰქონდათ შესაძლებლობა პირადად გამოცდილებით შეეცნოთ ის, რასაც თავიანთ რომანებში აღწერენ. ემილი, „ქარიშხლის უღელტეხილის" ავტორი ხომ თითქმის არ გასცდენია თავისი სამრეკლოს საზღვრებს, ეს შინაბერა ქალიშვილი პურიტანულ ოჯახში ცხოვრობდა მე-19 საუკუნის შუა ხანებში და არ შეეძლებოდა ცნობოდა ისეთი მამაკაცი, როგორიც მისი რომანის გმირი ჰითკლიფია. ემილიმ იგი თავისი შემოქმედებითი ფანტაზიის საგანძურში იპოვა.

ამგვარი მსჯელობა სულაც არ გვეხმარება ამოცანის ამოხსნაში. შემოქმედებითი ფანტაზიის მექანიზმი არავითარ ანალიზს არ ექვემდებარება. შეუძლებელია მისი ნაწილებად დაშლა, თითოეული ნაწილის აღწერა და მათი მუშაობის შესწავლა. ერთადერთი, რაც დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, როდესაც ცალკეულ, ერთმანეთისაგან ცხადად განსხვავებულ შემთხვევებს ვაკვირდებით, ის არის, რომ მწერალს ძალუძს სრულიად ახლებური და ერთიანი სახე მისცეს სინამდვილის იმ ურიცხვ ფრაგმენტს, რომელთა ნაწილს გარემოში პოულობს, ნაწილს კი საკუთარ ფსიქიკაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთარი ფსიქიკიდან ამოკრებილი ფრაგმენტები. წარმოსახვის უნარით დაჯილდოებული ადამიანები უფრო კარგად აკვირდებიან გარემოს და ადვილად იმახსოვრებენ დანახულს, ის კი, ვისაც შემოქმედებითი ფანტაზია აქვს, ყოველი მოვლენიდან რაიმე, ხშირად ყველაზე არაარსებით ნაწილს აღიქვამს, იგი ზოგჯერ მეხსიერებაში მთლიანად აღადგენს ამ მოვლენას, მაგრამ დამახასიათებელი დეტალების გარეშე. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მოვლენის მეხსიერებაში აღდგენის დროს ამგვარი ფსიქიკური წყობის პიროვნებაზე რაღაც ახდენს გავლენას და იგი თითქმის ყოველთვის ასხვაფერებს აღქმულ მოვლენას. ეს „რაღაცა" შეიძლება იყოს ასოციაციის მიერ ნაკარნახევი გრძნობა, ანდა ამ ფანტაზია. მეხსიერება აქ არაფერ შუაშია — ცხოველი წარმოდგენის მქონე ადამიანებს მეხსიერება არ უვარგათ. წინადღით ნანახი მოვლენა მეორე დღეს შეიძლება სულ სხვაგვარად გაიხსენონ.

აღქმულის გადასხვაფერების უნარი აქტიური ფსიქიკური მოქმედების მიერ მიცემული მრავალი სახის იარაღით არის აღჭურვილი: ვნებებით, მისწრაფებებით, მეტწილად გაუხორციელებელი, ანუ ბოლომდე გაუცნობიერებელი ოცნებებით, სიზმრებით, სახეებით, შიშით, სირცხვილით — ერთი სიტყვით ყველაფერით, რითაც ადამიანი ავსებს თავის წარსულს და ეს ყველაფერი მწერლისათვის შემოქმედებით ლაბორატორიად იქცევა. ამ ლაბორატორიაში ხდება იმ მოვლენათა შეცნობა და შეგრძნება, რომელთაც ცხოვრებაში არასოდეს შეხვედრია და მისთვის თითქოს სრულიად უცხოა, მაგრამ სინამდვილეში ისინი მის არსებაში ბუდობენ. მწერალი ზოგჯერ ხვდება ამას და, როცა თავის თავთან მარტო დარჩება, ცდილობს წარმოიდგინოს მათი ბუნებრივი განვითარება. ზოგჯერ კი ეს მოვლენები ძაფის გორგალივით დახვეული დევს გონების რომელიღაც სამალავში და უეცრად შეიძლება გაიშალოს, გაშლის მიზეზი ზოგჯერ მწერლის მიერ დანახული რომელიმე ფერი ან ვინმეს სახის გამომეტყველება, ან რაიმე სიტყვა ან ფრაზა, რომელიც

რადგანაც უკავშირდება ამ მოვლენას. მწერლის ოცნებები და ფიქრები ყოველთვის მჭიდროდ უნდა იყოს ყოველგვარი შესაძლებლობებისა და სიტუაციის მისადაგებად და ის, ვინც შეცბება, როდესაც საჭიროდ მთვარეს შესთავაზებენ, ცუდი შემოქმედია. უმეტესობამ უკვე დაიპყრო მთვარე, ზედ ბინა დაიდო და ბედნიერად გრძნობს თავს.

გოტიეს უფლება ჰქონდა ემტკიცებინა, რომ ნამდვილ შემოქმედს სამყაროს ცოდნის თანდაყოლილი უნარი აქვს და არ ესაჭიროება პირადი განცდილებით შეიცნოს გარეშო, რათა თავი გაართვას მის წინაშე დასახულ ამოცანებს, „გეც ფონ ბერლიხინგენი, — განაგრძობს გოეთე, — ოცდაორი წლისამ დავწერე. ხოლო ათიოდე წლის შემდეგ გაოცებული დავრჩი, როცა აღმოვაჩინე თუ რამდენი ჭეშმარიტებაა ამ დრამაში. იმ დროს ხომ, როდესაც ამ ნაწარმოებს ვქმნიდი, ყოველივე ის, რაც მასშია გამოხატული, არ განმეცადა?" საფუძველშივე მცდარია ის აზრი, რომ ბალზაკს დაკვირვების უნარი ჰქონდა. ბალზაკი დამკვირვებელი კი არა, გენიალური ფანტაზიორი, ვიზიონერი იყო. ყოველივეს, რაც მისი თვალთახედვის არეში ხვდებოდა, შეეძლო აღეგზნო მწერლის ფანტაზია, მაგრამ უცვლელად არაფერი აღიბეჭდებოდა გონების დაფაზე. თავისი მუდამ ანთებული თვალების ერთი გადაკვრით ცხოვრებიდან ამოგლეჯილ ცალკეულ ელემენტებს აერთიანებდა და ახალ ადამიანებს ჰქმნიდა, ადამიანებს, რომლებიც არასოდეს არ არსებობდნენ ამქვეყნად. ხოლო მათ ცხოვრებას ეს სწორუპოვარი ალქიმიკოსი უზადო ჭეშმარიტების დინამიკით წარმოადგენდა. მისი სურვილით იქმნებოდა სახლები, ქუჩები, ქალაქები, მკითხველს კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყოველივე ეს სინამდვილიდან არ იყო აღებული.

მწერალს შთაბეჭდილებათა სიმრავლე კი არ ანიჭებს სიდიადეს, არამედ რეტროსპექციის სიფართოვე: რაც უფრო დიდ სამყაროს ატარებს გულში, მით უფრო უხვია ის მასალა, რომელიც მის შემოქმედებას ასაზრდოებს. უამრავი ლიტერატორი გულდასმით სწავლობს კრიმინალისტურ ლიტერატურას, დადის ციხეებში, მთელი დღეობით ზის დუქნებში, სადაც აპაშები იკრიბებიან და შემდეგ ქმნის ისეთ უფერულ სახეს, რომელიც ვოტრენის აჩრდილსაც ვერ უტოლდება. ვოტრენი კი ბალზაკს ვიდოკიდან არ გადმოუხატავს. — მისი უკიდეგანო წარმოსახვის ნაყოფია. მწერალს შემოქმედებითი ტვინის ერთ-ერთმა უჯრედმა შეაქმნევინა ამ გაიძვერა, მამაცი და დაუნდობელი ავანტიურისტის მხატვრული სახე. ნაპოლეონს უმდიდრესი სასიყვარულო გამოცდილება ალბათ ძალზე შეაცბუნებდა შექსპირს. მაგრამ თვითონ ნაპოლეონსაც ვერ დაწერდა ასეთი მასშტაბის სასიყვარულო ნაწარმოებს როგორიც „ოთელოა".

რასინის დრამებს რომ წაიკითხავთ, იფიქრებთ, მათი ავტორი ვნებებით აღსავსე ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და ამან მისცა შესაძლებლობა ეხილა [illegible] და ხელშესახებად აესახა ეს ვნებები [illegible] ტრაგედიებში, რასინი განდეგილივით ცხოვრობდა. იგი პორ-როიალის მკაცრი პრინციპებით იყო აღზრდილი, არასოდეს ზიარებია მშობლიური კერის სითბოს, რასინისათვის თავისი საუკუნის ვნებებიც კი უცხო იყო და მთელი მისი სასიყვარულო გამოცდილება მსახიობ ქალთან რომანით ამოიწურებოდა — დამეთანხმებით, რომ ეს ძალზე ბანალური რამ არის დრამატურგისათვის.

მკითხველს ყოველთვის აინტერესებს ავტორის პიროვნება. უნდა, იცოდეს, როგორი გარეგნობა აქვს, როგორ ცხოვრებას ეწევა, როგორი ხასიათისაა. ჩვენს დროში ამის გაგება გაცილებით ადვილია პრესაში დაბეჭდილი ფოტოგრაფიებისა და ინტერვიუთა მეოხებით. მწერლებზე კინოფილმებს იღებენ და მათი ხმაც ცნობილია — გამოჰყავთ რადიოში და ტელევიზიაში, იწერენ ფირფიტებზე. მწერალი მკითხველებს უზიარებს თავის შემოქმედებით გეგმებს, ამბობს, რა უყვარს და რა ეჯავრება და ზოგჯერ საკმაოდ ინტიმურ აღსარებასაც არ ერიდება. გასულ საუკუნეში კი მწერლის ცხოვრება იდუმალებით იყო მოცული, მართალია, ზოგჯერ მაშინაც გადაიწეოდა მწერლის ცხოვრებაზე ჩამოფარებული ფარდა: ხეზე გაკეთებული გრავიურები, მინიატურები და მედალიონები პოპულარიზაციას უწევდნენ მის გარეგნობას, პირადი წერილების საშუალებით ვრცელდებოდა სიმართლე და გამონაგონი მწერლის შესახებ. ჰორაციუსი ერთ-ერთ ოდაში იკვეხნიდა, ქუჩაში რომ მივდივარ, გამვლელები თითით ანიშნებენ ერთმანეთს ჩემზეო. ვოლტერმა იმ დროსაც კი, როცა კინო, ფოტოგრაფია და რეპორტიორები არ არსებობდნენ, ისეთ პოპულარობას მიაღწია როგორსაც ბერნარდ შოუმ ჩვენს დროში. ეს უკანასკნელი ხომ უკვე ნახევარი საუკუნეა გვიმზერს ილუსტრირებული ჟურნალების ფურცლებიდან.

მაგრამ ყველა მწერალი ვერ იჩენდა ასეთ სიმარჯვეს და საზოგადოებამ, რომელიც წლების მანძილზე კითხულობდა მათ წიგნებს, არაფერი იცოდა ავტორის შესახებ. იგი ათასნაირ ვარაუდებს უშვებდა და ცდილობდა მწერალი მისი გმირებისათვის მიემსგავსებინა, ან მის მიერ ნაქადაგები იდეების, თუ ნაწარმოებებში გამოხატული გრძნობების საშუალებით შეეცნო. ამგვარი რამ დღესაც შეიძლება მოხდეს. ჩვენი მამები ძალზე იმედგაცრუებულნი რჩე-

ბოლენენ, როცა სიტყვაძუნწსა და მუდამ ფიქრებში ჩაძირულ სენკევიჩს გაიცნობდნენ, რადგან იგი ისეთივე დაუდეგარი და ტრაბახა რაინდად წარმოედგინათ, როგორც პანი ზაგლობა. ასევე გაოცებული რჩებოდა ყველა, ვისაც ლიპაჰ ბატონს წარუდგენდნენ და ეტყოდნენ, გაიცანით, ეს ის კაპიტროვიჩიაო. ახლობელ მეგობრებს სულ არ ეუცნაურებოდათ ლეოპოლდ სტაფის შეუმჩნეველი გარეგნობა, პატარა წვერი, მოკრძალებული და შენელებული ჟესტები, მაგრამ ყველა, ვინც მანამდე არ იცნობდა და მისი „სიზმრები სიძლიერეზე“ ჰქონდა წაკითხული, განცვიფრებას ვერ მალავდა მწერლის დანახვაზე. ლამარტინის პოეზიის ნაზ თაყვანისმცემლებს კი გული უქანდებოდათ მისი გაცნობისას; ლექსებში ლამარტინი მეოცნებე, ფიქრიანი და მორცხვი იყო, ყველაფერზე ცრემლი ადგებოდა თვალზე, და ამიტომ ყველას ხათუთ და ნატიფ არსებად ჰყავდა წარმოდგენილი, ზოგს ალბათ ბლეკიანიც კი ეგონა. სინამდვილეში, იგი ჭეშმარიტი — ვეება ბურგუნდიელი ეშმაკი იყო, რომელიც უზომოდ ჭამდა და სვამდა, მუსაიფით იგინებოდა, ნადირობდა და საკუთარი ძაღლების ხროვა და ცხენების რემა ჰყავდა. ერთი სიტყვით, ნამდვილი შლიახტიჩი გახლდათ და გამუდმებით ეხუმრებოდა მეზობელ მემამულეებს.

ზოგჯერ კი პოეტები ახერხებდნენ, არ გაექარწყლებინათ თაყვანისმცემელთა სიმპათია. შელის ანგელოზისებრი სილამაზის ან ბაირონის ზვიადი სახე ხიბლსა და მიმზიდველობას მატებდა მათ პოეზიას, ოღონდ ბაირონის სილამაზით მაშინ უნდა დამტკბარიყვნენ, როცა ცხენზე იჯდა, რადგან სიარულისას კოჭლობდა. თუმცა, რომანტიკოსები თვითონვე ზრუნავდნენ იმისათვის, რომ თავიანთი გარეგნობით შთაბეჭდილება მოეხდინათ მკითხველებზე. შატობრიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთნაირად ივარცხნიდა თმას, რომელიც საკმაოდ შეუთხელდა ახალგაზრდობაში გადატანილმა ქარიშხლებმა. ასეთი ვარცხნილობა მოდური გახდა მწერლის მთელ თაობაში. პოეტური პოზები (მაგ. მიცკევიჩის აიუდაღის მთაზე), დეკორატიული ლაბადები და ეგზოტური ფონი პოეტთა იკონოგრაფიის შემადგენელი ნაწილი გახდა. ამგვარი მომგებიანი სახით ხატავდნენ ხოლმე მათ, ხშირად ასე, როგორც მკითხველებს წარმოედგინათ. აი, რატომ არის, რომ მწერალი ქალები ყოველთვის ცდილობნენ, ფოტოსურათზე ახალგაზრდად და მომხიბვლელად გამოიყურებოდნენ.

მკითხველს გაცილებით უფრო უტყდება გული საყვარელ ავტორზე, როცა მისი ხასიათის მანკიერ მხარეებს გაეცნობა. კრასინსკების ავარმა გაანადგურა ზიგმუნდის წერილები, რომლებშიც „განთიადისა“ და „მომავლის ფსალმუნების“ ავტორი თავისი მამულების მოურავს უბრძანებდა, სიმკაცრე და სიმტკიცე გამოეჩინა ყმების მიმართ. რამდენიმე წლის წინათ თანაგრძნობით [illegible] თვალს სასამართლო პროცესს, რომელიც ჟორჟ სანდის შვილიშვილმა აღძრა თავისი ბებიის ბიოგრაფის წინააღმდეგ: შვილიშვილი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ჟორჟ სანდის სასიყვარულო თავგადასავლები ბიოგრაფის მონაჭორი იყო. დიდი მცდელობის მიუხედავად, შვილიშვილმა პროცესი წააგო.

გოეთეს, როგორც მთავრობის მეთაურს, მოუხდა მარტოხელა დედის საქმის გარჩევა. მას შვილის მკვლელობა ედებოდა ბრალად. იმავე ხელმა, რომელმაც „ფაუსტში“ მარგარიტას პატიებისა და ცოდვების გამოსყიდვის უკვდავი სტროფები მიუძღვნა, ახლა უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა დამნაშავე ქალს. ვიქტორ ჰიუგო, უმწიკვლო მირიელის შემქმნელი, თავის ლექსებში სულ სვებედურ ადამიანებს რომ იცოდებდა და მათთვის არაფერი ენანებოდა, ცხოვრებაში საშინელი ძუნწი იყო და მათხოვარს კაპიკსაც არ აჩუქებდა. ეს ძუნწი და წუწურაკი მწერალი საოცარი პედანტობით აწარმოებდა გასავლის დავთარს და „ქველმოქმედების“ გრაფაში იმ თანხას აცხადებდა, რომელსაც დროდადრო უხდიდა შეცდენილ მოახლეებს. . მაგრამ სიტყვის ალქიმიას ძალუძს მწერლის ყველაზე უარესი თვისებები საოცრად წმინდა და ფაქიზი ნაწარმოების შესაქმნელად გამოიყენოს. შარლ დალომ ფსიქოლოგიური გამოცანების რამდენიმეტომიანი კრებული შეადგინა. მასალა იმ მწერალთა შემოქმედებიდან აიღო, რომლებმაც შეძლეს საკუთარი სისუსტეები, მანკიერებანი და ნაკლოვანებანი გამოესწორებინათ თავიანთ ნაწარმოებებში. ეს მწერლები უხვად აჯილდოვებდნენ ნაწარმოების გმირებს იმ დადებით თვისებებით, რომლებსაც თვითონ იყვნენ მოკლებულნი.

ღირს კი ავტორის პიროვნული თვისებების ჩხრეკა? ამ კითხვას ხშირად სვამდნენ და სხვადასხვაგვარად უპასუხებდნენ. ჩვენთვის ამჟამად უფრო საინტერესოა ფაქტიური მაგალითების მოტანა, რომლებიც დაგვეხმარება მწერლის პიროვნებისადმი იმ ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული, დამოკიდებულების საილუსტრაციოდ, რომელიც არსებობს საფრანგეთსა და პოლონეთში. საფრანგეთი ყურად არ იღებდა არავითარ პროტესტს და ძველთაგანვე ხარბად იქექებოდა თავისი მწერლების პირად ცხოვრებაში. ამ ქვეყანაში ყველაზე ინტიმური საიდუმლოს შენახვაც კი არ ხერხდება. ფრანგული ლიტერატურის ყოველ სახელგანთქმულ წარმომადგენელზე ბიოგრაფიის, ტომეულების,

მემუარების, საარქივო საბუთებისა და პირადი წერილების ვრცელი ბიბლიოგრაფიაა. შედგენილი. კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ა. მარტინოს „სტენდალის კალენდარი" — მართლაც ნამდვილი კალენდარია მწერლის მთელი ცხოვრებისა. მასში აღწერილია სტენდალის ყოველი დღე, ზოგჯერ საათებიც, გადმოცემულ ფაქტებს საფუძვლად უდევს ერთობ კეთილსინდისიერად დამოწმებული ბიბლიოგრაფია.

საფრანგეთში მრავალი ცნობა მწერლის შესახებ ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში ქვეყნდება. მაგრამ ამ დროს მაინც იგრძნობა ერთგვარი ზღვარი. მწერლის გარდაცვალებისთანავე ეს ზღვარი ისპობა და იწყება წიგნების, ნარკვევებისა და სტატიების მოზღვავება, რომლებიც მწერალს სხეულის არც ერთ ნაწილს აღარ უტოვებენ დაფარულს. იგი შეიძლება დაინახოთ შინ და გარეთ, სამსახურში, საკუთარ საწოლოთახში, მეგობრების წრეში და მოგზაურობის დროს. მოისმენთ მის სამიჯნურო თავგადასავლებს, გაეცნობით მის შეხედულებებსა და მისწრაფებებს, მის მსჯელობას თანამედროვეებზე, რომლისთვისაც ყური მოუკრავთ, როცა მწერალი ვიღაცას ესაუბრებოდა. სააშკარაოზე იქნება გამოტანილი მისი გემოვნება, ჩვეულებანი, ახირებულება. საგანგებო და დაწვრილებითი განხილვის საგანი გახდება მისი ხასიათის უარყოფითი მხარეები. აქ ერთმანეთს შეეჯიბრება ჭორი და ჭეშმარიტება და ეს უკანასკნელი ხშირად დამარცხებას იწვნევს. ამგვარი პაექრობა ზოგჯერ ათეული წლების განმავლობაში გაგრძელდება, სულ ახალ მონაწილეებსა და მოწმეებს ჩაითრევს და ახალ საარქივო მასალას გამოამზეურებს. საფრანგეთის მაგალითმა სხვა ერებზეც იქონია გავლენა. მას თავდაპირველად ინგლისელებმაც მიბაძეს, ამერიკაში კი მწერლები კინოვარსკვლავებმა და მოკრივეებმა დაჩრდილეს და ამიტომ არის, რომ იქ მაინცდამაინც არ ცდილობენ მწერალთა პირადი ცხოვრების საიდუმლოებათა გამომზეურებას.

ჩვენთან, პოლონეთში, სულ სხვანაირად არის საქმე. ჩვენს მწერლებს მედიდური და ოდნავ ნაღვლიანი იერი ადევთ — გეგონებათ, ცოცხალი ადამიანები კი არა, ძეგლები არიანო. ის უცნობი მოქანდაკე, რომელსაც არ დაავიწყდა კოხანოვსკის საფლავის ქვაზე ხელთათმანები ამოეკვეთა, პოეტის ბიოგრაფებზე უფრო ენამჭევრი ყოფილა. ტშიტესკის ის რამდენიმე გვერდი რომ არ დაეწერა, სიცოცხლით სავსე მიკოლაი რეის პორტრეტი სამუდამოდ უფერული და გაბუნებული დარჩებოდა. ახლაც ისინი, ვინც პირადად იცნობდა ჩვენს დიდ მწერლებს, მაინცდამაინც არ ჩქარობენ თავიანთი მოგონებების გაზიარებას მკითხველებისათვის. ამ ქვეყნად აღარ არიან პრუსის ახლო ნაცნობები და ამ მომხიბლავი პიროვნების მხოლოდ გარდაცვალების თარიღი ვიცით ზუსტად, დაბადების თარიღს დიდი კითხვის ნიშანი უზის, თითქოს პრუსი ანტიკური ხანის ან შუასაუკუნეების მწერალი იყოს. ჯერ კიდევ ცოცხლები არიან სენკევიჩისა და ჟერომსკის რამდენიმე მეგობარი, მაგრამ არც ისინი აპირებენ ბაგეებიდან დუმილის ბეჭდის ახსნას. ამ ცოტა ხნის წინ მკითხველი საზოგადოება დიდი კმაყოფილებით შეხვდა ჟერომსკის მიერ ჭაბუკობაში დაწერილ „დღიურებს" და „ჰენრიკ სენკევიჩის ცხოვრებისა და შემოქმედების კალენდარს". ამ წიგნით პროფესორმა იულიან კშიჟანოვსკიმ გაფანტა ის ნისლი, რომელიც ასე დიდხანს ფარავდა მწერლის ცხოვრებასა და პიროვნებას. ჩვენში ალბათ იმიტომ ერიდებიან მწერლის ცხოვრების აღწერას, რომ ეშინიათ, ამით მისი ხსოვნა არ შეურაცხვყოთო. ეს რიდი, რა თქმა უნდა, კეთილშობილებით არის ნაკარნახევი, მაგრამ იგი უფრო მეტად დასაფასებელი იქნებოდა ზოგჯერ სიცრუისაკენ რომ არ გვიბიძგებდეს. ცნობილია, რომ მიცკევიჩის ბიოგრაფიის დოკუმენტალურ სიზუსტეს დიდად ავნო მისი შვილის, ვლადისლავის, პიეტეტმა მამის მიმართ. ამგვარი პატივისცემა ნამდვილად არ არის საქები. აშკარად იგრძნობა, რომ ბიოგრაფს სურს რაც შეიძლება მალე მოიშოროს თავიდან მწერალი, გაამგზავროს იგი უკვდავების სამყაროში, ხოლო მიწაზე მყოფებს დაუტოვოს მისი ალეგორიული სახე, რომლის დამახსოვრება ერთობ ადვილია.

ამ საკითხზე მწერლებს ალბათ არ ექნებათ ერთნაირი შეხედულება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მათი უმეტესობა პირადი ცხოვრების უცერემონიო ქექვა-ჩხრეკის წინააღმდეგი იქნება. მრავალი მათგანი წინასწარ ილებდა ზომებს — წვავდა იმ ნაწერებს, რომელთა გამჟღავნებას საჭიროდ არ მიიჩნევდა, მაგრამ ეს საქმეს არც შველოდა: მიცვალებულს ხომ ვერ აუკრძალავ ცოცხლებს? არაერთ მწერალს მოუწამლავს სიცოცხლე იმის შიშს, რომ სიკვდილის შემდეგ მისი ცხოვრება ცნობისმოყვარეთა საჯიჯგნი გახდებოდა. ანდერძად იბარებდნენ, ჩემზე არაფერი დაწეროთო და წინასწარ აცხადებდნენ მკაცრ პროტესტს. ისინი შურით იმსჭვალებოდნენ ძველი ეპოქების მწერალთა მიმართ, რომელთაც დაუფასებელი სამსახური გაუწია ჟამთა ხელმა — ნაწარმოებთა გარდა ყველაფერს დავიწყების ხუდარა გადააფარა. ყველაზე კარგ დღეში ჰომეროსი აღმოჩნდა: ისე განივთდა თავის ნაწარმოებებში, რომ მისი არსებობაც კი საეჭვოდ არის მიჩნეული.

ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ უნდა იკისროს ლიტერატურის იმგვარი ისტორიის დაწერა, რომელშიც შემოქმედება განხილული იქნება, როგორც თავისი ეპოქის ნაყოფი. ამგვარ გამოკვლევაში საჭირო არ იქნება მწერლის ცხოვრების აღწერილობა. „ნიბელუნგებსა" და იგორის ლაშქრობის თქმულებაზე რომ ვლაპარაკობთ, ავტორებს არ ვახსენებთ, რადგან მათ არ ვიცნობთ და მხოლოდ ამ ნაწარმოებების ლიტერატურულ ღირსებებს განვიხილავთ. ამ შემთხვევებში იძულებული ვართ ავტორებზე არ ვილაპარაკოთ, მაგრამ ხომ შეიძლება ავტორის პიროვნების უგულებელყოფა, ლიტერატურული ნაწარმოების განხილვის [illegible] ვასათო. ოღონდ ამას, რა თქმა უნდა, ძალიან ნიჭიერი მკვლევარი სჭირდება. ჩვენი წიგნის ძირითადი [illegible] კი შემოქმედების ფსიქოლოგიის საკითხების კვლევა. ამისათვის აუცილებელი ბიოგრაფიული მასალის ცოდნა. ამიტომ დიდად მადლობელი ვართ იმათი, ვინც ეს მასალა მოგვაწოდა და ვთვლით, რომ განკიცხვას იმსახურებს ყველა, ვინც ამგვარ მასალას უგულებელყოფს და დაუნანებლად იმეტებს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გასტონ ბაშლარი

თარგმნა დათო ბარბაქაძემ

## წამიერება პოეტური და წამიერება მეტაფიზიკური

**გასტონ ბაშლარი** (1884-1962) ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და მეცნიერების მეთოდოლოგია. მან საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე დასავლურ ფილოსოფიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავლენიან მიმდინარეობას — ნეორაციონალიზმს..

ესსეში „წამიერება პოეტური და წამიერება მეტაფიზიკური", რომელიც 1939 წელს გამოქვეყნდა, ბაშლარი გადმოგვცემს საკუთარ თვალსაზრისს პოეზიის სპეციფიკის, მისი დანიშნულების და უმაღლესი მისიის, მეტაფიზიკასთან მისი ურთიერთობის, რეალურ და პოეტურ დროთა ურთიერთგანმასხვავებელი ნიშნების შესახებ. მეორე ესსე დიდი ფრანგი მხატვრის მარკ შაგალის (1887-1985) შემოქმედებას ეძღვნება. იგი პირველად 1960 წელს გამოქვეყნდა. ბიბლია XX საუკუნის არა ერთ გამოჩენილ მხატვარს დაუსურათხატებია. შაგალმა 1931-1936 წლებში შექმნა ბიბლიის ილუსტრაციები. სწორედ ამ ილუსტრაციების ალბომს განიხილავს ბაშლარი.

გასაოცარია ის ტევადი ლაკონიზმი, რომლითაც ორივე ესსეა ნიშანდებული.

მთარგმნელი

### I

პოეზია მყისიერი მეტაფიზიკაა. უმცირესი ლექსით პოეზიას ყველაფრის ერთდროულად გამოხატვა მართებს — სამყაროს მისეული ხედვისა და ადამიანური სულის იდუმალების, პიროვნებისა და საგნის. ცხოვრების ჟამს ადევნებული, იგი ცხოვრებაზე მეტად წვრილმანი იქნება; პოეზია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს აღემატოს ცხოვრებას, თუ ცხოვრებას შეაჩერებს, თუ სიხარულისა და ტანჯვის ამწუთიერი დიალექტიკით იცხოვრებს. მაშასადამე, იგი თავად ერთდროულობის განსხეულებაა, — როცა დანაკუწებული ყოფიერებაც კი მთლიანობას იძენს.

თუ ათასგვარი მეტაფიზიკური ცდები უსას-

რული წინააღმდეგობებითაა აღჭურვილი, პოემისთვის უცხოა პრეამბულები, პრინციპები, მეთოდები და დამტკიცებები. იგი უარყოფს თვით დაეჭვებას. მას ერთადერთი საზრუნავი დუმილია, სიჩუმის პრელუდია. ამიტომ იგი, უპირველეს ყოვლისა, სიტყვათა გახმიანებას ესწრაფვის, აიძულებს რა, ამავდროულად, პროზას და ყოველივე იმას, რაც მკითხველის სულში თუნდაც მორჩენილ მინიშნებას ტოვებს რაიმენაირ აზრზე ან ბგერაზე, დადუმებას. და ამ სიცარიელიდან პოეტური წამიერება იბადება. სწორედ იმისთვის, რომ უსასრულო ერთდროულობათა გამთლიანებით რთული წამიერება შექმნას, პოეტი სპობს ჯაჭვური დროის მარტივ უწყვეტობას.

და გამოდის, რომ ნებისმიერ ჭეშმარიტ ლექსში შეჩერებული დროა საგულვებელი, დრო არამწყობრი, რომელსაც შეიძლება ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ი ვუწოდოთ, რათა იმ ჩვეულებრივი დროისგან განვასხვაოთ, მდინარისა თუ ქარის მსგავსად ჰორიზონტალურად რომ მიედინება. აქედანაა პარადოქსი, რომელიც მკაფიო განსახღვრებას მოითხოვს: პროსოდიის დრო ჰორიზონტალურია, პოეზიის დრო — ვერტიკალური. პროსოდია მხოლოდ და მხოლოდ ბგერითი თანმიმდევრობას აწესრიგებს, განსაზღვრავს კადენციებს, წარმართავს გრძნობებსა და ვნებებს, სამწუხაროდ ხშირად — შეუსაბამოდ. მიითვისებს რა პოეტური წამის რეზულტატს, პროსოდია პროზის, გამოხატული აზრის, განცდილი სიყვარულის, სოციალური სიტუაციის — მიმდინარე, სრიალა, სწორხაზოვანი, უწყვეტი სიცოცხლის, კეთილმოწყობას კისრულობს. მაგრამ პროსოდიული წესები მხოლოდ საშუალებებია, ამასთან — ძველი საშუალებები. მიზანი ვ ე რ ტ ი კ ა ლ ო ბ ა ა, სიღრმე ან სიმაღლე: ესაა შეჩერებული წამი, როცა ერთდროულობები წესრიგდებიან და გვარწმუნებენ, რომ პოეტური წამიერება მეტაფიზიკურ პერსპექტივას ფლობს.

მაშასადამე, პოეტური წამიერება უდავოდ რთულია: იგი გვაღელვებს, იგი გვიმტკიცებს, გვეპატიჟება, გვამშვიდებს, იგი საოცარი და ინტიმურია. არსებითად, ესაა ორი საპირისპირო მხარის ჰარმონიული ერთიანობა. ვნებით აღსავსე წამიერებას მუდამ თან ახლავს გონებრივი საწყისი; გონიერ უარყოფაში ყოველთვის არის ვნების რაღაც წილი. თანმიმდევრული ანტითეზები პოეტის გულს უკვე ესალბუნება, მაგრამ აღფრთოვანებისთვის, ექსტაზისთვის აუცილებელია, რომ ანტითეზები ამბივალენტობამდე დაიწუროს. სწორედ მაშინ აღმოცენდება პოეტური წამიერება... იგი, სულ მცირე, ამბივალენტობის საცნობიერყოფაა, მაგრამ იგი რაღაც უფრო მეტიცაა, რამეთუ საქმე ეხება აგზნებულის, აქტიურის, დინამიკურის ამბივალენტობას. პოეტური წამიერება ან შეფასებულია ყოფიერებით, ან — გაუფასურებული. პოეტურ წამიერებაში ხან აღზევდება, ხან უკან იხევს ყოფიერება, არამიმღები იმ სოფლიური დროისა, რომელიც ამბივალენტობას ანტითეზამდე დაიყვანდა და ერთდროულს — თანმიმდევრულამდე.

ანტითეზისა და ამბივალენტობის ამ ურთიერთობათა შემოწმება იოლად შეიძლება მათი შერწყმით პოეტთან, რომელიც უდავოდ ერთდროულად განიცდის ყოველგვარი ანტითეზის ორივე შემადგენელს. ამის მერე უფლება გვაქვს ნებისმიერ ლექსში, ყველა იმ წერტილში, რომელშიც ადამიანურ გულს შეუძლია ანტითეზის ინვერტირება, მოვიხილოთ ჭეშმარიტი პოეტური წამიერება. უბრალოდ რომ ვთქვათ, მოწესრიგებული ამბივალენტობა ყოველთვის გამჟღავნდება თავისი დროული სახით: ჟამი მამაკაცური და ვაჟკაცური, წინ მიმართული და ყოვლისშემმუსრავი, და ჟამი ნაზი და მორჩილი, მგლოვიარე და ცრემლთა მღვრელი, ცვლებიან ანდროგინული ორსქესოვანი წამიერებით. პოეტური საიდუმლო — ესაა ანდროგინია.

II

მაგრამ დაკავშირებულია თუ არა დროსთან წამიერებაში მოთავსებული, ურთიერთსაპირისპირო მოვლენათა სიმრავლე? დაკავშირებულია თუ არა დროსთან პოეტური წამიერებიდან აღმომართული, ვერტიკალური პერსპექტივა? დიახ, რამეთუ აკუმულირებული ერთდროულობები მ ო წ ე ს რ ი გ ე ბ უ ლ ერთდროულობათა არსია. აწესრიგებენ რა შინაგანად წამიერებას, ისინი მას ტევადს ხდიან. მაშ ასე, ჟამი წესრიგია და სხვა არაფერი, ხოლო ყოველგვარი წესრიგი — ჟამი. მაშასადამე, ამბივალენტობათა წესრიგი წამიერებაში წარმოადგენს ჟამს. და უარყოფს რა ჰორიზონტალურ დროს, ესე იგი გარემომყოფის ჩამოყალიბებას, სიცოცხლის ჩამოყალიბებას, სამყაროს ჩამოყალიბებას, პოეტი ვერტიკალური დროის კიბეზე ხსნის. არსებობს თანმიმდევრულ მცდელობათა სამი წესი, რომელთა მეოხებით უნდა გარდაიქმნას ჰორიზონტალური დროის ყოფიერება:

— სწავლა გარემომცველ დროსთან პირადი დროის არგათანაბრებისა — დროის სოციალურ ჩარჩოთა დამსხვრევა;

— სწავლა საგანთა დროსთან ჩვენი კუთვნილი დროის არგათანაბრებისა — დროის ფენომენალურ ჩარჩოთა დამსხვრევა;

— სწავლა — ეს კი მძიმე გამოცდაა — სიცოცხლის დროსთან ჩვენი პირადი დროის არგათანაბრებისა — არცოდნა იმისა, ფეთქავს

თუ არა გული, ჯვალღლვებს თუ არა სიხარული — დროის ვიტალურ ჩარჩოთა დამსხვრევა.

მხოლოდ ასე, ცხოვრების პერიფერიის დატოვებით, გახდება შესაძლებელი საკუთარ თავში ავტოსინქრონული რეფერენცია. მოულოდნელად მთელი სიბრტყითი ჰორიზონტალობა იშლება, დრო უკვე არა მხოლოდ მიედინება, არამედ მიჩუხჩუხებს.

III

ზოგიერთი პოეტი, მაგალითად მალარმე, პოეტური წამიერების შეჩერების ან დაუფლების მიზნით, — ახდენს რა სინტაქსის ინვერტირებას, აჩერებს ან შლის რა პოეტური წამიერების შედეგებს, — უხეშად უსწორდება ჰორიზონტალურ დროს. გართულებული პროსოდიები ნაკადულს რიყის ქვებით უხერგავენ გზას, რათა ფურთუნმა წყლის წრებრუნვა წარმოშვას, მალარმეს კითხვისას ზოგჯერ რეკურენტული, ამოწურულ წამიერებებთან ერთად დამთავრებული, დროის შეგრძნება გვეუფლება. და წამებს, რომლებიც უნდა გვეცხოვრა, დაგვიანებით შევიგრძნობთ; განცდა მით უფრო უცნაურია, რომ მას არ ახლავს მცირეოდენი სინანულიც კი, გაწბილება ან ნოსტალგია. ეს განცდა შექმნილია უბრალოდ *გამოშუშავებული დროით*, რომელსაც ზოგჯერ ხელეწიფება ექოს აზიდვა ბგერამდე, და უარყოფა — მიღებასთან ერთად.

სხვა, უფრო ბედნიერი პოეტები, სრულიად ბუნებრივად მოიხელთებენ შეჩერებულ წამს. ბოდლერი, ჩინელთა მსგავსად, ჟამს კატის თვალში ჰვრეტს, ჟამს უგრძნობელს, სადაც ვნება იმდენად სავსეა, რომ ამ უკანასკნელს ზიზღსაც კი ჰგვრის თვითგანხორციელება: „მისი გასაოცარი თვალების სიღრმეში ყოველთვის ნათლად გამოვარჩევ ჟამს, ერთსა და იმავე, სივრცესავით უკიდეგანო, მოზეიმე, დიად ჟამს, წუთებად და წამებად დაუნაწევრებელს, — ჟამს უძრავს, ციფერბლატზე აღუნიშნავს...“ წამიერების ასე ჰაეროვნად მარეალიზებელ პოეტთა ლექსები კი არ იშლებიან, არამედ იფურცლებიან, ნება-ნება იკვანძებიან. ამ პოეტთა დრამა განუხორციელებელი რჩება. მათი ბოროტება უშფოთველი ყვავილია...

შეღამისას, როცა სრულ წონასწორობას მიაღწევს და აღარაფერს მოელის დროის სუნთქვისგან, პოეტი უაზრო ცხოვრებისგან თავისუფლდება; ყოფნა-არყოფნის აბსტრაქტულ ამბივალენტობას შეიგრძნობს იგი. სიბნელეში უკეთ ხედავს საკუთარ ნათელს. განმარტოების მისთვის მოაქვს ეული აზრი, აზრი განუფენტავი და თავმოყრილი, აზრი, რომელიც ორთქლდება და მოიპოვებს სიმშვიდის სრულ ეგზალტაციაში.

ვერტიკალური დრო ორთქლდება. მაგრამ ზოგჯერ ილუზიის კიდეც მისთვის, ვინც „ყორანის“[2] კითხვა იცის, შუაღამე ჰორიზონტალურად აღარ ჩამორეკს — იგი სულში რჩება, უფსკრულს დასანთქმელად გადაშვებული. იშვიათია ღამე, როცა მე ვბედავ ბოლომდე ლოდინს, მეთორმეტე ჩამოკვრამდე, მეთორმეტე ჭდემდე, მეთორმეტე მოგონებამდე... და მაშინ მე სიბრტყეზე გაშლილ დროს ვუბრუნდები; *საკუთარ თავს ვაგროვებ*, და ვუბრუნდები ცოცხლებს, სიცოცხლეს. რათა იცოცხლო, ნიადაგ აჩრდილებს უნდა ლალატობდე...

ვერტიკალური დროის ღერძზე, რომელიც დაღმა დამართულა, ასხმულია დროულ მიზეზობრიობას მოკლებული, ყველაზე მძიმე ტანჯვები, გულის უმიზნოდ განმსჭვალავი და მარად დაუმცხრალი. ხოლო მაღლა აწრაფებულ ვერტიკალური დროის ღერძზე ნუგეშია მიმაგრებული, იმედს მოკლებული, უცნაურად პირველქმნილი ნუგეში, მფარველს მოკლებული ნუგეში. მოკლედ, ყოველივე, რაც ჩვენ მიზეზისგან და ჯილდოსგან გვმიჯნავს, ყოველივე, რაც გამორიცხავს ინტიმურობას და თვით გულისთქმას, ყოველივე, რაც აუფასურებს ერთდროულად წარსულსაც და მომავალსაც, — თავმოყრილია პოეტურ წამში.

თუ თქვენ ვერტიკალური დროის მცირედი ფრაგმენტის შესწავლას მოისურვებთ, დააკვირდით თუნდაც *ნათელი სევდის* (regret souriant) პოეტურ წამიერებას, წამს, როცა ღამე ძილს ეძლევა და მწუხრს აღედებს, როცა საათი ძლივსღა სუნთქავს, როცა მარტოობა უკვე თავადვეა სინდისის ქენჯნის ტოლფასი! *ნათელი სევდის* ამბივალენტური პოლუსები თითქმის ურთიერთს ეხებიან. უმცირესი რხევაც კი მათი ურთიერთშენაცვლების საწინდარია. ასე, რომ, *ნათელი სევდა* ნიშანია მგრძნობიარე გულის გაორებული მდგომარეობის. თუმცა, ამასთან ერთად, აშკარაა, რომ მას ურთიერთობა აქვს ვერტიკალურ დროსთან, რამდენადაც მისი არც ერთი მხარე სხვას წინ არ უსწრებს. გრძნობა აქ შექცევადია, ან უფრო ზუსტად, ყოფიერების შექცევადობა აქ სენტიმენტალიზირებულია: ნათელი გრძნობა სევდიანია, ხოლო სევდა მზადმყოფია ღიმილისა და ნუგეშისცემისთვის, გამოხატულ დროთაგან არც ერთი არ წარმოადგენს მეორის მიზეზს, რასაც ამტკიცებს თანმიმდევრულ, ე. ი. ჰორიზონტალურ დროში მათი გამოხატვის სიძნელე. და მაინც, ერთსაც და მეორესაც აქვთ განხორციელების მომენტი, რაც მხოლოდ — ვერტიკალის დონეზე მიიღწევა, მხოლოდ — მაღლა სწრაფვითა და იმის შეგრძნებით, თან-

დაათანობით როგორ უკუიქცევა სევდა, და საკუთარ აჩრდილებს გამომშვიდობებული სული როგორ ოროქლდება. სწორედ მაშინ „ყვავილობს ბოროტება". გამჭრიახი მეტაფიზიკოსი ნ ა თ ე ლ ს ე ვ დ ა შ ი ც კი აღმოაჩენს ბოროტების ფორმალურ სილამაზეს: იგი სწორედ ფორმალურ მიზეზობრიობას უნდა გაჰყვეს, რაც მას იმ დემატერიალიზაციის ღირებულებას გააგებინებს, რომელშიც პოეტური წამი საკუთარ თავს ცნობს. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ფორმალური მიზეზობრიობა ვერტიკალური დროის მიმართულებით, წამიერების შიგნით, მიედინება, ხოლო მოქმედი მიზეზობრიობა (აჯგუფებს რა სხვადასხვა ინტენსივობის წამიერებებს) — ცხოვრებაში, საგნებში, ჰორიზონტალურად.

ცხადია, წამიერების პერსპექტივაში ჩვენ გაცილებით ხანგრძლივი ამბივალენტობების დათმენაც ძალგვიძს: „ჯერ კიდევ ბავშვმა საკუთარ გულში აღმოვაჩინე ორი ურთიერთსაპირისპირო გრძნობა: სიცოცხლის საშინელების და სიცოცხლით აღტაცების". დროს სწორედ ეს წამები აჩერებენ, როცა შესაძლებელი ხდება მსგავსი გრძნობების ერთბაშად განცდა, რამეთუ მათი ერთდროულად განცდა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ისინი სიცოცხლისადმი მოჯადოებული ინტერესითაა გამოწვეული. მათ ყოფიერება ჩვეულებრივი დროის გარეთ გააქვთ. თანმიმდევრული დროის ჩარჩოებში შეუძლებელია ასეთი ამბივალენტობის აღწერა, როგორიც სიხარულთა და წარმავალ ტანჯვათა ბანალური დასასრულისა. ასეთივე მძლავრი, ასეთივე ფუნდამენტური დაპირისპირებულობები თავისუფლდებიან უშუალო მეტაფიზიკოსისგან. მათი ამოფრქვევის დათმენა ერთ წამში შეიძლება, ფრენისას და ვარდნისას, რომლებიც უმალ ერთმანეთს გამორიცხავენ: ცხოვრებისადმი ზიზღმა შეიძლება საბედისწეროდ გვტაცოს ხელი სწორედ უმაღლესი აღტაცების მომენტში, ისე, როგორც სიხარულმა — უბედურების ჟამს. განწყობილებათა მონაცვლეობა, რასაც ჩვენი ჩვეულებრივი ცხოვრება ემორჩილება (მთვარის ფაზათა ცვლის გავლენით), ისე, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო სულიერი მდგომარეობანი, — მარტოდენ პაროდიაა ფუნდამენტურ ამბივალენტობაზე. მხოლოდ წამიერების ულრმესი ფსიქოლოგიის ძალუძს პოეტური დრამის ამოსავლობად აუცილებელი სქემები წარმოგვიდგინოს.

IV

და მაინც, სასწაულია, რომ საუკეთესო პოეტი ყოფიერების გადამწყვეტ მომენტთა ნაკვეზე ფაქიზად მომხელთებელი, შ ე ს ა ბ ა მ ი ს ო ბ ა თ ა პოეტი იყო. ბოდლერის შესაბამისობა არ წარმოადგენს, საპირისპიროდ გავრცელებული აზრისა, გრძნობათა ანალოგების კოდის მომცემ ტრანსპონირებას [illegible] წამში იგი თითქოსდა მთელ ხელშესახებ კონფიგურებას აჯამებს, როცა სუნის, [illegible] მომცველ, ხელშესახებ [illegible] მოძრაობაში მოაქცევთ ერთობ მორიგულ და ულრმესი ერთდროულობები. სწორედ ისეთ ორეროთობაში, როგორიცაა დღე და ღამე, თავის თავს აღმოაჩენს სიკეთისა და ბოროტების ორმაგი მარადისობა. სინათლისა და სიბნელის მიმართ ცნება „უკიდეგანოს" გამოყენება სულაც არ ნიშნავს მათ სივრცობრივ აღქმას. სინათლე და სიბნელე ბოდლერის მიერ მოიხსენიება მათი მთლიანობის, და არა მათი განფენილობის ან უსასრულობის, გამო. სიბნელე არაა სივრცე, იგი მარადისობის საფრთხეა. სიბნელე და სინათლე გაყინული, დამდგარი წამები არიან, ერთდროულად შავი და ნათელი, მხიარული და მწუხარე. არასოდეს პოეტური წამიერება ისე სრულად არ გამჟღავნებულა, როგორც — ამ ლექსში, სადაც ერთმანეთს ერწყმის უკიდეგანობა დღისა და უკიდეგანობა ღამის. არასოდეს ფიზიკურად ასერიგად საცნაური არ ყოფილა გრძნობათა ამბივალენტობა, პრინციპთა მანიქეველობა.

საკითხთა ამ კრილში განხილვას მოულოდნელად იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი ზ ნ ე ო ბ ა მ ყ ი ს ი ე რ ი ა. მორალის კატეგორიული იმპერატივი დროსთან არაა დაკავშირებული. იგი არ შეიცავს არც ერთ გრძნობად მიზეზს, არ მოელის არავითარ შედეგს. იგი მიემართება პირდაპირ, ვერტიკალურად, ფორმისა და პიროვნების დროში. არ ეძლევა რა სუბიექტისა და ობიექტის განლეჩის უხეშ ფილოსოფიურ დუალიზმს, არ აძლევს რა თავის თავს მოვალეობისა და ეგოიზმის ორსახოვნების პირისპირ შეჩერების უფლებას, პოეტი უშუალო თანამგზავრი ხდება მეტაფიზიკოსის, რომელიც მყისიერ კავშირთა სიდიადის, თავგანწირვათა დაუცხრომლობის ამოცნობას ესწრაფვის. პოეტი გაცილებით ნატიფ დიალექტიკას ასულიერებს. ერთდროულად, ერთიან წამიერებაში, იგი ფორმისა და პიროვნების მთლიანობას ამხნელავს. იგი ამტკიცებს, რომ ფორმა პიროვნებაა, ხოლო პიროვნება ფორმა. მაშასადამე, პოეზია წარმოსდგება, როგორც ფორმალური მიზეზის წამიერება, პიროვნული ძალმოსილების წამიერება. მას აღარ აინტერესებს რაც აკუწებს

1. ბოდლერი
2. [illegible]
3. ბოდლერი

ან გაიქცევს, — დრო, რომელიც ექოს განაბნევს და ფანტავს. იგი წამიერებას ეძიებს. იგი მხოლოდ წამიერების საქციელებს განიცდის. იგი ქმნის წამიერებას. წამიერების მიღმა მხოლოდ პროზა და სიმღერა არსებობს. და მხოლოდ შეჩერებული წამის ვერტიკალურ დროში ივსება პოეზია თავისი განსაკუთრებული ენერგიით. არსებობს წმინდა პოეზიის წმინდა ენერგია. და იგი ვითარდება ვერტიკალურად, ფორმისა და პიროვნების დროში.

## შაგალის ბიბლიის შესავალი

### I

თანამედროვე მზერა, მხატვრის მზერა, ყოველი საგნისთვის სინათლისა და ბრწყინვალების მიმნიჭებელი, ამ წიგნის ნებისმიერი გვერდიდან ლეგენდარული ისტორიის უდუმალეს სიღრმეებს სწვდება. სიცოცხლით სავსე ეს თვალები მოიხელთებენ ყოველივე დიადს წარსულში: ისინი აღმოაჩენენ, ისინი განჭვრეტენ, ისინი ჩვენს ყურადღებას მიაპყრობენ იმათ, ვინც იყო მაშინ, როცა სიცოცხლე ჯერ მხოლოდ იწყებოდა; ისინი, თითქოსდა, ჩვენთვის აცოცხლებენ უძრაობის იმ დიად დროს, რომლის შვილები გაცილებით გვიანდელ ეპოქათა გადმოსახედიდან ზეადამიანურ - არსებებად მოგვეჩვენებიან. დიახ, მარკ შაგალი ის მხატვარია, რომელმაც, მსგავსად სამყაროს შემოქმედებისა, იცის, როგორ განალაგოს ფერები — — წითელი და ქინძისფერი, მუქლურჯი და სადაფისფერი — რომლებიც სამოთხის დროის ფერებია. შაგალი კითხულობს ბიბლიას, და მისი ნებისმიერი კითხვა მყისვე ბრწყინვალებად გადაიქცევა. მისი ფუნჯი, მისი ფანქარი, ბიბლიას, ბუნებრივად და უბრალოდ, აქცევს ხილულ სახეთა წიგნად, პორტრეტთა წიგნად. ამ წიგნში თავმოყრილია კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოჯახის წევრთა პორტრეტები.

ადრე, კითხვის დროს განმარტოებული, წმინდა წიგნს რომ ვუფიქრდებოდი, ამ წიგნის ხმა ჩემში ისეთი სიძლიერით ჟღერდა, რომ მის მიღმა თითქმის ვერ ვარჩევდი კონკრეტულ თანამოსაუბრეს. ჩემს წარმოდგენაში ყოველი წინასწარმეტყველი თავისავე წინასწარმეტყველებას შეერთოდა. ხოლო ახლა, შაგალის ილუსტრაციების გათვალისწინებით, მე ამ უძველეს წიგნს სხვაგვარად ვკითხულობ. გაცილებით ნათლად მესმის. რამეთუ გაცილებით ნათლად ვხედავ, რამეთუ შაგალი ნათელმხილველია: მან ჩვენამდე მეტყველი ხმა მოიტანა.

გულახდილად რომ ვთქვა: შაგალმა ჩემი სმენა გაანათლა.

### II

გენიალური მხატვრისათვის, [illegible] ფორმათა შემოქმედისათვისაც კი, [illegible] პრივილეგიაა სამოთხის ხატვის შესაძლებლობა! თვალისთვის, რომელსაც [illegible], რომელსაც ჰერეთა უყვარს [illegible] სამოთხეს წარმოადგენს. შაგალს უყვარს სამყარო, რამეთუ შაგალს მასში წვდომა ხელეწიფება, რამეთუ შაგალმა სხვებისთვის მისი ჩვენება ისწავლა. სამოთხე გამოგონებული ფერების სამყაროა. ახალი ფერის გამოგონება — ეს მხატვრისთვის ჭეშმარიტად სამოთხისეული ტკბობაა! სწორედ ასეთ მდგომარეობაში მყოფი მხატვარი ა ღ ა დ გ ე ნ ს (regarder); იმას, რასაც ის ვერ ხედავს: ის ქმნის. ყველა მხატვარს თავისი სამოთხე აქვს, ვისაც ფერთა ურთიერთთანხმობაში მოყვანა ძალუძს, მისთვის ჭეშმარიტად საცნაური სამყაროს ჰარმონია. სამყარო, პირველ ყოვლისა, მშვენიერი სურათია.

სამოთხეზე ნებისმიერი მეოცნების თავდაპირველ ზმანებებში დედამიწის ყოველი ცოცხალი არსება ფერის სილამაზითაა გაკეთილშობილებული და სიმშვიდეფენილი, ყოველი ქმნილება წმინდაა, რამდენადაც ის ლამაზია, ყველა ერთად ცხოვრობს; თევზები ჰაერში დაცურავენ, ფრთოსანი ვირი ფრინველებს ამოსდგომია მხარში; ყველივე, რაც შექმნილა, მტრედისფერ სამყაროდ ალივლივებულა. სცადეთ ამ მწვანე ვირის ნატვრით განიმსჭვალოთ: იგი ზეცაში ლივლივზე ოცნებობს, იგი ოცნებობს მტრედად იქცეს და თვალშეუდგამ სილურჯეში თან წარიტაცოს დედამიწაზე მოწყვეტილი შროშანის კეთილსურნელება.

მაშ ასე, სამოთხის უმნიშვნელოვანესი განზომილება ამაღლებაა. ყოველთვის ამის გადმოცემას პოეზია ცდილობდა. შაგალის ნებისმიერი სურათი კი ყოველთვის ამას თავს უყრის და ერთბაშად იტევს. ერთადერთი სურათიც კი ამოუწურავად საუბრის საშუალებას იძლევა. ფერები სიტყვებად იქცევიან. ვისაც ფერწერა უყვარს, მან მშვენივრად იცის, რომ ფერწერა სიტყვათა თავწყაროა. პოემათა თავწყაროა. ვინც ქაღალდზე გაფერადებული სამოთხის წინ ოცნებობს, იგი ქებათაქების გალობას ისმენს. ფორმათა და ფერთა თანხმობა ჭეშმარიტად ნაყოფიერი კავშირია. მხატვრის ფუნჯი, მსგავსად ღმერთის მარჯვენისა, ცოცხალ არსებათა სამყაროს ქმნის. პირველი ცხოველები შესაქმის წიგნიდან — ესაა სიტყვები ლექსიკონიდან; ეს სიტყვები ღმერთმა ასწავლა ადამიანებს. მაგრამ მელექსისთვისაც საცნაური შემოქმედის იმპულსები. ჩვენ კარგად ვგრძნობთ, როგორ აღელვებს იგი ზმნა „შემოქმედება" ყველა დროში; მან იცის, რას ნიშნავს შემოქმედების ბედნიერება.

და კიდევ, რაოდენი სიხარულის მომგვრელია ჩვენთვის იმ მხატვრის ხილვა, რომელიც სწრაფად ქმნის. რამეთუ შაგალი ჭეშმარიტად სწრაფად მქმნელია. ეს დიდი საიდუმლოა — შეგეძლოს სწრაფად შექმნა. ცხოვრება არ იცდის, იგი არ გაიაზრებს. არავითარი ჩანახატი, ყოველთვის განათება. შაგალის ყოველი არსება განათების ნაყოფია. თავის კოსმიურ სურათებშიც კი იგი ცხოვრებისეული საწყისის მხატვრად რჩება. მისი სამოთხე ცოცხლობს. ათასობით ჩანჩალაკი წკრიალებს ცაზე სწრაფფრთიან ფრინველთა ფრენის ძალით. შაგალთან თვით პაერიც ფრთიანია.

III

და სამოთხეში, სიტყვის ნაცვლად სიმღერით მეტყველ ფრთოსანთა შორის, იბადება ადამიანი, ადამიანი, გაჩენილი მამაკაცისა და ქალის სახით როგორც ამას შესაქმის წიგნი გვაუწყებს (1,26-28). ანდროგინზე ოცნება წიგნში მრავალგან მჟღავნდება. სხეულები ერთ მთელად შერწყმულან; სანამ განიწვალდებიან, ისინი ერთიანი არიან. ამის გამო ღრმა ფიქრს მიცემული შაგალი მამაკაცს და ქალს ცთუნების მომენტში არ განაცალკევებს. ევა ოდნავ წინაა მაგრამ ადამი მას არ აკავებს. ევაში ისახება „აზრი" ვაშლის შესახებ, ადამის ხელი კი იქვეა, იგი უკვე გაწვდილია ვაშლისკენ. მხატვარი აქ მათი ერთობლივი ცთუნების უღრესად ფაქიზ ფსიქოლოგად გვევლინება. როცა გველი მეტყველებს, ადამი ოდნავ მოშორებით დგას. მაგრამ იგი მომსწრეა, რაოდენი ფსიქოლოგიური სიფრთხილით ხდება გამოგზავნილი ცთუნების გადმოცემა! ასე ხომ არ მიმართავს შაგალის ადამი ევას: „მიდი, მშვენიერო, შეიცან ცთუნება, მხოლოდ ცთუნება, მიესათუთე, ოღონდ ნუ მოწყვეტ". ან, უფრო ზუსტად: „არ მოწყვიტო, მხოლოდ მიესათუთე..." მხატვარი, — აღტაცებული იმით, რასაც ხედავს, — თავად განიცდის ყველაფერ ამას; იგი თავისი მზერით სწორედ რომ ეფერება და ელერსება სამყაროს მშვენიერ ნაყოფს, მაგრამ არ კი წყვეტს.

მაშ ასე, ჩვენს წინაშეა ადამიანური ბედისწერის ერთ-ერთი დიად „წამიერებათაგანი". მხატვარი თითქოსდა აცოცხლებს ლეგენდის გადამწყვეტ მომენტს. მისი სურათი ღიაა ნებისმიერი ინტერპრეტაციისთვის. სიტყვები სურათზე აღბეჭდილი ოცნების შესაბამისად ჩნდებიან. ჩვენ ვ ხ ე დ ა ვ თ ცთუნებას, მაგრამ ნებისმიერი ჩვენთაგანი თავისებურად გამოთქვამს ამას. არიან მეოცნებენი, რომელნიც მაცთუნებელი ხმის მისაყურადებლად განიმსჭვალებიან, რათა გველს დაეხმარონ. შაგალმა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მოსაუბრე სცენა წარმოგვიდგინა. მის ფანქარს მიდევნებულები, ჩვენ, ყველანი, ასე თუ ისე, ცთუნების ამ დიდი დრამის მონაწილენი ვხდებით.

მაგრამ ქალმა მოწყვიტა ვაშლი, და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა სამოთხე დაკარგულიყო. ამიერიდან ღმერთი-შემოქმედი ხდება ღმერთი-მსაჯული. შაგალი თავის სურათებში სწორედ ამ რევოლუციას ასახავს, ღმერთისა და კაცის დონეზე. ღმერთი ზეცაში შურისძიების სიმბოლოდ წარმოსდგება. განრისხებული ღმერთის მიერ შემართული კვერთხის მხილველი ევა და ადამი იძულებულნი ხდებიან გაიქცნენ.

ყურადღება მიაქციეთ შაგალის სიკეთეს: როცა ღმერთი (ერთ-ერთ ფერად სურათზე) ევას წყევლის, აღთქმის გატეხვით თავზარდაცემული ქალის წინ შაგალმა გაოცებული კრავი დახატა. შაგალის ეს ცხოველი, რომელიც ვირისა და კრავის ნარევია, ეს ცხოველი-ანდროგინი, მის მრავალ ტილოზე გვხვდება. ცხოველთა უცოდველი სიმშვიდის ერთგვარი ნიშანია აქ საცნაური, და ხომ არ მიუთითებს იგი ცხოვრების სიხარულის გამო ადამიანის დრამატულ პასუხისმგებლობაზე?

როგორც უნდა იყოს, ჩვენს წინაშეა დაკარგული სამოთხე. ხოლო ბიბლია ამის მერე მხოლოდ იმ გზათა შესახებ მოგვითხრობს, ხალხს რომ მოელის. წინასწარმეტყველნი ამის მერე ილაღადებენ კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიად ბედზე: ძველი ისრაელის ბედზე.

V

ისრაელის ისტორია დიდ პიროვნებათა მოღვაწეობის ისტორიაა. მშვიდობის ჟამია აღბეჭდილი მათ სახეებზე. სწორედ სახეებს ეძღვნება მხატვრის შრომა. მარკ შაგალი ბედისწერის გმირებს გვიჩვენებს; იმათ, რომელთაც ერთი ცეცხლოვანი მზერით ძალუძთ ხალხის გამთლიანება და მართვა. ჩვენს წინაა ჭეშმარიტად ადამიანური შთაგონების წიგნი. შაგალი, რამდენადაც ბევრს ხატავდა და „კარგად" ხატავდა, ფსიქოლოგი გახდა: მან შეძლო წინასწარმეტყველთა ინდივიდუალური თვისებებით ნიშანდება.

რამდენი წლის იყო თავად შაგალი, როცა იგი წინასწარმეტყველებს ხატავდა? ჩვეულებრივ, მხატვრებს არ უყვართ, როცა მათ მეშვიდე ათწლეულს შეახსენებენ. მაგრამ როცა ფანქრით ხელში, აჩრდილებთან და გარდასულთა საიდუმლოსთან პირისპირ მდგომს, ვუმზერთ, ნუთუ არ შეიძლება შაგალს ხუ-

ათასამაი წელი მიეცეთ? იგი ათასწლეულების რიტმით ცხოვრობს. იგი ტოლი და სწორია მათი, ვისაც განჭვრეტს. ის ხედავს იობს, ხედავს რახელს! თავისი რახელის მზერადაა იგი ქცეული. რა უნდა მოხდეს ისეთი ათასწლეულთა გამაცოცხლებელი მხატვრის სულში, რომ მისმა მაგმა ხაზებმა ესოდენი სინათლე გამოასხივონ?

ამ წიგნს ნაჩქარევად ნუ გადაფურცლავთ. დიად გვერდთაგან ნებისმიერზე დატოვეთ იგი გადაშლილი; გვერდზე, რომელიც „რაღაცას გვუბნება", და თქვენ დროის ეს დიადი ზმანებანი დაგეუფლებათ. ათასწლეულთა ნატვრას შეიცნობთ. შაგალი თქვენც მიგაახლებთ ასეთ; ის დაგარწმუნებთ, რომ თქვენც შეგიძლიათ ხუთი ან ექვსი ათასი წლის იყოთ. ათასწლეულთა ყომრალში შეღწევა არც რიცხვთა შეთხზვითაა შესაძლებელი, და არც მაშინ, როცა ისტორიის გაჭიმულ ზოლს მივდევთ. არა, საჭიროა ხანგრძლივი ოცნება იმის შეგნებით, რომ სიცოცხლეც ნატვრაა და სხვა არაფერი, — რათა ის, რაზეც ვოცნებობთ, იმის მიღმა აღმოჩნდეს, რაც ჩვენ ვიცხოვრეთ და რაც ჭეშმარიტი და ცოცხალია; აი, მთელი თავისი სამართლიანობით წარმომსდგარა იგი ჩვენ თვალწინ. პირადად მე ასეც ვოცნებობ შაგალის ზოგიერთი სურათის წინ და ვერ გამიგია, რომელ ქვეყანაში ვიმყოფები და დროის რა სიღრმემდე დავძირულვარ. ან რა ხელი მაქვს ისტორიასთან, თუ წარსული აი, აქვეა, ჩემ წინაშე, — რამეთუ წარსული (მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩემი არაა) ეს-ესაა ჩემს სულში განმტკიცდა და უსასრულო ზმანებებს ბადებს. ბიბლიური წარსული — ეს სინდისის ისტორიაა. დროის სიღრმეს აქ მორალურ ღირებულებათა სიღრმე აორკეცებს. სწავლული-პალეონტოლოგები ჩვენ სულ სხვა ისტორიის შესახებ მოგვითხრობენ. მათ ხელთ უპყრიათ რიცხვები, რომლებიც ოდესღაც არსებულთა, ხოლო ამჟამად ნამარხთა, სიცოცხლის მათ მიერ შემუშავებულ ზუსტ კალენდარს შეესაბამება; ისინი მეოთხეული პერიოდის ადამიანის შესახებ მოგვითხრობენ. მე შემიძლია ნათლად წარმოვიდგინო, უმი ხორცის მჭამელი, ცხოველის ტყავით შემოსილი ეს არსება. მე შემიძლია ყველაფერი ეს წარმოვიდგინო, მაგრამ არ შემიძლია, არ ვიოცნებო. ოცნების დასაწყებად კი ადამიანად ქცევაა საჭირო. განკაცებაა აუცილებელი. გადავაადგილებთ რა ჩვენს მეხსიერებაში დაბუდებულ ფიგურებს, წინაპართა პერსპექტივაში ჩვენი თავის მოსახილველად წინაპრად ყოფნაა აუცილებელი. შაგალის წიგნში წარმოდგენილი ყველა სახე ხასიათითაა ნიშანდებული. ხოლო როცა მათ განვიხილავთ. გვეუფლება დიადი ოცნება ზნეობრიობაზე.

და როცა გვსტუმრობს ეს ოცნება, ჩვენ ისტორიის მიღმა აღმოვჩნდებით ხოლმე, ფსიქოლოგიის საზღვრებს მიღმა გავდივართ. შაგალის მიერ გამოსახული პერსონაჟები — მორალური არსებები არიან, მორალური ცხოვრების მაგალითები არიან. მათ ირგვლივ შექმნილი გარემოებანი არამც და არამც არ არღვევენ ცენტრალურ სახეს. ადამიანის მორალური ბედი აქ დიად ინიციატორებს მიაკვლევს. უხსოვარ დროთა ოცნებები მუდმივობის შთაბეჭდილებას ტოვებენ ჩვენზე. ზნეობრიობის ეს წინაპრები სიცოცხლეს ჩვენში განაგრძობენ. დრომ ვერ შეარყია ისინი. ისინი თითქოსდა მთელი თავიანთი დიდებულებით გაყინულან. დროის მსუბუქი ტალღები მორალური ცხოვრების წინაპართა ჩვენშიერი მოგონებების ირგვლივ მშვიდდებიან. ჩვენივე მორალური ცხოვრების სიმტკიცის კვალობაზე, დრო ჩვენი სულის ამა თუ იმ სიღრმეზე მოთავსებულა. ბიბლია ჩვენ წინაშე მარადისობის ისტორიის კარიბჭეს განხვნის. შაგალის წინასწარმეტყველის შესახებ განაზრების ჟამს, ძალიან ხშირად ბაგეზე რემბოს ლექსი მომადგება:

იგი კვლავ ნაპოვნია!
რა? მარადისობა!

## VI

მაგრამ რათა ძირით-ძირამდე განვიცადოთ ილუსტრირებული ნაწარმოებით მოგვრილ ოცნებათა მთელი სიმდიდრე, რათა გავწყვიტოთ ძაფი იმ ისტორიის, რომელიც აზრთა მომცემი უფროა, ვიდრე — სახეთა, ვფიქრობ, — საჭიროა ვიყოთ რისკიანები და არ ვიზრუნოთ გვერდების ნუმერაციულ წესრიგზე. სწორედ ამ სახით ორგანიზებულიყავი ჩემი სიამოვნება.

მაშ ასე, ვიდრე წინასწარმეტყველთ მივეახლებოდეთ, მსურს გავიზიარო შაგალის აღტაცება, როცა იგი ბიბლიის ქალებს ხატავს. ქალისეული ს უ ლ ი ს ძალა ბიბლიის ფურცლებზე, უდავოდ, მ ა მ ა კ ა ც უ რ ი სულის ფონზე წარმოსდგება. საკმარისია განვიცადოთ ქალური სიმტკიცე, რომ მაშინვე ვიგრძნოთ ქალის საბედისწერო ქმედება — ძლიერი და სათუთი ფიგურები გამოვლენ სიბნელიდან. რამდენი სიხარულის მომგვრელია ჩემთვის იმის ხილვა, თუ როგორ ჩნდებიან ცოცხალი სახელები, რომლებიც ოდესღაც ფრანგი მოწაფისთვის ოცნებათა ნავსაყუდელს წარმოადგენდა. ერთობ ნაჩქარევად : ვფურცლავდი ამ წიგნს, ვიდრე იმ გვერდებს არ მივადექი, რომლებზეც ჩაძინებული ბოოზის ისტორიაა გა-

მოსახული. და მე ვიხილე რუთი, გაცილებით უბრალო და გაცილებით ნამდვილი, ვიდრე ერთ დროს წარმომედგინა. ამ თვალსაზრისით, მე ვტკბებოდი — თუ შეიძლება ასე ითქვას — ჰიუგოსა და მარკ შაგალის თავისებური სინთეზით. მკის ალოზე თავთავის შემგროვებელი ჩემი ოცნების მწვერვალზე მოვაქცევდეს, სამკალ მანქანათა და ძნასაკრთა ეპოქაში, ჩვენ დავკარგეთ თავთავის არსი. მაგრამ შაგალის მეოხებით ისევ ვიხსენებთ, რომ საჭიროა მრავალი დაკარგული თავთავი, რათა ერთი კონა გაჩნდეს, და რომ თავთავის კეთილი შემგროვებელი შესაძლოა, მრავლისთმენის ნიჭის წყალობით, უკიდეგანო სამფლობელოთა ბატონის მეუღლე გახდეს. მხატვარი, მსგავსად პოეტისა, სათავეთა დიდებულებისაკენ მიგვაქცევს. ჩვენ უბრალოების სამყაროში შევდივართ. წელში გამართული ეს ქალი, რომლის თავზეც თავთავის ძნა საოცრად მოხერხებულად მოთავსებულა, იქნებ თავთავის ქალღმერთია (ყოველგვარი ალეგორიის გარეშე), პურის მომცემ ადამიანს ცოლობას რომ შეპირებია?

ქალები, რომლებსაც შაგალი ხატავს, უაღრესად ინდივიდუალიზირებულნი არიან. მე შემიძლია მათი მაღალი ხასიათის დამადასტურებელი მრავალი მაგალითის მოხმობა. ყურადღებით დააკვირდით მოსესა და მის მეუღლეს, სეფორას. ვგრძნობთ, რომ თითქმის კეკლუცია იგი, სეფორა, კეკლუცი მოსეს წინაშე, — რა სითამამეა! სურათი იმდენად უცნაურია, რომ მიუხედავად ჩემი დიდი ყურადღებისა, არ მესმის წინასწარმეტყველის მიერ თქმული არც ერთი სიტყვა.

როგორც უნდა იყოს, შაგალის ქალებმა უწყიან თავიანთი საკვირველების შესახებ. ისინი მამაკაცთა მზერას უსმენენ. მზერა, მსგავსად სიტყვისა, მათ გადაწყვეტილების მიღებას აიძულებს: უბიძგებს მათ იმისკენ, რომ ისრაელის ბედს მისდიონ. დააკვირდით ესთერისადმი მიძღვნილ გვერდებს. მარდოქაი ორჯერ უმზერს მას: პირველად — როცა ესთერი თითქოსდა ერთგვარ ღრუბლოვან მოჩვენებად, ზეციდან ჩამოსულ ხილვად წარმოუდგება, მეორედ კი — მაშინ, როცა ესთერი მის გვერდით დგება, ხოლო მარდოქაი ნათელი და ცოცხალი მზერით არწმუნებს დაეჭვებულ ესთერს: „ხელი შეახე მეფის კვერთხს და შენ იხსნი შენს ხალხს". ესთერი აქაა, იგი გაუნძრევლად დგას, ფერმკრთალი და შეცბუნებულია, ვერ გადაუწყვეტია. და ბოლოს, იგი ქალური გმირობის უმაღლესი აქტის აღმსრულებელი ხდება. იგი ზეადის ისე, როგორც გოლგოთაზე ადიან.[2] ამ დრამიდან რასინმა ტრაგედია შექმნა,[3] შაგალი კი ამ ტრაგედიის სამ ფურცელზე გამოსახავს. ხოლო ჩვენ, მეოცნებენი, ისღა დაგვრჩენია, ამ ფურცელ-ნახატთა შესახებ ვიუბნოთ. ვიუბნოთ ხელოვნების ამ განსაცვიფრებელი ძალის შესახებ, რომელსაც ძალუძს მოვლენათა სიცოცხლის გადამწყვეტი წამები, წამები როცა ბედი იქმნება. მე აქ ის [illegible] აღმოვაჩინე, რომელსაც შეუძლია [illegible] იყოს. მარდოქაის მზერა მაჰიპნოზირებს. შაგალის მიერ დახატული ტრაგედია მზერის ტრაგედიაა, მარდოქაის რომ ასეთი შავი თვალები არ ჰქონოდა, მსოფლიოს ისტორია სახეს შეიცვლიდა. აი, ქალის ცხოვრების სხვა დრამა, გაცილებით უბრალო და გაცილებით ჩვეულებრივი. სურათზე იგი გამოკვეთილი და ხაზგასმულია: როცა სარა აგარს აძევებს, მხატვარი, პირველ ყოვლისა, გვიჩვენებს კანონიერი ცოლის უკიდურეს მრისხანებასა და პატრონის მიერ ცთუნებული მსახური ქალის მწუხარებას, მაგრამ მომდევნო გვერდებზე დაკვირვებისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ლტოლვილი სულ უფრო იზრდება ჩვენ თვალწინ. იგი უდაბნოში თან წარიტაცებს ყველაზე დიდ განძს: აბრაამის ძეს. აგარი საოცრად ლამაზია. ეს წიგნის ის გვერდია, როცა სიმარტოვის სიჩუმეს მიცემული აგარი თავის ყრმას, ისმაელს, ეალერსება. ხომ არ ჩაესმის აგარს ექო იმ სიტყვებისა, აბრაამს რომ უთხრა ღმერთმა: „ნუ სწუხარ ყმაწვილზე და შენს ყმა ქალზე; ყველაფერი გაუგონე სარას, რასაც გეტყვის; რადგან ისაკით დაგეწყება შთამომავლობა. ყმაქალის ძესაც ხალხად ვაქცევ, რადგან შენი თესლია იგი" (დაბადება, XXI, 12-13).[4] განა ბიბლიის ყველა ქალის უფროსი ვაჟი მთელი ხალხის ბედის წარმმართველი არაა? განა ბიბლიის ქალები იმ მარადიულობაზე არ ზრუნავენ, რომელსაც ვაჟიშვილი ანიჭებს მათ არსებობას? ვაჟის არსებობასთან დაკავშირებული ბედი ტანჯული ქალისთვის ყველაზე დიდი ნუგეშია. ეს ყოველივე შაგალმა ორ გვერდზე თქვა: განაზრების გვერდის შემდეგ. სრულიად შავი გვერდის შემდეგ, სადაც აგარი ისმაელს ეფერება, ჩნდება სრულიად თეთრი გვერდი, სადაც აგარს ციური ანგელოზის დამამშვიდებელი ხმა ჩაესმის. მონასაც აქვს უფლება შთამომავლობის ყოლისა. უფალი იცავს ისრაელის ყველა ჭაბუკს.

ხალხის ბედის დრამა ხელახლა იწყება მაშინ, როცა იაკობმა ლაბანის ორი ქალიშვილიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს: უფროსს ლეა ჰქვია, უმცროსს — რახელი.

„ლეას სუსტი თვალები ჰქონდა, რახელი მშვენიერი იყო ტანად და პირად" (დაბადება, XXIX, 17).

შაგალის ერთი ნახატი გვიჩვენებს რახელს, რომელიც იაკობს მასპინძლობს. მზერა ყვე-

ლაფერს ამბობს, როგორ უმზერს რახელი იაკობს![5]

ამ ბედნიერ დროში ლამაზ ქალებს მონები ჰყავდათ. შაგალმა იცის ეს: ნახატების მთელი სერია მოგვითხრობს ქალური ძალის ამ აყვავების შესახებ. მონები მხნედ ევლინებიან უნაყოფო ცოლებს, როცა ამას ბედი მოითხოვს. ლეა და რახელიც შეუშვებენ იაკობს თავიანთ მონებთან. იაკობი ცოლად ითხოვს ლეასაც და რახელსაც. შაგალი ერთობ ბურუსით მოცული ამ ისტორიის მხოლოდ გადამწყვეტ სცენებს გვთავაზობს. მაგრამ იგი შეგვაცნობინებს, რომ ქალის დიდება იწყება მაშინ, როცა ის იაკობს ბავშვს გაუჩენს, როცა ის ისრაელის ბედს შეახურებს.

იუდას დროში ცოლის ყოლის სიდიადე სახელს უკვდავჰყოფს. ბიბლიურ ქალთა სახელები არაა ეფემერული. ნახატები, რომელთანაც რახელის სახელია დაკავშირებული, დაუვიწყარია. შაგალი გვიჩვენებს ლაბანის ასულის ღირსებას და მის თავდაპირველ სახელს უბრუნებს. იგი, თითქოსდა, თავად სახელის არსს გვიჩვენებს, რომელიც სახელდების მომენტში ამოიმართება, როგორც მარცვლების გროვა. იგულისხმება, რომ მავანი პერსონაჟის ცნობა შესაძლებელია მხოლოდ მისი სახელის გამეორებით. ჩვენ გვიპყრობს ჟღერადობის დიადი ოცნება. სიტყვათა მეოცნებისთვის სახელი „რახელი" — ესაა ქალის სახელი მთელი მისი ბრწყინვალებით.

რახელი! რახელი! რა ბედნიერებაა ამის მოსმენა! შაგალი კი ამის ხილვის ბედნიერებას გვანიჭებს! დიად სახელთაგან შაგალი ჭეშმარიტად ცოცხალ არსებებს ქმნის.

მაგრამ მე, თუ ქალურობის იმ ტალღებში დავინთქმები, შაგალის მიერ დახატული ნებისმიერი ქალიდან რომ წარმოიშობა, წინასწარმეტყველები გვერდზე დამრჩებიან. ახლა მსურს, რაც შეიძლება ყურადღებით გავიაზრო (შაგალის დახმარებით) წინასწარმეტყველთა დიადი სახეები.

## VII

ამჯერად გვერდებს ისე ვფურცლავ, რომ ნუმერაციას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევ და ამ სახეთა ხილვას ვესწრაფვი. ვინ აღუდგება წინ ცთუნებას, — იგრძნოს და გაიგოს, თუ როგორ ხედავს მხატვარი იობს, დანიელს, იონას?

პირველი გვერდი იობის შესახებ — ესაა გვერდი სილატაკის შესახებ. მაგრამ თავის სილატაკეში იობი ყველაზე ნაკლებად მარტოსულია. როცა სილატაკეში შთენილ კაცს ვუმზერ, ისე მგონია, ჩემი სიბრალული ძილს ეძლევა. მე უბედურებას ვეზიარები.

რაოდენ მტკივნეულია [illegible] შემდეგი გვერდი, როცა სატანა ერთგული ადამიანის შეცდენას ცდილობს! [illegible] სატანა, ღიმილიანი სატანა, [illegible] სატანა რაღაც წამებში სიცილსაც კი მგვრის. მაგრამ მაშინვე ვსაყვედურობ ჩემს თავს ამ გაცინების გამო. ამ გვერდზე მხატვარმა დიალექტირებულმყო ირონია. თამაშია ეს თუ — სისასტიკე? საკმარისად ჭკვიანია თუ არა სატანა საიმისოდ, რომ დაბეჯითებით სწამდეს, წინასწარმეტყველი შეცდებაო?

მაგრამ იობი მტკიცეა, იგი მშვიდია, ფიქრიანი, და — თავის სილატაკეს ჩაღრმავებული. როცა რაიმეს ითხოვს, იგი გვევლინება არა მომაბეზრებელი ხვეწნა-მუდარის, არამედ მოკრძალებული ვედრების მასწავლებლად. მხატვარი, რომელიც იობის წიგნს ასურათხატებს, გვაიძულებს ღრმად განვიცადოთ თავმდაბალი მორჩილების ეს საოცარი წამი.

საპირისპიროდ იმ გვერდებისა, რომლებზეც მორჩილი იობია ასახული, წარმოგვიდგება ეკლესიასტეს შავი სახე. გვერდი მთლიანად შაგალისეულია. შაგალის ჩიტი აქ ციურ სხეულად გვევლინება, რომელიც სავსე მთვარის მსგავსია. იქნებ მას ჩვენთვის სჯულის ფურცლები მოაქვს? წინასწარმეტყველის პროფილი მისივე ლეგენდარული სიტყვების სევდას მოგვაგონებს.

## VIII

გადავფურცლოთ კიდევ ერთი გვერდი და ჩვენ მოვისმენთ ქებათა ქების საგალობელს. შაგალი თვალწინ გადაგვიშლის ცხოვრებას ისეთს, როგორიც ის არის, და რომლის მშვენიერებაც ქალია. ეს გვერდები ჩემთვის ყველგანფენილი ქალურობის სამყაროა. ქალის დაბადება, უცილობლად, სამყაროს ბედისწერაა. ქალი ხომ არ იბადება ამ ხეთა ტოტებში ქარის შრიალით? თეთრი, ხორცსავსე ქალი ხომ არ წარმოუდგება ჩემს თვალს უზარმაზარი პალმის ტოტებში?მეჩვენება, თითქოს სამოთხის წამებმა გაიელვეს. და კვლავ დაბრუნებული ამ ბედნიერების ჰანგზე შაგალი ხატავს ერთმანეთში გადახლართულ მომხიბლავ სხეულებს, გოგონათა გვირგვინით მორთულ თავებს. საოცრად ჰარმონიული თეთრი სხეულები ანათებენ შეღამების ცას: ისინი, ფრენის ექსტაზში შესულები, ბედნიერების ფრინველებთან ერთად ცხოვრობენ.

IX

თითქოსდა იმ უსაზღვრო სიხარულისგან გამოფხიზლებული შაგალი, რისაც ქებათა ქების ილუსტრირებისას განიცდიდა, ბელშაცარის სასწაულების გადმოცემას მიჰყოფს ხელს.

ნადიმი დამთავრებულია. „იერუსალემის ღვთის სახლიდან" მოპარული წმინდა ჭურჭლები ცარიელია, და როცა მკრეხელობა აღსრულდა, „ადამიანის ხელის თითებმა" კედელზე დაწერეს: მ ე ნ ე, მ ე ნ ე, თ ე ქ ე ლ უ ფ ა რ ს ი ნ. შემდგომ დანიელი ახსნის სასწაულს. მაგრამ შაგალს სასწაულების სწორედ ამ წამის შესახებ სურდა მოეთხრო. მან ბაბილონის მეფის თითებიც კი აღბეჭდა სასწაულებით. რჩება განცდა, რომ ბელშაცარის სხეული ერთიანად კანკალებს. ხომ გვეუბნება წმინდა წერილი, რომ მეფის მუხლები ერთმანეთს ეხეთქებოდა. ბელშაცარის მთელ სახეზე ფსიქოლოგიური კატაკლიზმია აღბეჭდილი. მსოფლიოს მბრძანებელი ბედისწერითაა განადგურებული. გრძნეულ სიტყვებს მოქმედებაში მოჰყავთ სამყაროს ყველა ძალა, რომელიც არავითარ წესრიგს არ მორჩილებს; ეს ძალები მძიმედ აწვებიან ადამიანის გულს. კედელზე წარწერილი სიტყვები ისტორიას აზანზარებენ. ორი გვერდი საკმარისი აღმოჩნდა, რათა შაგალს ჩვენთვის შეეხსენებინა ისრაელის გადაბრუნებული ბედის შესახებ.

X

მაგრამ მე ძნელად წარმოვიდგენ მეფის მთელ ამ უბედურებას. ჩემი, მკითხველისეული, საქმით გატაცებული, მოუთმენლობისგან ერთიანად ვთრთი და წინასწარ ვტკბები, რომ სადაცაა მივწვდები ჩემს ოცნებათა ყველაზე უფრო ფარულ კუნჭულებს. მას მერე, რაც შაგალის წიგნი ჩემს, პატარა ვეშაპის მსგავს, ოთახში გაჩნდა, ოთახში, რომლის ყოველი კუთხე წიგნითაა გამოტენილი, რამდენჯერ აღუვსია ჩემი წარმოსახვა იონას სახეს!

ლეგენდასთან საქმის დამჯერი შაგალი არ ეშმაკობს. შესაძლოა, თევზი აქ უფრო მცირეა, ვიდრე წინასწარმეტყველიც; შესაძლოა, ის დაღუპულს ისვრის უკან. ამან მოიტანა ოცნება შეუძლებელის დონეზე, მომცველისა და მოცულის დიალექტიკის დონეზე. ბოლოს და ბოლოს, განა ზღვაც გიგანტური თევზი არაა? იონა სწორედ ზღვის მორევშია მოქცეული, წყლის სამყარომ, მსგავსმა პირველი წარღვნისა, ჩაყლაპა წინასწარმეტყველი: „სულამდე მიაღწია წყალმა, უფსკრულმა მომიცვა, თავზე ლელი შემომეხვა" (იონა, II, 6). მაგრამ იმ ზღვის მორევის სიღრმიდან, რომელიც ყოვლის შთამნთქმელი თევზია, — იონა, რომ ღმერთის ყვედრებას, თურმე ვეშაპის მუცელი სამლოცველო ყოფილა.

დგება მომენტი, როცა იონა [illegible] სამყაროს ტოვებს, და ქვეყნის [illegible] ამოჩნდება, იგი კვლავ კაცთა შორისაა, იწყება ბედი წინასწარმეტყველისა. [illegible] გვახსენებს იონას, რომელიც გარეშე [illegible] თან მიაქვს ღვთის ხმა.

შაგალის სახეებში უკეთ გასაგებად ბიბლიის ამ ორის თავსი რიცხვ ერთხელ კვითხულობ და ისევ იონას გამომეტყველების ქურეტად ვაკვირდები. მე არ ვიცი, აღიბეჭდა თუ არა მომხდარი ტრაგედიის ნიშნები მის სახეზე, მაგრამ მისი სახე მეტყველია, იგი მე მიმზერს, ესაა ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდებული გამოსახულება ამ წიგნში. სხვა სახეებიც მიზიდავენ. დაუსრულებლად ვმოგზაურობ იონადან დანიელისკენ, დანიელიდან იონასკენ, დანიელის თავგადასავალზე; მან სულ ახლახან გაილეწა ლომების ჩხირები დაემშვიდობა. იქნებ იონამაც, ესევისა, რამე სოლეკის ნახა სიზმარში? განა ჩვენ კი არ გვიყვარობენ სიზმრები? განა ჩვენში არ ალიგაძები დიდი მხატვრის სურათი მოგონებებს, ლამის იმ ადუმალუგაზე, რომელმაც უძველესი ლეგენდები შექმნა? ჩვენ აქ უკვე მხატვრულის ზღაპრის-მითის მხარეში ვიმყოფებით. თავდაპირველად ლიმილი მოგვგვრეს, როცა იონას თავს თევზის ხახაში ვხედავთ, მაგრამ მაშინვე ჩვენი სიზმრები გახსენდება და უკუიქცევა ეს ღიმილი. მოულოდნელად ყველაფერი მნიშვნელოვანი ხდება, ყველაფერი ხდება ჭეშმარიტი. ლამე ძილში წამოგვეწევა; ლამე — ესაა მძინარე წყალთა ოკეანე, ხოლო როცა ჩვენს სულში დილა აენთება, მშვენივრად გვესმის, რომ გადავრჩით, რომ არც ჩვენ დავიხრჩობით.

მაშ ასე, ოცნებებში წარსულის და შაგალის წიგნის თავისუფლად, ნება-ნება მეფურცლავს, ესა თუ ის სურათი ოდესღაც წაკითხულის შესახებ მოგონებებს აღმიძრავდა. ჩვენ ხომ, ყველანი, მეტ-ნაკლებად, იმ იდუმალ მუზეუმს წარმოვადგენთ, სადაც წარსულის დიად მოვლენათა ხსოვნა ინახება; შაგალის ალბომის ყველაზე უფრო მიმზიდველი ნიშანიც სწორედ ისაა, რომ იგი ასევე მალე იქცევა მოგონებების ალბომად.

მაგრამ ამ ალბომს კიდევ ერთი ღირსება აქვს. ეს წიგნი გვაიძულებს კვლავ გადავშალოთ ბიბლია, და გადავშალოთ იმ გვერდებზე, რომელთა სიმდიდრე თურმე უცნობი ყოფილა ჩვენთვის. ყოველგვარი სირცხვილის გრძნობის გარეშე შემიძლია გითხრათ, თუ როგორ გაკემგზავრე შაგალთან ერთად ჩემს მიერ მივიწ-

ყებულ წინასწარმეტყველთა ხელმძღვანელად ალ-მოსაჩენად.

მათი ფიგურები ჩემს თვალწინ ამჯერად სულ სხვა სახით ამოიმართნენ. ასე მეგონა, უკვე მერამდენედ, ჩემი არცოდნის სიღრმე, მე ამ წინასწარმეტყველთ ვხედავ მანამ, ვიდრე მათ ყურს მივაპყრობდე, და წმინდა წიგნს ვეწაფე-ბი, რათა გავიგო მათ მიერ თქმული.

აი, ნაუმი, წინასწარმეტყველი, რომელიც დღედაღამ იმაზე ლოცულობს, რომ მეფემ მას იერუსალიმის აღდგინების უფლება მისცეს. ცეცხლი ჯერ ისევ ცოცხალია, მან ხომ ეს-ესაა დანთქა ქალაქი. და ნაუმი ტირის და ლოცუ-ლობს. მისი ქუთუთოები ცახცახებენ, ტუჩები მოკუმულან. შაგალი სასოწარკვეთილების სუ-რათს ხატავს.

აი, იოველი. მხატვარს აქ სამი, ერთმანეთის-გან განსხვავებული ფიგურა დასჭირდა საიმი-სოდ, რომ ეჩვენებინა წინასწარმეტყველი, რო-მელიც სინანულისკენ მოუწოდებს, და — წი-ნასწარმეტყველი, რომელიც შეწყალებას პირ-დება. პურის მოსავალი შხამით აღვსილა ხალ-ხის მიერ ჩადენილი ცოდვის შედეგად. დაე, შეისმინონ წინასწარმეტყველთა მოწოდებანი, და მსოფლიო წყლულებისგან განიკურნება. ჩიტებს დაუპყრიათ ზეცა; შაგალის ჩიტს ნის-კარტით მშვიდობის ყვავილები მოაქვს. ეს ჩი-ტი მეორე სურათზე მახარობელია ანგელოზის, რომელიც ცაში მესამე ნახატზე გამოჩნდება.

აი, ამოსი, მწყემსი-წინასწარმეტყველი, წი-ნასწარმეტყველი, რომელიც მოქ-მედებს: „ცეცხლს შევუნთებ ხაზაელის სახლს და ცეცხლი შეჭამს ბენ-ჰადადის დარბა-ზებს" (ამოსი, 1, 4).

სასახლე იწვის. ხანძრის ფონზე ხატავს შა-გალი ამოსს. და ცეცხლმოდებულ სამყაროში მაინდა მოეძებნო მცირეოდენი მშვიდობიანი ალაგი, და ვხედავ: ბოსელი უვნებელია. ხოლო ბოსელში მშვიდად სძინავთ ქალს და მამაკაცს. ცხვრებიც მშვიდობიან ძილს მისცემიან. მწყე-მსმა-წინასწარმეტყველმა კარგად უწყის, რომ ისინი ადამიანებს იცავენ, როცა უბედური ომის ჟამი დგება.

რაოდენია განცვიფრება, როცა ამ გრანდი-ოზული სცენის უმნიშვნელო დეტალის შესა-ხებ ვფიქრობ. ასე მგონია, შემოქმედის ფსი-ქოლოგიის არსს ვწვდები თითქოს. როცა ყვე-ლაფერი ცეცხლს დაენთქმება, შაგალი მოუ-ლოდნელად გადაწყვეტს, რომ რაღაც უნდა გა-დარჩეს ცოცხალი, რომ ორ მოყვარულ არსე-ბას მშვიდად უნდა ეძინოს მისი სურათის ბნელ კუთხეში. ყოვლისმომცველი ხანძრის სი-ნათლე მზისდაგვარია, მაგრამ ბნელში მფეთქა-ვი ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერება თა-ვისთავად პატარა ჩირაღდანია.

გამოდის, რომ შაგალისეული სიმაღე დასახ-ლებულია, აქ ბინადრობენ.

## XII

შაგალის წიგნი ზაქარიას ხილვების ილუსტ-რაციით მთავრდება. ეს ხილვები იერუსალიმის-თვისაც და სიონისთვისაც გამოცდის ჟამის დასრულების მაუწყებელია. შეიდსანთლეული, ტაძრის ნათელი, მთელ სამყაროს ანათებს. ამ სამყაროულ ნათელში ციური ანგელოზი წინას-წარმეტყველთან საუბრობს, იგი წინასწარმეტ-ყველის თანამგზავრია. მ უშველებელი წითელი ცხენი, რომლის შესახებაც წმინდა წიგნშია ლაპარაკი, სიზმარეულ ზეცას გადაჭკვეთს. ცის თაღისკენ მიმავალი გზები იხსნება. ადამიანის-თვისაც არსებობს ცისკენ სავალი გზები.

ახლა უკვე ნათელია, მარკ შაგალის სურა-თებში რატომ ვხვდებით ასე ხშირად კროეებსა და ვირებს — ადამიანის ამ კეთილ მეგობრებს, რომლებიც ღრუბლის მთებზე ბალახობენ; ეს მთები კი მიწიერ მთებზე ბევრად მაღალია. მთელ სამყაროს — ცხოველებს, ადამიანებს და საგ-ნებს — შაგალისთვის ერთი ბედი აქვთ: ამაღ-ლება. და მხატვარი მოგვიწოდებს ამ ბედნიე-რი ზეასვლით ავივსოთ. როცა ამ ციურ მოგ-ზაურობებს ვუკვირდებით, რომელნიც მხო-ლოდ მიწაზე არსებულნი გვეგონნენ, ჩვენც სიმსუბუქე გვეუფლება. ვფიქრობ, აქ უკვე მხატვრის მთელი შემოქმედების რომელიღაც ფარულ აზრს შევეხეთ: შაგალი ერთობ კარ-გად ხატავს საიმისოდ, რომ პესიმისტი იყოს. მას სწამს თავისი ფანქრის, სწამს თავისი ფუნ-ჯის, რამეთუ იცის, — სამყარო მშვენიერია. სამ-ყარო იმსახურებს იმას, რომ დახატულ იქნას. და შაგალი სწორად იქცევა; ჩვენ დიახაც კარგად ვგრძნობთ თავს სამყაროში, რომელიც მშვენიე-რია. ხატვის სიხარული ხომ სიცოცხლის სიხარუ-ლია. სამყარო, როგორც ამას შაგალის ნახატები გვიმტკიცებენ — მიუხედავად ყველანაირი ვაე-ბისა, სავსეა ბედნიერებით და წინასწარაა განსა-ზღვრული ბედნიერებისათვის. ადამიანმა სამო-თხე უნდა დაიბრუნოს.

## XIII

წაკითხვის უამრავ შესაძლებელ ვარიანტს შორის მე ავირჩიე ჩემი გზა და, ბუნებრივია, არ შემეძლო შაგალის ყველა სიმდიდრის შესა-ხებ მესაუბრა. საჭირო გახდებოდა მთელი წიგ-ნის დაწერა, რათა ამ შრომისთვის კომენტარე-ბი გამეკეთებინა. მე, როგორც ჩემი გემოვნე-ბის მონამ, იმის შესახებ ვისაუბრე, რაც თა-ვად მომწონს, თუმცა, ცხადია აუცილებელი იყო იმის აღნიშვნაც, რასაც მხატვარი ანიჭებს

უპირატესობას. მაგრამ ყოვლისმოცვა შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ თავად მხატვარი არაა მოვალე, თავისი არჩევანის მიზეზები განგვიმარტოს. ოღონდ ეგაა, რომ ასეთი სიუხვის, ილუსტრირებული მასალის ასეთი სიმდიდრის მომხილველი შენდაუნებურად აწყდება ილუსტრაციის ფილოსოფიის პრობლემას. ამ პრობლემის ადეკვატურად გაგების მიზნით საჭიროა თეთრი ფურცლის პირისპირ მჯდომი მხატვრის სიმარტოვის განცდა და დათმენა. ეს დიადი მარტოობაა, რამდენადაც მას არაფერი ეხმარება იმისკენ სწრაფვაში, რომ გაუჩინარებულ სილუეტთა სახეები ისტორიის წყვდიადიდან დაიხსნას და განათოს. აქ რაიმეს კოპირება შეუძლებელია. ყველაფერი თავად უნდა შექმნას ხელოვანმა.

რაოდენ რთულია ამოცანა, ... დანტე წინასწარმეტყველნი, და ... მისეული გადმომეტყველება მათნიჭით. ... მათგანის მხერი გაალოგებლი. შეგვეილ წინასწარმეტყველთ ერთი საერთო ... აქვთ: ყველა ისინი შთაგონებული წინასწარმეტყველნი არიან. ნებისმიერ მათგანს მათივე შემოქმედის დაღი აზის. სახეთა და ხატთა მკვლევარი ფილოსოფოსისთვის ამ წიგნის ყოველი გვერდი ის დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც მას შეუძლია შემოქმედებითი წარმოსახვის მოქმედების შესწავლა.

1. regarder შეხედვას ნიშნავს, თავსართ re-ს დამატებით კი მიიღება წინამდებარე სიტყვა, რაც ნიშნავს გამეორებულ მოქმედებას, აღდგენას. 2. საუბარია ბიბლიაში მოთხრობილ შემდეგ ამბავზე: მეფე ახაშვეროშმა, რომელიც „მეფობდა ას ოცდაშვიდ მხარეზე ინდოეთიდან მოყოლებული ეთიოპიამდე" (ესთერი, I, 1), წვეულება გამართა. მეშვიდე დღეს გამხიარულებულმა მეფემ საჭურისის პირით შეუთვალა თავის მშვენიერ მეუღლეს, ვაშთი დედოფალს, მოახლოო. მეფეს სურდა, რომ ხალხს ენახა მისი თანამეცხედრის სილამაზე. დედოფალმა არ შეასრულა მეფის ბრძანება. მაშინ მეფე განრისხდა, მოუხმო ბრძენკაცთ და გადაწყვიტა, რჯულის მიხედვით დაესაჯა დედოფალი. ასეც მოიქცა, ვაშთის დედოფლობა გვირგვინი მოხსნა და თავის სამეფოში სადედოფლოდ ლამაზი ასულის ძებნა გამოაცხადა. ამ დროს შუშანში, სატახტოში, ცხოვრობდა იუდეველი კაცი, სახელად მარდოქაი, რომელიც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორს იუდას მეფესთან იექონიასთან ერთად გადაესახლებინა. მარდოქაი პატრონობდა თავის ობოლ ბიძაშვილს, ესთერს. სხვა ლამაზ ასულებთან ერთად ესთერიც მიჰგვარეს მეფეს. მარდოქაის დარიგებისამებრ, ესთერს თავისი ეროვნება არ გაუმჟღავნებია. ახაშვეროშს სწორედ ის შეუყვარდა და ცოლად შეირთო. გავიდა დრო და მეფემ თავის სამეფოში მეორე კაცად აქცია აგაგეველი ჰამანი, რომლისთვისაც ყველას მუხლი უნდა მოეყარა. მარდოქაი იყო ერთადერთი, რომელმაც ჰამანს მუხლი არ მოუყარა და არ სცა თაყვანი. გაცოფებულმა ჰამანმა სამეფოში გაფანტული ყველა იუდეველის მოსპობა ჩაიფიქრა და დაითანხმა კიდეც მეფე. როცა ეს ესთერმა შეიტყო, მეფესთან შესვლა გადაწყვიტა, არადა მეფესთან შესვლის უფლება არავის ჰქონდა, ვიდრე თავად არ მოუხმობდა ვინმეს. ამ წესის დამრღვევს გარდუვალი სიკვდილი ელოდა. ესთერმა გაბედა და შევიდა. „როგორც კი დაინახა მეფემ ეზოში მდგარი დედოფალი ესთერი, მადლი ჰპოვა ესთერმა მის თვალში და გაუწვდინა მეფემ მისკენ ოქროს კვერთხი, ხელში რომ ეჭირა. მიუახლოვდა ესთერი და შეეხო კვერთხის წვერს" (V, 2). ესთერისკენ ოქროს კვერთხის გაშვერა პატიების ნიშანი იყო. ამ სარისკო ნაბიჯის გადადგმა ესთერს მარდოქაიმ შთააგონა. ამ რისკმა არა მხოლოდ იხსნა იუდეველები, არამედ სიკვდილი მოუვლინა ჰამანსაც. 3. რასინის ტრაგედია „ესთერი" 1689 წელს დაიდგა საფრანგეთში. სხვათაშორის, ჩვენამდე მოაღწია ა. ჭავჭავაძის მიერ ქართულად თარგმნილმა რამდენიმე ნაწყვეტმა რასინის „ესთერიდან".

4. სარა და აბრაამი ისე დაბერდნენ, რომ შვილი არ ეყოლათ. აგარი სარას ეგვიპტელი მხევალი ქალი იყო. ერთხელ სარამ აბრაამს უთხრა (მაშინ აბრაამს ჯერ კიდევ აბრამი ერქვა, ხოლო სარას — სარაი): „შედი ჩემს მხევალთან, იქნებ შვილიერი შევიქნე მისგან" (დაბადება, XVI, 2). აბრაამმა შეუსრულა თხოვნა ცოლს, და აგარი დაორსულდა. შვა ძე, რომელსაც უფლის ანგელოზის ბრძანებით, ისმაელი დაარქვა. აბრაამი ამ დროს ოთხმოცდაექვსი წლისა იყო; ასი წლის აბრაამს კი სარამ უშვა ძე, ისააკი. სარას რცხვენოდა, რომ იცინოდნენ, ბალღი, სიბერეში რომ ბავშვი გაუჩნდაო. ამას ისიც ემატებოდა, რომ ისააკს დასცინოდა ისმაელი. განაწყენებულმა სარამ აბრაამს აგარისა და მის ყრმის გაგდება მოსთხოვა. აბრაამი ჩუმად შეწუხდა, მაგრამ მისი ღმერთი გამოეცხადა და დაამშვიდა. ამიტომ აღარ შეეწინააღმდეგა აბრაამი, აგარისა და ისმაელის გაშვებას. ბერშების უდაბნოში კი, როცა აგარს ეგონა, ბავშვი მოკვდებაო და ტიროდა, დაუძახა ღვთის ანგელოზმა აგარს ციდან: „ადექი, აიყვანე ყმაწვილი ხელში, რადგან დიდ ხალხად ვაქცევ მას" (დაბადება, XXI, 18).

5. იაკობი ისაკის უმცროსი ვაჟი იყო. უფროსს ესავი ერქვა. „რომელმაც ორმოცი წლის ასაკში ცოლად შეირთო იუდითი, ბეერ ხეთელის ასული, და ბასმათი, ელონ ხეთელის ასული. ამ ქალებმა სული შეუწუხეს ისაკს და რებეკას" (დაბადება, XXV, 34-35). როცა ისაკი დაბერდა და თვალს დააკლდა, გადაწყვიტა უფროსი შვილი, ესავი, ეკურთხებინა და მისთვის დაეტოვებინა სარჩო-საბადებელი. რებეკამ მოახერხა და ისაკს მოტყუებით აკურთხებინა თავისი უმცროსი ვაჟი, იაკობი, რის გამოც ესავმა იაკობის მოკვლა გადაწყვიტა. რებეკამ გაიგო ეს და იაკობს ურჩია, — ჩემს ძმასთან, ლაბანთან, წადი საცხოვრებლად, ხარანში. ცოტა ხანში, ესავს გული მოულბება და შეგარიგდება, როცა დაბრუნდები. ისაკს კი ასე უთხრა: შემომძულეს სიცოცხლე ხეთელმა ქალებმა, არ მინდა იაკობმაც ხეთელი მოიყვანოს ცოლადო. ამის მერე ურჩია ისაკმა იაკობს, ფადან არამში, რებეკას ძმის, ლაბანის სახლში წასულიყო და ლაბანის ასული შეერთო ცოლად. იაკობი ასეც მოიქცა. მას მართალია რახელი, ლაბანის უმცროსი ასული, შეუყვარდა, მაგრამ ლაბანმა, — ჩვენში უფროსზე ადრე უმცროსის გათხოვება წესად არა გვაქვსო, — ერთიც შერთო და მეორეც.

6. ეს ამბავი დანიელ წინასწარმეტყველის წიგნშია აღწერილი. ნაბუქოდონოსორმა, ბაბილონის მეფემ, იუდას მეფის იეჰოიაკიმის მეფობის მესამე წელს იერუსალიმი დაიპყრო და დიდძალი ნადავლით და ცოცხალი ტყვით სავსე დაბრუნდა შინ. ამასთან, ბრძანა, გაემზადებინათ სწავლისუნარიანი, ნიჭიერი ყმაწვილები, რომლებიც მეფის კარზე სამსახურის გაწევას შეძლებდნენ. შერჩეულთა შორის აღმოჩნდა დანიელიც, რომელმაც შემდგომ მეფეს უწინასწარმეტყველა, რომ ამ უკანასკნელს ხელმწიფება წაერთმეოდა, ხოლო შემდეგ როცა შეიგნებდა, რომ „უზენაესი ხელმწიფობს კაცთა სამეფოზე და ვისაც უნდა იმას აძლევს" (დანიელი, IV, 29), ისევ დაუბრუნდებოდა. ნაბუქოდონოსორის მერე მისი შვილი, ბელშაცარი გამეფდა. მან მამის თავგადასავლის ამბავი დაივიწყა და ერთხელ დიდი ლხინი გაუმართა თავის ათას დიდკაცს. ღვინით გალეშილმა მამამისის მიერ იერუსალიმის ტაძრიდან წამოღებული ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი მოატანინა და ამ ჭურჭლით ასვა ღვინო თავის დიდკაცებს, თავის ცოლებს და ხარჭებს. ამ ლრეობის ჟამს მეფემ იხილა, როგორ წერდა ხელის მტევანი კედელზე. ბელშაცარს ძრწოლამ აიტანა. მაშინ უხმეს დანიელს და მანაც განმარტა წარწერა: „აჰა, წარწერაც, რომელიც დაიწერა: მენე, მენე, თეკელ უფარსინ. აჰა, ამ სიტყვების ახსნა: მენე — დაითვალა ღმერთმა შენი სამეფოს დღეები და ბოლო მოუღო მას; თეკელ — სასწორზე აიწონე და მსუბუქი აღმოჩნდი; ფერეს — გაიყოფა შენი სამეფო და მიდიელებსა და სპარსელებს მიეცემა იგი" (დანიელი, V, 25-28). ქალდეველთა მეფე, ბელშაცარი, იმავე ღამეს იქნა მოკლული.

7. იონას უფალმა აუწყა, ნინევში წადი და ხალხი გააფრთხილე, რომ მათი ბოროტების ამბავი მომწვდაო. ნინევე იმ ქვეყნის მტრებით იყო დასახლებული, სადაც იონა ცხოვრობდა. ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ ღმერთის დავალება შეესრულებინა, იონამ სრულიად საწინააღმდეგო მხარეს მოკურცხლა: ჩავიდა იაფოში, მონახა თარშიშში მიმავალი ხომალდი და გაემგზავრა. უფალმა ზღვა აადელვა, და გემს დაღუპვა დაემუქრა. იონას ამ დროს ტკბილად ეძინა. რომ გაიღვიძეს და გაიგეს ამ ღელვის მთელი საიდუმლო, იონა (მისივე რჩევით) წყალში გადააგდეს. ღელვა დაცხრა, იონას კი ღმერთმა დიდი თევზი მოუვლინა და შთაანთქმევინა. „სამი დღე და სამი ღამე დაჰყო იონამ თევზის სტომაქში" (იონა, II, 1). ეს დრო იონამ ღვთისადმი ლოცვაში გაატარა. უფალმა ბოლოს თევზს უბრძანა და იონა ხმელეთზე გადმოანთხევინა. ამის მერე „იყო მეორედ უფლის სიტყვა იონაზე" (იონა, III, 1). წადი ნინევში და იქადაგეო. იონამ პირნათლად შეასრულა ბრძანება.

8. იონას წიგნი ოთხი თავისგან შედგება.

9. „მობრუნდა ანგელოზი, რომელიც მელაპარაკებოდა, და გამაღვიძა, როგორც ძილისგან აღვიძებენ კაცს. მითხრა: რას ხედავ? ვუთხარ: ვხედავ, აჰა, მთლიანი ოქროს სასანთლე. მის თავზე ჯამია და შვიდი ლამპარი, თითო ლამპარს შვიდ-შვიდი მილი აქვს ზემოთ" (ზაქარია, IV, 1-2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნიკოლაი ბერდიაევი

თარგმნა ზეინაბ სარაძემ

# ქრისტიანობა და ანტისემიტიზმი

## ებრაელობის რელიგიური ბედი

1. მგზნებარე კათოლიკე ლეონ ბლუა** წერდა: „დავუშვათ, ირგვლივ ადამიანებს გამუდმებით დიდი ზიზღით ელაპარაკათ თქვენს დედ-მამაზე. მათ მიმართ მხოლოდ დამამცირებელი სალანძღავი სიტყვები და სარკაზმები ეხმარათ. როგორ იგრძნობდით თავს? არადა, სწორედ ასე ექცევიან უფალ იესო ქრისტეს. ივიწყებენ ან არ სურთ ცნონ, რომ ჩვენი განკაცებული ღმერთი ებრაელია, ბუნებით უპირატესად ებრაელია, რომ დედამისი ებრაელია, ყვავილი ებრაული რასისა, რომ მოციქულები ებრაელები იყვნენ, ისევე როგორც ყველა წინასწარმეტყველი და, ბოლოს, ჩვენი ლიტურგია ხომ ებრაული წიგნების მიხედვით არის შედგენილი. როგორღა შეიძლება გამოიხატოს ის საშინელი შეურაცხყოფა და მკრეხელობა, რასაც ებრაელი რასის დამცირება ჰქვია"?

ეს სიტყვები ძირითადად ქრისტიანი ანტისემიტებისადმი არის მიმართული და მათ მიერ უნდა იქნას შესმენილი. ჭეშმარიტად, განმაცვიფრებელია ზერელობა ქრისტიანებისა, რომლებიც შესაძლებლად მიაჩნიათ ანტისემიტები იყვნენ. ქრისტიანობა თავისი ადამიანური ძირების მიხედვით ებრაული, ე. ი. მესიანურ-წინასწარმეტყველური ტიპის რელიგიაა. მსოფლიო რელიგიურ ცნობიერებაში ებრაელმა ხალხმა მესიანურ-წინასწარმეტყველური სული შემოიტანა. ასეთი სული უცხო იყო ბერძნულ-რომაული კულტურისათვის, ისევე როგორც ინდოელთა კულტურისათვის. „არიული" სული არც მესიანურია, არც წინასწარმეტყველური, მისთვის უცხოა ისტორიის ებრაელებრივი დაძაბული გრძნობა, უცხოა ისტორიაში მესიის მოსვლის მოლოდინი, მეტაისტორიის გაჭრა ისტორიაში. ფრიად საგულისხმოა ის გარემოება, რომ გერმანული ანტისემიტიზმი ანტიქრისტიანობაში გადადის. მსოფლიოს მოაწყდა ანტისემიტიზმის ტალღა, რაც წალეკვით ემუქრება სულ ახალ და ახალ ქვეყნებს, თავდაყირა აყენებს XIX საუკუნის ჰუმანისტურ თეორიებს. გერმანიაში, პოლონეთში, რუმინეთში, უნგრეთში ანტისემიტიზმი ბაირამობს. მაგრამ ის ფრთებს შლის საფრანგეთშიც, ჰუმანისტური იდეებით ყველაზე უფრო გაჯერებულ ქვეყანაში, სადაც დრეიფუსის საქმის შემდეგ მან მარცხი განიცადა. შეიძლება მივუთითოთ ისეთ საგანგაშო სიმპტომებზე, როგორიცაა სელინის* წიგნის გამოსვლა, სადაც აშკარაა მოწოდება დარბევებისაკენ. იზრდება რიცხვი ფრანგებისა, რომელ-

---

* დაწერილია 1938 წელს, დაიბეჭდა ჟურნალში „პუტ", მაისი-ივნისი 1938, № 56. თარგმნა ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ"-ის პუბლიკაციის მიხედვით (№ 10, 1989, ტექსტი მოამზადა და კომენტარები დაურთო ა. პანკოვმა.)

** ბლუა ლეონ (1846-1917) — ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი, სიმბოლიზმისა და ნეორომანტიზმის თეორეტიკოსი.

* სელინი (1894-1961) — ფრანგი მწერალი, ფაშიზმისა და ჰიტლერიზმის მომხრე. 1937 წელს გამოვიდა მისი პამფლეტი „წვრილმანები დასარბევად".

ნიც ვერ ეგუებიან ლეონ ბლიუმის** ებრაელობას, მიუხედავად იმისა, რომ ლეონ ბლიუმი საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პატიოსანი, იდეალისტი და კულტურული პოლიტიკური მოღვაწეა. ანტისემიტიზმი ძალიან ხშირად ჟღავნდება პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე, რის შესახებაც ყოველდღიურად ვკითხულობთ გაზეთებში. მაგრამ ებრაული საკითხი უბრალოდ პოლიტიკის, სამართლის ან კულტურის საკითხი არაა. ეს განუზომლად ღრმა, რელიგიური საკითხია და კაცობრიობის ბედის საკითხს ეხება. ესაა ღერძი, რომლის გარშემოც ტრიალებს რელიგიის ისტორია. მიუწვდომელია და რაციონალურად აუხსნელი ამ ხალხის გადარჩენა. ჩვეულებრივ ისტორიისმიერ ახსნათა მიხედვით ებრაელ ხალხს დიდი ხანია არსებობა უნდა შეეწყვიტა. მსოფლიოს ვერც ერთი ხალხი ვერ გაუძლებდა მსგავს ისტორიულ ბედს. ებრაელი ხალხი უპირატესად ისტორიის ხალხია, რომელმაც ადამიანური ცნობიერების ისტორიაში თავად ისტორიულის კატეგორია შემოიტანა. ხოლო ისტორია უწყალო აღმოჩნდა ამ ხალხის მიმართ. ეს იყო დევნისა და უმარტივეს ადამიანურ უფლებებზე უარის თქმის ისტორია. ხანგრძლივი ისტორიის მელევად ძალთა უკიდურეს დაძაბულობას რომ მოითხოვდა გადასარჩენად, ამ ხალხმა თავისი განუმეორებელი სახე შეინარჩუნა. სხვა ხალხებში გაბნეულთ ამ სახის წყალობით ადვილად გამოარჩევენ, იძულებენ და შეაჩვენებენ. მსოფლიოში ვერც ერთი ხალხი ვერ გაუძლებდა ასეთ ხანგრძლივ დაქსაქსულობას, ალბათ საკუთარ სახეს დაკარგავდა და სხვა ხალხებში გაითქვიფებოდა. მაგრამ ღვთის მიუწვდომელ ზრახვათა გამო ეს ხალხი უნდა დარჩეს დროის აღსასრულამდე. ისტორიის მატერიალისტური გაგების პოზიცია, რა თქმა უნდა, ყველაზე ნაკლებ შეგვაძლებინებს ებრაელობის ბედის ახსნას. აქ ჩვენ ისტორიის საიდუმლოს ვეხებით.

ებრაელობის საკითხი სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება იქნას განხილული. მაგრამ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, როგორც შინაგანად ქრისტიანულ საკითხს. წარსულში ანტისემიტიზმი უმთავრესად ქრისტიანებმა შექმნეს, ვისთვისაც ეს ყველაზე შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ებრაელი ხალხის წინაშე ქრისტიანებს დიდი ცოდვა აძევთ. ეს ცოდვა განსაკუთრებით მძიმე იყო შუა საუკუნეებში, როცა ფეოდალი რაინდები სდევნიდნენ და მუსრს ავლებდნენ ებრაელებს, მათთვის რომ ვალი არ გადაეხადათ. ახლა ებრაელთა დაცვა სწორედ ქრისტიანთა საქმეა. გერმანიაში ეს უკვე ხდება. აქ კარგად იქნება გავიხსენოთ ვლ. სოლოვიოვი, რომელიც თავისი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ქრისტიანული თვალსაზრისით ებრაელთა დაცვას მიიჩნევდა. ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, ებრაელთა საკითხი სულაც არ ეხება იმას, კარგები არიან თუ არა ებრაელები, არამედ — ჩვენ, ქრისტიანები, კარგები ვართ თუ ცუდები. მწუხარებით მიხდება იმის თქმა, რომ ამ საკითხში ქრისტიანები გამოდგნენ ძალიან ცუდები. ქრისტიანული ცნობიერების სიმაღლიდან თუ განვსჯით, ისინი ჩვეულებრივ ებრაელებზე გაცილებით უარესები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ხშირად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, კარგი ვარ თუ არა მე, ვიდრე იმისა, კარგია თუ არა ჩემი მეზობელი, რომელსაც მსურს რაღაც დავაბრალო. ქრისტიანებს და ქრისტიანულ ეკლესიებს ბევრი რამის მონანიება უხდებათ არა მარტო ებრაელების, არამედ სოციალურ, იმის, უსაზიზღრეს სახელმწიფოებრივ წყობასთან განუწყვეტელი კონფორმიზმის საკითხებში. არავითარი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს ებრაელების ნაკლოვანებათა საკითხს. საჭირო არაა ამ ნაკლთა უარყოფა, ისინი ბევრია. ებრაელებს დიდი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე, რაც გაღიზიანებას იწვევს. მაგრამ ფსიქოლოგიურად ამის ახსნა შეიძლება. ეს ხალხი დამცირებული იყო სხვა ხალხთა მიერ, რის კომპენსაციასაც საკუთარი რჩეულობისა და უმაღლესი მისიის შეგნებით ახდენს. ახლაც, ომის შემდეგ წლების მანძილზე დამცირებული გერმანელი ხალხი თავს იმის დაჯერებით უწევს კომპენსაციას, რომ იგი უმაღლესი რასაა და მოწოდებულია მსოფლიოში ბატონობად. კაპიტალისტურ საზოგადოებაშიც ყველაზე მეტად დამცირებული კლასი, პროლეტარიატი, კომპენსაციას იმის შეგნებით ახდენს, რომ მას მესიანისტური მოწოდება აქვს — გაათავისუფლოს კაცობრიობა. ებრაელი ხალხი პოლარულად დაპირისპირებულ თვისებათა მატარებელია, ამაღლებული მასში მდაბალს ერწყმის, სოციალური სამართლიანობის წყურვილი — მოგებისა და კაპიტალისტური დაგროვების სწრაფვას. თავისი პოლარული ბუნებითა და მესიანისტური ცნობიერებით რუსი ხალხი ებრაელ ხალხს ჰგავს. ანტისემიტებს ძალიან უყვართ იმაზე ლაპარაკი, რომ ბიბლია ებრაელი ხალხის ულმობელობაზე მოწმობს. მაგრამ რომელი ხალხი არაა ყოფილა ულმობელი?

** ბლიუმ ლეონ (1837-1950) — საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერი და თეორეტიკოსი. ემხრობოდა „ჰუმანისტური სოციალიზმის" დოქტრინას.

განა ბაბილონელები, ასურელები, ეგვიპტელები, სპარსელები ულმობელნი არ იყვნენ? განა აუტანელი თვისებები არ გააჩნდათ ბერძნებს, რომელთაც მსოფლიოში უდიდესი კულტურა შექმნეს? ყოველ ხალხზე უნდა ვიმსჯელოთ მათი სიმაღლეების და არა მათი სიმდაბლეების მიხედვით. გერმანელი ხალხი უნდა შევაფასოთ მისი უდიდესი ფილოსოფოსების, მისტიკოსების, მუსიკოსების, პოეტების და არა პრუსიელი იუნკერებისა და მედუქნეების მიხედვით. ებრაელ ხალხზეც, რელიგიური მოწოდების ხალხზე, უნდა ვიმსჯელოთ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა და არა ებრაელ მევახშეთა მიხედვით. ყველასა აქვს უფლება თავისი ეროვნული სიმპატიები და ანტიპატიები გააჩნდეს. არიან ადამიანები, რომელთაც არ უყვართ გერმანელები, პოლონელები ან რუმინელები. აქ ვერას გააწყობ. სიყვარული ძალით არ იქნება, უაზრო ანტიპატიის დაძლევა ძნელია. მაგრამ მთელი ხალხის სიძულვილი ცოდვაა, კაცის კვლაა და მოძულემ პასუხი უნდა აგოს. ებრაელებისადმი მიმართებისას საკითხი უფრო რთულია. ებრაელებს მხოლოდ ეროვნებას ვერ უწოდებ. ერის მთელი რიგი ნიშნები მათ არ გააჩნიათ, სამაგიეროდ აქვთ ისეთი ნიშნები, რასაც სხვა ერები მოკლებულნი არიან. ებრაელი ხალხი თავისებური, გამორჩეული რელიგიური ბედისწერის ხალხია. ღვთის რჩეულ ხალხს, ვისი წიაღიდანაც მესია გამოვიდა და, ვინც მესია დაგმო, არ შეიძლება სხვა ხალხების მსგავსი ისტორიული ბედი ჰქონდეს. ეს ხალხი შეკრულია და საუკუნოდ გაერთიანებული არა იმ თვისებებით, რაც ჩვეულებრივ კრავს და აერთიანებს ხალხებს, არამედ — თავისი რელიგიური ბედის გამორჩეულობით. ქრისტიანები იძულებულნი არიან ებრაელი ხალხის ღვთის მიერ რჩეულობა აღიარონ; ამას მოითხოვს ქრისტიანული მოძღვრება. მაგრამ ამას უხალისოდ აკეთებენ და ხშირად ივიწყებენ. ჩვენ ვცხოვრობთ მხეცური ნაციონალიზმის, უხეში ძალის, წარმართობასთან მიბრუნების ეპოქაში. მიმდინარეობს ადამიანურ საზოგადოებათა ქრისტიანიზაციისა და ჰუმანიზაციის უკუღმა პროცესი, ქრისტიანულ ეკლესიას უნდა შეეჩვენებინა ნაციონალიზმი, როგორც ერესი. კათოლიკური ეკლესია შორს არაა ამგვარი შეჩვენებისაგან. მაგრამ ებრაელები მხოლოდ ნაციონალიზმის მსხვერპლნი არ არიან. ანტისემიტიზმის მიზეზები უფრო ღრმაა, უძველესია, არსებობს მისტიკური შიში ებრაელთა წინაშე. ოღონდ ამ შიშს ჩვეულებრივ განიცდიან საკმაოდ დაბალი კულტურული დონის ადამიანები, რომელთა შორისაც ადვილად ვრცელდება უაზრო, მდარე მითები და ლეგენდები.

II. არაჩვეულებრივ ტრაგიკულია ებრაელთა ბედი: მიწიერი სამშობლოს დაუცხრომელი ძიება და უქონლობა, საკუთარი სახელმწიფოსი, რაც სრულიად უმნიშვნელო ხალხებსაც კი გააჩნდათ; საკუთარი რჩეულობის მესიანური ცნობიერება და სხვა ხალხთა მხრიდან მათი აბუჩად აგდება და დევნა; მათ მიერ ჯვრის, როგორც ცთუნების, უარყოფა და მთელი ისტორიის მანძილზე ამ ხალხის ჯვარცმა. შესაძლოა, ყველაზე საოცარი ისაა, რომ ჯვრის უარმყოფელი თავად ეზიდება მას, ხოლო ჯვრის მაღიარებელი ხშირად სხვას აკრავს მასზე. არსებობს ანტისემიტიზმის რამდენიმე ტიპი, რომელთაც შეუძლიათ, რა თქმა უნდა, გაერთიანება და ერთმანეთისთვის მხარის დაჭერა. მე არ შევჩერდები იმ ემოციურ-ობივატელურ ანტისემიტიზმზე, რომელიც მცირე როლს არა თამაშობს ანტისემიტურ მოძრაობებში, მაგრამ პრინციპულად საინტერესო არაა. მასთანაა დაკავშირებული ებრაელთა დაცინვა, ებრაელის კომიკური ტიპის დახატვა, ზიზღი ებრაელთადმი, რომელთა მიმართ ადამიანური თანასწორობის დაშვება არ სურთ. ჩვეულებრივ ამას რაიმე იდეოლოგია არ უკავშირდება. ანტისემიტიზმის ნამდვილი იდეოლოგია რასობრივი ანტისემიტიზმის იდეოლოგიაა და ეს ყველაზე გავრცელებული ფორმაა ებრაელთა მტრობისა. გერმანია ამ იდეოლოგიის კლასიკური ქვეყანაა. მას შეიძლება შევხვდეთ უდიდეს გერმანელებთან, მაგალითად ლუთერთან, ფიხტესთან, ვაგნერთან. ებრაელებს აცხადებენ დაბალ, მთელი დანარჩენი კაცობრიობისაგან გარიყულ და მტრულ რასად. მაგრამ ეს დაბალი რასა, როგორც კი მოხვდება თავისუფალი კონკურენციის პირობებში, ყველაზე ძლიერი აღმოჩნდება. ჯაბნის სხვა რასებს.

ქრისტიანული თვალსაზრისით რასობრივი ანტისემიტიზმი სრულიად დაუშვებელია. იგი ვერ ურიგდება ქრისტიანულ თვალსაზრისს. გერმანიაში კათოლიკების დევნა გამოწვეულია იმით, რომ კათოლიკობა უნივერსალისტურია. ქრისტიანობამ გამოაცხადა ის ჭეშმარიტება, რომ არ არის ელინი და არ არის იუდეველი. იგი მიმართულია მთელი კაცობრიობისადმი და ყოველი ადამიანისადმი განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, კლასისა და საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობისა. არა მარტო რასობრივი ანტისემიტიზმი, არამედ საერთოდ რასიზმი ვერ უძლებს კრიტიკას სამი თვალსაზრისით: რელიგიურით, მორალურით და მე-

სიერული. იგი დაუშვებელია ქრისტიანისთვის, რომელიც ყოველ ადამიანში ღვთის ხატსა და მსგავსებას უნდა ჰვრეტდეს. ქრისტიანული სინდისისათვის არა მარტო რასიზმი, ნაციონალიზმიც მიუღებელია. მაგრამ იგი მიუღებელია ზოგადადამიანური, ჰუმანისტური მორალური ცნობიერებისათვისაც: რასიზმი არაადამიანურია, იგი უარყოფს ადამიანური პიროვნების ღირებულებას და უშვებს, რომ პიროვნებას შეიძლება მოექცე როგორც მტერს, რომელიც განადგურებას იმსახურებს. რასიზმი მატერიალიზმის ყველაზე უხეში ფორმაა, გაცილებით უხეში ვიდრე ეკონომიკური მატერიალიზმი. რასიზმი არის დეტერმინიზმის უკიდურესი ფორმა და თავისუფალი სულის უარყოფა. შერისხულ რასათა წარმომადგენლებზე სისხლის ფატუმი მძლავრობს და მათთვის ხსნა არაა. ეკონომიკა მაინც ფსიქიკურის სფეროა და არა ფიზიოლოგიისა და ანატომიისა, ხოლო ეკონომიკით განსაზღვრა მაინც არაა ტოლფარდი თავის ქალითა და თმის ფერით განსაზღვრისა. რასობრივი იდეოლოგია გაცილებით მეტი ხარისხითაა დეჰუმანიზაცია, ვიდრე პროლეტარული იდეოლოგია. კლასობრივი თვალსაზრისით ადამიანმა შეიძლება თავს უშველოს იმით, რომ შეიცვალოს შეგნება, მაგალითად, შეითვისოს მარქსისტული მსოფლმხედველობა, თუნდაც რომ წარმოშობით თავადი ან ბურჟუა იყოს, მას შეუძლია სახალხო კომისარიც კი გახდეს. არც მარქსი, არც ლენინი პროლეტარები არა ყოფილან. რასობრივი თვალსაზრისით ებრაელისათვის ხსნა არაა, მას არც ქრისტიანობის მიღება უშველის, არც ნაციონალ-სოციალისტური მსოფლმხედველობის შეთვისება, მას მუდამ თან სდევს სისხლის ფატუმი. მაგრამ რასიზმი წმინდად მეცნიერული თვალსაზრისითაც უსაფუძვლოა. თანამედროვე ანთროპოლოგია მეტად საეჭვოდ მიიჩნევს თვით რასის ცნებას. რასიზმი ეკუთვნის მითოლოგიის და არა მეცნიერების სფეროს. თვით არიული რასის არსებობას თანამედროვე მეცნიერება არ ცნობს. არავითარი ოთხი რასა არ არსებობს. რასა ზოოლოგიური კატეგორიაა და არა ანთროპოლოგიური. ისტორიამ იცის მხოლოდ ეროვნებანი, რომელნიც სისხლთა რთული შერევების შედეგია. რჩეული არიული რასა გობინოს* მიერ შეთხზული მითია. გობინო იყო შესანიშნავი მხატვარი და დახვეწილი მოაზროვნე, რომელიც აფუძნებდა არა ანტისემიტიზმს, არამედ — არისტოკრატიზმს. მაგრამ როგორც მეცნიერი ანთროპოლოგი მეტისმეტად მოიკოჭლებდა. რჩეული რასა ისეთივე მითია, როგორც რჩეული კლასი. მაგრამ მითს შეუძლია ძალიან ქმედითი იყოს. მასში მოიცავს ამაფეთქებელი დინამიკური ენერგია. [illegible] მასები, რომელნიც არას დაეძებენ მეცნიერულ ჭეშმარიტებას და საერთოდ ჭეშმარიტებას. ჩვენ ვცხოვრობთ მეტისმეტად მითისმქმნელ ეპოქაში, მაგრამ ამ მითების ხასიათი მეტად სულმდაბალია. ერთადერთი სერიოზული რასიზმი, რომელსაც ისტორიაში უარსებია, ებრაული რასიზმია. რელიგიის შერწყმა სისხლთან და ეროვნებასთან, ხალხის რჩეულობის რწმენა, რასის სიწმინდის დაცვა ყველაფერი ეს ძველებური წარმოშობისაა, ებრაელების შემოტანილია. არ ვიცი, ხვდებიან თუ არა გერმანელი რასისტები, რომ ისინი ებრაელებს ბაძავენ. რასიზმში „არიული" სწორედაც რომ არაფერია. ინდუსი და ბერძენი „არიელები" ინდივიდუალიზმისკენ იხრებოდნენ. მაგრამ არის სხვაობა ებრაულსა და გერმანულ რასიზმს შორის. ებრაული რასიზმი იყო უნივერსალურ-მესიანური, იგი უნივერსალურ რელიგიურ ჭეშმარიტებას შეიცავდა. გერმანული რასიზმი კი აგრესიული, მსოფლიოსმპყრობელური პარტიკულარიზმია. ამიტომაც რასიზმი დექრისტიანიზაციას და დეჰუმანიზაციას ნიშნავს, ბარბაროსობისა და წარმართობისაკენ მიბრუნებას.

არსებობს ეკონომიკური და პოლიტიკური ანტისემიტიზმის ისეთი ტიპები, როცა პოლიტიკა ეკონომიკის იარაღია. ანტისემიტიზმის ამ ტიპს საკმაოდ სულმდაბალი ხასიათი აქვს. იგი დაკავშირებულია კონკურენციასთან და ბატონობისათვის ბრძოლასთან. ებრაელებს ადანაშაულებენ იმაში, რომ ისინი წარმატებით ეწევიან სპეკულაციას და ეკონომიკურ კონკურენციაში ყველა სხვა ხალხის დაჯაბნვით ჯიბეებს ისქელებენ. მაგრამ მბრალდებლებს ეტყობათ, თვითონ რომ უნდათ ებრაელებს აჯობონ ფულის სფეროში. ებრაელთა სიძულვილი ხშირად გაჩნდება [illegible] როცა ადამიანები თავს უბედურად [illegible] ბენ და პირად უბედურებას [illegible] უბედურებას უკავშირებენ. იწყებენ დამნაშავის ძებნას, რომელსაც ყველა უბედურების სათავედ გამოაცხადებდნენ. [illegible] ნის ხუნდებს ღირსებას არ მატებს, მაგრამ ადამიანი მშვიდდება და კმაყოფილებას განიცდის, როცა დამნაშავე მიგნებულია. შეუძლია მასზე სიძულვილი გადმოანთხიოს და შური იძიოს. არაფერია იმაზე იოლი, და-

* გობინო ჟოზეფ არტურ დე (1816-1882) ფრანგი სოციოლოგი და მწერალი, რასიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი.

ბალი შეგნების ადამიანები დაარწმუნო, რომ ყველაფერში დამნაშავე ებრაელები არიან. ემოციური ნიადაგი მუდამ მზადაა. შექმნას მითი მსოფლიო ებრაულ შეთქმულებაზე, „ჟიდომასონურ" ფარულ ძალაზე და ა. შ. ჩემი ღირსების შელახვად მიმაჩნია „სიონელ ბრძენთა ოქმების" უარყოფა. ყოველი კაცისთვის, ვისაც უმარტივესი ფსიქოლოგიური გუმანი არ დაუკარგავს, ამ მდარე დოკუმენტის კითხვისას ცხადი ხდება, რომ იგი ებრაელების მოძულეთა უტიფარ ფალსიფიკაციას წარმოადგენს. ამასთან დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი პოლიციის დეპარტამენტში შეთითხნილი და განკუთვნილია „რუსი ხალხის კავშირის" — რუსი ხალხის ამ საყოფიერის სახიეების დონისთვის. ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ემიგრაციაში, კულტურულ ფენად რომ მიიჩნევა, „რუსი ხალხის კავშირი" თავს ზემოთ დგას, ფიქრობს და განსჯის ყოველი სახის მსოფლიო საკითხებზე. როცა იმ ადამიანებთან მიხდება შეხვედრა, რომელნიც ყველა უბედურების დამნაშავეს ეძებენ და მზად არიან ასეთებად ებრაელები, მასონები და ა. შ. გამოაცხადონ, კითხვაზე: ვინაა დამნაშავე, ვპასუხობ ხოლმე: ვინ და, ცხადია, მე და შენ. მთავარი დამნაშავე ჩვენა ვართ-მეთქი. დამნაშავის ამგვარი მიგნება ყველაზე ქრისტიანული მგონია. არის რაღაც ძალიან დამამცირებელი იმაში, რომ ებრაელებისა ეშინიათ და სძულთ, ისინი ძალიან ძლიერებად წარმოუდგენიათ, თავიანთი თავი კი ძალიან სუსტებად. ებრაელებთან თავისუფალი ბრძოლა ვერ წარმოუდგენიათ. რუსები თავს ძალიან სუსტებად თვლიდნენ ბრძოლაში, როცა მათ ზურგს უმაგრებდა უზარმაზარი სახელმწიფო ძალით, ჟანდარმერიითა და პოლიციით, ებრაელებს კი — ძლიერებად და ბრძოლაში დაუჯაბნელებად, როცა ისინი მოკლებულნი იყვნენ უმარტივეს ადამიანურ უფლებებს და იდევნებოდნენ. ებრაელთა დარბევა არა მარტო ცოდვიერი და არაადამიანური საქციელია, არამედ მაჩვენებელია სისუსტისა და უუნარობისა. ანტისემიტიზმის საფუძველი უნიჭობაა. პრეტენზია, რომ ფარდობითობის თეორიის აღმომჩენი აინშტაინი ებრაელია, ფროიდი ებრაელია, ბერგსონი ებრაელია, არის უნიჭობის განმცხადებელი პრეტენზია. ეს უბადრუკობაა. არსებობს მხოლოდ ერთი საშუალება მეცნიერებასა და ფილოსოფიაში ებრაელთა დიდი როლის შესაკვეცად: თავად მოახდინეთ უდიდესი აღმოჩენები, იყავით უდიდესი მეცნიერები და ფილოსოფოსები. კულტურაში ებრაელთა მოძალევებასთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ კულტურის საკუთარი შემოქმედებით. ეს თავისუფლების სფეროა. თავისუფლება სულის გამოცდაა, დამამცირებელია იმის ფიქრი, რომ თავისუფლება მუდამ ებრაელებს უწყობს ხელს, ხოლო არაებრაელებს აბრკოლებს.

ებრაელთა წინააღმდეგ წამოყენებულ ერთ ბრალდებაზე უნდა შევჩერდეთ. მათ ადანაშაულებენ იმაში, რომ შექმნეს კაპიტალიზმი და სოციალიზმი. მაგრამ სასურველი იქნებოდა, როგორც კაპიტალიზმის ისე სოციალიზმის მომხრეებს „არიელებისთვისაც" დაეტოვებინათ რაიმის შექმნის პატივი. ხომ არ შეიძლება ყველაფერი ებრაელებს დაუთმო? გამოდის, ებრაელებს ეკუთვნით ყველა მეცნიერული აღმოჩენა. შესანიშნავი ფილოსოფოსებიც ისინი იყვნენ, მათ შექმნეს კაპიტალისტური წარმოება, მსოფლიო სოციალისტური მოძრაობა, რომელიც იბრძვის სამართლიანობისათვის და მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ ხელშია ყველა საზოგადოებრივი აზრი, მსოფლიო პრესა და ა. შ. გამოგიტყდებით, მეც როგორც „არიელს", გული მწყდება და არ ვეთანხმები ასეთი ზომით ებრაელებისათვის ყველაფრის მიწერას. შევჩერდები კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ებრაელთა მიერ შექმნაზე პირველ რიგში. თუ ეს ბრალდებაა, იგი ერთ კაცს არ მიეყენება. კაპიტალიზმის მომხრეებისათვის კაპიტალიზმის ებრაელთა მიერ შექმნა ებრაელთა დამსახურებაა, ისევე როგორც სოციალიზმის მომხრეებისათვის ებრაელთა მიერ სოციალიზმის შექმნა არის მათი დამსახურება. უნდა აღვიაროთ ბრალდება. კაპიტალიზმის შექმნაში რომ ებრაელებს მიუძღვით უპირატესი როლი, ზომბარტის* ცნობილი წიგნის თეზისია. უდავოა, რომ ებრაელები ამ პროცესში პატარა როლს არა თამაშობდნენ; უდავოა, რომ მათ ხელში დიდძალი კაპიტალი იყრიდა თავს. ამას ხელს უწყობდა ებრაელთა ისტორიულად გამომუშავებული თვისებები. შუა საუკუნეებში ებრაელები ეწეოდნენ მევახშეობას, ერთადერთ საქმიანობას, რის უფლებასაც მათ აძლევდნენ. ებრაელმა ხალხმა შექმნა მევახშისა და ბანკირის სახე, მაგრამ მანვე შექმნა ტიპი იდეალისტისა, იდეის თავგადაკლული მსახურისა, ღატაკისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი ინტერესებით ცხოვრობს. მაგრამ კაპიტალიზმის შექმნას და კაპიტალისტურ ექსპლუატაციას

* ზომბარტ ვერნერ (1863–1941) — გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და ნეოკანტიანელი სოციოლოგი.

„არიელებმაც" შეუწყვეს ხელი. კაპიტალიზმის შექმნაში რომ აღანაშაულებენ ებრაელებს, ჩვეულებრივ, კაპიტალიზმის მოწინააღმდეგენი კი არ არიან, უბრალოდ, კაპიტალისტურ კონკურენციაში სურთ ებრაელებზე ძლიერნი იყვნენ. მათზე მეტი კაპიტალი ჰქონდეთ. განსაცვიფრებელია, რომ კ. მარქსი, ებრაელი და სოციალისტი, გარკვეული აზრით ანტისემიტი იყო. ებრაულ საკითხზე დაწერილ სტატიაში ბევრს რომ ეჩოთირება, მან ებრაელი ხალხი მსოფლიო კაპიტალისტური ექსპლოატაციის გამტარებლად გამოაცხადა. სხვათა შორის, მარქსის რევოლუციური ანტისემიტიზმი აბათილებს ლეგენდას ებრაელთა მსოფლიო შეთქმულებაზე. ებრაელი მარქსი და როტშილდი შეურიგებელი მტრები არიან და ერთ შეთქმულებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. მარქსი იბრძოდა კაპიტალის ძალაუფლების წინააღმდეგ, მათ შორის ებრაული კაპიტალის წინააღმდეგაც. ებრაელების მიმართ მეორე ბრალდება, რომ მათ მოიგონეს სოციალიზმი და მთავარი მონაწილენი არიან რევოლუციური სოციალისტური მოძრაობებისა, ცხადია, მხოლოდ იმ პირთაგან მომდინარეობს, ვისაც კაპიტალიზმი არ ეთაკილება და კაპიტალისტური წყობის შენარჩუნება სურს. რუსი ანტისემიტებისათვის ეს ბრალდება დაიყვანება იმაზე, რომ რუსული კომუნისტური რევოლუცია ებრაელებმა მოიხდინეს. ფაქტიურად ეს მცდარია. ლენინი ებრაელი არაა; რევოლუციის ბევრი ბელადიც არაა ებრაელი, ებრაელები არც მუშათა და გლეხთა უზარმაზარი მასები იყო, რევოლუციას გამარჯვება რომ მიანიჭა. მაგრამ ებრაელები, რა თქმა უნდა, მცირე როლს არა თამაშობდნენ რევოლუციაში და მის მომზადებაში. რევოლუციებში მუდამაც დიდ როლს შეასრულებენ დაჩაგრული ეროვნებანი და დაჩაგრული კლასები. პროლეტარიატი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციებში. ეს ებრაელთა დამსახურებაა რომ უფრო სამართლიანი სოციალური წყობისათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ. მაგრამ ებრაელთა წინააღმდეგ ბრალდებანი ბოლოს და ბოლოს ერთ ძირითადზე დადის: ებრაელები ესწრაფიან მსოფლიო ძლიერებას, მსოფლიო სამეფოს. ამ ბრალდებას ზნეობრივი გამართლება ექნებოდა იმათთვის, ვინც თვითონ არ ელტვის ძლიერებას და ყოვლადძლიერ სამეფოს არ ესწრაფის. მაგრამ „არიელები" და არიული ქრისტიანები, მაღიარებელნი იმ რელიგიისა, არაამქვეყნიური სამეფოსაკენ რომ მოუწოდებდა მათ, მუდამ ესწრაფოდნენ ძლიერებას და მსოფლიო სამეფოებსა ქმნიდნენ. ებრაელებს არა თუ მსოფლიო, ციცქნა სამეფოც არ გააჩნდათ. ქრისტიანებს კი ჰქონდათ უძლიერესი სამეფოები და ესწრაფოდნენ ექსპანსიას და მბრძანებლობას.

გადავდივარ ანტისემიტიზმის ყველაზე სერიოზულ რელიგიურ საბუთზე, რომელიც ერთადერთია, განხილვას რომ იმსახურებს. ქრისტიანები რელიგიური მოტივების გამო იყვნენ ანტისემიტები: ებრაელი ხალხი შერისხულ და კრულ რასად ითვლებოდა არა იმიტომ, რომ სისხლის მიხედვით დაბალი რასაა და მთელ დანარჩენ კაცობრიობას ემტერება, არამედ იმიტომ, რომ მათ ქრისტე უარყვეს. რელიგიური ანტისემიტიზმი არსებითად ანტიიუდაიზმი და ანტითალმუდიზმია. ქრისტიანული რელიგია, რანაირადაც ის გამოკრისტალდა მას მერე, რაც ებრაელებმა ქრისტე არ ცნეს მესიად, რომელსაც ელოდნენ, ნამდვილად მტრულია ებრაული რელიგიისადმი. ქრისტემდელი იუდაიზმი და ქრისტეს შემდგომი იუდაიზმი სრულიად განსხვავებული მოვლენებია. არის ღრმა პარადოქსი იმაში, რომ ქრისტეს გამოცხადება, ე. ი. განღმრთობა და ღვთის განკაცება ებრაელი ხალხის წიაღში მოხდა. ებრაელებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს ღვთის განკაცება ეღიარებინათ, ეს წარმართებს უფრო ეიოლებოდათ. ღმერთი ადამიანად იქცა. ებრაელთათვის ეს იყო მკრეხელობა, ხელყოფა ღვთის დიდებულებისა და ტრანსცენდენტურობისა. ძველი ებრაული ცნობიერებით ღმერთი განუწყვეტლივ ერევა ადამიანის ცხოვრებაში, უკანასკნელ წვრილმანებშიც კი, მაგრამ არ უკავშირდება და არ ერწყმის ადამიანს, არ იღებს ადამიანის სახეს. აქ უფსკრულია ქრისტიანულსა და იუდაისტურ ცნობიერებას შორის. ქრისტიანობა ღმერთკაცობის და ტრინიტარიზმის რელიგიაა, იუდაიზმი კი წმინდა მონოთეიზმია. მთავარი რელიგიური ბრალდება, რომელსაც ებრაელები ქრისტიანებს უყენებენ, ისაა, რომ ქრისტიანობა მონოთეიზმს ღალატობს. ერთი ღმერთის ნაცვლად სამებას ცნობს. ქრისტიანებმა თავისი რელიგია იმაზე დააფუძნეს, რომ ისტორიაში გამოცხადდა კაცი, რომელმაც თავი ღმერთად, ღვთის ძედ გვამცნო. იუდაისტური ჩაკეტილი ცნობიერებისათვის ეს მკრეხელობას წარმოადგენდა. ადამიანი არ შეიძლება ღმერთი იყოს, იგი შეიძლება ღმერთის წინასწარმეტყველი, მესია იყოს, მაგრამ — არა ღმერთი. ის, ვინც თავის თავს ღმერთი უწოდა, არ შეიძლება ნამდვილი მესია იყოს. ამაშია მხოლოდ რელიგიური ტრაგედიის კვანძი. წარმართებს ბევრი ღმერთკაცი ჰყავდათ ანუ კაცღმერთები. ღმერთები კოსმოსის და ადამიანური ცხოვრების იმანენტურები იყვნენ. წარმართულ ცნობიერებას სულ არ უჭირ-

და ღვთის განკაცება ეცნო. იგი შეესაბამებოდა წარმართული ქურუმის ხატოვანებას. მაგრამ ებრაელთათვის ეს საშინელება იყო. არავის შეეძლო ღვთის სახე ენახა და ცოცხალი დარჩენილიყო. უცებ კი გამოაცხადეს, ღმერთს ადამიანის სახე აქვსო. ჯვარცმული ღმერთი ებრაელთათვის უდიდესი მკრეხელობაა. ღმერთი მხოლოდ დიდებული და ყოვლადძლიერი შეიძლება იყოს. ღმერთის სიკვდილი მკრეხელობად, ღმერთის დაუსაზღვრელობისა და დიდების ძველი რწმენის ღალატად ესახებოდათ. ასეთია ებრაელების რელიგიურ რწმენათა გაქვავებული ნიადაგი. აქედან ამოიზარდა ქრისტეს უარყოფა. და აი მთელი ქრისტიანული ისტორიის მანძილზე ისმის ბრალდება, რომ ებრაელებმა ჯვარს აცვეს ქრისტე. ამის მერე ებრაელი ხალხი შერისხულია. ებრაელმა ხალხმა თვითონ შეირისხა თავი, იგი დამყაბულდა, მისა და მის შვილებზე ქრისტეს სისხლი გადმოსულიყო, მან თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა. ამით ისარგებლეს ებრაელთა მტრებმა. ებრაელებმა ქრისტე იმიტომ დაგმეს, რომ იგი არ აღმოჩნდა მესია, რომელსაც ისრაელის სამეფო უნდა განეხორციელებინა. იგი აღმოჩნდა როგორც ახალი ღმერთი, ტანჯული და დამცირებული, არაამქვეყნიური სამეფოს მქადაგებელი. ებრაელებმა ჯვარს აცვეს ქრისტე, ძე ღვთისა, რომელსაც სწამს მთელ ქრისტიანულ სამყაროს. ასეთია ბრალდება. მაგრამ განა იმავე ებრაელებმა არ იწამეს იგი პირველად? მოციქულები ებრაელები იყვნენ, პირველი ქრისტიანული თემიც ებრაული იყო. რატომ ამისათვის ქებას არ შეასხამენ ებრაელებს? ებრაელი გაჰყვიროდა: „ჯვარს აცუ ეგი". მაგრამ ყველა ხალხსა აქვს დაუოკებელი წუწურკალი, ჯვარს აცვამს თავისი წინასწარმეტყველები, მოძღვრები და დიდი ადამიანები. წინასწარმეტყველთ ყველგან და ყოველთვის ქვას ესროდნენ. ბერძნებმა სოკრატე მოწამლეს — ბერძენი ხალხის უდიდესი შვილთაგანი. ნუთუ ამის გამო უნდა შეირისხონ ბერძენი ხალხი? არა მარტო ებრაელებმა აცვეს ჯვარს ქრისტე. ქრისტიანები ანუ თავს რომ ქრისტიანებს უწოდებდნენ, ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე თავიანთი საქმეებით ჯვარს აცმევდნენ ქრისტეს, თავიანთი ანტისემიტიზმითაც ჯვარზე აკრავდნენ, თავიანთი მძულვარებითაც და თავიანთი ძალადობითაც, ძლიერთა ამა ქვეყნისათა მსახურებითაც, საკუთარი ინტერესების გამო ღალატითაც და ქრისტეს ჭეშმარიტების დამახინჯებითაც. „არიელებმაც" დაგმეს ქრისტე და ახლაც გმობენ, ხოლო ამას სჩადიან თავ-თავისი სამეფოებისათვის ჯობნა, პირდაპირ და უშუალოდ რომ გმობენ ქრისტეს. ვიდრე ქრისტეს სახელს ამოფარებულნი საკუთარ სამეფოებს რომ იშენებენ, როცა ებრაელებს შერისხავენ და სდევნიან იმის გამო, ქრისტე ჯვარს აცვესო, მაშინ აშკარად დგებიან გვაროვნული შურისძიების ნიადაგზე, რაც ერთობ ახასიათებდათ ძველ ხალხებს, მათ შორის ებრაელებსაც. მაგრამ გვაროვნული შურისძიება სრულიად მიუღებელია ქრისტიანული ცნობიერებისათვის. იგი სავსებით ეწინააღმდეგება პიროვნული ღირსებისა და პიროვნული პასუხისმგებლობის ქრისტიანულ იდეას. ქრისტიანული ცნობიერება არ უშვებს არანაირ შურისძიებას: არც პირადს, არც გვაროვნულს. შურისძიების გრძნობები ცოდვეულია და მათი მონანიება აუცილებელია. გვარი, სისხლი, შურისძიება — ეს ყველაფერი უცხოა წმინდა ქრისტიანობისთვის და შემოღწეულია გარედან, ძველი წარმართობიდან.

III. ებრაელობასთან დაკავშირებულია ორმაგი ხილიაზმის ისტორიოსოფიული თემა: ღვთაებრივი სამეფო მხოლოდ მიღმაა, არ ეკუთვნის ამ ქვეყანას თუ შეიძლება აქაც, ამ მიწაზე დაველოდოთ და მისთვის მოვემზადოთ? ქრისტემ თქვა: „სამეფო ჩემი არა არის ამა ქვეყნისა". ამას ჩვეულებრივ ისე განმარტავდნენ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო არა ელოდნათ-რა ამ ქვეყნად ღვთის სამეფოს განსახორციელებლად. დე, ეს ქვეყანა ეკუთვნოდეს ამ ქვეყნის თავადს, ხოლო ამ თავადს ქრისტიანები რაღაც უცნაურად დიდ პატივს მიაგებდნენ და ამას ეფუძნებოდა ქრისტიანული სახელმწიფო, რომელშიც არანაირი ქრისტიანული სამართალი არ ხორციელდებოდა. ქრისტეს სიტყვები შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: ღვთის სამეფო ამქვეყნიურ სამეფოს არ ჰგავს. მისი საფუძვლები სხვაგვარია; მისი სამართალი ამ ქვეყნის კანონს უპირისპირდება. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქრისტიანები ამ ქვეყნის თავადს უნდა ემორჩილებოდნენ და ღვთიური სამეფოს სამართალს არ მისდევდნენ, ე. ი. არ შეცვალონ ეს ქვეყანა. ფრანგული თომიზმის ბელადმა და ქრისტიანული ინტეგრალური ჰუმანიზმის დამცველმა ჟაკ მარიტენმა ებრაელობაზე დაწერა შესანიშნავი სტატია; იგი გამოთქვამს საინტერესო აზრს ორი მისიის განცალკევების თაობაზე: ქრისტიანებმა მიიღეს ქრისტიანობის ზებუნებრივი ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება ზეცის შესახებ, მაგრამ ძალიან ცოტა გააკეთეს ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაში სამართლის განსახორციელებლად. ისინი თავიანთ ჭეშმარიტებას საზოგადოებას არ მიუ-

[illegible]. ებრაელებსაც არ მიაჩნდათ ქრისტიანობის ზებუნებრივი ჭეშმარიტება. მაგრამ ჭეშმარიტების მიზეზი, სამართლის ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაში განახორციელებდნენ. და მართლაც სოციალური სამართლიანობის იდეა ადამიანურ ცნობიერებაში უმთავრესად ებრაელთა წყალობით შემოვიდა. „პროფეტები" ადრეულად ებრძოდნენ სოციალურ უსამართლობას. ინდოეთში რელიგიური ცნობიერებით სანქცირებული კასტების რეჟიმი შეიქმნა, საბერძნეთში უდიდესი ფილოსოფოსები ვერ მაღლდებოდნენ მონობის გაკიცხვამდე. მაგრამ ებრაელმა წინასწარმეტყველებმა პირველად მოითხოვეს სამართალი, სამართლიანობა ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებში. ისინი იცავდნენ ღარიბებს და დაჩაგრულებს. ბიბლია გვამცნობს, როგორ ხდებოდა პერიოდულად სიმდიდრის გადანაწილება, რათა იგი ერთი კაცის ხელში არ აღმოჩენილიყო და მდიდართა და ღარიბთა შორის მკვეთრი განსხვავება არ ყოფილიყო. ებრაელები აქტიურად მონაწილეობდნენ მსოფლიო სოციალისტურ მოძრაობაში, რომელიც მიმართული იყო კაპიტალის ძალაუფლების წინააღმდეგ. ებრაელობას ნიშნავდა ირწმუნა ფული და სოციალური სამართლიანობა. ქრისტიანებს უყვართ თქმა, რომ ღვთის სამეფო ჯვრის გარეშე განუხორციელებელია და ამაში ქრისტიანები ცამდე მართლები არიან. ღვთის სასუფეველში შესვლის წინ ამ ჩვენს ცოდვილ მიწაზე ყველაფერი ჯვარს უნდა ეცვას. ისინი მაშინ ცდებიან, როცა ამ უდიდეს ჭეშმარიტებას, ქრისტეს სამართლის განხორციელების ყოველგვარ მცდელობის მიწაზე ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებში წინ ეღობებიან. უბედურება ისაა, რომ ქრისტიანებმა კი შეიყვარეს ჯვარი, მაგრამ სულ არ ესწრაფოდნენ ღვთის სამეფოს. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ სამყაროში ღვთის სამეფოს საბოლოო განხორციელება შეუძლებელია. იგი გულისხმობს სამყაროს გარდაქმნას, ახალ ცას და ახალ მიწას. ამასთან ისტორიული ქრისტიანობის წარმომადგენლები, ე. ი. ისინი, ვინც შეგუებულნი იყვნენ ამ სამყაროს პირობებს, სულ არ ერთგულებოდნენ ამქვეყნიური სამეფო, კეისრის სამეფო. პირიქით, კეისრის სამეფოს საკუთრად მიიჩნევდნენ, ახდენდნენ მის საკრალიზებას. ხოლო ის კეისრის სამეფო შორს იყო როგორც ქრისტიანული, ისე უბრალო ადამიანური სამართლიანობისგანაც, არ სცნობდა სამართლიანობას და ადამიანურობას. ასეთი იყო წარსულში „ქრისტიანული სახელმწიფოები", აღმოსავლური და დასავლური თეოკრატიები.

ქრისტიანობას ჩვეულებრივ იმაში უწუნებენ, რომ იგი რეალიზებადი არაა და რომ იგი ქრისტიანებს არასოდეს განუხორციელებიათ. ქრისტიანობა თავის თავში ისეთ ცნებებს მოიცავს, ადამიანურ ბუნებას რომ არ შეესაბამება. განსაკუთრებით ლიზებული და არასრულყოფილია ქრისტიანობა სოციალურ ცხოვრებასთან მიმართებაში, რომელიც არასოდეს მსგავსებია იმას, რისკენაც ქრისტე მოუწოდებდა. ამ ჩვეულებრივ შედავებას განსაკუთრებით აწვებოდა საღვთო დორი. გამოჩენილი ფრანგი ებრაელი მწერალი და მეცნიერი XIX საუკუნის შუა ხანებისა, ავტორი იესო ქრისტეს ერთ-ერთი ცხოვრებისა. განსხვავებას იუდაიზმსა და ქრისტიანობას შორის საინტერესოდ აყალიბებს შესანიშნავი ებრაელი რელიგიური ფილოსოფოსი ამჟამად გარდაცვლილი როზენცვაიგი, რომელმაც მარტინ ბუბერთან* ერთად გერმანულ ენაზე ბიბლია თარგმნა. იგი ამბობს, რომ ებრაელი თავისი რელიგიით მიწებულია დარჩეს ებრაულ სამყაროში, რომელშიც დაიბადა, ამაღლდეს და სრულყოს თავისი ებრაელობა. მას არ მოეთხოვება საკუთარი ბუნების უარყოფა. სწორედ ამიტომ მისთვის ებრაული სარწმუნოება რეალიზებადია. ქრისტიანი კი თავისი ბუნებით წარმართია (ებრაელების გაუცხოებული შთამომავლობა). მან რომ თავისი სარწმუნოება აღასრულოს, თავისი სამყაროდან უნდა გავიდეს, უარყოს თავისი ბუნება, დაძლიოს ბუნებითი წარმართობა. ამასთანაა დაკავშირებული ქრისტიანობის განხორციელების სიძნელე. გამოდის, რომ ებრაელების გარდა ყველა წარმართია. ამ შეხედულების საფუძველზე როზენცვაიგი იუდაიზმის უპირატესობას ასკვნის. მე კი ვფიქრობ, რომ ეს ქრისტიანების უპირატესობაა. ღვთაებრივი გამოცხადება სხვა სამყაროდან მოდის. იგი რთულია ამ სამყაროსთვის, მოითხოვს მოძრაობას დიდი წინააღმდეგობის მიმართულებით. ქრისტიანებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ქრისტიანობის მოწინააღმდეგეებს იგი განუხორციელებელ რელიგიად გამოეცხადებინათ. ქრისტიანობის ამ მიწაზე განუხორციელებლობის აზრს ისინი ძალიან ბოროტად იყენებდნენ, თავი საშინელი ხართულით დაიმშვიდეს. ადამიანის ცოდვილი ბუნების მოძღვრებიდან ქრისტიანებმა ყველაზე უგვანი დასკვნები გამოიტანეს. ეს შეიძლება გამოიხატოს ასე: ისინი ცოდვას შეურიგდნენ-

---

* ბუბერ მარტინ (1878-1965) — ავსტრიელი ებრაელი ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსი, მწერალი, მთარგმნელი.

ნენ და ცოდვასთან შეგუების სისტემა შექმნეს. ამ მიმართებით ძალიან საყურადღებოა კონსტანტინე ლეონტიევი. უაღრესად გონებამახვილი და წრფელი მოაზროვნე. მან ქრისტიანობა სულთა მიღმურ ხსნაზე დაიყვანა. იმაზე, რასაც თავად ტრანსცენდენტურ ეგოიზმს უწოდებდა. მოხარული იყო იმისა, რომ ქრისტიანული სიმართლე მიწაზე ვერასოდეს განხორციელდებოდა, რადგან ეს განხორციელება ეწინააღმდეგებოდა მის წარმართულ ესთეტიკას. როზენცვაიგის ტერმინოლოგიით შეიძლებოდა გვეთქვა, რომ კ. ლეონტიევი თავის ბუნებრივ წარმართულ სამყაროში დარჩა. რაც შეეხება პირადად მისი სულის მიღმურ ხსნას, მხოლოდ ბერობისა და ასკეზის გზით თუ შესძლებდა წარმართული ბუნების გადალახვას. მაგრამ ყველა ეს ბრალდება ეკუთვნის ქრისტიანებს და არა — ქრისტიანობას.

IV. გადაწყდება კი ებრაელობის საკითხი ისტორიის საზღვრებში? ეს კითხვა ტრაგიკულია. იგი ვერ გადაწყდება უბრალოდ ასიმილაციის გზით. XIX საუკუნეში სჯეროდათ, რომ იგი გადაწყდებოდა, რაც საუკუნის ჰუმანურობაზე მეტყველებს. მაგრამ ჩვენ ჰუმანურ ეპოქაში არ ვცხოვრობთ. ჩვენი დროის მოვლენები არ იძლევა იმის იმედს, რომ ებრაელთა საკითხი მოგვარდება მათი სხვა ხალხებთან შერწყმითა და გათქვეფით. თანაც ეს მოსაწონებელი იქნებოდა ებრაელობის გაქრობისა. დიდი იმედი არც იმისი უნდა გვქონდეს, რომ იგი დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს შექმნით ე. ი. სიონიზმის გზით გადაწყდება. ებრაელები თავიანთ ძველ მიწაზეც დევნას განიცდიან. თან ასეთი გადაწყვეტაც ებრაელი ხალხის მესიანურ ცნობიერებას არ ეთანხმება. ებრაელი ხალხი რჩება ყარიბ ხალხად. შეიძლება გვეთქვა, რომ ებრაელი ხალხის ბედი ესქატოლოგიურია. მისი გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ დროის აღსასრულის პერსპექტივაში, მაგრამ ეს სულაც არა ხსნის ქრისტიანებს ებრაელებისადმი ქრისტიანული და ჰუმანური მოპყრობის ვალდებულებას. მოციქულ პავლეს აქვს საიდუმლო სიტყვები იმის თაობაზე, რომ მოხდება მთელი ისრაელის ხსნა. ამ სიტყვებს სხვადასხვაგვარად განმარტავენ, რადგან ისრაელის ქვეშ იგულისხმება არა მარტო ებრაელი ხალხი, არამედ ქრისტიანი ხალხიც, ე. ი. ახალი ისრაელი; მაგრამ მეტად დამაჯერებელია, რომ მოციქულ პავლეს მსჯელობაში ჰქონდა ებრაელთა ქრისტეს რჯულზე მოქცევა და ამ მოქცევის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო მხეცური ანტისემიტიზმის, არამედ სულ უფრო მეტი და მეტი ებრაელის გაქრისტიანების ეპოქაში; რასობრივი ანტისემიტებისათვის ეს საკითხი უინტერესოა. მათთვის უფრო ყურადსაღებია სისხლის მატერიალურ[illegible] სარწმუნოების სულიერი ფაქ[illegible]გიური ანტისემიტები ებრაული საკითხის ერთადერთ გადაწყვეტას შეიძლება ებრაელი ხალხის ქრისტეს რჯულზე მოქცევაში ხედავდნენ. ჩემი აზრით, ამაში დიდი სიმართლეა. მაგრამ ებრაელთა საკითხის ასეთი გადაწყვეტის მოთხოვნა შეიძლება მორალურად ორაზროვანი და ყალბი გამოდგეს. თუ ქრისტიანი ანტისემიტები ყელთან დანას მიადებენ და ებრაელებს გაქრისტიანებას მოსთხოვენ, უარის შემთხვევაში კი ბუნებრივად ჩათვლიან დარბევას, მაშინ ეს იქნება მორალური უმსგავსობა, რასაც ქრისტიანობასთან არაფერი აქვს საერთო. რატომ არ უნდა მოვითხოვოთ გაქრისტიანება სხვადასხვა „არიული" ხალხისაგან, რომლებიც სავსებით მოსწყდნენ ქრისტიანობას ანდა მხოლოდ გარეგნულადღა ინარჩუნებენ მას. ქრისტეს რჯულზე მოქცევა უაღრესად პირადული საქმეა და საქვეო. მომავალში ხალხებზე, როგორც ქრისტიანებზე და არაქრისტიანებზე, ილაპარაკონ. ებრაელთა გასაქრისტიანებლად მეტად მნიშვნელოვანია, თვითონ ქრისტიანები მოექცნენ რჯულზე, ე. ი. ფორმალურად კი არა, რეალურად ქრისტიანები გახდნენ, მოძულენი და ჯვარზე გაკრულები. რამდენიც არ უნდა ახალონ მიწას თავი, არ შეიძლება ქრისტიანებად იწოდებოდნენ. მთავარ დაბრკოლებას არაქრისტიანული აღმოსავლეთის — ინდუსებისა და ჩინელების — ქრისტეს რჯულზე მოქცევის გზაზე თავად ქრისტიანები წარმოადგენენ. ქრისტიანული სამყაროს მდგომარეობა გაუთავებელი ომებით, ეროვნული სიძულვილით, კოლონიური პოლიტიკით, მშრომელი კლასების ჩაგვრით არის უდიდესი მკრეხელობა. სწორედ ყველაზე მემარჯვენეები, ყველაზე ორთოდოქსები, ღვთისმოსავ ქრისტიანებად რომ მიიჩნევენ თავს, ახლა მცირეთა ამათა მიმართ უდიდეს ცოდვას ჩადიან. ებრაელთათვის მათსა და ქრისტეს შორის ქრისტიანები ჩამდგარან და ქრისტეს სახეს ჩრდილავენ. ებრაელებმა შეიძლება ქრისტე თავიანთ მესიად აღიარონ, ასეთი მოძრაობა შეიმჩნევა ებრაელთა შიგნით, ქრისტეს გმობა შეიძლება საბედისწერო შეცდომად სცნონ. მაგრამ მაშინ ისინი ჯვარცმულ მესიას და ჯვარცმული მესიის სახით დამცირებულ ღმერთს აღიარებენ.

თანამედროვე ანტისემიტიზმი რომ ფორ-

ბებს იდებს ქრისტიანული თვალსაზრისით უკვე ანტისემიტიზმის განაჩენია. ეს გერმანული რასიზმის „დამსახურება" გახლავთ, რომელსაც გერმანიაში ღრმა, მაგრამ სავსებით არაქრისტიანული ფესვები გაიჩინა. გაცილებით უარესია მართლმადიდებლური ანტისემიტიზმი, მაგალითად, რუმინეთში. იგი სახელს უტეხს ქრისტიანობას და სერიოზულ შედავებასაც არ იმსახურებს. ანტისემიტიზმი აუცილებლობით გადადის ანტიქრისტიანობაში და თავის ანტიქრისტიანულ ბუნებას ავლენს; ეს სწორედ ახლა ხდება. ამის შესაბამისად თავად ქრისტიანობაში მიმდინარეობს განწმენდის პროცესი. ქრისტიანული ჭეშმარიტების განთავისუფლება ათასწლოვანი დანალექებისაგან, რაც შედეგი იყო შეგუების სახელმწიფოს გაბატონებულ ფორმებთან, გაბატონებულ კლასთა სოციალურ ინტერესებთან, სოციალურ ყოველდღიურობასთან, ცნობიერების და კულტურის დაბალ საფეხურთან, მეტისმეტად მიწიერი მიზნებით ქრისტიანობის გამოყენებასთან. ქრისტიანობის განწმენდის ამ პროცესს, რომელიც ნაწილობრივ დაკავშირებულია იმასთან, რომ თავად ქრისტიანებიც იდევნებიან, მივყავართ თითქოსდა ორი ქრისტიანობის გამოაშკარავებასთან: ერთია ძველი ქრისტიანობა, რომელიც ქრისტიანობის დამახინჯებათ ვერ ელევა, მეორე — ახალი ქრისტიანობა, რომელიც ამ დამახინჯებათაგან ათავისუფლებს და სურს, ქრისტეს და სახარებისეული ღვთის სასუფევლის გამოცხადების ერთგული იყოს. ფორმალური, ნომინალური, პირობითი, პირობით-რიტორიკული კი არა, ნაღდი ქრისტიანები იქნებიან ყოველთვის უმცირესობანი. „ქრისტიანული სახელმწიფო", უდიდესი სიცრუე, უდიდესი გადაგვარება, მეტი აღარ იქნება. ქრისტიანები სულიერად იბრძოლებენ და ამიტომ ექნებათ შინაგანი გავლენა, რაც დაკარგული ჰქონდათ. ისინი შეძლებენ დარწმუნებას. ქრისტიანებს შეჰფერით პირველ რიგში დაიცვან სიმართლე და არა — ძალა, რაც მათ ქვეყნად აღიარებდა. სწორედ ქრისტიანებს შეშვენით დაიცვან ადამიანის ღირსება: ყველა ადამიანის სახისა, ყოველგვარი სახისა, განურჩევლად რასისა, კლასისა, საზოგადოებაში მდგომარეობისა. სწორედ ადამიანს, ადამიანის სახეს, ადამიანის სულის თავისუფლებას ყოველი მხრიდან ესხმის ქვეყანა. მათ შორის ანტისემიტური მოძრაობაც, რომელიც კაცობრიობის ერთი ნაწილის გულის მოსაგებად ადამიანურ ღირსებასა და ადამიანურ უფლებებს უარყოფს. ებრაული საკითხი ქრისტიანული სინდისის და ქრისტიანული სულიერი ძალის გამოცდაა.

ქვეყნად ყოველთვის იყო და არის ორი რასა. რასათა ეს დაყოფა სხვა ყველა დაყოფაზე მნიშვნელოვანია. არიან ჯვარმცმელნი, არიან ჯვარცმულნი. მჩაგვრელნი და [illegible] ნი, მოძულენი და შეძულებულნი, [illegible] ლები და ტანჯულები, მდევნელები და დევნილები. არაა საჭირო იმის განმარტება, ვის მხარეზე უნდა იდგნენ ნამდვილი ქრისტიანები. ისტორიაში როლები შეიძლება შეიცვალოს. ახლა ქრისტიანებს ისევე დევნიან როგორც პირველ საუკუნეებში. ახლა ებრაელებიც ისევე იდევნებიან, როგორც არა ერთხელ იდევნებოდნენ ისტორიაში. ამაზე დაფიქრება აუცილებელია. რუსი ანტისემიტები, რომლებიც აფექტის მდგომარეობაში ცხოვრობენ და მანიაკალური იდეით არიან შეპყრობილნი, აცხადებენ, რუსეთს ებრაელები მართავენ და იქ ქრისტიანებს დევნიან. ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. მებრძოლი ულმერთოობის სათავეში უპირატესად ებრაელები სულაც არ იდგნენ. რუსები მასში ძალიან დიდ როლს თამაშობდნენ. მე იმასაც ვფიქრობ, რომ არსებობს რუსული მებრძოლი ათეიზმი, როგორც სპეციფიკური რუსული მოვლენა. რუსი თავადი ბაკუნინი მისი უკიდურესი და ნიშანდობლივი გამომხატველი იყო. ამგვარი იყო ლენინიც. დოსტოევსკიმ სწორედ რუსულ ათეიზმზე, მის შინაგან ეგზისტენციალურ დიალექტიკაზე გააკეთა უდიდესი აღმოჩენები. მცდარია ისიც, რომ რუსეთს თითქოს ებრაელები მართავენ. მთავარი მმართველები ებრაელები არ არიან. გამოჩენილი ებრაელი კომუნისტები დახვრიტეს ანდა ციხეებში სხედან. ტროცკი სიძულვილის მთავარი ობიექტია. ებრაელებმა დიდი როლი შეასრულეს რევოლუციაში. ისინი რევოლუციური ინტელიგენციის ძირითად ნაწილს შეადგენდნენ. ეს სრულიად ბუნებრივია და განსაზღვრული იყო მათი დაჩაგრული მდგომარეობით. ებრაელები რომ თავისუფლებისათვის იბრძოდნენ: ამას მე დამსახურებად ვუთვლი. ტერორსა და დევნას ებრაელებიც რომ მიმართავდნენ, ებრაელთა სპეციფიკურ თავისებურებად არ მიმაჩნია, არამედ — რევოლუციის სპეციფიკად და მის [illegible] ლეს თავისებურებად განვითარების გარკვეულ სტადიაზე. იაკობინელთა ტერორში ხომ ებრაელებს არავითარი როლი არ უთამაშიათ. ემიგრაცია სავსეა ებრაელებით. მახსენდება საბჭოთა რუსეთში გაცხარებული კომუნისტური რევოლუციის ხანაში ჩემი სახლის პატრონი შეხვედრისას ჩუმად მეტყოდა ხოლმე: „რა უსამართლობაა, თქვენ პასუხს არ მოგთხო-

ვენ რომ ლენინი რუსია, მე კი პასუხი უნდა ვაგო. ტროცკი რომ ებრაელია". შემდგომში მან პალესტინაში წასვლა მოახერხა. მე თანახმა ვარ, საკუთარ თავზე ავიღო პასუხისმგებლობა ლენინის გამო. ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ რეალობები და ფაქტები არ არსებობს იმათთვის, ვის აზროვნებასაც განსაზღვრავს ressentiment*. აფექტები და მანიაკალური იდეები. მკურნალობა ყველაზე უფრო აქაა საჭირო.

□

---

* ressentiment (ფრანგ.) ბოღმა, გაავება.



**მარკ შაგალი.** მეთევზის ოჯახი

ხ 65/68



**მარკ შაგალი**, მხატვრის მოგონება

76132